


# სილიაჲ შუქსპირი

## ტრაგედიაჲ



წიგნი  
I

«სილიაჲ შუქსპირის უნივერსიტეტი»

*Handwritten signature*

1980

# რძიარდ მესამე

სათმომქმელაბიანი  
ზრახელია

მომკმედნი პირნი:

მეფე ედვარდ მეოთხე.

ედვარდ, უელსის პრინცი, მასუკან

მეფე ედვარდ მეხუთე,

რიჩარდ, მთავარი იორკისა.

} მეფის ძენი

გეორგ, მთავარი კლარენსისა,

რიჩარდ, მთავარი გლოსტერისა,

მასუკან მეფე რიჩარდ მეხამე.

} მეფის ძმები

პატარა ვაჟი კლარენსისა.

ჰანრი, გრაფი რიჩმონდი, მასუკან მეფე ჰანრი მეშვიდე.

კარდინალი ბორჩერ, კენტერბერიის არქიეპისკოპოსი.

თომას როთრემ, იორკის არქიეპისკოპოსი.

ჯონ მორტონ, ელის ეპისკოპოსი.

მთავარი ბუკინგამ.

მთავარი ნორფოლკ.

გრაფი სერეი, ამისი შვილი.

გრაფი რივერს, ძმა მეფე ედვარდის ცოლის ელისაბედისა.

მარკიზ დორსეტ და ლორდ გრეი, ამ დედოფლის შვილი პირველი ქმრისაგან.

გრაფი ოქსფორდ.

ლორდ ჰასტინგსი.

ლორდ სტენლი.

ლორდ ლეველი.

სერ თომას ვოგანი.

სერ რიჩარდ რატკლიფი.

სერ უილიამ კატესბი.

სერ ჯემს ტირელი.

სერ ჯემს ბლენტი.

სერ ვალტერ ჰერბერტი.

სერ რობერტ ბრაკენბერი, ციხის უფროსი.

ქრისტოფერ ერსვიკი, მღვდელი.

მეორე მღვდელი.

ლონდონის ლორდ მერი.

ვილჩირის შერიფი.

ტრესელ და ბერკლეი, ლედი ანნას მხლებელი.

ელისაბედ დედოფალი, ცოლი მეფის ედვარდ მეოთხისა.

მარგარიტა, ქვრივი მეფის ჰანრი მეექვსისა.

იორკის მთავრის მეუღლე, დედა მეფის ედვარდ მეოთხისა, კლარენსისა და გლოსტერისა.

ლედი ანნა, ქვრივი უელსის პრინცის მეფე ჰანრი მეექვსის ძის ედვარდისა, მასუკან მეუღლე გლოსტერის მთავრის რიჩარდისა.

პატარა ქალი კლარენსისა.

ლორდები და სხვა კარისკაცი, გზირი, მწერალი, მოქალაქენი, კაცის-მკვლელები, შიკრიკები, ჯარისკაცი და სხვ.

მოკმედება ინგლისშია,

სურათი I

ლონდონი. ჭუჩა.

(შემოდის რიჩარდ გლოსტერი).

გლოსტერი

აგერ შესცვალა იორკის მზემ მბრწყინავ ზაფხულად  
უთანხმოება ჩვენი, მწვავე ზამთრის სუსხივით,  
და რაც ამ ოჯახს აწვა გულზედ შავი ღრუბელი,  
აწ ოკეანის მწყვედიადს უფსკრულს ჩამარხულია.  
ეხლა გვიშვენებს შუბლს გვირგვინი გამარჯვებისა,  
სახსოვრად ჩლუნგი იარაღი ჰკიდია კედელს,  
ბრძოლის ჭეჭის ხმა ზახიანი შეცვლილა ღზინად  
და დარბაზობად იერიშით მტერზედ მისევა.  
აწ თითქო ომმა შეჭმუხვნომა გაიხსნა შუბლი  
და მის მაგივრად, რომ მოახტეს დარახტულს რაშსა  
და შეუძრწუნოს სული ისეც შეშფოთებულს მტერს, —  
იგი ყურს უგდებს ქალთ ოთახში ფანდურის ხმასა  
და შეექცევა ხტუნვა-პრანჭვით ვნებით დამდნარი.  
ჰაგრან მე ხომ ამ თამაშისთვის არ ვარ შექმნილი,  
და ვერც სარკის წინ ვიარშიყებ ჩემსავ სახესთან;  
მე, უშნოდ გათლილს, არ მაქვს სატრფო შეხედულობა,  
რომ მოვაწონო თავი ცუნცრუკ, კოხტა გომბიოთ;  
არა რა მაქვს მე ერთმანეთთან შეფერებული;  
მუხთალ ბუნებას აუვისივარ უსახურობით  
და უყამური, შეთითხნილი გაურევივარ  
ლოცხალთა შორის ნაადრევად მუცლით ნასხლეტი.

მოქმედ პირთა სახელების თანამედროვე დაწერილობა მოცემულია  
წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში.

ნახევრადაც არ დამთავრებულს, უმზგავსს და საპყარს  
ძალღნიც კი მყეფენ, როცა იმათ გვერდით უდგავარ...  
და აი ესრედ მოღუნებულს მშვიდღისის ჟამსა  
სხვა არაფერი დამრჩენია დროს გასართობად,  
თუ არ იგი, რომ ვუყურო ჩემს აჩრდილს მზიან დღეს  
და ჩემის თვალით განვიცადო ეს სახიჩრობა.  
რახან ასეა, არშიყობა რაკი არ ძალღმღს,  
და ვერ ავყვები ამ ტკბილ ჟამთა დროს გატარებას,  
მაშ სიბოროტით მაინც უნდა ვიჩინო თავი  
და ჩავუმწარო სხვებს ამოღ სიამღვნება.  
ამასა ვიქ მე და ისედაც გავაბი ქსელი  
ციღისწანებით, სიზმრებით და ლოთთა ყბეღობით,  
რომ სასიკვეღლოდ ვაღაკვიდე ერთმანეთს მეფე  
და მეორე ჟმა ჩემი კლარენს. თუ მეფე ეღვარდ  
ისე დაღება მტკიცედ თავის სიტყვას და აზრზედ,  
ვით მე ვაღგავარ ცბიერებას, სიცრუეს, ლალატს,  
მაშინ კლარენსი უნდა ჩასგან ციხეში დღესვე.  
ეს იმის გამო, რომ მკითხავსა უთქვამს მეღისთვის  
შენ შვიღთ ის დახოცს, ვის წოღებაც გ-ანთ იწყება.—  
კლარენს მოღის აქ... ფიქროღო ჩემნო, ჩაიმაღენით,  
სუღის სიღრმეში.

(შეღოღის გეორგ კლარენსი დარაჭებით შემორტყმული და  
ბრაკენბიური).

გამარჭვება, ძმაო! რას ნიშნავს.

რომ შეჭურვიღი დარაჭები აგღვენებინ?

კლარენსი

ჩემს ხელმწიფესა უზრუნვია, რომ ამ დარაჭთა  
უენებღობისთვის გამაციღონ ტოუერამღე.

გღოსტერი

ეგ რა მიზეზით?

კლარენსი

ვეორგ მქვიან და იმ მიზეზით.

გღოსტერი

შენი ბრალია მერე ეგა? რაკი ეგრეა,  
უნდა ციხეში ნათღიები დაღიპატიმროღ.

იქნება სურდეს ტოუერში ახლად მოგნათლოს?  
რა ამბავია? მითხარ სწორედ, გამაგებინე.

### კ ლ ა რ ე ნ ს ი

ღიად გეტყოდი, რომ მცოდნოდა და გეფიცები,  
არა რა ვიცი ჭერ სრულიად; მხოლოდ გავიგე,  
წინასწარ თქმულსა რალაც სიზმრებს ერწმუნებაო  
და ანბანიდან ასო „განი“ ამოუშლია,  
რადგან ერთ მკითხავს უთქვამს მისთვის, ეს ასო „განი“  
შენთ ჩამომავალთ წაართმევსო მემკვიდრეობას;—  
და რაკი გეორგ მქვიან, ვითომ მე უნდა ვიყო.  
ზოგი ამას და ზოგი კიდევ სხვა ცუდმადობას  
ჩემი დაჭერა, როგორც ვცანი, გაღუწევებია.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ცოლის აყოლამ იცის ეგა. ტოუერში შენ  
მეფე არ გგზავნის. გგზავნის იქა იმის მეუღლე,  
მიღედი გრეი. იმას, კლარენს, ჩაუგონია,  
უსწავლებია ღონე და გზა უკიდურესი.  
ის არ იყო რომ თავის ძმასთან, ანტონ ვუდვილთან,  
იმ ფარისეველ კაცთან ერთად ურჩია მეფეს  
ციხეში ჩასმა ლორდ ჰასტინგსის, სიდანაც მხოლოდ  
მას ღღეს უშვებენ? კლარენს, შიშში, შიშში ვართ მუღამ!

### კ ლ ა რ ე ნ ს ი

ეხლა უშიშრად, ვფიცავ ზეცას, სხვა არვინ არის,  
თუ არ დედოფლის ნათესავნი და ღამის გზირნი,  
ამბის მზიდავნი შოურის ცოლს და მეფის შორის.  
გაიგე როგორ დაემცირა თავი ლორდ ჰასტინგსს  
იმ ღედაკაცის წინაშე, რომ გამოეთხოვა  
ციხიდან დახსნა?

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვიცი, მდაბლად თაყვანი ეცა  
იმ ღვთაებისთვის ლორდ კანცლერს და თავისუფლება  
შით შეეწყიდა... მე რას გეტყვი: თუ გესურს, რომ მეფე  
წყალობის თვალით იყოს ჩვენზე, შოურის ცოლის  
მსახურად გავხდეთ, ტანთ ჩავიცვათ იმის ლივრეი.

ეს და ის ქვერივი ეჭვიანი, დროგაცვეთილი,  
რაც კი ჩვენმა ძმამ ზე-ასწია, გაადიდკაცა  
მარტოდ მარტონი აქ მეფობენ, ნათლიდედობენ.

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

გთხოვთ, მომიტევოთ, ბატონებო, მეფისაგან მაქვს  
მე ეს სასტიკად ნაბრძანები, რომ იმის ძმასთან  
არ ვის არ მივცე ნება კერძო ლაპარაკისა,  
რა ხარისხისაც უნდა იყოს.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

მართლა? კეთილი.

ვთხოვთ, ბრაკენბიურ, შენს მაღალ კეთილშობილებას,  
ყური დაუგდო, თუ გასურს, ყველას, რასაც კი ვიტყვი.  
ღალატზედ ზომ არ ვლაპარაკობთ. მეფეზედ ვამბობთ.  
ჭკვიანიაო, სათნოებით სავსე და მისი  
დედოფალიცა დიდებული, შესაფერ ხნისა,  
ეჭვის არმცოდნე, მშვენიერი. ჩვენ ვამბობთ კიდევ,  
რომ შოურის ცოლს ფეხები აქვს მეტად ლამაზი,  
ალუბლის ფერი ტუჩები და ყუყუნა თვალნი;  
ენაც საამოდ მოუბარი; რომ ნათესავნი  
გაუდიდკაცდნენ დედოფალსა. განა ეს ყველა  
ტყუილი არის? აბა ერთი რა პასუხს იტყვი?

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

ბატონო ჩემო, ყველა ეგ მე არ შემეხება.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

შოურის ცოლიც? მეგობარო, იცი რა გითხრა,  
ვინც შოურის ცოლს შეეხება, ვურჩევდი ყველას,  
ერთის გარდა კი, საიდუმლოდ საქმე ეჭიროს.

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

ერთი ვინ გახლავთ?

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

იმის ქმარი, როგორ ვერ მიხვდი!

არ გამცე კია.

ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

ჩემი საქმე არ გაქლავთ ეგა.

გთხოვთ მომიტევეთ და მთავართან მორჩეთ ბაასსა.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

შენს ვალს ასრულებ მხოლოდ, ვიცით; დაგმორჩილდებით.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

დედოფალს ვეყმეთ, რა გზა გვაქვს რომ არ ვემორჩილნეთი მშვიდობით, ძმაო, ხელმწიფესთან წავალ და თუ გსურს, ვიკისრებ ყველას შენის განთავისუფლებისთვის, თუნდა ხელმწიფის ედვარდის ცოლს ჩემს დას ვუწოდებ. ვერ წარმოიდგენ, როგორ გულს მწყლავს ეს ძმათა მტრობა!

კ ლ ა რ ე ნ ს ი

გულისმომწყველელი არის სწორედ, ვინ მოიწონებს!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შენი ტყვეობა, დამიჯერე, დიდხანს არ გასტანს: ანუ დაგიხსნი, ან ციხეში ჩავჯდები მეცა შენის გულისთვის; მოომინება შემოიკრიბე.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

მეტი რა გზა მაქვს, არ ვითმინო! მშვიდობით, ძმაო! (გადიან კ ლ ა რ ე ნ ს ი, ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი და დ ა რ ა ჯ ე ბ ი).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

დაადეგ მაგ გზას, სიდანაც შენ ვერ დაბრუნდები, საბრალო კლარენს, გულუბრყვილო! მე შენ მიყვარხარ ისე ძლიერ, რომ მალე შენს სულს ზეცას გავგზავნი, თუ ჩვენის ხელით მიგზავნილს ძღვენს არ იუარებს. — ეს ვინ მოდის აქ? ოჰ, ჰასტინგსი, ტყვე თავდახსნილი?

(შემოდის ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი).

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მოწყალე ბატონს ვუნატრი მე მშვიდობის დღესა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აგრეთვე შენცა, ლორდ კანცლერო. მადლობა ღმერთსა, რომ თავისუფალს ჰაერზედ ხარ. ვით აიტანე დაბატიმრება?



ჰასტინგსი

მოთმინებით, ბატონო ჩემო,  
როგორც შეჰფერის პატიმართა. მაგრამ ღმერთსა ვთხოვ,  
მაცოცხლოს კიდევ იმდენი, რომ ჩემის ტყვეობის  
მიზეზთა მადლი გადაეუხადო.

გლოსტერი

სწორედ, უთუოდ.

კლარენსმაც უნდა გადაუხადოს: ის, ვინც შენ გიმტრო,  
უმტრო იმასაც და ორივე იმან დაგვაბნათ.

ჰასტინგსი

ის არის ძნელი, რომ არწიენი დაუმწყვდევიათ,  
ქორ-ძერანი კი თავისუფლად ასპარეზობენ.

გლოსტერი

გარედან რაღა ამბავია?

ჰასტინგსი

ისეთი ცუდი

არა ისმის რა იქიდან, ვით შინაობაში:  
მეფე დასუსტდა, ავადმყოფობს, მოწყენით არის  
და ექიმებიც მეტისმეტად შიშობენ მისთვის.

გლოსტერი

ყველასთვის ავი გასაგონი არის ეგ, მართლაც;  
არა რიდობდა, თავის თავს არ უფრთხილდებოდა  
და აი ლამის თავის სიცოცხლე მოიღმოს კიდევ.  
ოჰ, ფრიად, ფრიად საწყენია! ლოგინად არის?

ჰასტინგსი

ღიად, ბატონო.

გლოსტერი

წადი მასთან, მეც ეხლავ მოვალ. —

(ჰასტინგსი გადის).

არ გადარჩება, იმედი მაქვს, მაგრამ კი უნდა  
იცოცხლოს ვიდრე არ გაჰგზავნის გეორგსაც ცაში.  
წავალ, რომ უფრო განვუმტკიცო კლარენსის მტრობა  
სიცრუით მაგრად დაჰკედილი საბუთებითა;

და თუ ცუდად არ ჩამიარა ამ ღრმა ფიქრებმა,  
მეორე დილა კლარენსს აღარ გაუთენდება.  
მასუკან ღმერთმა მიიბაროს მეფე ედვარდი  
და ეს ქვეყანა სანავარდოდ მე დამიტოვოს.  
მაშინ ვარვიკის უმცროსს ქალზედ მე ჯვარს დავიწერ,—  
რა ვუყოთ რომ მას დაეუხოცე მამა და ქმარი?  
ამით არ ვუზღავ დანაშაულს იმ გოგუცუნას,  
თუ მამობასაც და ქმრობასაც მე თვით გავუწევ?!  
სიყვარული კი არ მაქვს, განზრახვა მაქვს მე  
რამ საიდუმლო და მის შერთვით ამისრულდება,  
მაგრამ რას ვჩინავ, ურემს ხარებს უკან რად ვუბამ!  
კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც ცოცხალი არის,  
როს გავისტუმრებ, მონაგები მაშინ ავნუსნო. (გაღის).

## ს უ რ ა თ ი II

### იგივე ქალაქი. მეორე ქუჩა.

(შემოაქვთ თავახდელ კუბოთი გვაში მეფის ჰანრი მეექვსისა. აზნაურნი  
შუბ-ნაჯახებით გვერდით მოსდევენ. მათ შორის არის ტ რ ე ს ე ლ და  
ბ ე რ კ ლ ე ი. ლ ე დ ი ა ნ ნ ა მგლოვიარე კუბოს მოსდევს).

ა ნ ნ ა

დაუშვით ძირსა ტვირთი ეგე ჰატიოსანი, —  
არ ვიცი, კუბოს მდებარესა ეთქმის კი ასე! —  
დამაცადეთ, რომ თავში ვიცი, ვიგლოვ-ვიტირო  
სიკეთით სახსე ლანკასტერის უდროდ სიკვდილი.  
(მზიდავნი კუბოს ძირს დასდგენ).

ოჰ, გაყინულო სახეე წმიდის ხელმწიფისაო!  
შენ, მქრქალო ფერფლო ლანკასტერთა დიდის ოჯახის!  
მეფეთა გვარში მჩქეფარ სისხლის ნაშთო უსისხლო!  
მომეცი ნება, შენი ჩრდილი გამოვიწვიო,  
გვემა-ტირილი მოვასმინო ბედკრულ ანნასი,  
შენის ედვარდის მეუღლისა, შენის შვილისა,  
იმისვე ხელით მკვდარის, ვინც შენ მოგილო ბოლო.  
აი ამ სარკმელთ, სიდან შენი სიცოცხლე გაჰქრა,

ბალზამს ჩავანთხვე ჩემ ბედკრულ თვალთ გარდმომდინარსა,  
თუმც რას გავხდები! ოჰ, წყეული იყოს ის ხელი,  
რამაც დაგვხრიტა ასე მკაცრად. წყეული იყოს  
ის გული, რაიც არ შეუღრკა ამ ბოროტებას.  
წყეული იყოს სისხლი, რამაც სისხლით დაგცალა.  
ვინც უბედურ გვყო შენის მოკვლით, იმის საზიზღ თავს  
დეე დაატყდეს უარესი უბედურება,  
ვიდრე გველთათვის, მოჩიელთა, ან ჯოჯო-ხელიკთა,  
ან სხვა შხამიან ქვემძრომთათვის მემეტებოდეს.  
და თუ როდისმე შეილის ყოლა ერგოს მას ხვედრად,  
ეყოლოს იგი სახიჩარი, უდროდ შობილი,  
რომ უბუნებო იმის საზარ სახის დანახვამ  
თვით საკუთარი შეაძრწუნოს დედა-მშობელი,  
და მთელს ჭილაგში დაამკვიდროს უბედურება.  
ან თუ როდისმე ცოლი ჰყავდეს, თვის ქმრის სიკვდილით  
გაუბედურდეს უარესად, ვადრე მე გავხდი  
ჩემის ვაჟკაცის ქმრით და შენით ბედუქუღმართი. —  
მოდით, წავიდეთ ჩერთხეისკენ მაგ ძვირფას ტვირთით,  
წმიდა პავლედან რომ მიგვაქვს თან იქ დასამარხად,  
და როდესაც კი იგრძნობთ რასმე დაღალულობას,  
შევჩერდეთ და მე ცრემლს დავყარი მეფე პანარის გვამს.  
(შხიდავნი კუბოს აიღებენ და მიდიან. — შემოდის გ ლ ო ს ტ ე რ ი).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თქვენ, ჰე, მზიდავნო, გაჩერდით და კუბო ძირს დადგით.

ა ნ ნ ა

რა შავ თვალთმაქცმა გამოიხმო ეს ტარტაროზი,  
რომ ჩვენს საღმრთო წესს და ქველ საქმეს წინ დასდგომოდა?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ძირს დაასვენეთ, თქვე ბრიყვებო, ცხედარი, თორემ,  
წმიდა პავლეს მადლს ვფიცავ, ცხედრად გარდავქმნი ურჩსა.

ე რ თ ი ა ზ ნ ა უ რ ი

ბატონო ჩემო, კუბო მიგვაქვს, გთხოვთ, გზა გვიბოძოთ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

უზრდელო ძაღლო, რომ გიბრძანებ, უნდა გაჩერდე.  
იქით წაიღე შუბ-ნაჯახი, ჩემს მკერდს აშორე,

თორემ იმავე წმიდა პავლეს ვფიცავ, ჩემ ფეხთით  
დაგამხობ, გავსრეს, შე მხეცო, მაგ სითამამისთვის.  
(მზიდავნი კუბოს ძირს დასდგმენ).

ა ნ ნ ა

რაო, კანკალებთ? შეგეშინდათ? მაგრამ მაგისთვის  
როგორ ვაგვიცხავთ! მოკვდავნი ხართ და მოკვდავთ თვალი  
ეშმაკის ნახვას ვით აიტანს! იქით, გამშორდი!  
შენ, საზიზღარო, ჯოჯოხეთის ხელისუფალო!  
ეგ შენი ძალა მის სხეულზედ გასჭრიდა მხოლოდ,  
სულზედ კი ხელი არა გაქვს-რა. წა, გაგვეცაღე!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ტკბილო წმიდანო, ღვთის გულისთვის, ნუ ილანძლები!

ა ნ ნ ა

წუწკო სატანა, ღვთის გულისთვის, ნულარ გვაშფოთებ;  
ლამის ქვეყანა ბედნიერი ჯოჯოხეთად ჰქმნა,  
აავსო იგი წყევლა-ქოქვით, მწარე გოდებით!  
თუ კი გაამებს შენთა საზიზღ საქმეთა ნახვა,  
უყურე აი, ამ მაგალითს, შენს ნაჯალათევეს! —  
ერთი შეჭხედეთ, ყმაწვილებო, პანრის ჭრილობათ  
შეკრული პირი კვლავ დააღეს და კვლავ სისხლი სდით! —  
ალისფრად იქეც, აჩონჩხილო უსახურობავ,  
შენმა დანახვამ გამოურწყო აი, ეს სისხლი  
ფუყე. გაყინულ, აღრევ სისხლით დაცლილ ძარღვთაგან.  
შენმა ნაქმნარმა, უკაცურმა და უბუნებომ,  
ეს სისხლის წარღვნა უბუნებო გამოიწვია! —  
ამ სისხლის მქმნელო ღმერთო, შური აგე ამის მკვლელს!  
ამ სისხლის მწოვო მიწავ, შური აგე ამის მკვლელს!  
ან შენ ზეცაო, მკვლელს დაეც თავს მეხი მმუსრავი,  
ან, დედამიწავ, შუა გასკდი, ცოცხლივ ჩაჰყლაპე  
ისე, როგორც ამ კეთილ მეფის სისხლს ხარბადა სწოვ,  
სისხლსა დანთხეულს ეშმაკთ-კერძის მარჯვენისაგან.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კაცთმოყვარების კანონს რატომ არ მისდევ, ლედი,  
რაიც კეთილით უხდის ბოროტს და ლოცვით წყევლას?

ა ნ ნ ა

ბილწო, შენ არ სდევ არც ღვთის კანონს და არც კაცისას;  
თვით მხეცმაც იცის სიბრალული უმძვინვარესმა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ თუ არ ვიცი სიბრალული, მხეციც არ მეთქმის.

ა ნ ნ ა

საოცარია, როცა მართალს ამბობს ეშმაკი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ის კიდევ უფრო საოცარი არის, როდესაც  
აგრე ჭავრობენ ანგელოზნი. მომეცი ნება,  
ღვთიურად სრულო ქმნილებათ, როს გვექნება დრო,  
ეგ ბრალდება მოვიშორო შენსა წინაშე.

ა ნ ნ ა

მომეცი ნება, კაცთ გამჯდარო ჭირო და სნებავ,  
როს დრო გვექნება ამ შენს ურიცხვ ბოროტებისთვის  
გწყევლო და გქოქვო, დაწყევლილო უიმისოდაც.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ენით უთქმელო შვენებაო, მომაპყარ ყური  
მოთმინებითა, რომ შემინდო შენაცოდები.

ა ნ ნ ა

ვერ საფიქრელო საზიზღრებავ, არ გელირსება  
შენ ეგ შენდობა, თუ წყეულს თავს არ ჩამოიღრჩობ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშინ ხომ ჩემს ბრალს აღნიშნავს ეგ განწირულება.

ა ნ ნ ა

განწირულება ემაგგვარი შეგინდობს მხოლოდ,  
რაკი თვით შენვე ღირსეულად შურს აგებ შენს თავს  
სხვების უღირსად, უსამართლოდ ხოცვა-ჟლეტისთვის.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე რომ ტყუილად მაბრალებდენ იმათ დახოცვას?

ა ნ ნ ა

ძაშინ მკვდარნიც არ იქნებიან... მაგრამ ისინი  
მკვდარნი არიან შენის ხელით, სატანის მონავ!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე შენი ქმარი არ მომიკლავს.

ა ნ ნ ა

მაშ ცოცხალია?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არა, მკვდარია, და მკვდარია ედვარდის ხელით.

ა ნ ნ ა

სტყუი, ყელ-ძაღლო. მარგარიტა დედოფალს თითონ  
უნახავს, როგორ ასდიოდა მის სისხლის კვამლი  
შენს მუხთალ მახვილს; მიგემიზნა თვით დედოფლისთვის  
იგი მახვილი, მაგრამ შენს ძმებს ხელი აეკრათ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

იმისმა ენამ მათი ბრალი მე დამაკისრა  
და გამახელა უსამართლო ცილისწამებით.

ა ნ ნ ა

შენ გაახელა შენმა ჭკუამ ჩასისხლებულმა,  
რასაც მუდამ ჟამს ხოცვა-ჟლეტა აქვს საზრუნავად.  
აი ეს მეფე შენ არ მოჰკალ?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

დაგეთანხმები.

ა ნ ნ ა

დამეთანხმები, ძღარბო! მაშ ღმერთს ვთხოვ დათანხმებას,  
რომ საუკუნოდ ჩაგქოლოს მაგ ავკაცობისთვის.  
ოჰ, იგი იყო მშვიდი, წყნარი, სათნოიანი!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ უფრო კარგად შეეყრება ციურ მეფესა.

ა ნ ნ ა

ჰო, ის ცაშია, სად ვერა დროს შენ ვერ იქნები.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ მადლიერი უნდა იყოს, რომ იქ გავგზავნე,  
რადგან ეკუთვნის ის ადგილი მიწაზედ მეტად.

ა ნ ნ ა

შენ კი არა რა არ გეკუთვნის ჯოჯოხეთს გარდა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ერთს კუთვნილს კიდევ, თუ მომისმენ, დაგისახელებ.

ა ნ ნ ა

საპყრობილეს თუ?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შენსა საწოლს.

ა ნ ნ ა

მოუსვენრობამ

დაიდოს ბუდე საუკუნოდ, სადაც შენ წევხარ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვიდრე შენს გვერდით არ ვიწვები, აგრეც იქნება.

ა ნ ნ ა

მეც იმედი მაქვს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ღიად, აგრე. — მიღედი ანნა,

დავენსნათ ესეთს ოხუნჯურად ჭკვის შეჭიდებას

და დალაგებით, წესიერად შევეუდგეთ ბაასს:

ამიხსენ, აბა, გასაკიცხი არ არის განა

ამსრულებელთან ერთად იგი, ვინც მიზეზია

ამ პლანტაგენეტთ, ეღვარდ, ჰანრის უღროოდ სიკვდილის?

ა ნ ნ ა

მაზეზიც იყავ, შე წყეულო, ამსრულებელიც.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არა, მიზეზი იყო შენი შვენეირება,

შენი სიტურფე, ძილში რომ თავს დამტრიალებდა

და მაქეზებდა თუნდ მთელ ქვეყნის ამოსაქლებად.

ი ლხნდ ერთ საათს მივეყრდნობოდი მაგ შენს ტკბილ გულსა:

ს

ა ნ ნ ა

ეგ რომ მჭეროდეს, კაცის მკვლელო, მაშინ ჩემს ლოყებს  
ჩემივე ფრჩხილებით ჩამოვფხეკდი ამ შვენებასა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვერ აიტანდნენ ეს თვალნი მაგ შვენების კლებას;  
ვერას ივნებდი, თუ კი გვერდით გეყოლებოდი.  
როგორც ქვეყანა მთელი ხარობს მზის სინათლითა,  
ისე მე ვხარობ მაგ შვენებით; ეგ არის ჩემი  
დღეც და სიცოცხლეც.

ა ნ ნ ა

მწყვდიად ლამემ დღე დაგიბნელოს,  
ჭირმა სიცოცხლე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ორივ შენ ხარ, ტურფა ქმნილება,  
თავს ნუ იწყევლი.

ა ნ ნ ა

ნეტა მართლა ორივე ვიყო,  
ამოვიყარო შენზედ ჯავრი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ეგ უბუნებო

მტრობაა მხოლოდ, შენს არშიყზედ რომ ჯავრსა ყრილობ.

ა ნ ნ ა

არა, ეს მტრობა ღირსია და სამართლიანი,  
რაკი ჯავრს ვიყრი იმაზედ, ვინც ქმარი მომიკლა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვინც შენ წაგართვა ქმარი, ლედი, ეს იმისთვის ჰქმნა,  
რომ დაგეხმაროს და უმჯობესს შეგყაროს მალე.

ა ნ ნ ა

მის უმჯობესი ამ მიწაზედ არა დადის-რა!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არც ისეთი, ვისაც მასზედ მეტად უყვარხარ.



ანნა

დამისახელე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
პლანტაგენეტ.

ანნა

აკი ის იყო

პლანტაგენეტი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
იგივეა შთამომავლობა,  
მაგრამ ამისი ბუნება მას წარემატება.

ანნა

აბა სად არის?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აი, აქა.

(ანნა შეაფურთხებს)

რისთვის მაფურთხებ?

ანნა

ნეტა ეგ ნერწყვი შენთვის გესლად გადაიქცეოდეს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაგ გვარი ტკბილი სათავე ჯერ გესლს არ ჰქონია.

ანნა

ჯერ შენისთანა საზიზღ ჯოჯოს არ მოხვედრია  
გესლის სიბილწე. გამეცალე, თვალთ ნუ მიწამლა!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არა, შენთა თვალთ მომიწამლეს მე ეს თვალები.

ანნა

ნეტა ასპიტად იქცენენ მართლა, რომ ხედვით მოგკლა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ნეტავი აგრე, მოვკვდებოდი ერთბაშად მაინც!  
ეხლა კი მკლავენ სიკვდილითა სულისჩამდგმელით.  
შენთა თვალთ ჩემებს გამოსწურეს მლაშე ცრემლები,  
აჰბარგეს მათდა სამარცხვინოდ ბავშვის ბარგითა,

აპბარგეს-მეთქი ეს თვალეზი, რომელთ არას დროს  
შებრალებიასა ცრემლი არსად გადმოუგდიათ:  
არც მაშინ, როცა მამაჩემი იორკ და ედვარდ  
ატირდნენ, რაკი მოისმინეს საწყალობელი  
კენესა რუტლანდის, შავ კლიფორდის ხმლით დაჭრილისა;  
არც მაშინ, როცა მამაშენი, ომში გაწვრთნილი,  
სიკვდილის ამბავს მოგვითხრობდა მამიჩემისას  
და გულჩვილ ბავშვის მსგავსად ოცკერ მანც შეჩერდა,  
რომ დაეშვიდა გული მწარედ აჩუყებული;  
როცა გარს-მდგონნი, წინის წყალით დამბალ ხეთ მზგავსად  
ლოყებზედ ცრემლებს იპტრებდნენ, იმ შავ დროსაც კი  
ეს მხნე თვალეზი ცრემლამდე არ ღამმციტებია.  
ამ მწუხარებამ რაც ვერ უყო, იგი ჰქმნა შენმა  
შვენიერებამ და ტირილით ლამის დავბრამადე.  
მე ჟერ არა დროს არაფერი არ მიტხოვნია  
არც მეგობრისთვის, არც მტრისათვის; არ არის ჩვეულ  
ეს ჩემო ენა ალერსიან და ტკბილს ლაპარაკს;  
მაგრამ ეხლა კი, რაკი მწადის შენ გმფლობელობდე,  
ამაყი გული ჩემი იტხოვს, ენას აქეზებს.

(ლედი ანნა ზიზლით შეჰყურებს).

ნუ, ნუ ასწავლი მაგ შენს ტუჩებს ზიზლით ყურებას,  
ეგ შექმნილია კოცნისთვის, და არა მტრობისთვის.  
თუ შენს შურიანს გულს შენდობა არ შეუძლიან,  
აჰა, ხელთ გაძლევე ამ პირ-ბასრ ხმალს და გთხოვე ჩააგო  
ამ ჩემს შენდამი ერთგულ მკერდში, ვიდრე ეს სული  
არ ამოხდება, რაკი თავის ღმერთად გასახავს შენ.  
აი, ეს გული, სიკვდილს ელის გაშიშვლებული;  
მუხლმოდრეკითა გვედრები რომ მომისწრაფო.

(აძლევს ხმალს, მუხლს მოიდრეკს და გულს იშიშვლებს).

ნულარ აყოვნებ, მე ვარ მკვლელი მეფე ჰანრისა, —

(ლედი ანნა ხმალს გულზედ მიადებს).

და ეგ სიკვდილი ჩამაგონა შენმა შეენებამ.

(ლედი ანნა ხმალს ძირს დაუშვებს).

აბა, აჩქარდი, მე მოვკალი ჰაბუკი ედვარდ, —

(ლედი ანნა ხმალს კიდევ გულზედ მიადებს).

მაგრამ ეგ არის ბრალი შენის ციურ სახისა.

(ლედი ანნა ხმალს ძირს დაადებს).

აიღე ხმალი, ან მე მკვდრეთით ზე-აღმადგინე.

ა ნ ნ ა

ადექ, თვალთმაქცო, თუმცა მწადის შენი სიკვდილი,  
მაგრამ მე მაინც ვერ ვიკისრებ ჯალათად ყოფნას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ მითხარ, თავი მოიკალ-თქო, და შეც მზადა ვარ.  
(ადგეხ და ხაალს აიღებს).

ა ნ ნ ა

წელანვე გითხარ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

გულმოსული იყავი მაშინ.

სთქვი ერთხელ კიდეც და რა წამს მაგ სიტყვას წარმოსთქვამ,  
ეს ხელი, რამაც საყვარელი მოგიკლა შენი  
შენდა უზომო სიყვარულით, მოჰკლავს კვალდაც  
შენს უფრო ერთგულს საყვარელს იმ სიყვარულითვე.  
თავი მიზეზი შენ იქნები ორივე სიკვდილის.

ა ნ ნ ა

ოჰ, ნეტავი შენს გულს ვიცნობდე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მის გამომთქმელი

ჩემი ენაა.

ა ნ ნ ა

ასე ვგონებ, ორნივე ცრუობენ

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არსად ყოფილა, სჩანს, სიმართლე.

ა ნ ნ ა

კარგია, კარგი.

ხმალი ჩააგე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ დავმშვიდდე? შემატყობინე

ა ნ ნ ა

ცრე შეიტყობ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
შემიძლია იმედით ვიყო?  
ა ნ ნ ა

იმედის ნება ყველასა აქვს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
გთხოვ, ეს ბეჭედი

მიიღო ჩემგან.

ა ნ ნ ა

მივიღებ, თუმც არ გიმაგივრებ.  
(ლ ე დ ი ა ნ ნ ა ბეჭელს გაიკეთებს).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჰხედავ, გარს როგორ შემოეწყო თითს ეგ ბეჭედი;  
ჩემი ბედკრული გულიც ეგრე მოთავსებულ  
არის შენს მკერდში. ორივ იძღვნე, ორივ შენია.  
თუ ნებას მისცემ შენს საბრალო და ერთგულ მონას,  
რომ ერთი თხოვნა კვლავ გაბედოს, მაშინ მოწყალედ  
საუკუნობით დაუმკვიდრებ ბედნიერებას.

ა ნ ნ ა

რა თხოვნა არის?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რომ ეს გლოვა მას დაანებო,  
ვისაც მიზეზი უმეტესი აქვს გლოვისათვის,  
შენ კი წახვიდე ნებიერად კროსბის მოედანს.  
რაკი ჩერთზეის მონასტერში დიდებულ მეფეს  
დავასაფლავებ დიდებულად და მის სამარეს  
სინანულისა ცრემლით მოვრწყავ, მეც იქ გაეჩნდები,  
რომ უმდაბლესად თაყვანი გცე. შესრულებას გთხოვ  
ამ ვედრებისას საიდუმლო მიზეზთა გამო.

ა ნ ნ ა

ძალიან კარგი; ვხარობ კიდევ, რომ სინანულის  
გზას დასდგომიხარ; აბა, მოდით, ტრესელ, ბერკლეი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მითხარ: „მშვიდობით!“

ჯერ მაგის თქმის ღირსი არა ხარ;  
მაგრამ რადგან შენ თვით მასწავლი პირფერობასა,  
წარმოიდგინე, ვითომ მითქვამს.

(გაღიან ლ ე დ ი ა ნ ნ ა, ტ რ ე ს ე ლ და ბ ე რ კ ლ ე ი).

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
ყმაწვილებო, თქვენ

კუბო წაიღეთ.

ა ზ ნ ა უ რ ი  
სად გვიბრძანებთ, ბატონო ჩვენო,  
ჩერთხეისაკენ?

გ ლ ო ს ტ ე რ ი  
არა, ვაიტ-ფრაიარისკენ.

და მომიცადეთ, მეც იქ მოვალ. —

(გაღიან ყველანი, გ ლ ო ს ტ ე რ ს გარდა).

გაგიგონიათ??

უარშიყნია ქალთან ასე, ვისმე, როდისმე?  
ვისმე, როდისმე მოუხიბლავს ამ გზით მის გული?  
ამას ხელთ ვიგდებ, მაგრამ დიდხანს არ ვიყოლიებ.  
ქმარი და მამა მოვუკალ მე და უაღრესის  
სიძულილის წილ შევითვისე, შევიტრფიალე.  
შევიტრფიალე, როს ენიდან წყევლა სცვიოდა  
და თვალში ცრემლის გუბე ედგა; და როცა იქვე  
მის მძულვარებას სისხლიანი გვამი მოწმობდა,  
საბუთად ჰქონდა ყოველივე ეს დაბრკოლება,  
თვის სინიდისი, თითონ ღმერთიც ეხმარებოდა,  
და მეკი არვინ არა მყვანდა ხელის შვემწყობი,  
თუ არ სატანა და ცბიერი, პირმოთნე სახე.  
ქვეყნიერება მთელი იქა, აქ — არაფერი!  
ჰმ, ჰმ!

და მაინც კიდევ გავიმარჯვე. გადაავიწყდა  
ასე უეცრად პრინცი ეღვარდ, ვაჟკაცი ქმარი,  
სამისთვის წინად გულმოსულმა ტიუქსბერიში  
მე რომ მოვუკალ? მისს უკეთესს არა რასა შობს  
ეს დედამიწა: სრული იყო ის ყოვლის ნიჭით,

ბუნებისაგან უხვობის დროს ქმნილი, ჭკვიანი,  
 ნამდვილად ღირსი მეფობისა, მხნე, ახალგაზრდა.  
 და მაინც კიდევ არა ზარობს მომაპყრას თვალი  
 მე, რომელმაც მის საყვარელს ქმარს გაუუნადგურე,  
 მოვუსპე ოქროს გაზაფხული და თვითონ ეგე  
 თვის ქვეშაგებში უნუგეშო ქვრივად დატოვე;  
 მე, რომელიც მთლად ვერ ვუდრი თვით ნახევარ-ედვარდს,  
 მე, კოჭლს, სახიჩარს! ნაძლევისა ვლებ მთელ ჩემ სამთავროს  
 თუნდ გლახის გროშთან, რომ არ ვცნობდი თითონვე ჩემს თავს:  
 თუმც მე ვერ ვხედავ, მაგრამ იგი ჰხედავს, ეტყობა,  
 რომ ვაჟკაცი ვარ მოსაწონი, თვალად-ტანადი.  
 წავლ, ცოტა ფულს დავხარჯავ და სარკეს ვიყიდი  
 და ერთი ოცს, ან ორმოცს თერძსაც დავიჭირავებ,  
 რომ შეიგნონ, თუ რა სამოსი დამიშვენებს ტანს.  
 რაკი წყალობის თვალთ მევე ჩემს თავს შევხედე,  
 განსამტკიცებლად ცოტა ხარჯს ნუ მოვერიდები.  
 მაგრამ ჯერ ერთი ის ბატონი მიწაში ჩავფლათ  
 და მერე ოხვრით დავბრუნდები ჩემს საყვარელთან.  
 სარკის ყიდვამდე, ბრწყინვალე მშვევ, გამოანათე,  
 რომ სიარულის დროს ჩემს აჩრდილს მაინც ვუყურო.

### ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. ოთახი სასახლეში.

(შემოდინან ელისაზედ დედოფალი, რივერს და გრეი).

რ ი ვ ე რ ს ი

მოთმენით იყავ, დაო, მათი დიდებულება  
 განიკურნება სრულად მალე, უეჭველია.

გ რ ე ი

რომ მოუსვენრობ, ეგ იმისთვის უფრო ცუდია;  
 ღვთის გულისათვის ჩაისანე მტკიცე იმედი  
 და მხიარულის ლაპარაკით ასიამოვნე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
რომ აღარ მყავდეს, ვინ იცის, რა დამემართება!

რ ი ვ ე რ ს ი

ის, რომ ეგეთს ქმარს განშორდები, სხვა არაფერი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
ეგ განშორება არა კმარა უბედურებად!

გ რ ე ი

თუნდ რომ დაქვრივდი, კარგი შვილი მოგცა შენ ღმერთმა  
აკი ნუგეშად.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

იგი ჯერედ ყმაწვილი არის  
და რიჩარდ გლოსტერს მიანდეს სრულწლოვანებამდე.  
იმ კაცს მეც ვძულვარ და თქვენგანიც არავინ უყვარს.

რ ი ვ ე რ ს ი

განა გადაწყდა, რომ მფარველად ის ინიშნება?

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეგრე აქვთ აზრად, თუმც სრულად არ გადაწყვეტილა,  
და თუ ხელმწიფეს რამ აუტყდა, ეგრეც იქნება.  
(შემოდინ ბუკინგამი და სტენლი).

გ რ ე ი

აგერ მთავარი ბუკინგამ და სტენლი მოდიან.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მშვიდობის დილას ვუნატრი თქვენს დიდებულებას.

ს ტ ე ნ ლ ი

ღმერთმა გამყოფოთ მხიარულად უწინდელეებრივ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე არა ვგონებ, ლორდო სტენლი, შენს კეთილ სურვილს  
გრაფის მეუღლემ რიჩმონდისამ ამინ დაურთოს;  
მაგრამ თუმცა დღეს ცოლად გყავს ის ჩემი მოძულე,  
მაინც დარწმუნდი, ლორდო სტენლი, მე არა მძაგხარ  
და იმის ამაყს თავხედობას შენ არ მოგკითხავ.

## ს ტ ე ნ ლ ი

გთხოვთ, დედოფალო, არ ერწმუნოთ ყოველ იმ ცილსა, რასაც შურითა ავრცელებენ ჩემს მეუღლეზედ; და თუ მართალი რამ აღმოჩნდა, ის მიაჩემეთ იმის სისუსტეს, სწეულების და ბოღმის ნაყოფს და არა ბოროტს ფესვგამდგარსა.

## რ ი ვ ე რ ს ი

ბატონო სტენლი,  
ნახეთ თუ არა დღეს ხელმწიფე?

## ს ტ ე ნ ლ ი

ეს არის ეხლა  
მე და ბუკინგამ ვახლდით იმათ დიდებულებას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
იმედი არის მორჩენისა, როგორ შეატყუეთ?

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დიდი იმედი, მხიარულად ბრძანდებოდა დღეს. \*

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
ღმერთმა სიკეთე მიანიჭოს. ელაპარაკეთ?

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დიდ, ბატონო. მას ნებავს, რომ მთავარი გლოსტერ და თქვენი ძმები შეარიგოს ერთმანეთთანა; სურს, უკანასკნელთ დაუზავოს ლორდი კანცლერიც. ამ საქმისათვის მათ თავისთან იბარებს ყველას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
ნეტავი ეგრე, მაგრამ ვიცი, ეგ არ მოხდება,  
და ვაი, თუ ძირს დაგვაქანოს აწ ბედის ჩარხმა.

(შემოღიან გ ლ ო ს ტ ე რ ი. ჰ ა ს ტ ი ნ გ ს და დ ო რ ს ე ტ.)

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

მათ ჩემი ვნება უნდათ, მაგრამ ვერ მოვლენ ჩემთან! აბა, გამოჩნდნენ, ხელმწიფესთან რომ მახეზლებენ, — გულჩახვეული არის და ჩვენ არ ვუყვარვართო.



ვინც კი ხელმწიფეს ყურს აწვეთებს ამ შფოთის ხმებსა,  
მენდეთ, მისდამი ერთგულებას ვერ დაიკვებებს.  
რაკი პირმოთნედ ლაპარაკი არ შემოძლიან,  
არ შემოძლიან მოქარგულის ენით ლაქუცი,  
პირში ღიმილი, ფრანგთა წესით დაბლა თავდახრა  
და სხვა ამ გვარი პრანჭვა-გრება მაიმუნური, —  
მტერი ვყოფილვარ მოძულე და გულჩახვეული!  
მაშ გულუბრყვილო, უბრალო კაცს არ ეცხოვრება!  
მაშინვე უნდა შური აგონ ამ გულმართლობას  
ყალბმა, ფარჩებში გახვეულმა გლეხუჭაებმა.

### რიგერსი

რომელს უბრძანებთ მაგას, თქვენო უმაღლესობავ?

### გლოსტერი

შენ, შენ გიბრძანებ, უმაღლესო, უპატიოსნო!  
მითხარ, როდის რა დაგიშავე, როდის გაგინე?  
ან შენ, ან შენა? ან სხვა ვინმე თქვენი ჯილაგი?!  
ჭარბა წაგიღოთ ყველა ერთად! ჩემს ხელმწიფესა, —  
ღმერთმა ამყოფოს იგი უკეთ, ვიდრე ეს თქვენ გსურთ, —  
ამოსუნთქვასაც აღარ აცლით მშვიდობიანად,  
მწარედ აშფოთებთ და აღელვებთ ურცხვ საჩივრებით.

### ელისაბედ დედოფალი

შენ სცდები, გლოსტერ, თავის ნებით ისურვა მეფემ  
ეგე და არა სხვის ვისიმე ჩაგონებითა.  
თვით ჰხედავს იგი და ატყობს შენს ყოფაქცევასა,  
რომ გულში მტრობა გიძევს ჩემი, ჩემის შვილების,  
ჩემის ძმებისა და ამისთვის თუ დაგიბარათ,  
რათა მიზეზი გამოგკითხოთ და მოსპოს იგი.

### გლოსტერი

ველარას ვიტყვი, ეს ქვეყანა გაუკუღმართდა  
და სად არწივნი ვერა ბედვენ დასხდომასაც კი,  
იქ ჭინჭრაქები ნავარდობენ; სად წუწკნი გლეხნი  
გააზნაურდნენ, დიდებულნი იქ გლეხდებიან.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
გვაკმარე, ჩემო მაზლო გლოსტერ, მე ვხედავ კარგად,  
ზე ამალღება გწყინს ჩემი და ჩემიანების.  
ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ შენი თავი დაგვჭირდეს სადმე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჯერ ღმერთი ისე აწყობს საქმეს, რომ შენ გვჭირდები;  
შენის ცდით ჩემი ძმა ციხეში ჩამწყვდეულია,  
მე მფარველობა ამყარეს და დიდებულთ გვარებს  
უღირსად სჯიან, ამცირებენ. კიდევ რას ვხედავ!  
ჯილდოს ჯილდოზედ და დიდ გვარსაც აძლევენ იმათ,  
რომელნიც სწორედ ორის დღის წინ ყველანი ერთად  
ერთ კეთილშობლად არა ღირდენ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვფიცავ მის სახელს,

ვინც მომაშორა ჩემს უწინდელს კმაყოფილებას  
და ამიყვანა ამ სიმაღლეს ზრუნვით დაფენილს,  
რომ ჩემს დღეში არ წამეჭებოს ჩემი ხელმწიფე  
მთავარ კლარენსის წინააღმდეგ. პირიქით, მევე  
ვიყავ ერთგული მის მოსარჩლე. მილორდ, მეტისმეტს  
შეურაცხებას მაყენებ მე სამარცხვინოსა,  
რაკი ტყუილად მამბრალე მამ უღირსს საქციელს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ ამ ბოლო დროს ლორდ ჰასტინგს რომ ციხეში ჩასვეს,  
ამასაც იტყვი, არ არისო ეგ ჩემი ბრალი!

რ ი ვ ე რ ს ი

ღიაღაც იტყვის, რადგან მართლაც, ბატონო ჩემო

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ღიაღაც იტყვის, ლორდო რივერს, ეგ ვინ არ იცის!  
მაგას მეტის თქმაც და ქმნაც როდი გაუჭირდება;  
ისიც ძალუძს, რომ წინ წავწიოს, ზე ავამაღლოს,  
თვითონ კი განზედ გადგეს, და ეს უხვი წყალობა  
შენს დიდ სამსახურს მიაწეროს და შენს ღირსებას.  
მითხარი, რა არ შეუძლიან? უღელში გაბმაც  
მაგის ხელთაა!

## რ ი ვ ე რ ს ი

როგორ, ვისი უღელში გაბმა?

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

როგორ და ვისი?! თუნდ ხელმწიფეს შეიუღლებს ეგ,  
მერე შევნიერს, წარმოსადეგს ახალგაზრდასა!  
ბეზიათქვენის საქმროს, ვგონებ, ეს ცოტათი სჯობს.

### ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიდი ხანია, მილორდ გლოსტერ, რაც ასე ვიტან  
შენს მკვანხე-მკვანხე საყვედურებს, მწარე დაცინვას.  
ფფიცავ, ხელმწიფეს ყოველიფერს შევატყობინებ,  
როგორ თავხედად მაყენებენ შეურაცხებას.  
დიდ დედოფლობას მიჯობს ყოფნა უბრალო გოგოდ,  
თუ არ ავცდები ამ კიცხვას და ავად ხსენებას.  
(შემოდის მარგარიტა დედოფალი და უკან დადგება).

მცირედ მახარებს მე ინგლისის დედოფლად ყოფნა!

### მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

ღმერთს ვთხოვ ეგ მცირე კიდევ უფრო შეგმცირებოდეს!  
ჩემი წარმტაცე შენ ღირსება, ტახტი, სამეფო.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაგით მაშინებ, ხელმწიფესთან დაგაბეზლებო!  
თუ ღმერთი გრწამდეს, ნუ დამზოგავ, ყველა უთხარი  
და მე ჩემს ნათქვამს მის წინაშეც გავიმეორებ;  
დღე ამისთვის თავი მიკრან თუნდ ტოუერში,  
ღრო არის თქმისა, ჩემი ღვაწლი მთლად მიაგიწყდათ.

### მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

ოჰ, შე სატანა, შენი ღვაწლი მე კარგად მახსოვს:  
ქმარი მომიკალ ჩემი, ჰანრი, შენ ტოუერში,  
ტიუქსბერიში ჩემი შვილი, საბრალო ეღვარდ.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვიდრემდე შენ და შენი ქმარი გამეფდებოდით,  
მის მძიმე საქმეთ მე ვზიდავდი ბარგის ცხენივით,  
ბლუჯ-ბლუჯად ვგლეჯდი მიწიდან მის ამაყ მოცილეთ

და მომხრეებზედ ჯილდოს ვფენდი; ვღვრიდი ჩემს სისხლსა,  
რომ მის სისხლისთვის მიმენიჭა მეფის ღირსება.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

სხვა სისხლსაც ღვრიდი, ორთავ სისხლზედ ბევრად უკეთესს!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თქვენ კი ამ დროსა, შენ და შენი მეუღლე გრეი  
ლანკასტერთ სახლის განდიდებას სცდილობდით ჩუმად, —  
შენცა, რივერსო, — შენი ქმარი არი იყო განა,  
წმიდა ალბანთან ბრძოლის დროს რომ მოჰკლეს ვით მომხრე  
მარგარიტასი? თუ არ გახსოვთ, მე გაგახსენებთ,  
ან რა იყავით დღემდის თქვენა, ან დღეს რანი ხართ,  
და მე რა ვიყავ, ან დღეს რა ვარ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

მუდამ ყოფილხარ

შენ საზიზღარი კაცისმკვლელი და ის ხარ დღესაც.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კლარენსმა კიდევ საბრალომ თვის სიმამრი ვარვიკ  
უარჰყო, ფიციც კი გასტეხა... ღმერთო, შეუენდე!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

ოჰ, ღმერთმა ჰკითხოს!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

იმისთვის, რომ ბრძოლის დროს ედვარდს  
დახმარებოდა ტახტის შოვნას: მერე იმ ბედკრულს  
ამ შრომის ჯილდოდ ციხე ერგო. ნეტავი ღმერთსა  
მოეცა ჩემთვის კაჟის გული, ედვარდის მზგავსი,  
ან ის შეექმნა ჩემებრ ჩჩვილის შემბრალე გულით.  
ესე ბავშვური გულნაზობა მე არას მარგებს  
ამ ქვეყანაში!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

მაშ ჯოჯოხეთს ჩადი, შე ბილწო,  
იქ იპარბაშე, ტარტაროზო, იქ იხელმწიფე.

რ ი ვ ე რ ს ი

ბატონო გლოსტერი, იმ არეულ დრო-ყამს, რომელსაც

თქვენ აქ ახსენებთ ჩვენის მტრობის დასამტკიცებლად,  
ჩვენ ვმორჩილებდით ჩვენს ხელმწიფეს კანონიერსა.  
თქვენც რომ ხელმწიფედ გყავდეთ, ეგრე გემორჩილებით.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხელმწიფედ გყავდეთ! მე ეგ ფიქრი ღმერთმა მაშოროს,  
უბრალო მუწად ყოფნას ვარჩევ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

აი, ხომ ამბობ

არ ვისურვებო ხელმწიფებას, რადგან არ ელი  
შენ არავითარ სიხარულსა; ეგრედ განსაჯე,  
რომ მეც სიხარულს არასა ვგრძნობ, თუმც კი ვდედოფლობ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

მართლაც სიხარულს დედოფალი მოკლებულია.  
დედოფალი მე, მარტო მე ვარ, გაუხარელი;  
ვეღარ ავიტან ამ დამალვას. —

(წინ წამოდგება)

ჰეი, მისმინეთ,

წაკიდებულნო მეკობრენო, ერთმანეთს რომ სწეწთ:  
და იყოფთ ჩემგან ნაცარცე-ნავლეჯს. რად არ კანკალებთ  
ჩემს დანახვაზედ? თუ თავს არ ჰხრით თქვენ ჩემს წინაშე,  
ვით ქვეშევრდომნი დედოფალთან, მაშინ ვით ურჩნი  
უნდა შიშითა ჰკრთოდეთ, რომ მე ტახტი წამართვით! —  
ბილწო მთავარო, რად მიბრუნდი?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აქ რისთვის მოხველ,

შე დაღმეჯილო კუდიანო? რა გინდა ჩემგან?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მინდა, გიჩვენო ჩრდილი შენის ბოროტ საქმისა,  
ვიდრე აქედან წახვალ საღმე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შენ განდევნილი

იყავი, ვგონებ. დაბრუნებულს სიკვდილი გელის.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე განდევნილი ვარ დიალაც, მაგრამ სასჯელი

ჩემის განდევნით ატანილი მეტობს იმ ტანჯვას,  
რაც აქ მელის, თვით სიკვდილსაც. ქმარი და შვილი  
გმართებს შენ ჩემი, შენ — სამეფო, და თქვენ ყოველთ  
ქვეშევრდომლობა ჯეროვანი, საპართლისამებრ  
ეს მწუხარება ჩემი უნდა თქვენ გეკუთვნოდეთ,  
და მე სიამე ეგე, თქვენგან დაჩემებულნი.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

როგორც დაგწყევლა მანაჩემმა დიდსულოვანმა,  
როს მტერთა მზარავს თავს ადგამდი ქალაქის გვირგვინს  
და თვალთ რუსაებრ ცრემლს სირცხვილით ანთხევინებდი,  
როცა აძლევდი მოსაწმენდად კილვა-დაცინვით  
ლამაზ რუტლანდის წმინდა სისხლში ამოვლებულს მკვარს,  
რაც წყევლა პირით ამოხდა მას სულგამწარებულს,  
თავს დაგატყდა შენ და ასრულდა დღეს ყოველივე.  
ღმერთი სჯის მაგ შენს ბოროტ საქმეს და არა ჩვენა.

### ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

უბრალოთ ჯავრის ამომყრელი მართლაც ღმერთია.

### ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

იმ ბავშვის მოკვლა სწორედ მხეცთა საფერი იყო;  
არ გაგონილა ჯერ ისეთი უწყალო საქმე!

### რ ი ვ ე რ ს ი

მტარვალეზმაც კი, როს გაიგეს, მწარედ სტიროდნენ.

### დ ო რ ს ე ტ ი

ყველას პირზედ ეს ეკერა, რომ გადახდებათო.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ნორტუშებერლანდმაც ცრემლი ღვარა მის დანახვაზედ.

### მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თქვენ ჩემს მოსვლამდე ერთმანეთსა ყელში სწვდებოდით  
და გამოფათრვას უქადიდით; ეხლა რა ნახეთ,  
რომ დაზავდით და მომცვივდით მე ეგრე მძვინვარედ?  
განა ზეცაში ის ძალა აქვს იორკთა წყევლას,  
რომ იმ ჰყინტლ ბავშვსა ანაცვალოს ჰანრის სიკვდილიც,

სიკვდილი ჩემის საყვარელის შვილის ედვარდის,  
 სამეფო ტახტი და ეს მწარე განდევნა ჩემი?  
 განა კი ჰაერს აპობს წყევლა და ცაში ადის?  
 მაშ ჩემ სწრაფ წყევლაჲ ვზა მიეციოთ, სქელნი: ღრუბელნი:  
 დე, გარყენილებამ, თუ ომმა ვერ, მოგიდმოთ მეფე:  
 როგორც დახოცეს ჩემნი მაგის გამეფებისთვის!  
 მოგიკვდეს შენი შვილი ედვარდ, უელსის: პრინცი  
 უელსის პრინცად ნამყოფ ჩემის ედვარდის ბაღლად  
 ნაძალადეგად ჩჩვილ სიყრმეში იმაჲ სიკვდილით.  
 შენ კი იცოცხლო, დედოფალო, უნაგდიდებოდ  
 ქვედაბოზილმა, როგორც ვცოცხლობ მე, უბედური.  
 იცოცხლო-მეთქი დიდხანს შენთა შვილთა სატირლად  
 და სხვას ჰხედავდე ყოველ შენის უფლებით შემკულს,  
 როგორც მე გხედაე შენ გახვეულს: ჩემს დიდებაში.  
 სიკვდილის წინად ბევრად ადრე მოგესპოა დღენი  
 სიხარულისა და მწარე ჟამი განოვლის შემდეგ  
 მოკვდი უძეოდ, უქმროდ: ტახტით გადმოგდებული! —  
 რივერს და დორსეტ, თქვენც მოწამედ იყავით მაშინ,  
 შენცა, ლორდ ჰასტინგს, როცა ხანჯლით შვილი მომიკლეს, —  
 ნუ გელირსოთ თქვენ ნურც ერთს: თქვენის დღითა სიკვდილი  
 და ულოდნელად მოგიკვეთოთ ღმერთმა სიცოცხლე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მორჩი მამ ჯადოს, კუდიანო, წუწკო ბებერო!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

გინდა გადამრჩე? აქ გაჩერდი, ძაღლო, მისმინე.  
 თუ ზეცას ჰირი რამ საზარო აქვს მიმალული,  
 რაიც კი ჩემგან ნანატრს შენთვის აღემატება,  
 დე, ჰქონდეს, ვიდრე მომწიფდება შენი ცოდვები  
 და მაშინ უტბად რისხვა-გრგვინვით თავს დაგატეხოს  
 შენ, ამ საბრალო, მშვიდის ქვეყნის აღმშფოთებელი!  
 სინიღისისა მატლმა გიღრღნას მუდამ ეგ სული,  
 შენთა მეგობართ მუხანათად სახავდე მუდამ  
 და მუხანათნი კი მიგაჩნდეს ტკბილ მეგობრებად.  
 ნუ მოეკაროს მამ წყეულ თვალთ ნურა დროს ძილი,  
 თუ არ იმისთვის, რომ სიზმარმა რამ საზარელმა

უსახურ ეშმაკთ სამყოფთ ნახვით შიშში ვაგზვიოს.  
ოჰ, ტარტაროზის კერძო ღორი, მუცლით ნასხლეთო  
შენ, რომელსაცა დაგაჭდევეს შობის დროს დამლა,  
როგორც ბუნების მონას და წილს ჯოჯონეთისას;  
შენ, დედიშენის ორსულობის ცილისწამება,  
მამიშენისა სამარცხენო შთამომავალო,  
პათიოსნების დალეკილო, ნაგლეჯ-ნაფლეთო,  
ყოვლად საზიზლო...

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მარგარიტა.

ნ ა რ გ ა რ ი ტ ა

რიჩარდ!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რა გინდა?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე შენ არ გიხმობ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

უკაცრავად, ისე მეგონა,  
რომ მაგ უწმაწურ სახელებით მე მიწოდებდი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შენ გიწოდებდი, მაგრამ პასუხს როდი ველოდი.  
აღარ დამაცდი, მოვადევნო ამ წყევლას ბოლო?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აკი ნე ბოლო მოვადევნე, ვთქვი: „მარგარიტა“.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ შენი წყევლა ისევ შენვე დაგიბრუნდება.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ოჰ, შე საბრალო დედოფალავ, ჩემის დიდების  
ფუყე აჩრდილო! რისთვის უფენ გზაზედ წინ შაქარს  
მაგ სქელმუცელა ობობასა. რომელიც თავის  
მოწამლულ ქსელში გხვევს და გაბავს? უჭკვო, სულელიო!  
დანას შენთვისვე ილეს; ერთ დროს მომიწოდებ მე,



ერთად ვწყევლოთ ეს გომბეშო კუზ-ბესლიანი.

პ ა ს ტ ი ნ გ ს ი

ცრულ მაყბედარო დედაკაცო, ეგეთ ცოფიანს  
წყევლას დაეხსენ, რომ მოთმენით გამოსულგმა  
არა გაენოთ-რა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თქვენ მომისპეთ თავლაფდასხმულნო  
მე მოთმინება.

რ ი ვ ე რ ს ი

რომ ერთგული გყავდეს შენ ვინმე,  
ჩაგაგონებდა, გასმენდა შენს მოვალეობას.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მაშ მიერთგულეთ, შეასრულეთ თქვენი ჩემდამი  
მოვალეობა; ჩამაგონეთ, ვით გიდედოფლოთ  
და თქვენც თქვენს ვალსა ნუ უმტყუნებთ ქვეშევრდომულსა.

დ ო რ ს ე ტ ი

ნულარას ეტყვით, ავად არის სამთვარიოთი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ბრიყვო მარკიზო, ხმა გაჰკმინდე! ჯერ დიდი ხანი  
არ გასულა, რაც კეთილშობილთ ხარისხი მოგცეს  
და ღმერთმა ჰქნას, რომ მაგ დიდებამ ახლად ნამცხვარმა  
მალე სცადოს, ვით მწარე არის პირქვე დამხობა.  
ვინც კი მალლა სდგას, ყოველ მხრიდან მათ ქარი არყევს  
და როს ცვივიან, იმსხვრევიან ნაკუწ-ნაკუწად.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არა უჭირს-რა რჩევას, მარკიზ, ყური დაუგდე.

დ ო რ ს ე ტ ი

ეგ რჩევა, მილორდ, ვგონებ, თქვენც კი გამოგადგებათ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე კიდევ უფრო, მაგრამ ისე მალლა მაქვს ბინა  
ჰანდრის წვეროზედ გამართული, რომ ქარიშხალსა  
სწორობს, მეგობრობს და თვით მზესაც არ ეპოება.

## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

და თვითონ მზესაც ჩრდილს აყენებს. ვაიმე, ბედკრულს;  
მოწამე არის ჩემი შვილი, აწ ჩრდილმომდგარი,  
რომლის ბრწყინვალე შუქნი ჩანთქა მაგ მძვინვარებამ  
და საუკუნოდ მიაბარა სიკვდილის მწყვდიადს,  
ჩვენს ბინაშია გამართული ეგ შენი ბინა.  
გულთამხილავო ღმერთო, ამას ნულარ მოითმენ:  
ვით სისხლით ჰპოვეს, გამოსწირე ისევ სისხლითვე.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

გრცხვენოდეს მაინც, შეწყალემა თუ აღარ იცი.

## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ნუ გამახსენებთ ნულარც სირცხვილს, ნურც შეწყალებას;  
თქვენ მე უწყალოდ მომეპყართ და უსირცხვილოდ  
ამომიჟლიტეთ ყოველივე ჩემი ნუგეში.  
მე მოწყალემა გარდამიქმნეს უწყალოებად,  
ჩემი სიცოცხლე სირცხვილადა; მაგრამ სირცხვილშიც  
აღარ დაცხრება არა დროს ეს ცოფი და ბრაზი.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

კარგია, კმარა.

## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

დიდებულო ჩემო ბუკინგამ,  
შენ ხელთ გემთხვევი მეგობრობის და ზავის ნიშნად.  
ღმერთმა სიკეთე მოგანიჭოს შენც და შენს სახლსაც, —  
შენს სამოსს ჩვენი სისხლის ლაქა არ აჩნევია  
და არც ეს წყევლა გეხება შენ.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

და არც სხვას ვისმე,  
რადგანაც წყევლა არსად მიდის მთქმელის ტუჩით გარეთ.

## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე კი მგონია, რომ ზეცასაც ააწევს იგი  
და იქ თვით ღმერთსაც აუშფოთებს მყუდროების ძილს.  
ერიდე მაგას, ოჰ, ბუკინგამ, მაგ ძაღლს ერიდე,  
ეგ ალერსით გკებნს და ნაკებნარს მაგისი გესლი

ანთებას მოგვრის და მოაკვდენს, ერიდე-მეთქი!  
ცოდვას, სიკვდილს და თვით ჯოჯოხეთს თავიანთ დამლა  
დაუჭდევიათ მაგაზედ და ყოველნი მათნი  
ხელისუფალნი მსახურებენ მაგ არამზადას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მილორდ ბუკინგამ, ეგ რას ამბობს?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაგის ლაბარაკს

ყურს არ ვათხოვებ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

არ მიმადლი მაშ კეთილ რჩევას?

ელაქუცები ტარტაროზსა, მე რომ გარიდებ?

მაშ მოიგონე ეს დღე მაშინ, როცა ეგ ტანჯვით

მაგ გულს გაგიბობს და იტყვი, რომ წინასწარმთქმელის  
ნიჭი ჰქონდაო იმ საბრალო მარგარიტასა!

იცოცხლეთ ყველამ საგნად მაგის მძულვარებისა,  
ეგ თქვენა გძულდეთ და საერთოდ გრისხავდეთ ღმერთი!  
(გადის).

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

ეს თმა სულ ყალყზედ დამიყენა მაგისმა წყევლამ.

რ ი ვ ე რ ს ი

სწორედ მეც ეგრე მომივიდა, მიკვირს, რად არის  
თავისუფლადა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არ ვამტყუნებ, ღვთისმშობელს ვფიცავ:

ბევრი გამოვლო მაგან ტანჯვა და იმას ვწუხვარ,  
მეც წილი მიდევს იმ სატანჯელის მიყენებაში.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე არაფერი არ მივნია, ვგონებ, მაგისთვის.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაგრამ მაინც კი მაგის ტანჯვამ შენ გააკეთა.

მე მეტად ფიცხად ვირჯებოდი და ის, ვისთვისაც  
ასე ვცდილობდი, განელდა და აღარც კი ახსოვს.

კლარენსს კი მალე გადუხადეს. ეხლა ბოსელში  
დაუმწყვდევიათ, მოსუქდესო ნაჯაფარევი.  
ღმერთმა შეუნდოს, ვინც ამ საქმის მიზეზი იყოს!

რივერსი

ეგ ქრისტიანის შესაფერი მოძღვრება არის, —  
ვილოცოთ სათნოდ მათთვის, ვინც კი ბოროტად გვაკნებს.

გლოსტერი

მე მაგ მოძღვრებას მივდეკ მულამ დამშვიდების ღროს.

(ოქით)

რომ დამეწყევლა, დაგწყველიდი ხომ ჩემს თავს ისეც.

(შემოდის კატესბი).

კატესბი

თქვენ, დედოფალო, გიხმობთ მათი დიდებულება; —  
თქვენცა, მთავარო, — დიდებულნო, აგრეთვე თქვენცა.

ელისაბედ დედოფალო

მოვალ, კატესბი. ბატონებო, წამობრძანდებით?

რივერსი

მიბრძანდი და ჩვენც გაიხლებით.

(გადიან ყველანი გლოსტერს გარდა).

გლოსტერი

ბოროტის თავი

მე თვითონა ვარ და მევე ვტეხ ალიაქოთსა.

ჩემგან ფარულად შესრულებულს ავსა განზრახვას  
სხვებს თავზედ ვახვევ: აი, ხომ მე ჩავსვი ციხეში  
მთავარი კლარენს და მევე კი ვკვენისი, ვვაგლახობ  
სულელ ჰასტინგსის, ბუკინგამის, სტენლის წინაშე;  
ვამბობ, ხელმწიფე-დედოფალმა და იმის მომხრეთ  
წაჰკიდეს-მეთქი ჩემს ძმას კლარენსს ცრუ დაბეზლებით.  
ამათაც სჯერათ და თითონვე მაქეზებენ მე,  
გადაუხადო რივერსს, ვოგანს, გრეის ეს საქმე;  
მაშინ ვოხრავე და ვეუბნები საღმთო წერილით,  
ღმერთმა გვიბრძანა, ბოროტს უზღეთ კეთილით-მეთქი.  
ეგრე ჩემს შიშველ ავსულობას ვახვევ და ვმოსავ  
ძველის წიგნების იგავებში და წმიდანადაც

ვეჩვენები ხალხს, როს ვადგავარ ეშმაკის გზასა.

ეხლა ვაგჩუმიდე, ჭალათები მოდიან ჩემნი. —

(ორი კაცის მკვლელი შემოდის).

ოჰ, რა ამბავი, ჩემო მარჯვე, მხნე ამხანაგნო.

აბა, მზადა ხართ თქვენ იმ საქმის შესასრულებლად?

პირველი კაცის მკვლელი

ჩვენ მზად ვახლავართ და იმისთვის გიახელით, რომ  
ბარათი მოგვცეთ იქ შესვლისთვის, სადაც ის არის.

; ლოსტერი

კარგია, რომ ეგ გიფიქრიათ. აი, ბარათი. (აძლევს ბარათს)

როს შეასრულებთ საქმეს, კროსბის მოედანს მოდიოთ.

მაგრამ მტკიცედ კი მოიქეცით, მალე მოჰკალით;

ყურს ნუ დაუგდებთ მის ლაპარაკს, თორემ კლარენსი

ტკბილი მეტყველი არის და გულს სიტყვით მოგიღობოთ.

პირველი კაცის მკვლელი

ლაპარაკისთვის არ გვცალიან, ბატონო ჩემო.

ყბედი მოსაქმე როდი არის. მაგაზნედ გვენდეთ,

ჩვენ ხელებს უფრო ვამუშავებთ, ვიდრე ენასა.

გლოსტერი

აი, ეგ მომწონს: როს სულელნი იცრემლებიან,

თქვენ მაშინ თვალთა გცვივათ მხოლოდ წისქვილის ქვები

წადით, ისაქმეთ.

პირველი კაცის მკვლელი

გიახლებით, ბატონო ჩემო! (გაღიან).

#### ს უ რ ა თ ი IV

იგივე ქალაქი. ოთახი ტოუერის ციხეში.

(შემოდინ კლარენს და ბრაკენბიური).

ბრაკენბიური

ბატონო ჩემო, დღეს მწუხარე სახე რადა გაქვთ?

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

ძალიან ცუდად გავატარე წუხელის ღამე,  
ავი სიზმრები მაშფოთებდენ და საშინელნი  
მოჩვენებანი. ქრისტიანის სულს გცფიცებო,  
ისე საზარო იყო ყველა, რაც კი მე ვნახე,  
რომ თუნდ მომცემდენ ზადლად ურიცხვ ბედნიერ დღესა,  
არ ვინდომებდი კვლავ ამ გვარის ღამის გამოვლას.

## ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

რა ნახეთ სიზმრად, გთხოვთ, მიბრძანოთ.

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

მე ვნახე, ვითომ

ტოუერიდამ გავიქეც და ხომალდში ჩავჯექი  
ბურგუნდიაში წასასვლელად. ჩემთანვე იყო  
ჩემი ძმა გლოსტერ, რომელმაც მე ხომალდის ბანზედ  
სასეირნოდა ამიწვია ჩემის სამყოფით.  
იქიდან ინგლისის ვუყურებდით და ვიგონებდით  
ათასს სხვადასხვა მძიმე ამბავს, რაც ჩვენს ქვეყანას  
შემეხება იორკთ და ლანკასტერთ წაქიდების დროს.  
რომ დავდიოდი დაუდგრომელ გემის ფიცრებზედ,  
უეცრად გლოსტერ წაბორძიკდა; მე მივეშველე,  
მაგრამ წაქცევის დროს მკრა ხელი და გადამტყორცნა  
აქოაებულის ზღვის ზვირთებში. ოჰ, ღმერთო, ღმერთო!  
რა სატანჯველი უნდა იყოს წყალში დაღრჩობა:  
რალაც საზარო ხმაურობა ყურებს მიჭედდა,  
სიკვდილი თვალწინ წარმომიდგა სხვადასხვა სახით;  
ვნახე აშკარად გემ-ხომალდთა ურიცხვთ ნამსხვრევნი,  
თევზნი ურდავნი ღრღნიდენ ათას მკვდარ ადამიანთ,  
ზღვის ფსკერს ეყარნენ ოქროს ზოდნი, გემის ღუზები,  
თვალ-მარგალიტნი გროვა-გროვად ფას დაუდებნი;  
ზოგთ მკვდრების თავში დაებუდნათ და თვით იმ ხვრელში,  
სადაც თვალეზი ისხდენ უწინ, — ბრწყინვალე ქვანი  
ჩაჭედლილიყვენ თითქო მათთა გამოჯავრებით  
და დაჰხაროდენ ოკეანის ღამიან უფსკრულს,  
თან დასცინოდენ მიმობნეულ ადამიანთ ძვლებს.

## ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

როგორ ასწრობდით მიწურული თითქმის სიკვდილსა კიდევ გასინჯვას ზღვის უფსკრულის იღუმალ საქმეთ?

### კ ლ ა რ ე ნ ს ი

არ ვიცი. როგორ, ვასწრობდი კი. ბევრჯერ ვცდილობდი, სული ტანიდან ამომსვლოდა, მაგრამ ზღვის ტალღა გზას არ აძლევდა, თითქო შურდა თავისუფლება დაუსრულებელს ცის ჰაერში არ მიენიჭა: მეძწყვდია სული ეგრედ ამ ჩემს მღელვარე მკერდში, რაიც ლამობდა სკდომას, ოღონდ, აეშვა იგი.

## ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

მერე, მაგ სულ-ხორტ გაყრის დროს არ გამოგეღვიძათ?

### კ ლ ა რ ე ნ ს ი

არა, სიზმარმა ჩემმა სიკვდილს გადააბიჯა და მაშინ სულიც გამიტაცა მძაფრ ქარიშხალმა. მე მეზმანა, რომ გადავცურდი სევდის მდინარეს მგოსანთა კალმით აწერილ მკაცრ მენავის ნავით და შეველ მკვდრების ქვეყანაში, უკუნეთის ბნელს. იქ ჩემს უცხო სულს ჯერ პირველად წინ შეეყარა სახელოვანი, დიდი ვარჯიკი. სიმამრი ჩემი და შემომცვილა: „აბა, როგორს სასჯელს უნიშნავს ეს ბნელთ სამეფო მუხთალ კლარენსს, ფიცის გამტეხსო?“ მასუკან გაჰქრა და გამოჩნდა მეორე ჩრდილი, ანგელოზთ მზგავსი, ოქროს თმითა, შესვრილი სისხლში და დაიძახა მაღალის ხმით: „კლარენს მოვიდა, კლარენს ორგული, ცრუ, მუხთალი, ფიცის გამტეხი, ტიუქსბერიში რომ მომკლა მე. აბა, ალქაჯნო, შეიპყარით ეგ და აწვალეთ!“ ამ დროს მომცვივდა ბილწ სატანათა ლეგიონი საზიზღ კიყინით და ამ ხმამ ისე შეშფოთებით გამომადვიძა, რომ დიდხანს კიდევ გონს კერ მოველ სიზმრის შიშითა და მეგონა, რომ ჯოჯოხეთში ვიყავი ისევ.

## ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

რა საკვირველი არის ეგ, რომ შეშინებულხართ, როცა მე მარტო ამბის სმენამ შიში მომგვარა.

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

ოჰ, ბრაკენბიურ, რასაც კი ჩემს სულს აყვედრიან,  
მე მოვიქმედე ყოველივე ედვარდისათვის  
და ჰხედავ, როგორ მიზღავს იგი! ოჰ, გვედრები,  
ძლიერო ღმერთო, თუ კი ჩემი მხურვალე ლოცვა  
ვერ 'შემიწყალებს და შურს აგებ ამ ბოროტ საქმეთ,  
მარტო მე მრისხე, ნურას ავნებ ჩემს უბრალო ცოლს  
და ჩემ საწყალ შვილთ! — მოდი, მცველო, აქ ახლო დაჯექ,  
სული მიმძიმს და მსურს ცოტა ხანს ძილს მივცე თავი.

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

კარგი, გახლდებით, ღმერთმა მოგცეთ მშვიდობის ძილი. —

(კ ლ ა რ ე ნ ს ი ს კაჟზე დაიძინებს).

დარდი-ვარამი სიფხიზლის და მოსვენების უამს  
ერთმანეთს ურევს: ღამეს დღედ სცვლის და დღეს ღამედა,  
დიდებულთ მათღა სადიდებლად, გარეშე ნიშნად  
მარტო ხარისხი აქვთ შინაგან ლეღვის სანაცვლოდ  
და ხშირად ამა ფუყე, ფუჭის დიდებისათვის  
ითმენენ ურიცხვ ზრუნვას და შფოთს. მათ და მდაბიოთ  
გამოსარჩევად არსებობს-ღა მხოლოდ სახელი.

(შემოდის ორი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი).

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი  
ეი, ვინ არის აქა?

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

კაცო, შენ ვიღა ხარ, რა გინდა, ან აქ რამ მოგიყვანა?

### პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მე კლარენსთან ლაპარაკი მინდა და აქ ჩემმა  
ფეხებმა მომიყვანა.

### ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

აგრე მოკლე პასუხი რა ამბავია?

### მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ასე სჯობს გაჭიანურებას. — აჩვენე მონდობილობა  
და გავათავოთ.

(პირველი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი აძლევს ქალღღს ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი ს  
და ის კითხულობს).



ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი

მე მიბრძანებენ ამ ბარათით, მთავარი კლარენს  
თქვენ ხელში მოგცეთ. ეს რას ნიშნავს, სჯას არ მოვყვები,  
რადგან არ მინდა მეც საქმეში ცუდად გავება.

აი, აჰა, ეს გასაღებიც. აგერ მთავარსაც  
იქ სძინავს სკამზედ, მე კი ეხლავ მეფესთან წავალ  
და ვაცნობებ, რომ ჩემი ვალი თქვენ გადმოგეცით.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ძალიან კარგს იზამ და მაგით ჭკუასაც დაამტკიცებ.  
მშვიდობით.

(ბ რ ა კ ე ნ ბ ი უ რ ი გადის).

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ხანჯალი მძინარეს ჩავცეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

არა, აგრე რომ ვქნათ, ლაჩარს დაგვიძახებს, როცა გამოილ-  
ვიძებს.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

როცა გამოილვიძებს! სულელო, რაღა გამოაღვიძებს განკით-  
ხვის დღემდე!

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ჰო და მაშინ ხომ იტყვის, ძილში მომკლესო.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მაგ განკითხვის დღის ხსენებამ თითქო სინიდისი ამიშალა.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

რაო, გეშინიან?

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

არა, მოკვლისა არ მეშინიან, რადგან მაგისი ნებართვა  
თანა გვაქვს. იმისი მეშინიან, რომ ამ კაცისკვლისთვის  
იქ დაგვსჯიან, საცა ნებართვა ველარას გვიშველის.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მე შენ უფრო გამბედავი მეგონე.

მეორე კაცის მკვლელი  
და ვარ კიდევ, თუ ჩემი გაბედულობა მაგას გადაარჩენს.

პირველი კაცის მკვლელი  
მაშ წავალ მთავარ გლოსტერთან და აგრე შევატყობინებ.

მეორე კაცის მკვლელი  
არა, არა, ცოტა მოიცადე. იმედია, ეს წმიდანობა მალე გა-  
დამივლის. ჩვეულებადა მაქვს, ვიდრე ოცს დასთვლიდნენ,  
გუნება გამომეცვლება ხოლმე.

პირველი კაცის მკვლელი  
პა, ეხლა მზადა ხარ?

მეორე კაცის მკვლელი  
ცოტა სინიდისის ნალეკი-ლა დამრჩა აქა.

პირველი კაცის მკვლელი  
გაიხსენე, რა საჩუქარიც მოგელის, როცა საქმეს მოვრჩებით.

მეორე კაცის მკვლელი  
ჯანი გავარდეს, მოკვდეს. საჩუქარი მართლა სულ გადამა-  
ვიწყდა.

პირველი კაცის მკვლელი  
ეხლა შენი სინიდისი სად არის?

მეორე კაცის მკვლელი  
მთავარ გლოსტერის ქისაში.

პირველი კაცის მკვლელი  
მაშ როცა მთავარი ქისას გახსნის საჩუქრის მოსაცემად, ხომ  
ამოფრინდება.

მეორე კაცის მკვლელი  
დევ, ამოფრინდეს, მგონია, სახლში ბევრმა არავინ შეუშვას.

პირველი კაცის მკვლელი  
შენ რომ დაგიბრუნდეს?

მეორე კაცის მკვლელი  
მეც ისე აღარ გავანებებ. ის ადამიანს სწორედ აგულჩვი-  
ლებს, აღაჩრებს: კაცს ისე ვერა მოუპარავს-რა, რომ მაშინ-

გე ბრალი არ გამოუმჟღავნდეს; ფიცს რომ აპირებდეს, ის ყანყარაში მისწვდება; მეზობლის ცოლს ისე ვერ გაუარ-შიყდება, რომ იმან ქვეყანას არ მოსდოს. სინიდისი მორცხვი, გაუბედავი აჩრდილია; ადამიანს გულს უღელვებს და ყველ-გან გზაზედ წინ ეხილება. ერთხელ ბედზედ ოქროთი სავსე ქისა ვიპოვნე და იმან პატრონისთვის დამაბრუნებინა. ვის-თანაც კი დაიბუდებს, გლახად გარდაქმნის და აკი ყველგან გამოაპანჩურეს კიდევ; ქალაქებსა და დაბებში ბინა ვერსად მოუკიდნია. ვისაც კეთილცხოვრება სურს, თავის თავს უნდა მიენდოს და სინიდისზედ კი ხელი აიღოს.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

აი, ეხლაც ჩემს იდაყვთან დგას და მიჩურჩულებს, მთავარს ნუ მოჰკლავო.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ეშმაკი გაიხსენე და მაგას ყურს ნუ დაუგდებ, თორემ გულში შეგიძვრება და სულ ვაი-ვუის გაძახებს.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მე გულმაგარი ვარ, ჩემთან ვერას გახდება.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

აი ეგ სიტყვები კაი ვაუკაცის შესაფერია. აბა, საქმეს შევუდგეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

შენი ხმლის ტარი თავში ჩაჰკარ და მერე მეორე ოთახში მალ-ვუაზიის ღვინის კათხაში ჩავაგდოთ.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ეგ კაი ფიქრია, ბოდლიწო გავაკეთოთ.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ჩუმად, იღვიძებს!

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

დაჰკარ!

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

არა, ჯერ მოველაპარაკოთ.

კლარენსი (იღვიძებს)

მცველო, რა იქენ? მომეც ერთი ჰიქა ღვინო.

პირველი კაცის მკვლელი  
ღვინო მალე სამყოფი გექნება.

კლარენსი

შენ ვინა ხარ? მითხარ ღვთის გულისათვის.

პირველი კაცის მკვლელი  
ადამიანი ვარ შენსავით.

კლარენსი

არა, ჩემსავით დიდებული არ იქნები.

პირველი კაცის მკვლელი  
და არც შენა ხარ ჩვენსავით ერთგული.

კლარენსი

შენი ხმა ქუხილსა ჰგავს და სახე კი მდაბიო გაქვს.

პირველი კაცის მკვლელი  
ჩემი ხმა ეხლა ხელმწიფეს ეკუთვნის, სახე კი ჩემია.

კლარენსი

რად ლაპარაკობ აგრე ყრუდ და აგრე საზარლად?  
თქვენი თვალები თითქოს სიკვდილს მემუქრებიან.  
ფერმკრთალნი რად ხართ, ვინ მოგგზავნათ, სიდან მოდიხართ?

ორივე კაცის მკვლელი  
ჩვენ, ჩვენ...

კლარენსი

მოდინხართ ჩემ საკლავად?

ორივე კაცის მკვლელი

ჰო, სწორედ, სწორედ...

კლარენსი

გული არ გერჩით სათქმელადაც და თვითონ საქმეს  
თქვენ როგორა იქმთ? მეგობრებო, რა დაგიშავეთ?

ბირველი კაცის მკვლელი  
შენ ხელმწიფესა ჯაუშავე და არა ჩვენა.

კლარენსი

მე ჩემს ხელმწიფეს ისევ ისე შევურიგდები.

მეორე კაცის მკვლელი  
გერა, ვერას დროს. მოემზადე სასიკვდილოდა.

კლარენსი

მთელ ქვეყნის ხალხში განა მისთვის გამოერჩიეთ,  
უმანკო მოჰკლათ? აბა ერთი, რა ბრალსა მდებენ,  
ან რა საბუთი მოაქვთ ამის დასამტკიცებლად?

ან ჩემი საქმე რა კანონმა გამოიძია

და დაუდგინა განაჩენი სასტიკსა მსაჯულს?

ან ვინ წარმოსთქვა მწარე მსჯავრი ჩემის სიკვდილის?

ვიდრემდე ისე არ გამსჯიან, ვით კანონს ჰფერობს,  
უკანონობა არის, სიკვდილს მემუქრებოდნენ.

გთხოვთ, თუ იმედი გაქვთ სულთა ხსნის იმ წმიდა სისხლით,  
რაიც შესწირა ქრისტემ ჩვენთა მძიმე ცოდვათა,  
წადით აქედან, ხელს ნუ მახლებთ, ნურაფერს მერჩით;  
ჯოჯოხეთს ჩავყრით ეგ საქმე, რაც თქვენ განგიზრახავთ.

ბირველი კაცის მკვლელი

ჩვენ მას ვასრულებთ, რაც გვიბრძანეს.

მეორე კაცის მკვლელი

და მბრძანებელი

ჩვენი მეფეა.

კლარენსი

ოჰ, მონანო გზადაბნეულნო!

ყოვლად ძლიერმა მეფეთ-მეფემ მცნებათ ფიცარში  
თქვენ დაგიწერათ, არ მოჰკლათო და რას ჩადიხართ?  
არღვევთ მის კანონს და ასრულებთ კაცის ბრძანებას!!  
გაფრთხილდით, თორემ ხელთ უპყრია მკაცრი სასჯელი,  
რასაც თავს დასცემს მის ბრძანების უარყოფელსა

მეორე კაცის მკვლელი

სწორედ იმ სასჯელს დაგცემს შენ თავს, ვით ფიცის გამტეხს

და ვით კაცისმკვლელს. შენ ლანკასტერთ ოჯახს შეჰფიცე,  
ომში თქვენს მხარეს დავიჭერო.

პირველი კაცისმკვლელი

მერე ის ფიცი,

აღთქმა გასტეხე და ჰგმე ღმერთი. შენის მახვილით  
მუხანათურად გამოსწეღე შვილი შენისვე  
მბრძანებლისა.

მეორე კაცისმკვლელი

რომელსაც შენ დაჰპირებოდო

ერთგულებასა და სიყვარულს.

პირველი კაცისმკვლელი

როგორღა ჰბედავ

და გვაგონებ ღვთის სასტიკს კანონს, როდესაც თვით შენ  
იგი უარჰყავ, დაარღვიე, ფეხით გასთელე!

კლარენსი

და ვაი ჩემს თავს! ვისთვისა ვქმენ ეგ ავი საქმე?  
ედვარდისათვის მხოლოდ, ჩემის ძმის გულისათვის.  
იმასაც ჩემებრ წილი უდევს ცოდვა და ბრალში  
და მაგისთვის ჩემ მოსაკლავად რად მოგვზავნიდათ?!  
კარგად იცოდეთ, თუ ეგ საქმე არისხებს ღმერთსა,  
გამოაქვეყნებს კიდევ თავის მტკიცე განაჩენს.  
ნუ ეცილებით მის ძლიერ ხელს განსჯა-განკითხვას,  
არ საჭიროობს იგი მრუდე, უკანონო გზას,  
რათა ორგულნი თვისნი მოსპოს, გაანადგურა.

პირველი კაცისმკვლელი

მერე შენ ვიღამ მოგცა მკაცრი ხელისუფლება,  
რომ სასიკვდილოდ არ დაინდე ის ნორჩი პრინცი,  
გაზაფხულივით მოწიფული პლანტაგენეტი?

კლარენსი

ეგ მაქმნევიანა სიყვარულმა ჩემის ძმისამა,  
ჩემმა სიბრაზემ და სატანამ.

პირველი კაცისმკვლელი

სწორედ მაგ შენის

ძმის სიყვარული, ჩვენი ვალი, შენი ცოდვები  
გვიწვევენ ჩვენც აქ, რომ მოგვკლათ შენ.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

თუ სწორეს ამბობთ  
და მართლა გიყვართ ჩემი ძმა, არც მე გეძულებით,  
რადგან მეც ძმა ვარ ხოშ მისი და ფრიადაც მიყვარს.  
თუ თქვენ დაგპირდენ ჯილდოს რასმე, წადით უკანვე,  
ჩემს ძმას გლოსტერთან გაგზავნით მე და ის თქვენ მეტად  
დაგასაჩუქრებთ ჩემის ცოცხლად დატოვებისთვის,  
ვიდრე ედვარდი მოკვლისათვის ჯილდოს მოგცემდეთ.

მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი  
სცდები: შენ სძაგხარ შენს ძმას გლოსტერს.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

ოჰ, არა, არა!  
მე მეტისმეტად ვუყვარვარ მას. ჩემ მაგიერად  
წადით იმასთან.

ო რ ი ვ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი  
მაინც წავალთ.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

და მოაგონეთ,  
რომ როცა ჩვენმა დიდებულმა მამამ, იორკმა,  
თავისი სამი ძე დალოცა ბედნიერ ხელით  
და დაგვაგალა სიყვარული ერთმანეთისა,  
არ ეგონა-თქო, წუთ ეს მტრობა დამკვიდრდებოდა, —  
უთხარით-მეთქი გლოსტერს ასე და ტირილს მოჭგვრით.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი  
ჰო, წისქვილის ქვებს ცრემლის ნაცვლად დაჰყრის თვალთაგან.  
როგორც ჩვენ გვითხრა.

კ ლ ა რ ე ნ ს ი

ცილს ნუ სწამებთ, ის კეთილია.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი  
შენ მართალს ამბობ: როგორც რთვილი მოსავლისათვის. —  
რა დაგიმალოთ, შენ საკვლელად სწორედ ის გვგზავნის.

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

არ დავიჯერებ; დაჭერილი რომ დამინახა,  
გულზედ მიმიყრდნო ცრემლიანმა და შემომფიცა  
ოხვრა-კენესითა, ტყვეობიდან გამოგიყვანო.

### პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მაინც აგრე იქმს, ბორკილს აგხსნის დედამიწისას  
და იქ აგაფრენს, მალლა ზეცას, ნეტარებაში.

### მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

ღმერთს შენი სული შეავედრე, სიკვდილის დროა.

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

თუ კი ეგ წმინდა გრძნობაცა გაქვს, რომ რჩევას მაძლევ,  
ღმერთს შევავედრო ჩემი სული, რისთვის არ ზრუნავ  
შენის სულისთვის, ჩემის მოკვლით ღმერთს რად არისხებ?  
ოჰ, იცოდეთ, რომ ვინც ეს საქმე ჩაგაგონათ თქვენ,  
თითონ იმასვე შესძაგდებით, როს აუსრულებთ.

### მ ე ო რ ე კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

მაშ რა უნდა ვქნათ?

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

გულით მოღბით, სულნი იხსენით.

### პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

გულით მოღბობა დედაკაცის შესაფერია,  
ეგ სილაჩრება.

## კ ლ ა რ ე ნ ს ი

არ მოღბობა შესაფერია

მხეცის, ნადირის, ეშმაკისა. თქვენ რომ ჩემსავით  
ხელმწიფის შვილნი იყოთ ციხეს დატყვევებულნი  
და თქვენებრ მკვლელნი თავს დაგვადგნენ, სიცოცხლეს  
სთხოვდით,  
შეაბრალებდით თქვენც კი თქვენს თავს — ოჰ, მეგობარო,  
სიბრალულს გამჩნევ მაგ თვალებში; პირმოთნეობა  
თუ არ არის ეგ, შემეწიე, მიმხრე მაგასთან, —  
რომელი გლახა პრინცს-მთხოვარას არ შეიწყნარებს?!



მეორე კაცის მკვლელი  
ბატონო, იქით მიიხედე, აქ ნუ გვიყურებ.

პირველი კაცის მკვლელი  
აჰა, აი შეწყნარება. (ხანჯალს ჩასცემს) თუ ეს არ გასკრის  
მალეუაზიის კასრში ეხლავ ჩაგიღრჩობ თავსა.  
(გაიტანს შავდარს კლარფნს).

მეორე კაცის მკვლელი  
რა საქმე მოხდა, როგორ მალე მოედო ბოლო!  
ოჰ, ნეტა ხელი დავიბანო პილატესავით  
და არ მომეცხოს ამ კაცისკვლის სამძიმო ბრალი.  
(პირველი კაცის მკვლელი დაბრუნდება).

პირველი კაცის მკვლელი  
რატომ არ მშველი, რასა დგახარ? ღმერთს გეფიცები,  
მთავარს უთუოდ შენს სილაჩრეს შევატყობინებ.

მეორე კაცის მკვლელი  
ნეტა იმის ძმა დამეხსნა და ის გეცნობა შენ.  
წადი და უთხარ, რასაც ვამბობ, ჯილდოც შენ გქონდეს.  
მე მთავრის სიკვდილს დიდად ვნანობ.  
(გადის).

პირველი კაცის მკვლელი  
მე არა ვნანობ.  
დამილოცნია გზა, ლაჩარო! — წავალ, ორმოში  
დავმალავ სადმე მე ამ გვამსა; მერე მთავარი  
ბრძანებას გასცემს დამარხვისას. ჯილდოს მივიღებ  
და ვიდრე საქმე გამჟღავნდება, გადვიმალევი. (გადის).

# მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო რ ე

## ს უ რ ა თ ი I

ლონდონი. ოთახი სასახლეში.

(შემოდინ ავადმყოფი მეფე ედვარდ, რომელიც ხელით მოჰყავთ, ელისაბედ დედოფალი, დორსეტ, რივერს, ჰასტინგს, ბუკინგამ, გრეი და სხვანი).

### ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

კეთილი საქმე ვქმენ მე დღესა. მაშ ასე, პერნო, მუდამ გეჭიროთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი. მე კი ყოველ დღე შიკრიკს ველი ჩემის მხსნელისას, რომ მიმიწოდოს თავისთან და დამხსნას სიცოცხლეს. აწ ჩემი სული აფრინდება მშვიდობით ზეცას, რაკი მშვიდობა დაუუმყარე აქ ჩემთ მეგობართ. რივერს და ჰასტინგს, ჩამოართვით ერთმანეთს ხელი, ძმობა შეჰფიცეთ, გულში ძვირსა ნულარ იმარხავთ.

### რ ი ვ ე რ ს ი

მე ძვირისაგან განმეწმინდა სული, ვფიცავ ცას და ამ ხელითაც აწ ვამოწმებ მტკიცე სიყვარულს.

### ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მწედ მყავდეს ღმერთი ისე, როგორც მართალს ფიცსა ვდებ მეც მაგაზედვე.

### ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

გაუფრთხილდით მეფის წინ ტყუილს, რომ უმაღლესმა მეფეთ მეფემ, უზენაესმა დაფარულ, ავთა ზრახვათათკის არ გსაჯოთ მკაცრად და ერთმანეთი ბოროტად არ დაგალუპინოთ.

### ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მეშველოს ისე, ვით ნამდვილს ფიცს ვდებ მე ძმობისას.

### რ ი ვ ე რ ს ი

მეც სწორედ ისე, ვით ჰასტინგსი გულით მიყვარდეს.

## ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

ეს ამბავი შენც შეგეხება, ჩემო მეუღლე,  
შენც, შვილო დორსეტ, შენც, ბუკინგამ. თქვენ ერთმანეთთან  
წაქიდებულნი იყავით მტრად. მიეცი ხელი  
ლორდ კანცლერს ჰასტინგსს, დედოფალს, რომ ზედ  
გემთხვიოს  
და გიყვარდეს ეგ. ამას იქით თქვენს მოქმედებას  
ნულარ დააჩნევთ ორპირობას.

## ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე ლ ო ფ ა ლ ი

აჰა, ლორდ ჰასტინგს,  
ძველ მძულვარებას აღარა დროს არ გავიხსენებ,  
ვფიცავ ჩემს თავს და ჩემთა თვისტომთ.

## ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

ლორსეტ, ერთმანეთს  
გადაეხვიეთ შენ და ჰასტინგს. — ჰასტინგს, გიყვარდეს  
შენც მარკიზ დორსეტ.

## დ ო რ ს ე ტ ი

ვფიცავ ზენას, რომ ჩემის მხრითა,  
არსად ვუმტყუნო მეგობრობას ერთმანეთისას.

## ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მეც მაგას ვფიცავ.

(ერთმანეთს ეხვევიან).

## ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

დიდებულო ბუკინგამ, აწ შენ  
დაჰკარ ბეჭედი ამ კავშირს და გადაეხვიე  
ჩემ ცოლის მომხრეთ; მაგ ერთობით ბედნიერ მყავით.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი (დედოფალს)

თუ კი როდისმე ბუკინგამ თქვენს დიდებულებას  
წყენას აკადრებს და ჭეროვან სიყვარულითა  
არ გიერთგულვებთ თქვენ და თქვენთა ნათესავთ მომხრეთ,  
ღმერთმა დამსაჯოს მაშინ იმით, რომ სიძულვილი  
ვპოვო იქ, სადაც ერთგულებას უნდა ველოდე.  
მაშინ, როდესაც დამჭირდება მეგობარი მე,  
ვპოვო თვით იგი, ვინც მეგობრად და ძმად მიმაჩნდეს,

ცბიერ მოსისხლედ, მუხანათად. მომიხდეს ასე,  
თუ ცდა დავაკლო თქვენს სამსახურს, თქვენს ერთგულებას.  
(მოეხვევა რივერს).

### ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

მალამოსავით, ოჰ, ბუკინგამ, ეგ შენი აღთქმა  
მოეცხო ამ ჩემს სნეულს გულსა. ეხლა გვაკლია  
მხოლოდ ჩემი ძმა გლოსტერ მისთვის, რომ ამ მშვიდობას  
საფერი ბოლო მოვადვენოთ.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

და აი სწორედ

აქ მობრძანდება თვით მთავარი, როგორც კი ბრძანეთ.  
(შემოდის გლოსტერი).

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ბედნიერებას ვუნატარი მე ჩემს ხელმწიფესა  
და ჩემს დედოფალს. — გამარჯვება თქვენც, დიდებულნო.

### ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

მართლა ეს უამი ჩვენთვის სწორედ ბედნიერია:  
კაცთმოყვარების საქმე ჩვენ დღეს დავთესეთ, ძმაო,  
მტრობა მშვიდობად გარდაცქმენით, ძულეზა ძმობად  
ამ გოროზთ, ცხარე და მრისხანე დიდებულთ შორის.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

აყუროხოს ღმერთმა, ხელმწიფეო, ეგ თქვენი შრომა!  
მეც თუ კი ვინმე ამ დიდებულ კრებაში მსახავს  
თავის მოძულედ, ცრულ მიტანილ ამბის წყალობით,  
ან უსაფუძვლო წარმოდგენით; თუ უცაბედად,  
ან სიბრაზის დროს ვაწყეინე აქ მდგომსა ვისმე, —  
მსურს შეგურიგდე, დავუმყარო აწ მეგობრობა,  
სიკვდილი არის ჩემთვის მტრობა, უმზრახად ყოფნა  
და ყოველ კეთილ სულთანა მსურს ამო კავშირი;  
ჯერ, დედოფალო, შენთან ვითხოვ გულწრფელ მშვიდობას,  
რასაც ჭეროვნად გიმთავირებ მხნედ სამსახურით.  
შენცა გთხოვ, ჩემო ნათესავო, დიდო ბუკინგამ,  
მე მშვიდობისა ჩამოგდებას, თუ კი როდისმე  
იგი ჩვენ შორის ამღვრეულა. შენც, ლორდო რივერს;

ლორდ გრეი, შენცა: — თქვენ ყოველთა, ვინც უმიზეზოდ  
ჯავრობლით ჩემზედ: მთავართ, გრაფებს, ლორდთ,

კეთილშობილთ.

არც ერთ ინგლისელს მე არ ვიცნობ იმისთანასა,  
ვისთანაც მტრობა მქონდეს თუნდა იოტის ტოლი,  
როგორც არა მაქვს მტრობა წუხელ ნაშობ ბავშვისა.  
მე ვმადლობ ღმერთსა ან სიმდაბლის მონიჭებისთვის.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე ფ ო ფ ა ლ ი

დღესასწაულად დაგდოთ ეს დღე საკვლავიოდაც,  
ღმერთმა ყოველ შფოთს მოადევნოს კეთილი ბოლო. —  
ეხლა, გთხოვ, ჩემო დიდებულო მეფე-ბატონო,  
ჩვენი ძმა კლარენს შეიწყალო, ძბურად შეიტკბო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

სიყვარულს განა მისთვის გძღვნობდი, ბატონო ჩემო,  
რომ მასხარადაც აგეგდე თვით მეფის წინაშე?!  
ეგ ვინ არ იცის, რომ საბრალო კლარენს მკვდარია?  
(ყველანი ჯიოცებენ).  
თქვენ იმის გვამსა შეურაცხპყოფთ აგრე დაცივით.

რ ი ვ ე რ ს ი

ვინ არ იცის, რომ მკვდარიაო!! აბა ვინ იცის?

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე ფ ო ფ ა ლ ი

გულთამხილავო შეუფეო, რა დროში ვცხოვრობთ!

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დორსეტ, მეც ისე ნაცრისფერი მდევს, როგორც სხვებსა?

დ ო რ ს ე ტ ი

დიაღ, ბატონო. არც შენ, არც სხვას მთელ ამ კრებაში  
ლაწვთა სინათლე აღარ შერჩა.

ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

კლარენს მკვდარია?!

აკი მოვშაღეთ ის ბრძანება.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თქვენმა პირველმა

ბრძანებამ მოჰკლა ის საბრალო. იგი წაეღო

ფრთიანს ოტარიდს და მეორე, იმის მომშლელი, ვილაც საპყრისთვის აეკიდათ, რომელიც მხოლოდ დამარხვის შემდეგ მისულიყო. მე ბევრნი ვიცი სამეფოს სისხლთან მასზედ უფრო შორეულ მყოფნი, თუმც დიად ღირსნი სასჯელისა მოსისხლობისთვის, რომელნი ეხლაც თავისუფლად დასეირნობენ.

(შემოდის სტენლი და მეფეს დაუჩოქებს).

ს ტ ე ნ ლ ი

წყალობას ვითხოვ, მეფევე, ჩემის სამსახურისთვის.

ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

დამეხსენ, ეხლა სული სევდით შემძიმებია.

ს ტ ე ნ ლ ი

ვიდრემდე თხოვნას არ მომისმენთ, ზე არ ავდგები.

ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

მაშ მორჩი ჩქარა, სთქვი, რასა გვთხოვ და გაათავე.

ს ტ ე ნ ლ ი

გთხოვთ, რომ სიცოცხლე აბატოთ, მეფევე, ჩემს მსახურს, რომელსაც ერთი ჭირვეული კეთილშობილი მთავარ ნორფოლკის ამალისა შემოკვდომია.

ე დ ვ ა რ დ მ ე ფ ე

ეს ენა განა იმისთვის მაქვს, რომ მივუსაჯო ძმას სიკვდილი და პატიება ვილაც მონასა?! ჩემს ძმას კაციც კი არ მოუკლავს, ეჭვის აღებამ მწარე სიკვდილი განუჩინა. იმის გულისთვის ვინ შემევედრა, ანუ ჩემის გაცოფების დროს ვინ დამიჩოქა და მირჩია მშვიდად მეფიქრა? ვინ გამახსენა სიყვარული, ძმობა, ერთობა? ვინ მომაგონა, იმ საბრალომ თუ ვით უარპყო ძლიერი ვარვიკ და იბრძოლა ჩემის გულისთვის? ანუ კიდევ ის ამბავი, ვით ტიუქსბერის ველს, როცა ოქსფორდმა დამამარცხა, მან გამომიხსნა და მითხრა, „მეფედ იცოცხლეო, ძვირფასო ძმაო?!“ ვინ მიაგზო კვლავ, — როს ვეყარნეთ ოხრად მინდორში

და მკაცრმა ყინვამ მიგვიყვანა სიკვდილის პირად,  
ვით გამახვია თვის სამოსში და თავის ტანი  
შიშველი, სენით შეპყრობილი ანდო ცივს ღამეს.  
ესე ყოველი ამოშალა ჩემის ხსოვნიდან  
მხეტურმა რისხვამ, ცოდვიანმა და არც ერთ თქვენგანს  
მადლი არ ჰქონდა იმდენი, რომ ეს გაესხენა.  
მაგრამ თუ თქვენი მეჭინბე, ამაღის მონა,  
კაცს სიმთვრალეში მოჰკლავს სადმე და შეამწიკვლებს  
ჩვენის ძვირფასის მხსნელის სახეს, თქვენ აქ გაჩნდებით  
და მუხლმოდრეკით მთხოვთ წყალობას, პატიებას!  
ამ უსამართლო თხოვნას გისმენთ... ჩემის ძმისთვის კი  
არ ამოიღო ხმა არც ერთმა და მეც უწყალომ  
ჩემ სინიდისთან იმ ბედკრულს არ ვუშუამდგომლე.  
თქვენ ყველას, თითონ უამაყესთ მის სიცოცხლის დროს  
მოგაგონდებათ რამ სიკეთე მისგან და ნაცვლად  
ერთხელაც კი არ წაესარჩლეთ, უმადურებო!  
ოჰ, ვშიშობ, ღმერთი ამ საქმისთვის სასტიკად დაგვსჯის,  
მეც, თქვენცა, ყოველ ჩემ მახლობელთ, თქვენიანებსაც, —  
მიშველე, ჰასტინგს, მიმიყვანე ჩემს ოთახამდე.  
ოჰ, შე საბრალო კლარენს, კლარენს!  
(გადიან ხ ე ლ მ შ ი ფ ე, დ ე ლ ო ფ ა ლ ი, ჰ ა ს ტ ი ნ გ ს, რ ი ვ ე რ ს,  
ღ ო რ ს ე ტ და გ რ ე ი).

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

აი, ეს იცის  
აჩქარებამა. — არ შენიშნე, თუ ვით გაფთორდენ  
ნათესავები დედოფლისა ცოდვით საცხენი,  
კლარენსის მოკვლა რომ შეიტყეს? ეგენი იყვნენ,  
მეფეს რომ მუდამ აქეზებდენ მის მოსაკლავად.  
ღმერთი გადუხდის. — ლაპარაკით, წავიდეთ, აბა,  
გავართოთ მეფე.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მიბრძანლით და ჩვენც გიახლებით.  
(გადიან).

იგივე ქალაქი. მეორე ოთახი სასახლეში.

(შემოდინ იორკის მთავრის მეუღლე, პატარა ვაჟი და ქალი კლარენსისა).

კლარენსის ვაჟი

კარგო ბებია, გვითხარ, მართლა მამა მოგვიკვდა?

იორკის მთავრის მეუღლე

არ მოგკვდომიათ.

კლარენსის ქალი

მამ რად ტირი, სულ გულში იცემ, ამბობ: „ვაიმე, ჩემო კლარენს, ბედკრულო შვილო!“

კლარენსის ვაჟი

თუ ცოცხალია, აქეთ-იქით თავს რაღად იქნევ, და სიბრალულით ზედ დაგვცქერი, გვიძახი ობლებს, უპატრონოებს, უბედურებს?

იორკის მთავრის მეუღლე

ჩემო ლამაზო

შვილიშვილებო, ორნივე სცდებით; მე ვგლოვობ მხოლოდ მეფის სნეულად დავარდნასა, ვგლოვობ იმისთვის და არა მამითქვენის სიკვდილს. რაც საუკუნოდ დაკარგულია, იმის გლოვა უნაყოფოა.

კლარენსის ვაჟი

შენის სიტყვიდან სჩანს, რომ მამა მკვდარი ყოფილა. მეფის ბრალია, ბიძაჩემის, გადუხდის ღმერთი, რომელსაც მუდამ ლოცვა-ხვეწით ამას გამოვთხოვ.

კლარენსის ქალი

და მეც აგრე ვიქ.

იორკის მთავრის მეუღლე

ჩუმაღ, ბავშვნო, ჩუმაღ იყავით!

გულით უყვარხართ თქვენ მეფესა, უმანკო გვრიტნო, მამითქვენის მკვლელს ვერ მიაგნებთ და ვერც მიხვდებით.



კლარენსის ვაჟი

რატომ, ბებია, აკი ძია გლოსტერმა მითხრა,  
რომ დედოფალსა წაეჭეზა მეფე და იმას  
მამიჩემისთვის თურმე რაღაც ცილი ეწამა  
და დაემწყვდია ბნელ ციხეში. როცა ბიძია  
მეუბნებოდა ამ ამბავსა, ტიროდა მწარედ,  
მიალერსებდა, მიბრალებდა, პირზედ მკოცნიდა  
და ესეც მითხრა, მენდე ისე ვით მამაშენსა  
და მეც შვილივით შეგიტკობო.

იორკის მთავრის მეუღლე

ჰხედავთ, სიცრუე  
როგორ იფერებს მადლის სახეს და ვით პირბადეს  
სათნოებისას იკეთებს ღრმა ბიწიერება!  
ჩემი შვილია იგი და მეც ამისი მრცხვენის,  
თუმც ჩემს ძუძუებს სიცრუე არ უწოვბიათ!

კლარენსის ვაჟი

ვითომ გგონია ძია გლოსტერ ტყუილს ამბობდა?

იორკის მთავრის მეუღლე

ტყუილსა, შვილო.

კლარენსის ვაჟი

არა, ბები, არ დავიჯერებ. —

ეს რა ხმა არის? აბა ერთი, ყური დაუგდე.

(შემოდან: ელისაბედ დედოფალი არეულის სახით, რივერს  
და დორსეტს).

ელისაბედ დედოფალი

ოჰ, ვინ დამიშლის გლოვა-ტირილს, ამ ბედის წყევას,  
ჩემის თავისვე მწარედ ტანჯვას! დავუზავდები  
განწირულებას შავსა და ბნელს და ომს ავუტეხ,  
უწყალო მტრადა ვადგეკცევი ჩემს მჭმუნვარე სულს.

იორკის მთავრის მეუღლე

ნეტა რას ნიშნავს ესეთ უცებ ვარმის სურათი?

ელისაბედ დედოფალი

მწარე დასასრულს წუთისოფლის მასხარობისას.

აღარ გვყავს ედვარდ, შენი შვილი, უფალი ჩემი,  
ჩვენი ხელმწიფე! ფესვი გაჰქრა და შტოების ზრდა  
ვიღას რად უნდა! ან ფოთოლნი რად არ ჰკნებიან,  
რაკი გაუშრათ წვენი, მათი მსაზრდოებელი?  
იტირე, თუ კი გსურს იცოცხლო და თუ სიკვდილი  
გწადიან, ბარემ ჩქარა მოკვდი, რომ ჩვენნი სულნი  
ელვის სისწრაფით შეუერთდენ ხელმწიფის სულსა;  
ან ვით მორჩილნი ქვეშევრდომნი იახლნენ უკან  
იქ, საუკუნოდ განსვენების ახალ სამეფოს.

#### იორკის მთავრის მეუღლე

მეც წილი მიდევს მაგ ნაღველში, ვით მქონდა წილი  
შენის მეუღლის სიცოცხლისა. მე ღირსი ქმარი  
გამოვიგლოვე და სიცოცხლეს ის მანიჭებდა,  
რომ შევყურებდი იმის სახეს, მაგრამ სიკვდილმა  
მიმზგავსებელი ორი სარკე ნაკუწ-ნაკუწად  
უწყალო ხელით დამიმსხვრია. აწ ჩემს ნუგეშად  
დარჩა-ლა სარკე მატყუარა, რაც უარესად  
მაჰმუნვებს, როცა მასში ვხედავ ჩემსავ შერცხვენას.  
თუმცა დაქვრივდი, მაგრამ მაინც დედა ხარ შენა  
და ქმრის ნაშთენნი შვილნი მაინც განუგეშებენ.  
მე კი სიკვდილმა გამომგლოჯა ხელიდან ქმარიც,  
მომისპო ორი ყავარჯენი დასაყრდნობელი  
კლარენს და ედვარდ. შენი დარდი ნახევარია  
ამ ჩემი სევდის და ნება მაქვს მაგ შენს საჩივარს  
ხმა ჩავუკმინდო, შენი კვნესა ამ ცრემლით წავრღვნა.

#### კლარენსის ვაჟი

არ გიგლოვია, შენ, ძალუა, მამას სიკვდილი  
და მისთვის ცრემლებს შენს გლოვას ვერც ჩვენ მივაშველებთ.

#### კლარენსის ქალი

ჩვენ ობლად დავრჩით და არავინ არ გვისამძიმრა,  
დეე, ნურავინ ინაღვლებს შენს დაქვრივებასაც.

#### ელისაბედ დედოფალი

არავის შევლა მე არ მინდა, მე ვკმარვარ მარტო,  
ჩემი გარამი კვნესით მოვთქვა. ეს მწუხარება

ვრცელ დედამიწის წყაროთა წყალს მოგვრის ამ თვალებს  
და მეც, წვიმიან მთვარისაგან წაქეზებული,  
ცრემლთ ზღვას დავანთხევ მთელის ქვეყნის ამოსალარჩობად  
და ვიგლოვებ ჩემს ძვირფასს ეღვარდს, ჩემს საყვარელ ქმარს!

ბ ა ვ შ ე ბ ი

ჩვენც ვიგლოვებთ ჩვენს ძვირფასს კლარენსს, საყვარელ მამას.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მე კი ორივეს, ორივე ჩემ შვილს, კლარენსს და ეღვარდს,

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეღვარდ-ლა მყავდა მე ნუგეშად, ისიც გამშორდა.

ბ ა ვ შ ე ბ ი

კლარენს-ლა გყავდა ჩვენ ნუგეშად, ისიც გაგშორდა!

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ეგ ორნი მყავდენ მე ნუგეშად, ორნივე გამშორდენ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ესეთი განძი ჭერ არა ქვრივის არ დაუკარგავს.

ბ ა ვ შ ე ბ ი

ესეთი განძი არა ობოლთ არ დაუკარგავთ!

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ესეთი განძი არა დედას არ დაუკარგავს.

ვაი რომ მე ვარ მთელ ამ ვარმის ჭირისუფალი!

ჩემი საერთო დარდი მაგათ დაყოფილი აქვთ!

ის სტირის ეღვარდს, მეც მას ვტირი; ვტირი კლარენსსაც;

ის მას არ სტირის. ეს ბავშვები სტირიან კლარენსს.

მეც მასვე ვტირი. ვტირი ეღვარდს, ხმას არა მცემენ.

მაშ თქვენ სამთავე, რაც ცრემლი გაქვთ, დამადინეთ მე,

მე ერთი სამად უბედურსა; თქვენის ნალღელის

ძიძად შევქმნილვარ, ოხვრა-კენესით გაგაძღობთ კიდევ.

დ ო რ ს ე ტ ი

ძვირფასო დედავ, ინუგეშე, ღმერთს ნუ არისხებ

და უმადურად იმის საქმეს ნუ ეგებები.

დაუნახავსა უწოდებენ ამ ქვეყანაში,  
ვინც კეთილ ხელით მოცემულ ვალს სამღურავითა  
უბრუნებს პატრონს და ვინც ზეცას წინააღმდეგობს.  
როდესაც იგი ითხოვს უკან ძვირფასს ნასესხებს,  
ამით ხომ უფრო ამტკიცებს თვისს უმადურობას.

### რივერსი

დაო, იფიქრე, როგორც მზრუნავს დედას შეჰფერის  
იმ ახალგაზრდა პრინცისთვისაც, შენი შვილისთვის:  
დაიბარე და თავს დაადგი მალე გვირგვინი;  
შენი ნუგეში იგია, მკვდარ ედვარდის კუბოს  
თან ჩაატანე მწუხარება ეგე სასტიკი  
და სინარული სთესე ცოცხალ ედვარდის ტახტზე.  
(შემოდინ გლოსტერი, ბუკინგამი, სტენლი, ჰასტინგს,  
რატიკლიფ და სხვანი).

### გლოსტერი

დარდს ნუ გაჰყვები, ჩემო დაო, თვითეულს ჩვენგანს  
ჩვენის ბრწყინვალე მნათობისა დაბნელებისთვის  
ტირილი მართებს, მაგრამ თავის დარდს ვინ გაჰკურნებს  
ტირილით, გლოვით? — დედაჩემო, უკაცრაოდ ვარ,  
ვერ დაგინახე; გთხოვ დალოცვას მუხლმოდრეკილი.

### იორკის მთავრის მეუღლე

დაგლოცოს ღმერთმა, თან სიმშვიდე, კაცთმოყვარება,  
მორჩილება და სიყვარული გულს ჩავინერგოს.

### გლოსტერი

ამინ. — (იჟი) და ღმერთმა სიბერემდე მიმალწევინოს,  
მაინც ეს არის დედის ლოცვის თავი და ბოლო.  
მიკვირს, არა სთქვა.

### ბუკინგამი

პრინცნო სახემოდრუბლულეზო,  
გულსევდიანო დიდნო პერნო, რომელთაც ყველას  
ეს მწუხარების ტვირთი გაწევთ, — გამხნევდით მტკიცედ  
და ერთმანეთიც გაამხნევეთ სიყვარულითა.  
ჩვენის ხელმწიფის ყანის მკას თუმც ვერ დავესწარით,  
შვილის მამითაღს ვუერთგულოთ. განხეთქილებას;

რაც თქვენ ამაყ გულთ შუა მოხდა, ძლივს ამ ბოლო დროს პირი შეეკრა და შედღულდა. დე, სამუდამოდ დამკვიდრებულ იმც იყოს ესე მტკიცე კავშირი. ვგონებ, კარგს ვიზამთ, მარტო მცირე ამალით პრინცი მოვაყვანიოთ ლედლოდან და მოსვლის უმაღვე ვაქურთხოთ მეფედ აქ ლონდონში.

რივერსი

მაგას რად ბრძანებ,  
ლორდო ბუკინგამ, მარტო მცირე ამალითაო.

ბუკინგამი

იმად, ბატონო, რომ ხალხის დიდ ზროვაში პირი არ იხსნას მტრობის წყლულმა ახლად განკურნებულმა. ეს საშიშია მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყანა მისუსტებული არის ჭერეთ და უპატრონო როცა კი ცხენებს ახსნილი აქვთ მათი სადავე და სადაც უნდა გაიწევენ, მაშინ, ვფიქრობ მე, უნდა ვეცადოთ ავიცდინოთ არამც თუ ვნება აშკარა, ცხადი, არამედ თვით შიში ვნებისა.

გლოსტერი

აკი ხელმწიფემ დაამყარა ჩვენს შორის ძმობა და იმ პირობას ვადგავარ მე მტკიცედ, ერთგულად

რივერსი

აგრეთვე მეცა და ყოველნი ჩვენგანნიც, ვგონებ, მაგრამ ეს საქმე რადგან სრულად ახალი არის, უნდა ვერიდოთ აურზაურს ერთმანეთ შორის, რაც დიდ კრებულში უფრო ხშირად მოსალოდია, და ამის გამო ვეთანხმები მეც ლორდ ბუკინგამს, რომ პრინცს ცოტანი მოჰყვნენ თანა.

ჰასტინგსი

მეც აგრე ვფიქრობ.

გლოსტერი

მაშ აგრე იყოს. აბა, მოდით და გადავწყვიტოთ, თუ ვინ გავგზავნოთ ესლავ ლედლოს პრინცის მსლგებლად.

მობრძანდები შენც, ჩემო რძალო, ან შენა. დედავ,  
რომ თქვენი აზრი ამ საგანზედ შეგვატყობინოთ?

(გადიან ყველანი ბუკინგამს და გლოსტერს გარდა).

### ბუკინგამი

ღვთის გულისათვის მოვახერხოთ, რომ ჩვენ ორნივე  
არ დავრჩეთ აქა; სხვა, ერთია, ვინც უნდა იყოს.

გზა-გზა ვიპოვი. იმედი მაქვს, მარჯვე შემთხვევას,  
პრინცს განვაშორო იმის დედის ნათესაობა

გატაცებული სიამაყით და წინ წავეწიო  
ამით ის საქმე, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით.

### გლოსტერი

ოჰ, ჩემო ყველავ, გამგებელო ჩემ განზრახვათა,  
წინასწარ მოქმელო, გულთმისანო, ძმაო და თვისო!

მე უკან მოგდევე ბავშვივითა, შენ გზა მიჩვენე.

აბა, წავიდეთ მალე ლედლოს, აქ ნუ დავრჩებით.

(გადიან).

### სურათი III

იგივე ქალაქი ქუჩა.

(ორი მოქალაქე ერთმანეთს შეეყრება).

პირველი მოქალაქე

დილა მშვიდობის, მეზობელო, საით ისწრაფი?

მეორე მოქალაქე

მეც თითონ კარგად არ ვიცი, თუ საით მივდივარ.  
ახალ ამბავს არ მოჰკარ ყური?

პირველი მოქალაქე

ღიღი, გავიგე,

მეფე მომკვდარა.

მეორე მოქალაქე

ცუდი არის, ღმერთს გეფიცები,  
ძვირად მოჰყვება უკეთესი მემკვიდრე მეფეს.

გაი თუ უფრო აირიოს ჩვენი ქვეყანა,

თავბრუ დაესხას.

შემოდის მესამე მოქალაქე).

მესამე მოქალაქე

მეზობლებო, გამარჯვება თქვენ.

პირველი მოქალაქე

ღმერთმა შენც მოგცეს გამარჯვება.

მესამე მოქალაქე

მართალი არის

მეფე ეღვარდის სიკვდილის ხმა?

მეორე მოქალაქე

ღიად, დამტკიცდა.

ჩვენი მფარველი ღმერთი იყოს.

მესამე მოქალაქე

მაშ მოვემზადოთ,

არეგდარეგას ბევრსა ვნახავთ.

პირველი მოქალაქე

მაგას რად ამბობ?

იმისი შვილი, ღვთის მადლითა, მეფედ დაჯდება.

მესამე მოქალაქე

გაი ქვეყანას, რომელსაც კი ბავშვი განაგებს!

მეორე მოქალაქე

რადა, ვიდრემდე მცირეწლოვნად იქნება იგი,

რჩევა იმეფებს მის სახელით, და როდესაც კი

მოიწიფება, ჩაიბარებს თვითვე მეფობას.

ორთავ დროს, ვგონებ, გვექონდეს კარგი განწყობილება.

პირველი მოქალაქე

აგრე არ იყო ქვეყნის საქმე, როცა პარიჟში

ჰანრი მეექვსე, ცხრა თვის ბავშვი, მეფედ აკურთხეს?

მესამე მოქალაქე

აგრე არ იყო!! არა, არა, ღმერთმა ხომ იცის,

მაშინ მრავალი ჰყავდა გამგე დარბაისელი,  
ბრძენი მმართველი ამ ქვეყანას. მაშინ მეფესაც  
სათნო პირები გარს ეხვივნენ მფარველ-პატრონად.

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ბიძეები აკი ამასაც ჰყავს: მამის მხრიდანაც  
და დედიდანაც.

### მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ნეტა მარტო მამიდან ჰყავდეს,  
ანუ ამ მხრიდან არა ჰყავდეს არც ერთი ბიძა;  
რადგან ცილობა იმათ შორის, თუ მეფის ახლო  
ვინ უნდა იყოს, დაასუსტებს ამ ჩვენს ქვეყანას,  
თუ ღმერთმა თავის მფარველობა არ გაგვიწია.  
ქეტად საშიში ფიქრები აქვს მთავარს გლოსტერსა  
და ქმა-შვილნიცა დედოფლისა მედიდურობენ.  
ეგენი რომ ხხვის ხელქვეშ იყვნენ, არ მბრძანებლობდენ,  
ეგებ ამ მხარეს სანუგეშო რამ მოვლენოდა.

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ტყუილად ვშიშობთ, ღმერთი საქმეს კარგად მოაწყობს.

### მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ღრუბლიან დღესა წამოსასხამს ისხმენ ჰკვიანნი.  
როცა ფოთლები ცვივას იწყებს, ეს ზამთარს გვამცნევს  
და მზე რომ ჩავა, ვინ არ ელის დაღამებასა!  
ავდარს უდროოს თან სდევს მუდამ ხორაგთ სიძვირე.  
აქნება კარგად მოხდეს ყველა, თუ ღმერთსა ნებავს,  
მაგრამ არც ველი კეთილს და არც იმის ღირსნი ვართ.

### მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ყველანი შიშში კი არიან; კაცს ვერ შეხვდებით,  
გულსევდიანი არ ელოდეს საზარელ ამბებს.

### მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ცვლილების წინად მუდამ აგრე მოხდება ხოლმე:  
რალაც ღვთიურის ჩაგონებით ადამიანნი  
საშიშ მომავალს წინად გრძნობენ, ვით, მაგალითად,  
ქარიშხალ-ავდრის წინ ზღვის ზვირთნი იწყებენ შფოთვას.



ეპ, ღმერთმა ის ჰქნას, რაც ენებოს. — შენ საით მიხვალ?

მეორე მოქალაქე

ჩვენ მოსამართლემ დაგვიბარა და იქ მივდივართ.

მესამე მოქალაქე

თქვენთან წამოვალ, მეც იქავ ვარ დაბარებული.

(დადიან).

#### ს უ რ ა თ ი IV

იგივე ქალაქი. ოთახი სახახლეში.

(შემოდინ იორკის არქიეპისკოპოსი, იორკის ახალგაზრდა მთავარი, ელისაბედ დედოფალი და იორკის მთავრის მეუღლე).

არქიეპისკოპოსი

მე მითხრეს, წუხელ ნორტამპტონში გაუთევიათ. სტანი-სტრატფორში იქნებიან თურმე ამაღამ და ხვალ, ანუ ზეგ მოვლენ აქა.

იორკის მთავრის მეუღლე

მოუთმენელად

ველი მე პრინცსა; იმედი მაქვს, ტანს აიყრიდა მას აქეთ, რაც კი არ მინახავს.

ელისაბედ დედოფალი

სთქვეს, რომ არაო.

ამ ჩემს შვილს იორკს გაუსწვრია თითქმის სიმადლით.

იორკი

მართალი უთქვამთ, მაგრამ ნეტა აგრე არ იყოს.

იორკის მთავრის მეუღლე

რადა, ბიჭიკო, განა გაზრდა კარგი არ არის?

იორკი

აი რად: ერთხელ ვახშამს ვჭამდი და ძია რივერს ამბობდა, როგორ გავასწარი ჩემს ძმას ტანითა.

„ჰოო, მართლაო?“ უპასუხა ძია გლოსტერმა,

„ქარგი ბალახი დაბალია, ცუდი მაღალი“  
და მეც მას აქეთ ჩქარა გაზრდას აღარა ვნატრობ,  
ლამაზ ყვავილებს რაკი ღვარძლი სიმალლით სჯობნის.

იორკის მთავრის მეუღლე  
„მორიშორს მოდის იმის სიტყვა, ვინც ეგ გითხრა შენ  
თითონ მის ბედთან: ისე ნელა და ღოღილით  
იზრდებოდა მის სვე-უბადრუკს ყმაწვილობაში,  
რომ თუ მართალი იყოს ეგე, ის იქნებოდა  
აღსავსე მაღლით, სიკეთითა.

არქიეპისკოპოსი  
და არის კიდევც,

ბატონო ჩემო მოწყალეო.

იორკის მთავრის მეუღლე  
ნეტავი აგრე,  
მაგრამ დედის გულს მაინც ეჭვი როდი ასვენებს.

იორკი  
იცოი, ბებია, ნეტავი ეგ მომგონებოდა  
და ძიას მასზედ უფრო მარჯვედ გავკრავდი კბილსა  
მის გაზრდის გამე-

იორკის მთავრის მეუღლე  
როგორ, ბიჭო, აბა მითხარი.

იორკი  
აი როგორა: ბიძაჩემი, ამბობენ, ჩქარა  
იზრდებოდაო ისე თურმე, რომ ჯერ ორ საათს  
არ გაეგლო მის შობის შემდეგ და ღრღნა დაეწყო  
პურის ქერქისა. მე კი კბილი ძლივს ორის წლისას  
ამომივიდა, განა ეს არ გააბრაზებდა?

იორკის მთავრის მეუღლე  
„შემატყობინე, ეგ ვინ გითხრა, ჩემო ლამაზო?

იორკი  
იმისმა ძიძამ.

იორკის მთავრის მეუღლე  
ძიძამაო! იმისი ძიძა

ჯერ უნ ნაშობი არ იყავ, რომ მიწაში იდო.

იორკი

მაშ სხვამ თუ მითხრა; ეხლა ველარ მომიგონია,  
ვინ იყო ის სხვა.

ელისაბედ დედოფალი

ჩუმად, ყბედო, რას მახვილაკობ!

არქიეპისკოპოსი

ნუ უწყრებით ბავშვს, დედოფალო.

ელისაბედ დედოფალი

ეხლა კედლებსაც

ყურნი ასხიათ.

არქიეპისკოპოსი

ოჰ, შიკრიკი! (შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი

რა ამბავია?

ის, რომლის თქმაც კი მეზარება, ბატონო ჩემო.

ელისაბედ დედოფალი

როგორ ბრძანდება პრინცი?

შიკრიკი

კარგად, მშვიდობით განლავთ.

იორკის მთავრის მეუღლე

მაშ რასაც ამბობ, სწორედა სთქვი.

შიკრიკი

პომფრეტს გაჭზავნეს

იქ ციხეში ტყვედ ჩასასმელად ლორდ რივერს, გრეი  
და მათთან ერთად თომას ვოგან.

იორკის მთავრის მეუღლე

ეგ ვის ბრძანებით?

შიკრიკი

ბრძანებით მთავართ გლოსტერის და ბუკინგამისა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
დანაშაული რა აქვთ მერე?

შ ი კ რ ი კ ი

მე რაც ვიცოდი,  
სულ მოგახსენეთ, დედოფალო. არა ვიცი—რა  
ამაზედ მეტი იმ დიდებულთ დატყვევებისა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
ჩვენის ოჯახის ქვე დამხობის ნიშნები არის:  
ვეფხს წყნარი შველი შეუბყრია და მტარვალობა  
ურცხვადა ჰქელავს უმანკო ტახტს, უმწეოდ შთენილს,  
გზა, გზა მიეციტ სისხლს, კაცისკვლას, ქლეთა-ნგრევას!  
ცხადდა ვხედავ, ვით რუკაზედ, ქვეყნის დასასრულს.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე  
ოჰ, რამდენ ერთსა მოვსწრებივარ დაწყევლილ დღესა,  
შფოთის და ჩხუბის დალდაჩნეულს: ჯერ ჩემმა ქმარმა  
ტახტის ძებნასა შეაღია თავის სიცოცხლე  
და ხშირად ჩემ შვილთ ბედი ზვირთებრ ზე-ქვე ისროდა,—  
მეც ვხარობდი მათ გამარჯვებას, მარცხსა ვტიროდი.  
როს მოიპოვეს გამარჯვება და შინაშფოთი  
სრულად კვალწმინდად გაჰქრა, მაშინ ომი ერთმანეთს  
გამარჯვებულთა აუტეხეს: ძმა აღდგა ძმაზე,  
სისხლნი და ხორცინი გადიმტერნენ სასიკვდილოდა.  
ოჰ, უბუნებო სიძულვილო, ცოფმორეულო,  
გადამარჩინე წყეულ რისხვას, მომიღე ბოლო,  
მომკალ, რომ სიკვდილს ამ თვალგებით აღარ ვუყურო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
წამოდი, შვილო, სალოცავში. მშვიდობით, დედავ.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე  
მეც თქვენთან მოვალ, მომიცადეთ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
თქვენ რილასთვისა?

ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი  
მალე მობრძანდით, დედოფალო. თან წამოიღეთ

თქვენი საუნჯე და ქონება, მეც თქვენ მოგართმევთ  
ბეჭედს ჩემდამი მობარებულს. როგორც ერთგულად  
გემსახუროთ თქვენ და თქვენს თვისტომს, უფალმაც ისე  
გადამიხადოს. წაგიძღვებით სალოცავისკენ. (გაღიან).

## მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

### ს უ რ ა თ ი I

ლონდონი. ქუჩა.

(საყვირის ხმა. შემოდინ უ ე ლ ს ი ს პ რ ი ნ ც ი, გ ლ ო ს ტ ე რ, ბ უ კ ი ნ-  
გ ა მ, კ ა რ დ ი ნ ა ლ ი ბ ო რ ჩ ე რ, კ ა ტ ე ს ბ ი და ს ხ ვ ა ნ ი).

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

კეთილიმც იყოს მობრძანება თქვენს სამეუფო  
ლონდონის ქალაქს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მეც მას ვნატრობ, ძვირფასო შვილო,  
უფალო ჩემთა ზრახვა-ფიქრთა. ძნელი მგზავრობა  
აღბად მოგბეზრდა, მოგეწყინა?

პ რ ი ნ ც ი

არა, ბიძია,

ერთმანეთ შორის კინკლაობამ მგზავრობის დროსა  
უფრო დამღალა, ამიშფოთა სული და გული.  
ნეტა ბიძები ჩვენი სხვებიც წინ დამხვედროდენ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ოჰ, ტკბილო პრინციო! შენი ნორჩი უმანკოება  
ჯერ ვერ მიმხვდარა ამ ცხოვრების ბიწს და სიყალბეს.  
კაცში შენ არჩევ ჯერეთ მხოლოდ გარეგანს სახეს,  
რაიც არ ჰფერობს სრულიად მის გულის წადილსა.  
საშიშნი იყვენენ ის ბიძანი, ნახვას რომ ნატრობ;  
შენ იმათ შაქარმოყრილ სიტყვებს ტკბილად ისმენდი  
და ვერ ამჩნევდი გულში გესლსა. ღმერთმა გაშოროს  
ისინიცა და იმათ მზგავსნი ცრუ მეგობარწიც!

## პ რ ი ნ ც ი

ცრუ მეგობარნი კი მაშოროს, მაგრამ ისინი  
ცრუნი არ იყვნენ.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხელმწიფის ძევ, ლონდონის მერი  
მოსაგებებლად მოდის შენთან.

(შემოდის ლ ო რ დ-მ ე რ ი თავის ა მ ა ლ ი თ).

## მ ე რ ი

ღმერთმა სიმრთელე  
და დღეგრძელობა მოსცეს თქვენსა უმაღლესობას.

## პ რ ი ნ ც ი

გმადლობ, ლორდ-მერო, აგრეთვე თქვენც მადლობას  
გიძღვნი!

(მ ე რ ი და იმის ა მ ა ლ ა გადიან).

მე მეგონა, რომ დედაჩემი, ჩემი ძმა იორკ  
შეგვეყრებოდნენ წინ აქამდის. რცხვენოდეს ჰასტინგსს,  
რომ ზარმაცობს და არ დაგვიხვდა იმის საცნობლად,  
მოდინ თუ არ.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

აი, სწორედ ნატვრა შესრულდა,  
ჰასტინგსი ოფლში გაწურული მოდის აქ ჩვენთან.

(შემოდის ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი).

## პ რ ი ნ ც ი

ოჰ, გაძარჯობა, დედაჩვენი არ მოდის, მილორდ?

## ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

დედათქვენიცა და თქვენი ძმაც წმინდა სალოცავს  
რალაც მიზეზით შეეკტილან. პრინცს თუმცა სწადდა  
წამომყოლოდა აქ თქვენთანა მოსაგებებლად,  
მაგრამ დედამ არ გამოუშვა.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ოჰ, რა უწესოდ,  
უმართებულოდ იქცევიან! ლორდ-კარდინალო,  
გთხოვთ, რომ წაბრძანდეთ და დედოფალს ჩააგონოთ, რომ

მთავარი იორკ გამოგზავნოს ესლავ თვის ძმასთან.  
თუ უარი სთქვას, — ჰასტინგს, შენც თან წააყევი მაგას  
და ძალის-ძალად გამოჰგლიჯეთ მის ეჭვიან ხელთ.

### კ ა რ დ ი ნ ა ლ ი

მილორდ ბუკინგამ, თუ კი ჩემი მწირმეტყველება  
დაათხოვნიებს თავის დედას იორკის მთავარს,  
ესლავე იგი აქ გაჩნდება, მაგრამ თუ თხოვნაწ  
არ გასჭრა მათზედ, ვერ დავარღვევ მტკიცე უფლებას  
ცით მონიჭებულს ღვთივ დალოცვილ სალოცავისას.  
მთელი სამეფოც მომცეთ, მაინც ესეთ დიდ ცოდვას  
მე ვერ ვიკისრებ.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ეგ საბუთი უსაფუძვლოა;  
ტყუილად მისდევ დახავსებულს ჭირვეულობას  
და წეს-რიგობას. გონივრულად ასწონ-დასწონე;  
პრინცს თუ ხელს ახლებ, სალოცავს მით არ შეუტრაცხყოფ.  
რადგან უფლება შევედრების იმას ეკუთვნის,  
ვინც საჭიროობს თვის ნაქმნარის მფარველობასა,  
ან ჭკუა უჭრის იმდენად, რომ ითხოვოს იგი.  
პრინცს სამფარველო არაფერი მოუქმედნია,  
არც უთხოვნია მფარველობა და ჩემის აზრით,  
ვერც შეაფარებს თავს სალოცავს. თუ გამოიყვანთ,  
თქვენ არ დაარღვევთ არც ძველ სიგელს, არც ძველს  
უფლებას.

გამიგონია ვაჟი-კაცი შევედრებული.  
მაგრამ ბავშვების შევედრება პირველად მესმის.

### კ ა რ დ ი ნ ა ლ ი

მილორდ, ეგ შენი აზრი სჯობნის ამ ჩემს მსჯელობას.—  
ლორდ ჰასტინგს, გნებავს ზემთან ერთად წამობრძანება?

### ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

ღიად, ბატონო.

### პ რ ი ნ ც ი

ბატონებო, გთხოვთ დააჩქაროთ,

რაც შეიძლება. —

(გადიან კარდინალი და პასტინგსი).

ძია გლოსტერი, ერთი მითხარი,  
თუ მოვა ჩემი ძმა, სად დავდგეთ ჩემს კუროხევამდე. —

გლოსტერი

სადაც ენებოს ყოფნა თქვენსა უმადლესობას.  
მაგრამ თუ რჩევას უმდაბლესსა მიიღებ ჩემგან,  
ორს ანუ სამს დღეს მოისვენე ჯერ ტოუერში,  
მასუკან სადაც დაინახო სამჯობინაროდ  
სიმრთელისათვის და დროს კარგად გასატარებლად.

პრინცი

უპ, ტოუერი მძაგს მე ფრიად, ყველაზე მეტად.  
ის იულიოს კეისარმა არ ააშენა?

ბუკინგამი

იმან დაიწყო აშენება, ხელმწიფის შვილო,  
მაგრამ შემდეგში რამდენჯერმე ახლად ააგეს.

პრინცი

ეგ ქაღალდებში სწერია, თუ გადმოუციათ  
მხოლოდ სიტყვითა საუკუნით საუკუნემდე?

ბუკინგამი

ქაღალდით ვიცით.

პრინცი

მე ვგონებ, რომ არც ჩაეწერათ,  
არ გაპქრებოდა წელთა სვლაში მაინც სიმართლე,  
შთამომავლობას თუნდა ქვეყნის დასასრულამდე  
შთამომავლობით გადასცემდენ.

გლოსტერი (იქით)

ამბობენ, ესეთს

ჭკუამოსწრებულს ბავშვს თვის წერა გადაიტანსო.

პრინცი

რას ამბობ, ძია?

გლოსტერი

მე მას ვამბობ, დაუწერლადაც



სახელის გათქმა შეიძლება. (იქით) ესრეთ ვით ძველმა  
მოარაკემა ორჭობობით ვილაპარაკო.

პ რ ი ნ ც ი

აი, კეისარს თვით სახელი ღირსად გაუთქვამს,  
მხნედ უზრუნვია ჭკვა-გონების შესაძენად  
და ამ გონებას იმის სიმხნე უკვდავუქმნია.  
სიკვდილსაც ხელი ვერ უხვლია და ეს ძლიერი  
ქვეყნის დამპყრობი ღღესაც კიდევ სახელით ცოცხლობს. —  
ბუკინგამ, იცი, მე რას გეტყვი?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რასა, ბატონო?

პ რ ი ნ ც ი

დავაჟაკება თუ დამცალდა, მაშინ საფრანგეთს  
ძველის უფლებით დავიბრუნებ, ან თავს შევაკლავ  
და ჭარისკაცის ღირსებაზედ გავცვლი მეფობას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი (იქით)

აღრე გაზაფხულს უკან მოსდევს მოკლე ზაფხული.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მადლობა ღმერთსა, მობრძანდება მთავარი იორკ.  
(შემოდის პატარა იორკი, თან მოსდევენ კარდინალი და  
ჰასტინგსი).

პ რ ი ნ ც ი

ოჰ, რიჩარდ იორკ, როგორა ხარ, ძვირფასო ძმაო?

ი ო რ კ ი

კარგად, ხელმწიფევე, — ეს არ უნდა გიწოდო მე უენ?

პ რ ი ნ ც ი

ჩვენ ორივესთვის სავაგლაზოდ იგი აღარ გვყავს,  
ვისაც ხელთ ეპყრა ხელმწიფება, რამაც დაჰკარგა  
თვის ბრწყინვალება მის სიკვდილით.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩემო ძმისწულო,

პატარა იორკ, როგორა ხარ?

იორკი

გმადლობ, ბიძია. —  
რომ მითხარ, მალე იზრდებოდნენ ცუდი ბალახი,  
აი, ჩემი ძმა ჩემზედ უფრო მაღალი არის.

გლოსტერი

ჰო, მაღალია.

იორკი

მაშ ჩენი ძმა ცუდი ყოფილა.

გლოსტერი

ჩემო ლამაზო ძმისწულო, მე ეგ როდი მეტქმის.

იორკი

ზაგას აამებ, მე კი გინდა, რომ მაწყვინო?

გლოსტერი

მბრძანებელია ეგე ჩემი, ჩემი ხელმწიფე  
და შენ კი ისე გეპყრობი, ვით თვისტომს, ნათესავს.

იორკი

ძია, მომეცი ეგ ხანჯალი.

გლოსტერი

რა ხანჯალსა მთხოვ,  
ჩემო პატარა? მოგცემ დიდი სიამოვნებით.

პრინცი

როგორ იქნება მათხოვრობა?

იორკი

მერე ვისა ვთხოვ!

ჩემს კეთილ ბიძას, — ვიცი კარგად, რომ არ დამიჭერს,  
ან მაგისთანა მცირე რამ რა დასაჭერია.

გლოსტერი

მე კიდევ უფრო დიდ საჩუქარს მივცემ ჩემს ძმისწულს.

იორკი

კიდევ უფრო დიდს? ეგ უთუოდ ხმალი იქნება.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

უფრო მსუბუქი ყოფილიყო, ხმალსაც მოგცემდი.

ი ო რ კ ი

მსუბუქ საჩუქარს, როგორც გატყობ, იმეტებ მხოლოდ  
და ეუბნები ცივს უარსა ძვირფასის მთხოვნელს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხმალი ძალიან მძიმე არის და ვერა ზიდავ.

ი ო რ კ ი

ღღვილად ვზიდავ, უფრო მძიმეც რომ იყოს ეგე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

გამაგებინე, მართლა მთხოვ ხმალს, ჩემო პაწია?

ი ო რ კ ი

ღიად, რომ ისე დაგიმადლო, როგორც მიწოდებ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რაო, არ მესმის.

ი ო რ კ ი

რომ პაწია მადლობა გითხრა.

პ რ ი ნ ც ი

ჩემს ძმას ბაასში კინკლაობა ჩვეულებად სჭირს,  
უნდა სულგრძელად აიტანო ეგ, ბიძაჩემო.

ი ო რ კ ი

ამიტანოს, თუ ამიყვანოს? ძია, ჩემი ძმა  
ორთავ დაგვცინის, შენცა და მეც. მაიმუნვით  
რომ პატარა ვარ, გეუბნება მხრითა ზიდევო.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი (ჩუმაღ ჰასტინგს).

ვით ეშმაკურად ლაპარაკობს; თვის ბიძისადმი  
მძულვარებისა დასაფარად ვითომ ოხუნჯობს  
და მოხდენილად თავის თავსვე მწარედ დასცინის.  
ნორჩ ბავშვს ამდენი სიმახვილე ვინ მისცა ნეტა!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ბატონო ჩემო, მობრძანდები? მე და ბუკინგამ  
წავალთ ეხლავე დედათქვენთან და ტოუერში  
ვთხოვთ, რომ დაგიხვდეთ.

ი ო რ კ ი

ტოუერში მიდიხარ, განა?

პ რ ი ნ ც ი

აგრე ნებულობს ბიძაჩემი, ჩემი მფარველი.

ი ო რ კ ი

მე ტოუერში მოსვენებით ვერ დავიძინებ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რატომა, რისა გეშინიან?

ი ო რ კ ი

ძია კლარენსის

მრისხანე სულის. იქ მოჰკლესო, ბებია მითხრა.

პ რ ი ნ ც ი

მკვდარ ბიძებისა მე არასდროს არ მეშინიან.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არც ცოცხლებისა, იმედი მაქვს.

პ რ ი ნ ც ი

ოჰ, ისინი რომ

ცოცხლები დარჩნენ, არაფერს არ შეეუშინდები. —

აბა, წავიდეთ. მძიმე ფიქრით შეშფოთებული

მათ ბედ-იღბალზე ტოუერში მოვდივარ აგერ.

(საყვირის ხმა. გადიან პ რ ი ნ ც ი, ი ო რ კ ი, ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი, კ ა რ -  
დ ი ნ ა ლ ი და ს ხ ვ ა ნ ი).

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მილორდ, მე ვფიქრობ ამ პატარა და ყბედს იორკსა

ალბათ თავისი გველი დედა წააქეზებდა,

ასე უწყალოდ რომ დაგცინის და შეურაცხყოფს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

უეჭველია, უეჭველი. მეტად ლაქლაქა

ბავშვია ეგა, თან თამამი, ცელქი, ოხუნჯი,

ჭკვიანი, ზეავი, — დედა არის თავით ფეხამდე.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ეპ, რაც უნდა ჰქნან. — აბა, აქეთ მოდი, კატესბი.  
შენ წელან მტკიცე ფიცი მოგვეც, რომ შეგვისრულო  
განზრახვა ჩვენი და დაჰფარო, რასაც გაცნობებთ.  
გზაზედ ყოველი ჩვენი აზრი შეგატყობინეთ.  
როგორა ჰფიქრობ, არ იქნება ადვილი განა,  
ლორდი ჰასტინგსი უილიამ ჩვენკენ მოვიმხროთ,  
და გავენდოთ, რომ გვსურს ამ დიდის მთავრის აყვანა  
ბრიტთა კუნძულის სახელოვან სამეფო ტახტზედ?

### კ ა ტ ე ს ბ ი

მამის გულისთვის ისე უყვარს და ერთგულობს პრინცს,  
რომ არას დროს მის წინააღმდეგს არ განიზრახავს.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ე

აბა, სტენლიზედ რაღას იტყვი, ვერც მას მივიმხრობთ?

### კ ა ტ ე ს ბ ი

ის ყველაფერში ჰასტინგსს ბაძავს.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ე

კარგი, ეგ კმარა.

ჩემო კატესბი, შენ წადი და ლორდ-კანცლერს ჰასტინგსს  
ჩვენს აზრზედ სიტყვა ჩამოუგდე, როგორც შორეულს  
საგანს რაზედმე; ნახე, როგორ მიიღებს იგი.  
სთხოვე აგრეთვე, რომ გვირგვინის კურთხევისათვის  
მოვიდეს ხვალა ტოუერში. თუ შეამჩნიო,  
რომ იბირებდე, წააქეზე, წინ გადუშალე  
ყოველი ჩვენი საბუთები და თუ დაატყო  
უარზედ დგომა, გულცივობა, ტყვიის სიმძიმე,  
შენც აგრე დახვდი, სიტყვა მოსჭერ და მსწრაფლ გვაცნობე,  
თუ რა წადილი უდევს გულში, რადგანაც ხვალვე  
ორგან გვექნება კრება ფრიად მძიმე საქმისთვის,  
სადაც შენც უნდა ხომ დაესწრო.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩემ მაგიერად

ლორდი ჰასტინგსი მოიკითხე, უთხარ, კატესბი,  
რომ იმის ძველსა და საშიშ მტრებს სულ ერთიანად  
ხვალვე პომფრეტის ციხეში სისხლს გამოუშვებენ.  
მოაგონე, რომ კარგ ამბებით გახარებულმა  
ტკბილად აკოცოს ერთხელ კიდეც შოურის ცოლსა.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

აბა, კატესბი, შენ ამ საქმეს მარჯვედ მოექეც.

კ ა ტ ე ს ბ ი

ვეცდები, რაც კი შემძლიან, ორთავ გარწმუნებთ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

დაძინებამდე ხომ გვაცნობებ?

კ ა ტ ე ს ბ ი

დიალ, ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კროსბის მოედანს გენახავ მაშ ჩვენ ორივეს ერთად.

(კ ა ტ ე ს ბ ი გადის).

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რა ვქნათ, მთავარო, თუ შევამჩნევთ, რომ ლორდ ჰასტინგსი  
არ ემხრობა ჩვენს შეთქმულებას?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

როგორ თუ რა ვქნათ!

გავაგდებინოთ მყისვე თავი. — არ დაგავიწყდეს,  
როცა მე შეფედ ვეკუროთხები, მაშინ მომთხოვე  
ჰირფორდთ საგრაფო სრულის თავის მოძრავ ქონებით,  
რასაც ჩემი ძმა მეფე ჰფლობდა.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მე მოგაგონებ

მაგ დაპირებას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შეგისრულებ მეც სიამითა.

ადრე ვიგახშმოთ აბა, ერთი, რომ ვახშამს შემდეგ  
ეს შეთქმულობა მოვინელოთ საზრდოსთან ერთად.

(გადიან).

ლორდ ჰასტინგის სასახლის კარმიდამო.

(შემოდის შ ი კ რ ი კ ი).

შ ი კ რ ი კ ი

(კარებს აბრაზუნებს)

მილორდ, ბატონო!

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი (გარედან)

ვინა ხარ მანდ, ვინ არახუნებ?

შ ი კ რ ი კ ი

ლორდ სტენლის კაცი.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

რა დრო არის?

შ ი კ რ ი კ ი

მალე ოთხს დაჰკრავს

(შემოდის ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი).

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

რაო, ძილი თუ დაჰკარგა ამ გრძელ ღამეებში?  
შენმა ბატონმა?

შ ი კ რ ი კ ი

მომისმინეთ, შინც აგრჯა.

ჯერ მოკითხვასა მოახსენებს თქვენს ბრწყინვალეობას...

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მერე კიდევ რას?

შ ი კ რ ი კ ი

მერე გითვლით, რომ ამ ღამეში

სიზმრადა ნახა, ვითომ ტახმა თავიდან იმას

ზუჩი მოჰგლიჯა. ამას გარდა ორი კრებაა

დღეს დანიშნული და ერთზედ რაც გადაწყდებო,

იგი გვანანებს მეორეზედ დასწრებას ორთავ, —

და აი მგზავნის თქვენთან, მილორდ, რომ, თუ ინებებთ,

ცხენზედ შებრძანდეთ და ეხლავე იმასთან ერთად

ჩრდილოეთისკენ გაეშუროთ. ესრედ ავცდებით  
ხიფათი, რასაც წინადა გრძნობს იმისი გული.

### ჰასტინგსი

წადი, დაბრუნდი შენს ბატონთან და დაამშვიდე.  
ცალ-ცალკე კრების ნუ ეშინის: ერთს დავესწრებით  
მე და ის თითონ და მეორეს ჩვენი კატესბი,  
ჩემი ერთგული მეგობარი. იქ ჩვენ შესახებ  
რაც გარდაწყდება, ყოველიფერს მალე შევიტყობ.  
უთხარ, ეგ შიში ფუყეა-თქო და უსაფუძვლო;  
და რაც კი სიზმარს შეეხება, მე დიდად ვკვირობ,  
რომ მოუსვენარ ძილის ნაყოფს ის ყურს ათხოვებს.  
კაცი თუ ტახსა გაექცევა, რაიც მას არ სდევს,  
მხეცსა ეგ უფრო წააქეზებს გამოსადგომად,  
თუმცა იქნება უკან დევნას სულ არ ჰფიქრობდა.  
წადი, უთხარი შენს ბატონს, რომ ადგეს და ეხლავ  
ჩემთან მოვიდეს, — ტოუერში ჩვენ ერთად წავალთ,  
და თითონ ნახოს, ტახი როგორ ტკბილად მოგვეპყრას.

### შიკრიკი

წავალ, ბატონო, მოვახსენებ თქვენს ნაბრძანებსა.

(შიკრიკი გადის შემოდის კატესბი).

### კატესბი

მრავალ კარგ დილას ვუნატრი თქვენს ბრწყინვალეებასა.

### ჰასტინგსი

ჩემო კატესბი, გამარჯვება! ადრე ამდგარხარ.  
რა ამბავს მეტყვი ამ მღელვარე სახელმწიფოსას?

### კატესბი

მართლა რომ, მილორდ, იგი ფრიად ცუდად ირყევა,  
და წელშიაც ვერ გამაგრდება, ვიდრემდე რიჩარდ  
არ დაიშვენებს თავს გვირგვინით.

### ჰასტინგსი

რა გვირგვინს ამბობ,

ნუ თუ სამეფოს?



კ ა ტ ე ს ბ ი

სწორედ, მილორდ.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

უწინამც თავი

ტანზედ ნუ მბმია, ვიდრე ვნახო მეფის გვირგვინი  
დადგმული ეგრე უკადრისად. განა გგონია,  
ცდილობს შოვნასა?

კ ა ტ ე ს ბ ი

დამიჯერე, ძალიან ცდილობს,  
იმედიცა აქვს შენი, როგორც პირველ მომხრესი  
და ჭილდოს ნაცვლად გაცნობებს ამ საამო ამბავს,  
რომ დედოფლისა ნათესავეებს, შენს უწყალო მტრებს  
დღესვე პომფრეტში ამოსწყვეტენ.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მართლაც ისინი

მუდამ ყოფილან ჩემი მტრები და იმათ სიკვდილს  
მე არ ვიგლოვებ. მაგრამ მაინც თუნდ ესლავ მომკლან,  
არ ვულალატებ ჩემის მეფის ნამდვილ მემკვიდრეთ  
და არ მივკერძავ რიჩარდს ტახტსა.

კ ა ტ ე ს ბ ი

ღმერთმა ყოველთვის

ამყოფოს თქენი ბრწყინვალეობა მაგ კეთილ აზრზედ.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

არა და, კარგი ის არის, რომ ვინც მაძულებდა  
ჩემს ხელმწიფესა, ეხლა იმათ დასასრულს ვხედავ, —  
წელიწადიც კი არ მეყოფა სასაცილოდა.

იცი, კატესბი, ვიდრე ორი კვირა გაივლის,  
მაგავ მწარე გზას გავუყენებ ბევრს კიდევ სხვასაც.  
რომელთ თვის ბედი აზრითაც ვერ გამოუხახავთ.

კ ა ტ ე ს ბ ი

საძაგლობაა, ოჰ, სიკვდილი, ბატონო ჩემო,  
როცა მზად არ ხარ და არც ელი.

## ჰასტინგსი

### საშინელება

არის მართლაც. აი აკი ეგ დაემართათ რივერსს, ვოგანს და გრეის; სხვებსაც ეგევე მოუვათ ზოგიერთებსა, უვნებლად რომ ჰგონიათ თავი, ისევე როგორც ვით მე და შენა, და მიჩნეულნიც, შენც კარგად იცი, ჰყავს ბუქინგამს და მთავარ რიჩარდს.

### კატესბი

ორნივე შენ პატევს გცემენ დიდსა. (იქით) და მაგ შენ თავსა საპატიოდაც ხიდის ყურზედ ძელს ააგებენ.

## ჰასტინგსი

ეგ კარგად ვიცი და ღორსადაც დავიმსახურე. —

(შემოდის სტენლი).

მშვიდობა შენი, კარგად ყოფნა. აბა, რა უყავ სატახე შუბი? გეშინიან, რომ ტახს არ შეხვდე და უსაჭურვლოდ გამოდიხარ?

### სტენლი

დილა მშვიდობის.

მილორდ კატესბი, გამარჯვება. — შენ ხუმრობ, მაგრამ ჭვარს ვფიცავ, სულაც არ მომწონს ეს ცალ-ცალკე კრება.

## ჰასტინგსი

მილორდ, მე შენზედ ეს სიცოცხლე ნაკლებ არ მიყვარს და არაოდეს არ ყოფილა ისე ძვირფასი ვფიცავ ის ჩემთვის, ვით ღლეს არის. როგორ გგონია, ჩვენს თავს უვნებლად რომ არ ვგრძნობდე, ასე ვიქნები კმაყოფილი და მხიარული?

### სტენლი

როცა ის ლორდნი,

პომფრეტს რომ სხედან, ლონდონიდან გავიდნენ, მათაც თავი უვნებლად ეგონათ და მხიარულობდენ.

ან კი რა სჭირდათ საშიშარი! მაგრამ ხომ ჰხედავ, როგორი ბნელი ღღე დაუდგათ; არ მომწონს სწორედ ესე უცები მტრობის ჩენა, წიხლის ჩაზელა.

ღმერთმა ინებოს, რომ ეს შიში ტყუილი იყოს. —  
აბა არ წავალთ ტოუერში? გათენდა კიდეც!.

ჰასტინგსი

აქ მო, რა გითხრა. — იცი, მილორდ, იმ ვაჟბატონებს,  
შენ რომ ამბობდი, დღეს თავები დააყრევინეს.

სტენლი

იმათ შეეძლოთ თავი ტანზედ უფრო პირნათლად  
ეტარებინათ, ვიდრე თავზედ ქუდი მათ მსაჯულთ.  
ეხლა კი წასვლის დროა, მილორდ.

(შემოდის გზირი).

ჰასტინგსი

ამ კაი კაცთან

სათქმელი რამ მაქვს, თქვენ წინ წადით. —

(გაღიან სტენლი და კატესბი).

როგორ გიკითხო,

ამ ქვეყანაში როგორ სცხოვრებ?

გზირი

კარგად, ბატონო,

იმით უფრო, რომ ღირსი გავხდი თქვენგან კითხვისა.

ჰასტინგსი

მეც ეხლა უფრო კარგადა ვარ მაშინდელზედა,  
როცა აქავე ერთხელ შეგხვდი. მაშინ დედოფლის  
მომხრე, თვისტომთა ჩაგონებით მე ტოუერში  
ტყვედა მგზავნიდენ; და დღეს კია, ჩუმად გაცნობებ,  
არავის უთხრა, — იმავ ჩემს მტრებს თავები დასჭრეს  
და მეც უკეთეს გუნებაზედ არსად ვყოფილვარ.

გზირი

ნუ მოგიშალოთ ეგ ქეიფი ღმერთმა ნურა დროს.

ჰასტინგსი

მადლობელი ვარ. აჰა, ეს შენ ჩემ სადღეგრძელოდ.

(ქისას გადაუგდებს).

გზირი

მიცოცხლოს ღმერთმა თქვენი თავი.

(გაღის. შემოდის მღვდელი).

მ ღ ვ დ ე ლ ი

ოჰ, კარგად შეგხვდით.

მიხარის დიდად თქვენი ხილვა, ბატონო ჩემო.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

სულით და გულით გმადლობ, მღვდელო. მართლა, მე შენთვის  
იმდღევანდელი საწირავი არ მომიცია.

შაბათს მოდი და ჩაგაბარებ.

(შემოდის ბ უ კ ი ნ გ ა მ ი).

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ლორდო კანცლერო,

მღვდელთან ბაასით შეექცევი. მღვდელი სჭირიათ  
შენს მეგობრებსა, აწ პომფრეტის ციხეს რომ სხედან,  
შენ კი ჯერ, ვგონებ, არა გაქვს-რა სააღსარებო.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მართლაც, როდესაც შევეყარე ამ წმიდა მამას,  
მყისვე ისინი გამახსენდნენ. ტოუერს მიხვალ?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დიაღ, მივდივარ, მაგრამ დიდხანს იქ ვერ ვაყოვნებ  
და შენზედ აღრე წამოვალ მე.

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

უეჭველია,

რადგან სადილად მე იქ ვრჩები.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი (იქით)

და ვახშმადაცა,

თუმც შენ ეგ აზრად არ მოგსვლია. — აბა, ბატონო,  
წამობრძანდები?

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

მიბრძანდი და მეც ვიახლებით. (გაღიან).

## წმკპთი III

### პომფრეტის ციხის კარმიდამო.

(შემოდის რატკლიფი. დარაჯებს რივერს, გრეი და  
გოგან დასასჯელად მოჰყავთ).

#### რივერსი

სერ რიჩარდ რატკლიფ, ამას გეტყვი, რომ დღეს შენ ნახავ  
ერთ ქვეშევრდომის სიკვდილს მისის სიმართლისათვის,  
ერთგულობისთვის, თავის ვალის შესრულებისთვის.

#### გრეი

აჭოროქ ღმერთმა პრინცი მაგ თქვენ ურჯულო ზროვას,  
ბრბო შეკრებილხართ დაწყევლილთა, სისხლისმწოველთა.

#### გოგან

ერთ დროს ამ საქმეს თქვენც იგლოვებთ ვაი-ვუითა.

#### რატკლიფი

თქვენის სიცოცხლის ყამმა განვლო, ჩქარა, კარგია.

#### რივერსი

ოჰ, პომფრეტ, პომფრეტ, ციხევ, სისხლში ამოვლებულო,  
დიდებულათთვის საბედშავო და სავალალო!  
მაგ შენ ცოდვიან კედლებ შიგნით რიჩარდ მეორე  
ცოცხლივ აჰკაფეს ასო-ასო და აი ჩვენცა  
ეხლა უმანკო სისხლს გასმევთ, რომ შენმა დანახვამ,  
უიმისოდაც საზიზღმა, კაცთ თრთოლვა მოჰგვაროს.

#### გრეი

ჩვენ აგვისრულდა მარგარიტას წყევლის სიტყვები,  
ჰასტინგსს, თქვენ და მე რომ მოგვმართა იქ დასწრებისთვის,  
როცა იმის შვილს ჩასცა დანა რიჩარდ გლოსტერმა.

#### რივერსი

იმან რიჩარდიც ხომ დასწყევლა, თან ბუკინგამიც,  
ჰასტინგსიც მათთან. შეუსრულე წყევლა მათზედაც,  
მაღალო ღმერთო, როგორც ჩვენზედ უსრულებ დღესა!

მაგრამ ჩემს დას და იმის შვილებს აკმარე ჩვენი  
უბრალო სისხლი, დანთხეული უსამართლობით.

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ნულარა დგახართ, დრო გავიდა.

რ ი ვ ე რ ს ი

მოდი აქ, გრეი,  
ვოგან, შენც მოდი, ერთმანეთსა გადავეხვიოთ;  
მშვიდობით, ვიდრე ცაში ერთად არ შევიყრებით.  
(გადაიან).

#### ს უ რ ა თ ი IV

ლონდონი. დარბაზი ტოუერში.

(მაგიდასთან სხედან ბუკინგამი, სტენლი, ჰასტინგსი, ელის  
ეპისკოპოსი, რატკლიფი, ლეველ და სხვანი. ხელ-  
ქვეითნი მათ მსახურობენ).

ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

ჩვენ შევიყარეთ, დიდებულნო, დღეს იმისთვის, რომ  
წესი გვირგვინის კურთხევისა დავაბოლოოთ.  
აბა, გთხოვთ, ბრძანოთ, რა დღეს ვნიშნავთ ტახტზედ  
ასვლისთვის?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაგ. დღესასწაულს რაც ეკუთვნის, ყველა მზად არის?

ს ტ ე ნ ლ ი

ყოველისფერი, მხოლოდ ვადა უნდა დავნიშნოთ.

ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

მაშ, ჩემის აზრით, ხვალ რომ მოხდეს, კარგი იქნება.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ლორდი-მფარველი ამ საგანზედ ნეტა რას ჰფიქრობს, —  
არავინ იცის? ვინ გვეტყვის მის გულის პასუხსა?

ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

შენს უკეთესად, ვგონებ, არვის ეცოდინება.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ჩვენ ერთმანეთის სახე ვიცით, გულის პასუხს კი იგი ჩემსასაც ისე იცნობს, როგორც მე თქვენსას, და მეც იმის გულს ისე, როგორც თქვენ ჩემსას იცნობთ. ლორდ ჰასტინგს, თქვენ კი ერთმანეთი ძალიან გიყვართ.

## ჰ ა ს ტ ი ნ გ ს ი

დიდადა მწყალობს თუმც მთავარი, მადლობა ღმერთსა, მაინც იმისი აზრი მეფის კურთხევის გამო არ შემიტყვია და არც თითონ უნებებია თავის სურვილის გამჟღავნება. მაგრამ დრო-ჟამი თვით თქვენ დანიშნეთ, დიდებულნო, მეც ჩემ ხმას მოგცემთ მთავრის სახელით, რასაც ვგონებ ის არ უარჰყოფს.

## ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

აი, მთავარიც მობრძანდება თითონვე აქა.  
(შემოდის გ ლ ო ს ტ ე რ ი).

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

დილა მშვიდობის, ნათესავნო და დიდებულნო! დიდხანს მეძინა მე დღეს, მაგრამ ვიმედუეულობ, ჩემი არ ყოფნა კეთილს აზრს არ დააბრკოლებდა და უჩემოდაც ჭეროვანს გზას ამოირჩევდით.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მისწრებასავით ეხლავ რომ არ მოსულიყავით, ლორდი ჰასტინგსი აპირებდა თქვენ მაგიერად კურთხევის გამო ხმის მოცემას.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ნებაცა ჰქონდა:

ჰასტინგსი კარგად იცნობს ჩემ გულს, ვუყვარვარ კიდევ. — მართლა შენს ბაღში, ჩვენო ელის ეპისკოპოსო, ამას წინად რომ ჰოლბორნს ვიყავ, მე შევეამჩნიე ძალიან კარგი მარწყვი; გთხოვ, რომ მოატაინო.

## ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

ეხლავ მოგართმევთ სიხარულით. (გაღის).

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

### ბუკინგამ, შენთან

სათქმელი რამ მაქვს. —

(განზედ გაიყვანს)

ჩვენს საქმეზედ გამოუცდია  
კატესბის ჰასტინგს; ჭირვეულობს თურმე და ცხარობს,  
ამბობს, თავიც რომ მომკვეთონო, ვერ დაეთანხმდები,  
ჩემს ბატონიშვილს, — მოწიწებით ასე უწოდებს, —  
ინგლისის ტახტი წაართვანო.

### ბუკინგამი

გადით აქედან

პატარა ხანსა და მეც მოგდევთ.

(გ ლ ო ს ტ ე რ ი გადის, უკან ბუკინგამი მისდევს).

### სტენლი

ჯერ კიდევ მაინც,  
დღესასწაული ვერ დავნიშნეთ, თუ როდის იყოს.  
ხვალინდელი დღე არ ივარგებს, მეტად ანლოა  
და აი თვით მეც ვერ მოვასწრობ მომზადებასა  
ისე, როგორც მსურს, კუთხების დღეს თუ არ გადავდებთ.  
(ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი უკან დაბრუნდება).

### ე ლ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი

მთავარი გლოსტერ სად ბრძანდება? კაცი გავგზავნე,  
როგორც მიბრძანა, ბალში მარწყვის მოსატანადა.

### ჰასტინგსი

დღეს კარგ ქეიფზედ, მხიარულად ბრძანდება იგი.  
საამო ფიქრი დასტრიალებს ალბათ რალაცა,  
რაკი მშვიდობის დილა ისე გულით გვინატრა.  
კაცს ვერ ჰპოებთ, რომ მაგასავით უძნელდებოდეს  
დაფარვა თავის სიყვარულის და სიძულვილის.  
მაგის წადილი ჩანს სახეზედ, ვით ხელის გულზედ.

### სტენლი

დღეს რა დაატყე, რას ნიშნავდა იმისი სახე?

\*



### ჰასტინგსი

ის დავატყე, რომ კმაყოფილი არის ყველასგან.  
თორემ თვალებში შევამჩნევდით.  
(გლოსტერი და ბუკინგამი დაბრუნდებიან).

### გლოსტერი

ერთი მითხარით,  
რის ღირსი არის ის, ვინც სიკვდილს ჩემსასა ცდილობს,  
წყეულის გრძნების ეშმაკეულ მახეში მახვევს  
და ჯოჯოსეთურ ჯადოქრობით ავნებს ჩემს სხეულს?

### ჰასტინგსი

ბატონო ჩემო, სიყვარული ჩემი თქვენდამი  
მაკადნიერებს და პირველი მე ვიღებ ხმასა  
ამ დიდ კრებაში ბრალეულთა განსაკითხავად;  
ვინც უნდა იყოს, სიკვდილისა ღირსია იგი.

### გლოსტერი

მაშ შეამოწმეთ თქვენის თვალთ მათ მანქანება,  
ნახეთ, როგორი ჯადო მიყვეს. აი, ეს მკლავი  
დამიჭკნა სრულად, დაემსგავსა ხის გამხმარ შტოსა.  
ედვარდის ცოლმა დამასვა ეს ეშმაკის დალი,  
იმ საზარელმა კუდიანმა, თვით უნამუსო  
შოურის ცოლთან თითქო განგებ შეთანხმებულმა.

### ჰასტინგსი

ბატონო ჩემო, თუ იმათ ჰქმნეს...

### გლოსტერი

თუსაც მიბედავ?!  
მწყალობელი ხარ, ვიცი, შენ იმ უნამუსოსი  
და თუებით გსურს იმის შველა, შე მუხანათო! —  
გააგდებინეთ ეს ლავ თავი! წმიდა პავლეს მადლს  
ვფიცავ, პურს არ ვჭამ, ვიდრე თავი ტანზედ აბია. —  
ლეველ და რატკლიფ, აღსრულებას მე თქვენ მოგანდობთ. —  
აბა, ვინც ჩემი ეშთეულია, უკან გამომყვეს.  
(გადიან ყველანი ჰასტინგსს, ლეველს და რატკლიფს  
გარდა).

## ჰასტინგსი

ოჰ, ვაი ინგლისს! მე სრულიად ჩემს თავს არ ვტირი, რადგან შემეძლო ავცდენოდი სიკვდილს, თუ ასე მიმნდობი არა ვყოფილიყავ. აკი სიზმარში ნახა სტენლიმ, რომ ტახმა ზუჩი მოჰგლიჯა თავზედ, მაგრამ მე ყურიც არ ვათხოვე, უარყვავ წასვლა, დღეს ჩემმა ცხენმა სამჯერ ჩემ ქვეშ წაიფორხილა და ტოუერის დანახვაზედ შეკრთა, ყალყს შედგა თითქო არ სწადდა, მოვეყვანე ამ საყასბოში! წედან მღვდელი რომ შემხვდა გზაზედ, ეხლა მჭირია, და ვნანობ რისთვის გავუბი გზირს ბაასი მასზედ, თუ ვით ვიყავი მხიარული და კმაყოფილი, რომ ჩემი მტრები დღეს პომფრეტში მთლად ამოჟლიტეს, მე კი უშიშრად ავიფარე წყალობის კალთა. —  
ოჰ, მარგარიტა, მარგარიტა! საზარლად ახლა ბედკრულ ჰასტინგსზედ შენი წყევლა.

## რატკლიფი

### უგვიანდება

მთავარს სადილი. ჩქარა, მილორდ, ნულარ მოჰყვები გრძელ აღსარებას; მოუთმენლად ელის შენს თავსა.

## ჰასტინგსი

ოჰ, რა ამოო ყოფილხარ შენ, კაცთა წყალობავ, თუმცა შენ შოვნას მეტად ვცდილობთ ღვთის წყალობაზედ, ვინც თვის იმედის კომქს ჰაერში შენით იშენებს, მთვრალს მენავეს ჰგავს ანძის წვერზედ აცოცებულსა, რომელს უფსკრულში ჩანთქმა ელის ოდნავ რყევაზედ.

## ლეველი

წამოდი ჩქარა, ჩივილი რას გამოგადგება?

## ჰასტინგსი

მოსისხლე რიჩარდ, ოჰ, ინგლისო, ბედუკუდმართო! წინადვე ვგრძნობ, რომ დრო მოგდის შენ უსაზარლესი, რაც არა ბედკრულ ქვეყანას ჯერ არ განუცდია. აჰა, მომჭერით თავი და ძღვნად მიართვით რიჩარდს. ვინც მე დამცინის, გაუდგება მალე ჩემს კვალსა. (გაღიან).

იგივე ქალაქი. ტოუერის გაღვან შიგნით.

(შემოდინ გ ლ ო ს ტ ე რ და ბ უ კ ი ნ გ ა მ უ ა ნ გ ი ა ნ ს ა ჭ უ რ ვ ე ლ შ ი, თითქო მეტად აღელვებულნი).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აბა, ბუკინგამ, მოახერხებ კანკალს, ფერის ცვლას, სუნთქვის შეწყვეტას, ვიდრე სიტყვას გაათავებდე, კვლავ დაწყებას, კვლავ გაჩერებას, თითქო შიშით გამოგლეოდეს გონება და თრთოდე, დელავდე?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ჰჰ! მენდე, შიგბაძო ჩინებულად ღრმა მსახიობთა, ლაპარაკის დროს აქეთ-იქით თვალებს ვაცეცებ, ვიმზირებ უკან, ავთრთოლდები ჩალის ფაჩუნზედ, სახეს ვაჩვენებ ეჭვით სავსეს; გინდა მკვდარივით გაენაცრისფრდები, გინდა ძალად მოვიგვრი ღიმილს; ჩემს ეშმაკობას ხელს შეუწყობს თავთავის დროსა შიშიც, სიცილიც. მაგრამ ერთი გამაგებინე, წავიდა თუ არ იქ კატებსი?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ბ რ უ ნ დ ე ბ ა კ ი დ ე ც .

ჰხედავ, ლორდ-მერი მოჰყავს აქა.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მ ე დ ა მ ა ნ ე ბ ე

ბაასი მასთან. — (შემოდინ ლ ო რ დ - მ ე რ ი და კ ა ტ ე ს ბ ი).  
ლორდო-მერო...

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ა ს ა წ ე გ ხ ი დ ს ა

მიჰხედეთ ჩქარა!

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ს ს უ , დ ა ფ ის ხ მ ა !

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ზ ღ ლ დ ე ს ა ც ყ უ რ ი

უ გ დ ე , კ ა ტ ე ს ბ ი .

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

თქვენთან, მერო, მისთვის მოვგზავნეთ...

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

მიბრუნდი ჩქარა, თავს უშველე, მტერი დაგვესხა!

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მწედ გვეყავდეს ღმერთი, მერე ჩვენი უბრალოება.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ნუ გეშინიან, მეგობრები ყოფილან თურმე,

რატკლიფ და ლეველ.

(შემოდინ რ ა ტ კ ლ ი ფ ი და ლ ე ვ ე ლ და თან ჰასტინგსის მოჭრილა თავი მოაქვთ).

## ლ ე ვ ე ლ ი

აი, თავი წუწკის ჰასტინგსის,  
საშიშ ორგულის, თუმც ერთგულად მიჩნეულისა!

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ისე მიყვარდა ეგ კაცი, რომ ლამის ავტირდე,

არა მჯეროდა, ქვეყანაზედ თუ იქნებოდა

მისებრ გულლია, უვნებელი ქმნილება სადმე.

იგი ჩემს წიგნად გარდავქმენ მე, რაშიც ეს ხელი  
ნიშნავდა წვერილად თავის ფარულ აზრთა მსვლელობას.

ისიც თავის ბიწს სათნოების ფერით ჰფერავდა  
ისეთ სიმარჯვით, რომ ეს ბრალი არ ყოფილიყო  
მეტად აშკარა — ეს კავშირი შოურის ცოლთან,  
ყოველს ეჭვს გარე იცხოვრებდა ბედნიერებით.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ჯერ მაგისთანა ჩუმჩუმა და ცრუ ავაზაკი

არსად ყოფილა ცისქვეშეთში. — (მერს) წარმოიდგენდი,

ბატონო მერო, ანუ განა დაიჭვრებდი,

თუ რომ ღვთის მაღლით სიცოცხლე არ გადაგვრჩენოდა

და ჩვენის ენით არ გვეუწყა, რომ იმ მუხანათს

განზრახვა ჰქონდა, დღევანდელს დღეს რჩევის დარბაზში

მეც მოვეკალი და გლოსტერიც, მთავარი ჩვენი.

მაგას რას ბრძანებ?!  
 □

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ ოსმალნი ხომ არა ვართ ჩვენ,  
 ან ურჯულონი, რომ კანონის წესთ წინააღმდეგ  
 მოგვეკვლევიან ასე სწრაფად ის არამზადა,  
 თუ მართლა ხიფათს არ ველოდით მეტად საშიშსა?!  
 რად ვიქმოდით, თუ დასასჯელად არ წავექვზეთ  
 სურვილს ინგლისის მშვიდობისას და თავის დაცვას!

### მ ე რ ი

ღმერთმა მშვიდობით აწ გამყოფოთ, ღირსი ყოფილა  
 ის სიკვდილისა და თქვენც კარგად გადაგიხდიათ.  
 ველარ გაბედვენი მაგ საქციელს სხვა მუხანათნი.  
 მეც იმისაგან კარგს აღარას გამოველოდი,  
 შოჰურის ცოლს რომ ისე ახლო დაუკავშირდა.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაინც სურვილი ჩვენი იყო არ დაესაჯათ,  
 ვიდრე მის სიკვდილს, მერო, შენც არ დაესწრებოდი.  
 მაგრამ ჩვენს სურვილს წინ გადუდგა ამ ჩვენ მეგობართ  
 აჩქარებული ერთგულება; უამისოდ კი  
 შენის ყურითვე მოგასმენდით ორგულის სიტყვებს  
 და გაჩვენებდით, ვით მოშიშრად აღიარებდა,  
 რა განზრახვაცა ჰქონდა იმას ჩვენს წინააღმდეგ.  
 მაშინ შეგეძლო ეს გეცნობა ქალაქელთათვის,  
 რომელნიც ჩვენვე გვაკისრებენ იქნება ბრალსა  
 და იმის სიკვდილს დასტირიან.

### მ ე რ ი

ბატონო ჩემო,  
 საკმარისია შენი სიტყვა, — წარმოვიდგინო,  
 ვითომ მენახოს, გამეგონოს ჩემის ყურითვე;  
 და ნუ გაქვთ ეჭვი, დიდნო პრინცნო, საფუძვლიანად  
 გავაცნობ მაგ თქვენს სამართლიანს მოქმედებასა  
 ჩვენთა ერთგულთა მოქალაქეთ.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩვენც მაგისათვის  
მოგიწოდეთ აჟ, რომ დაგვიხსნა ქვეყნის ყბისაგან.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რაკი თავის დროს ვერ მოხვედი, ვით ჩვენა გესურდა,  
როგორც გაუწყეთ, ეს განზრახვა ისე აცნობე.  
ღმერთსა ვთხოვ კარგად ბრძანდებოდე, ბატონო მერო.  
(ლორდ-მერი გადის).

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

აბა, ბუკინგამ, უკან გაჰყევ, მერი გილდჰალში  
მიეჩქარება და როცა დრო მოგეცეს მარჯვე,  
სიტყვა გადაჰკარ ედვარდის შვილთ უკანონობას.  
აცნობე, ერთი მოქალაქე ედვარდმა როგორ  
მოაკვლევინა მხოლოდ იმის წარმოთქმისათვის,  
დავუმტკიცებო ჩემს შვილს გვირგვინს. იმ უბედურს კი  
გვარეულობის ნიშნად ჰქონდა გვირგვინი თურმე.  
კვლავ მოაგონე გარყვნილება მისი საზიზღი,  
დაუდგრომლობა ავხორცობის საგნის ძებნაში,  
რაც არ ინდობდა არცა მხეველთ, არც ცოლთ, არც ქალთა  
და მონადირე მხეცივითა ეძებდა თვის მსხვერპლს  
ყველგან, სადაც კი მისწვდებოდა იმისი თვალი,  
ცოფით აღსავსე და ან გული აღვირახსნილი.  
თუ კი დაგჭირდეს, ნუ დაინდობ თვით ჩემ მშობელსაც:  
სთქვი, როდესაც კი დაორსულდა იმის დედა-თქო  
იმ გაუმადლარ ედვარდზედა, მაშინ იორკი,  
იმისი მამა, საფრანგეთში ლაშქრად იყო-თქო;  
და ანგარიშით თვალსაჩინოდ შეამჩნეინე,  
რომ მამიჩემის მონაშენი არ იყო ედვარდ.  
მაინც სახეზედ ეს ნამდვილად ეტყობოდა-თქო  
და არა ჰგავდა სრულიად მის დიდებულ მამას.  
ამას სიფრთხილით გაჰკარ სიტყვა, ვით შორეულ ხმას,  
ხომ იცი, მილორდ, დედაჩემი ჯერ ცოცხალია.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ნუ გეფიქრება, მე ჩემ სიტყვებს ისე მოვკაზმავ,  
თითქო ის ოქროს ჯილდო, რასაც მე ვუვექილებ,  
ჩემთვისვე იყოს დანიშნული. აწ კი მშვიდობით.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

თუ გაიმარჯვე, ბენინარდის ციხეში ხალხი  
წამოიყვანე. იქ ვიქნები მეც; გარს მერტყმთან  
ღირსნ მამანი, განსწავლულნი ეპისკოპოსნი.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მუ გიახლები. სამს საათზედ, ანუ ოთხზედა  
ამბებს ელოდე გილდჰალიდან. (გაღის).

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

ლეველ, საჩქაროდ  
დოქტორ შოუსთან გაემგზავრე. (კატესბის) შენ  
პენკერ ბერთან,  
ორთავ უთხარით ბენინარდის ციხეში დამხვდენ  
ამ ერთ საათში. —

(ლეველ, კატესბი და რატკლიფ გაღიან).

ახლა შევალ შიგნით ციხეში  
და ბრძანებასა გავცემ ფარულს, მიმალონ სადმე  
ის ბაჭყალები კლარენსისა. ვუბრძანებ კიდევ,  
პრინცებთან არვინ არ მიუშვან ღვთის გაჩენილი.  
(გაღის).

## ს უ რ ა თ ი VI

იგივე ქალაქი. ქუჩა.

(შემოდის მწერალი).

## მ წ ე რ ა ლ ი

აი, ეს ოქმი ბრალდებაა ლორდ ჰასტინგსისა,  
ჩემგან ლამაზად სწორე ხელით გადაწერილი  
დღეს წასაკითხად წმიდა პავლეს ეკლესიაში.  
ახლა გასინჯეთ ერთი კარგა, რა ამბავია:  
წუხელ კატესბიმ მომიგზავნა გადასაწერად;  
ამ გადაწერას მე მოვუნდი თერთმეტ საათსა, —  
შავის წერასაც ხომ ამდენი დასჭირდებოდა —  
და ამ ხუთ საათს წინად კია ჰასტინგს მშვიდობით

იმყოფებოდა თავისუფლად, ბრალდაუდები.  
რა ქვეყანაა, ღმერთო ჩემო! ისეთი ხეპრე  
ვინ არის ნეტა, რომ არ მიხვდეს ამ ტყუილ ხრიკებს?  
მაგრამ თქმასაც კი ვინ გაბედავს, ვინ იტყვის: „მივხვდი?“  
წახდა ქვეყანა, კეთილს არას უნდა ველოდეთ,  
რაკი ამ ბოროტ საქმეთ ჩუმად, აზრით-ლა ვამჩნევთ!  
(გადის).

## ს უ რ ა თ ი VII

იგივე ქალაქი. ბენარდის ციხის ეზო.

(გ ლ ო ს ტ ე რ და ბ უ კ ი ნ გ ა მ ე რ თ მ ა ნ ე თ ს შე ხ ვ ე ბ ი ა ნ).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რა ამბავს მეტყვი, რას ამბობენ მოქალაქენი?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რალას ამბობენ, დამუნჯდენო ყველანი თითქო,  
ღვთის მშობლის მადლსა გეფიცები, ხმას არ იღებენ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შეეხე კია ედვარდის შვილთ უკანონობას?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

სუყოველისფერს: შეუღლებას ლედი ლუსისთან,  
კიდევ სხვის პირით ცოლის შერთვას საფრანგეთშია,  
მის ავხორცობის სიმსუნაგეს გაუმძღარსა,  
ძალის მიტანას ამ ქალაქის დედაკაცებზედ,  
თვით უმნიშვნელო საგნებშიაც ფიცხ მტარვალობას;  
სიტყვა გავკარ მის ნაბიჭვრობას, ვთქვი, საფრანგეთში  
იმყოფებოდა იმის მამა, როცა ის გაჩნდა  
და სახითაცა მთავარ იორკს სულ არ ჰგავს-მეთქი;  
თან მოვაგონე მეტყველება შენის სახისა, —  
თავის მშობლების მზგავსია ის ყოველისფერში  
სახითაც-მეთქი და მალალის გონებითაცა.  
გავაცან შენი გამარჯვება შოტლანდიაში,



ომის დროს წესის დამყარება, ომ შემდეგ ბრძნულად თავის დაჭერა, თავმდაბლობა, კეთილი გული, რაც ჩემს განზრახულს ერთის სიტყვით ხელს შეუწყობდა. ყველას შევეხე ლაპარაკში, ყველა ვაცნობე. როს დავასრულე, ვუთხარ მე მათ: ვისაც სიკეთე უნდა კი-მეთქი თავის ქვეყნის, მაღლა შესძახოს: „ღმერთმა რიჩარდსა გაუმარჯოს, ინგლისის მეფეს!“

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მათაც ხმა მოგცეს?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

არ დაუძრავთ კრინტიც, მერწმუნე. უსიტყვო ქანდაკთ დამზავსნენ, მოსუნთქავ ქვათა და ერთმანეთსა მკვდრებივითა მისჩერებოდენ. ვუსაყვედურე ეს რომ ვნახე და ვკითხე მერსა, რასა ნიშნავდა მოქალაქეთ კერპი სიჩუმე. მან მითხრა, ხალხი დაჩვეული არ არის, სიტყვა ისმინოს სხვისი, თუ არ თავის გზირებისაგან. მაშინ ერთ გზირსა დავავალე ეთქვა, რაც მე ვთქვი, და ისიც მოჰყვა, მთავარს ასე სურს და ბრძანებსო, თუმცა თავისით არაფერი მიუმატნია. როს მორჩა, ზოგთა ჩვენთა მომხრეთ დარბაზის ბოლოს ქუდები მაღლა აისროლეს და ათიოდემ შესძახა კიდევ: „გაუმარჯოს მეფე რიჩარდსო!“ მეც ეს ყვირილი ზოგიერთთა გამოვიყენე და ვუთხარ: „გმადლობთ, მეგობარნო, მოქალაქენო, თქვენი საერთო სიხარული, ქების კიყინა ამხელს თქვენს ჭკუას, თქვენს სიყვარულს რიჩარდისადმი“, აქ მოვჭერ სიტყვა და წამოველ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ოჰ, რა უენო

კუნძნი არიან! არა სთქვეს-რა, მერე მაგაზედ?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ხმა არ დაუძრავთ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მაშ არ მოვლენ მერი და იმის

თანაშემწენი?

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

აქ გაჩნდება მერი საცაა.  
შეშინებულსა დაემზგავსე, არ მისცე ნება.  
თუ დიდის თხოვნით არ მოგმართეს შენთან ბაასის.  
ხელში ლოცვანი დაიჭირე, გვერდს დაიყენე  
საეკლესიო ორნი პირნი და მაგ საფუძვლით  
ქებას მიუუძღვნი შენს მოსავ გულს. შენ მაინც კიდევ  
უარზედ იღევ და ჩვენს თხოვნას ნუ შეიწყნარებ  
აგრე ადვილად, — დაემზგავსე ქალწულსა ქალსა,  
არა, არა-თქო სულ იძახე და დათანხმდი კი.

## გ ლ ო ს ტ ე რ ი

აი, მივდივარ, და თუ მათ მხრივ ისე კარგად მთხოვ,  
როგორც ჩემის მხრივ უარს გეტყვი, ეჭვი არ არის,  
რომ საქმეს მარჯვედ და კეთილად დავაბოლოებთ.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ადი ტერასზედ, აგერ მერი კარს არახუნებს. —  
(გ ლ ო ს ტ ე რ ი გადის. შემოდის ლ ო რ დ-მ ე რ ი, მისნი თ ა ნ ა შ ე მ-  
წ ე ნ ი და მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი).  
მობრძანდი, მერო, აქ დარაჯად ავყუდებულვარ...  
ვგონებ, არ ჩადის მთავარი, რომ ელაპარაკონ. —  
(ციხიდან კ ა ტ ე ს ბ ი შემოდის).  
აბა, კატესბი, ჩემ თხოვნაზედ რა სთქვა მთავარმა?

## კ ა ტ ე ს ბ ი

ის გვედრებათ, ბატონო, რომ ხვალ, ან ზევ ნახოთ,  
ეხლა გართული არის იგი ღვთის სამსახურში  
ორს კურთხეულ ღირს პირთან ერთად და არ ნდომულობს  
საამქვეყნიო საქმეთათვის ზეცას დაეხსნას.

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

იახელ კიდევ შენ, კატესბი, მოწყალე მთავარს,  
აცნობე, რომ მე, მერი და მის თანაშემწენი  
მისთვის მოვედით, რათა მეტად მძიმე საქმეზედ,  
ქვეყნის სიკეთის შესახებზედ მოვესაუბროთ.

## ქ ა ტ ე ს ბ ი

ეხლავ წავალ და მოგახსენებ ყველაფერს აგრე. (გადის).

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

სად ედვარდი და სად ეს პრინცი! შენც ჰხედავ, მილორდ,  
ეს გარყვნილების სარეცელში როდი ფუფუნებს, —  
მუხლის თავებზედ სდგას და ზეცას ესაუბრება;  
კი არ არსიყობს სასახლეში ტურფა ქალებთან,  
ორს ღვთის მსახურთან ლოცვა-ფიქრში გართული არის;  
კი არ ისუქებს ზარმაც სხეულს წოლით და ძილით,  
თავის ფხიზელ სულს ზეციურის განძით ამდიდრებს.  
ბედს ეწეოდა ინგლისი, რომ ამ სათნო პრინცსა  
ეკისრა მასზედ ხელმწიფება, მაგრამ, მგონი, ვერ  
დავიყაბულოთ.

### მ ე რ ი

გვიხსნას ღმერთმა უარის თქმისგან!

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მე კი ვამბობ, რომ უარს გვეტყვის, აგერ კატესბი.

(კ ა ტ ე ს ბ ი დაბრუნდება).

რა ბასუხს გვეტყვი?

## კ ა ტ ე ს ბ ი

ჰკვირობს დიდად, რათ შეყრილაო

მოქალაქეთა გროვა ერთად აქ მოსასვლელად

და ჩემთვის კიო არაფერი უცნობებიათ.

შიში აქვს შენი, ბოროტს რასმე თუ მიპირობსო.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ოჰ, დიდად ვწუხვარ, რომ ეგეთი ეჭვი შემოაქვს  
ჩემში ჩემს კეთილ ნათესავსა. მოწმად ცა მომყავს,  
რომ სიყვარულის მეტი გულში მე არა მაქვს-რა  
და გთხოვ ასედაც აცნობო მას ერთხელაც კიდევ.

(კ ა ტ ე ს ბ ი გადის)

როცა ღვთის კაცნი, ღვთის მოსავნი კრიალოსანსა

აყოლებენ მათ წმინდა აზრებს, ცასთან საუბარს,

ძნელია, რომ ეს ტუბილნი ფიქრნი დაათმობინო.

(შემოდ გაღერებაში გამოჩნდება გ ლ ო ს ტ ე რ ი ო რ ე პ ი ს კ ო ბ ო ზ ს  
შუა. კ ა ტ ე ს ბ ი დაბრუნდება).

## შ ე რ ი

ავერ, მთავარი გამოჩნდა ორ წმიდა პირს შორის.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ეგ ქრისტიანის პრინციპათვის არიან სწორედ დასაყრდნობელნი ყავარჯენნი, რომ ქვე არ დასცეს თავმოყვარებამ, ცრუმ და ფუჰმა. ჰხედავ, ხელთა აქვს ლოცვანი, სათნო სამკაული წმინდა კაცთათვის. — სახელოვანო პლანტაგენეტ, მოწყალე პრინცი, ყური მოაპყარ სულგრძელობით ამ ჩვენს თხოვნასა და მოგვიტევე, რომ ეგ სამღვთო ლოცვა და ფიქრი შევაწყვეტინეთ.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

რა ღირსი ვარ მე მაგ ქებისა!

პირიქით თქვენგან მოტევენას ვითხოვ, რომ ესრედ ღვთის სამსახურით გართობილმა ჩემთა მეგობარტ აქ ზოსვლას ყური არ ვათხოვე. დავეხსნათ ამას და გთხოვ, მაცნობო გამორკვევით შენი სურვილი.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მეც იგივე მსურს, იმედი მაქვს, რაც ზემოდ ღმერთსა და ამ უთავო კუნძულზედა ყოველ კეთილ კაცს.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე კი ვშიშობ, ხომ არაფერი არ დავაშავე, არ ვაწყენინე ამ ქალაქის კეთილ მცხოვრებტა და ამ შეცდომის გასაკიცხად ხომ არ მოსულხარტ.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დიად, ბატონო, დააშავეტ და ჩვენც გვწაღია, რომ მოგამოროტ ამ თხოვნით ეგ დანაშაული.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

აი მეც მზა ვარ. მაშ რიღასთვის ეცოცხლობ ამ ქვეყნად!

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

დანაშაული თქვენი იგი გახლავტ, ბატონო, რომ უარსა ჰყოფტ უმაღლესს ტანტს, დიდებულს ხარისხს,

თქვენთა წინაპართ სკიპტრა მპყრობელს თანამდებობას,  
 შთამომავლობით, ბედით თქვენდა ჯეროვნად ნარგებს,  
 დიდებას ამ თქვენს დიადს სახლში დამკვიდრებულსა;  
 უთმობთ თქვენ ამას გარყვნილებით აღსავსე ჯილაგს  
 და ეძღვევით ღრმა ძილის მომგვრელ მყუდრო ფიქრებსა,  
 რომელთაგან ჩვენ ვცდილობთ ეხლა გამოგაფხიზლოთ  
 ამ ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ. მართლაც ღაღადით  
 ითხოვს ეს დიდი კუნძული თვის საკუთარ შტოსა;  
 უწმინდურობით შეჰბლაღვია სახიერება,  
 მაჟალო, პანტა უმყნიათ მის სამეფო ხეზედ  
 და ლამის შთანთქას ბნელ უფსკრულმა პირდაღებულმა,  
 მისცეს იგი ძილს საუკუნოს და მივიწყებას.  
 სწორედ ამ სენის სამკურნალოდ ვედრებითა გთხოვთ,  
 ამ ქვეყანაზედ ხელმწიფება თქვენ კისრად იდოთ  
 არა ვითარცა მფარველმა, ან სამაგიერომ,  
 დაყენებულმა კარს დარაჯად სხვის ხელსაყრელად,  
 არამედ როგორც მემკვიდრემა კანონიერმა  
 მამითგან შვილზედ გადმოცემულ სამეფოისამ.  
 აი, ამისთვის თანხმობით ამ მოქალაქეთა,  
 თქვენთა ქვეშევრდომთ, თქვენთა ერთგულთ,  
 პატივისმცემელთ,  
 მე აქ გხლებივართ ამათთავე ძალდატანებით,  
 რომ შეგასმინოთ ეს წადილი სამართლიანი.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვერა მითქვამს—რა და არც ვიცი, რა უფრო ჰფერობს  
 ჩემს ღირსებასა და თქვენს ყოფას: მუნჯად გაგშორდეთ,  
 თუ საყვედური გავიბედოთ გამწარებულმა?  
 რომ უპასუხოდ დაგტოვოთ თქვენ, შესაძლო არის,  
 იფიქროთ ენა დაუბაო თავმოყვარებამ  
 და თანხმდებაო, ჩუმად ზიდოს ოქროს უღელი  
 ხელმწიფებისა, რასაც აგრე ხალისით მიდგამთ.  
 და თუ უარყვავ თქვენი თხოვნა შეზავებული  
 მაგ ერთგულებით, სიყვარულით, მაშინ ხომ დიდად  
 ვაწყეინებ ჩემ მეგობართა. გადაწყვეტილი  
 ჩემი პასუხი მაშ ეს არის: — ამით ავიცდენ

უსიტყვობასაც და მეგობართ წყენასაც სიტყვით.  
 მადლობას გიძღვნით თქვენის ეგეთ სიყვარულისთვის,  
 მაგრამ არ ღირსვარ, შეგისრულოთ ეგ დიდი თხოვნა,  
 ჯერ ყოველივე დაბრკოლებაც რომ ამაცილონ  
 და გამივაკდეს გვირგვინამდე მისასვლელი გზა,  
 რომ მეკუთვნიოდეს კიდევ ტახტი შთამომავლობით, —  
 მაინც გონება ჩემი ისე სუსტია, დუნე,  
 ისე სავსე ვარ ყოველგვარის ძლიერის ნაკლით,  
 რომ ჩემს დიდებას მევე უნდა ვემალებოდე,  
 ვით სუსტი ნავი, რაც ვერ იტანს მღვლეარე ზღვასა;  
 თორემ დიდების სიმძიმის ქვეშ გავიჭყლიტები,  
 ამოვიღრჩობი ფუჭ სახელის ოხშიერის ბუღში.  
 მაგრამ ღვთის მადლით მე საჭირო არა ვარ თქვენთვის, —  
 და ვიყო კიდევ, ბევრს არაფერს შეგეწეოდით —  
 რადგან სამეფო ხემ ნაყოფი ხომ მოგვცა თვისი,  
 რასაც თვის ყამზედ მოამწიფებს მომავალი დრო  
 და მას ჯეროვნად დიდებული ტახტი შეპფერის.  
 იგი კმაყოფილ გვყოფს უთუოდ თავის ქვეშევრდომთ.  
 რასაც თქვენ მაძღვეთ, მე იმისთვის გადამიცია;  
 იუფლოს იმან ბედნიერად თავის ნაკუთვნიზე  
 და ღმერთმა ნუ ჰქმნას, ეს როდისმე მას გამოვწირო.

#### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რაც თქვენა ბრძანეთ, ამტკიცებს თქვენს მაღალ სინიღისს,  
 მაგრამ თუ კარგად ჩავიხედავთ, საქმეს გავსინჯავთ,  
 ვნახავთ მაგ თქვენის საბუთების უსაფუძვლობას:  
 თქვენ ბრძანებთ, ვითომ ეღვარდ თქვენი ძმისწული იყოს,  
 ჩვენც ვამბობთ, მაგრამ იმის ცოლის შვილი არ არის,  
 რადგან პირველად შეეუღლა ლედი ლიუსის —  
 თვით დედათქვენიც შეამოწმებს მიცემულ აღთქმას —  
 და შემდეგ დასა საფრანგეთის მეფისას, ბონას,  
 პირობა მისცა ცოლ-ქმრობისა სხვა კაცის პირით.  
 დავესნათ თუნდა ამ ორთავეს, ამ ბოლო დროს ხომ  
 უბრალო გვარის დედაკაცმა, მრავალშვილთ დედამ,  
 მჰყნარმა შვენებამ, უსასოომ, ქვრივმა, ოხერმა  
 თავის უკეთეს, სანატრელ დღეთ მოღამების დროს

მის ხარბი თვალი დაატყვევა, გაამსუნაგა  
და ქვე დაამხო მის ღირსება ისე ძლიერად,  
რომ გააბრიყვა სამარცხვინო ორცოლობამდე!  
და ეს ედვარდი, თავაზით რომ პრინცად ვიხსენებთ,  
იმან შესძინა უკანონო სარეცელს მწოლმა!  
ბევრს კიდევ მწარეს ვიტყოდი მე, მაგრამ ზოგიერთ  
ცოცხალთა ხათრით ისევ უნდა ხმა ჩავიკმინდო.  
მაშ გვედრებით კვლავ, პრინცო, ეს მორთმეული  
ძღვენი მიიღოთ, ხელმწიფება ღირსად თავს იღვათ,  
თუ არა ჩვენდა სასიკეთოდ, ქვეყნის სახსნელად,  
იმისთვის მაინც, რომ წინაპართ ნაანდერძევი  
მოაშოროთ ჟანგს სამარცხვინოს ღრო-ჟამით ნაცხებს,  
და დააყენოთ კანონიერს, შესაფერ გზა-კვალს.

მ ე რ ი

მილორდ, დათანხმდით, გვედრებით მოქალაქენი.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ნუ ეტყვით უარს ამათ ძღვენსა, გულით მორთმეულს.

კ ა ტ ე ს ბ ი

შვება მოჰფინეთ, ისმინეთ ხმა სამართლიანი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ოჰ, ნეტავ რად გსურთ, თავს რად მახვევთ მაგდენ  
საზრუნავს?!

მე არ შევფერი არც სამეფოს, არც მის ღიღებას.  
გთხოვთ, ეს ცუდად არ ჩამომართვათ, არ შემიძლიან  
და არც სურვილი მაქვს მაგ თხოვნის ასრულებისა.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

რაკი უარზედ დგახართ აგრე და გენანებათ  
თქვენი ძმისწულის მეფის ტახტით გადაყენება, —  
მიზეზი ვიცით, ვიცნობთ თქვენს გულს მოსიყვარულეს,  
თქვენს გულჩვილობას, დედაკაცის შესაფერ გრძნობას,  
არამც თუ მარტო თვისტომთადმი, თვით ყველასადმი —  
რაკი აგრეა, უარს იტყვით, თუ დათანხმდებით,  
იცოდეთ მაინც თავისდღეში ჩვენ თქვენს ძმისწულსა

ჩვენზედ არას დროს არ ვამეფებთ, სხვას დავსვამთ ვისმე  
თქვენის ოჯახის სამარცხვინოდ, ქვე-დასამხობად  
და ამ განზრახვით გეთხოვებით; წამოდით, ხალხნო,  
გეფიცებით ღმერთს, არას ვითხოვ, კრინტს აღარ დავძრავ.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

მილორდ ბუკინგამ, ნუ ფიცულობ, ღმერთს ნუ ახსენებ.  
(გადის ბუკინგამი; თან მისდევენ მერი, თანაშემწენი და  
მოქალაქენი).

### კ ა ტ ე ს ბ ი

უკანვე უხმეთ, დაეთანხმეთ, ბატონო ჩემო,  
თორემ უარით შეაწუხებთ მთელ ჩვენ სამეფოს.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

გინდათ, რომ ძალით ქვეყნის ტვირთი მაკისრებინოთ?  
რა გაეწყობა! წადი, უხმე. (კატესბი გადის) კლდე ხომ არა ვარ,  
რომ ეგ გულწრფელი თხოვნა თქვენი არ შევისმინო,  
თუმც სინიდისი ეხლაც კიდევ ნებას არ მაძლევს.  
(ბუკინგამი, კატესბი, მერი და სხვანი დაბრუნდებიან).  
ბუკინგამ, ჩემო ნათესავო, და თქვენ დაბრძნილნო  
დარბაისელნო! რადგან ჩემსა დაუკითხავად  
ამ ბედის ჩარხის ტვირთს ზურგს მადგავთ, უნდა ვიტვირთო  
და მოთმინებით ვზიდო იგი. მაგრამ თუ ცილი,  
ან საყვედური შევბნელ სახე მოჰყვა ამ ტვირთსა,  
ბოდიშად უნდა მქონდეს მე ეგ ძალდატანება  
და ამარიდოს უწმინდური ლაქა და ჭუჭყი.  
ღმერთი მყავს მოწმად და თქვენც, ვგონებ, საკმაოდ ჰხედავთ,  
თუ ვით შორს არის ჩემგან მეფედ ყოფნის სურვილი.

### მ ე რ ი

გადილოთ ღმერთმა! კარგად ვხედავთ და ვიტყვიტ კიდევ.

### გ ლ ო ს ტ ე რ ი

თქვენ იტყვიტ მხოლოდ სიმართლესა და სხვა არარას.

### ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაშ გადღეგრძელებთ ამ სამეფო ღირსების მზიდავს, —  
იცოცხლე დიდხანს რიჩარდ, მეფე ინგლისისა!



## მერი და სხვანი

ამინ, იცოცხლე!

ბუკინგამი

ხვალ ინებებთ გვირგვინის დადგმას?

გლოსტერი

როგორც თქვენ გსურდეთ.

ბუკინგამი

მაშ, ბატონო, ხვალ გიახლებით.

და ეხლა კია მხიარულნი მოგიძღვნით სალამს.

გლოსტერი (ეპისკოპოსებს)

აბა, ჩვენ კვალად შევუდგეთ ჩვენს წმიდა საქმესა.

მწვიდობით, ჩემო ნათესავო, თქვენც, მეგობარნო!

(გაღიან).

## მოქმედება მეოთხე

### სურათი I

ლონდონი. ტოუერის ციხის კარმიდამო.

(შემოდინ: ერთი მხრივ დედოფალი ელისაბედ, მისი დედამთილი, იორკის მთავრის მეუღლე და დორსეტი; მეორე მხრივ ანნა, მთავარ გლოსტერის მეუღლე, რომელსაც თან მოჰყავს ახალგაზრდა მარგარიტა პლანტაგენეტი, ქალი კლარენსისა).

იორკის მთავრის მეუღლე

ეს ვინ მოდიან? თავის კეთილ ძალუას მოჰყავს, გლოსტერის ცოლსა ჩემი შვილის კლარენსის ქალი. თუნდ დავიფიცავ, ტოუერში მიდიან მისთვის, რომ მიესალმონ სიყვარულით ახალგაზრდა პრინცთ.— მწვიდობა შენდა, შვილო ჩემო.

ანნა

ღმერთმა ორივეს

სიხარული და შვება მოგცეთ საუკუნოდ.

ელისაბედ დედოფალი  
აგრეთვე შენცა, ჩემო დაო, საით მიდიხარ?

ანა

მე? ტოუერში. როგორც ვატყობ, თქვენც იქით უნდა მიბრძანდებოდეთ ახალგაზრდა პრინცთ სათაყვანოღ ჩვენსავე მზგავსად.

ელისაბედ დედოფალი

გმადლობ, დაო; ერთად წავიდეთ. —  
(შემოდის ბრაკენბიური).

ეს ციხის მცველიც კარგ დროს გაჩნდა.—შეგვატყობინე, პრინცი და ჩემი შვილი იორკ როგორ არიან?

ბრაკენბიური

კარგად გახლავან, დედოფალო, მაგრამ კი თქვენთან ბოდიშს მოვიხდი: მათი ნახვის ნებას ვერ მოგცემთ, — ხელმწიფისაგან ეს სასტიკად აღკრძალული მაქვს.

ელისაბედ დედოფალი

ვინ ხელმწიფისგან?

ბრაკენბიური

მთავარ-მფარველს მოგახსენებდით.

ელისაბედ დედოფალი

ოჰ, ღმერთმა იგი დაიფაროს მაგ ღირსებისგან!  
ის როგორ უნდა გაეხილოს მათ და ჩემ შორის;  
დედა ვარ მათი, რომელს ძალუძს წინ გადამიდგეს!

იორკის მთავრის მეუღლე

მე მათის მამის დედა ვარ და მათი ნახვა მსურს.

ანა

კანონით მათი ძალუა ვარ და გულით დედა.  
მაჩვენე-მეთქი მე ისინი და მიკისრია  
რაც რომ სასჯელი შენ მოგელის, მე გავცემ პასუხს.

ბრაკენბიური

არა, ბატონო, მაპატიეთ, მაგას ვერ ვიზამ;  
ფიცით გახლავართ მე შეკრული და ფიცს ვერ გავტეხ  
(გადის. — შემოდის სტენლი).

## ს ტ ე ნ ლ ი

ერთ საათ შემდეგ რომ შეგყროდით, ბატონო ჩემო,  
მოწიწებითა თაყვანს გცემდით, როგორც დედასა  
ორის მშვენიერ დედოფლისას. — (გლოსტერის მეუღლეს)

თქვენ კი, ბატონო,  
უნდა მობრძანდეთ აწ ვესტმინსტერს და იქ ეკურთხოთ  
მეფე რიჩარდის დედოფლად.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, გამიჭერით

მკერდზედ ზონარი, რომ გზა მისცეთ ამ შემწყვდეულ გულს,  
თორემ საზარელ ხმების სმენა ბოლოს მომიღებს.

ა ნ ნ ა

სავაგლახო და საბედშავო ამბები არის.

დ ო რ ს ე ტ ი

დედავ, გთხოვ, გული გაიმაგრო; როგორ ბრძანდები?

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნულარას მეტყვი, დორსეტ, დორსეტ, წადი აქედან!  
ჩრდილივით მოგდევს შენ სიკვდილი, განადგურება  
და დედიშენის სახელი შვილთ ჭირად გარდექცათ.  
თუ გასურს გადარჩე მწარე სიკვდილს, ზღვები გასცურე,  
რიჩმონდს მიმართე, მოაშორე თავი ჯოჯოხეთს!  
ოჰ, წადი-მეთქი, ამ საყასბოს, წადი, განშორდი,  
რომ შენის გვამით მკვდართა ხროვა არ გამძრავლო;  
დეე, მე მოვკვდე მარგარიტას წყევვისა მსხვერპლად  
უქმროდ, უძეოდ, მეფის ტახტით ჩამოგდებული.

ს ტ ე ნ ლ ი

ბრძნული რჩევაა, დედოფალო, ეგ თქვენი რჩევა. —  
(დორსეტს) რაც შეიძლება დააჩქარე და მეც ჩემ შვილთან  
წერილს მოგცემ, რომ დაგეხმაროს; ის წინ დაგხვდება.  
აქ დაყოვნებას აღარ გირჩევ, საჩქაროდ წადი.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ოჰ, უბადრუკო ქარიშხალო, ხალხთ მიმომზნევო!  
ჰოი, წყეულო საშოვ ჩემო, სიკვდილის ბუდევ!

ჯოჯო დაპბადე შენ ამ ქვეყნად შხამ-გესლიანი,  
რომლის დანახვას თან უთუოდ სიკვდილი მოსდევს.

### ს ტ ე ნ ლ ი

მე აქ საჩქაროდ გამომგზავნეს; გთხოვთ წამობრძანდეთ.

ა ნ ნ ა

ვთქვამო ამ მოსვლას, თუმც მოვდივარ! ოჰ, ნეტავი კი  
ის ოქროს რგოლი, რომელსაც მე თავზედ დამადგამთ,  
ხალვერდალივით გახურდეს და ტვინამდე ჩამწვას,  
მირონის წილად სასიკვდილო გესლი შუბლს წამცხვით  
და დღე მომესპოს, ვიდრე ხალხი იგალობებდეს:  
„ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალსა!“

### ე ლ ი ს ა ბ ე დ ე დ ო ფ ა ლ ი

წადი, საბრალო!

არა მშურს შენთვის ეგ დიდება, ტანჯვას ნუ ნატრობ,  
ვერ დამიამებ მაგით ამ გულს.

ა ნ ნ ა

რატომ ნუ ვნატრობ?! —

როს დღევანდელი ჩემი ქმარი მოვიდა ჩემთან,  
როცა მიცდევდი ჰანრის გვამსა, ჯერ არც კი ჰქონდა  
ხელიდან სისხლი გაბანილი ჩემის პირველის  
ანგელოზ ქმრისა და მდებარე ჩემ წინ წმინდანის, —  
რომ დავინახე იმის სახე, მყის ეს შევძახე:  
„წყეულიმც იყავ ჩემებრ ნორჩის დაქვრივებისთვის!  
ცოლს რომ შეირთავ, შენს ლოგინში იბუდოს ჭირმა  
და შენი ცოლი, თუ კი ცოლად წამოგყვა ვინმე,  
ჰკვიდან შეშლილი, უბედურ ჰქმნა შენის სიცოცხლით  
იმაზედ მეტად, ვით შე ჩემის ქმრის სიკვდილით მყავ!“  
და აი უცებ, ვიდრე წყევლის თქმას მოვასწრებდი,  
განმეორებით თვის თაფლიან სიტყვა-პასუხით  
მთლად დამიტყვევა სუსტი გული დედაკაცისა  
და მევე მიმცა მსხვერპლად ჩემსავ საკუთარ წყევას;  
არ ღირსებია მოსვენება მასუკან ჩემ თვალთ,  
ერთ საათსაც კი არ მიგრძენია მე მის საწოლში  
მკურნალის ძილის ოქროს ცვარი: ყოველ წუთს და წამს

გულგახეთქილი ვიღვიძებდი საშიშ სიზმრებზედ.  
ამას გარდა მას მამიჩემის ვარციკის გამო  
ვძულვარ მე დიდად და ეცდება, უეჭველია,  
ამ ცოტა ხანში მომიშოროს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

გაი საბრალო!

მძვიდობით იყავ; ვწუხვარ მე შენს უბედურებას.

ა ნ ნ ა

და შენზედ მეტად მე შენსას ვწუხ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, უბადრუკო

მიმგებებელო დიდებისა, მშვიდობით იყავ.

ა ნ ნ ა

მშვიდობით იყავ, შენც, ბედკრულო, მის დამკარგველო.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

(დორსეტს)

წადი რიჩმონდთან, ბედი იყოს შენი მფარველი! —  
(ანნას) წადი რიჩარდთან, ანგელოზნიმც თან მოგყოლიან!

(ელისაბედ დედოფალს)

წადი სალოცავს და წმინდა ფიქრთ ნუ განიშორებ. —  
მე საფლავს ჩავალ მშვიდობის და მოსვენებისთვის:  
ოთხმოცი წელი გამოვცადე მწუხარებისა,  
წამის სიხარულს აქარწყლებდა შვიდ დღის ვარამი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მცირეს შეჩერდით და მივმართოთ ერთად ტოუერს. —  
შეიწყალეთ თქვენ, ძველო ქვებო, ის ნაზნი ბავშვნი,  
შურიტ და მტრობით ჩაკეტილნი თქვენს კედლებ შუა!  
მეტად სასტიკი აკვანი ხარ შენ იმ ნორჩთათვის!  
ოჰ, უჟამურო ბერო ძიძავ, მათ არ საფერო!  
მაინც გთხოვ კარგად მოუარო ჩემს პატარებსა, —  
ეს ჰკვაშეშლილი ვარამი შენს ქვებს ესალმება.

## ნ უ რ ა თ ი ი

იგივე ქალაქი, სახელმწიფო დარბაზი სასახლეში.  
(საყვირის ხმა. შემოდის რიჩარდ გლოსტერი ხელმწიფის  
ტანისამოსში, ბუკინგამ, კატესზი, პაუი და სსგანე).

რიჩარდი

მწყობრად დადექით. — ნათესავო ჩემო, ბუკინგამ!

ბუკინგამი

რა გნებავთ, ჩემო ხელმწიფეო?

რიჩარდი

ხელი მომეც აქ. (ადის ტახტზე)

შენის რჩევით და დახმარებით მეფე რიჩარდი  
ავიდა ესეთ მაღალ ტახტზედ. მაგრამ ეს მითხარს  
მხოლოდ ერთის დღით შევიმოსე მე ეს დიდება,  
თუ მუდმივია და ხანგრძლივად უნდა ვტკბებოდე?

ბუკინგამი

ნუ მოგეშალოთ უკუნითი უკუნისამდე!

რიჩარდი

ჩემო ბუკინგამ, ესლა უნდა გამოგცადო შენ,  
თუ მართლა ხალას ოქროსი ხარ. ედვარდ ცოცხალი  
არის ჯერ კიდევ... მიხვდი კარგად, რისიც თქმა მინდა.

ბუკინგამი

ბრძანეთ და გისმენთ ხელმწიფეო.

რიჩარდი

რალა გიბრძანო,

ხელმწიფედ ყოფნა მწადიან მე!

ბუკინგამი

ბრძანდებით კიდევც,

ჩემო სამგზისად დიღო მეფევე, სახელგანთქმულო.

რიჩარდი

ვარ კი სწორედა? ვთქვათ, მაგრამა ედვარდ რომ ცოცხლობს?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მართალსა ბრძანებთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

რა მწარეა, ოჰ, ეს სიტყვები,  
ცოცხალიაო ედვარდ კიდევ! „მართალსა ბრძანებთ!“  
უწინ, ბუკინგამ, როდი იყავ აგრე ჭკვასუსტი. —  
პირდაპირ გითხრა? იმ ნაბიჭვრებს დახოცა უნდა  
და მე მსურს, ეხლავ შესრულდეს ეს. აბა რას იტყვი?  
ნუ გააგრძელებ, მოკლელა სთქვი.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ნება თქვენია.

რ ი ჩ ა რ დ ი

ნეტა რამ შეგკრა, ყინულად რამ გადაგაქცია?  
მათის დახოცვის თანახმა ხარ, თუ არა, მითხარ.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ნება მიბოძეთ, თავისუფლად ამოვისუნთქო,  
ვიდრე გადაჭრილს პასუხს რასმე მოგახსენებდეთ.  
ეხლავ უკანვე გიახლებით. (გაღის).

კ ა ტ ე ს ბ ი (ჩუმაღ ერთს კარისკაცს)

ხელმწიფე ჯავრობს;  
როგორ იკვნეტავს ტუჩებს, ჰხედავ?

რ ი ჩ ა რ დ ი

რაკი აგრეა,  
უწვრთნელ ბაღებთან, ტვინმაგრებთან დავიჭერ საქმეს;  
(ჩამოდის ტახტიდან)  
არავინ მინდა, რომ ჩემს გულში იხედებოდეს!  
ზე აცოცებულს ბუკინგამს აწ დასჩემებია  
გარშემო ცქერა სიფრთხილისთვის, — ჰეი, ყმაწვილო!

პ ა უ ი

ჩემო ხელმწიფევე?

რ ი ჩ ა რ დ ი

არვის იცნობ, რომ საიდუმლოდ  
იკისროს კაცთკვლა მომხიბვლელის ოქროს წყალობით?

### პ ა ჟ ი

ვიცნობ ერთ ჩაგრულს აზნაურსა, რომლის შეძლება მის სიამაყეს ვერა სწვდება და მას ოქროთი, ვით ოც მჭევრმეტყველ ორატორით, მას აქმნევიანებთ, რასაც ისურვებთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

რა ჰქვიან მას?

პ ა ჟ ი

ტირელი ჰქვიან.

რ ი ჩ ა რ დ ი

ცოტათი ვიცნობ, აბა, წადი აქ დაუძახე. — (პაჟი გადის), ჰკვას ძალას ატანს ეს ბუკინგამ, ღრმა ფიქრს ეძლევა და რჩევას რასმე მე მას აღარ დავეკითხები. აქამდის მუდამ თან მომდევდა დაუღალავად და თავისუფლად მომინდომა აწ ამოსუნთქვა! ძალიან კარგი. — (შემოდის სტენლი)

აბა, სტენლი, რა ამბავს გვეტყვი?

ს ტ ე ნ ლ ი

ჩემო ხელმწიფევე, მარკიზ დორსეტ იქ გაქცეულა, სადაც ზღვას იქით იმყოფება გრაფი რიჩმონდი.

რ ი ჩ ა რ დ ი

აქ მო, კატესბი, გაავრცელე შენ ყველგან ეს ხმა, ხელმწიფის ცოლი ანნა ძლიერ ავად არის-თქო, — მეც ვუბრძანებ, რომ ოთახიდან არსად გაუშვან. მიშოვნე კიდევ აზნაური უბრალო ვინმე, რომ ეხლავ, უცბად, ცოლად შევართო კლარენსის ქალი, — ვაჟი სულელი არის და რად უნდა ვშიშობდე! — რაო, სიზმარში ხომ არა ხარ, რაღას ჩაფიქრდი?! სიკვდილის პირზე დედოფალი მისულია-თქო, ასე სთქვი-მეთქი, — ჩემთვის მეტად საჭირო არის, ძირშივე მოვსპო, რაც მასუკან ხიფათს შემამთხვევს. —

(კატესბი გადის)

უთუოდ უნდა შევიერთო მე ჩემი ძმისწული, თორემ სამეფო ჩემი ფხვიერ ქვიშაზედა სდგას.



ძმებს დავუხოცავ და დას კია ცოლად შევირთავ!  
სახიფათოა თუმცა ეს გზა, მაგრამ მეტად ღრმად  
ჩავეიფალ სისხლში და ერთ ცოდვას მეორე მოსდევს.  
ცრემლისმფრქვეველი შენანება აქ ვერ იბუდებს. —

(შემოდის პაქი თან ტირელი მოჰყავს)

შენი სახელი ტირელია?

ტ ი რ ე ლ ი

ჯემს ტირელ გახლავთ

და მეც მორჩილი ყმა გახლავართ თქვენი, ხელმწიფე.

რ ი ჩ ა რ დ ი

მორჩილი კი ხარ?

ტ ი რ ე ლ ი

გამომცადეთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

მაშ შეგიძლიან

შემიკლა ერთი მეგობარი?

ტ ი რ ე ლ ი

რატომ, ბატონო,

მაგრამ მე ისევ ორ მტრის სიკვდილს ვამჯობინებდი.

რ ი ჩ ა რ დ ი

და მომიცია შენთვის კიდევ ეგ ორი მტერი,  
მომსპობნი ჩემი მოსვენების და ტკბილ ძილისა, —  
ბუშებზედ ვამბობ, ჩემო ტირელ, ცხებს რომ სხედან  
და რომელთ ეხლავ ვანდობ მაგ შენს ხელოვნებასა.

ტ ი რ ე ლ ი

გამიხსენით გზა, რომ მივაგნო, და ძლიერ მალე  
დაგიხსნით მეც მაგ შიშისაგან.

რ ი ჩ ა რ დ ი

რა ტკბილად გალობს!

აქ მოდი, ტირელ, ეს ნიშანი იქ თან წაიღე (უჩუჩულებს)  
ეს არის და ეს, კმარა შენთვის. მითხარ, მოვრჩი-თქო  
და ნახავ, როგორ შეგიყვარებ, წინ როგორ წავწევ.

ტ ი რ ე ლ ი

ეხლავე წავალ და შევასრულებ. (გაღის. შემოდის ბუკინგამი).

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ბატონო ჩემო,  
რაც წედან ბრძანეთ, ჩემის კუთხით ავწონ-დავწონე.

რ ი ჩ ა რ დ ი

დორსეტ რიჩმონდთან გაქცეულა, რა დროს ის არის!

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მეც გავიგონე ეგ ამბავი.

რ ი ჩ ა რ დ ი

სტენლი, გაფრთხილდი,  
ვეგონებ, ის შენი გერი არის.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ბატონო ჩემო,  
გთხოვთ, ის მიბოძოთ, რასაც უწინ პატიოსანის  
სიტყვით დამპირდით და ღირსებაც თავდებად დასდეთ.  
მე მოგახსენებთ იმ ჰირფორდის საგრაფოზედა  
თავის მოძრავის ქონებითა, როგორც აღმითქვით.

რ ი ჩ ა რ დ ი

სტენლი, გირჩევ მე, კარგად უგდო ყური შენს ცოლსა,  
თორემ თუ წერილს გაუგზავნის რიჩმონდს, მაშინ შენ  
გამცემ პასუხსა.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მე რა პასუხს მიბრძანებთ, მეფევ,  
ჩემს სამართლიანს თხოვნაზედა?

რ ი ჩ ა რ დ ი

მე კარგად მახსოვს, —  
ჰანრი მეექვსემ გულთმისნურად წარმოსთქვა, რიჩმონდ  
მეფედ იქნება ოდესმეო; მაშინ რიჩმონდი  
სულ ერთი ციციქნა ბალდი იყო. რიჩმონდი მეფე?!  
მაგრამ ვინ იცის!..

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ხელმწიფეო!

რ ი ჩ ა რ დ ი

წინასწარმთქმელმა

მიკვირს, მე იქ მდგომს რად არ მითხრა, შენ მას მოჰკლავო.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაშ რას მიბრძანებთ საგრაფოსას?

რ ი ჩ ა რ დ ი

გრაფი რიჩმონდი...

უკანასკნელად ექსეტერს რომ ვიმყოფებოდი,  
მერმა თავაზით გამასინჯა ციხე-დარბაზი  
და მითხრა: ამას რუჟმონ ჰქვია. მე უცბად შევეკრთი,  
რადგან როდისღაც ერთმა ბარდმა ირლანდიაში  
მითხრა: რიჩმონდს რომ ნახავ, დიდხანს ვერ იცოცხლებო.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

ჩემო ხელმწიფევ...

რ ი ჩ ა რ დ ი

რა დრო არის?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

კიდევე გავბედავ

და მოგავიწყებთ დაპირებულს.

რ ი ჩ ა რ დ ი

კარგი; რამდენი

საათი არის?

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

საცა არის, ათს საათს დაჰკრავს.

რ ი ჩ ა რ დ ი

ნუ უშლი, დაჰკრას.

ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

როგორ, ვუშლი?

რ ი ჩ ა რ დ ი

ალარ მეშვები

და მათხოვრობას ჩემს ფიქრებსა უპირდაპირებ.

დღეს მე გაცემის ქეიფზედა არა ვარ, არა...

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაშ გაღაწყვეტიო მიბრძანეთ ეს, მაძლეეთ, თუ არა?

## რ ი ჩ ა რ დ ი

მაწუხებ თხოვნით, დღეს ქეიფზედ არ ვარ-მეთქი.

(გაღიან ყველანი. ბ უ კ ი ნ გ ა მ ს გარდა).

## ბ უ კ ი ნ გ ა მ ი

მაშ ასეც არის, ასე მიხდის ერთგულ სამსახურს?

ასე მამცირებს? მეფედ მისთვის გავხადე რალა!

ნუ დავივიწყებ ჰასტინგსის ბედს და ვიდრე თავი

ტანზედ მაბია, გავეშურო ბრეკნოკს საჩქაროდ.

## ს უ რ ა თ ი III

მეორე ოთახი სასახლეში.

(შემოდის ტ ი რ ე ლ ი).

## ტ ი რ ე ლ ი

შესრულდა საქმე სამტარვალო და სამესისხლო, ავაზაკებრივ კაცის მოკვლა, რომლის ბადალში ჯერეთ ამ ქვეყნად არვის ხელი არ გაუსვრია. მე შევისყიდე ამ უწყალო ყასბის შესაფერ ავკაცობისთვის ორი კაცი, ფორესტ, დაიტონ, რომელნიც თუმცა გაუღენთილან ბოროტებითა და ძალღებვიით სისხლს ეძებენ, მაინც გულჩვილად, სიბრალულითა ტირილს მოჰყვენენ ბავშვების მზგავსად, მათის დახოცვის ბედშავ ამბავს როს მიამბობდენ. „ასე იწვენენო, აი, ასე საბრალო ბავშვნი“, ტირილით მითხრა დაიტონმა, „ასე იწვენენო“, განაგრძო სიტყვა მეორემა, „დიად, ასეო გადახვეულნი ერთმანეთთან მათის უმანკო მარმარილოს მზგავს მკლავებითა; მათი ტუჩები ჰგავდენ ოთხს წითელ ვარდის კუკურს, ერთ შტოზედ მობმულს,

გაზაფხულისა ეშხით ერთად ჩაკონებულსო.  
ბალიშზედ ედოთ ლოცვის წიგნი, რამაც ერთ ხანად  
შემაცვლევინა თითქმის ფიქრი“, ამბობდა იგივე,  
„მაგრამ ეშმაკი იყოს წყეულ...“ აქ კი გაჩერდა  
ის ავაზაკი და განაგრძო ისევ პირველმა:  
„ხელით დავადრჩეთ ქმნილებანი სრულნი ბუნების,  
რომელთაც ტოლი დასაბამით არა ჰყოლიათ“, —  
მერე წავიდენ, რა ეს მითხრეს, ისე ტანჯულნი  
სინიდისითა, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოახერხეს,  
მე კი აქ მოველ, ეს ამბავი მეცნობებინა  
სისხლით უძღები ხელმწიფისთვის. აგერა ისიც. —  
(შეშოდის მეფე რიჩარდი).

იცოცხლეთ დიდხანს, ხელმწიფეო!

რიჩარდი

ოჰ, ჩემო ტირელ,

საამო ამბავს მეტყვი რასმე?

ტირელი

თუ შესრულება  
თქვენგან მონდობილ საქმის რასმე გასიამოვნებთ,  
საამოს გეტყვით, რადგან იგი შესრულდა კიდევ.

რიჩარდი

შენ თითონ ნახე შენის თვალით დახოცილები?

ტირელი

დიაღ, ხელმწიფევ.

რიჩარდი

ჩემო ტირელ, დამარხე კიდევ?

ტირელი

არა, ისინი ციხის მღვდელმა ჩაჰვლა მიწაში,  
მაგრამ არ ვიცი, სწორე გითხრათ, რომელს ადგილას.

რიჩარდი

შენ ჩემთან ვახშამს უკან მოდი, მაშინ მიაბე  
დაწვრილებითა მათ დახოცვის სწორე ამბავი.  
მანამ იფიქრე, თუ რა ჯილდო გინდა შენ ჩემგან  
და მითვალე გადახდილად. წადი, მშვიდობით.

## ტ ი რ ე ლ ი

უმდაბლესს სალამს მოგახსენებთ. (გადის).

რ ი ჩ ა რ დ ი

კლარენსის ვაჟი

მაგრა ჩავკეტე; მივათხოვე ქალი ვილაც წუწქას;  
ედვარდის ძეთა აბრაამის წიაღში სძინავთ  
და ჩემი ცოლიც ანნა სოფელს გამოესალმა.  
ბრეტანიელი რიჩმონდ თურმე იმასა ცდილობს,  
ჩემი ძმისწული ელისაბედ ცოლად შეირთოს  
და ამ კავშირით ამაყად ტახტს ეპოტინება.  
უნდა დავასწრო და ჩემს ძმისწულს გამოვეცხადო,  
ვით ახალგაზრდა მოარშიყე, ცოლად მთხოვნელი.

(შემოდის კ ა ტ ე ს ბ ი).

კ ა ტ ე ს ბ ი

ბატონო ჩემო...

რ ი ჩ ა რ დ ი

აგრე უცბად რომ შემოდიხარ,  
კარგს ამბავს მეტყვი; თუ ცუდს რასმე?

კ ა ტ ე ს ბ ი

ცუდსა, ხელმწიფევ,

ელი რიჩმონდთან გაქცეულა და ბუკინგამსაც  
უელსელები შეუყრია მამაცთ მამაცნი  
და გაგდგომიათ... ძალას იკრეფს თანდათან თურმე.

რ ი ჩ ა რ დ ი

ელი და რიჩმონდ, უნდა გითხრა, უფრო მაფიქრებს,  
ვიდრე ბუკინგამ თავის მსწრაფლად მოგროვილ ჯარით.  
ეს შემჩნეული მაქვს, რომ შიში, ფიქრიანობა  
ჰკვას ზედ აწვება ტყვიასავით, ზანტობას აჩვენებს  
და სიზანტეს ხომ ლოკოკინის ბედი მოელის, —  
ადამიანსა აუძლურებს, გლახა მთხოვრად ჰხდის.  
მამ ფრთა შემისხი, ცეცხლისმფრქვევო სიჩქარ-სიმსწრაფდევ,  
მოდო, ხელმწიფევს უშიკრიკე, ცის ოტარიდო!  
შეპყარეთ ხალხი, ჩემი საბჭო ეს ფარი არის...  
ორგულნი ბრძოლად გასულაჲ, ჩვენც წუ ვიგვიანებთ.

(გადიან).

იგივე ქალაქი. სასახლის კარმიდამო.

(შემოდის მარგარიტა დედოფალი).

მარგარიტა

მომწიფდა თითქო დღეს იმათი ბედნიერება  
და სიკვდილს თვითვე უვარდება გახრწნილს ხახაში.  
აქ, ამ მხარეში ეშმაკობით შემოვიპარე,  
რომ ჩემთა მტერთა ქვე დამხობას თვალი ვადევნო.  
ჯერ საბედშავო დასაწყისსა დავესწარ მხოლოდ;  
აწ საფრანგეთში წავალ სავსე იმ იმედით, რომ  
შედეგიც ისე უბედური, მწარე მოჰყვება. —  
უკან, საბრალო მარგარიტა, ვილაცა მოდის...  
(უკან გადგება. შემოლიან ელისაბედ დედოფალი და  
იორკის მთავრის მეუღლე).

ელისაბედ დედოფალი

ოჰ, გენაცვალოთ დედათქვენი, საბრალო შვილნო!  
გაუფურჩქენლო ყვავილებო, სუნნელოვანნო!  
თუ თქვენი ტკბილი სული კიდევ ჰაერში ჰფრინავს  
და საუკუნო წიალს ჯერ არ დამკვიდრებულა,  
მოფრინდით ჩემთან, თქვენის ფრთებით გარშემომერტყით  
და მოისმინეთ დედითქვენის კენესა-გოდება!

მარგარიტა (იქით)

გარშემოერტყით და აცნობეთ, რომ სამართალმა  
სიცოცხლის დილა გარდაგიქმნათ ბნელ, წყვილიად ღამედ.

იორკის მთავრის მეუღლე

ამდენმა ტანჯვამ და ვარამმა ხმა ჩამიწყვიტა,  
დამქანცა დარდმა, დამამუნჯა მე უილაჯო! —  
ვაიმე, ედვარდ პლანტაგენეტ, რამ მოგკლა შენა?!

მარგარიტა (იქით)

პლანტაგენეტი გამიბრია პლანტაგენეტში,  
ედვარდმაც ედვარდს გადუხადა სიკვდილის ვალი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, ღმერთო, როგორ მოაშორე იმ ბატყნებს თვალი  
და ჩასაყლაპად დაანებე უწყალო მგელსა?!  
ან თუ გეძინა, როს ეს მწარე ამბავი მოხდა?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იქით)

...როცა ჰკვდებოდა წმიდა ჰანრი და ჩემი შვილი.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მკედარო სიცოცხლევე, ბრმა თვალეზო, საბრალო ჩრდილო,  
ვაებავე, ქვეყნის სამარცხვინო, საფლავის კერძო,  
სიცოცხლისაგან წანართმევო! განვლილ მწარე დღეთ  
სახსოვრის წიგნო, მოასვენე მოუსვენარი  
ეგ შენი გვამი ამ ინგლისის წმინდა მიწაში,  
უმანკო სისხლის დაქცევით რომ გაუწმინდურდა.  
(მიწაზედ დაჯდება).

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნეტა საფლავიც გამითხარო ეგრე ადვილად,  
როგორც შენს ზურგზედ ალაგს ვპოვებ განსასვენებელს;  
მაშინ ამ ჩემს ძვლებს ჩავმარხავდი დასვენების წილ.  
ოჰ, ვის ექნება სატირელი ჩემებრივ მწარე!  
(დაჯდება თავისი დედამთილის გვერდით).

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (წინ წამოდგება)

თუ ძველ ვარამსა მიაკუთვნებთ უმეტესს პატივს,  
მე უნდა მერგოს ეს პატივი და ჩემმა სევდამ  
ტანჯვის მეჯლისში დაიჭიროს თავი ადგილი,  
თუ მწუხარება მეზობლობას არ იუარებს.  
(დაჯდება იმათ გვერდით)

მოსთქვით კვლავ თქვენნი, ამ ჩემს ვარამს თვალით  
რომ ნახავთ:

მე მყავდა ეღვარდ, ვიდრე რიჩარდ მოჰკლავდა იმას;  
მე მყავდა ჰანრი, ვიდრე რიჩარდ მოჰკლავდა იმას;  
შენც გყავდა ეღვარდ, ვიდრე რიჩარდ მოჰკლავდა იმას;  
შენც გყავდა რიჩარდ, ვიდრე რიჩარდ მოჰკლავდა იმას.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მეც მყავდა რიჩარდ და ის რიჩარდ შენ მომიკალი;  
მე მყავდა რუტლანდ და იგიც შენ მოაკვლევინე.



## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

კლარენსიც გყავდა და რიჩარდმა მოგიკლა იგი.  
შენის მუცლიდან ჯოჯოხეთის ძალი გამოძვრა,  
რომელმაც ყველა სიკვდილის კარს მიგვრეკა ძალით.  
ლოჯები თვალწინ წაუყრია მაგ მურტალ ქოფავს,  
ნაკუწ-ნაკუწად ჰგლეჯს ის ბატკნებს და მათ სისხლს ლოღნის.  
შენმა საშომ შვა შემმუსრავე ღვთის ქმნილებათა  
მტარვალი, რომლის მზგავსი ჯერეთ არვის უნახავს.  
თვალის კაკლების ამომწველი ცრემლით-ტირილით,  
ოჰ, როგორ გმადლობ, ღმერთო, მუდამ სამართლიანო,  
რომ ანადირებ ამ წუწკ ძალს თვის დედის ნაშენზედ  
და სხვებთან ერთად ჭირისუფლად სვამ ამასაცა.

## ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ჰანრის მეუღლევე, ნუ გიხარის ჩემი ვარამი;  
ვიმოწმებ ღმერთსა, რომ მე შენსას მწარედ ვტიროდი.

## მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ნუ მიშლი ამას, მე მწყურთან შურისძიება  
და შესრულებულს რაკი ვხედავ, წყურვილს მით ვიკლავ.  
მოგიკვდა შენი ეღვარდ, ჩემის ეღვარდის მკვლელი,  
და მკვდარი არის ის მეორე შენი ეღვარდიც  
ჩემის საბადლოდ; სართად იყოს პატარა იორკ,  
რადგან თვით ორნივე ვერ უდრიან, ვერ შესწვდებიან  
ერთად იმ ჩემის დანაკარგის მაღალ ღირსებას.  
მკვდარია შენი კლარენს ჩემის ეღვარდის მკვლელი  
და ამ საზარელ შემთხვევისა თანადამსწრენი:  
გარყვნილი ჰასტინგს, მასთან რივერს, ვოგან და გრევი  
ყველა ჩაჰყარეს უდროო ღროს მათ ბნელ საფლავში.  
რიჩარდ ჯერ კიდევ ცოცხალია, ის ჯოჯოხეთის  
შავ-ბნელი ჩარჩი, რომელიც აქ სულეებს ყიდულობს  
და მერე ჰგზავნის ჯოჯოხეთსა; მაგრამ ახლოა,  
ახლოა-მეთქი მისი ბოლო დაუნანელი,  
მიწა იპობა, ჯოჯოხეთში ცეცხლს უკიდებენ,  
იღრინებიან ტარტაროზნი, წმიდანნი სთხოვენ  
უფალს, რომ იგი ამ ქვეყანას მალე განშორდეს,

მეც გთხოვ, უფალო, მის სიცოცხლის ძაფი გასწყვიტე!  
მომასწარ იმ დღეს, ვთქვა, წყეული ჩაძალღებულა!

### ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, შენ მართალი მითხარ, მოვა ისეთი დროო,  
როცა მე მთხოვო დახმარებას, რომ შეაჩვენო  
ის კუზიანი ჯოჯო, გონჯი, ბილწი ობობა.

### მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მაშინ გიწოდე ფუყე სახე ჩემის დიდების,  
უბრალო ჩრდილი, დედოფალა, ჩემის წარსულის  
ცრუ მიმზგავსება. მართლაც რა ხარ? სახარ აღლუმის  
ნიშანი რამე, სათვალთმაქცო, ზე-აღწეული  
მხოლოდ იმისთვის, რომ უეცრად თავქვე დაეშვა;  
ვითომ და დედა ორის სატრფო ტკბილის ბავშვისა,  
წარსულის ჩრდილი, ფუყე ბუმტი ქარად ნაქცევი,  
დიდების ნასკვი; მოფრიალე, ბრწყინვალე დროშა,  
უწყალო მტრისგან თვის ნიშანში ამოღებულე.  
ღიად, შენ სწორედ სათეატრო დედოფალი ხარ.  
აბა სად არის შენი ქმარი, ან შენი ძმები,  
შენი შვილები? რაღა დაგრჩა სასიხარულო?  
„ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალსა!“ ვილა იძახის?  
ვილა რასა გთხოვს? სად არიან ის ღიდნი კაცნი,  
მლიქვნელობით რომ ქედს იხრიდნენ შენსა წინაშე?  
სადღაა ეხლა ის ხალხის ბრბო, უკან რომ გდევდა?  
ეს მოიგონე ყველა და სთქვი, რა ხარ შენ ეხლა?  
ბედნიერ ცოლის ნაცვლად ქვრივი უბადრუკესი,  
მხიარულ დედის წილ თვით დედის ხსენების მგლოვი,  
დედოფლის ნაცვლად სევდა-ვარმის გვირგვინ დადგმული!  
გვედრებოდა ჯერ შენ ყველა, ეხლა შენ ჰვედრებ,  
მორჩილი იყო ყველა შენი, აწ არვინ არის;  
მაშინ შენ ზიზღით დამცქეროდი, აწ მე დაცქერი.  
მართლმსაჯულების ჩარხი ასე გადატრიალდა  
და შენ გარდაგქმნა დრო და უამის უბრალო მსხვერპლად.  
მოგონება-ლა შეგრჩა მისი, რაც უწინ იყავ,  
რომ შენის აწმყოს წარმოდგენით უფრო იტანჯო.  
ჩემი ხარისხი წამართვი შენ და არ იზრუნე

ხარისხთან ერთად თან წაგელო ჩემი ვარამიც.  
აწ ჩემის უღლის ნაწილი შენს ამაყ ქედზედ ძევს,  
მე მრავალ ტანჯულს ქედს დავადწევ ამა უღლიდან  
და შენ გაკისრებ მთელ ამ ტვირთსა. ეხლა მშვიდობიდა,  
დიდო იორკის მეუღლეო, სევდით პყრობილო!  
საფრანგეთს მივალ, იქ დავცინი ინგლისის ტანჯვას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, გთხოვ, გაჩერდი, ხელოვანო წყევლა-კრულვაში,  
მასწავლე, ჩემნი მტერნი როგორ დავწყევლო ხოლმე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ნუ გძინავს ღამე, დღე ნურას სჭამ და შეადარე  
ბედნიერება უწინდელი აწმყო ვარამსა;  
უფრო ღამაზად შენნი შვილნი წარმოიდგინე  
და უფრო გონჯად მკვლელნი, ვიდრე ნამდვილად იყვნენ,  
დანაქარგის ფასს თუ ასწევ, მით მიზეზს ააგებ, ~~წ~~  
ასე მოიქეც და პირს წყევლა თვით მოგადგება.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემი სიტყვები დუნეა, გთხოვ, ძალა ჩაჰბერო.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეგ მწუხარება გაამწვავებს ისე, ვით ჩემსას. (გაღის).

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

უბედურებას რისთვის უნდა სიტყვის სიმრავლე!

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

სიტყვა სევდისა ვექილია, ტანჯვის ნუგეში  
მემკვიდრე არის უანდერძოდ მკვდარ სიხარულის  
და ბედკრულობის დამცველია თავგამოდებით.  
თავისუფალი გზა სიტყვასა! თუმც არას გვშველის,  
მაგრამ გულის დარდს გვიმსუბუქებს.

ი ო რ კ ი ს მ თ ა ვ რ ი ს მ ე უ ლ ლ ე

რაკი ავრეა,

ნულარ მივიკრავთ ენას სასას, წამოდი ჩემთან,  
მწარე სიტყვებით ჩავადრჩოთ ის წყეული შვილი,  
რომელმაც შენი პაწიები ხელით დაგიდრჩო.

(გარედან დაფის ხმა)

დაფის ხმა მესმის, აბა, წყევლას ნუ გამოვიღევთ!  
(შემოდის რიჩარდ მეფე თავის ამალით სალაშქროდ გამზადებული).

რიჩარდი

ეს ვინა ბედავს, რომ გზას მიშლის?

იორკის მთავრის მეუღლე

იგი, რომელსაც

შეეძლო შენი დაღრჩობა თვის დაწყევლილ გვამში,  
რომ დაეშალა მით კაცთხოცვა შენგან ნაქმნარი.

ელისაბედ დედოფალი

ოქროს გვირგვინით დაგიფარავს ეგ შუბლი, სადაც  
სამართალი რომ მართლა ნამდვილ სამართალს ჰგავდეს,  
უნდა ამბავი ასო-ასო დადაღულიყო  
იმ პრინცის მოკვლის, ეგ გვირგვინი ვისც ეკუთვნოდა,  
და ჩემ ბედკრულ შვილთ, ძმათ უწყალო ამოხოცვისა.  
ოჰ, სად არიან ჩემნი ბავშვნი, მითხარ, წყეულთ!

იორკის მთავრის მეუღლე

ოჰ, ჯოჯოვ, ჯოჯოვ, სთქვი, სად არის შენი ძმა კლარენს,  
ან იმის შვილი პაწია ნედ პლანტაგენეტი?

ელისაბედ დედოფალი

სად არის ტკბილი რივერს, ვოგან, სად არის გრეი?

იორკის მთავრის მეუღლე

კეთილი ჰასტინგს სადლა არის?

რიჩარდი

ბუკსა და საყვირს

ჩაპბერეთ ჩქარა! დაფსაც დაჰკათ! ნუ გააგონებთ  
ზეცას, თუ როგორ ეს ავენა დედაკაცები  
უფლისგან ცხებულს არისხებენ. დაჰკარით-მეთქი!

(ბუკისა და დაფდაფის ხმა)

მთმინებით და მოწიწებით მითხარით, რაც გსურთ,  
თორემ საომარ იარაღთა ზარსა და ყვირილს  
ჩავანთქმევიანებ მაგ თქვენს ხმასა!

იორკის მთავრის მეუღლე

შენ ჩემი ძე ხარ?

რიჩარდი

დიად, ღვთის მადლით, მთავრისა და შენის წყალობით,

იორკის მთავრის მეუღლე

მამ მოთმინებით მომისმინე არ მოსასმენი.

რიჩარდი

ღედავ, მე შენი ხასიათი დამჩემებია

და საყვედურის გაგონებას ვერ ვითმენ ხოლმე.

იორკის მთავრის მეუღლე

მაინც უნდა ვთქვა.

რიჩარდი

რა გამოვა, ყურს არ დაგიგდებ.

იორკის მთავრის მეუღლე

წყნარის და ტკბილის სიტყვით გეტყვი.

რიჩარდი

ოლონდ მოკლედ კი,

არა მცალიან, ღედაჩემო, მივეჩქარებ:

იორკის მთავრის მეუღლე

მიეჩქარები?! მე კი შენის შობის ლოდინში

რამდენი ტანჯვა გამოვცადე, ის ღმერთმა უწყის.

რიჩარდი

აკი ამ ქვეყნად გავჩნდი ბოლოს შენს სანუგეშოდ.

იორკის მთავრის მეუღლე

არა და არა, შენც იცი ეს, წმიდა ჯვარს ვფიცავ:

ქვეყნად გაჩნდი, რომ ჯოჯოხეთად გარდმიქმნა იგი, —  
მძიმე სატკივრად გარდმიქციე შვილიერება.

ანჩხლი იყავი სიბავშვეში და ჭირვეული,

სწავლის დროს მხეცი ბრაზიანი, საშიშ-საზარო,

ჭაბუკობის ჟამს გაბედული, თავგანწირული

და როდესაც კი დავაჟკაცდი, — გახდი ამაყი,

ჭლესა, მოსისხლე, მოღალატე; თუმც ენატკბილობ,

შაგრამ მეტს ბოროტს ჰფარავ შენ ამ ენატკბილობით.

დამისახელე სანუგეშოდ თუნდ ერთი წამი,  
რომ სიამითა გაქეტაროს მე შენთან ერთად.

რიჩარდი

იმ სიმშობის წამს გარდა ვერას დავისახელებ,  
როს საუზმისთვის სხვაგან სადმე გამშორდებოდი.  
თუ ჩემი ნახვა მიგაჩნია აგრე სატანჯად,  
თავს რათ იწუხებ, დედაჩემო, გზას რად არ მაძლევ? —  
დაჰკარით დაფდაფს!

იორკის მთავრის მეუღლე  
გევედრები, ყური დამიგდე.

რიჩარდი

შენ გამწარებით ლაპარაკობ.

იორკის მთავრის მეუღლე  
ეს მომისმინე,  
რადგან შენს დღეში ამას იქით ჩემს ხმას ვერ ისმენ.

რიჩარდი

კარგია, ბრძანე.

იორკის მთავრის მეუღლე  
ამ ომის დროს ან შენ მოკვდები,  
ღვთის სამართალი გამარჯვებას არ მოგანიჭებს,  
ან მე მომიდნობს მოხუცება შენს აქ მოსვლამდე  
და უღვეველი სატანჯველი. მაინც და მაინც  
მე დღეის იქით შენსა სახეს ველარ ვიხილავ,  
მაშ თან გაგატან დედის წყევლას უფსაშინლესს,  
რაიც ბრძოლის ჟამს უარესად დაგამძიმებს შენ,  
ვიდრე მაგ სრულის საჭურვლისა ზიდვა, ტარება.  
შენ წინააღმდეგ ჩემი ლოცვა მედგრად იბრძოლებს  
და ედვარდის ჩჩვილ ყრმათა სულნიც გაამხნევებენ  
და გამარჯვებას დაულოცვენ მტერთა ლაშქარსა.  
მოსისხლე ხარ და სისხლიანი ბოლოც გექნება;  
ვით ავკაცურად სცოცხლობდი შენ, ისეც მოკვდები  
(გადის).

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
წყევლის მიზეზი მეტი მაქვს მე, ძალა ნაკლები,  
ამისთვის მხოლოდ ამინს ვიტყვი მაგის სიტყვებზედ.

რ ი ჩ ა რ დ ი

გთხოვ, მოითმინო, სიტყვა რამ მაქვს შენთან სათქმელი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე ვაყიშვილნი აღარა მყავს მეფის სისხლისა,  
რომ დამიხოცო და თუ მიდგა ჯერი ქალღებზედ,  
იცოდე, რიჩარდ, რომ ისინი რჩეობენ ყოფნას  
მლოცავ მონოზნად, ვიდრე მტირალ დედოფლებადა.  
გვედრებ, დაეხსენ, ნურას ავნებ იმათ სიცოცხლეს.

რ ი ჩ ა რ დ ი

შენ გყავს ასული ელისაბედ, სათნო, ლამაზი,  
წყნარი, ნარნარი, დიდებული.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

გერე მაგისთვის

უნდა მომიკლა? ოჰ, ნუ იზამ ოღონდ მაგას და  
ვიკისრებ, ვითომ ვულალატე ედვარდის საწოლს,  
გავრყენი ჩემ ქალსა, ლამაზ სახეს დავუსახიჩრებ;  
ფარად დავადებ სამარცხვინო ბუშის სახელსა,  
ოღონდ მოსისხლე დანა იმას ნუ შეეხება  
და უარსავეყოფ ედვარდისგან ჩამომავლობას!

რ ი ჩ ა რ დ ი

ნუ არცხვენ აგრე, იგი მეფის სისხლისა არის.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

უარ მიყვია ეგე-მეთქი, ოღონდ იცოცხლოს.

რ ი ჩ ა რ დ ი

უფრო იცოცხლებს, როგორც მეფის შთამომავალი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

რამ დაუხოცა ძმები; თუ არ მეფის-ძეობამ?

რიჩარდი

იმათ შობის დროს კეთილ ვარსკვლავთ ხელი უშალეს.

ელისაბედ დედოფალი

არა, ისინი ამოხოცეს ბოროტ მეგობართ.

რიჩარდი

გარდუვალია ბედისწერა.

ელისაბედ დედოფალი

დიალ, ოღონდაც,

როს ბედისწერას განაგებს თვით უწყალობა.

წილად ხვდებოდათ ჩემ პაწიებს მშვიდი სიკვდილი,  
თუ მოგფენოდა მადლი მშვიდის ცხოვრებისა შენ.

რიჩარდი

იმგვარ კილოზედ ლაპარაკობ, თითქო მე თვითონ  
ჩემნი ძმისწულნი დამეხოცოს.

ელისაბედ დედოფალი

ტყუილი არის?

ბიძამ წარსტაცა იმათ შვება, ნათესაობა,  
თავისუფლება, სახელმწიფო, თვითონ სიცოცხლე.  
ვისმა ხელმაც კი ნაზი გული გაუპო იმათ,  
ეგ შენი თავი ხელმძღვანელად ეყოლებოდა;  
უთუოდ მკვლელის დანა ჩლუნგი, კბილჩაცვინული  
მაგ შენს ქვის გულზედ უნდა ბასრად გაღესილიყო,  
რომ ჩემ ბატკნების გულ-მუცელში დაეტრიალათ.  
ეს არის ძნელი, სატანჯველის ხანგრძლივ ტარება  
გვაჩვევს, გვადუნებს, თორემ ისე როგორღა უნდა  
ვახსენო შენთან ჩემნი ბავშვნი, რომ არ ჩაგკიდო  
ზღვის ლუზასავით მაგ თვალებში აი ეს ფრჩხილნი  
და თავგანწირვით მიღწეული სიკვდილის ყურეს  
მცირე, უანძო, უიალქნო ბედკრულ ნავივით  
მაგ კლდოვან მკერდზედ არ დავიმსხვრა ნაკუწ-ნაკუწად!

რიჩარდი

ისემც მწყალობდეს, ჩემო რძალო, მე ბედისწერა  
და გამიმარჯვდეს ამ საშიშარ სისხლის ბრძოლაში,



ვით მსურდეს შენთვის და ყოველთა შენიანთათვის  
უფრო სიკეთე, ვიდრე ვნება მიქმნია რამე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

რალა სიკეთეს მალავს ზეცა იმისთანასა,  
რომ მანუგეშოს ჩემს ყოფაში იმის მოცემით?

რ ი ჩ ა რ დ ი

შენი შვილების წინ-წაწევას, ზე-ამაღლებას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიად, იქ ასვლას, თავსაჭრელი სადაც სძევს დანა.

რ ი ჩ ა რ დ ი

არა, იქ ასვლას იმ ღირსეულ, მძლავრ სიმაღლემდე,  
სადაც ისახვის მეფის სახით ქვეყნის დიდება.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

აბა, მიაბზე, გამიქარწყლე ეს სატანჯველი,  
მითხარ, რა სახელს, რა ღირსებას, ან რა პატივსა  
დაუთმობ ვისმე შენ ჩემს ნაშობს?

რ ი ჩ ა რ დ ი

ყველას, რაც კი მაქვს,  
დიად, თვით ჩემს თავს, ყოველიფერს ვაძლევ ერთ შენ შვილს;  
მხოლოდ მდინარე ლეთას მიეც ეგ გულისწყრომა  
და დაივიწყე ყოველივე ის ბოროტება,  
რაიც ვითომ მე მიქმნას შენთვის.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ მოკლედ მოსჭერ,  
რომ ვიდრე კეთილს წარმოსთქვამდეს ეგ შენი ენა,  
არ გისწროს გესლმა, ხმა უეცრად არ ჩაგიწყვიტოს.

რ ი ჩ ა რ დ ი

გაიგე ეს, რომ გულით მიყვარს შენი ასული.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემის ასულის დედის გულსაც ნამდვილად სჯერა.

რ ი ჩ ა რ დ ი

რაო, რა სჯერა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ის რომ გულით გიყვარს შენ იგი,  
როგორც გიყვარდა მისნი ძმანი და ამისათვის  
უნდა მადლობა შემოგწირო მე გულითადი.

რ ი ჩ ა რ დ ი

ნუ ჩქარობ აგრე, სხვაფრივ ნუ ხსნი ჩემ განზრახვასა:  
აქარად ვამბობ, მიყვარს-მეთქი შენი ასული  
და ინგლისელთა დედოფლად მსურს იმისი დასმა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეფედ მას ვილა ეყოლება?

რ ი ჩ ა რ დ ი

რა საკითხია,  
ის, ვინც დედოფლად დასვამს ტახტზე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორა, შენა?!

რ ი ჩ ა რ დ ი

ღიად, სწორედ მე; რასა ჰფიქრობ, მითხარ ამისას?

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მერე რას ეტყვი სატრფიალოს?

რ ი ჩ ა რ დ ი

რასაც მასწავლი;  
შენ უკეთ იცი იმისი ზნე, მის ხასიათი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

დამიგდებ კი ყურს?

რ ი ჩ ა რ დ ი

უეჭველად, დიდის ხალისით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ გაუგზავნე იმის ძმების დამხოცის ხელით  
ადამიანის წყვილი გული სისხლით მჩქეფარე  
ზედ ამოჭრილის სახელებით: „ედვარდ და იორკ“.  
იქნება ცრემლი წამოსცვივდეს, იმას რომ ნახავს,

და შენც მაშინვე, — ვით ოდესმე მარგარიტამა  
რუტლანდის სისხლში ამოსვრილი ხელის-სახოცი  
მისცა მამაშენს, — მიაწოდე შენც იმის ძმების  
გვამის გამწმედი, ალისფერის წვენით გათხვრილი  
და უთხარი, რომ მით შეიშროს ცრემლი თვალთაგან.  
თუ ამან შენი სიყვარული ვერ ჩააგონა,  
შენთა დიდ-საქმეთ გაუგზავნე მოკლე მოთხრობა,  
უამბე, როგორ მოინელე იმის ბიძები,  
კლარენს და რივერს, ან ვით სწრაფად იმის გულისთვის  
საიქიოში გაუსტუმრე ძალუა ანნა.

რ ი ჩ ა რ დ ი

რისთვის დამცინი, მაგ გზით მის გულს ვერ მოვიბიძებ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

სხვა გზა არ არის, თუ მაგ სახეს არ გამოიცვლი  
და არ უარპყოფ რიჩარდობას, ამდენის მომქმედს.

რ ი ჩ ა რ დ ი

წარმოდგინე, რომ ეგ ყველა მის სიყვარულით  
მომექმედოს მე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშინ ისიც შენ შეგიყვარებს,  
რაკი სიყვარულს შეუწირავს მაგდენი მსხვერპლი.

რ ი ჩ ა რ დ ი

რაც მოხდა, მისი ძნელი არის გამობრუნება.  
ადამიანი სცდება ხშირად და მხოლოდ ბოლოს  
სინანულითა იბატიებს შეცდომილებას.  
თუ შენთა ძეთა გამოვწირე მე სახელმწიფო,  
სამაგიეროდ დავუბრუნებ მას შენსა ასულს.  
მართალი არის, დაგიხოცე მუცლით ნაშენი,  
მაგრამ იმითი გაგიცხოვლებ შთამომავლობას,  
რომ შენს ასულზედ ვამყნობ ჩემ გვარს შენიც სისხლისას.  
ბებიად ყოფნა არა ნაკლებ სანატრელია,  
ვიდრე ტარება გულმხურვალე დედის სახელის.  
შვილიშვილიც ხომ იგივეა, რაც შვილი, მხოლოდ  
ერთის ნაბიჯით უკანა სდგას: ზნეც იგივეა,

იგივეა შტო, იგივე ტანჯვა მათ შობის ღამეს  
 მისი, ვის გამოც შენც ის ტანჯვა აგიტანია.  
 შენი შვილები გაწვალებდნენ სიყმაწვილის ჟამს,  
 ჩემნი ნუგეშად სიბერეში გეყოლებიან.  
 თუმცა ვაჟიშვილს არ ეღირსა ხელმწიფედ დასმა,  
 ნაცვლად დედოფლად იკურთხება შენი ასული.  
 მსურს მრავალფერად გადგიხადო, რაც გაწყენიე,  
 მაგრამ არ ძალმიძს და მიიღე, რასაც კი შევძლებ.  
 შენი ძე დორსეტ დაძრწის გლახად უცხო მხარეში;  
 მას ეს კავშირი მოუწოდებს, მისცემს აქ ბინას  
 და მიანიჭებს დიდ ღირსებას, სახელოვნებას.  
 მეფე, რომელიც შენს ლამაზ ქალს ცოლად დაისვამს,  
 შენს დორსეტსაც ზომ ძმობას ეტყვის. გახდები ისევ  
 ხელმწიფის დედა და რაც ჟამმა შევმა, ბედკრულმა  
 დაგვაკლო, იგი ერთი სამად დაგვიბრუნდება,  
 გაგვიახლდება სიხარული, კმაყოფილება;  
 დიად, ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩა სიხარულის დღე,  
 და რაც თვალთაგან ცვარ-ცვარ ცრემლი წამოგდენია, —  
 აღმოსავლეთის მარგალიტად გადაიქცევა  
 და ათი იმდენს მოგცემს ბედი, რაიც დაგაკლო  
 მწუხარებამა. წადი, დედა, შენს ქალთან წადი,  
 გაათამამე, დაარიგე მის მორცხვი გული,  
 ყურნი სასმენლად მოუმზადე საქმროს სიტყვების,  
 აუნთე ალი მის ნაზ გულში მალლა მფრინავი  
 ოქროთ შემოსილ დიდებისკენ; გააცან იგი  
 ცოლ-ქმართ კავშირის სიხარულსა ტკბილს და უსიტყვოს;  
 და როდესაც კი ეს მარჯვენა დასჯის იმ ურჩსა,  
 იმ წუწკ, ტვინთხელა ბუკინგამსა, მყის დავბრუნდება  
 დამშვენებული გამარჯვების გვირგვინებითა  
 და შენს ასულსა წავუძღვები გმირის საწოლში,  
 ვუამბობ ვწრილად იქ ჩემს ამბავს, ჩემს გამარჯვებას,  
 რასაც იმასვე გადვულოცავ, როგორც კეისარს  
 თვით კეისარზედ დადგენილსა.

ე ლ ი ს ა ბ ე ლ დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ სჯობს ვუთხრა?

მამიშენის ძმა ცოლად თურმე გთხოულობს-მეთქი?

თუ ბიძაშენი, თუ ის, ვისაც ძმები, ბიძები  
დაუხოცნია სრულად შენი! ვით წარგადგინო,  
რომ უხამსად არ მოეჩვენოთ შენი სახელი  
იმის ნაზ ყურებს, რომ არ აღდგეს შენს წინააღმდეგ,  
ღმერთიც, კანონიც, იმის გულიც, ჩემი ღირსებაც?

რიჩარდი

უთხარ, მაგ კავშირს ჰკიღია-თქო ინგლისის ბედი.

ელისაბედ დედოფალი

რომელს მუდამი ბედკრულება მოსდევს თვით მისი.

რიჩარდი

მგფე, ვის ხელთაც ბრძანებაა, გევედრება-თქო.

ელისაბედ დედოფალი

ის შეასრულოს, რასაც მეფეთ-მეფე უკრძალავს!

რიჩარდი

შენ გახდები-თქო დედოფალი ყოვლად ძლიერი.

ელისაბედ დედოფალი

და თვის ხარისხი დედასავით უნდა იგლოვოს.

რიჩარდი

უთხარ, რომ იგი მეყვარება მე საუკუნოდ.

ელისაბედ დედოფალი

ეგ საუკუნო მერე ნეტა დიდხანს კი გასტანს?

რიჩარდი

მის ტკბილ სიცოცხლის მოსპობამდე საბოლოოდ.

ელისაბედ დედოფალი

მერე რამდენ ხანს შერჩება ეგ ტკბილი სიცოცხლე?

რიჩარდი

ვიდრე სურს ეგე მაღალ ზეცას და ბუნების ძალთ.

ელისაბედ დედოფალი

არა, ვიდრემდე ჯოჯონეთსა და რიჩარდსა სურს.

რიჩარდი

უთხარ, მე, მეფე, შევიქნები მის მორჩილი ყმა.

ელისაბედ დედოფალი

იგი ზიზღითა უკუაგდებს მაგ ბატონ-ყმობას.

რიჩარდი

გვედრები, რომ შემეწიო მჭევრის სიტყვითა.

ელისაბედ დედოფალი

უბრალო სიტყვა უფრო სჭრის, რომ საქმე სწორია.

რიჩარდი

მაშ უბრალოდაც სიყვარული აცნობე ჩემი.

ელისაბედ დედოფალი

უბრალოდ თქმული უხამსობა სამარცხინოა.

რიჩარდი

შენი საბუთი ფუყე არის და ხელდახელი.

ელისაბედ დედოფალი

არა, ღრმად გულში უდგას ფესვი, აქ ჩამკვდარია,  
ოჰ, ღრმად არიან ჩამარხულნი ჩემი ბავშვებიც!

რიჩარდი

ხელს ნულარ ახლებ-მაგ სიმებსა, რაც იყო, იყო.

ელისაბედ დედოფალი

ვერ მოვეშვები ამ გულის სიმთ მთლად დაწყვეტამდე.

რიჩარდი

წმიდა გიორგის, ჩემს საკვართულს, ამ ჩემს გვირგვინსა...

ელისაბედ დედოფალი

გმობილს, გაკიცხულს და წართმეულს ნაქურდლად სხვისგან.

რიჩარდი

ვფიცავ მე-მეთქი.

ელისაბედ დედოფალი

ნუ, ნუ ჰფიცავ, ტყუილი ცდაა;

შენმა გიორგიმ თვის სიწმიდემ შენით დაჰკარგა,

ვით შერცხვენილმა საკვართულმა რაინდთ ღირსება,  
როგორც გვირგვინმა ნაპარეგმა სამეფო ძალა.  
თუ გწადს, უთუოდ დაიფიცო და დაგვარწმუნო,  
ჰფიცე ერთი რამ, რაც ჯერ შენით არ გაკიცხულა.

რ ი ჩ ა რ დ ი

ცას-ქვეშეთს ვფიცავ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
ავკაცობით შენით სახსეა.

რ ი ჩ ა რ დ ი

ჩემ მშობლის სიკვდილს...

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
რაიც შენის სიცოცხლითა ჰგმე.

რ ი ჩ ა რ დ ი

ჩემს თავსა ვფიცავ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
შენ შენითვე გაუბადრუკდი.

რ ი ჩ ა რ დ ი

მაშ ღმერთსა ვფიცავ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, ღმერთი ხომ უარჰყავ სრულად!  
რომ გშინებოდა მის სახელით ფიცის გატეხის,  
არ დაარღვევდი შენის ძმისგან შექმნილს ერთობას,  
ერთ-ხელმწიფეხას და ჩემს ძმასაც არ მომიკლავდი.  
რომ გშინებოდა მის სახელით ფიცის გატეხის,  
ეგ დიდებული ლითონი შენ თავზედ რომ გხურავს,  
დაუშვენებდა ქორფა შუბლსა ჩემს პაწიასა  
და ორივ პრინცი მე ცოცხალი მეყოლებოდა;  
მაგრამ მაგ შენის ფიცის გმობამ საბრალო ბავშვნი  
მიწაში ჩაჰფლა, ორივ მისცა მატლებს საღრღნელად.  
მაშ რაღა დაგრჩა საფიცარი?

რ ი ჩ ა რ დ ი

მომავალი დრო.

## ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

პატივანდელი წარსულითა. აი მე თვითონ  
წარსული ცოდვა უნდა მასზედ ცრემლით გაეზანო.  
შვილნი ცოცხალან, მშობლები რომ ამოუხსოც  
და სიბერეში იგლოვებენ ობლად დარჩენას;  
მშობლებიც, შვილნი რომ დაუკალ, კიდევ ცოცხლობენ,  
როგორც დამკუნარნი მცენარენი, ფესვებგამხმარნი  
და დასტირიან სიბერის უამს; ნუ ჰფიცავ მყობადს,  
რასაც შენ ჩირქი მოსცხე კიდევ შენის წარსულით.

### რ ი ჩ ა რ დ ი

როგორც მე აწ მსურს შენანება, კეთილად ყოფნა,  
ისე მფარველად მყავდეს ბედი ამ საშიშ ომში  
უწყალო მტერთან. მაგრამ მაშინ მთლად შევიშალო,  
მომაკლოს სრულად ზეცის რისხვამ ბედნიერება,  
ნუ გამინათოს დღემ და შვევა ნუ მომცეს ღამემ,  
მტრად გადამეჩენენ ცის მნათობნი ბედის მომცემნი,—  
თუ წმინდა გულით, წმინდა ფიქრით, უმანკო გრძნობით  
არ მიყვარდეს მე შევნიერი ასული შენი!  
ბედნიერება ჩემიც, შენიც მასშია მხოლოდ;  
უიმისოდ კი მეც, შენც, მასაც, ამ ქვეყანასაც  
და ბევრს ქრისტიანს სხვასაც კიდევ მოელის მარტო  
ტანჯვა, სიკვდილი, განწირულად განადგურება.  
მასთან კავშირსა ძალუქს მხოლოდ ამის აცდენა.  
მასთან კავშირსა, სხვა არაფერს. მაშ, ტკბილო დედავ,—  
დედა გიწოდო, ნება მომეც — დასდეგ ვეჭილად  
ჩემ სიყვარულსა და მას შორის; წინ დაუსახე  
არა რაც ვიყავ, არამედ ის, რაც მსურს რომ ვიყო, —  
აწინდლის ნაცვლად ღვაწლი ჩემი მოსალოდნელი.  
ჩააგონე, რომ დრო და უამი მას მოითხოვს-თქო  
და ნუ შეუშლი ზიზღით ხელსა დიადს განზრახვას.

## ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი

ამ სახით უნდა შემაცდინოს განა ეშმაკმა?

### რ ი ჩ ა რ დ ი

რატომ, თუ ცდომით დაგაყენებს კეთილ გზაზედა.



ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
განა კი უნდა დავივიწყო, ვინ, ანუ რა ვარ?

რ ი ჩ ა რ დ ი

ღიაღაც, თუ კი გახსენება გავნებს შენ რასმე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
შენ დამიხოცე ჩემნი შვილნი!

რ ი ჩ ა რ დ ი

მე მათ დავმარხავ  
შენის ასულის სუნნელოვან გულ-მკერდ ქვე<sup>ა</sup> სადაც  
შენდა ნუგეშად თავისთავად განახლდებიას

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
მე უნდა ჩემი ქალი ნებას დაგიყოლიო?!

რ ი ჩ ა რ დ ი

და ბედნიერი დედა გახდე მაგ დაყოლებით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი  
კარგია, წავალ. შენ წერილი მომწერე მალე  
და მეც გაცნობებ დაწვრილებით მის გულის-პასუხს.

რ ი ჩ ა რ დ ი

მშვიდობით, ჩემის ერთგულ ტრფობის ნიშნად აკოცე.—

(ჰკოცნის. ე ლ ი ს ა ბ ე დ დ ე დ ო ფ ა ლ ი გაღის)

დაუდგრომელო დედაკაცო, ფუყე ჰკუთისაე! —

(შემოდის რ ა ტ კ ლ ი ფ ი, რომელსაც კ ა ტ ე ს ბ ი მოსდევს).  
რა ამბავია?

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ხელმწიფეო, დასავლეთისკენ  
ხომალდთ კრებული მოდის დიდი; ზღვის ნაპირებზედ  
მრავალი თქვენი ყმა თავს იყრის ფრიალ საეჭვო,  
უიარაღოდ, არ ჰფიქრობენ მტრის უკუქცევას;  
ამბობენ, რიჩმონდ გემთ კრებულსა უფროსად ჰყავსო  
და ხომალდნი იქ იდგებიან მის მომლოდინე,  
რომ ბუკინგამი მიეშველოს და ზღვიდან ჯარი  
ხმელზედ გადმოსხას.

რ ი ჩ ა რ დ ი

აბა ერთი, მთავარ ნორფოლკთან  
აფრინეთ ვინმე მსწრაფლ-მავალი.—რატკლიფ, შენ წადი...  
ან შენ, კატესბი... ის რა იქმნა?

კ ა ტ ე ს ბ ი

მე აქ გახლავართ.

რ ი ჩ ა რ დ ი

მთავართან ჩქარა...

კ ა ტ ე ს ბ ი

გიახლებით იქ ფრიად ჩქარა,  
ჩემო ხელმწიფე!

რ ი ჩ ა რ დ ი (რატკლიფს)

შენ კი წადი სალისბიურის,  
იქ რომ გაჩნდები... (კატესბის) უგუნურო, უჭკუო, მხეცო!  
აქ რას უდგახარ, რად არ მიხვალ მთავარ ნორფოლკთან?

კ ა ტ ე ს ბ ი

ჯერ ის მიბრძანეთ, რაცა გნებავთ, დიდო ხელმწიფე,  
ან რა ვაუწყო მთავარ ნორფოლკს თქვენ მაგიერად?

რ ი ჩ ა რ დ ი

ოჰ, მართლა, მართლა, უკაცრავად, ჩემო კატესბი:  
უთხარ, შეჰკრიბოს მალე ჯარი, მთლად იგი ჯარი,  
რაც მის ხელთაა და დამიხვდეს სალისბიურში.

კ ა ტ ე ს ბ ი

ეხლავ, ხელმწიფე. (გაღის).

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

მე რაღა ვქნა სალისბიურში,  
რას მიბრძანებდით?

რ ი ჩ ა რ დ ი

ჩემს მოსვლამდე რას გააკეთებ?

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

აკი მიბრძანეთ, წინ წადიო. (შემოდის ს ტ ე ნ ლ ი).

რ ი ჩ ა რ დ ი

აზრი შევცვალე. —

შენ რაღა ამბავს მეტყვი, სტენლი?

ს ტ ე ნ ლ ი

ჩემო ხელმწიფევე,

არც ისე კარგსა, რომ გაამოთ იმის მოსმენით,  
არც ისე ცუდსა, რომ ვერ შევძლო საამოდ მბობა.

რ ი ჩ ა რ დ ი

რა საჭიროა გამოცანა? არც კარგს, არც ცუდსა!  
რათ ურბი გარსა, როცა მოკლედ შეგიძლიან თქმა?!  
სწორე მაცნობე.

ს ტ ე ნ ლ ი

რიჩმონდ ზღვაზე გახლავთ, ხელმწიფევე.

რ ი ჩ ა რ დ ი

მაშ ზღვამ ჩალუპოს, მერე ზედვე გადაეფაროს  
იმ მოლაღატეს ღვიძლ-ფერ-მკრთალსა! იქ რას აკეთებს?

ს ტ ე ნ ლ ი

არ ვიცი, დიდო ხელმწიფეო, მაგრამ კი ვგონებ...

რ ი ჩ ა რ დ ი

რაო, რას ჰგონებ?

ს ტ ე ნ ლ ი

ვგონებ, იგი წაქეზებული  
დორსეტ, ბუკინგამ, ელისაგან ინგლისში მოდის  
გვირგვინის ხელთა მოსაგდებლად.

რ ი ჩ ა რ დ ი

ცარიელია

განა ეს ტახტი? ხმალი ხელში არვის უპყრია?  
მეფე მკვდარია? ეს ქვეყანა უპატრონოა?  
იორკს მემკვიდრე ჩვენს გარდა ჰყავს ვინმე ცოცხალი?  
და ვის ეკუთვნის, თუ არა მე, შტოს დიდ იორკის,  
ხელმწიფედ ყოფნა ინგლისელთა? მაშ მაცოდინე!  
რა უნდა ზღვაზედ?

ს ტ ე ნ ლ ი

თუ არ იგი, რაც მოგახსენეთ,  
მე ვერ მიმხვდარვარ.

რ ი ჩ ა რ დ ი

ვერ მიმხვდარხარ! რად მოდის იგი,  
თუ არ იმისთვის, რომ ხელმწიფედ თავზედ დაისვათ?!  
შენ მილალატებ, გაიქცევი, ვგონებ, იმასთან.

ს ტ ე ნ ლ ი

არა, ხელმწიფევ, ნუ მომაკლებთ მე თქვენს ნდობასა.

რ ი ჩ ა რ დ ი

მაშ სადღა არის შენი ჯარი, მტერს რად არ სდევნი?  
ან ხელქვეითნი, აბა, სად გყავს შენი ამალა?  
თუ დასავლეთის ნაპირებზე მოგროვებულან,  
რომ მტრის ლაშქარი უვნებელად გადმოსხან ხმელზე?

ს ტ ე ნ ლ ი

არა, ბატონო, ჩრდილოეთით არიან ჩემნი.

რ ი ჩ ა რ დ ი

ჰოი, გულცივნო! ჩრდილოეთით რას აკეთებენ, —  
როს იმათ თავი დასავლეთით უჭირს ხელმწიფეს?

ს ტ ე ნ ლ ი

მათთვის, ხელმწიფევ, არაფერი უბრძანებიათ.  
თუ ნებას მომცემთ, გიახლებით, თავს მოვუყრი მათ  
და იქ გაახლებთ, სადაც, ანუ რა დროსაც გნებავთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

არა, წახვალ და რიჩმონდსავე შეუერთდები.  
შენ არ გენდობი.

ს ტ ე ნ ლ ი

დიდო მეფევ, არ გაქვთ მიზეზი  
ეჭვით მოეპყრათ ერთგულებას ჩემსას თქვენდამი.  
მე ჯერ ორგული არ ვყოფილვარ და არც ვიქნები.

რ ი ჩ ა რ დ ი

წადი მაშ, ჯარი მოაგროვე, მაგრამ შენი ძე,  
გეორგ სტენლი კი აქ დასტოვე. თუ გიმტყუნია,  
მაგ შენის შვილის თავი ტანზედ აღარ დარჩება.

ს ტ ე ნ ლ ი

ვით გიერთგულოთ, მოგპყარით ჩემს შვილსაც ისე.  
(გადის. — შემოდის შ ი კ რ ი კ ი.)

შ ი კ რ ი კ ი

ხელმწიფევ ჩემო, მოწყალეო! მე მეგობრებმა  
შემატყობინეს, რომ დევონშირს აჯანყებულან  
ედვარდ კორტნეი და ამაყი მის უფროსი ძმა,  
ეპისკოპოსი ექსეტერის. მათ მიმხრობიათ  
მოკავშირენი სხვაც მრავალნი.

(შემოდის მეორე შ ი კ რ ი კ ი.)

მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი

ჩემო ხელმწიფევ,  
აჯანყებულან კენტში თურმე გილდფორდელები  
და ყოველ საათს მათი ძალა დიდდება, რადგან  
ემატებიან ყოველ მხრიდან თანამგრძობელნი.

(შემოდის მესამე შ ი კ რ ი კ ი.)

მ ე ს ა მ ე შ ი კ რ ი კ ი

დიდ ბუკინგამის ჯარი თურმე, ჩემო ხელმწიფევ...

რ ი ჩ ა რ დ ი

დაგწყევლოთ ღმერთმა, ბაიყუშნო, რას ჩხავით სიკვდილს!  
(დაჰკრავს მესამე შიკრიკს)

აჰა, ეს კმარა, სანამ ამბავს კარგს მომიტანდე.

მ ე ს ა მ ე შ ი კ რ ი კ ი

მოსახსენები მე ის მქონდა, რომ წყალდილობას  
და ნიაღვარსა დაუშლია, გაუბნევია  
სრულად ლაშქარი ბუკინგამის. თვითონ წასულა,  
გადაქარგულა მარტოდმარტო, არვინ იცის სად.

რ ი ჩ ა რ დ ი

ოჰ, უკაცრავად! აჰა, ქისა გქონდეს შენ ჩემი,  
აჰაწ გაგყურნოს ეგ ნაცემი; მითხარ, იქნება

მიხვდა ვინმე და დაუნიშნა ჯილდო იმას, ვინც  
მოლაღატესა ჩაგვაბარებს?

მ ე ს ა მ ე უ ი კ რ ი კ ი

დიად, ხელმწიფევ.

(შეშოდის მ ე ო თ ხ ე უ ი კ რ ი კ ი).

მ ე ო თ ხ ე უ ი კ რ ი კ ი

თომას ლეველი, ხელმწიფევო, და მარკიზ დორსეტ  
იორკშიაირში აღჭურვილან, აჯანყებულან,  
მაგრამ ნუგეშად ეს ამბავი მომაქვს, ბრეტანის  
გემთა კრებული ქარიშხალსა გაუბნევიან.  
გაუგზავნიან რიჩმონდს ნავი დორსეტშიაირში  
ნაპირისაკენ და უკითხავს იქ მდგომ ხალხისთვის,  
მეგობარნი ხართ, თუ მტერნიო? უპასუხნიათ, —  
ბუკინგამისგან მოგზავნილნი თქვენს საშველადო.  
ის არ ნდობია, გაუშლია მყის იალქანი  
და ბრეტანისკენ ისევ უკან გამგზავრებულა.

რ ი ჩ ა რ დ ი

აბა, წავიდეთ, საჭურვლითა ვართ მოწყობილნი;  
თუ გარეშე მტერს ვეღარ ვებრძვით, ეს მაინცა ვქნათ,  
რომ ეს ორგულნი შინაურნი პირქვე დავამხოთ.

(კ ა ტ ე ს ბ ი დაბრუნდება).

კ ა ტ ე ს ბ ი

ჩემო ხელმწიფევ, ბუკინგამი დაუჭერიათ,  
ეს საამური ამბავია, მაგრამ მეორე  
არ გაიმებათ, თუმც სათქმელი ისევ სჯობს ითქვას:  
დიდის ჯარებით გამოსულა გრაფი რიჩმონდი  
მილფორდის ნაპირს.

რ ი ჩ ა რ დ ი

გავემგზავროთ სალისბიურის;

სანამ აქ ვლაცობთ, დიდი ომი გადაწყდებოდა.  
ზოგმა ბრძანება წაიღეთ, რომ იქ მოიყვანონ  
ბუკინგამიცა. დანარჩენნი ჩემთან წამოდიეთ.

(საყვირის ხმა, გადიან).

ოთახი ღორღ სტენლის სასახლეში.

(შემოდიან სტენლი და ქრისტოფერ ერსვიკი).

ს ტ ე ნ ლ ი

ქრისტოფერ, რიჩმონდს ასე უთხარ ჩემ მაგიერად:  
დამწყვედებულია ჩემი გეორგ სისხლით უძღების  
ტახის ბუნაგში, და თუ წავალ მის წინააღმდეგ,  
თავს მოჰკვეთენ-თქო მყისვე ჩემს შვილს; ამისი შიში  
უკან მაყენებს და ამიტომ ვერას გშველი-თქო.  
მაგრამ ეს მითხარ, ეხლა რიჩმონდ სად იმყოფება?

ქ რ ი ს ტ ო ფ ე რ ი

იგია უელსს, ან პენბროკში, ან ჰარფორდ-ვესტში.

ს ტ ე ნ ლ ი

დიდებულთ შორის ვინ მიემხრო?

ქ რ ი ს ტ ო ფ ე რ ი

სერ ვალტერ ჰერბერტ,  
გამოჩენილი მეომარი; სერ ჯილბერტ ტალბოტ,  
მტრისთვის საშიში პემბროკ, სტენლი უილიამი,  
ოქსფორდ, სერ ჯემს ბლენტ, რისაპ თომას მამაციის ჯარით  
და ბევრი კიდევ ღირსეული სახელოვანი.  
ლონდონისაკენ წამოვიდნენ, სურთ მის აღება,  
თუ გზაზედ სადმე საბრძოლველად წინ არ დაუხვდენ.

ს ტ ე ნ ლ ი

მშვიდობით! გულით მომიკითხე შენი ბატონი,  
უთხარ, სიამით დათანხმდა-თქო დედოფალი, რომ  
თავისი ქალი ელისაბედ მას ცოლად მისცეს.

(წერილებს აძლევს)

ეს წერილები აცნობებენ ჩემს გულისპასუხს.

(გაღიან).

ს უ რ ა თ ი I

ხალისბიური. გაშლილი მოედანი.

(შემოდის შერიფი. იმას მოსდევენ დარაჯები, რომელ-  
თაც ბუკინგამ დასასჯელად მოჰყავთ).

ბუკინგამი

არ მაძლევს ნებას რიჩარდ მასთან ლაპარაკისას?

შერიფი

არა, ბატონო, სჯობს, რომ შენს ხვედრს დაემორჩილო.

ბუკინგამი

ოჰ, პასტინგს, შვილნო ედვარდისა, რივერს და გრეი,  
წმიდა მეფეო ჰანრი, ედვარდ, მის ტკბილო ძეო,  
ვოგან, თქვენ ყველა, ვინც ჩაცვივდით უსამართლობით  
დაგებულ მახეს! თუ მრისხანე საბრალო სულნი  
თქვენნი ღრუბლებით დაჰყურებენ ამ დრო-ჟამის სევს,—  
ნიშნი მომიგეთ, რაკი ჰხედავთ ამ ჩემს დაღუპვას.—  
დღეს, მეგობრებო, მიცვალებულთ სულის დღე არის?

შერიფი

დიაღ, ბატონო.

ბუკინგამი

სწორედ ეს დღე მიცვალებულთა  
გადიქცა ჩემის განკითხვის დღედ. მიცვალებულთ დღეს  
მეფე ედვარდის დროს წარმოვთქვი,—დღე დამიბნელდეს,  
თუ შენ შვილთ, ანუ ცოლის თვისტომთ ვუმტყუნო-მეთქი,  
და სწორედ ამ დღეს წილად შემხვდა ღალატი მისგან,  
ვის ნდობაც მქონდა საუკუნო. ჩემს შემკრთალ სულსა  
ეს მიცვალებულთ დღე გადექცა ცოდვების ბოლრად,  
აღსასრულის დღედ. ზეციერმა გულთამხილავმა  
ცბიერი ფიცი დამიბრუნა, თავს დამატეხა  
და ამიხდინა ცხადად, რასაც სიტყვით ვამბობდით;  
ბოროტ კაცთ ხმალნი მიუბჯინა მათვე მჭერელთ გულს.



აწ მარგარიტას წყევლა მძიმედ ქედზედ მაწვება:  
როცა გულს დარდით გაგიპობსო, ამბობდა იგი,  
მაშინ მიხვდები, ვყოფილვარო მე გულთმისანი. —  
აბა, წავიდეთ, მიმიყვანეთ საძრახის კუნძთან.  
დარდს დარდი მოსდევს და სირცხვილსაც კვალად სირცხვილი.  
(გაღიან).

## ს უ რ ა თ ი II

### მინდორი ტამვორტს ახლო.

(შემოდინან დაფდაფებით და ბაირალებით რ ი ჩ მ ო ნ დ ი,  
ო ქ ს ფ ო რ დ, ს ე რ ჭ ე მ ს ბ ლ ე ნ ტ, ს ე რ ვ ა ლ ტ ე რ  
ჭ ე რ ბ ე რ ტ და სხვანი. მათ რაზმდაწყობილი ჯარი მოსდევს).

### რ ი ჩ მ ო ნ დ ი

ჩემნო ძვირფასნო მეგობარნო, ბრძოლის მწყურვალნო,  
მტარვლის უღელქვეშ დაჩაგრულნო, ქვედამხობილნო.  
აგერ ამ ქვეყნის გულს მივაგნეთ ხელშეუშლელად  
და აქ მოვიდა მამაჩემის სტენლის ბართიცი  
ნუგეშით სავსე და მხნეობის ყურს ჩამწვეთელი.  
ის ტახი თურმე ქურდი, სისხლით გაუმაძღარი,  
რამაც ყანები, ვენახები გაგინადგურათ,  
რაიც თქვენს თბილს სისხლს ეწაფება ხარბად, ვით წარეცხს,  
და ვარცლად ხმარობს თქვენს გულ-გვამსა დაპრილ-დაპობილს,  
ეს საზიზღარი ღორი-მეთქი ბუნაგად არის,  
როგორც შევიტყე, ამ კუნძულის შუაგულს ალავს,  
ქალაქ ლეისტრის სიახლოვეს, სადაც ტამვორტით  
ერთ დღეს მივალწევთ. მაშ ვახსენოთ, მხნე მეგობარნო,  
უფლის სახელი და სიამით შევეუდგეთ საქმეს;  
მოვიმკოთ მშვიდი მოსავალი დაუშრეტელი  
ამ სისხლით მორწყულ გაცხარებულ ერთბამის ბრძოლით.

### ო ქ ს ფ ო რ დ ი

ყოველ ჩვენგანის სიწინდისი ათას ხმლად იქცა  
იმ წუწკ ავაზაკ კაცისმკვლელთან საბრძოლველად.

## ჰერბერტი

მის მეგობარნი უეჭველად ჩვენსკენ გადმოვლენ.

## ბლენტი

იგი ვერავის იმეგობრებს, თუ არ შიშითა,  
და არ შერჩება არც ერთი მას გაჭირვების დროს.

## რიჩმონდი

ეგ უკეთესი! ღვთის სახელით წავიდეთ, აბა!  
წრფელი იმედი სწრაფი არის, როგორც მერცხალი,  
მეფეთ აღმერთებს და მეფედ ჰხდის ამ ქვეყნის მატლთა.

## სურათი III

### ბოსვორტის მინდორი.

(შემოდის რიჩარდ მეფე ჯარით, მთავარი  
ნორფოლკი, გრაფი სერეი და სხვანი).

## რიჩარდი

ჩვენი კარვები აქ, ბოსვორტის მინდორში დავდგით. —  
მილორდ სერეი, რათ გაქვს აგრე მწუხარე სახე?

## სერეი

სანაცვლოდ გული ერთი ათად მხიარული მაქვს.

## რიჩარდი

შენ, მილორდ ნორფოლკ...

## ნორფოლკი

რას მიბრძანებთ, ჩემო ხელმწიფევე?

## რიჩარდი

როგორა ჰფიქრობ, ცემა-ტყეპა ბევრი იქნება?

## ნორფოლკი

ჩვენ დავკრავთ, მაგრამ არც ისინი დავგვზოგვენ, ვგონებ..

## რიჩარდი

ჩემი კარავი დადგით-მეთქი. ამაღამ მინდა აქ დავიძინო. ხვალ მერე სად? ეჰ, სულ ერთია. —  
“შეიტყო ვინმემ რიცხვი იმ წუწკ მოლაღატეთა?”

## ნორფოლკი

სულ ბევრი იყოს, ექვსს, შვიდ ათასს ვერ გადასცდება.

## რიჩარდი

სამი მაგდენი გვყავს ჩვენ ჯარი და ჩვენს მტერს კიდევ მეფის სახელი არ მფარველობს, რაც ციხე არის ძლიერებისა. — აბა, ჩქარა, კარავი დადგით. —

ჩვენ კი წავიდეთ, ყმაწვილებო, გავსინჯოთ კარგად ბრძოლის ადგილი. გამოცდილნი კაცნი მიხმეთ აქ. —  
ხულარ ვგვიანობთ, დრო და უამსა დავემორჩილნეთ.  
ნუ დავივიწყებთ, რომ ხვალ დიდის საქმის დღე გველის.  
(გაღიან).

(შემოდინ მინდვრის მეორე მხარეს რიჩმონდი, სერ უილიამ ბრანდონ, ოქსფორდი და სხვანი. რამდენიმე ჯარისკაცი რიჩმონდის კარავსა სდგამს).

## რიჩმონდი

მოქანცული მზე დღეს ბრწყინვალედ ჩაეშვა ქვესკნელს და მის ცეცხლოვან ეტლის ნათელს კვალზედ ეტყობა, რომ ხვალ კარგი დღე უნდა დადგეს. — სერ ბრანდონ,  
შენთვის

მომინდვია მე ჩემი დროშა. — საწერ-კალამი აქ, ჩემს კარავში მომიტანეთ, ცოტა ქაღალდიც; მინდა, რომ ბრძოლის გეგმა მოგცეთ: ყოველს მოთავეს თავისი საქმე მივუჩინო და შესაფერად, ჯეროვნად ჩვენი მცირე ძალა გავუნაწილო.  
სერ უილიამ ბრანდონ, ოქსფორდ და ვალტერ ჰერბერტ, თქვენ ჩემთან დარჩით. პემბროკის გრაფს თავისი რაზმი ებაროს ისევ. — კაპიტანო ბლენტო, გთხოვ დიდად, ჩემი სალაში მიუტანო პემბროკს და უთხრა, რომ ჩემს კარავში მნახოს დილის პირველ საათზედ. ერთი რამ კიდევ სათხოვარი მაქვს მე შენთანა... ეს ხომ არ იცი, ლორდი სტენლი თუ საითა დგას?

## ბ ლ ე ნ ტ ი

თუ არ, მოვსტყუვდი მის დროშების ფერზედ, ის უნდა  
თავისის ჭარით იდგეს მეფის მთავარ ბინიდან  
ნახევარ მილით სამხრეთისკენ. ნამდვილად მჯერა,  
რომ არა ვცდები.

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

მაშ უშიშრად, თუ შესაძლოა,  
სცადე, ჩემო ბლენტ, მასთან მისვლა და ლაპარაკი  
და ეს საჭირო ბარათიცა გადაეც მასვე.

## ბ ლ ე ნ ტ ი

სიცოცხლეს ვფიცავ, რომ ვეცდები შესრულებასა;  
და მშვიდსა ღამეს, მოსვენებას ვისურვებ თქვენთვის.

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

ჩემო ბლენტ, ღამე მშვიდობისა. — (ბ ლ ე ნ ტ ი გადის) აბა,  
მობრძანდით

ამ ჩემს კარავში, ხვალისათვის ვარჩიოთ რამე.

გარეთა ცივა, ცოტა სუსხავს.

(შევლენ კარავში. — გამოდიან თავიანთ კარებთან მეფე რ ი ჩ ა რ დ,  
ნ ო რ ფ ო ლ კ, რ ა ტ კ ლ ი ფ, კ ა ტ ე ს ბ ი და სხვანი).

რ ი ჩ ა რ დ ი

ეხლა რა დროა?

კ ა ტ ე ს ბ ი

ვახშმის დრო გახლავთ, ხელმწიფეო, ცხრა საათია.

რ ი ჩ ა რ დ ი

ამალამ ვახშამს მე არა ვჭამ. მომეცით ერთი

საწერ-კალამი და ქალალდი. ჩემი ზარადი

ვიწროდა მქონდა, გააკეთეს? ან საჭურველი

მზად არის ყველა, ჩემს კარავში შეტანილია?

კ ა ტ ე ს ბ ი

ყველა მზად გახლავთ, ხელმწიფეო.

რ ი ჩ ა რ დ ი

შენ, ჩემო ნორფოლკ,

გასწი საჩქაროდ შენს საქმეზედ, სიფრთხილით იყავ,

სანდო დარაჯნი დაარჩიე.

წორფოლკი

ეხლავ მივდივარ.

რიჩარდი

ხვალ ტოროლამაც ვერ დაგასწროთ ადრე ადგომა.

წორფოლკი

ადრე ავდგები, ხელმწიფეო. (გაღის).

რიჩარდი

აბა, კატესბი...

კატესბი

ბატონო ჩემო...

რიჩარდი

სტენლის ჯარში ჩქარა გაჰგზავნენ ერთი შიკრიკი და აცნობე, მზის ამოსვლამდე თავის ლაშქარი აქ მომგვაროს, თორემ შვილს გეორგს მე გავუსტუმრებ საუკუნო ბნელის ჯურღმულში. —  
(კატესბი გაღის).

მომეცით ერთი ჭიქა ღვინო; ღამის ლამპარიც...

ხვალისთვის უნდა შემიკმაზოთ თეთრი სერეი...

მახვილი მტკიცე უნდა იყოს და თან მსუბუქი...

რატკლიფ...

რატკლიფი

ბატონო?

რიჩარდი

ნახე, როგორ მწუხარე იყო ლორდ ნორტუმბერლანდ?

რატკლიფი

ის და თომას გრაფი სერეი სწორედ ქათმების ქანდარაზედ შესხდომის დროსა რაზმიდან რაზმში დადიოდენ, ჯარს ამხნევებდენ.

რიჩარდი

მიამა სწორედ... ღვინო-მეთქი... როგორღაც ვერ ვარ ჩვეულებრივად მხიარული და სულითაც მხნე.

(ღვინო მოაქვთ).

აი, აქ დადგით... საწერელი, ქალაღლი-მეთქი!

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ისიც მზად გახლავთ.

რ ი ჩ ა რ ღ ი

გააფრთხილეთ ჩემნი დარაჯნი...

ახლა კი წადით. — რატკლიფ, მოდი შუალამისას  
შენ ჩემს კარავში და მიშველე საჭურვლის ასხმა. —  
აკი გითხარით, წადით-მეთქი...

(რიჩარდ მჭფე შედის თავის კარავში და იძინებს. რატკ-  
ლიფ და სხვანი გადიან. რიჩმონდის კარავი გაიხსნება და გა-  
მოჩნდება რიჩმონდ, მისნი ოფიცრები და სხვანი. შე-  
მოდის სტენლი).

ს ტ ე ნ ლ ი

ბედნიერება

და გამარჯვება შენს მუზარადს ნუ მოაკლდება!

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

მამინაცვალო საყვარელო, მოგცეს შენც ღმერთმა  
ყველა სიკეთე, რის მოცემაც ძალუძს ბნელ ღამეს!  
როგორღა არის, მითხარ, ჩემი ძვირფასი დედა?

ს ტ ე ნ ლ ი

მე მონღობილი მაქვს დაგლოცო დედის მაგივრად,  
რომელიც მუდამ ღმერთს ავედრებს თავის შვილს რიჩმონდს.  
შევწყვიტოთ ჩვენ ეს მუსაიფი; დრო იპარება,  
აღმოსავლეთით ჰკარგავს ძალას ბნელი წყვდიადი  
და უნდა მოკლედ მოგვკრათ სიტყვა, მეტი რა გზა გვაქვს.  
დილა აღრიან მოემზადე შენ საბრძოლველად,  
მიანდე შენი ბედი სისხლით მოსარწყავ ველსა  
და ღმერთს ომისას, თავის სახით სიკვდილის მზადავს.  
მეც, როგორც შევძლებ, — ვერ ავყვები თუმცა ჩემს ნებას,—  
ვეცდები, ჟამი ამოვიგო და დაგენმარო  
ამ სათუო, ძნელ გარდასაწყვეტ შეტაკებაში,  
თორემ თუ ნახეს, შენს ძმას, ჩემს შვილს, პატარა გეორგს  
თვით მამის თვალწინ თავს მოსჭრიან. ეხლა მშვიდობით,  
ეს საშიშარი და გულსწრაფი დრო აღარ გვაცლის,  
რომ სიყვარული ერთმანეთსა გაუზუზიაროთ

და ტკბილ საუბრით ვადევუშალოთ ჩვენ ჩვენი გრძნობა,  
რაც გულს გვიმძიმებს ესრეთ ხანგრძლივ გაყრილ მეგობართ.  
ღმერთმა ინებოს, რომ დაგვიდგეს ამისი ჟამიც,  
კიდევ მშვიდობით, იყავი მხნედ და გაიმარჯვე!

### რ ი ჩ მ ო ნ დ ი

გთხოვთ, გააცილოთ, ბატონებო, თავის ჯარამდე.  
მე კი ვეცდები დავიმშვიდო მღელვარე გული  
და ცოტა თვალი მოვატყუო, თორემ ხვალ დილით  
ძილის სურვილი ტყვიასავით ძირს დამწევს მაშინ,  
როს გამარჯვების ფრთები მარდად უნდა შევიცხა.  
კიდევ ვისურვებ, ბატონებო, თქვენთვის კარგ ღამეს. —

(გაღიან სტენლი, ოფიცრები და სხვანი).

შენ, რომლის ნების აღმსრულებლად ვთვლი მე ჩემს თავსა,  
გვედრებ ამ ლაშქარს გადმოხედო მოწყალე თვალით,  
ხელთ მისცე რკინის საჭურველი მტერთ შემმუსრაავი,  
რომ მუზარადნი, შეძენილნი მათგან ქურდივით,  
ქვე დაუნარცხოს, დედამიწას ზედ დააყულიტოს!  
გარდაგვქმენ ცოდვის შენდა დამსჯელ ხელქვეითებად,  
რომ გამარჯვების შემდეგ გიძღვნათ ხოტბა და ქება.  
ვიდრემდე ძილი ხედვის საარკმელს სრულად დამიხშობს,  
გთხოვ მიიბარო თავი ჩემი და მფარველ მექმნა,  
განუწყვეტელად ძილის დროსაც და სიფხიზლისაც.  
(რიჩმონდი იძინებს. — ორ კარავს შუა ამოდის სული პრინცის  
ედვარდისა, ჰანრი მეექვსის შვილისა).

სული პრინცის ედვარდისა (რიჩარდს)

ხვალ შენს სულს მწარედ დავამძიმებ! მოიგონე ის,  
ტიუქსბერიში ჯერეთ ნორჩს რომ ხანჯალი ჩამეც,  
მოიგონე და იმის გამო იტანჯე, მოკვდი! —  
(რიჩმონდს) გამხიარულდი, რიჩმონდ, რადგან უკვდავნი სულნი  
მისგან დახრცილ პრინციებისა შენს გვერდთ იბრძვიან.  
გამხნევი, რიჩმონდ, მეფე ჰანრის შვილი გამხნევებს.  
(ამოდის სული მეფე ჰანრი მეექვსისა).

სული მეფე ჰანრისა (რიჩარდს)

როს ხორციელი ვიყავ, მაშინ ცხებული გვაპი  
მრავალგან რკინით დამიხვრიტე სასიკვდილოდა.

აწ მოიგონე ტოუერი, მომიგონე მე,  
იტანჯე, მოკვდი. მეფე ჰანრი გიბრძანებს ამას! —  
(რიჩმონდს) კეთილო, სათნო, გამარჯვება ნუ მოგეშალოს!  
ჰანრი, რომელმაც ხელმწიფება აღგითქვა წინათ,  
აწ გიტკობს ძილსა, იცოცხლე და გადაიფურჩქნე!  
(ამოდის სული კლარენსისა).

სული კლარენსისა (რიჩარდს)

ხვალ შენს სულს მწარედ დავამძიმებ. მე ვარ კლარენსი,  
შენგან ღვინოში ჩახრჩობილი საბრალო კლარენს,  
სასიკვდილოდა განწირული ცბიერის ძმისგან.

ხვალ ბრძოლის დროსა მომიგონე და ჩლუნგი ხმალი  
მყისვე ხელიდან გაგვარდება. იტანჯე, მოკვდი! —  
(რიჩმონდს) შენ, ლანკასტერთა ოჯახისა ჩამომავალო,  
შენთვის იორკის მემკვიდრენი ტანჯულნი მისგან,  
ღმერთს ევედრიან; ანგელოზნი ცხარე ბრძოლის ჟამს  
ხელს შეგიწყობენ, იცოცხლე და გადაიფურჩქნე!  
(ამოდიან სულნი რივერსისა, გრეისა და ვოგანისა).

სული რივერსისა (რიჩარდს)

ხვალ შენს სულს მწარედ დავამძიმებ. მე ვარ ის რივერს,  
პომფრეტს რომ მოჰკალ, სამაგივროდ იტანჯე, მოკვდი.

სული გრეისა (რიჩარდს)

მომიგონე მე, გრეი, სტანჯე ეგ შენი სული!

სული ვოგანისა (რიჩარდს)

მომიგონე მე, ვოგან და მყის ცოდვით შემკრთალმა  
ხელი აუშვი წვერმოტეხილს მაგ შენს მახვილსა.  
იტანჯე, მოკვდი!

სამივე (რიჩმონდს)

გაიღვიძე, რაც ჩვენ რიჩარდმა

ტანჯვა დაგვმართა, იცოდე, რომ მასვე დაამხოხბს.

გამოიღვიძე, გაიმარჯვე!

(ამოდის სული ჰასტინგსისა).

სული ჰასტინგსისა (რიჩარდს)

სისხლით უძღებო,



ცოდვით აღსავსევე, მაგ ცოდვებმა ნუ მოგასვენოს,  
გამოიღვიძე და ბრძოლაში დალიე დღენი.  
მომიგონე მე, ლორდ ჰასტინგსი, იტანჯე, მოკვდი! —  
(რიჩმონდს) შეუშფოთველო სულო, ადექ, გამოიღვიძე,  
შეისხი მყისვე იარაღი, იბრძოლე მედგრად  
და გაიმარჯვე მთელ ინგლისის საბედნიეროდ!  
(ამოდინ სულნი ორის ახალგაზრდა პრინცისა).

სულნი ორი პრინცისა (რიჩარდს)

შენნი ძმისწულნი გვნახე სიზმრად, რომელნიც შენვე  
დააღრჩობინე ტოუერში. გულს დაგაწვებით  
და დაგაწვებით ტყვიასავით; გამოგაღვიძებთ,  
რომ შერცხვენილმა, გასრესილმა სული დალიო.  
შენ ძმისწულთ სულნი გიბრძანებენ: იტანჯე, მოკვდი! —  
(რიჩმონდს) ტკბილად გეძინოს, რიჩმონდ, მშვიდად  
გამოიღვიძე;

კეთილ ანგელოზთ დაგიფარონ მტარვლის ხელთაგან!  
იკოცნლე, შეჰქმენ შტო ბედნიერ, დიდ ხელმწიფეთა.  
საბრალო ძენი ედგარდისა გიხმობთ: აყვავდი!  
(ამოდის სული ანნა დედოფლისა).

სული ანნა დედოფლისა (რიჩარდს)

შენივე ცოლი, რიჩარდ მეფევე, ბედკრული ანნა,  
ვის შენთან წუთიც სიამისა არ ღირსებია,  
მოჩვენებთა გიშფოთებს ძილს. მომიგონე მე  
ხვალ ბრძოლის დროსა, დაჩლუნგებულს ხმალს ხელი უშვი,  
იტანჯე, მოკვდი! — (რიჩმონდს) დაიძინე, მშვიდო მშვიდადვე,  
სიზმრად გეზმანოს გამარჯვება, ყოველი კარგი;  
შენივე მტრის ცოლი შენს სიკეთეს ღმერთს ევედრება.  
(ამოდის სული ბუკინგამისა).

სული ბუკინგამისა (რიჩარდს)

გვირგვინი შენი მე პირველმა გამოვინე შენ  
და მტარვალობა გამოვცადე უკანასკნელმა.  
მომიგონე მე, ბუკინგამი, სწორედ ომის დროს  
და მოკვდი შენის ცოდვებითა შეშფოთებული.  
თვალწინ გეზმანოს სიკვდილი და სისხლის საქმენი,  
გული ტანჯვებმა შემოგყაროს და ტანჯვით მოკვდი! —

(რიჩმონდს) თუმც ვერ გიშველე, მაინც მომკლა შველის  
სურვილმა,

მაგრამ მხნედ იყავ, მხიარულად, ნუ შეშფოთდები:  
ღმერთი, კეთილნი ანგელოზნი რიჩმონდს შველიან  
და ქვე დასცემენ, დაამზობენ ამაყს რიჩარდსა!  
(სულნი გაჰქრებიან, რ ი ჩ ა რ დ ი გამოიღვიძებს).

### რ ი ჩ ა რ დ ი

სხვა ცხენი-მეთქი!.. შემიხვიეთ აი ეს წყლულიც...  
იესო, ღვთის ძეგ, შემიბრალებ!.. თურმე მეზმანა...  
ჰოი, ლაჩარო სინიდისო, როგორ მაწუხებ! —  
ლურჯადა ბყუტავს ეს სინათლე... შუადამეა...  
მაკანკალებს და ცივს ოფლს მასხამს წვეთ-წვეთად ტანზედ.  
ვისი მეშინის? ჩემივე თუ?! სხვას ვერვის ვხედავ:  
რიჩარდს რიჩარდი უყვარს ხომა, მე ხომ მევე ვარ!  
არის ვინმე აქ კაცისმკვლეელი? არა... ჰო, მე ვარ...  
უნდა გავექცე... ვისა? ჩემს თავს? რატომა ვითომ,  
რომ ჩემს თავზედვე მე ჯავრი არ ამოვიყარო.  
ვთქვ რომ მიყვარს ჩემი თავი! რადა? მისთვის რომ  
ცოტაოდენი სიკეთე რამ მახსოვს ჩემგანვე?  
ოჰ, არა, არა, მე უფრო მძულს ჩემივე თავი  
ჩემგან ნაქმნართა საზიზღართა საქმეთა გამო!  
ავაზაკი ვარ? რად ვიქნები? არა, ვტყუი მე!  
სულელო, კარგი სთქვი შენს თავზედ... ნუ, თავს ნუ იქებ...  
თითქო ათასი ენა ებას ჩემს სინიდისსა,  
რაც სათითაოდ თუმც მომიტხრობს სხვადასხვა ამბავს,  
ყველა ერთად კი ავაზაკსა მიწოდებს და მსჯის.  
ფიცის დაგმობა საშინელი, უსაშინლესი,  
უსაზარლესი კიდევ უფრო უწყალო კაცთ კვლა,  
ყველა ცოდვები გარდასულნი ზომას და წონას, —  
ერთად იყრიან სამსჯავროს წინ თავს და ბლავიან:  
„დამნაშავეა, დამნაშავე“... სრულად დავიბენ...  
არც ერთ არსებას არ ვუყვარვარ: როცა მოგვედები,  
არ დავნანდები არავისა; ან რად დავნანდე,  
როცა მე თითონ ვერას ვპოვებ ჩემში დასანანს!  
(რ ა ტ კ ლ ი ფ ი დაბრუნდება).

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ჩემო ხელმწიფევ.

რ ი ჩ ა რ დ ი

ვინა ხარ მანდ?

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ეს მე გახლავართ;  
სოფლად მამალმა ორჯერ ცისკარს სალამი უძღვნა,  
თქვენნი მომხრენი ადგნენ კიდეც, საჭურველს ისხმენ.

რ ი ჩ ა რ დ ი

ოჰ, რატკლიფ, მეტად საშინელი სიზმარი ვნახე!  
გგონია, არვინ გვილაღატებს ჩვენს მეგობრებში?

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

არა, ბატონო.

რ ი ჩ ა რ დ ი

მე კი ვშიშობ, ოჰ, რატკლიფ, ვშიშობ!  
სიზმრადა ვნახე, ყველა ჩემგან დახოცილთ სულნი  
მოგროვილიყვნენ ჩემ კარავთან და მემუქროდენ  
ხვალისთვის ჭავრის ამოყრასა.

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ბატონო ჩემო,

სულისა როგორ გეშინიანთ?

რ ი ჩ ა რ დ ი

მოციქულ პავლეს

სახელსა ვფიცავ, რომ წუხანდელ აჩრდილთ უფროდაც  
მე, რიჩარდს, სული შემიძრწუნეს, ვიდრე ეს ძალუძს  
თვით ათიათას თავქარიან რიჩმონდის ჯარსა  
საგანგებოდა შეჭურვილსა და სისხლ-ხორც-შესხმულს.  
ჯერ განთიადი არ დამდგარა: მომყე, წავიდეთ,  
ჯაშუშებივით დავუაროთ ყველა ჩვენ კარებს  
და ყური ვუგდოთ, განდგომას ზომ არვინ გვიპირობს.  
(რიჩარდი და რატკლიფი გადიან. — შემოდინ ოქსფორდი  
და სხვა ლორდეები).

ლ ო რ დ ე ბ ი

ბატონო ჩვენო, რიჩმონდ, დილა კარგად ყოფნისა!

რ ი ჩ მ ო ნ დ ი (იღვიძებს)

ოჰ, მიუტევეთ, ბატონებო, ჩემს სიზარმაცეს,  
რომ აგრე ფხიზელ ჩემ მეგობრებს მიძინარე დაგზვდით.

ლ ო რ დ ე ბ ი

როგორ მშვიდობით მოისვენეთ?

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

ძალიან ტკბილად.

სიზმრებიც ვნახე, როს წახვედით, მეტად საამო,  
რაც არა ვგონებ სხვას როდისმე ძილში ენახოს.  
მე ვნახე, ვითომ რიჩარდისგან დახოცილთ სულნი  
ჩემს კარავთანა მოსულიყვენ და მპირდებოდენ  
გამარჯვებასა. ეს სიზმარი რომ მაგონდება,  
გული მიტოკავს სიხარულით. რა დროა ეხლა?

ლ ო რ დ ე ბ ი

მალე ოთხს დაჰკრავს.

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

დრო არის მაშ, რომ შევიჭურვოთ,  
შევეუდგეთ ბრძოლის სამზადისსა. — (წაღება წინ ჭარისკენ)

რაც კი გითხარით

წედან, ძვირფასნო ჩემნო თანამემამულენო,  
მასზედ მეტის თქმის ნებას დრო და ჟამი არ მაძლევს.  
ეს კი გახსოვდეთ, რომ ღმერთი და ჩვენი სიმართლე  
გაგვამხნევებენ და ჩვენ თვალწინ აიმართება  
ჩვენდა მფარველად, მსგავსად მაღალ უძრავ ციხისა,  
ლოცვა წმიდანთა და მტარგლისგან დახოცილ სულთა.  
ვისაც ჩვენ ვებრძვით, ყველა ერთად, თვით რიჩარდს გარდა,  
ჩვენს გამარჯვებას უფრო ნატრობს, ვიდრე იმისას,  
ვინც მათ პატრონობს... და ვინ არის მათი პატრონი?  
მტარვალი სისხლში ამოთხვრილი, კაცთა მჟღეტავი,  
ზე აღწეული სისხლში, სისხლით დამკვიდრებული,  
ვინ იცის რა გზით ამ დიდების მომპოვებელი  
და ამომხოცი თვით იმათი, ვინც გზა გაუხსნა.  
ქვა უვარგისი, საზიზღარი, რამაც თვის ფასი  
ცბიერებითა მოიპოვა ინგლისის ტახტზედ.

მუღმივ ღვთის მტერი, რომელსაც თუ ბრძოლას აუტეხთ, მიიღებთ ჯილდოს ღვთისგან, როგორც მის ჯარისკაცი. თუ ქვე დაამხობთ მტარვალს, მაშინ, რაკი მოკვდება, ნაჯაფარევი მოისვენებთ მშვიდობის ძილით.

ებრძოლეთ თქვენის ქვეყნის მტერსა და ეს ქვეყანაც არ დაიშურებს ჯილდოდ თქვენთვის თავის საუნჯეს. იბრძოლეთ თქვენთა მეუღლეთა უშიშრობისთვის, — შინ მხიარულად გამარჯვებულთ დაგიხვდებიან; და თუ თქვენს შვილებს გადაარჩინთ ხმალსა და მახვილს, — მოხუცებაში შვილისშვილი გადაგიხდია.

მაშ ღვთის სახელით და ყოველ ამ სიმათლის ძალით, გაშალეთ დროშა, მომახული ხმლები იშიშვლეთ! მე კი სასჯელად ამ კადნიერ საქციელისთვის ჩემ ცივის გვამის ცივ მიწაზედ გდება მერგება; მაგრამ თუ მერგო გამარჯვება, უმცირეს თქვენგანს გავუნაწილებ მონაგარსა. დაჰკარით დაფდაფს, საყვირს ჩაჰბერეთ, გამხნევდით და გამხიარულდით; წმიდა გიორგი, ღმერთი, რიჩმონდ და გამარჯვება!

(გაღან. — შემოდინ რიჩარდ მეფე, რატკლიფი, აშალა და ჯარი).

რიჩარდი

ნორტუმბერლანდმა, ერთი მითხარ, რა სთქვა რიჩმონდზედ?

რატკლიფი

რომ თავის დღეში იარალი არ სჭერიაო.

რიჩარდი

მართალიც არის. მაგ სიტყვაზედ სერეიმ რა სთქვა?

რატკლიფი

მან სთქვა ღიმილით, ჩვენთვის უფრო უკეთესიო.

რიჩარდი

უკეთესია, დიად, სწორედ, მართალი უთქვამს.

(სათი დაჰკრავს).

რამდენი დაჰკრა? კალენდარი მომეცით აქა...

ნახა ვინმემ დღეს მზის ამოსვლა?

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

მე არ მინახავს.

რ ი ჩ ა რ დ ი

მაშ დღეს მზეობას არ გვიბირებს, თორემ ამ წიგნით ერთი საათის წინათ უნდა თავისი შუქი აღმოსავლეთით მოეფინა. ბნელი იქნება ეს დღე ვისთვისმე. რატკლიფ...

რ ა ტ კ ლ ი ფ ი

ბრძანეთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

ვატყობ, რომ დღეს მზე არ გამოჩნდება; ცა ქურუხობს და ჩვენს ჯარს დასწვამს. ნეტა ეს ზეცის ცრემლი ნამი იყოს მიწისა! ნუ გაგვინათებს, რა მენალვლის! ეს დღე არ ადგას განა რიჩმონდსაც?! შავბედითად თუ დამცქერის ცა, იმასაც ესე მოღრუბლული დაჰყურებს თავსა.  
(შემოდის ნორფოლკი).

ნ ო რ ფ ო ლ კ ი

გავიდეთ ბრძოლად, ხელმწიფეო, მტერი ზვიადად საომარ ველზე დანავარდობს.

რ ი ჩ ა რ დ ი

აბა, არიქა!

საჩქაროდ ცხენი შემიკმაზეთ, მიხმეთ ლორდ სტენლის! უთხარით ჯარი მოიყვანოს, მე ვუწინამძღვრებ თვით ჩემს ლაშქარსა, ბრძოლის წესსა ასე განვაგებ: უნდა სიგრძეზედ მოწინავე რაზმი გავშალო, თანაბარობით შედგენილი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით; ჩავუყენებ შუაში მსროლელთ. ამ ქვეითსა და ცხენოსან ჯარს მოთავედ ჰყვანდეს მთავარი ნორფოლკ ჯონ და თომას გრაფი სერეი. ჩვენ უკან მევდევთ, სად მთავარი ბრძოლა იქნება და ორივე მხრიდან დამხმარედა თან გვეყოლება საუკეთესო ცხენოსანი ლაშქარი ჩვენი.

მაშ ასე, წმიდა გიორგიცა შემწედა გვყავდეს! —  
რას იტყვი, ნორფოლკ, ამ წესზედ შენ?

ნორფოლკი

ჩემო ხელმწიფე,

ომში გათქმულო, ეგე წესი ჩინებულია, —  
მე ეს ბარათი ჩემ კარავში ვპოვე დღეს დილით.  
(აძლევს რიჩარდს ბარათს).

რიჩარდი (კითხულობს)

„ჯონ ნორფოლკ, ნუ ხარ შენ ამაყი, ნუ ხარ თავხედი,  
გაყიდვა ელის მაგ შენს ბატონს, უწყალო ბედი“. —  
მტრის ამბავია, თქვენ თქვენს საქმეს მიჰხედეთ ყველამ.  
უსუსურ სიზმრებს ნულარ ვუფრთხით. სინიდიისო!  
ეგ ლაჩართაგან მოგონილი სიტყვაა მხოლოდ  
ძლიერებისა შემფერხებლად. ჩვენ სინიდიისად  
მტკიცე მარჯვენა გვქონდეს ჩვენი, კანონად ხმალი,  
წინ, წინ წავიდეთ მამაცურად, მტერს დავერიოთ,  
თუ ცას ვერ ავალთ, ჯოჯოხეთში მაინც შევცვივდეთ. —  
(თავის ჯარს)

იმაზედ მეტი რალა გითხრათ, რაც წელანა ვთქვი?  
ეს გაიხსენეთ, თუ ვის ებრძვით: ურცხვ მაწანწალებს,  
გამორეკილებს მათის ქვეყნით, წუწკ გლეხუჭებსა,  
ბრეტანის ჭუჭყსა პირზედ ქაფად მოტივტივებულს,  
გადმონთხელსა მობეზრებულ სამშობლოს მიერ,  
გამომეტებულს დასალუჰად, განსაწირავად.  
მშვიდად გეძინათ, აღგიშფოთეს მათ მოსვენება;  
ჭფლობდით მამულებს, მშვენიერნი ცოლნი გვერდს გესხა:  
მათ სურთ წართმევა მამულისაც, ცოლთა შემწიკვლაც.  
ვინ უძღვის მათ წინ? საცოდავი ვილაც, ბედკრული,  
გამოკვებული ბრეტანს დედიჩვენის წყალობით,  
რძით გაყდნთილი; ის, რომელსაც თვის სიცოცხლეში  
თოვლის სიცივე არ უგრძნია ფენის კოჭს ზევით.  
გავრეკოთ ცემით ზღვას იქით ეს მათხოვარანი,  
გავგავოთ ცოცხით ეს ნაფლეთნი საფრანგეთისა,  
ქუჩის გლახანი, თავგასულნი დამშეულობით,  
რომელთ სიცოცხლე ისე რიგად მობეზრებიათ,

რომ უნდა თავი ჩამოედრჩოთ საბრალო თავგებს  
სიმშლით, თუ ამ გიჟურს საქმეს არ აპყოლოდენ.  
თუ მართლა ბედად გვიწერია სხვისგან დაპყრობა,  
დეე დაგვიპყროს ხალხმა მაინც და არა ამ ბუშთ  
ბრეტანით მოსულთ, რომელნიც მათ ქვეყანაშივე  
მამაჩვენებმა სცემეს, ტყეპეს, გაანადგურეს  
და დაუტოვეს სამახსოვროდ ცოდვის შვილები.  
ჩვენს ქვეყანაში ამათ უნდა იხარონ მერე?  
ესენი დაწვენენ ჩვენს ცოლებთან, ქალნი მოგეტაცონ?—  
(შორს დაფდაფის ხმა ისმის).

სსუ! მათ დაფდაფის ხმა მესმის მე! — კეთილშობილნო  
ინგლისისანო, მხნე ლაშქარო, აბა, ვიბრძოლოთ!  
მოზიდეთ თქვენსკენ მედგრად შვილდსა, ისართ  
მსროლელნო.

თქვენს თავმომწონე ცხენს დეზი ჰკათ, სისხლში შეცვივდით  
და დააბნელეთ ზეცა თქვენის ხმლების ნამსხვრევეით. —  
(შემოდის შიკრიკი)

რა სთქვა ლორდ სტენლიმ, მოჰყავს თუ არ თვისი ლაშქარი?

შ ი კ რ ი კ ი

მოსვლაზედ უარს ამბობს, მეფევ.

რ ი ჩ ა რ დ ი

იმის შვილს გეორგს

გააგდებინეთ ეხლავ თავი!

ნ ო რ ფ ო ლ კ ი

ჩემო ხელმწიფევ,

მტერი ჰაობებს გადმოსცილდა, სჯობს, ომის შემდეგ  
დაასჯევინოთ გეორგ სტენლი.

რ ი ჩ ა რ დ ი

ოჰ, ამ ჩემ მკერდქვეშ

ათასი გული ერთად ფეთქავს. გაშალებთ დროშა,  
თავს დაესხით მტერს. სიმამაცის ძველო ნიშანო,  
წმიდა გიორგი სახიერო, ჩავებერე რისხვა  
პირით ცეცხლის მყრელ გველ-ვეშაპის. დაჰკათ, დაჰკარით,  
ჩვენს მუზარადებს გამარჯვება ზედ აკერია!

(გაღიან).



მინდვრის სხვა მხარე.

(ომის ხმაურობაა. სცენაზედ ჯარი შემოცვივა. შემოდის ნორფოლკი, რომელსაც აგრეთვე ჯარი მოსდევს, კატესბი წინ დაუხვდება).

კ ა ტ ე ს ბ ი

გვიშველე, მილორდ, თუ ღმერთი გრწამს, ნორფოლკ,

გვიშველე!

მეფე სასწაულს ჩადის სწორედ, რაც კაცს არ ძალუძს. არავითარ შიშს ის არ უფრთხის: ცხენი მოუკლეს, ქვეითი იბრძვის, სიკვდილს თითქო ყელში უძვრება, რომ რიჩმონდ ჰპოვოს! შეველა გვინდა, თორემ

გმარცხდებით.

(ომის ხმაურობაა. შემოდის რიჩარდ მეფე).

რ ი ჩ ა რ დ ი

ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!

კ ა ტ ე ს ბ ი

უკან მობრძანდით, მეფე, ცხენსაც ეხლავ მოგართმევთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

რას სჩამხავ, მონავი ეს სიცოცხლე მე მთლად მივანდე ბედის კამათელს, მინდა ვცადო აწ გაგორება.

ვგონებ ამ ველზედ ექვსი რიჩმონდ ერთად იბრძოდა, ხუთი მოვკალი დღეის ომში ერთის მაგივრად.

ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ! (გაღიან. — ომის ხმაურობაა, სხვადასხვა მხრიდან შემოდიან რიჩარდ მეფე და რიჩმონდი. დაიწყებენ ბრძოლას და ბრძოლით გავლენ. გაყრის ბუკის ხმა. მასუკან შემოვლენ რიჩმონდ სტენლი, რომელსაც გვირგვინი მოაქვს, სხვა ლორდები და ჯარი).

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

იდიდოს ღმერთი, მეგობარნო გამარჯვებულნო, იქოს ეგ თქვენი საჭურველიც! ბრძოლა მოვიგეთ, მოსისხლე ძალი მკვდარი გდია.

ს ტ ე ნ ლ ი

მამაცო რიჩმონდ,

შენ შენი ვალი შეასრულე. აქ მოიხედე;  
დიდის. ხნიდანვე მოპარული მეფის ნიშანი  
ავაგლიჯე ამ უბადრუქსა, სისხლით უძღვებას  
უსულო კეფით; დაგიმშვენებ ამ გვირგვინით შუბლს.  
იხარე ამით, ღირსად ზიდე და განძლიერდი!

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

ოჰ, დიდო ღმერთო, ამინ დართე ყოველ ამ სიტყვას,—  
ეხლა ეს მითხარ, გეორგ სტენლი ცოცხალი არის?

ს ტ ე ნ ლ ი

უენებლად გახლავს, ხელმწიფეო, ქალაქ ლეისტერს,  
სადაც ჩვენ წავალთ, თუ ინებებთ.

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

შესანიშნავი

გვარების კაცი ორივე მხარეს ვინ და ვინ მოჰკლეს?

ს ტ ე ნ ლ ი

მთავარი ნორფოლკ ჯონ და ლორდი ვალტერ ფერერს,  
ბრაკენბიური რობერტ, ბრანდონ უილიამი.

რ ი ჩ მ ო ნ დ ი

დამარხეთ ისე, ვით ჰფერობს მათ ჩამომავლობას  
და პატივება განუცხადეთ იმ ჯარისკაცებს,  
რომელნიც მოვლენ მორჩილებით და თავს დაგვიკვრენ.  
და როდესაც ჩვენ ფიცს მივიღებთ, მყის შევეართებთ  
თეთრს ვარდს წითელთან; ამ ტკბილ კავშირს ცაც გაუღიმებს,  
ცა ამდენ მტრობით მოღრუბლული, გაბეზრებული.  
ვინ მუხანათი გამიბედავს ამის უარსა?  
ინგლისი დიდხანს ჭკვაშეშლილებრ იტანჯებოდა,  
უწყალოდ ღვრიდა ძმა ძმის სისხლსა, მამა შვილისას,  
შვილიც მამასა არ ინდობდა და ყელსა სჭრიდა; —  
ესე ყოველი იორკსა და ლანკასტერს შორის,  
ამ ორს ოჯახში ბადებდა შფოთს, საზარელ შუღლსა  
და აწ ღმერთმა ჰქმნას, რომ რიჩმონდ და ელისაბედი

ამ ორ სამეფო სახლის ნამდვილ მემკვიდრეები  
შეუღლდნენ ერთად და თუ ღმერთმა უბოძა შვილი,  
მომავალ დროშიც დაამყარონ ტკბილი მშვიდობა,  
კეთილნი დღენი, სასიამო ნაყოფთ სიმრავლე.  
მოწყალე ღმერთო, დაუჩლუნგე ხმლები მუხანათს,  
ვინც ამ სისხლიან დღეთ აღდგენას კვლავ განიზრახავს,  
ბედკრულ ინგლისის დაწრეტასა სისხლის ცრემლითა,  
ნულარ იცოცხლებს; ნუ ნახავს ამ ქვეყნის სიკეთეს,  
ვინც კი ღალატით აღუშფოთებს სიამოვნებას!  
ერთმანეთ შორის დაცხრა ომი, აღდგა მშვიდობა,  
რასაც ნუ მოშლი საუკუნოდ, გვედრებ, უფალო!

(გადიან).

ცინა

მე შენ გეძებ. ეგ ვილა არის,  
მეტელოს ციმბერ?

კასიოს

არა, ცინა, ეგ არის კასკა  
წილჩადებული ჩვენს საქმეში. — იქ მელიან მე?

ცინა

დიდად მიამა. — რა საშიში ღამე დაგვიდგა!  
უცნაურს ამბავს დასწრებიან ზოგნი ჩვენგანნი.

კასიოს

მელიან-მეთქი, მე შენ გკითხავ.

ცინა

ჰო, როგორ არა. —  
ოჰ, ნეტა ბრუტოს კი მოიმხრო ამ ჩვენ საქმისთვის.

კასიოს

ნუ გეფიქრება, ჩემო ცინა; შენ ეს ქალაღლი  
პრეტორის სელზედ ისე დასდე, ბრუტოსმა ნახოს;  
ესეც სარკმელში შეუსროლე და ეს მესამეც  
ძველი ბრუტოსის ქანდაკს წმინდა სანთლით დააკარ;  
მასუკან მოდი პომპეოსის კართან, იქ გვნახავ.  
დეციოს ბრუტოს, ტრებონიოს, ხომ იქ არიან?

ცინა

სულ იქ არიან მეტელოსის გარდა ყველანი  
და ისიც შენსას წამოვიდა. მაშ დავაშურებ  
და, როგორც მითხარ, ამ ქალაღლებს ისე გავფანტავ.

კასიოს

მერე უთუოდ პომპეოსის თეატრთან მოდი.

(ცინა გადის).

ჩვენ, კასკა, უნდა თავის სახლში ვნახოთ ბრუტოსი  
გათენებამდე. სამი წილი მისი ჩვენია,  
ამ ნახვის შემდეგ სრულად უნდა დავისაკუთროთ.

კ ა ს კ ა

ოჰ, ბრუტოს მეტად მიჩნეული ჰყავთ რომაელთა:  
ჩვენ რომ ბოროტი მოვიქმედოთ, ქვეყანა დაგვეგმოზს,  
მაგრამ იმისი სახელი ამ ბოროტს გარდაჰქმნის  
რალაც თილისმით სათნოებად და კეთილ საქმედ.

კ ა ს ი ო ს

შენ სწორედა სჯი მასზედ, იმის ღირსებაზედაც  
და ისიც გესმის, თუ მის შველას ვით ვსაჭიროებთ.  
ეხლა წავიდეთ, შუალამე გადასულია,  
უნდა ბრუტოსი გავადვიძოთ, სრულად მოვიმხროთ.  
(გადიან).

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

ს უ რ ა თ ი . I

რომი. ბრუტოსის ხილის ბაღი.

(შემოდის ბ რ უ ტ ო ს).

ბ რ უ ტ ო ს

ეი, ლუციოს! — ვარსკვლავების სვლაზედ ვერ ვარჩევ,  
თუ რა დრო არის აწ ღამისა. — ლუციოს-მეთქი! —  
მე მაინც მჭირდეს სენი აგრე ტკბილად ძილისა. —  
ლუციოს! კმარა, გაიდვიძე, რა დაგემართა!  
(შემოდის ლ უ ც ი ო ს).

ლ უ ც ი ო ს

შენ მიბრძანებდი?

ბ რ უ ტ ო ს

ლუციოს, ჩემს ოთახში სანთელს  
მოუქიდე და მზად რომ იყოს, შემატყობინე.

ლ უ ც ი ო ს

ეხლავ, ბატონო.

(გადის).

ბ რ უ ტ ო ს

არ იქნება, მაშ, თუ არ მოკვდა.

მერე რას ვერჩი პირადად მე, ან რა მაქვს სამტრო,  
თუ არ მიზეზი საზოგადო? მას მეფობა სურს  
და როგორ შესცვლის მის ბუნებას თავზედ გვირგვინი,—  
აი ეს არის საკითხავი. გველს გარეთ მხოლოდ  
გამოიტყუებს ნათელი დღე და ვინც ფრთხილია,  
ხელიდან კომბალს ნუ გააგდებს. ვთქვათ, მეფედ დაესვით;  
მით ხომ გესლიან ნესტარს მიეცემთ მას იარაღად  
და რამდენიც სურს, იმდენს გვავენებს. საშიშია, თუ  
განდიდებული თვის სინილის და ძლიერებას  
არ შეათანხმებს ერთმანეთთან. კეისრისათვის,  
როგორ არა ვთქვა, არას დროს არ შემომჩნევია,  
ჭკუა-გონება გულისთქმისთვის დაემორჩილოს.  
აიცი სწორეა, ჩვეულებრივ თავმოყვარებას  
ახლად გაფურჩქენილს თავმდაბლობა კიბედ მსახურებს:  
ჯერეთ ამსვლელი მას შესცქერის და რა მიაღწევს  
უმადლესს წერტილს, ზურგს უბრუნებს მაშინვე ზიზლით  
იმავე საფეხურთ და ზე ღრუბელთ ეპოტინება.  
შესაძლო არის, კეისარიც ასე მოიქცეს.  
თუ ეს არ გვინდა, წინდაწინვე მივიღოთ ზომა,  
და რადგან მიზეზს ვერ ვპოულობთ მასში, რაც არის  
ამჟამად იგი, უნდა თვალწინ წარმოვიდგინოთ,  
თუ რაოდენსა ვნებას მოგვცემს, როს განდიდდება.  
გველის კვერცხს უნდა შევუდაროთ, ნაჭუჭშივე ჩავკლათ,  
რომ ვერ გამოძვრეს, ვერ დაგვმხამოს თვის მოდგმისაძებრ.  
(ლუციოს დაბრუნდება).

#### ლუციოს

ანთებულია შენს ოთახში სანთელი, ბრუტოს,  
როცა სარკმელთან დავეძებდი ტალკვესს, ხელთ მომხვდა  
მე ეს ქაღალდი დაბეჭდილი. (წერილს აძლევს).

ნამდვილად ვიცი,  
ვიდრე საძილოდ წავიდოდი, იქ არ დებულა.

#### ბრუტოს

წადი და ისევ დაიძინე, ჯერ ღამე არის.  
ხვალ, ვგონებ, მარტის იდებია, არა, ლუციოს?

#### ლუციოს

რა მოგახსენო.

ბ რ უ ტ ო ს  
წადი, ნახე მაშ კალენდარში  
და აქ მაცნობე.

ლ უ ც ი ო ს  
გიახლები. (გადის).

ბ რ უ ტ ო ს  
ეხლა პაერში  
იმდენი ცეცხლი ტრიალებს, რომ გავარჩევ კიდეც.  
(გახსნის წერილს და ცდილობს წაკითხვას).  
„ბრუტოს, შენ გძინავს, გაიღვიძე, სცან შენი სახე,  
ჰფერობს განა რომს... და სხვ. სთქვი რამ, დაჰკარ და  
აღგვადგინე!“

ბრუტოს, გძინავსო, გაიღვიძე, — ეს მოწოდება.  
აგერ რამდენჯერ დამხვედრია წინ მე ჩემს გზაზედ.  
ჰფერობსო რომსა... დაუშმატებ მე კიდევ ამას, —  
რომ ერთის კაცის უღელქვეშა დრტვინავდეს იგი?  
საღლაა რომი! ის სხვა იყო, როცა ტარკვინი  
მეფედ ხმობილი წინაპარმა ჩემმა განდევნა  
მის კედლებიდან. „სთქვი რამ, დაჰკარ და აღგვადგინე!“  
მე მთხოვენ ხელის გამოღებას და სიტყვის თქმასა!  
ოჰ, პირობას ვდებ, დიდო რომო, შენს აღსადგენად  
ბრუტოსი იხმარს უკანასკნელს ძალას და ღონეს  
და თხოვნას სრულად შეგისრულებს.

(შემოდის ლ უ ც ი ო ს).

ლ უ ც ი ო ს  
ბატონო ჩემო,  
მარტის თოთხმეტი დღე გასულა.  
(მოისმის კარების ბრახუნი).

ბ რ უ ტ ო ს  
კარგია, წადი.  
კარებს ვილაცა აბრახუნებს, ნახე, ვინ არის. —  
(ლ უ ც ი ო ს გადის).  
რაც კასიოსმა კეისარზე მე წამაქეზა,

თვალთ ძილი აღარ მეკარება. დრო წარმავალი  
საზარელ საქმის ჩასახვიდან შესრულებამდე  
მოჩვენებას ჰგავს, ან საზიზღარ რაიმე სიზმარს:  
სული კაცისა და სხეული მაშინ ერთად ბჭობს,  
აღამიანი ემზგავსება მცირე სამეფოს  
ძირით თხემამდე შერყეულსა და აჯანყებულს.  
(ლუციოს ისევ დაბრუნდება).

ლუციოს

შენს სანახავად მეგობარი შენი კასიოს  
მობრძანებულა.

ბრუტოს

მარტო არის?

ლუციოს

არა, იმასთან

სხვებიც გახლავან.

ბრუტოს

ვინ არიან, ხომ ვერ იცანი?

ლუციოს

ვერა, ბატონო. ყურებამდე ჩამოუფხატავეთ  
თაეზედ ქუდები და სახეზედ წამოსასხამი  
ნახევრობამდე აუფარავეთ; ვერ გავარჩიე,  
თუ ვინ არიან.

ბრუტოს

შემოვიდნენ. — (ლუციოსი გადის)

ეს ხომ შეთქმულნი

იქნებიან. ოჰ, შეთქმულობავ! რატომ ვერ ბედავ  
და ვერ უსწორებ შენ საშიშ თვალთ თვით დამესაც კი,  
რომელიც ბოროტს თავისუფალ ნავარდს არ უშლის.  
მამ ღღისით სადღა ჰპოვებ ჯურღმულს იმდენად ბნელსა,  
რომ დაგიმალოს ეგ საზარი შეხედულება.  
სჯობს არ ეძებო; ღიმილს, ალერსს ამოეფარე,  
თორემ, რაცა ხარ, თუ სახეზედ ის აღგებეჭდა,  
თვით ერებოსის მწყვდიადიც კი ვერ გადაგარჩენს  
გამომჟღავნებას.



(შემოდინ კასიოს, კასკა, დეციოს, ცინა, მეტელოს  
ციმბერ და ტრებონიოს).

კასიოს

მეტად ადრე მოგადექით კარს.

გისურვებთ, ბრუტოს, კეთილს დილას. ძილი

დაგიფრთხნეთ?

ბრუტოს

საათი არის, რაც ზეზე ვარ, არ მძინებია

მე მთელი ღამე. — ამ ყმაწვილებს ვიცნობ მე ყველას?

კასიოს

იცნობ, და არც ერთს არა ჰხედავ აქ იმისთანას,  
რომ დიდად პატივს არა გცემდეს; მხოლოდ ისა სურთ,  
შენც იგივე აზრი შეადგინო შენს ღირსებაზედ,  
რაიც კი ყოველ კეთილშობილ რომაელსა აქვს. —  
ტრებონიოსი არის ესა.

ბრუტოს

ფრიად კეთილი.

კასიოს

ესეც დეციოს ბრუტოსია.

ბრუტოს

მობრძანდეს ეგეც.

კასიოს

ეს კასკა არის, ესეც ცინა, მეტელოს ციმბერ.

ბრუტოს

წრფელის გულითა ვეგებები. რომელ საზრუნავს  
თქვენთა თვალთაგან გაუფრთხნია ამ ღამეს ძილი?

კასიოს

სათქმელი რამ მაქვს, ბრუტოს, შენთან.

(ბრუტოს და კასიოს ჩუმად ლაპარაკობენ).

დეციოს

აღმოსავლეთი

აქეთკენ არის; მგონია, რომ თენდება კიდეც.

## კ ა ს კ ა

არა.

## ც ი ნ ა

დიადაც. აი აქეთ აჭრელებულა  
ღრუბლები მტრედის ფერ ზოლებით. ეს გათენების  
ნიშანი არის.

## კ ა ს კ ა

ორნივ სცდებით, მერწმუნეთ-მეთქი.  
ჰხედავთ, საითაც ხმალს ვიშვერ მე, იქ ამოდის მზე;  
სამხრეთით არის მიწეული წლის დასაწყისში,  
ორის თვის შემდეგ ჩრდილოეთით გადაიხრება  
და იქ ჰფენს ხოლმე პირველ სხივებს. მაგრამ ნამდვილი  
აღმოსავლეთი აქეთ არის, კაპიტოლისკენ.

## ბ რ უ ტ ო ს

მომეცით ყველამ თქვენი ხელი სათითაოდა.

## კ ა ს ი ო ს

გავიფიცნეთ, რომ აღვასრულებთ, რაც განვიზრახეთ.

## ბ რ უ ტ ო ს

ფიცი რად გვინდა! თუ სირცხვილი კაცთა წინაშე,  
ამდენ სულთ ტანჯვა, სიბედშავე ჩვენის ყოფისა  
წასაქეზებლად არა კმარა, სჯობს დროზედ შევდგეთ  
და მივეყარნეთ უსაქმურად ჩვენს საწოლებზედ.  
დეე, გვზნექავდეს მტარვალობა ქედს წამომჯდარი,  
ვიდრე სიცოცხლეს თითო-თითოდ არ მოვაკლდებით.  
მაგრამ თუ მასში, რაც ვთქვი, ცეცხლი საკმაო ღვივის,—  
და ეს მჯერა მე, — თვით ლაჩართა გასამხნევებლად,  
გამკაქებელად თვით დედაკაცთ დუნე ბუნების,  
მაშინ რად გვინდა სხვა მიზეზი, ჩვენიც გვეყოფა,  
რომ აჯანყების სული, ძმებო, მკერდში ჩავგებეროს.  
რა შეგვკრავს ისე მტკიცედ, როგორც ფარული სიტყვა,  
რომაელთ შორის დადებული? რა ფიცი გვინდა,  
რაკი ვპირდებით ერთმანეთსა პატიოსნურად,  
ეს განაზრახი შევასრულოთ, ან გავწყდეთ მისთვის?  
ფიცს სდებენ მოგვნი, ლაჩარნი და ცბიერნი სულნი,

ან შეჩვეულნი ტანჯვა-ვარამს ბოროტების ქვეშ,  
ან მოწყვეტილნი, სიბერითა მისუსტებულნი.  
ფიცი სჭირიათ საეჭვო პირთ ავ რამ საქმეში;  
ჩვენ კი ნუ წავცხებთ ჩირქს ჩვენს წმინდა და ქველს  
განზრახვას;

ნურც შეუდრეკელს სიმხნეს ჩვენსას იმ გვარის ფიქრით,  
ვითომ უფიცრად საქმეს ბოლოს ვერ მოვადევნებთ.  
ეს მამულიშვილს არ ეყოფა ფიცის დადებად,  
რომ თუ გადასცდა ცოტაც არის მიცემულ სიტყვას,  
ნება გვეძლევა დიდებულად მდინარე სისხლი  
რომაელთ გვამში, მის ძარღვებში ნაბიჭვისად ვცნოთ!

კ ა ს ი ო ს

ციცეროზედ თქვენ რაღას იტყვით, არ გამოვცადოთ?  
ვგონებ მხარს მოგვცემს და შევლასაც გაგვიწევს იგი.

კ ა ს კ ა

უნდა მოვიმხროთ უსათუოდ.

ც ი ნ ა

რაღა თქმა უნდა.

მ ე ტ ე ლ ო ს

უნდა მოვიმხროთ. მისი თმები ვერცხლებრ მბზინავი  
ჩვენს საქმეს ზალხის გულს მოუგებს და თვით ჩვენზედაც  
შეადგენინებს კეთილ აზრსა. მაშინ იტყვიან,  
იმის ჭკუით და დარიგებით მოქმედებდნენო  
და სიჭაბუკეს აღტაცებულს სიდარბაისლე  
ზედ გადღეფარვის.

ბ რ უ ტ ო ს

დაეხსენით, მას ნურას ეტყვით:  
სხვისგან დაწყებულს ის არაფერს არ თანაუგრძნობს.

კ ა ს ი ო ს

მაშ სჯობს დავეხსნათ.

კ ა ს კ ა

მართლა, ის არ გამოგვადგება.

დ ე ც ი ო ს

კეისარს გარდა სხვას ვისმე ხელს ნურავის ვახლებთ?

კ ა ს ი ო ს

შენ სწორედ კარგად გაგახსენდა. ვგონებ კეისარს, საჭიროა, რომ მივადევნოთ ანტონიოსი, როგორც მის გულის საყვარელი; თორემ ხომ იცით, ავკარგიანი კაცია და თუ მოინდომა, ბევრს გვავენებს თავის ცბიერებით; ამიტომ უნდა ბოლო მოვუღოთ ორსავე ერთად.

ბ რ უ ტ ო ს

მაგას ნუ იტყვი, კაცს თავი მოვჭრათ და მოვკვეთოთ მერე ხელ-ფეხი,— ეგ ავაზაკთა შესაფერი საქმე იქნება, თითქო ხორცისა: ჯავრი გვჭირდეს და მას ვყრილობდეთ. ანტონიოსი კეისარისა ნაკეთია მხოლოდ. არა, კასიოს, ყასბებად კი ნუ გადვიქცევით, შევიქნეთ მსხვერპლის შემწირველნი. აქ ხომ ყველანი ვებრძვით კეისარის სულს და სული უსისხლო არის. ოჰ, რომ შეგვეძლოს ჩვენ ამ სულის დამორჩილება იმის სხეულის შეუხებლად! მაგრამ რა ვუყოთ, უსისხლოდ რომ ვერ გადავრჩებით. მაშ, მეგობრებო, გაბედვით მოვკლათ, მრისხანება ნუ გაგვიტაცებს; დავჭრათ ისე, ვით სანოვაგე ღმერთთ საკადრისი, ნუკი ავკეფავთ როგორც მძოვრსა ძაღლთ გასაძლობად. ზოგიერთივით უნდა ხერხით მოვიქცეთ ჩვენცა, თავიანთ მსახურთ სხვების სამტროდ. რომ აქეზებენ და მერე თვითვე აყვედრიან, ეგ რათ ჰქმენიო. ხალხი რა სცნობს, რომ ჩვენ გვაძალებს საჭიროება და არა შური, კაცის მკვლელებს აღარ გვიწოდებს, არამედ დამხსნელთ. ანტონიოსს თავი ანებეთ: იმას იმდენივე შეუძლიან, რაც კეისარის ხელს, როცა თავი ტანს აღარ ებმის.

კ ა ს ი ო ს

მე მაინც ვშიშობ,

მას ძლიერ უყვარს კეისარი.

## ბ რ უ ტ ო ს

ნუ გეფიქრება,

ჩემო კასიოს. კეისარი თუ უყვარს, მხოლოდ  
ის შეუძლიან იწუნოს და თუნდ მოკვდეს მისთვის,  
სხვა არაფერი. მისგან ესეც ბევრი იქნება,  
ისე ეწყობა ხალხში ტრიალს და შექცევასა.

## ტ რ ე ბ ო ნ ი ო ს

არა, არ არის საშიშარი, იმას ნუ მოგკლავთ,  
დეე იცოცხლოს. მერე თვითვე ამ ამბის გამო  
ბევრს გაიცინებს.

(საათი დაჰკრავს).

## ბ რ უ ტ ო ს

სუ, დავთვალთ, თუ რამდენს დაჰკრავს.

## კ ა ს ი ო ს

სამი დაჰკრა.

## ტ რ ე ბ ო ნ ი ო ს

მაშ წასვლის უამი ყოფილა კიდეც.

## კ ა ს ი ო ს

საფიქრებელი არის ისიც, მოვა, თუ არა  
დღეს კეისარი კაპიტოლში, რადგან ბოლოს დროს  
ცრუმორწმუნებას აპყვა იგი, თუმც უწინ სრულად  
არა სწამდა-რა სიზმრების და მოჩვენებისა.  
იქნება დღესაც ამ მოვლენილ სასწაულებმა,  
ამალამდელმა უჩვეულო საშინელებამ,  
ან მკითხავების გაფრთხილებამ არ გამოუშვას.

## დ ე ც ი ო ს

ნუ გეფიქრებათ, აგრე კიდეც რომ გარდეწყვიტოს,  
მე დავაჯერებ. იმას უყვარს ხშირად ასე თქმა:  
მარტორქებსაო ხეებითა მოაცთუნებენ,  
დათვებს სარკეთი, სპილოებსა ორმოებითა,  
ბადეთი ლომებს და კაცთა კი პირფერობითო;  
და როდესაც მე ვეუბნები, პირში მოფერე  
ხალხი გძულს-მეთქი, მაშინათვე დამემოწმება

და ვერ ამჩნევს, რომ პირფერობა ამ თქმაშივეა.  
მე დამანებეთ, ვიცი როგორც წავახალისებ  
და კაპიტოლშიც მე მოვიყვან.

კ ა ს ი ო ს

ყველანი მოვალთ

წამოსაყვანად.

ბ რ უ ტ ო ს

რვა საათზედ მაშ იქ მოვგროვდეთ?

ც ი ნ ა

სწორედ აგრე ვქნათ, რვას კი ნულარ გადავაცილებთ.

მ ე ტ ე ლ ო ს

ლიგარიოსიც ხომ კეისრის მომღურავია,  
მახსოვს, რომ ერთხელ გაეკიცხა, შენ პომპეოსზედ  
კარგი რად სთქვიო; მიკვირს, იგი არ მოგაგონდათ.

ბ რ უ ტ ო ს

მართლა, მეტელოს, წადი მასთან, აქ გამოგზავნე,  
მე მას ვუყვარვარ, მეგობრობა გამიწევია  
და მოვახერხებ მობირებას.

კ ა ს ი ო ს

აგერ თენდება.

მშვიდობით, ბრუტოს. მეგობრებო, დაიშალენით,  
თქმული გახსოვდეთ, გახსოვდეთ, რომ რომაელნი ხართ.

ბ რ უ ტ ო ს

მაშ, ყმაწვილებო, მხიარულად და მხნედ იყავით,  
ნუ დაგვეტყობა განზრახული პირისახეზედ,  
ნურც გამოვიჩინთ მღელვარებას, ვიყოთ გულმაგრად  
მზგავსად რომაელ მსახიობთა; აწ ყოველს თქვენგანს  
ვუნატრი დილას მშვიდობისას. —

(ბ რ უ ტ ო ს ი ს გარდა ყველანი გადაიან).

ეი, ლუციოს!

რა გულიანად სძინავს კიდევ. არა უჭირს რა:  
იგემე ტკბილად, ზედ იპკურე ეგ ძილის ნამი.  
ან რა დაგიშლის მოსვენებას; შენ არ გაშფოთებს

ცულთა სიზმართა მოჩვენება, აჩრდილთა გროვა,  
რაც საზრუნავით გამსჭვალულის ტვინის ხვედრია.  
(შემოდის პორცია).

პორცია

ბატონო ჩემო!

ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, პორცია, რისთვის ამდგარხარ?  
განა გარგებს, რომ არა ზოგავ შენს სუსტ ბუნებას,  
ამ ცივს დილაზე გამოდიხარ, არ ერიდები?

პორცია

არც შენთვის არის, ვგონებ, სარგო. ბრუტოს, რა იყო,  
რომ ლოგინიდან ეგრე ჩუმად გამომეპარე?  
წუხელის კიდევ ვახშმის დროსაც აიჭერ ზებე  
და ჩაფიქრებით წინ და უკან მოჰყევ სიარულს;  
დიდიოდი და თან ოხრავდი გულ-ხელ დაკრეფით.  
მე დაგეკითხე, რა ვარამი გაწუხებს-მეთქი,  
შენ უსიამოდ შემომხედე პასუხის ნაცვლად;  
გკითხე მეორედ, უცებ თავზედ მოისვი ხელი  
და მოუსვენრად ფეხი დაჰკარ მაგრა იატაკს.  
კიდევ და კიდევ არ მოგეშვი, თუმც ხმა არ გამეც  
და ასე ხელით გულმოსულმა წასვლა მანიშნე.  
წამოვედი მეც, შემეშინდა, ჩემის ურჩობით  
უარესად არ გამეწყრომე, გამეგულისე;  
თან ვიმედობდი, ცუდ გუნების ბრალია-მეთქი,  
რაც ზოგჯერ ყველას ემართება, მაგრამ ამ დარდმა  
შენ მეტისმეტად აგიტანა: სულ ჩუმადა ხარ,  
ალარც ძილი გაქვს, ალარც მადა, და შენი სახეც  
ბუნებასავით რომ შეგცვლოდა, მაშინ ველარც კი  
გიცნობდი, ბრუტოს. ოჰ, ძვირფასო ჩემო მეუღლე,  
შემატყობინე მიზეზი მაგ შენის სევდისა.

ბ რ უ ტ ო ს

მიზეზი მართო ეს არის, რომ ვერა ვარ კარგად.

პორცია

ბრუტოსს იმდენად შესწევს ჭკუა, ავად რომ იყოს,  
წამალს მოსძებნის მოსარჩენად.

## ბ რ უ ტ ო ს

მეც აკი ვეძებ. —

წადი, პორცია, დაწექ ისევ შენსავ ლოგინში.

### პ ო რ ც ი ა

როგორ, ბრუტოსი ავად არის და მკერდგახსნილი გულ-გვამს იწამლავს ამ ნოტიო დილის ჰაერში! ავადმყოფი რომ იყოს იგი, რად დასტოვებდა თბილ ქვეშ-საგებელს და სნებიან, ცივ ღამის ბუღით თავის სატკივარს უფრო რისთვის გაამწვავებდა! არა, მითი ხარ შენ ავად, რომ რაღასაც დარდობ და მე ნება მაქვს, შევიტყო ამ დარდის მიზეზი, როგორც მეუღლემ. მუხლმოდრეკით გემუდარები, გაფიცებ ერთ დროს ჩემსა განთქმულს სიმშვენიერეს, ყოველს შენს ალერსს, ყოველს ტრფობის ჟამს დაპირებულს და იმ დიდ აღთქმას, რამაც ერთხორც, ერთსულ გარდაგვქმნა, რომ გამიმეღავნო, გაუმეღავნო თვით შენს გულსავე შენთანვე შერთულს საუკუნოდ, თუ რა გაწუხებს; ანუ ამადმ თუ ვინ კაცნი მოვიდნენ შენთან, — მე ვიცი კარგად, რომ აქ იყვნენ ექვსნი, თუ შვიდნი, რომელნიც სახეს თვით ღამესაც კი უმაღავდნენ.

## ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, რას ჩადიხარ, მუხლს რად იღრეკ?

### პ ო რ ც ი ა

არ მოვიდრეკდი,

ჩემთან რომ ტკბილად ყოფილიყო ბრუტოსი ისევ, განა ცოლ-ქმრობის განაჩენში ისე სწერია, რომ საიდუმლო შენი მე არ უნდა ვიცოდებ? განა შევერთდით განსაზღვრულად და პირობებით: სადილს დავესწრო, სარეცელში გასიამოვნო, ზოგჯერ გაგართო ლაპარაკით? გინდა მამყოფო არა შენს გულთან, არამედ გარს, კარმიდამოში? ეს თუა, ბრუტოსს მაშ პორცია ხასად ჰყოლია, არა მეუღლედ.



## ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, რას ამბობ, შენა ხარ ჩემი  
ტკბილი მგულღე, გაჩენილი ჩემ სააპაყოდ;  
ძვირფასი ისე, როგორც წვეთნი წითელ სისხლისა,  
რანიც მწუხარე ამ ჩემ გულში მიდი-მოდიან.

## პ ო რ ც ი ა

ეგრე რომ იყოს, მეტყოდი შენს საიღუმლოსაც.  
თუმცა ქალი ვარ, მაგრამ ქალი თვით ბრუტოსისგან  
თავის მეუღლედ არჩეული. ქალი ვარ-მეთქი,  
მაგრამ ქალობა კატოს ასულს ვერას დაუშლის,  
როგორ გგონია, ასეთ მამის და ქმრის პატრონი  
არ უნდა ვიყო სხვა ქალებზედ უფრო ძლიერი?  
გამიზიარე შენი ზრახვა და გაძლევი სიტყვას,  
არავის ვუთხრა, არავისთან არ გავამხილო.  
ხომ იცი, ერთხელ რა სიმტკიცე გამოვიჩინე,  
როცა თეძოზედ ჩემის ნებით დავიკარ დანა.  
თუ ეს ტკივილი მოვითმინე, მას ვერ მოვითმენ,  
რომ შეგუნახო საიღუმლო ჩემს ქმარს და პატრონს?

## ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, ღმერთნო, ღირსი მყავით ესეთ ძვირფას ცოლისა!—  
(ყარების ბრახუნი მოისმის)  
ვილაცა არის; პატარა ხანს შედი ისევ შინ  
და მალე ყველას გაგიმჟღავნებ ჩემ გულის პასუხს,  
გაცნობებ რაც მაქვს საზრუნავი, ან რა მაწუხებს.  
შინ შედი მალე. —

(პ ო რ ც ი ა გადის)

ლუციოს, კარს ვინ აბრახუნებს?

(შემოდინ ლუციოს და მერე ლიგარიოს).

## ლ უ ც ი ო ს

ავადმყოფია ვილაცა და შენა გკითხულობს.

## ბ რ უ ტ ო ს

ეგ ლიგარიოს თუ იქნება, მეტელოსი რომ  
მეუბნებოდა. — ლუციოს, შენ აქედან წადი. —  
ოჰ, ლიგარიოსს გაუმარჯოს!

ლიგარიოს  
ნება მიბოძე,  
მორჩილის ენით სასიამო დილა გინატრო.

ბრუტოს  
ცუდ დროს აგიკრავს ეგ სახვევი, ნეტა კი ეხლა  
ავად არ იყო.

ლიგარიოს  
არც ვარ ავად, ოღონდ ბრუტოსმა  
აღსასრულეზღად ღირსეული მომცეს რამ საქმე.

ბრუტოს  
ეგ ეგრეც არის, ლიგარიოს. მაშ მომისმინე,  
თუ კი ყურებიც არა გტკივა.

ლიგარიოს  
ვფიცავ ყველა ღმერთთ,  
რომ განმიგდია სატკივარი, ოჰ, მხნეთა მხნეო,  
კეთილშობილის შტოს ნაყოფო, რომის დიდებავ!  
შენ აღმიღვინე ვით გრძნეულმა ეს მკვდარი სული.  
მიბრძანე, რაც გსურს, და შევიძლებ შეუძლებელსაც.  
რა საქმე არის?

ბრუტოს  
საქმე, რაიც სნეულთ მოარჩენს.

ლიგარიოს  
ვისმე ჯანმრთელსაც ხომ არ უნდა დასნეულება?

ბრუტოს  
შენ სწორედ მიხვდი, ლიგარიოს. მე ყოველისფერს  
ავიხსნი, როცა „მოსარჩენთან“ გავემგზავრებით.

ლიგარიოს  
წადი და ახლად სულჩადგმული მეც უკან მოგდევ,  
თუმცა არ ვიცი, რა უნდა ვქნა, მაგრამ ეს კმარა,  
რომ თვით ბრუტოსი წინ მიმიძღვის.

ბრუტოს

მაშ უკან მომეყევ.

(გაღიან).

იგივე ქალაქი. ოთახი კეისრის სასახლეში.

(ქუხს და ელაგს. შემოდის კეისარი სლამურ ტანისამოსში).

კეისარი

არც ცას, არც მიწას წუხელის არ მოუხვენია,  
კალფურნიამაც ძილში სამჯერ წამოიძახა,  
უშველეთ, ჰკლავენ კეისარსო. — მანდ არავინ ხართ?  
(შემოდის მსახური).

მსახური

ბატონო ჩემო, რას მიბრძანებთ?

კეისარი

წადი, მოგვთ უთხარ,  
მსხვერპლი შესწირონ და მაუწყე, რასაც გეტყვიან.

მსახური

ეხლავ, ბატონო. —

(მსახური გადის. შემოდის კალფურნია).

კალფურნია

კეისარო, დღეს რას აპირობ?  
წასვლას თუ ჰფიქრობ, გადიფიქრე, ისა სჯობიან.

კეისარი

უნდა წავიდე, როცა მელის საშიში რამე,  
ზურგით მოვლას თუ გამიბედავს; მაგრამ მაშინვე  
გაჰქრება იგი, რა განიცდის კეისრის სახეს.

კალფურნია

ცრუმორწმუნებას ჯერ არას დროს არ ავყოლივარ,  
მაგრამ ეხლა კი ფრიად ვშიშობ. აქა სდგას ერთი,  
იმან გვიამბო, რომ მრავალი საშინელება  
უნახავთ დარაჯთ ჩვენგან ნასმენს და ნახულს გარდა:  
ძუ ლომს ქუჩაში დაუყრია თავის ლეკვები,  
მკვდრები გახსნილთა საფლავთაგან ზე ამოსულან;  
ცეცხლმოდებულნი მეომარნი თურმე ღრუბლებში

იბრძოდნენ მედგრად რაზმ-დასტობით დალაგებულნი  
ნამდვილის ომის წესისამებრ და მათი სისხლი  
ზედ დასდიოდა კაპიტოლსა; ბრძოლის კიჟინი  
და ხმაურობა, ჭიხვინი ცხენთ, მომაკვდავთ კვნესა  
ჰაერში მკაცრად განისმოდა და თვით აჩრდილნი  
წივილ-კივილით ქუჩა-ქუჩა შიშით დაძრწოდნენ.  
უცნაურია ეს ამბები, ოჰ, კეისარო,  
და მისთვის ვშიშობ.

კ ე ის ა რ ი

რაც რამ ყოვლად ძლიერთა ღმერთთა  
გარდუწყვეტიათ, ვერ წავუვალთ. უნდა წავიდე,  
ეგ ყველა ისე შემეხება მე, კეისარსა,  
ვით მთელ ქვეყანას.

კ ა ლ ფ უ რ ნ ი ა

გლახანი რომ იხოცებიან,  
კუდიან ვარსკვლავთ არა ვხედავთ, მაგრამ დიდებულთ  
აღსრულების ჟამს თვითონ ზეცას ცეცხლი ედება.

კ ე ის ა რ ი

ლაჩარი სიკვდილს ბევრჯერ გემობს თვით სიკვდილამდე,  
მამაცს კი იგი მხოლოდ ერთხელ შეხვდება წილად.  
რომ დამეკითხო, გასაოცრად ის მიმაჩნია,  
კაცთ ეშინიანთ სიკვდილისა, თუმცა იციან,  
ეს ბოლო ერთ ჟამს უსათუოდ ყველას მოგველის.  
(მსახური დაბრუნდება)

რა სთქვეს მკითხავთა?

მ ს ა ხ უ რ ი

შინიდან დღეს ნურსად წახვალო:  
როცა ერთს მსხვერპლად დაკლულს პირუტყვის შიგნეულობა  
ამოაცალეს, ნახეს, გული არა ჰქონოდა.

კ ე ის ა რ ი

მხდლების მასხარად ასაგდებად უქმნიათ ეგ ღმერთთ;  
მართლაც უგულო წუწკ პირუტყვად გარდავიქმნები,  
რომ შიშით სახლში ჩავიკეტო; მაგას არ ვიზამ;  
შიშმა ძალიან კარგად იცის, რომ კეისარი

თვით შიშხედ უფრო საშიშია. ორნივე ვართ ლომნი  
ერთ დღეს შობილნი, თუმც უფროსიც, ძლიერიც მე ვარ.  
შინ არ დადგება კეისარი.

კ ა ლ ფ უ რ ნ ი ა

ბატონო ჩემო,  
ლამის რომ ჩანთქას შენი სიბრძნე ეგეთამა ნღობამ.  
ნუ, ნუ წახვალ დღეს, ყველა შენს ცოლს გადმოაბრალე,  
ის შიშობდა-თქო და არა მე; ანტონიოსი  
გავგზავნოთ ეხლავ სენატში და ასე აცნობოს,  
ვითომ ავად ხარ. მუხლმოდრეკით გემუდარები,  
ასე მოიქცე.

კ ე ი ს ა რ ი

კარგი, კარგი, დეე, წავიდეს  
ანტონიოსი, ისე უთხრას ავად არის-თქო;  
ხათრს შეგინახავ, აღარ წავალ. —  
(შემოდის დეციოს)

ავერ დეციოს.

აი ეს ეტყვის.

დ ე ც ი ო ს

კეისარო, ღირსებით სრულო,  
მოგიძღვნი სალამს და გისურვებ მშვიდობის დილას.  
მისთვის გაიხელ, სენატამდე მსურს მიგაცილო.

კ ე ი ს ა რ ი

სწორედ კაი დროს შემოხვედი. წადი, სენატორთ  
ჩემი მოკითხვა მოახსენე და ისიც უთხარ,  
არ სურს მოსვლა-თქო დღეს კეისარს; ჰო, სწორედ ასე.  
რომ სთქვა, „ვერ მოვა“, ხომ ტყუილი იქნება ეგე;  
„ვერ ჰბედავს მოსვლას“ კიდევ უფრო. მაშ ასე უთხარ,  
ჩემო დეციოს, არა სურს-თქო დღეს მას აქ მოსვლა.

კ ა ლ ფ უ რ ნ ი ა

სთქვი, ავად არის.

კ ე ი ს ა რ ი

რაო, ვითომ სიცრუე უნდა  
იკადროს კიდევ კეისარმა? ჩემი მარჯვენა  
განა იმისთვის ვაგრძნობინე შორეულ მხარეთ,

რომ თეთრწვერაებს სიმართლის თქმა ვერ გავუბედო  
არა, უთუოდ ასე უთხარ, არ სურს მოსვლა-თქო.

დ ე ც ი ო ს

ყოვლად ძლიერო კეისარო, დამისახელე  
რამე მიზეზი, სასაცილოდ რომ არ ამიგდონ.

კ ე ი ს ა რ ი

მიზეზი ჩემი ნება არის, არ მნებავს მისვლა.  
სენატისათვის ესა კმარა. მაგრამ შენ კერძოდ,  
რადგან მიყვარხარ, გეტყვი კიდევ, არ დაგიმაღავ,  
კალფურნია მთხოვს, დღეს შინ დავრჩე. წუხელის ამას  
სიზმრად უნახავს, რომ ჩემს ქანდაკს ას ნახვრეტიდან  
შადრევანივით წმინდა სისხლი გადმოსდიოდა  
და რომაელნი მხიარულად ბირმოცინარნი  
იქ მრავლად თურმე მოდიოდნენ და ხელს იბანდნენ.  
უბედურებას ნიშნავსო ეს აუცილებელს  
და ამის გამო შემეგედრა მუხლმოდრეკილი,  
რომ დღეს მე არსად არ წავიდე.

დ ე ც ი ო ს

არა, სრულიად

უკუღმა არის ვე ახსნილი: კალფურნიასგან  
სიზმრად ნანახი მოასწავებს მხოლოდ სიკეთეს  
და ბედისაგან დიდს წყალობას. შენი ქანდაკი,  
რომლიდან უხვად ნადენ სისხლში ვითომ იბანდნენ  
რომაელები ხელებს მრავლად მოჯარებულნი,  
იმასა ნიშნავს, დიდი რომი შეიწოვს შენგან  
უკვდავების სისხლს; დიდებულნი იმისნი ძენი  
მოგეხვევიან გარს იმისთვის, რომ უწყალობო  
ყველას თავ-თავის რამ ნიშანი, ფერი, ღირსება.

კ ე ი ს ა რ ი

შენ სწორედ ახსენ, მართალია, მაგასა ნიშნავს.

დ ე ც ი ო ს

და უფრო კიდევ დაიჭერებ, როცა შეიტყობ  
ყოველ ჩემ სათქმელს. მაშ იცოდე, რომ სენატსა სურს,  
თავზედ გვირგვინი დაადგას დღეს ძლიერს კეისარს

და თუ შეუთვლო, ვერ მოვალო, შესაძლო არის,  
სურვილი მათი შეიცვალოს; მერე ამ ამბავს  
გააკეთებენ სასაცილოდ, იტყვიან კიდევც:  
სენატის კრება გადასდეთო იმ დროისათვის,  
როცა კეისრის ცოლი ნახავს უკეთესს სიზმრებს,  
არ მოჰყვებიან განა ჩურჩულს, რაკი რომ სცნობენ  
შენს შინ დამალვას, — ჰხედავთ, როგორ ეწინიანო?  
ოჰ, მომიტევე, კეისარო, თუ ამას ვამბობ,  
ვამბობ შენდამი ერთგულებით და სიყვარულით,  
რომლის ძალამაც დაიმონა ჩემი გონება.

კ ე ი ს ა რ ი

რა უსაფუძვლო გაფრთხილებას ავყევ მე წელან;  
მრცხვენიან სწორედ, კალფურნია, რო მაგონდება.  
აბა, ჩამაცვით, წასვლის დროა.—

(შემოდინ პუბლიოს, ბრუტოს, ლიგარიოს, მეტელოს,  
კასკა, ტრეპონიოს და ცინა).

ჩემ წასაყვანად

აგერ აქ მოდის პუბლიოსიც.

პუბლიოს

ბატონო, დილა

კარგად ყოფნისა.

კ ე ი ს ა რ ი

მეც აგრეთვე მოგიძღვნი სალამს. —  
ადრე ამდგარხარ შენცა, ბრუტოს!—კასკას ვახლავარ.—  
როგორცა ვხედავ, ლიგარიოს, ციებ-ცხელება  
შენ კეისარზედ უარესად გადაგეკიდა,  
აგრე უწყალოდ რამ გაგახმო. — ეხლა რა დროა?

ბ რ უ ტ ო ს

რვა დაჰკრა.

კ ე ი ს ა რ ი

გმადლობთ გარჯისა და თავაწისათვის  
ყველას ერთობლივ. —

(შუმოდის ანტონიოს).

აგერ ჰხედავთ, ანტონიოსიც,  
თუმც მთელ ღამეებს ქეიფებში ატარებს ხოლმე,

ადრე ამდგარა მინც კიდევ. — მშვიდობის დილას  
ვინატრი შენთვის, ანტონიოს.

ანტონიოს

აგრეთვე შენთვის,

ყოვლად ძლიერო კეისარო.

კეისარი

წადით, უთხარით,

რომ მოემზადონ. ან ამდენს კი რად ვალოდინებ,  
რა კარგი არის! — ოჰ, მეტელოს, ცინა, მობრძანდით. —  
ტრეზონიოს, მე შენთან ცოტა სალაპარაკო  
მაქვს და დღეს უნდა უსათუოდ აქვე მოხვიდე.  
ჩემს ახლო იყავ, რომ სათქმელი არ დავივიწყო.

ტრეზონიოს

ახლო გახლდები. — (იქით) ისე ახლო, რომ შენთ მეგობართ  
ინატრონ მერე, ნეტა კი შორს ყოფილიყო.

კეისარი

აბა, მობრძანდით, ყმაწვილებო, ცოტა ღვინო ვსვავე  
და გავემგზავროთ ყველა ერთად, ვით მეგობარნი.

ბრუტოს (იქით)

ოჰ, კეისარო, ჩემი გული იმასა სტირის,  
რომ ხშირად „ვითომ“ არა ნიშნავს იგივეობას.

### ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. ქუჩა კაპიტოლის ახლო.

(შემოდის არტემიდოროს და თან წერილსა ჰკითხულობს).

არტემიდოროს

„კეისარო, გაუფრთხილდი ბრუტოსს, ერიდე კასიოსს,  
კასკას ახლო ნუ მიეკარები; ცინაზედ თვალი გეჭიროს, ტრე-  
ზონიოსს ნუ ენდობი, მეტელოს ციმბერსაც ყური უგდე; დე-  
ციოს ბრუტოსს შენ არ უყვარხარ და კასიოს ლივაროს  
შენგან გულნატყენია. ამათ ყველას ერთი და იგივე ფიქრი



უდევთ გულში და ეს ფიქრი კეისრის სავნებლად არის განმზადებული. თუ უკვდავება არ გიწერია, ფრთხილად იყავ. მეტისმეტი უშიშროება შეთქმულობას გზას უფართოებს. ძლიერნი ღმერთნი იყვნენ შენნი მფარველნი. შენი ერთგული არტემიდოროს“.

ვიდრე გაივლის კეისარი, მე აქ ვიდგები და მივაწოდებ ხელთ ამ წერილს, ვითომ ვთხოვ რასმე. გული მიკვდება იმ ფიქრზედ, რომ წარჩინებულ კაცს უთუოდ უნდა შურის გესლი უკანა სდევდეს. თუ გადიკითხავ, კეისარო, კიდევ იცოცხლებ, თუ ვერა, სჩანს, რომ მათთან ერთად ბედიც შეთქმულა. (გაღის).

#### ს უ რ ა თ ი IV

იგივე ქალაქი. მეორე ალაგი იმავე ქუჩაზე, ბრუტოსის სახლ-წინ.

(შემოდინ პორცია და ლუციოს).

პორცია

ეხლავე წადი, გაიქეცი, ადი სენატში!  
ხულარას მეტყვი, რა დროს თქმაა, რაღასა დგახარ?

ლუციოს

რისთვისა მგზავნი, ის მიბრძანე.

პორცია

ვიდრე გეტყოდე,  
ხომ მოასწრობდი იქ წასვლასაც, დაბრუნებასაც. —  
(იქით) სიმტკიცის ძალავ, მომენიჭე, მომეცი მხარი  
და ააყუდე ერთი მთა რამ უშველებელი  
ამ ჩემს მკერდსა და ენას შუა. ვაჟკაცის გული  
მიცემს აი აქ, თუმცა ღონით ისევ ქალი ვარ.  
ოჰ, რა მძიმეა საიდუმლო დედაკაცთათვის! —  
კიდევ აქა ხარ?

ლ უ ც ი ო ს

რა უნდა ვქნა, მაშ, რომ არ ვიცი:  
უნდა გავიქცე კაპიტოლში, მერე დაებრუნდე,  
სხვა არაფერი?

პ ო რ ც ი ა

ჰო, გაიქეც და მომიტანე  
შენი ბატონის რამ ამბავი, როგორ ბრძანდება?  
კარგად ვერ იყო, რო წავიდა. ისიც შეიტყე,  
თვით კეისარი რას აკეთებს, ვინ ჰყავს მთხოვნელი.  
სუი რადაც ხმაა.

ლ უ ც ი ო ს

არაფერი არა მესმის-რა.  
(შემოდის მკითხავი).

პ ო რ ც ი ა

აქ მო, ყმაწვილო, ერთი მითხარ, საიდგან მოხვალ?

მ კ ი თ ხ ა ვ ი

ჩემის სახლიდან, ქალბატონო.

პ ო რ ც ი ა

ეხლა რა დროა?

მ კ ი თ ხ ა ვ ი

ძალე ცხრას დაჰკრავს.

პ ო რ ც ი ა

კეისარი ხომ არ წასულა  
ჯერ კაპიტოლში?

მ კ ი თ ხ ა ვ ი

ჯერედ არა. მეც იმისათვის  
გიახლები, რომ სადმე დავდგე და ვნახო იგი  
იქ მიმავალი.

პ ო რ ც ი ა

სათხოვარი ხომ არა გაქვს-რა?

მ კ ი თ ხ ა ვ ი

დიადაცა მაქვს, ქალბატონო, და თუ კეისარს  
შესტკივა გული კეისარისთვის, მომისმენს კიდევ.  
მე ვთხოვ კეისარს სათხოვარსა მისთვისვე სარგოს.

## პორცია

რაო, ცუდს რასმე უპირობენ?

მკითხავი

არა ვიცი-რა,

თუმც მეშინიან ბოლოს მეტად ბევრი არა ვცნა.  
ესლა მშვიდობით ბრძანდებოდე. კეისარს უკან  
მისდევენ ხოლმე, ჩვეულებრივ, სენატორები,  
თუ პრეტორები, თუ სხვადასხვა მთხოვნელთა გროვა  
და აქ კი ქუჩა ვიწრო არის, ისე რომ ჩემებრ  
სუსტ ადამიანს მთლად გასრესენ. წავალ, მოვნახავ  
უფრო განიერს ალაგს სადმე და დიდ კეისარს,  
როცა გაივლის, მოვახსენებ, რაც სათქმელი მაქვს.  
(გადის).

## პორცია

უნდა შევიდე ისევ სახლში. — (იქით) ვაი ჩემს ყოფას!  
რა სუსტი არის თურმე გული დედაკაცისა.  
ოჰ, ბრუტოს, ზეცა იყოს შენის საქმის მფარველი! —  
ხომ ყურს მოჰკრავდა ეს ყმაწვილი! — ბრუტოსის თხოვნას  
არ შეიწყნარებს კეისარი. — ოჰ, გული მიმდის! —  
წადი, ლუციოს, მოიკითხე ჩემი მეუღლე  
და მოახსენე: მხიარულად ვიმყოფები-თქო.  
ისევ დაბრუნდი; რასაც გეტყვის, შემატყობინე.  
(სხვადასხვა მხრით გადაიან).

## მოქმედება მესამე

### სურათი I

**რომი. ქუჩა კაპიტოლის წინ. სენატი შეკრებილია.**

(კაპიტოლისკენ მიმავალ ქუჩაზედ მრავალი ზალზია. ხალხში მოს-  
ჩანან არტემიდოროს და მკითხავი. საყვირის ხმა ისმის.  
შემოდიან კეისარი, ბრუტოს, კასიოს, კასკა, დე-  
ციოს, მეტელოს, ტრებონიოს, ცინა, ანტონი-  
ოს, ლეპიდოს, პოპილიოს, პუბლიოს და სხვანი).

კეისარი

მარტის იღები დადგა დღესა.

მ კ ი თ ხ ა ვ ი

დადგა კი, მაგრამ

ჯერ არ გასულა, კეისარო.

ა რ ტ ე მ ი დ ო რ ო ს

სალამს მოგიძღვნი

და ამ ქალაღდის წაქითხვას გთხოვ.

დ ე ც ი ო ს

ტრებონიოსი

გვედრება, რომ მოცლის ჟამსა უმორჩილესი  
ეს მისი თხოვნა გაღიქითხო.

ა რ ტ ე მ ი დ ო რ ო ს

არა, ჯერ ჩემი,

რადგანაც იგი შეეხება თვითონ კეისარს.

კ ე ი ს ა რ ი

ჩვენ შესახები საბოლოოდ უნდა გაღიდვას.

ა რ ტ ე მ ი დ ო რ ო ს

ოჰ, ნუ გადასდებ, კეისარო, ეხლავ გასინჯე.

კ ე ი ს ა რ ი

ეს გიჟი არის?

პ უ ბ ლ ი ო ს

გზა, ძმობილო!

კ ა ს ი ო ს

გამიგონია

ქუჩაში სინჯვა არზებისა! აი, შემოღდი

კაპიტოლში და იქ მთართვი.

(კეისარი შვეა კაპიტოლში; სხვები უკან მისდევენ. ყველა სენა-  
ტორები ფეხზე წამოღგებიან).

პ ო პ ი ლ ი ო ს

ღმერთმა ინებოს,

რომ ღღევანღელი თქვენი საქმე კარგად წავიდეს.

კ ა ს ი ო ს

რომელი საქმე, პოპილიოს?

პოპილოს

მშვიდობით იყავ.

(კეისართან მიდის).

ბრუტოს

პოპილოსმა რაღაც ვითხრა.

კასიოს

ინატრა, ღმერთმა

კარგად წარმართოს ღღევანდელი თქვენი საქმეო  
და იმას ვფიქრობ, ვაიმე თუ აზრი გაგვიგეს.

ბრუტოს

აგერა მიდის კეისართან, აბა, უყურე.

კასიოს

ჩქარა მოუღე ბოლო, კასკა, თორემა ვშიშობთ,  
არას მიგვიხვდნენ. — ბრუტოს, რა ვქნათ? თუკი შეგვიტყვი  
ან ის და ან მე ველარ გავდგამთ აქედან ფეხსა;  
თავი ცოცხალი აღარ მინდა.

ბრუტოს

მაგრად იყავი,

პოპილოსი ჩვენს საქმეზე არ ლაპარაკობს:

ჰხედავ, იცინის, არც კეისარს ეშლება სახე.

კასიოს

თავისი ვალი კარგად ახსოვს ტრეზონიოსსაც:

ბრუტოს, ხომ ჰხედავ, ანტონიოს აქედან გაჰყავს.

(ანტონიოს და ტრეზონიოს გადიან. კეისარი და  
სენატორები თავთავიანთ ალაგას სხდებიან).

დეციოს

მეტელოს ციმბერ სად წავიდა? ბარემ წინ წადგეს  
და მისცეს არზა კეისარსა.

ბრუტოს

აგერა, აძლევის.

მივიდეთ ახლო, მივეშველოთ.

შენ უნდა დაჰკრბ.

კ ე ი ს ა რ ი

აბა, მზად ვართ? სთქვით, თუ რა არის განსაგებელი კეისრის და მის სენატისა.

მ ე ტ ე ლ ო ს

სახელოვანო კეისარო, ყოვლად ძლიერო, მეტელოს ციმბერ უმდაბლესად მუხლმოდრეკილო გიძღვნის თავის გულს. (დაიჩოქებს).

კ ე ი ს ა რ ი

ციმბერ, უნდა პირდაპირ გიფხრა, რომ მაგ თავდახრით, დაბლა ხოხვით შესაძლო არის უბრალო კაცის მობირება, გულის მოგება და სასაცილოდ აგდება მით განაჩენისა, რაც გარდაწყდა საბოლოოდ. ნუ გაქვს იმედი, ვითომ კეისარს სისხლი ისე ურჩი მდიოდეს, რომ მის ღირსების შეცვლა შესძლოს, ან გადაადნოს მანვე, რაც სუსტის ჭკუის პატრონთ შებრალებას ჰგვრის: მე ვამბობ ტკბილად თქმულ სიტყვაზედ, პირფერობაზედ, ფინიას მზგავსად ხელთ-ლოკვაზედ თავდამცილებით. კანონით არის განდევნილი შენი ძმა და თჭ აღარ დაიშლი აგრე თხოვნას, ძრომას და ლაქუცს, ფეხს გკრავ როგორც ძაღლს და გადგისერი ჩემის გზიდანა. არც ვისმესა სჯის კეისარი უბრალ-მიზეზოდ და არც არავის აპატიებს, ყველამ იცოდეთ.

მ ე ტ ე ლ ო ს

სთქვით რამე თქვენცა, იქნება რომ კეისარის ყური ასიამოვნოს ჩემზედ უფრო ღირსეულის წმამ და დამიბრუნოს ისევ უკან განდევნილი ძმა.

ბ რ უ ტ ო ს

ხელზედ გემთხვევი, კეისარო, და ამ ხელ-კოცნას ნუ ჩამომართმევ პირფერობად. მე ეს მსურს მხოლოდ, პუბლიოს ციმბერს მიანიჭო თავისუფლება.

კეისარი

როგორ, ბრუტოს, შენ!

კასიოს

კეისარო, გთხოვ, მიუტყვეო.

აქვე შენ ფეხთ წინ ქვე გართხმული კასიოსი გთხოვს,  
პუბლიოს ციმბერ შეიწყალო და დააბრუნო.

კეისარი

ავლედებოდი, თქვენ რომ გგავდეთ, ან ჩვეულუბად  
რომ მჭირდეს სხვების შეწუხება თხოვნა-ვედრებით,  
მაშინ სხვის თხოვნაც მომალბობდა, გასჭრიდა ჩემზედ.  
მაგრამ მე მტკიცე ვარ ისე, ვით ჩრდილოთ ვარსკვლავი;  
მხოლოდ ისა სდგას შეურყევლად მთელ სამყაროში:  
ურიცხვ მნათობთა სიმრავლეა ცას მიჭედელი,  
ყველა მათგანი ცეცხლის მსგავსად ჰკრთის და ანათებს  
და მათში მარტო ერთადერთი არის უძრავად.  
აქაც ისეა: სავსე არის კაცით ქვეყანა,  
სისხლი და ხორცი ყველასა აქვს, ყველანი გრძნობენ,  
მაგრამ მე მხოლოდ ერთი ვიცი უძრავად მდგარი,  
რომელსაც ქვეყნის მღელვარება არ ეკარება.  
ეს ერთი მე ვარ; ამ საქმითვე გაჩვენებთ თუნდა:  
მტკიცე ვიყავი, როცა ციმბერ განვადვენინე,  
და არ შევინდობ, ამ სიმტკიცეს არ ვუღალატებ.

ცონა

ოჰ, კეისარო!

კეისარი

იქით! ოლიმპს უბედავ შეძვრას!

დეციოს

გთხოვ, დიდებულო კეისარო...

კეისარი

ვერ ნახეთ, განა,  
რომ თვით ბრუტოსმაც ვერა ჰქნა-რა მუხლმოდრეკილმა!

კასკა

მაშ, მკლავო ჩემო, ჩემს ნაცვლად შენ ილაპარაკე!  
კასკა ხანჯალს კისერში ჩასცემს. კეისარი მკლავში ხელსა

სტაცებს; სხვა შემთხვევებში სხვადასხვა მხრიდან ხმალ-ხანჯალს  
ჩასცემენ და ყველაზე ბოლოს მარკოს ბრუტოსი).

კ ე ი ს ა რ ი

ოჰ, შენცა, ბრუტოს! კეისარო, ეხლა კი მოკვდი!  
(კვდებო. სენატორები და ხალხი აირევიან და გარეთ გადიან).

ც ი ნ ა

მოკვდა მტარვალი, მოგვეფინა თავისუფლება!  
გასწით საჩქაროდ, მთელ ქალაქში მოსდეთ ამის ხმა.

კ ა ს ი ო ს

ზოგთა მიგმართოთ კათედრებსა და ხალხს შევძახოთ:  
თავისუფლება გელირსა-თქო, მტარვლისაგან ხსნა.

ბ რ უ ტ ო ს

ნუ გეშინიანთ, სენატორნო, ხალხო, ნუ მირბი;  
დამშვიდდით, ღირსად დაისაჯა თავმოყვარება.

კ ა ს კ ა

ბრუტოს, შენ თითონ კათედრაზედ უნდა ახვიდე.

დ ე ც ი ო ს

შენცა, კასიოს.

ბ რ უ ტ ო ს

პუბლიოსი სადლა წავიდა?

ც ი ნ ა

აგერ აქა დგას შემკრთალი ამ ამბოხებითა.

მ ე ტ ე ლ ო ს

მხარი მხარს მივცეთ ერთმანეთსა და მტკიცედ ვიყოთ,  
რომ თუ კეისრის მეგობარმა...

ბ რ უ ტ ო ს

რა საჭიროა

ეგ ლაპარაკი. — პუბლიოს, შენ ნუ გეშინიან,  
აქ არც შენს წყენას ფიქრობს ვინმე და არცა სხვისას;  
ეს ჩაავონე რომაელთა.



კ ა ს ი ო ს

წადი, პუბლიოს,  
რომ მოსეულმა ჩვენზედ ხალხმა არა ავნოს-რა  
შენს მოხუცებას.

ბ რ უ ტ ო ს

ჰო, აგრე ჰქმენ! მარტო ჩვენ უნდა  
ვაგოთ პასუხი ჩვენისავე ნამოქმედარის. —

(შემოდის ტ რ ე ბ ო ნ ი ო ს).

კ ა ს ი ო ს

მითხარ, სად არის ანტონიოს?

ტ რ ე ბ ო ნ ი ო ს

სახლში გაიქცა  
ზარდაცემული; ქუჩაშიაც კაცნი თუ ქაღნი,  
თვით ბავშვებიც კი მიმორბიან ჭკვადანეულნი  
მოთქმა-გოდებით, თითქო იყოს დღე განკითხვისა.

ბ რ უ ტ ო ს

მალე შევიტყობთ, ბედის ჩარხო, რაიც მოგველის.  
ვიცი, სიკვდილი არ აგვცდება დღეს არის თუ ხვალ,  
და ამ სიკვდილის მოლოდინში ვატარებთ დრო-ჟამს.

კ ა ს ი ო ს

და რომელიც, ვთქვათ, ოც წელიწადს გვაკლებს სიცოცხლეს,  
გვიმოკლებს დროსა, იმდენადვე შიშში სამყოფელს.

ბ რ უ ტ ო ს

მაშ თუ აგრეა, მკვლელთ მოკეთე უნდა ვუწოდოთ  
და ჩვენც კეისრის კეთილისა მყოფნი ვყოფილვართ,  
რაკი სიკვდილის შიშის ხანი ესე მოვუსპეთ. —  
დაიხარენით, რომაელნო, ორივ ხელები  
კეისრის სისხლში ამოვივლოთ ნიდაყვებამდე,  
ხმაღნიც დავთხუპნოთ, დავიშალნეთ ქუჩა-ბაზრებში  
და ამ სისხლიან იარაღის ჰაერში ქნევით  
ერთხმად შევძახოთ: მშვიდობა და თავისუფლება!

კ ა ს ი ო ს

აგრე ვქნათ, აგრე! ამ დიდებულ სანახაობას  
საუკუნემდე საუკუნით წარმოადგენენ,

გინ იცის, რამდენს ჯერ არ ზობილ სახელმწიფოში,  
ანუ რაოდენს ჩვენთვის ჯერეთ უცნობ ენაზედ.

ბ რ უ ტ ო ს

გინ იცის, მართლა, რაოდენჯერ ხალხთ გასართობად  
უნდა მოიკლას კეისარი, იგი, რომელიც  
აწ პომპეოსის საფეხურთან მტვრად ქცეული წევს.

კ ა ს ი ო ს

და რამდენჯერაც ეგ მოხდება, სწორედ იმდენჯერ  
ამ ჩვენს მცირე გუნდს უწოდებენ ქვეყნის დამხსნელსა.

დ ე ც ი ო ს

აბა, წავიდეთ?

კ ა ს ი ო ს

ჰო, წავიდეთ; წინ წავიმძღვართო  
ბრუტოს და ჩვენცა უკან მივყვით, ვით რომის ძენი,  
რომელთ ვერავინ შეედრება გამბედაობით.

ბ რ უ ტ ო ს

ჩუმაღ! ვინ მოხვალ? —

(შემოდის მსახურად)

მსახურია ანტონიოსის.

მ ს ა ხ უ რ ი

ასე მიბრძანა დაჩოქება შენ ფეხთ წინ, ბრუტოს,  
ანტონიოსმა, ძირს მიწაზედ გართხმა მიბრძანა  
და აი ამის მოხსენება: კეთილშობილი,  
პატიოსანი არის ბრუტოს, ბრძენი, მამაცი;  
ძლიერი იყო კეისარი, ხელმწიფის ტოლი,  
გულკეთილობით, ვაჟკაცობით გათქმული ყველგან.  
მიყვარსო ბრუტოს, პატივს ვცემო და კეისრისა  
მეშინოდაო, თუმცა იგიც მიყვარდა ფრიად,  
პატივსაც ვცემდი და თუ ბრუტოს ნებას დამრთავსო  
მასთან უშიშრად მისვლისასა, მიზეზსაც მეტყვის,  
რად ერგო ხვედრად კეისარსა ასე სიკვდილი,  
მაშინ მე ცოცხალს ბრუტოსს უფრო შეგიყვარებო  
მკვდარ კეისარზედ. მორჩილად და ერთგულებითა  
ავყვები იმის ბედ-იღბალსა და ამ უცნაურ

ყამთა ტრიალში ერთ წამსაც არ ვუღალატებო.  
აი ამის თქმა დამავალა ჩემმა ბატონმა.

ბ რ უ ტ ო ს

შენი ბატონი ღირსეული რომაელია,  
კუთით აღსავსე, მუდამ ასეც მიმაჩნდა იგი.  
მოაჩსენე, რომ აჟ მობრძანდეს, ავუხსნი, რაც სურს  
და სახელს ვფიცავ, უვნებლადგე წავა აქედან.

მ ს ა ხ უ რ. ი

იგი ეხლავე გიახლება. — (გაღის).

ბ რ უ ტ ო ს

მე ასე ვფიქრობ,  
დიდ მეგობრობას გაგვიწევს ჩვენ.

კ ა ს ი ო ს

ნეტავი აგრე.  
თუმც მეშინიან მე, იმისი და წინადგარძნობას  
ჯერ, როგორც მახსოვს, არას დროს არ შევეუცდენივარ.

ბ რ უ ტ ო ს

აგერ თვით ისიც.

(შემოდის ანტონიოს).

გამარჯვება შენ, ანტონიოს.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

სახელოვანო კეისარო, ეს-ლა ხარ ეხლა?  
ამად გარდიქცა შენი ძალა, შენი ღიღება,  
ყოველი შენი გამარჯვება, ან განძი მტრისგან  
ნაალაფევიად აღებული! ოჰ, ოჰ, მშვიდობით! —  
მე ეს არ ვიცი, ყმაწვილებო, რა განზრახვა გაქვთ,  
ვინ უნდა მოკვდეს კიდევ, მეტად ვინ მივაჩნიათ?  
თუ მე ვარ, ბარემ გამათავეთ, რადგან კეისარის  
სიკვდილის ჟამზედ უფრო საფერ. დროს ველარ ენახავე,  
გერც ვედირსები იარაღსა თქვენის ხმლების მზგავსს,  
რომელთ ძვირფასი სისხლი სცხიათ, მთელ ცისქვეშეთში.  
საუკეთესო. თუ მტრობა გაქვთ ჩემი, ამას გთხოვთ,  
გულის წადილი შეისრულოთ, ვიდრე მაგ ხელებს

წითლად შეღებულთ სისხლის კვალი და სუნი ასდის.  
ათასი წელი რომ ვიცოცხლო, ვერ შევესწრები  
ვერც უამს, ვერც ალაგს ასე მარჯვეს სიკვდილისათვის,  
როგორც აქ, გვერდით კეისრისა თქვენგან განგმირვით,  
ამორჩეულნო, უმჯობესნო ამ დროის ძენო.

#### ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, ანტონიოს, შენს სიკვდილზე ნუ ლაპარაკობ.  
თუმც სისხლისმსმელად, ავაზაკად უნდა მიგაჩნდეთ,  
რაკი უყურებ ამ ჩვენს საქმეს, ან ამ ხელებსა,  
მაგრამ შენ მხოლოდ ხელებს ჰხედავ, მათ ნამოქმედარს,  
და გულს კი ვერა. რომისათვის შეგვეტკივა იგი,  
რომის ვარამი გვაწუხებს ჩვენ; აი, ამ გრძნობამ,  
განდევნა ჩვენგან სიბრაღული, ვით ცეცხლი ცეცხლმა,  
და ეს დამართა კეისარსა. მარკ ანტონიოს,  
შენთვის კი ამ ხმლებს ბასრი პირი ჩლუნგად გარდქეცათ,  
ძრისხანე მკლავნი დაგვიდუნდნენ და გულგახსნილებს  
პატივისცემით, სიყვარულით ძმად მიგვიღიხარ.

#### კ ა ს ი ო ს

სხვის ხმასთან ერთად თანაბარი ძალა ექნება  
შენს ხმასაც, როცა დავარიგებთ ახალ ღირსებებს.

#### ბ რ უ ტ ო ს

მხოლოდ მოთმენით იყავ, ვიდრე დავამშვიდებდეთ  
ხალხის ბრბოს, შიშით ატაცებულს, და მაშინ გეტყვი,  
თუ მე, რომელსაც კეისარი მიყვარდა ფრიად,  
თვით მაშინაც კი, როცა ვკლავდი, ეს რისთვისა ვქმენ.

#### ა ნ ტ ო ნ ი ო ს

რომ ჭკვიანი ხარ, ვიცი კარგად, ჭკვითაც იქცევი. —  
მომეციო ყველამ სისხლიანი თქვენი ხელები:  
ჯერ შენი ხელი, მარკოს ბრუტოს, მომეც აქ, მერე  
შენი, კასიოს, ახლა შენი, დეციოს ბრუტოს,  
შენიც, მეტელოს, ცინა, კასკა, ჩემო მამაცო,  
და ბოლოს შენი, ტრებონიოს, აი ამ გულში  
დამკვიდრებულო საბოლოოდ. მოდით ყველანი,  
მაგრამ ვაი რომ აღარ ვიცი, რა უნდა გითხრათ?

ისე გალიბულ გზაზედ ვდგავარ, რომ ორში ერთი  
უნდა იფიქროთ თქვენ ჩემზედა: მიმილოთ ლაჩრად,  
ანუ პირმოთნე მოლაქუცედ. — თჳ, კეისარო!  
რომ მიყვარდი შენი; არ გადაეთქვამ და თუ დაგვცქერის  
ეხლა ზემოდან შენი სული, ვგონებ სიკვდილი  
არ შეეგაკრობდა ისე ძლიერ, ვით ეს ამბავი,  
რომ შენს მტრებს შენი ანტონიოს აქვე შენ გვამ წინ  
ძმურად სისხლიან ხელებს ართმევს. სწორუპოვარო!  
მე რომ იმდენი თვალი მქონდეს, რაც შენ ჳრილობა,  
ცრემლი მდიოდეს მათგან ნაღენ სისხლის ოდენი,  
ის უფრო კარგად, დამერწმუნე, მომიხდებოდა,  
ვიდრე მოსისხლე შენ მკვლელებთან დამეგობრება.  
თჳ, მაპატიე, იულიოს! აქ მოგესიენენ,  
აი აქ დაგცეს, შემოგერტყნენ, ვით მშვენიერ მშველს  
და შენის სისხლით შეღებილთა თავები მოსწონთ. —  
ქვეყნიერებაჲ, ამ მშველისთვის შენ ტყედ გარდიქეც,  
ვერ მიხვდი, რომ ეს იყო შენი მშველიც და მხსნელიც!  
როგორც ნადირი, დიდებულთა ხელით მოკლული,  
აქ ძირსა ჳგდინხარ, კეისარო!

კ ა ს ი ო ს

მარკ ანტონიოს!

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

რა ვქნა, კასიოს, მომიტევე. თვით მის მტერნიც კი  
ამას იტყვიან და მეგობარს როგორ არ ეთქმის,  
რომ მკვდარს თავაზა გაუწიოს უბრალო მანინც.

კ ა ს ი ო ს

მე როდი გკიცხავ მაგისტვის, რომ კეისარს აქებ,  
მაგრამ ეს გვითხარ, რა ვიფიქროთ, როგორ მოგექცეთ;  
გსურს ჩვენთან ყოფნა მეგობრად, თუ გვერდს აგიაროთ  
და ჩვენ ჩვენსავე გზას დავადგეთ?

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

აკი მაგისტვის

ხელები მტკიცედ ჩამოგართვით სათითაოდ,  
და ავირიე მხოლოდ, როცა მკვდარს კვლავ დავხედე.  
მე თქვენთანა ვარ, მეგობრებო, მიყვარხართ ყველა,

და იმედიც მაქვს, რომ მაცნობებთ, თუ კეისარი  
საშიშ-საფრთხილო რითი იყო.

ბ რ უ ტ ო ს

უმაგისოდ ხომ

მხეტა საფერი იქნებოდა ესეთი საქმე.  
ჩვენ იმოდენი მიზეზი გვაქვს პატივსადები,  
ფვითონ კეისრის ღვიძლი ძეც რომ ყოფილიყავი,  
შეიწყნარებდი ამ საქციელს.

ან ტ ო ნ ი ო ს

მაგის ახსნას ვთხოვთ,

ვითხოვ აგრეთვე ნებართვას, რომ კეისრის გვამი  
გავატაინო მოედანზედ და კათედრიდან,  
ვით წესი არის, მეგობრულად ქება შევასხა.

ბ რ უ ტ ო ს

ნება შენია, ანტონიოს.

კ ა ს ი ო ს

ბრუტოს, აქ მოდი,

სიტყვა მაქვს შენთან. — (ცალკე) რას სჩადიხარ? ნუ  
აძლევ ნებას.

რომ დამარხვის წინ სთქვას რაიმე ანტონიოსმა.

არ იცი. განა, რომ სიტყვის თქმით შესაძლო არის  
ხალხი ერთიან ააღეღვოს?

ბ რ უ ტ ო ს (ცალკე კასიოსს).

ნუ გემინიან:

მე თვით პირველი კათედრაზედ ავალ და ავხსნი  
კეისრის მოკვლის ყოველ მიზეზს! იმასაც ვიტყვი,  
რომ ანტონიოსს ჩვენ მივეცით სიტყვის თქმის ნება;  
რომ ჩვენ თითონ ვვსურს მთლად შესრულდეს წესი და რიგ  
და ღირსეულად კეისარი დაკრძალულ იქმნას.  
ეს არას გვაგნებს, ხელს შეგვიწყობს პირობით უფრო.

კ ა ს ი ო ს (ცალკე ბრუტოსს)

არ ვიცი, საქმე როგორ წავა; არ მომწონს კია.

ბ რ უ ტ ო ს

აი, წაიღე, ანტონიოს, კეისრის გვამი;

მხოლოდ იცოდე, შენს სიტყვაში ჩვენ არ გაგვეციხო,

კეისარი კი აქე ისე, როგორცა გსურდეს,  
სთქვი, რომ ჩვენ დაგრთეთ ლაპარაკის დასტური, თორემ  
აგაღებინებთ ხელს და ახლო აღარ მიგიშვებთ.  
ჯერედ მე ვიტყვი; რო მოვრჩები, მერე შენ ახვალ  
და ხალხს მიმართავ შენსა სიტყვას იმავ კათედრით.

ანტონოს

მეც სწორედ ეგ შესურს, ეგრე იყოს.

ბრუტოს

კეისრის გვამი დასაკრძალად და უჟან მოგვეყვებ.  
(ანტონოსს გარდა ყველანი გადიან).

ანტონოს

ოჰ, მამატიე, მიწად ქმნილო, სისხლში მოსერილო,  
რომ მე ამ ყასბებს ასე რბილად, ტკბილად ვექცევდი!  
შენ ხარ ნანგრევი იმ კაცისა, რომელსაც ტოლი  
დასაბამიდან არ ჰყოლია მთელ ქვეყანაზედ.  
ვამ იმათ ხელთ, ვინც დაღვარა ეს წმინდა სისხლი.  
წინასწარმეტყველად გარდვიქცევი შენ ჭრილობათ წინ,  
რომელთ ალისფრად შეღებილი მუნჯი ტუჩები  
თითქო ხმას მთხოვენ, მთხოვენ ენას და მტყუველებას.  
კაცთა ნათესავს დაატყდება თავს საწყევარი  
და იტალიას მუსრს გაავლებს თავით ბოლომდე  
მედგარი შფოთი შინაური, მმათა მტერობა;  
ჩვენ შევეჩვევით სისხლს და ხოცვას, საშიშარ ამბებს,  
ისე რომ თითონ დედებიც კი არ შეკრთებიან,  
რო დაინახვენ მათთა ნაშობთ ოთხად გაპობილთ.  
უწყალოება სიბრალულსა განდევნის სრულად  
და ამხედრდება მაშინ შალა კეისრის სული,  
ჯოჯოხეთიდან გამოიხმობს თვითონ ჰეკათას,  
მეფურ ძახილით წამოგვისევს ცოფიან ძაღლებს  
და დედამიწას ამ საზიზღარ საქციელისთვის  
აედინება მიმობნეულ კაცთ მძოვრის სუნი,  
რომელთ მიწაში ჩაფვლაც კია არ ეღირსებათ. —  
(შემოდის მსახური)

შენ, მგონი, ოქტავ კეისარსა ემსახურები.

მსახური

დიად, ბატონო.

ანტონოს

რომში არის ის კეისრისგან

დაბარებული.

მსახური

წერილები მიიღო მართლაც

და გახლება. მე მიბრძანა, შენ მოგახსენო...

(დაინახავს კეისრის გვამს)

ოჰ, კეისარი!

ანტონოს

მიდი იქით, მიდევ, იტირე;

ვხედავ, რომ გული ავიჩუყდა. გადამდებია

ეგეთი გრძნობა, როგორც ვხედავ: რა დავინახე

მძივსავით ცრემლი შენს თვალებში, მეც კი ავტირდი.

შენი ბატონი მაშ აქ მოდის?

მსახური

რომით შვიდ მილზედ

გაათევს იგი ამ ღამესა.

ანტონოს

ჩქარა დაბრუნდი,

უამბე ყველა აქ მომხდარი: რომი სტირის-თქო

და უშიშარი აღარ არის ოქტავიოსთვის.

აბა, საჩქაროდ გაემგზავრე. მაგრამ მოიცა,

ჯერ გადვიტანოთ მოედანზედ კეისრის გვამი,

იქ ხალხს მივმართავ სიტყვით და ვცდი, როგორ მიიღებს

ამ ჯალათების ნამოქმედარს და შენც შენს ბატონს

ყველას უამბობ, რასაც ნახავ. მოდი, მიშველე.

(გაღიან და თან კეისრის გვამი გააქვთ).



იგივე ქალაქი. მოედანი.

(შემოდინ ბ რ უ ტ ო ს, კ ა ს ი ო ს და მოქალაქეთა გროვა).

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

შეგვატყობინეთ, ყველაფერი გვინდა შევიტყოთ!

ბ რ უ ტ ო ს

მომყევით აქეთ, მეგობრებო, ყური დამიგდეთ.  
შენ კი, კასიოს, სხვა ქუჩაზედ წაასხი ზოგი.  
რომელსაც ჩემი ყურის გდება უნდა, აქ დარჩეს,  
რომელსაცა სურს მის მოსმენა, გაჰყვეს კასიოსს  
და ჩვენ საქვეყნოდ ჩამოგითვლით კეისრის მოკვლის  
ყოველ მიზეზსა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მე ყურს ისევ ბრუტოსს დაუგდებ.

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მე კი კასიოსს; შევადაროთ მათი ნათქვამი  
მერე ორივემ.—

(კ ა ს ი ო ს და რამდენიმე მოქალაქე გადიან. ბ რ უ ტ ო ს  
კათედრაზედ ადის).

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ჩუმად, ჩუმად! კეთილშობილი

ბრუტოსი ადის კათედრაზედ.

ბ რ უ ტ ო ს

გთხოვთ მომისმინოთ.

რომაელებო, ჩემის მამულის საყვარელნო შვილნო! ბო-  
ლომდე ჩუმად და მოთმინებით ყური მომაპყარით, რომ ყო-  
ველისფერი შეიტყოთ. მენდეთ, როგორც პატიოსანს კაცს,  
და ზრდილად მოექეცით ჩემს პატიოსნებას, რადგანაც ეჭვს  
გულში ვერ გაიტარებთ. განმსაჯეთ, მაგრამ ჯერ გრძნობა-  
გონება გამოიფხიზლეთ უკეთესის მსჯელობისათვის. თუ აქ,  
ამ კრებაში არის ვინმე ერთგული მეგობარი კეისრისა, მე მას

ვეტყვი, რომ ბრუტოსს კეისარი მასზედ ნაკლებ არ უყვარ-  
და; იქნება მკითხოს, რომ ბრუტოსმა კეისარი რად გამოიმე-  
ტაო; აი ჩემი პასუხი: მე კეისარი ნაკლებად არ მიყვარდა,  
მაგრამ რომი მიყვარდა მეტად! რას უფრო არჩევდით: იმას,  
რომ კეისარი ცოცხალი დარჩენილიყო და ჩვენ ყველანი მო-  
ნებად დავხოცილიყავით, თუ იმის სიკვდილს და ჩვენს ცოც-  
ხლივ განთავისუფლებას? კეისარს მე ვუყვარდი და ამისთვის  
მას დავტირი; იგი ბედნიერი იყო და მე ეს მიხაროდა, იგი  
იყო მამაცი და ამისთვის პატივსა ვცემდი, მაგრამ მედიდუ-  
რი იყო და ამისთვის მოვკალ იგი. საყვარელ კაცს ცრემლე-  
ბი ეკუთვნის, ბედნიერს სიხარული, მამაცს პატივისცემა და  
მედიდურს სიკვდილი. ვინ არის თქვენში ისეთი სულმდაბა-  
ლი, რომ მონად ყოფნას ნატრობდეს? თუ არის, სთქვას, მე  
იმისთვის დიალაც შეურაცხება მიმიყენებია. ვინ არის თქვენ-  
ში ისეთი ბრიყვი, რომ რომის ძეობით არ ამყობდეს? თუ  
არის, სთქვას, მე მისთვის დიალაც შეურაცხება მიმიყენებია.  
ვინ არის თქვენში ისეთი უგვანდი, რომ თავის ქვეყანა არ უყ-  
ვარდეს? თუ არის, სთქვას, მე მისთვის დიალაც შეურაცხება  
მიმიყენებია. აბა, სთქვით-მეთქი, პასუხს ველი.

### მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

არავინ არის, ბრუტოს, მაგისტანა, არავინ.

### ბ რ უ ტ ო ს

მაშ მე არავისთვის არ დამიშავებია. კეისარს ისე მოვე-  
ქეც, როგორც თქვენ მოვალენი ხართ მოქეცეთ ბრუტოსს.  
კეისრის სიკვდილის მიზეზები კაპიტოლშია აღბეჭდილი: მი-  
სი სახელი და დიდება დამცირებული არ არის, და არც ის  
ცოდვებია გაზვიადებული, რისთვისაც იგი მოკლულ იქმნა.  
აგერ კეისარის ვეაში აქ მოაქვთ, ზედ ანტონიოს დასტირის.  
(ანტონიოსსა და სხვებს კეისარის ვეაში შემოაქვთ). თუმცა  
მის სიკვდილში შავას წილი არა ჰქონია, მაგრამ ეგეც ჭერო-  
ვანს ალავს მიიღებს ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც ყველა  
თქვენგანი, და კეისარის სიკვდილის ნაყოფს ეგეც იგემებს.  
მე მიუღივარ და ბოლოს ამას ვეტყვით: რომელი ხანჭლითაც  
რომის სიკეთისათვის საუკეთესო გულის საყვარელი მოვ-

კალ, იგივე ხანჯალი ამ გულისთვისა მაქვს გამზადებული, თუ ჩემი ქვეყანა ჩემს სიკვდილს დაისაჯიროებს.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

იცოცხლე, ბრუტოს! შენ იცოცხლე, იცოცხლე დიდ ხანს!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

აბა, დიდებით წავიყვანოთ თავის სახლამდე.

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

წინაპართ გვერდით გავუყვითოთ ამას ქანდაკი.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მოდი, ეს იყოს კეისარი!

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

იმის დიდება

გადმოვიტანოთ ბრუტოსზედა და ეს ვადიდოთ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

შენ გავაცილოთ სინარულის ყვირილ-კიჟინით.

ბ რ უ ტ ო ს

ძმა-მეგობარნო...

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ჩუმად! ბრუტოს რაღასაც ბრძანებს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ჩუმად იყავით.

ბ რ უ ტ ო ს

ჩემნო თანამემამულენო,

ისა სჯობს მართო მე წავიდე. ჩემის გულისთვის ანტონიოსთან დარჩით აქა და კეისრის გვამს ღირსის პატივით მოეპყარით. ანტონიოსსაც დაუგდეთ ყური, როცა იგი ილაპარაკებს კეისრის სულის სადიდებლად. ჩვენ ამის ნება თვითვე მივეცით. მაშ ჩემს გარდა ნურც ერთი-მეთქი ნუ წახვალთ, ვიდრე არ მოუსმენთ სიტყვას ბოლჩმდქ (გადის).

პირველი მოქალაქე

აქ დავრჩეთ ბარემ, ანტონიოს, ვნახოთ, რას იტყვის.

მესამე მოქალაქე

ზეით ავიდეს კათედრაზედ, დაუფდოთ ყური. —  
კეთილშობილო ანტონიოს, იქ ადი, მაღლა.

ანტონიოს

გმადლობთ ბრუტოსის მაგიერად. — (ადის კათედრაზედ).

მეოთხე მოქალაქე

რა სთქვა ბრუტოსზედ?

მესამე მოქალაქე

ის სთქვა, ბრუტოსის მაგიერად გმადლობთო ყველას.

მეოთხე მოქალაქე

ბრუტოსზე ცუდი არა სთქვას—რა, ის ურჩევნიან.

პირველი მოქალაქე

ეს კეისარი საზარელი მტარვალი იყო.

მესამე მოქალაქე

შენ მართალს ამბობ, მაღლი ღმერთო, რომ განვთავისუფლდით.

მეორე მოქალაქე

კარგი, გაჩერდით, მოვუსმინოთ ანტონიოსსაც.

ანტონიოს

კეთილნო, სათნო რომაელნო...

მოქალაქენი

სუ, გაიგონეთ!

ანტონიოს

რომაელებო, ჩემნო თანამემამულენო  
და მეგობრებო, მომისმინეთ. მე აქ კეისრის  
დასაკრძალავად მოვსულვარ და არა საქებრად.  
ადამიანის ავი საქმე მის შემდეგ ცოცხლობს,  
კეთილი ხშირად იმარხება იმის ძვლებთანვე, —  
ეს იყოს ზვედრი კეისრისაც. კეთილშობილმა  
ბრუტოსმა გითხრათ, მედიდური იყოვო იგი,  
მედიდურება საშინელი ნაკლია და თუ  
ასეთი იყო, საშინლადაც აკი დასაჯეს.

აქ ბრუტოსის და მის მეგობართ ნება-ღართევითა, —  
პატიოსანი არის ბრუტოს, ეს კარგად იცით,  
აგრეთვე სხვებიც, სხვებიც ყველა, რაღა თქმა უნდა, —  
მე მსურს კეისრის დამარხვის წინ სიტყვით მოგმართოთ.  
ის იყო ჩემი მეგობარი სწორი, ერთგული,  
თუმცა ბრუტოსი აბრალებს მას მედიდურებას  
და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი.  
კეისარს რომში მრავალი ტყვე მოუყვანია,  
ეს სახელმწიფო გავსილა. მათ შესასყიდ ფულით  
და იქნება ეს ამტკიცებდეს მედიდურებას!  
როს გაჭირვებულს განიცდიდა, ცრემლით სტიროდა,  
ცრემლი მედიდურ ბუნების კაცს, ვგონებ, არ ჰფერობს,  
მაგრამ ბრუტოსი ამბობს იყო მედიდურიო,  
და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი.  
ლუპერკალიის დღეობაში თქვენ ნახეთ, სამჯერ  
მეფის გვირგვინი მივაწოდე და მან სამჯერვე  
უარი მითხრა; ნიშნავს ეს მის მედიდურებას?  
მაგრამ ბრუტოსი ამბობს იყო მედიდურიო,  
და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი.  
ბრუტოსის ნათქვამს არც ვამტყუნებ, მას ვამბობ მხოლოდ,  
რაც თვით მე ვიცი. კეისარი გიყვარდათ ერთ ღროს,  
ალბად მიზეზიც გქონდათ მისთვის. აწ რაღა გიშლით,  
რომ ცრემლი მაინც დააყაროთ? ოჰ, კაცის ჭკუაჲ,  
შენი სამყოფი გაგიშვია და გადასულხარ  
ნადირ-მხეცებში. — პატარა ხანს, გთხოვთ, დამაცადოთ,  
გული და გრძნობა გამეპარა კეისრის გვამთან,  
უხდა ველოდო, ვიდრე უკან დამიბრუნდება.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

საბუთიანად ლაპარაკობს.

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

შენ რა გგონია,

თუ სწორედ განვსჯით, ცუდი საქმე უყვეს კეისარს.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ვითომ თუ არა! ოსტატებო, იცით, რას გეტყვით,  
უარესი კი არ დაბრძანდეს იმის ადგილას.

## მეოთხე მოქალაქე

კარგად გაიგეთ, გვირგვინზედ რომ უარი უთქვამს,  
სჩანს, მედიდური არ ყოფილა.

## პირველი მოქალაქე

თუ ეგ დამტკიცდა,  
ზოგიერთთ ძვირად დაუჯდებათ.

## მეორე მოქალაქე

შეხე საბრალოს,  
ნაღვერდალსავით დაუწითლა ცრემლმა თვალები.

## მესამე მოქალაქე

ანტონიოსზედ უკეთესი რომში არ არის.

## მეოთხე მოქალაქე

ისევე აპირობს ლაპარაკსა, ყური დავუგდოთ.

## ანტონიოს

კეისრის სიტყვა გუშინ სძრავდა მთელ დედამიწას,  
დღეს კი აქ გდია უპატრონოდ და თვით გლაზაკნიც  
არ კადრულობენ პატივი სცენ მის უსულს გვამს. ოჸ  
ოჸ, რომ შემეძლოს აღელვება თქვენთა გრძნობაჲთა,  
თქვენის გონების აღტყინება, ვავნებდი რასმე  
ბრუტოსს, კასიოსს, კაცთ აღსავსეთ პატიოსნებით!  
მაგრამ არა, მათ არას ვავნებ, ისა სჯობს ვავნო  
თვით კეისრის გვამს, თვითონ ჩემს თავს, ანუ თქვენ ყველას,  
ვიდრე ვნება რამ დავმართო იმ პატიოსან პირთ.  
მაგრამ აი აქ მაქვს ეტრატი კეისრის ბეჭდით, —  
ზედ ანდერძია წაწერილი; იმის ოთახში  
ვიპოვე მე ეს. ბოდიშს ვიხდი, ვერა ვკითხულობ,  
მაგრამ იგი რომ მოგესმინათ, დაემხობოდით,  
დაუკოცნიდით მკვდარ კეისარს ჭრილობა-წყლულულებს,  
ამოავლებდით ხელსახოცებს მის წმინდა სისხლში,  
თმებს თითო ბეწვად სამახსოვროდ დაირიგებდით  
და სიკვდილის ჟამს გადასცემდით თქვენ ჩამომავალთ,  
ვით წმინდა ნაწილს, ვით სიმდიდრეს ფასდაუდებელს!

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

გთხოვთ, ანტონიოს, წაგვიკითხო ჩვენ ეგ ანდერძი.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

გთხოვთ, გთხოვთ ანდერძი კეისრისა მოგვასმენინე.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ვერ წავიკითხავ, მეგობრებო, ნუ შემომვედრებთ. რა საჭიროა რომ იცოდეთ, როგორ უყვარდით თქვენ მიცვალებულს! არ ხართ ხენი, არა ხართ ქვანი, ადამიანის სახე გძევთ და რომ წავიკითხოთ, დაპყარგავთ ჭკუას და ცეცხლივით აბრიალდებით. არა, ისა სჯობს, არ იცოდეთ, რომ კეისარმა გამოგაცხადათ თვის მემკვიდრედ. ოჰ, რომ შეიტყოთ, ვინ იცის მაშინ რა მოხდება.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

არა, ანდერძი

უნდა უთუოდ მოვისმინოთ. გთხოვთ წაგვიკითხო.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

აღარ მოითმენთ? შევცდი ფრიად, რომ ეს წამომცდა; ვშიშობ, ვაი თუ ვავნო რამე პატიოსან პირთ, რომელთ ხანჯლებმა სასიკვდილოდ განგმირეს იგი.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

[ პატიოსან პირთ! ისინია მოლალატენი. ]

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

ჩქარა ანდერძი წაგვიკითხე, ანდერძი-მეთქი!

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ოჰ, ავაზაკნი, კაცისმკვლელნი! ანდერძს ვთხოვოლობთ!

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

მაშ აღარ იშლით, ძალას მატანთ, გსურთ მოისმინოთ? რადგან აგრეა, წრედ დადექით კეისრის გვაჟიან, გარს შემოერტყით თვითონ დამწერს ამ ანდერძისას და მეც ჩამოვალ, თუ კი თქვენი ნებაც იქნება.

## მოქალაქენი

მოდი, მობრძანდი.

მეორე მოქალაქე

აქ ჩამოდი.

მესამე მოქალაქე

ნება შენია

(ანტონიოს ჩამოდის).

მეოთხე მოქალაქე

წრე გააკეთეთ.

პირველი მოქალაქე

მკვდარს მოშორდით, მოშორდით კუბოს!

მეორე მოქალაქე

გზა ანტონიოსს, ჩვენს დიდებულს ანტონიოსსა!

ანტონიოს

გთხოვთ, რომ პატარა უკან დადგეთ, ზედ ნუ მაწვებით!

მოქალაქენი

დაიწით უკან, გზა, გზა-მეთქი, უკან დადექით!

ანტონიოს

თუ თვალთ ცრემლი გაქვთ, დასაღვრელად მოემზადენით:

ამ წამოსასხამს ყველა იცნობთ, მეც კარგად მახსოვს,

პირველად თუ სად წამოისხა. ეს ერთ ზაფხულის

სალამოს იყო მის კარავში, სწორედ იმ დღესა,

როს ნერვიელნი დაამარცხა. აბა, დახედეთ!

კასიოსს ხანჯლით ეს ადგილი გაუხვრეტია.

ჩაუფხვრეწია ესეც სრულად ბრაზიან კასკას;

აი აქ კიდევ იმის გულით საყვარელს ბრუტოსს

უკრავს ხანჯალი, და როცა ამ წყეულ იარაღს

უკან იღებდა, ჰხედავთ, თანვე გამოჰყოლია,

თითქო გაღებულ კარებიდან, კეისრის სისხლი, —

რომ ვნახო, ნუთუ იგი ასე მედგრად ბრუტოსმა

მომაჯახაო; ხომ იცით, რომ მას კეისარი

სახავდა თავის ანგელოზად. ღმერთნო, თქვენ საჯეთ,

როგორ უყვარდა, რა ძვირფასად მიაჩნდა იგი!



ოჰ, ეს ნაკრავი იყო სხვებზედ უსასტიკესი;  
 იგი კმაროდა დასანახად კეისრისათვის:  
 მუხთალ ფოლადზედ უფრო მჭრელმა უმადურებამ  
 მოუსპო ღონე და გაუპო შუაზედ გული;  
 მაშინვე სახე გაიხვია წამოსასხამში  
 და პომპეოსის სისხლნასხურებს ქანდაკის ფეხით  
 მკედარი დაეცა კეისარი ყოვლად ძლიერო.  
 ოჰ, მეგობრებო, რა საზარი დაცემა იყო!  
 მაშინ მეც, თქვენცა, ჩვენ ყველანი დავეცით ძირსა  
 და სისხლის მსმელთა ღალატი კი დაგვეფარაშებდა.  
 ტირილს მოჰყევით? სიბრალულის იგრძენით ძალა?  
 მაშ სჯობს იტიროთ, ეგ ცრემლები მადლიანია.  
 კეთილნო სულნო, თქვენ ჯერ ჰხედავთ მის დაჭრილობას  
 და აგრე სტირით! აჰა, ნახეთ ეხლა თვით იგი  
 მუხანათთაგან აჩეხილი!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
 ოჰ, საცოდავო!

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ოჰ, დიდებულო კეისარო!

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ოჰ, შავბნელო დღევ!

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მოლაღატენი, ავაზაკნი!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ოჰ, სანახავო

სისხლით მორწყულო!

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

აბა, ჩქარა, შური ვიძიოთ!

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

ვიძიოთ "შური... ვძებნოთ ყველგან... ვკრათ, მოვკლათ,

დავწვათ,

ცეცხლით დავბუგოთ, ნუ ვაცოცხლებთ ნურც ერთ მუხანათს.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

მამულისშვილნო, მოითმინეთ.

## პირველი მოქალაქე

ჩემად იყავით,  
ანტონიოსს სურს ლაპარაკი, ყური დავუგდოთ.

## მეორე მოქალაქე

დავუგდოთ ყური, უკან გავყვეთ, მოვკვდეთ მაგასთან.

## ანტონიოს

ჩემო კეთილო მეგობრებო, მე ის არ მინდა, აგრე უეცრად დაგკრათ ტალღამ აჯანყებისამ. პატიოსანნი კაცნი ჰქვიანთ ამ საქმის მომქმედთ, და მეც არ ვიცი, სამწუხაროდ, თუ რა პირადმა წყენამ ივინი აიძულა: მაგრამ არ ვეჭვობ, ჯეროვან პასუხს მოგცემენ თქვენ, როგორც შეპფერის პატიოსანთა და ჰქვიან პირთ. მე, მეგობრებო, აქ თქვენის გულის მოსაგებად როდი მოვსულვარ, მე ბრუტოსივით მჭევრმეტყველი, იციოთ, არა ვარ, ვარ მხოლოდ ერთი უეშმაკო, უბრალო კაცი, ერთგული ჩემის მეგობრისა. ეს თვით იმათაც კარგად იციან, რომელთ დამრთეს სიტყვის თქმის ნება. მახვილად არ სჭრის ჩემი ჰკუა, ენით ვარ დუნე და ვერ შევიძლებ ვერც გამოთქმით, ვერც მიხვრა-მოხვრით თავგამოჩენით, ან აღმტაცის სიტყვების ძალით მე თქვენის სისხლის აღელვებას. პირდაპირ ვამბობ მას, რაც თქვენ თითონ კარგად იციოთ და ჩემს მაგივრად ვცდილობ აი ეს ტკბილ კეისრის მუნჯი ტუჩები, პირდაღებულნი ჭრილობანი გალაპარაკო. მაგრამ ბრუტოსი რომ ვიყო მე, ის — ანტონიოს, ანტონიოსი მაშინ გულ-გვამს აგიდულვებდაო, გამოაბამდა ენას ყოველ კეისრის წყლულსა და თვით რომის ქვებს მათ ნათქვამით აჯანყებდა.

## მოქალაქენი

უნდა ავჯანყდეთ!

## პირველი მოქალაქე

ბრუტოსს სახლი გადავუბუვოთ.

მე ს ა მ ე . მ ო ქ ა ლ ა ქ ე

წავიდეთ, ჩქარა, შეთქმულეში მოვინახოთ ყველგან.

ანტონიოს

ჯერ მოისმინეთ, მეზობლებო, რას გეტყვით კიდევ.

მ.ოქალაქენი

სუ, ანტონიოს ბრძანებს, ჩვენი ანტონოსი!

ანტონიოს

მიდიხართ და ის კი არ იცით, რისთვის მიდიხართ, ან კეისარი რაღა გოყვარდათ აგრე ძლიერად.

არ იცით-მეთქი და მე გეტყვით:— წუღან ანდერძი რომ დაგანახვეთ, დაგავიწყდათ?

მ.ოქალაქენი

მართლა, ანდერძი!

ჯერ ნურსად წავალთ, წაგვიკითხოს.

ანტონიოს

აი, კეისრის

ბეჭდით არის ის დაბეჭდილი. ყოველ რომაელს სამოც და თხუთმეტს დრაქმას, გაძლევენ: სათითაოდ.

მეორე მოქალაქე

ოჰ, დიდებულო კეისარო! სიკვდილი მის, მკვლელთ!

მესამე მოქალაქე

ხელმწიფის ტოლი კაცი იყო.

ანტონიოს

ჯერ მომიტმინეთ.

მოქალაქენი

სუ, ხმა გაკმინდეთ!

ანტონიოს

ამას გარდა თქვენ გიანდერძებთ

თვის სასეირნო შეედნებსა, საზაფხულო სახლთა და ხილნარ ბაღთა, რაც კი ტიბრის აქეთ. პირჯეა, თქვენ და ყოველ თქვენ, ჩამომავალს. — გქონდეთო იგი თავგასართობად, სიამით დროს-გასატარებლად.

ესეთი იყო კეისარი; აბა ეხლა სთქვით,  
მისს მზგავსს როდის-ლა მოვესწრებით.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ვერა როდის-ლა!  
წამოდით, მომყეთ. წმინდა ალაგს დავწვათ მის გვამი  
და მუგუზლებით წავუკიდოთ ცეცხლი მათ სახლებს!  
მიშველეთ, გვამი გავასვენოთ.

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მოიტათ ცეცხლი.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

აგლიჯეთ სკამნი!

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

დაამსხვრიეთ ყოველიფერი,

კარიც, ფანჯარაც.

(მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი გადიან და კეისრის გვამი გააქვთ).

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

დეე, ეხლა თითონ იციან.

აწ ფეხზედ დგახარ, მღელვარებავე, დაადეგ შენს გზას.—  
(შემოდის მ ს ა ხ უ რ ი).

შენ რაღას იტყვი?

მ ს ა ხ უ რ ი

ოქტავიოს რომში მობრძანდა.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ეხლა სად არის?

მ ს ა ხ უ რ ი

კეისრისას ბრძანდება იგი  
და ლეპიდოსიც მასთან გახლავს.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

მაშ მეც ეხლავე  
იქ წავალ იმათ სანახავად. სწორედ ნატვრაზედ  
მოვიდა იგი. როგორც ვატყობ, ბედი გვიღიმის  
და არ იქნება, წყალობა რამ არ გაიმეტოს.

## მ ს ა ხ უ რ ი

ასე ბრძანეს მათ, ყური მოეკარ, რომ კასიოსი  
და ბრუტოს რომით გიყებევით ფიცხლად გაჭრილან.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ის 'შეუტყვიათ ალბათ, ხალხი რომ ავაღელვებ.  
აბა, წამიძელ, წამიყვანე ოქტავიოსთან.

(გადიან).

## ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. ქუჩა.

(შემოდის პოეტი ცინა).

ც ი ნ ა

წუხელის სიზმრად ვნახე, ვითომ კეისრის გვერდით  
ნადიმზედ ვიჯექ; მიღონდება როგორღაც გული,  
არ ვაპირობდი გამოსვლას და შინაც ვერ დავდეგ.  
(მოქალაქენი შემოდიან).

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
შენ რა გქვიან?

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
სად მიდიხარ?

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
სადა სცხოვრობ?

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
ცოლიანი ხარ, თუ უცოლო?

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
ყველას პირდაპირი პასუხი მოგვეც.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
პირდაპირი და მოკლე.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
ჭკვიანურიც.

მე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

სწორე პასუხიც, გაიგონე.

ცინა

თქვენა მკითხავთ, რა მქვიან, სად მივდივარ, სად ვცხოვრობ, ცოლიანი ვარ, თუ უცოლო, და გინდათ ყველას პირდაპირი, მოკლე, ჭკვიანური და სწორე პასუხი მოგცეთ? მაშ, კარგი, გეტყვით: როგორც ჭკვიანი კაცი, მე უცოლო ვარ.

მე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მაშ, შენის სიტყვით, ცოლიანები სულ სულელები ყოფილან; ჩემგან, მგონი, მაგ პასუხისათვის კაი-კაი მოგხვდება. განაგრძე, პირდაპირ გვიპასუხე.

ცინა

მე პირდაპირ კეისრის დამარხვის სანახავად მოვდივარ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

როგორც მეგობარი, თუ, როგორც მტერი?

ცინა

როგორც მეგობარი.

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

აი, ეგ პირდაპირი პასუხია.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

სადა დგახარ? მოკლედა სთქვი.

ცინა

მოკლედ გეტყვი, კაპიტოლის გვერდით ვდგავარ.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

სახელად რალა გქვიან? სწორედ გვითხარ.

ცინა

სწორედ გეტყვით, მე ცინა მქვიან.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

შუა გავვლიჯოთ, მოვკლათ, ეს მოლაღატია!

ცინა

მე პოეტი ცინა ვარ, პოეტი ცინა.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე  
მაშ ცუდის ლექსებისათვის მოვკლათ, ცუდის ლექსები  
სათვის.

ც ი ნ ა

მე შეთქმული ცინა არა ვარ, არა-მეთქი.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ეგ სულ ერთია, ცინა ხომ უქუიან. უფლიდან სპხელი ამოვ-  
გლიჯოთ და ისე გავუშვათ.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მოვკლათ, გავსრისოთ! მოიტათ მუგუზლები, დაჰკარით,  
დასწვით! წავიდეთ ბრუტოსთან, კასიოსთან, გადავბუგოთ  
ყველა, დეციოსიც, კასკაც, ლიგარიოსიც! წავიდეთ, ჩქარა!

(გადიან).

## მ.ო.ქ.მ.ე.ღ.ე.ბ.ა. :მ:ე:ო:თ:ხ:ე:

ს უ რ ა თ ი

ჩემი. თანხი ანტონიოსის სასახლეში,

(ანტონიოს, ოქტავიოს და ლეპიდოს მაგიდასთან  
სხედან).

ანტონიოს

მაშ ეს სულ უნდა დაიხრცნენ, ვინც სიაშია.

ოქტავიოს

ლეპიდ, შენი შმაც უნდა მოკვდეს, ხომ თანახმა ხარ?

ლეპიდოს

მე თანახმა ვარ.

ოქტავიოს

ანტონიოს, ჩანიშნე ძსიც.

## ლ ე პ ი დ ო ს

იმ პირობით კი, ანტონიოს, რომ პუბლიოსსაც  
ნულარ ვაცოცხლებთ, შენს დისწულსა.

## ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ნულარ ვაცოცხლებთ.

სწორედ ამ ნიშნით, ჰხედავ, მე მას სასიკვდილოდ ვსჯი.  
ლეპიდოს, წადი შენ ეხლავე კეისრის სახლში  
და მის ანდერძი მოიტანე. გასინჯვა უნდა,  
თუ რაც შეტია იმ ანდერძში, როგორ მოვშალოთ.

## ლ ე პ ი დ ო ს

აქვე დამხვდებით?

## ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ანუ აქვე, ან კაპიტოლში. —

(ლეპიდოსს გადის).

ოჰ, მეტისმეტი უღირსი რამ, უფხო კაცია,  
ვარგა მისაგზავნ-მოსაგზავნად, სხვა კი არაფრად,  
და ქვეყანას რომ სამ წილად ვყოფთ, წარმოიდგინე,  
ეგ ბრიყვი უნდა მთელ მესამედს დავაპატრონოთ!

## ო ქ ტ ა ვ ი ო ს

თუ მაგ აზრისა იყავ, როცა ვარდგენდით სიას,  
ზოგთ სასიკვდილოდ ვსჯიდით, ზოგთა განსადევნელად,  
ხმას რად აძლევდით?

## ა ნ ტ ო ნ ი ო ს

ოქტავიოს, მე შენზედ უფრო

მრავალი წელი მიცხოვრია! თუმც ეს ღირსება  
ავკიდეთ მაგ კაცს, მით ჩვენ თითონ განვთავისუფლდით  
ბევრის სამძიმო ტვირთისაგან. დავეხსნათ, ჰზიდოს,  
ვით ვირმა ოქრო, იმ გზით, სითკენ ჩვენ თვით გავიგდებთ  
ვაით, ხვნეშით და ოფლის ღვრითა: როცა მიიტანს  
ჩვენგან დანიშნულს ალაგს, მაშინ მოვხსნათ ის ბარგი  
და თავისუფლად დეე სძოვოს ყურის ბარტყუნით.

## ო ქ ტ ა ვ ი ო ს

შენი ნებაა, მაგრამ უნდა მართალი ითქვას,  
იგი მამაცი, გამოცდილი მეომარია.



## აწტრნიოს

მაგაში ჩემი ცხენიც უკან არ ჩამორჩება  
და სწორედ მისთვის ვაძლევ საზრდოს. მე მას ვასწავლი  
შებმას, უეცრივ გაჩერებას, მოტრიალებას,  
ან მედგრად მისვლას; ერთის სიტყვით, მის მოძრაობას  
წინამძღვრობს მხოლოდ ჩემი ჰკუა, და ლეპიდოსიც,  
რომ დავუკვირდეთ, ეგეთია: უნდა ლაგამი  
ამოსდო პირში, წინ გაიგდო, უხელმძღვანელო.  
ტვინთხელა არის, ნასუფრალით საზრდოობს მხოლოდ,  
სხვისგან ნაცვეთი ხელ-ახალი ჰგონია ბედკრულს  
და მით ამყობს. ლაპარაკი არ ღირს მაგაზედ,  
იგი უგრძნობო საგანია. — აწ, ოქტავიოს,  
დიდი ამბავი მსურს გაუწყო: თურმე კასიოს  
და ბრუტოს ლაშქრად გამოსულან და ჯარებს ჰკრეფენ.  
უნდა საჩქაროდ შევეშალოთ ხელი როგორმე,  
უნდა შევიკრათ კავშირითა და ჩვენთ მეგობართ  
თავი სულ ერთად მოვუყაროთ; ნურას დავზოგავთ,  
თუ რამე ღონე გავგაჩნია. წავიდეთ, დავსხდეთ,  
გავწიოთ ბჭობა, ან ფარული როგორ შევიტყოთ,  
ან ცხად განსაცდელს როგორ გავცეთ მარჯვედ პასუხი.

### ოქტავიოს

აგრე მოვიქცეთ, თორემ მტერი ბევრი გვარტყია  
და გვისისინებს ყოველ მხრიდან; ზოგი გვიღიმის,  
მაგრამ ვინ იცის ამ ღიმილ ქვეშ რა გესლს გვიმზადებს.

(გაღიან).

## ს უ რ ა თ ი II

ბანაკი სარდლის ახლო. ბრუტოსის კარმიდამო.

(დაფდაფის ხმა. შემოდინ ბრუტოს, ლუციუს  
ტიციანიოს და ჯარისკაცნი. მათ წინ პისდაროს  
შეხვდება. ლუციოს მოშორებით მოსჩანს).

ბრუტოს

დადეგ, გაჩერდი!

ლ უ ც ი ლ ი ო ს

ნიშანი სთქვი, გაჩერდი, დადეგ!

ბ რ უ ტ ო ს

შენ ხომ არ იცი, კასიოს ჯერ კიდევ შორს არის?

ლ უ ც ი ლ ი ო ს

არა, ახლოა, აგერ მოდის აქ პინდაროსი,  
რომ თვის ბატონის მაგიერად სალაში გიძღვნას.

(პინდაროსს ბრუტოსს წერილს აძლევს).

ბ რ უ ტ ო ს

მეგობრულ წერილს მწერს. — პინდაროს, შენმა ბატონმა  
მიზეზი მომცა სამღურავის. არ ვიცი, თითონ  
გამოიცვალა, თუ ხელქვეითთ უნდა დაბრალდეს,  
მაგრამ ნეტავი რაც მოხდა, ის არ მომხდარაყო.  
ახლო თუ არის, მალე ვნახავ და ჰასუხს მოვთხოვ.

პ ი ნ დ ა რ ო ს

ეჭვი არა მაქვს, დარწმუნდები, რომ იგი ისევ  
პატიოსნებით და ღირსებით აღსავსე არის.

ბ რ უ ტ ო ს

არც ვინმე ეჭვობს. — ლუცილიოს, სათქმელი რამ მაქვს:  
როგორ მიგიღო კასიოსმა, შემატყობინე.

ლ უ ც ი ლ ი ო ს

პატივისცემით და თავაზით, თუმც ამ მიღებას  
ჩვეულებრივი სიხარული არ ეტყობოდა,  
გამოწვეული ტბილ მეგობართ ერთად შეხვედრით.

ბ რ უ ტ ო ს

და ტბილ მეგობრის გაგრილებას ნიშნავს ეგ სიტყვა.  
იცოდე, ჩემო ლუცილიოს, როს სიყვარული  
სუსტდება, ჰქრება, ამ სისუსტის მალვას ცდილობენ  
ძალდატანებულ თავაზითა და ცრუ ალერსით.  
სულის სიწრფელეს ეშმაკობა არ ეჭირვება  
და ცბიერნი კი ჰგვანან თვალად ცხარე ბედაურს,  
თავმოწონებით თვის ღირსების გამომჩვენებელს,

რომელსაც რაკი მხედრის მწვავე ღეზი მოხვდება,  
დაძაბუნდება, ჯაგლაგივით ჩამოჰყრის ყურებს.  
ჯარიც ხომ მოსდევს?

ლ უ ც ი ლ ი ო ს

ღიად, მოსდევს. ამაღამ ზოგი,  
მცირე ნაწილი შიგ სარდისში დაიბანაკებს,  
დანარჩენი კი თან მოჰყავს მას მთელ მხედრობითურთ.  
(მარშის ხმა).

ბ რ უ ტ ო ს

სუ, აგერ მოდის! მივეგებოთ ნელის ნაბიჯით.  
(კ ა ს ი ო ს ჯარით შემოდის).

კ ა ს ი ო ს

გაჩერდი!

ბ რ უ ტ ო ს

დადევ! გადაეცით ჯარს ეს ბრძანება.

გ ა რ ე დ ა ნ ხ მ ე ბ ი

გაჩერდი, დადევ!

კ ა ზ ი ო ს

ბრუტოს, ძმაო, სახელოვანო,  
შენ მე საშინლად მაწყეინე.

ბ რ უ ტ ო ს

თქვენ საჯეთ, ღმერთნო,  
მე მტრის წყენასაც ვერიდებდი, ძმას რად ვაწყენდი!

კ ა ს ი ო ს

ეგ გულცივობა ჰფარავს სწორედ ჩემთვის ბევრ საწყენს.  
რაკი ასრეა...

ბ რ უ ტ ო ს

სჯობს, დამშვიდდე და სამღურავი,  
თუ გაქვს რაიმე, დაბლა მითხრა. ერთმანეთს ვიცნობთ,  
არ არის კარგი აქ ვიჩხუბოთ ჩვენ მხედრობის წინ,  
რომელთ ერთობის მაგალითი უნდა ვუჩვენოთ  
და სხვა არა-რა. უბრძანე ჯარს, პატარა მიდგეს,  
მოდი ჩემს კარავს, იქ ამიხსენ, რასაც მემღური  
და მეც მოგისმენ.

კ ა ს ი ო ს  
პინდარ, უთხარ ჩვენთა სარდალთა,  
ჯარი იქითკენ მიაყენონ.

ბ რ უ ტ ო ს  
ლუციოს, მიდი  
და შენც აგრე ჰქმენ. ჩვენ კარავში ნურვინ შემოვა,  
ვიდრე ბჭობას არ გავათავებთ. ლუცილიოსი  
და ტიცინიოს დარაჯებად კარებთან დადგენენ.  
(გალიან).

### ს უ რ ა თ ი III

ბრუტოსის კარავი.

(შემოდინ ბ რ უ ტ ო ს და კ ა ს ი ო ს).

კ ა ს ი ო ს  
აი შენ რითი შეურაცხმყავ: ლუციოს პელა  
დაასჯევინე სამარცხვინოდ მხოლოდ იმისთვის,  
რომ ვითომ ქრთამებს იღებდაო სარდისელთაგან,  
და არ ათხოვე ჩემს წერილებს სრულიად ყური,  
რომლითაც მე მას, ვით ჩემს ნაცნობს, ვესარჩლებოდი.

ბ რ უ ტ ო ს  
მაგგვარ საქმეში გარეეით თვით შენივე თავი  
შენ შეურაცხპყავ.

კ ა ს ი ო ს  
ესეთ ჟამსა კარგია განა,  
რომ ყოველ მცირე დანაშაულს სასჯელს ვუჩენდეთ?

ბ რ უ ტ ო ს  
კიდევ აი რა უნდა გითხრა: შენც ბევრს გციცხავენ,  
ამბობენ, ვითომ ხელმრუდეობ და უღირსს პირებს  
თანამდებობა-ღირსებასა ფულით ურიგებ.

კ ა ს ი ო ს  
მე ხელმრუდეობი ოჰ, იცი, რომ ბრუტოსი გქვიან,  
თორემ ღმერთთ ვფიცავ, მაგ სიტყვასთან გაგათავებდი.

ბ რ უ ტ ო ს

და კასიოსის სახელი კი სწმენდავს შენს ბიწსა,  
ისე რომ თითონ სასჯელიც კი ველარას ჰხდება.

კ ა ს ი ო ს

რაო, სასჯელი!

ბ რ უ ტ ო ს

მოიგონე მარტის იღები,  
ის მოიგონე, ვით გავწირეთ სიმართლისათვის  
ჩვენ თითონ დიდი იულოოს. ვინ იქნებოდა  
ისე საზიზღი, ხელი ეხლო უამმიზღოდ!  
და ეხლა უნდა ჩვენთაგანმა, რომელთ განვგმირეთ  
პირველი კაცი ქვეყანაზედ მხოლოდ იმისთვის,  
რომ ტაცვა-გლეჯას მფარველობდა, ჩვენ უნდა-მეთქი  
მოქრთამეობით შევარცხვინოთ ჩვენი სახელი  
და ეს ღირსება, თავმომწონედ შეძინებული,  
უნდა გავცვალოთ ერთ მუჭა ფუჭ საზიზღ ოქროზედ!  
ის მირჩვენია ძალღი ვიყო, მთვარეს შევყეფდე,  
ვიდრე მაგგვარი რომაელი.

კ ა ს ი ო ს

მე ნუ მყეფ, ბრუტოს,  
ველარ მოგიტმენ! გავიწყდება, მეც ვაჟკაცი ვარ,  
ოძებში შენზედ გამოცდილი და უკეთ ვიცი  
ღირსეულ კაცთა გამორჩევა.

ბ რ უ ტ ო ს

სტყუი, კასიოს!

კ ა ს ი ო ს

არა, არ ვტყუი.

ბ რ უ ტ ო ს

სტყუი-მეთქი.

კ ა ს ი ო ს

დამეხსენ, ბრუტოს,  
ლამის გონება დამეფანტოს. შენს თავს უფრთხილდი,  
ნულარ მაქეზებ.

ბ რ უ ტ ო ს

დაიკარგე, იქით, უღირსო!

კ ა ს ი ო ს

ოჰ, ეს რა მესმის!

ბ რ უ ტ ო ს

გამიგონე, ლაპარაკი მსურს.  
ვითომ გგონია, შევეუშინდე შენს გაცოფებას!  
ანუ გიჟივით თვალთა ბრიალს?

კ ა ს ი ო ს

ოჰ, ღმერთო, ღმერთო,  
უნდა ეს ყველა ავიტანო!

ბ რ უ ტ ო ს

და კიდევ მეტიც,  
ვიდრე ეგ ზეავი გული შუა არ გაგისკდება.  
წადი, შენს მონებს დაენახვე, როგორა ბრაზობ,  
ისინი მაინც შეაშინე. მე კი ვერ შემძრავ  
და ვერც მაკისრებ, რომ თვალ-წარბში შემოგყურებდე,  
გეფინებოდე ფიანდაზად გულმოსვლის ჟამსა.  
ისევ შენ უნდა მოინელო მაგ ბრაზის გესლი,  
თუნდაც გაგხეტქოს, რადგან დღეის იქით, იცოდე,  
როცა მოჰყვები აგრე ბურტყუნს, მე თავს შევიქცევ  
და სასაცილოდ არ მეყოფი.

კ ა ს ი ო ს

მაწ მანდამდისაც  
მივიდა საქმე!

ბ რ უ ტ ო ს

უკეთესი ვაჟკაცი ვარო!  
ბარემა ვცადოთ, დაამტკიცე შენი ტრაბახი;  
არ მეწყინება, ჭეშმარიტად, უკეთესისგან  
მაგალითს მაინც ხომ ავიღებ.

კ ა ს ი ო ს

არა გრცხვენიან?!  
ცდილობ ჩემს წყენას ყოველის გზით: მე როდი მიოქვამს,  
რომ უკეთესი ვაჟკაცი ვარ, ვთქვი, გამოცდილი  
გარ-მეთქი უფრო; აბა, ბრუტოს, ასე არ იყო?

ბ რ უ ტ ო ს

რა მენადვლება, რაც უნდა სთქვა!

კ ა ს ი ო ს

თვით კვისარიც!

ვერ გაბედავდა აგრე წყენას ჩემსას.

ბ რ უ ტ ო ს

გაჩუმდი!

შენ კი, შენ თითქო გაბედავდი მის აღელვებას!

კ ა ს ი ო ს

ვერ გაგბედავდი?

ბ რ უ ტ ო ს

ვერა-მეთქი.

კ ა ს ი ო ს

ვითომ რატომა?

ბ რ უ ტ ო ს

თავს დაზოგავდი და იმიტომ.

კ ა ს ი ო ს

ოჰ, ჩემს შენდამი

სიყვარულს მაგდენს ნუ ენდობი, თორემ ვაი თუ ისეთი რამ ვქმნა, რაიც ბოლოს მევე ვინანო.

ბ რ უ ტ ო ს

შენ რაც ჰქმენ, ჯერ ის შეინანე. არა, კასიოს, ვერ შემაწინებ მაგ მუქართ: პატიოსნების ჯაჭვ-ჯავშანით ვარ შეჭურვილი და ეგ ყოყოჩი ისე ქარივით მივლის გვერდსა, რომ ვერც კი ვამჩნევ.

ოქრო დამჭირდა, კაცი მისთვის მოვგზავნე შენთან და შენ უარი მითხარ. რა ვქნა, არ შემიძლიან ხვეჭა-შეძენა უღირსის გზით, ვფიცავ თვით ზეცას,

ამ გულის დაჭრას წვერილ-წვერილ ფულად უფრო ვარჩევდი, ვარჩევდი-მეთქი მთლად ამ სისხლის დრაქმებად ქცევას,

ვიდრე გლეხთაგან უსამართლოდ გამოიმერთმია მათ დაკორძებულ ხელებითა ნაწვავ-ნაშოვნი.

უარი მითხარ ფულზედ, რაიც ლეგიონთათვის დასარიგებლად მჭირდებოდა. ეგ ვკადრება

განა კასიოსს? ან მე ამგვარს პასუხს მოგცემდი? თუ მარკოს ბრუტოს გაძუნწდება ისე როდისმე,

რომ თვის მეგობართ დაუჭიროს ფუჭი ლითონი,  
მაშინ, ოჰ ღმერთნო, ნაჭერ-ნაჭერ დაფლითონ იგი  
მეხთა ისრებმა!

კ ა ს ი ო ს

მე ფული არ დამიჭერია.

ბ რ უ ტ ო ს

სტყუი.

კ ა ს ი ო ს

არ ვტყუი. მთლად უჭკუო ყოფილა იგი,  
ვინც ეგ პასუხი მოგიტანა. რათ მიკლავ ამ გულს!  
მეგობრის ცოდო მეგობარმა უნდა დამალოს  
და შენ კი უფრო აზვიადებ, თუ რამ ნაკლი მჭირს.

ბ რ უ ტ ო ს

აკი არაფერს არ ვამბობდი, ვიდრე ჩემზედვე  
არ გამოვცადე.

კ ა ს ი ო ს

სიყვარული არა გაქვს ჩემი

ბ რ უ ტ ო ს

მართლაც არ მიყვარს, რაც კი შენში საწუნარია.

კ ა ს ი ო ს

ჩემში წუნს ვერც კი შეამჩნევდა მეგობრის თვალი.

ბ რ უ ტ ო ს

არ შეამჩნევდა მხოლოდ იგი, ვინც პირმოთნეობს,  
თუნდა ოლიმპის მთის ოდნად ეგ წუნი მოსჩანდეს.

კ ა ს ი ო ს

ოჰ, მოდით ჩქარა, ანტონიოს, შენც, ოქტავიოს,  
ამოიყარეთ კასიოსზედ მარტო ეგ ჯავრი,  
რადგან სიცოცხლე მას მოსწყინდა. რაღად იცოცხლოს  
შეძლებულმა საყვარელის მეგობრისაგან,  
გამოლანძღულმა მონასავით, ძმისგან გამობილმა,  
როს ყოველ მის ნაკლს ყურს უგდებენ გაფაციცებით,  
სახსოვარ წიგნში სწერენ, სიტყვით იმეორებენ  
მასუკან პირში მოსახლეღად! ტირილი მმართვეს,



ტირილი, ვიდრე სულს თვალთავან არ გამოვიფთხოზი  
აი ხანჯალი, აი ჩემი 'შიშველი მკერდიც.

აქ მიცემს გული თვით პლუტოსის ძვირფას მადანზედ  
უძვირფასესი და საუნჯე მჯობი ოქროსი, —  
წაიღე იგი, თუ შენ მართლა რომაელი ხარ,  
მე გაძღვე ამ გულს, მე, რომელმაც ოქრო არ მოგვეც.  
დამკარ ისე, ვით კეისარსა, რადგან იმ წუთშიც,  
როს უმეტესად გძულდა იგი, მაინც გიყვარდა,  
როგორც კასიოს თავის ღღეში არ გყვარებია!

ბ რ უ ტ ო ს

ჩააგე ქარქაშს ეგ ხანჯალი და ჯავრობით კი  
თავი გაირთე რამდენიც გსურს, არ მენაღვლება.  
შენ, ვგონებ, ბატკანს ნათესავად მოხვდები, რომელს  
ჯავრი ედება ისე, როგორც კაჟის ქვას ცეცხლი:  
წამს აფეთქდება, მეორე წამს ისევ ცივია.

კ ა ს ი ო ს

განა ამისთვის ეს სიცოცხლე შევინარჩუნე,  
რომ სასაცილოდ გამაკეთოს ბრუტოსმა მაშინ,  
როდესაც სევდა გულს მაწვება და სისხლი მიღულს!

ბ რ უ ტ ო ს

და მეც მიღულდა იგი, როცა აგრე მოგექვეც.

კ ა ს ი ო ს

როგორ, შენ თითონ აღიარებ? მაშ მომეც ხელი.

ბ რ უ ტ ო ს

აი ხელიც და გულიც მასთან.

კ ა ს ი ო ს

ოჰ, ჩემო ბრუტოს!

ბ რ უ ტ ო ს

რა ამბავია?

კ ა ს ი ო ს

არ გიყვარვარ განა იმდენად,  
რომ მომითმინო ეს სიცხარე, თავდავიწყება,  
დედიჩემისგან სისხლთან ერთად გადმოცემული?

ბ რ უ ტ ო ს

რატომაც არა; დავიხსომებ მაშ დღის იქით,  
რომ როდესაც შენ შენს ძმას ბრუტოსს წაეკიდები,  
უნდა დედაშენს დავაბრალო და შენ დაგეხსნა.

პ ო ე ტ ი (გარედან)

სარდლებთან შესვლა მინდა-მეთქი, ჰხედავთ, ჩხუბობენ  
და მართო იმათ დატოვება არ შეიძლება.

ლ უ ც ი ლ ი ო ს (გარედან)

ვერ მოგცემ ნებას იქ შესვლისას.

პ ო ე ტ ი

მხოლოდ სიკვდილი

თუ შემიკრავს გზას.

(შემოდის პ ო ე ტ ი. უკან ლ უ ც ი ლ ი ო ს და ტ ი ც ი ნ ი ო ს  
მოსდევენ).

კ ა ს ი ო ს

აქ რა გინდა, რისთვის მოსულხარ?

პ ო ე ტ ი

რას ჩადით მაგას, ჯართ-უფროსნო, არა გრცხვენიანთ?  
უნდა გიყვარდეთ მეგობრულად თქვენ ერთმანეთი,  
ეს დამიჯერეთ, მიცხოვრია მე თქვენზე მეტი.

კ ა ს ი ო ს

ეს ბრიყვიც ვითომ ლექსებსა სთხზავს, პოეტი არის.

ბ რ უ ტ ო ს

გადი აქედან, დაიკარგე, უზრდელო, მხეცო!

კ ა ს ი ო ს

ნუ გაუწყრები. ჩვეულებად სჭირს ეგე მაგას.

ბ რ უ ტ ო ს

თავის დრო-ჟამი რომ იცოდეს, მეც მოვუთმენდი,  
მაგრამ ომებთან რა ხელი აქვთ მაგ მასხარაებს! —  
წადი, ძმობილო.

კ ა ს ი ო ს

კარგი, გასწი, გადი აქედან.  
(პოეტი გადის).

ბ რ უ ტ ო ს

ლუცილიოს და ტიცინიოს, უფროსთ უთხარით,  
ამალამ აქვე მოუმზადონ ჯარებს სადგური.

კ ა ს ი ო ს

მერე დაბრუნდით და მესალაც თან მოიყვანეთ;  
ეხლავე მოდით.

(ლუცილიოს და ტიცინიოს გადიან).

ბ რ უ ტ ო ს

მომიტანე ღვინო, ლუციოს.

[(ლუციოს გადის).]

კ ა ს ი ო ს

არ ვიცოდი, რომ ეგრე ცხარე, გულფიცხი იყავ.

ბ რ უ ტ ო ს

ბევრი ვარამი მაწუხებს მე, ჩემო კასიოს.

კ ა ს ი ო ს

მაშ რაღად გინდა ფილოსოფოსთ სწავლა-მოდღვრება,  
თუკი წყენასაც ვერ აიტან?

ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, დამერწმუნე,

საწყინარს ჩემზედ უკეთესად ვერვინ აიტანს, —  
ჩემი პორცია აღარა მყავს.

კ ა ს ი ო ს

რაო, პორციაჲ!

ბ რ უ ტ ო ს

დიალ, მომკვდარა.

კ ა ს ი ო ს

ვით გადავრჩი მაშ მე თვით სიკვდილს,  
როს მაგ ყოფაში წაგეკიდესი ოჰ, საშინელი,  
აუტანელი ამბავია! რითი მომკვდარა?

ბ რ უ ტ ო ს

ვერ გაუძლია ჩემთან გაყრა და რა უცვნია  
გაძლიერება ანტონიოს-ოქტავიოსი, —  
ესეც გვაუწყეს მის სიკვდილის ამბავთან ერთად, —  
ჰკვავზედ შემცდარა, მარტო თავი დაუგულია  
და ნაკვერჩხლები გადუყლაპავს.

კ ა ს ი ო ს

მაგით მომკვდარა?

ბ რ უ ტ ო ს

დიაღ, ამითი.

კ ა ს ი ო ს

ჰოი, ღმერთნო, ყოვლად ძლიერნო!

[(შემოდის ლ უ ც ი ო ს ღვინით და ლამპრით).]

ბ რ უ ტ ო ს

მასზედ ნუ მეტყვი ნულარაფერს, — მომეცი ღვინო. —  
კასიოს, ყოველ ჩვენ შორის უფოთს ამით ვანელებ.

[(სვამს. ლ უ ც ი ო ს გადის).]

კ ა ს ი ო ს

ამ გულსაც სწყურის, ხმა გასცეს უნს დიდებულ სურვილს. —  
ჰიქა პირთამდე ღვინით სავსე მომეც, ლუციოს,  
თუმცა ბრუტოსის სიყვარულსა სმით ვერ დავიცხრობ.  
(სვამს).

ბ რ უ ტ ო ს

რად არ შემოხვალ, ტიცინიოს? —

(ტიცინიოს და მესალა შემოდინ).

მესალა, შენი

ნახვა მიხარის. აბა სანთელს გარს შემოვუხსნდეთ  
და ჩვენს საჭირო საქმეებზედ რამ მოვისაზროთ.

კ ა ს ი ო ს

პორცია მკვდარი უნდა იყოს!

ბ რ უ ტ ო ს

ნულარას იტყვი. —

მესალა, ეხლა მომივიდა მე წერილები;  
მატყობინებენ, ოქტავიოსს და ანტონიოსს

დიდი ლაშქარი შეუყრიათ ჩვენთან საბრძოლად  
და ფილიპისკენ წამოსულან.

მესალა

ჩემს წერილებშიც

ეგევ სწერია.

ბრუტოს

სხვაც კიდეც ხომ არა არის-რა?

მესალა

გამოუციათ სამთ კანონი გათახსირების,  
ოქტავიოსსა, ანტონიოსს და ლეპიდოსსა,  
და მით სიკვდილით დასჯა ასის სენატორისთვის  
გაღუწყვეტიათ.

ბრუტოს

მანდ კი ცოტა განსხვავებაა:

სამოც და ათი სენატორი სწერია ჩემში,  
მათის ბრძანებით დახოცილი; ერთი მათგანი  
არის ციცერო.

კასიოს

ციცეროცა?

მესალა

დიაღ, ციცეროც

იმავე კანონით დაუსჯიათ. — ბრუტოს, ცოლისგან  
წერილი არა მოგსვლია-რა?

ბრუტოს

არა, მესალა.

მესალა

ან სხვის წერილში არაფერი სწერია მასზედ?

ბრუტოს

არა, სრულიად არაფერი.

მესალა

უცნაურია.

ბრუტოს

რისთვისა მკითხავ? შენში მასზედ სწერია რამე?

მესალა

არც იქ სწვრია.

ბრუტოს

სწორე სთქვი, ვით რომაელს ჰფერობს.

მესალა

მამ შენც რაც ვითხრა, აიტანე ვით რომაელმა:  
იგი სიკვდილით უცნაურით მომკვდარა თურმე.

ბრუტოს

მ'შვიდობა მის სულს, ჩვენც, მესალა, დავიხოცებით,  
და რაკი ვიცი, რომ სიკვდილი ელოდა ერთ დროს,  
მოთმენით ვიტან დღეს ამ ამბავს.

მესალა

სწორედ დიდებულს

პირს აგრე შეენის დანაკარგის დიდის ატანა.

კასიოს

მეც თქვენებრ მტკიცედ ვარ შექმნილი, მაგრამ კი აგრე  
ვერ აიტანდა მაგვვარ ამბავს ჩემი ბუნება.

ბრუტოს

კმარა, შევუდგეთ ჩვენ ჩვენს საქმეს. აბა, რას იტყვით,  
წავიდეთ ეხლა ფილიპისკენ?

კასიოს

არ ვარჩევ წასვლას.

ბრუტოს

საბუთი გვითხარ.

კასიოს

ვგონებ სჯობდეს მტერმა თვით გვძებნოს;  
დევნაში საგზალს გამოილევს, დაიქანცება  
და ჩვენ კი ჩვენთვის აქ ვიქნებით დამშვიდებულნი,  
მზანი, ძალ-ღონე მოკრეფილნი მათ დასახვედრად.

ბრუტოს

კარგმა საბუთმა გზა უკეთესს უნდა დაუთმოს:  
მცხოვრებნი ამ ჩვენ ბანაკსა და ფილიპის შორის  
ნაჰალადევად მოგვეხრებენ, რადგან სურსათის

მოკრეფამ მეტად შეაწუხა. თუ ამ ქვეყნებზედ  
გადმოიარა მტერმა, მაშინ უეჭველია,  
მათში ჯარს მოჰკრეფს, წაქეზდება, მოიცემს ღონეს  
და ახალ ძალით თავს დაგვესწმის. მაგრამ თუ ჩვენვე  
მივალთ ფილიპის, ამ მწარეს ზურგს უკან დავიგდებთ,  
მაშინ მოვუსპობთ სახსარს ასე მოქმედებისას.

### კ ა ს ი ო ს

მეც მომისმინე ეხლა, ძმაო.

### ბ რ უ ტ ო ს

გთხოვ, დამაცადო. —

ესეც შენიშნეთ, მეგობრები სადაც კი გვყავდა,  
ყველამ თავი აქ მოიყარა; რაიც შეგვეძლო  
ჯარის მოკრეფა, მოვაგროვეთ და ჩვენი საქმე  
მომწიფებული არის ეხლა, როდესაც ჩვენს მტერს  
ყოველ დღე და უამ ემატება ძალი და ღონე.  
ჩვენ მწვერვალზედ ვართ, დაქანებას ვაპირობთ თავქვე.  
კაცთ ბედის ჩარბი ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს;  
თუ ზე ამავალს პირს მოექცე, ხომ წარიმატებ,  
მაგრამ თუ ასცდი, მაშინ შენის ცხოვრების გზაზედ  
წინ განსაცდელი, ყველგან საფრთხე გადგელობება.  
ეხლა თამამად ზღვის ტალღებში ჩვენ დავცურაობთ,  
ხელს ნუ შევიშლით, მრეყვეთ მათვე მდინარებასა  
და ნუ დავკარგავთ ამ შემთხვევას გამარჯვებისას.

### კ ა ს ი ო ს

მაშ ეგრე იყოს, ბრძანე წასვლა და ფილიპისთან  
დავუხვდეთ მტერსა.

### ბ რ უ ტ ო ს

ჰხედავთ, ვიდრე ვლაპარაკობდი,  
დალაძებულა კარგა ძალზედ. ვგონებ ბუნებას  
ჩვენსას არ აწყენს მოსვენება და ნურც დაუფუჭროთ,  
აქვს კიდევ ვისმე რამ სათქმელი?

კ ა ს ი ო ს

ალარა გვაქვს-რა.

ლამე მშვიდობის. ხვალ სამგზავროდ აღრიან ავდგეთ.

ბ რ უ ტ ო ს

ლუციოს, მომეც საღამური ტანისამოსი. —  
მშვიდობის ღამე შოგცეს ღმერთმა, ჩემო მესალა,  
შენც, ტიცინიოს. — საყვარელო ძმაო, კასიოს,  
ლამე მშვიდობის, მოსვენებით იმყოფებოდე.

კ ა ს ი ო ს

ძვირფასო ძმაო, ეს საღამო ცუდად დაიწყო,  
ხულარ გვენახოს კვლავ რაიმე შფოთი ჩვენ შორის.

ბ რ უ ტ ო ს

აწ ხომ დავმშვიდდით.

კ ა ს ი ო ს

მოსვენებას ვისურვებ შენთვის.

ბ რ უ ტ ო ს

შენთვისაც, ძმაო.

ტ ი ც ი ნ ი ო ს და მ ე ს ა ლ ა

ჩვენც ვისურვებთ მშვიდობის ღამეს.

ბ რ უ ტ ო ს

ყველას მშვიდობა.—

(გაღიან კასიოს, ტიცინიოს და მესალა. შემოდის  
ლუციოს; ხელში საღამური ტანისამოსი უჭირავს).

მომეც აქ ეგ ტანისამოსი.

შენი საკრავი სადღა არის?

ლ უ ც ი ო ს

კარავში განლაგეს. |

ბ რ უ ტ ო ს

ძმინარესავით ლაპარაკობ, მაგრამ რა ვუყვით.

ბევრი იფხიზლე, საცოდავო, მოგეტყვება.

კლავდიოსს და სხვებს დაუძახე ჩემთა მსახურთა,

აქ ჩემს კარავში მინდა დაწვენენ.

ლ უ ც ი ო ს

კლავდიოსს, ვართ

(ვართ და კლავდიოსს შემოდიან).



ვ ა რ ო

შენ გვიბრძანებდი?

ბ რ უ ტ ო ს

ყმაწვილებო, აქ დაიძინეთ;  
იქნება მალე გაღვიძება დამჭირდეს თქვენი,  
რომ კასიოსთან მიმეგზავნოთ.

ვ ა რ ო

ზეზე გახლდებით

და მოვუცდით შეს ბრძანებასა.

ბ რ უ ტ ო ს

არა, არ მინდა,  
დაწეკით ისევ, იქნება რომ არც კი მიგგზავნოთ. —  
ჰხედავ, ლუციოს, წედან რომ წიგნს ვეძებდი, თურმე  
აგერ ჯიბეში ჩამიდგია.

(ვ ა რ ო და კ ლ ა ვ დ ი ო ს ი წვებიან).

ლ უ ც ი ო ს

აკი, ბატონო,

მოგახსენე, რომ ჩემთვის ეგ არ გიბოძებია.

ბ რ უ ტ ო ს

გულმავიწყი ვარ, მომიტევე, ჩემო ლუციოს.  
ვერ შეიმაჯრებ ძილისაგან ცოტა ხანს თავსა,  
არ შეგიძლიან ერთი ორჯერ ჩამოჰკრა სიმებს?

ლ უ ც ი ო ს

ეზღავე. თუ კი სურვილი გაქვს.

ბ რ უ ტ ო ს

დიადაცა მსურს,

შავრამ გაწუხებ, ძალას ვატან შეს მორჩილებას.

ლ უ ც ი ო ს

ეს მორჩილება ვალადა მძევს, ბატონო ჩემო.

ბ რ უ ტ ო ს

მე თვით არ უნდა დაგავალო, რაიც არ ძალგდის.  
ყმაწვილ კაცთათვის მოსვენება საჭიროა არის.

ლ უ ც ი ო ს

აკი კიდევაც მეძინა მე.

ბ რ უ ტ ო ს

კარგად გიქნია.

ალარ გაფხიზლებ დიდხანს, ისევ სჯობს დაიძინო.

თუ კი ვიცოცხლე, შენს სამსახურს არ დავივიწყებ.

(ლ უ ც ი ო ს უკრავს და მღერის, მაგრამ ბოლოს ჩაეძინება).

ეს მოსვენების კილო არის. უწყალო ძილო!

რათ გამიბრუე მე ეს ბავშვი, ტკბილად დამეკვრელი,

მაგ ტყვიასავით მძიმე კვერთხით! — ღამე მშვიდობის.

არ გაგაღვიძებ, ჩემო კარგო, არ აგამფოთებ,

მაგრამ თვლემის დროს ეს საკრავი რომ არ გაგიტყდეს,

აჰა, მოგაცლი; მოისვენე, მიეც ძილს თავი. —

აბა, ეხლა ეს წიგნი ვნახოთ. აგერ ფურცელი

გადაეცილი; სჩანს აქამდე წამიკითხია.

(შემოდის კეისრის აჩრდილი).

სანთელი როგორ ცუდად ბეუტავს! ეს ვილა მოდის?

ალბად თვალეზი დამისუსტდა და მიტომ ვხედავ

მე ამ საზარელს სანახავსა. აქ მოდის ჩემთან.

მითხარ, ღმერთი ხარ, ანგელოზი თუ ტარტაროზი?

ვინა ხარ-მეთქი, რომ ყინულად მიქციე სისხლი

და ამბურძგნე შიშით ეს თმა? სთქვი, ვინ ხარ, რა ხარ?

ა ჩ რ დ ი ლ ი

ბრუტოს, იცოდე, მე ბოროტი სული ვარ შენი.

ბ რ უ ტ ო ს

რისთვის მოსულხარ?

ა ჩ რ დ ი ლ ი

მსურს გითხრა, რომ ფილიპის ახლო

მნახავ შენ კიდევ.

ბ რ უ ტ ო ს

როგორ, კიდევ უნდა ვნახო შენ!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ღიად, ფილიპის ახლო-მეთქი.

ბ რ უ ტ ო ს

მაშ კარგი, ვნახავ.

(აჩრდილი გადის).

ძლივს გავიმავრე გული და შენ ეხლა მიდიხარ.  
ბოროტო სულო, შენთან კიდევ სიტყვის თქმა მწადდა. —  
ეი, ლუციოს, გაიღვიძე! ვარო, კლავდიოს!  
კლავდიოს-მეტქი!

ლუციოს

სიმი სტყუის, ბატონო ჩემო.

ბრუტოს

ამას ჰგონია, კიდევ უკრავს. — ლუციოს, ადევ!

ლუციოს

ბატონო ჩემო!

ბრუტოს

რათ ყვიროდი, სიზმარი ნახე?

ლუციოს

მე არ მახსოვს, რომ დამეყვიროს.

ბრუტოს

რა მოგეზმანა? ყვიროდი-მეტქი,

ლუციოს

არაფერი მომზმანებია.

ბრუტოს

მამ ისევ ისე დაიძინე. — ეი, კლავდიოს!  
(ვაროს) არ გაიღვიძებ?

ვარო

რას მიბრძანებ!

კლავდიოს

ბატონო ჩემო!

ბრუტოს

რისთვის ყვიროდით ისე ძილში?

ვარო და კლავდიოს

ჩვენა ვყვიროდით?

ბ რ უ ტ ო ს

ჰო, სწორედ თქვენა, სიზმარში ხომ არა ნახეთ რა?

ვ ა რ ო

მე არაფერი არ მინახავს, ბატონო ჩემო.

კ ლ ა ვ დ ი ო ს

არც მე მინახავს.

ბ რ უ ტ ო ს

მოიკითხეთ, წადით, კასიოს,  
უთხარით, ადრე აპყაროს მან თავის ლაშქარი  
და ჩვენც მივყვებით.

ვ ა რ ო და კ ლ ა ვ დ ი ო ს

გიახლებით, ბატონო ჩემო.

(გაღიან).

მ ო ქ მ ე ღ ე ბ ა მ ე ნ უ თ ე

ს უ რ ა თ ი I

დაცემული ადგილი ფილიპის ახლო.

(შემოდიან ოქტავიოს და ანტონიოს თავიანთი ჯარებით).

ო ქ ტ ა ვ ი ო ს

რასაც ველოდი, ანტონიოს, სწორედ ის მოხდა.  
შენ სთქვი, რომ მტერი მაღლობიდან არ ჩამოვაო,  
არ მოშორდება მთა-გორაკებს, მაგრამ გამტყუნდი:  
მათი ჯარები აქ არიან, ფილიპის ახლო,  
და გვიპირებენ ბრძოლას მიზეზ-მიუცემლადაც.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

აბა, რას ამბობ! სხვაა მათი გულისპასუხი,  
ზადაც მოიქცნენ აგრე, მესმის: იმათა სწადლათ  
სულ სხვა მხარისკენ გამგზავრება და თუ აქ გაჩნდნენ,  
იმის სურვილით მოსდით, თავი მხნედ დაგვისახონ

და დაგვარწმუნონ, ვითომ არას გვეპოებინან;  
მაგრამ ეგ ეგრე როდი არის. —

(შეძოდის შიკრიკი).

შიკრიკი

მოემზადენით,

ჯართ-უფროსებო, მწყობრად მოდის მტერი ჩვენზედა,  
წინ საომარი უფრიალებს თამამად დროშა  
და საჭიროა, რომ ეხლავე შეუდგეთ საქმეს!

ანტონიოს

მაშ, ოქტავიოს, შენი ჯარი ნელის ნაბიჯით  
ამ მინდვრის მარცხნივ წაიყვანე.

ოქტავიოს

მე მარჯვნივ წავალ,

მარცხნივ შენ წადი.

ანტონიოს

ეხლა რა დროს ცილობა არის!

ოქტავიოს

არ გეცილები. მარჯვნივ წასვლა მსურს-მეთქი, ვამბობ!  
(მუსიკა მარშს უკრავს. მეორე მხრიდან მოისმის დაფდაფის ხმა. შე-  
მოდიან ბრუტოს, კასიოს და მისი ჯარი; ლუცილიოს,  
ტიცინიოს, მესალა და სხვანი).

ბრუტოს

ლაპარაკი სურთ, რაკი შედგნენ.

კასიოს

მაშ ჩვენც წინ წავდგეთ

სალაპარაკოდ. — ტიცინიოს, შესდგეს ლაშქარი.

ოქტავიოს

ხომ არ ვანიშნოთ, ანტონიოს, ბრძოლის დაწყება?

ანტონიოს

არა, ჯერ ამათ დავაცადოთ, წინ წავდგეთ, აბა.  
მათ სარღლებს რალაც აქვთ სათქმელი.

ოქტავიოს

ნულარ დაიძვრით

ჯეროვან ნიშნის მოცემამდე.

ბ რ უ ტ ო ს

ჯერედ სიტყვები,  
მერე კვეთება, ესე, ჩემნო მამულისშვილნო?

ოქტავიოს

თანხმა ვართ, მაგრამ არა მისთვის, ვითომ ვარჩევდეთ  
თქვენებრ სიტყვების მიმოსროლას.

ბ რ უ ტ ო ს

ოჰ, ოქტავიოს,  
ავად კვეთებას ბევრითა სჯობს კარგი სიტყვები.

ანტონიოს

ავი კვეთება 'შენი აკი შეჰკაზმე სიტყვით,  
და როს კეისარს გულს უპობდი, ენით შესძახე,  
იცოცხლოს დიდ ხანს კეისარმა, იდღეგრძელოსო!

კ ა ს ი ო ს

ჯერ არ გვიცდია, ანტონიოს, ვით ეკვეთები,  
მაგრამ სიტყვებით თვითონ ჰიბლას ფუტკრისთვის თაფლი  
'შენ მოგიპარავს, დაგიგდია უსაზრდოოდა.

ანტონიოს

არა უნესტროდ.

ბ რ უ ტ ო ს

უნესტროდაც, თითქმის უხმოდაც.  
დაისაკუთრე მის ბზუილი და ბზუი განგებ,  
მოიმარჯვებდე ვიდრე ნესტარს.

ანტონიოს

ოჰ, ავაზაკნო.

თქვენ როდი ჰქმენით აგრე, როცა თქვენი ხანჯლები  
ერთი-ერთმანეთს შეეჯახნენ კეისარის გულთან.  
კბილებს იკრეჭდით მაიმუნებრ და ლაქუტობდით,  
ყმასავით წელში იხრებოდით, ულოკდით ფეხთა

და ამ დროს კასკამ, იმ წყეულმა, წუწკ ქოფაკსავით  
კისერში ჩაჭკრა უკანიდან. ოჰ, პირმოთენო!

კ ა ს ი ო ს

ჩვენ ვართ პირმოთენე! — ბრუტოს, ეს ხომ შენი ბრალია:  
რომ დაგეჯერა კასიოსთვის, ველარ შესძლებდა  
მაგისი ენა ესრედ ჩვენსა შეურაცხებას.

ო ქ ტ ა ვ ი ო ს

კარგია, კარგი, საქმე ვნახოთ. თუ ლაპარაკმა  
ასე გაგვწურა ოფლში, მაშინ რაღა იქნება,  
როცა ეს ოფლი წითელ სისხლად გადაიქცევა.  
აქ შემომხედეთ, ამ ხმაღს ვიღებ ორგულთ საყლეტად,  
და როდის ჩავა ისევ ქარქაშს, როგორ გგონიათ?  
ან მაშინ, როცა ოცდაცამეტ კეისრის წყლულის  
სამაგიეროს გადავიხდი, ან მუხანათნი  
როცა მეორე კეისარსაც ხმაღს ააგებენ.

ბ რ უ ტ ო ს

შენ არ მოკვდები, კეისარო, მუხანათთ ხელით,  
თუ მუხანათნი შენთანვე არ მოგიყვანია.

ო ქ ტ ა ვ ი ო ს

მეც იმედი მაქვს: იმისთვის კი არ გავჩენილვარ,  
ბრუტოსის ხმაღმა მომაკვდინოს.

ბ რ უ ტ ო ს

ყმაწვილო კაცო,  
საუკეთესოც რომ იყო შენს გვარტომობაში,  
ვერა დროს უფრო სახელოვნად ვერ მოკვდებოდრი.

კ ა ს ი ო ს

და არც ღირსია მაგ სიკვდილის თვისნება ბავშვი,  
კავშირშეკრული მოქეიფე არამზადსთან.

ა ნ ტ ო ნ ი ო ს

კასიოს, ჩუმაღ იყო, გიჯობს. ჩუმაღ, ბებერო!

ო ქ ტ ა ვ ი ო ს

აქ რაღას ვდგავართ, ანტონიოს. — მუხანათებო,  
საომრად გითხოვთ, შიგ კბილებში გესვრით ამ ძახილს.

თუ დღეს გაბედავთ ჩვენთან ბრძოლას, მობრძანდით  
მინდვრად,  
თუ ვერა, როცა მოინელებთ შიშსა და ძრწოლას.  
(ოქტავიოს, ანტონიოს და იმათი ჯარი გადიან).

კ ა ს ი ო ს

იქროლე ქარო, აზვირთდი ზღვავე, გემო იცურე!  
დადგა ავდარი და ყოველივე ბედზედ ჰკიდიდა.

ბ რ უ ტ ო ს

სათქმელი რამ მაქვს, ლუცილიოს, აქეთკენ მოდი.

ლ უ ც ი ლ ი ო ს

ბრძანე.

(ბ რ უ ტ ო ს და ლ უ ც ი ლ ი ო ს ცალკე ჩემად ლაპარაკობენ).

კ ა ს ი ო ს

მესალა.

მ ე ს ა ლ ა

რას მიბრძანებ, ჩემო სარდალო?

კ ა ს ი ო ს

დღეს სწორედ ჩემი დაბადების დღეა, მესალა.  
აქ მომაწოდე შენი ხელი და მოწმად იყავ,  
რომ როგორც ერთხელ პომპეოსი, ისე მე ვარ დღეს  
იძულებული მთელი ჩვენი თავისუფლება  
მხოლოდ ერთ ბრძოლას დავამყარო ჩემს უნებურად.  
ეპიკუროსის სწავლას, იცი, მე მტკიცედ ვადეგ,  
მაგრამ ახლა კი შევეცვალე აზრი და მჯერა  
ცოტათი მაინც მოჩვენება წინასწარ ნიშანთ.  
სარდისიდან რომ მოვდიოდით, ჩვენს მოწინავე  
დროშებზედ ორი დიდროვანი არწივი დაჯდა  
და ჩვენ ჯარისკაცთ ხელით უხვად იკვებებოდა;  
აქამდე მოგყვინენ, ფილიპამდე. მაგრამ დღეს დილით  
ვნახეთ, რომ სადღაც გაფრენილან და მათ მაგივრად  
თავს დაგვეყურებენ, დაგვჩხავიან ძერა-ყორანნი,  
ვით განმზადებულს საალაფოს. იმათი ჩრდილი



გადაჰფარვია შავბედითად ჩვენს ჯარის რაზმებს,  
თითქო მის ნიშნად, აქ სიკვდილი წილად გხვდებათო.

მ ე ს ა ლ ა

ნუ გწამს ეგენო.

კ ა ს ი ო ს

მაინც ყველა მე როდი მჯერა,  
რადგანაც ისევ სულთ მხნე ვარ და მზა, რომ ყოველს  
გახსაცდელს მედგრად წინ დავუხვდე.

ბ რ უ ტ ო ს

ჰო, ლუცილოს.

კ ა ს ი ო ს

ქვირფასო ბრუტოს, დღეს ჩვენ ღმერთნი მწყალობლებად  
გვყავს.

ნეტავი ასე ტკბილად ვიყოთ სიბერემდისაც.  
მაგრამ რადგანაც კაცის საქმე ცვალებადია,  
სჯობს, რომ უარესს მოველოდეთ თუ კი გვაჯობეს,  
უკანასკნელი უნდა იყოს ეს ლაპარაკი  
მე და შენ შორის. მაშინ რა ვქნათ?

ბ რ უ ტ ო ს

სწორედ იმავე

მივყვები სწავლა-მოძღვრებასა, რომლის ძალითაც  
ვკიცხავდი კატოს, თავი როგორ მოიკლა-მეთქი.  
მე მიმაჩნია სილაჩრედ და სიმცირ-სიმდაბლედ  
მომავლის შიშით შემოკლება ბედით ნარგუნის  
სიცოცხლის უამის; მოთმინებით აღვიჭურვები  
და ველოდები უმაღლეს ძალთ განგება-სურვილს.

კ ა ს ი ო ს

მაშ თუ დავმარცხდით, დასთანხმდები, რომ მტრის ტრიუმფის  
დასამშვენებლად გაგატარონ რომის ქუჩაზედ?

ბ რ უ ტ ო ს

არა, კასიოს, არა-მეთქი, მაგას ნუ ჰფიქრობ,  
კეთილშობილო რომაელო, ბრუტოს როდისმე  
ბორკილით რომში მიიყვანონ. არ დაიმცირებს  
ის მანამდე თავს, და სწორედ დღეს უნდა დასრულდეს

მარტის იღებში დაწყებული. ეს აღარ ვიცი,  
თუ კვლავ როდისმე ერთმანეთსა ვნახავთ მე და შენ,  
და სჯობს ამიტომ სამუდამოდ გამოგეთხოვო.  
ოჰ, სამუდამოდ! ძვირფასო ძმავ, თუ კიდევ შევხვდით,  
გაგვეღიმება ამ ამბავზედ, და თუ ველარა,  
უკანასკნელი მისალმება იყოს ეს ჩვენი!

კ ა ს ი ო ს

მშვიდობით, ბრუტოს, სამუდამოდ! იყავ მშვიდობით.  
თუ კიდევ შევხვდით, პირს ღიმილი მოგვევა მართლაც,  
და თუ ველარა, საუკუნო გაყრად ეს დარჩეს.

ბ რ უ ტ ო ს

აბა, წავიდეთ! ოჰ, ნეტა კი შესაძლებელი  
იყოს შეტყობა, ეს დღე თუ ვით დაბოლოვდება;  
მაგრამ ბოლოც ხომ მალე მოვა და მის შედეგი  
გამოცხადდება. — ნუ ვაყოვნებთ, წავიდეთ ჩქარა!

(გაღიან).

## ს უ რ ა თ ი II

**იგივე ადგილი. ბრძოლის მინდორი.**

(ომის ხმაურობა. შემოდინ ბ რ უ ტ ო ს და მ ე ს ა ლ ა).

ბ რ უ ტ ო ს

გასწი, მესალა, გაეშურე და ეს ბრძანება  
მეორე მხარის ლეგიონებს გადაეცე ჩქარა.  
უნდა ერთბაშად მიესიონ; აქედან ვატყობ,  
ოქტავიოსის ჯარი მეტად არეულია  
და უეცარი იერიში სრულად განაბნევს.  
თავზედ დაესხან სწრაფად მტერსა! გასწი, მესალა! (გაღიან).

იგივე ალაგი. მინდვრის მეორე მხარე.

(ომის ხმაურობაა. შემოდინ კასიოს და ტიცინიოს).

კ ა ს ი ო ს

ნახე, გაიქცნენ, ტიცინიოს, ის საზიზლარნი,  
მე თვით მოსისხლე მტრად გავუხდი ჩემთა ჯარისკაცთ.  
აი ეს დროშა გამოგტაცე ამ ხელით მოკლულს  
ლაჩარ მედროშეს, რომელმაც მტერს ზურგი უჩვენა.

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ბრუტოს აჩქარდა, მეტად აღრე გასცა ბრძანება,  
გული მოიცა, რაკი ნახა, რომ ოქტავიოსს  
თითქო სჯობნიდა. ხელი მიჰყო ძარცვას მის ჯარმა  
და ჩვენ კი იმ დროს ანტონიოს გარს შემოგვერტყა.  
(შემოდის ჰინდაროს).

ჰ ი ნ დ ა რ ო ს

გაიქეც ჩქარა, ჩქარა-მეთქი, ბატონო ჩემო,  
შენს კარგებშია ანტონიოს, ჩქარა, კასიოს!

კ ა ს ი ო ს

სერი შორს არის. — ტიცინიოს, ერთი შეხედე,  
ის ცეცხლი ჩემის კარგებიდან მოჩანს, მგონია?

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ღიად, აგრეა.

კ ა ს ი ო ს

ტიცინიოს, თუ კი გიყვარვარ,  
შეჯექ ჩემს ცხენზედ, გაუყარე გვერდში დეზები,  
გაფრინდი აიმ რაზმებისკენ, წამს აქვე გაჩნდი  
და ეს მაცნობე, მოყვრისაა, თუ მტრის ის ჯარი.

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ეხლავე წავალ, ელვასავით მივირბ-მოვირბენ.  
(გადის).

კ ა ს ი ო ს

ადი, პინდაროს, იმ გორაკზედ და ერთი ნახე, —  
მე ხომ ბეცი ვარ, შორ მანძილზედ არ მიჭრის თვალი, —  
როგორ მოივლის ტიცინიოს საომარ ველსა;  
ყველა მაცნობე. — (პინდაროს გორაზე აღის).

მე პირველად ამოვისუნთქე  
დღევანდელ დღესა; დრომ თვისი წრე შემოიფარგლა  
და სად დავიწყე, იქვე უნდა დავაბოლოვო:  
ჩემი სიცოცხლის სარბიელი დღეს დასრულდება. —  
რა ამბავია?

პინდაროს (მალლიდან)

ოჰ, ბატონო!

კ ა ს ი ო ს

რაო, რა იყო?

პინდაროს (მალლიდანვე)

უკან მოსდევენ ტიცინიოსს ცხენიანები...  
თავებს არ ზოგვენ... ტიცინიოს, აწ კი მშვიდობით...  
ზოგნი ჩამოხდენ ცხენებიდან... ისიც ჩამოდის...  
ოჰ, ხელი სტაცეს! — (მოისმის კიჟინის ხმა).

სიხარულის კიჟინა გესმის?

კ ა ს ი ო ს

კარგი, ჩამოდი, დაანებე ყურებას თავი. —  
სირცხვილი ესეთ სილაჩრესა! მე ცოცხალი ვარ  
და უკეთესს ჩემს მეგობარს კი თვალწინ მართმევენ! —  
(პინდაროს ჩამოდის).

აქ მოდი, ძმაო, პართიაში ტყვედ შეგიპყარ შენ  
და დავაფიცე, რომ უარი არ გაგებდნა,  
რაც უნდა მეთქვა. შეასრულე აწ შენი ფიცი;  
თავისუფლება მომიცია, მხოლოდ ეს ხმალი,  
რომელს ეღირსა გატარება კეისრის გვაშში,  
ამ გულში დამეც. უარის თქმის ნება არა გაქვს.  
მოჰკიდე ხელი ტარს და როცა პირისახეზედ  
ხელები ასე ავიფარო, მტკიცედ გამგმირე...  
ოჰ, კეისარო, შენი ჯავრი ამოიყარა  
სწორედ შენმავე მკვლელმა ხმალმა. (კვდება).

პ ი ნ დ ა რ ო ს

განვთავისუფლდი?

თუმც არ მინდოდა მე ასეთი თავისუფლება,  
ჩემს ნებაზედ რომ ყოფილიყო. წავალ, კასიოს,  
გადვიკარგები ამ ქვეყნიდან ისეთს მხარეში,  
სიდან ვერც ერთი რომელი ჩემზედ ვერრას სცნობს.  
(გადის. შემოდინ ტიცინიოს და მესალა).

მ ე ს ა ლ ა

ბარდიბარად ვართ, ტიცინიოს: ოქტავიოსი  
ბრუტოსის ჯარმა დაამარცხა და სამაგივროდ  
გაუმარჯვნია კასიოსზედ ანტონიოსსა.

ტ ი ც ი ნ ი ო ს

სანუგეშოა ეგ ამბავი კასიოსისთვის.

მ ე ს ა ლ ა

საით დასტოვე?

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ის დავტოვე აქ, ამ მაღლობზედ,  
შეწუხებული მეტისმეტად. თან ჰყავდა მარტო  
მის ყმა პინდაროს.

მ ე ს ა ლ ა

იქ მიწაზედ კასიოს არ წევს?

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ვაიმე ბედკრულს! მას სიცოცხლე აღარ ეტყობა.

მ ე ს ა ლ ა

როგორ, ის არის?

ტ ი ც ი ნ ი ო ს

ოჰ, მესალა! იყო კი, მაგრამ

აწ ის კასიოს აღარ არის. მზევ, ჩამავალო,  
როგორც შენ ჰქრები, გარს აღისფრად სხივ-შემოსილი,  
ისე მოსვრილი წითელ სისხლით განჰქრა კასიოს.  
ჩადგა რომის მზე. დღე მოგვესპო, გარდასწყდა ბედი,  
აწ გარს ხიფათი შემოგვრტყმია და ბნელი ნისლი!  
ჰგონებია, რომ რაც მომანდო, ცუდად დასრულდა,  
და ამ შეცდომას მოუღია იმისთვის ბოლო. \*

## მესალა

ჰო, სწორედ ეგრე ჰგონებია და მას მოუკლავს.  
ოჰ, ცლომილებავ! საზიზღარო სევდის ნაყოფო,  
რისთვის უხატავ, რაც არ არის, ადამიანის  
მიმნდობს გონებას?! შენ საჩქაროდ იცი ჩასახვა,  
მაგრამ კი შობა ბედნიერი არ გელირსება  
და ჰკლავ შენს დედას, თვით შენსავე ჩამსახველ-მშობელს.

## ტიცინოს

ეი, პინდაროს, შენ სადლა ხარ? აქ მო, პინდაროს.

## მესალა

მოსძებნე იგი, ტიცინოს; მე კი ბრუტოსთან  
წავალ და სმენას განვეუგმირავ მწარე მოთხრობით;  
განვეგმირავ-მეთქი, რადგან ვიცი, რომ ამ ამბავსა  
მიიღებს ისე, ვით მჭრელ ფოლადს, დაშხამულს ისარს.

## ტიცინოს

კარგი, წადი და მე პინდაროსს მოვსძებნი სადმე. —

(მესალა გადის)

რისთვის გამგზავნე, ოჰ, კასიოს, მამაცთ მამაცო!  
მე ხომ მეგობართ შენთა შევხვდი, რომელთ გვირგვინი  
გამარჯვებისა მოსართმევედ შენდა თავს დამდეს.  
ვერ გაიგონე მათი კიჟინა? ოჰ, მე უბედურს!  
თურმე სხვაფრივად აგიხსნია ყოველიფერი.  
შაინც აიღე, თავს დაიდგი შენ ეს გვირგვინი,  
შენმა ბრუტოსმა მიბრძანა, რომ ასე მოვიქცე,  
და მეც ვასრულებ მის ბრძანებას. — მოდი აქ, ბრუტოს,  
მოდი და ნახე, ვით მიყვარდა მე კასიოსი.  
ღმერთნო, ნუ მიწყენთ... ეს ხვედრია რომაელისა...  
იმისი ხმალი, აჰა ჩემს გულს მიესალამოს...

(კვდება. — თმის ხმაურობა. შემოდინ მესალა, ბრუტოს,  
ახლავარდა კატო, სტრატო, ვოლუმნიოს და ლუცი-  
ლიოს).

## ბრუტოს

აბა, სად არის იმის გვამი, სადა, მესალა?

მესალა

აგერა იქა, ტიცინიოს თავზე დასტირის.

ბრუტოს

ტიცინიოს გულაღმა წევს.

კატო

ისიც მკვდარია!

ბრუტოს

ოჰ, იულიოს კეისარო, კვლავ ძლიერი ხარ.  
თავს დაგვტრიალებს შენი სული და ჩვენივ ხმლებით  
ჩვენსავ გულ-მუცელს გვაწელვინებს.

(კიდევ ამის ხმაურობაა).

კატო

ოჰ, ტიცინიოს!

ჰხედავთ, გვირგვინი თავს დაუდგამს მკვდარ კასიოსთვის.

ბრუტოს

არის-ლა ორი ამათ მზგავსი ჩვენის ქვეყნის ძე!  
უკანასკნელო რომაელო, მშვიდობით იყავ!  
კვლავ რომი ველარ ეღირსება შენებრივ შვილსა. —  
მე მეტი მმართებს, მეგობრებო, ცრემლების დაღვრა  
შიცვალეზულის გვამზედ და თქვენ ცოტასა ჰხედავთ. —  
გლოვისთვის კიდევ ვიპოვი დროს, ჩემო კასიოს! —  
თასოს გაგზავნეთ ამის გვამი, აქ ვერ დავმარხავთ,  
რომ ჯარებს სიმხნე არ მოვუხსპოთ. მოდი აქ, კატო,  
შენც, ლუცილიოს, ნულარ ვდგავარბ, ბრძოლად გავიდეთ,  
აბა, ლაბეო და ფლავიოს, ჯარს წაუძეღით!  
სამი საათი არის კიდევ დაღამებამდე.  
რომაელებო, ერთხელ უნდა კვლავ ბედი ვცადოთ.

(გადიან).

იგივე ადგილი. საომარ მინდვრის მეორე მხარე

(ომის ხმაურობაა. შემოდინან ორივე ლაშქრის მეომარნი და იბრძვიან. მასუკან ბ რ უ ტ ო ს, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ა ტ ო, ლ უ ც ი ლ ი ო ს და სხვანი).

ბ რ უ ტ ო ს

ნუ 'მე'ძინდებით, ძმებო, მაღლა გეჭიროთ თავი!

კ ა ტ ო

ბუში ვუწოდოთ, ვინც შეშინდეს. ვინ მოხვალთ ჩემთან! ჩემი სახელი არის კატო, იცოდეთ ყველამ, და მარკოს კატოს შვილი ვარ მე, მტარვალთა მტერი, ჩემის სამშობლოს მეგობარი. შვილი ვარ-მეთქი, მარკოს კატოსი, გეყურებათ! — (ჩაერევა მტრის რაზმში).

ბ რ უ ტ ო ს

მე ვარ ბრუტოსი, მარკოს ბრუტოსი, ჩემი ქვეყნის ერთგული შვილი. გაიგეთ ყველამ, ბრუტოს მქვიან, მარკოს ბრუტოსი! (ჩაერევა აგრეთვე მტრის რაზმში და თან გაჰყვება. კატოს დაამარცხებენ და ჰკლავენ).

ლ უ ც ი ლ ი ო ს

ჭაბუკო კატო, შენც მკვდარი ხარ, კეთილშობილთ შტოვ! მამაცად მოკვდი ისე, როგორც ტიცინიოსი, და ვით კატოს შვალს, შენ პატივი ღირსი შეგფერის.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

დამნებდი, თორემ გაგათავე!

ლ უ ც ი ლ ი ო ს

მე დაგნებდები იმ პირობით, რომ ეხლავ მომკლა. აჰა, ეს ფულიც მაგივრად გქონდეს. მოჰკალ ბრუტოს და ისახელე.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

ამას ნუ მოვკლავთ, ნუ, ღიდებულ ტყვედ წავიყვანოთ!



## მეორე ჯარისკაცი

გზა, გზა მოგვეცი, ანტონიოსს შეატყობინეთ,  
რომ შევიპყართ ჩვენ ბრუტოსი!

## პირველი ჯარისკაცი

წავალ, ვაცნობებ.  
მაგრამ სარდალი თითონ მოდის. — (შემოდის ანტონიოსი).  
ბატონო ჩემო,  
ბრუტოს ტყვედა გვყავს, თვით ბრუტოსი!

ანტონიოს

აბა, სად არის?

ლუცილიოს

იგი უვნებლად იმყოფება. ოჰ, დამერწმუნე,  
რომ ვერა მტერი ბრუტოს ცოცხალს ხელთ ვერ ჩაიგდებს!  
აშორონ ღმერთთა ეგ სირცხვილი მის დიდებულ სულს.  
ცოცხალსა ნახავთ, თუ მკვდარს, ის თავს არ უღალატებს  
და ბრუტოსადვე ყოველ დრო-ჟამს დარჩება ისევე.

ანტონიოს

ბრუტოს არ არის ეს, ძმობილო, მაგრამ მერწმუნე,  
მასზედ ნაკლები ფასი არ სძევს. უფროხილდი ამას,  
კარგად მოეპყარ; მე ასეთნი მეგობრად მყავდეს  
ის მირჩევნია მტრად ყოლასა. წადით ეხლა კი,  
შეიტყვეთ, ბრუტოს ცოცხალია თუ მკვდარია, და  
ოქტავიოსის კარავში ეგ ყველა გვაცნობეთ. (გადაიან).

## ს უ რ ა თ ი V

იგივე ალაგი. საომარი მინდვრის მეორე მხარე.

(შემოდინ ბრუტოს, დარდანიოს, კლიტოს, სტრა-  
ტო და ვოლუმნიოს).

ბრუტოს

მოდი, საბრალო მეგობრების ნაშთნო, აქ დავსხდეთ,  
აი ამ კლდეზედ დავისვენოთ.

კ ლ ი ტ ო ს

სტაცილიოსმა

მაშხალა შორით დაგვანახვა, მაგრამ თითონ კი  
აღარ დაბრუნდა; ან მოჰკლავდნენ, ან შეიპყრობდნენ.

ბ რ უ ტ ო ს

აქ დაჯექ, კლიტოს. სიკვდილზედ-ლა ლაპარაკობენ  
ეხლა ყოველგან; ყველას იგი ადგას ენაზედ.  
მინდა რამ გითხრა. (უჩურჩულებს).

კ ლ ი ტ ო ს

მე მიბრძანებ მაგას, ბატონო?  
არა, არასდროს, თუნდ რომ მომცენ მთელი ქვეყანა.

ბ რ უ ტ ო ს

მაშ ჩუმად იყავ.

კ ლ ი ტ ო ს

თავის მოკვლას ვამჯობინებდი  
ეგეთსა საქმეს!

ბ რ უ ტ ო ს

დარდანიოს, დამიგდე ყური. (უჩურჩულებს).

დ ა რ დ ა ნ ი ო ს

ეგ მე უნდა ვქნა?

კ ლ ი ტ ო ს

დარდანიოს!

დ ა რ დ ა ნ ი ო ს

ოჰ, კლიტოს, კლიტოს!

კ ლ ი ტ ო ს

რალაცა გთხოვა შენ ბრუტოსმა, ძნელად საქმენელი.

დ ა რ დ ა ნ ი ო ს

მთხოვა, რომ მოკვლა! ჰხედავ, როგორ ფიქრმა წაიღო.

კ ლ ი ტ ო ს

სევდით აევსო საწყაული ძვირფას ქმნილებას  
და გადმოხეთქოს ლამის თვალთა.

ბ რ უ ტ ო ს

აქეთკენ მოდი,

სათქმელი რამ მაქვს, ვოლუმნიოს.

ვ ო ლ უ მ ნ ი ო ს

ბრძანე და გისმენ!

ბ რ უ ტ ო ს

აი რა გითხრა, ვოლუმნიოს, კეისრის სული  
ორჯერ ზღიზღედ ბნელი ღამით გამომეცხადა:  
ერთხელ სარდისში, წუხელის კი აქ, ფილიპისთან,  
და ვატყობ ჩემის აღსასრულის საათმა დაჰკრა.

ვ ო ლ უ მ ნ ი ო ს

მაგას რად ბრძანებ?

ბ რ უ ტ ო ს

დამიჯერე, აგრეა-მეთქი.

ხომ ჰხედავ, ჩემო მეგობარო, ამ ქვეყნის ტრიალს:  
უფსკრულის პირას მიგვიყვანა აგერა მტერმა,  
(ომის ხმაურობა).

და სჯობს თვით ჩავხტეთ ამ უფსკრულში, ვიდრემდე მათგან  
ჩაყრას ველოდით. ვოლუმნიოს, ხომ გახსოვს, როგორ  
მე და შენ ერთად დავდიოდით სასწავლებელში;  
იმ ჩვენის ძველის მეგობრობის სახელითა გთხოვ,  
მოჰკიდე ხელი ამ ხმალის ტარს, რომ ზედ ავეგო.

ვ ო ლ უ მ ნ ი ო ს

ეგ რა მეგობრის შესაფერი საქმე იქნება!

(კიდევ ხმაურობა ისმის).

კ ლ ი ტ ო ს

გაქცევის დროა, ნუ ვაყოვნებთ, ბატონო ჩემო.

ბ რ უ ტ ო ს

მშვიდობით! ყველას გესალმებით, შენც, ვოლუმნიოს,  
ოჰ, შენცა სტრატო, ამ ბოლოს დროს ძილად ქცეულო.  
ეს მანუგეშებს, მეგობრებო, ჩემს სიცოცხლეში  
ჩემთვის არავის არასდროს არ უღალატნია.  
დავმარცხდი, მაგრამ ამითი მეტს სახელს შევიძენე,  
ვიდრემდე მათის სამარცხვინო გამარჯვებითა

ოქტავიოს და ანტონიოს. მაშ გესალმებით  
ყველას საერთოდ. დაასრულა ბრუტოსის ენამ  
ამბავი თავის ცხოვრებისა. თვალთ მეფარება  
ლამის წყვილი, ჩემს ძვლებსა სურთ აწ მოსვენება,  
ისიც ბევრია, რაიც დღემდე წვალება ნახეს.

(ხმაურობა და ყვირილი: „წადით, გაიქციეთ!“).

კ ლ ი ტ ო ს

წადი, ბატონო, თავს უშველე!

ბ რ უ ტ ო ს

წადით და მოგდევთ.

(გადიან კ ლ ი ტ ო ს, დ ა რ დ ა ნ ი ო ს და ვ ო ლ უ მ ნ ი ო ს).

აქ დარჩი, სტრატო, შენს ბატონთან. შენ ხომ ყოველთვის  
მორჩილი იყავ, რიგიანი, პატიოსანი.

მაშ დაიჭირე ეს ხმალი და იქით მიბრუნდი,  
მსურს ზედ ავეგო, ხომ თანახმა ხარ?

ს ტ რ ა ტ ო

ბატონო ჩემო,

ჭერეთ მომეცი შენი ხელი. ოჰ, ოჰ, მშვიდობით!

ბ რ უ ტ ო ს

მშვიდობით, სტრატო! — კეისარო, ეხლა დამშვიდდი!

მე შენი მოკვლა ბევრად უფრო მეძნელებოდა!

(აეგება თავის ხმაღზე და კვდება. ომის გაყრის ხმა ისმის. შემოდის

ო ქ ტ ა ვ ი ო ს, ა ნ ტ ო ნ ი ო ს, მ ე ს ა ლ ა, ლ უ ც ი ლ ი ო ს).

და ჯ ა რ ი).

ო ქ ტ ა ვ ი ო ს

ვინ არის ესა?

მ ე ს ა ლ ა

ეგ ბრუტოსის მსახური არის. —

სადა ბრძანდება, სტრატო, ეხლა შენი ბატონი?

ს ტ რ ა ტ ო

თავისუფალი არის იგი; არა შენებრ ყმა;

გამარჯვებულნი თუ დასწვენ მას, სხვას ვერას უზმენ,

რადგან ბრუტოსმა თავის თავი თვით დაამარცხა

და არ დაუთმო მტერს სახელი იმის მოკვლისა.

626

## ლ უ ც ი ლ ი ო ს

მოსალოდნელი იყო ეგე. — გმადლობ შენ, ბრუტოს,  
რომ ლუცილიოსს გაუმართლე იმის ნათქვამი.

## ო ქ ტ ა ვ ი ო ს

ვინც მსახურებდა ბრუტოსს, ყველას ჩემთან ავიყვან.  
მითხარ, გსურს ჩემი სამსახური?

## ს ტ რ ა ტ ო

მსურს, თუ მესალა

ნებას მიბოძებს.

## ო ქ ტ ა ვ ი ო ს

გთხოვ, მესალა, არ დაუშალო.

## მ ე ს ა ლ ა

ეს მითხარ, სტრატო, როგორ მოკვდა შენი ბატონი?

## ს ტ რ ა ტ ო

მე ხელში ხმალი მეჭირა და ის ზედ აეგო.

## მ ე ს ა ლ ა

ოქტავიოს, ეს შენთან გყავდეს, მას ბრუტოსისთვის  
უკანასკნელი სამსახური გაუწევია.

## ან ტ ო ნ ი ო ს

ის სულდილობით ყველა შეთქმულთ აღემატოდა,  
სხვებმა რაცა ჰქმნეს, ჰქმნეს ძლიერის კეისრის შურით  
და მხოლოდ იმას ქვეყნის საქმე ასულდგმულვებდა;  
სურდა კეთილის დათესა და მისთვის შეითქვა.  
ცხოვრება მისი იყო წმინდა, სუფთა, ანკარა,  
შეხამებული საუცხოოდ, ისე რომ თვითონ  
ბუნებას უნდა გამოეხება ენა და ეთქვა  
ყველას სასმენად: ჭეშმარიტი კაცი ეს იყო.

## ო ქ ტ ა ვ ი ო ს

ჩვენც მოწიწებით მოვეპყრათ მას ღირსებისამებრ,  
დავკრძალოთ იგი ჯეროვანის წესის აგებით:  
ლამე მის გვამი ჩემს კარავში უნდა ესვენოს,  
როგორც შეჭფერის პატივცემულ, დიდებულ მხედარს,  
უბრძანეთ ბრძოლა გაათავონ და ჩვენც წავიდეთ,  
ამ ბედნიერის ღლის ნაყოფი გავინაწილოთ.

(ვალიან).



# კ ა მ ლ ე ბ

დანიის პრინცი

სუთოქველავანი  
გრაფია

მომხმედნი პირნი:

კლავდიუს, დანიის ხელმწიფე.

ჰამლეტ, უწინდელის ხელმწიფის შვილი და ეხლანდელის ძმისწული.

პოლონიუს, პირველი პირი სასახლეში.

ჰორაციო, ჰამლეტის მეგობარი.

ლაერტ, პოლონიუსის ძე.

გოლტიმანდ,

კორნელიუს,

როზენკრანც,

გილდენსტერნ,

ოსრიკ.

} ჯარისკაცი.

კიდევ ერთი ჯარისკაცი.

პასტორი.

მარცელუს,

ბენარდო.

} ოფიცრები.

ფრანცისკო, ჯარისკაცი.

რეინალდო, პოლონიუსის მსახური.

ასისტავი.

ელჩი.

აჩრდილი ჰამლეტის მამისა.

ფორტინბრას, ნორვეგიის პრინცი.

გერტრუდა, დანიის დედოფალი და დედა ჰამლეტისა.

ოფელია, პოლონიუსის ასული.

დიდებულნი, მათი ცოლები, ოფიცრები, ჯარისკაცი, აქტორები,  
მესაფლავენი, მეზღვეურნი, შიკრიკნი და სხვანი.

სანახავი ელსინორაშია.



# მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა   ა ო რ ვ ე ლ ი

## ს უ რ ა თ ი   I

ელსინორა. ტერასი ციხე-დარბაზის წინ.

(ფრანცისკო დარაჯადა სდგას. ბერნარდო შემოდის).

ბერნარდო

მანდ ვინა დგახარ?

ფრანცისკო

თითონ ვინ ხარ? მითხარ ნიშანი.

ბერნარდო

დღეგრძელი იყოს მეფე ჩვენნი!

ფრანცისკო

ბერნარდო, თქვენა?

ბერნარდო

ჰო, ბერნარდო ვარ.

ფრანცისკო

თქვენს ვადაზედ მოხვედით სწორედ.

ბერნარდო

დროა, ფრანცისკო, დაიძინო, — თორმეტი დაჰკრა.

ფრანცისკო

დიდად გმადლობთ, რომ გამომცვალეთ დანიშნულს დროზედ; საშინლად მცივა და აქ დგომა მომწყინდა კიდევ.

ბერნარდო

ხომ არაფერი არ მომხდარა, რაც დარაჯად ხარ?

ფრანცისკო

ასე გასინჯეთ, თავესაც კი არ გაუბრუნია. .

ბერნარდო

წადი, მშვიდობით! ჰორაციო და ან მარცელუს  
თუ სადმე შეგხვდენ, უთხარ, ჩქარა ჩემთან მოვიდენ.  
ერთადა გემართებს დარაჯობა დღეს მე და იმათ.  
(შემოდინ ჰორაციო და მარცელუს).

ფრანცისკო

აი, მგონია, მათი ხმაა. აქ ვინ მოდიხართ?

ჰორაციო

მოყვარენი ვართ.

მარცელუს

ქვეშევრდომნი დანიის მეფის.

ფრანცისკო

თქვენ ბრძანებულხართ? გამარჯვება!

მარცელუს

შენც` გაგიმარჯოს.

ვინ გამოგცვალა? შენს მაგივრად ვინა დარაჯობს?

ფრანცისკო

ბერნარდო არის ჩემს ალაგას. ღამე მშვიდობის!  
(გადის).

მარცელუს

ეი, ბერნარდო!

ბერნარდო

ჰორაციო, მგონი შენა ხარ?

ჰორაციო

მგონი, ისა ვარ.

ბერნარდო

მეგობრებო, თქვენა ყოფილხართ?

რასა იქო, ჩემო ჰორაციო, ან შენ, მარცელუს?

მარცელუს

წუხანდელსავით ხომ აღარას გამოუვლია?

ბერნარდო

დღეს არაფერი არ მინახავს.

## მ ა რ ც ე ლ უ ს

იცი, რა გითხრა:

მე ჰორაციო არ მიჯერებს და მეუბნება,  
მოჩვენებაა უბრალოო, რაც ჩვენ ზედიზედ  
საზარლის სახით ორჯერ თვალწინ გამოგვეცხადა.  
ამისთვის ვთხოვე ჩვენთან ერთად დადგეს დარაჯად  
და თავის თვალთ ნახოს, რადგან ჩვენი არ სჯერა.  
თუკი მოვიდა ამაღამაც, ეს ეტყვის რასმე.

ჰორაციო

ნეტა რას ამბობთ, აბა ეგ რა დასაჯერია?

ბერნარდო

მოდი აქ დაჯექ, მოთმინებით მოგვიგდე ყური;  
თუმც არ ენდობი ჩვენს ნათქვამსა, მაგრამ მაინც კი  
უნდა გიამბოთ, რაც ორ ღამეს აძბავი ვნახეთ.

ჰორაციო

კარგი, აქ დავსხდეთ და ბერნარდომ გვიამბოს ყველა.

ბერნარდო

წუხანდელ ღამეს, როდესაც კი ჩრდილოთ-ვარსკვლავმა  
სხივი მოჰფინა ცის იმ კიდეს, სად ეხლაც ნათობს,  
როცა საათმა დაჰკრა ერთი, მე და მარცელუს...

მარცელუს

გაჩუმდი! ჰხედავ, კიდევ მოდის! ჩუმადა-მეთქი!  
(შემოდის აჩრდილი).

ბერნარდო

მიცვალებულის ხელმწიფისა მზგავსია სწორედ!

მარცელუს

უთხარი რამე, ჰორაციო, შენ სწავლული ხარ.

ბერნარდო

მეფეს არა ჰგავს, ჰორაციო? შეჰხედე ერთი!

ჰორაციო

მართლა ის არის! ვკვირობ და თან შიშით ვკანკალებ.

ბერნარდო

მგონია, უნდა, რომ ხმა გავცეთ.

მარცელუს (ჰორაციოს)

რაღას უყურებ?

ჰორაციო

მითხარ, ვინა ხარ, რომ დადინხარ ამ წყვილიად ღამეს  
ისე ამაყად, მედიდურად, ვით ჩვეულებრივ  
მიცვალებული მეფე ჩვენი იარებოდა.  
გაფიცებ ცასა, სთქვი, ვინა ხარ!

მარცელუს

გგონებ, ეწყინა.

ბერნარდო

ჰხედავ, წავიდა!

ჰორაციო

სთქვი, სთქვი-მეთქი.  
(აჩრდილი გადის).

მარცელუს

გაჰქრა, წავიდა.

ბერნარდო

რადა კანკალებ, ჰორაციო, რაზედ გაფითრდი!  
როგორ გგონია, ეხლაც მხოლოდ მოჩვენებაა?

ჰორაციო

ღმერთს გეფიცებით, არას დროს არ დავიჯერებდი,  
ჩემის თვალითვე ასე ცხადად რომ არ მენახა.

მარცელუს

მეფეს ჰგავს, განა?

ჰორაციო

ისე, როგორც შენ შენს თავს ჰგავხარ,  
სწორედ მაგგვარის ჯაჭვ-ჯავშანით მორთულ იყო,  
როს დაამარცხა თავგასული ნორვეგიელი;  
სწორედ მაგგვარად ჰქონდა მასაც წარბი შეკრული,  
როს პოლონელი მარტოდმარტომ ყინულზედ დასცა.  
ფრიად მაკვირვებს.

## მ ა რ ც ე ლ უ ს

ეს მესამედ არის დღეს სწორედ,  
რაიც რომ მამლის ყვილის დროს წინ ჩვენსა დარაჯს  
გაუვლის ხოლმე მამაცურის, ნელის ნაბიჯით.

## ჰ ო რ ა ც ი ო

დაბეჯითებით კი ვერ ვიტყვი, მაგრამ მგონია,  
ეს ამბავი მტრის შემოსევას მოასწავებდეს.

## მ ა რ ც ე ლ უ ს

ერთი ჩამოვსხდეთ და მითხარით, თუ იცით ვინმე,  
წესად რად დასდევს ეს სასტიკი მოდარაჯობა,  
რომ ღამეც კია მოსვენება არავისა აქვს?  
ან რისთვის ასხმენ ზარბაზნებსა ყოველ დღე და ჟამ?  
რად მოაქვთ ომის საჭურველი უცხო ქვეყნიდამ?  
და ან გემების-მკეთებელთ რად ამუშავებენ  
ისე საჩქაროდ, რომ კვირადღეც არ გააჩნიათ  
და დღეს ღამისგან დაქანცულთ არ არჩევიანებენ  
ვინ მეტყვის ამას?

## ჰ ო რ ა ც ი ო

მე გაიმბობთ, რაც კი მსმენია.  
თქვენ კარგად იცით, რომ ხელმწიფე მიცვალებული,  
რომლის აჩრდილმა ეხლა ჩვენს წინ გამოიარა,  
ნორვეგთა მეფემ, ფორტინბრასმა, ბრძოლად გაიხმო,  
შურმა და ჯიბრმა მას ეს საქმე გააბედვინა.  
იმ ომში მოჰკლა ფორტინბრასი ჩვენმა ხელმწიფემ,  
რომელს სახელი ვაჟკაცობის განთქმული ჰქონდა.  
სიკვდილის წინად ნორვეგთ მეფეს აღთქმა დაედო  
და შეემოწმა ბეჭდის დასმით, ხელის მოწერით:  
თუ დამამარცხე, შენ გქონდესო ჩემი სამეფოც;  
ჩვენი ხელმწიფეც ბადალსავე დაჰპირებოდა —  
პირობის ძალით ხომ ჩვენ დაგვრჩა იმის ქვეყნები.  
ფორტინბრასის შვილს ეს ამბავი არაფრად მოსწონს,  
მას ეხლა ძლიერ უდუღს სისხლი სიჭაბუკისა,  
აგროვებს თურმე აჭა-იქ მთელს ნორვეგიაში  
უმიწაწყლოთა, სრულად თავზედ ხელაღებულთა,

რომელთაც ოლონდ ლუკმაპურს კი წუ გამოუღვევ  
და თუნდა ქვეყნის კილისაკენ წამოგყვებიან.  
მას უნდა თურმე ის ქვეყნები ძალით წაგვართვას,  
რაიც დაჰკარგა იმის მამამ. მე ასე ვგონებ,  
ეს არის ჩვენის მომზადების სწორი მიზეზი;  
ესეთი ცხარე მისვლა-მოსვლაც ამის ბრალია.

### ბ ე რ ნ ა რ დ ო

მეცა მგონია, რომ რაცა სთქვი, ეგ უნდა იყოს.  
სწორედ ამისთვის საჭურველით წინ გაგვიარა  
საზარო ჩრდილმა უბედურის ჩვენს მეფისამ, —  
მაინც ის იყო და ის არის ომის მიზეზი.

### ჰ ო რ ა ც ი ო

გონების თვალის შესაზარად ეს მოგვევლინა:  
როდესაც რომი ბრძანებლობდა მთელს ქვეყანაზედ,  
ყოვლად ძლიერის, დიდ კეისრის სიკვდილის დღის წინ  
მკვდარნი საფლავით ამოვიდენ შესუდრულები  
და მათი კვნესა გაისმოდა რომის ქუჩებში.  
გარსკვლავნი სჩანდენ ცეცხლის კუდით და სწვიმდა სისხლი;  
შავი გადეკრა ზოგან მზესა და თვით მთოვარეც,  
რომელს ნებტუნის სამფლობელო ემორჩილება,  
დაბნელდა ისე, თითქო წარღვნის დღე ყოფილიყო!  
ეხლაც საშინელ მოვლენათა ნიშნები მოჩანს:  
ცამა და მიწამ პირი მისცა დღეს ერთმანეთსა,  
რომ გვაუწყონ ჩვენ, რაც მოელის ხალხს და ქვეყანას.

(ა ჩ რ დ ი ლ ი კ ი დ ე ვ შ ე მ ო დ ის)

ჩუმად! შეჰხედეთ! კიდევ მოდის! წინ გადვუფდები,  
თუნდა რომ კიდეც გამათავოს და მტერად მაქციოს.  
გაჩერდი მანდვე, მოჩვენებავ! თუ შეგიძლიან,  
ხმა ამოიღო; თუ ენა გაქვს, მითხარი რამე!  
მითხარ! — თუ არის იმისთანა კეთილი საქმე,  
რომელს შეეძლოს შენის სულის შემსუბუქება;  
მითხარ, თუ იცი ამ შენეულ სამეფოს ზვედრი,  
რომლის აცდენა წინდაწინვე შეიძლებოდეს;  
იქნება სადმე შიწას გქონდეს ჩაფლული განძი,  
მოგროებული ძალადობით, რომლისთვის აჩრდილთ,

ამბობენ, ლამე სიბრუელი სასჯელად გმართებთ.

(მამალი ჰყივის)

მითხარი რამე; დადგე, დადგე! მითხარი რამე! —  
არსად გაუშვა ეგ, მარცელუს!

მ ა რ ც ე ლ უ ს

მახვილი დაგკრა?

ჰ ო რ ა ც ი ო

თუ არ გაჩერდეს, დაჰყარ!

ბ ე რ ნ ა რ დ ო

აგერ!

ჰ ო რ ა ც ი ო

აგერ აქ არის!

(აჩრდილი გადის).

მ ა რ ც ე ლ უ ს

აკი წავიდა. დავაშავეთ, რომ მოვიწოდოთ  
ძალით შეპყრობა ეგეთისა დიდებულ სახის.  
როგორც ჰაერსა, ისე მაგას ვერას დავაკლებთ  
და ხმლის შეხებით დავამტკიცებთ ჩვენს უღონობას.

ბ ე რ ნ ა რ დ ო

მამალს კი რომ არ დაეყვილა, იტყოდა რასმე.

ჰ ო რ ა ც ი ო

რა რომ მოესმა იმისი ხმა, ააჯანკალა,  
ვით განკითხულსა დამნაშავეს. გამიგონია,  
რომ როდესაც კი განთიადზედ მამალი ჰყივის  
და მაღალის ხმით გვატყობინებს გათენებასა,  
იღვიძებს მაშინ ღმერთი დღისა, — მამლის ყვილზედ  
სულნი მყის მათის სამყოფისკენ ეშურებიან,  
თუნდ იყვნენ ზღვაში, თუნდ ჰაერში, ცეცხლში, მიწაში;  
ამის სიმართლეს ეს მოვლენაც ცხადად გვიჩვენებს.

მ ა რ ც ე ლ უ ს

მართლა, რომ სწორედ გაჰქრა იგი მამლის ყვილზედ.  
ზოგნი ამბობენ, რომ მამალი მთელ ლამეს ჰყივის,  
როცა დგებო დღე მაცხოვრის დაბადებისა.

ვერც ერთი სული მაშინ გარეთ ვერ ევლის თურმე;  
მთელი ღამეა უშიშარი და დალოცვილი,  
აღარც კუდიანს აქვს რამ ძალა, არც ჯადოსნობას.

### ჭო რ ა ც ი ო

მეც სწორედ ეგრე გამიგია და ცოტად მჯერა. —  
შეჭხედეთ, როგორ ვარდისფერსა საბურველსავით  
დილის რიჟრაჟი ეფინება მთის წვერზედ ცის ნამს;  
დროა, წავიდეთ და ამაღამ რაც კი რამ ვნახეთ,  
ყოველისფერი მალე ჰამლეტს შევატყობინოთ.  
გეფიცებით, რომ თუმცა ჩვენთვის აჩრდილი მუნჯობს,  
იმის წინ ენას ამოიდგამს. რას იტყვით, ვუთხრათ?  
ამას ვალად გვდებს სიყვარული და ერთგულება.

### მ ა რ ც ე ლ უ ს

ეგრე მოვიქცეთ, გთხოვთ მე დიდად, და ხვალ დილითვე  
შევიტყობთ სწორედ, იმის ნახვა სად შეგვიძლიან.  
(გადიან).

## ს უ რ ა თ ი II

იგივე ალაგი. სახელმწიფო დარბაზი სასახლეში.

(შემოდიან ხელმწიფე, დედოფალი, ჰამლეტ, ჰო-  
ლონიუს, ლაერტ, ვოლტიმანდ, კორნელიუს,  
დიდებულნი და ამაღლა).

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

თუმცა ძვირფასის ჩვენის ძმისა მიცვალების დღე  
ჯერ თვალწინ გვიდგას და გვმართებს, რომ მწუხარედ  
ვიყოთ —

მთელ სახელმწიფოს, ვით ერთ კაცსა, გლოვა ეკუთვნის,  
მაგრამ გონება ჩვენი იბრძვის მწუხარებასთან  
და სხვა ვალსაც გვდებს — ჩვენს თავზედაც უნდა ვიზრუნოთ.  
ჩვენ აღვირჩიეთ და და რძალი ჩვენი მეუღლედ  
და ამ განთქმულის სახელმწიფოს მბრძანებელადა.  
ჩვენ ვიქორწინეთ მწუხარების სიხარულითა, —



როს ცალი თვალი იცინოდა, ცალი სტიროდა;  
თუმც სიხარული არად გვიჩნდა ჩვენის ძმის შემდეგ,  
მაგრამ კი მაინც მწუხარება მით განვიქარვეთ;  
გავათანაბრეთ სულთ სასწოროზედ სევდა და ლხინი  
და თქვენც ამ საქმეს ბრძნულის რჩევით დაეხმარებით;  
გმაღლობთ ამისთვის. — ახლა სხვაზედ ვილაპარაკოთ:  
ფორტინბრასის შვილს განუზრახავს ჩვენგან წართმევა  
იმ ქვეყნებისა, რაიც მისმა მშობელმა მამამ  
თვით ჩვენს დიდებულ ძმას დაუთმო სრულის კანონით.  
ეტყობა, იმან ძლიერება ჩვენი არ იცის,  
ან ჰგონებია, რომ ჩვენის ძმის სიკვდილის შემდეგ  
ამ ქვეყანაში სუფევს მხოლოდ უთანხმოება;  
ან ცრუ ოცნებას, ცრუ ანგარიშს გაუტაცნია,  
რომ კაცსა კაცზედ ჰგზავნის ამგვარ მონდობილობით.  
თქვენ დღეს შეგყარეთ, რომ გაცნობოთ, რაც განვიზრახეთ:  
ჩვენ წერილსა ვწერთ ფორტინბრასის მოხუცსა ბიძას,  
რომელიც მუდამ ავადმყოფობს და შესაძლოა,  
თავის ძმისწულის საქმე ჯერედ არც კი იცოდეს;  
ვწერთ, დაუშალოს, — ეს იმისთვის ძნელი არ არის,  
რადგან ჯარს და ხარჯს აგროვებენ მის სამეფოში. —  
თქვენ, კორნელიუს და ვოლტიმანდ, ჩვენ აღვირჩიეთ  
ამ წერილისა და სალამის ჩვენის მიმართმევად  
ნორვეგთ მეფესთან. სხვა უფლება თქვენ არა გაქვთ-რა  
იმას გარდა, რაც აქ სწერია. წადით, მშვიდობით.  
აბა, სისწრაფით ერთგულება მე დამიმტკიცეთ.

კორნელიუს და ვოლტიმანდ  
მზა ვართ ყოველთვის, აღვასრულოთ ბრძანება თქვენი.

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაგისი ეჭვი მე არა მაქვს; ღმერთი გიძლოდეთ. —

(გაღიან ვოლტიმანდ და კორნელიუს).

ახლა გვაუწყე, შვილო ლაერტ, შენ რა გწადიან?  
რაღაც გაქვს ჩვენთან სათხოვნელი, და ეს იცოდე  
გონიერს თხოვნას ცუდად ჩვენ შენ არ ჩაგიტარებთ.  
ან რას გვთხოვ ისეთს, უთქმელადაც არ აღვისრულოთ?  
ხელნი პირისთვის არ არიან ისე ერთგულნი

და გულის გონება ისე ახლო არ ეთვისება,  
ვით ჩვენი ტახტი ერთგულია მამიშენისთვის.  
მიხარ, რა გინდა?

ლ ა ე რ ტ

ხელმწიფეო, მე ამასა გთხოვთ,  
ნება მიზოდოთ საფრანგეთში დაბრუნებისა.  
მე ვალად მედო, თქვენს დიდებულ ტახტზედ ასვლის დღეს  
აქა გხლებოდით, მორჩილება გამომეცხადა;  
რაკი ეს ვალი შევასრულო, უწინდელებრივ  
გუდიც, გონებაც მიმიწვევენ საფრანგეთისკენ.  
გთხოვთ, არ შემრისხოთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მამაშენმა კი ნება დაგროო?—  
აბა რას იტყვი, პოლონიუს, რა პასუხს აძლევ?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

დიდის ვედრებით ძლივს დამტყუა მე ნებისდართვა  
და მწუხარების ბეჭედიც ზედ დამასმევინა.  
მეც გთხოვთ აგრეთვე, ხელმწიფეო, ნება უბოძოთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაშ წადი, ლაერთ, და დმერთსა ვთხოვ, ბედი გიძლოდეს  
ეცადე, შენი ჭაბუკობა კარგად წარმართო, —  
ახლა შენ, ჰამლეტ, ჩემო ძმის-ძევ და ჩემო ძეო...

ჰ ა მ ლ ე ტ (თავისთვის)

ნათესაობით ახლონი ვართ, სხვაფრივ... არ ვიცი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აბა რად გაკრავს შუბლზედ კიდეც ჭმუნვის ღრუბეღო?

ჰ ა მ ლ ე ტ

მაგას რად ბრძანებთ, მე მზე მეტად ნათლად მინათებს,

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

ნუ ჩავარდნილხარ, შვილო ჰამლეტ, მწარსაგონებელს  
და მეგობრალა იგულებდე დანიის მეფეს.  
ნუ ჩასცქერიხარ დედამიწას, თითქო ეძებდე

დიდებულისა მამიშენის დაკარგულ კვალსა.  
შენც კარგად იცი, ეგე წესი საერთო არის:  
რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მიწას სტოვებს  
საუკუნოსთვის.

### ჰ ა მ ლ ე ტ

დიალ, დიალ, საერთო არის.

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ ეს ამბავი გასაოცრად რაღად სჩანს შენთვის?

### ჰ ა მ ლ ე ტ

ჩემთვის კი არ სჩანს, იგი არის. მე როდი ვიცი,  
ჩენა რას ჰქვია; ჩემ გულისთქმას ვერ გამოაჩენს  
ვერც ეს მეღონისფრად შეღებილი წამოსასხამი,  
ვერც მგლოვიარედ წესისამებრ ძაძებში ჯდომა,  
ვერც ქარიშხალებრ აღმოსული კვნესა გულისა,  
ვერცა თვალთაგან მომდინარე ცრემლთა წყარონი,  
ვერც პირისახე მწუხარების გამომეტყველი  
და სხვა ამგვარი წესი, რიგი, მართებულობა.  
ყველა ესე „სჩანს“, ყველას ძალუძს მათ მითვისება!  
მაგრამ მე გულში მაქვს რაღაცა; გარწმუნებთ, იგი  
არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას.

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მოსაწონია, შვილო ჰამლეტ, რომ ეგრედ იხდი  
შენის ძვირფასის მშობლისადმი გლოვისა ვალსა,  
მაგრამ ხომ იცი, მამაშენმაც მამა დაჰკარგა,  
იმის მშობელმაც თვისი მამა და აქ ღარჩენილთ  
მართებთ დროებით მწუხარება შვილთ კვალობაზედ;  
სიკერპით გლოვა ხანგრძლივი კი ღვთის გმობა არის,  
როდი შეჰფერის ეგე ვაჟაცს; ვინც მაგას სჩადის,  
ის მხოლოდ ზეცას გაარისხებს და თან ამტკიცებს  
თვის გულბილობას, უმეცრებას, მოუთმენლობას;  
რადგან ცხადია, რაც კი ჰხდება ყოველ დღე და ჟამ,  
უთქმელად უნდა ავიტანოთ, არ ვიუცხოვოთ.  
აქ ჯიუტობა ზეცის მიმართ ცოდვა იქნება,  
ცოდვა წინაშე ბუნებისა, მკვდრისა წინაშე,

წინაშე თვითონ სიბრძნისა და გონიერების,  
რომელსაც მარტივ წესად უღევს მშობელთ სიკვდილი,  
და პირველ კაცის გარდაცვლილამ დღევანდელ დღემდე  
ამას ამბობს და იმეორებს: „ეს ასე იყოს!“

გთხოვთ, უნაყოფო მწუხარებას თავი არიდო  
და მამაშენად მე მიგულო. ყველას ვუცხადებთ,  
რომ შენზედ უფრო მახლობელი ჩვენს ტახტს არ უვის,  
და როგორც მამა შეიყვარებს თავის ღვიძლ შვილსა,  
ჩვენ არა ნაკლებ შენ გვიყვარხარ. — შენ კიდევა სთქვი,  
რომ ვიტენბერგში სწავლისათვის წასვლას აპირობ;  
ეგ ჩვენს ნებასა და სურვილს არ შეეფერება.  
გთხოვთ, რომ აქ დარჩე ჩვენს ნუგეშად, ჩვენს თვალის ჩინად,  
როგორც პირველი კარისკაცი და როგორც შვილი.

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

დედის თხოვნაზედ, იმედი მაქვს, უარს ვერ იტყვი;  
მეც მაგასა გთხოვ, — ვიტენბერგში რომ არ წახვიდე.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მე თქვენს ბრძანებას არ გადავალ.

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აი, პასუხი

სასიამოვნო, სიყვარულის გამომეტყველი.

იყავ შენ, ჰამლეტ, დანიაში თანასწორ ჩვენდა. —

ეხლა წავიდეთ, დედოფალო. გულზედ შუქსა მფენს  
ამის თანხმობა, წარმოთქმული თავის ნებითვე.

მის სადღეგრძელოდ ხელთ ავიღოთ სავსე ფიალა  
და ზარბაზნის ხმამ ეს აცნობოს მადლა ღრუბელთა,  
რომ ცის ქუხილმა ბანი მოსცეს დედამიწის ხმას,

(გაღიან ხ ე ლ მ წ ი ფ ე, დ ე დ ო ფ ა ლ ი, პ ო ლ ო ნ ი უ ს,  
ლ ა ე რ ტ, დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი და სხვ.).

### ჰ ა მ ლ ე ტ (მარტო)

რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი?

რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა!

ან შემოქმედი თავის მოკვლას ნეტა რად გვიშლის?

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთის სოფლის

როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული.  
თითქო ქვეყანა იყოს ბალი გაუმარგლავი,  
რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი.  
ეგეცა ვნახეთ?! ორი თვეა, რაც ის მკვდარია...  
მაგრამ ორი თვე ჯერ სად არის! მერე რა მეფე!  
ის ამას ჰგავდა, ვით სატირსა ჰიპერიონი.  
როგორ უყვარდა დედაჩემი, ვით პატივს სცემდა,  
ნელს ნიავსაც კი მის სახეს არ მიაკარებდა.  
ოჰ, ცაჲ და მიწავ! ვითომ კიდევ ღირს მოგონებად!  
ესეც მას როგორ ეხვეოდა, თავს ეგლებოდა,  
თითქო გულისთქმას გულისთქმითა ასაზრდოებდა,  
და მხოლოდ ერთს თვეს! ოჰ, ნულარა, ნუ მაგონდები  
არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!  
ჯერედ ერთი თვე ძლივს გასულა, არ გასცვეთია  
ჯერ ფეხსაცმელი, რომლით იგი ცრემლის მფრქვეველი  
მისდევდა კუბოს უბედურის მამიჩემისას!  
და ეხლა კია დაქორწინდა, — ოჰ, ზეცის მადლო!  
უჭკვო პირუტყვი იგლოვებდა უფრო ხანგრძლივად.  
დაქორწინდა და მერე ვისთან? ბიძაჩემთანა!  
თვით მამიჩემის ღვიძლსა ძმასთან! თუმცა ძმა არის,  
მაგრამ ისე ჰგავს თავის ძმასა, ვით მე ჰერკულებს.  
ეს სულ ერთს თვესა, დიად ერთს თვეს! არ შეშრობია  
გარდმონადენნი მის ცბიერთა თვალთავან ცრემლნი  
და ქმრის საწოლი შეაგინა სისხლის შერევით!  
ცუდ ამბებს ვხედავთ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ.  
გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს.  
(შემოდინან ჰორაციო, ბერნარდო და მარცელუსი).

ჰორაციო

მშვილობა თქვენი ნახვა, ჩემო ბატონისშვილო!

ჰამლეტ

მოხარული ვარ, რომ კარგად და ჯანმრთელად გხედავთ.  
მგონი, შენა ხარ, ჰორაციო.

ჰორაციო

დიალ, ბატონო,  
მე თვით გახლავარ თქვენი მონა, მოსამსახურე.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მაგას ნუ მეტყვი, მეგობარი მიწოდე შენი.

რად წამოსულხარ, ერთი მითხარ, ვიტენბერგიდამ? —  
მარცელუს, შენა?

მ ა რ ც ე ლ უ ს

მე მიბრძანებთ?

### ჰ ა მ ლ ე ტ

შენ რაღასა იქ? — (ჰორაციოს)

არა, სთქვი სწორედ, რად მოხვედი ვიტენბერგიდამ?

ჰ ო რ ა ც ი ო

მიზეზი გახლავთ სიზარმაცე, ხელმწიფისშვილო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მაგვარსა სიტყვას შენს მტერსაც კი არ მოვუწონებ  
და შენს თავზედვე შენგან ცილსა როგორ მოგიომენ!  
ვიცი, ზარმაცი შენ არა ხარ, მაგრამ არ ვიცი,  
ელსინორაში რას აკეთებ; ეს კი იცოდე,  
ვიდრემდე წახვალ, ღვინის სმაში კარგად გაგწვრთნიან.

ჰ ო რ ა ც ი ო

მე გაახელით მამითქვენის დამარხვისათვის.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ნუკი დამცინი, მეგობარო! მე ეს მგონია  
შენ დედიჩემის ქორწილისთვის უფრო მოხვედი.

ჰ ო რ ა ც ი ო

ერთი მეორეს, მართალს ბრძანებთ, თითქმის თან მოჰყვა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

თავიანთ სარჩოს, ჰორაციო, უფროთხილდებიან;  
მომზადებული დასამარხად საჭმელ-სასმელი  
ცივად მიართვეს ქორწილის დღეს; — ოჰ, ნეტა ის დღე  
მე არ მენახა და თუნდ ზეცას თვით ჩემს მოსისხლეს  
მტერს შევხვედროდი. — მამაჩემი... თითქო მას ვხედავ.

ჰ ო რ ა ც ი ო

სადა, ბატონო?

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ვხედავ მას გონების თვალით.

ჰ ო რ ა ც ი ო

კეთილი სული ბრძანდებოდა, მეც კი მინახავს.

ჰ ა მ ლ ე ტ

ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა...  
მე ველარ ვნახავ იმის მზგავსსა ჩემ სიცრუცხლემში

ჰ ო რ ა ც ი ო

წუხელის, ვგონებ, ვნახე იგი, ხელმწიფისშვილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

ვინ იგი ნახე?

ჰ ო რ ა ც ი ო

მამათქვენი, ჩვენი ხელმწიფე.

ჰ ა მ ლ ე ტ

მამაჩემიო?

ჰ ო რ ა ც ი ო

გთხოვთ, რომ ჯერედ არ გაიკვიროთ  
და მომისმინოთ, რასაც მე თქვენ სასწაულს გეტყვით;  
აი ესენიც ჩემ სიმართლეს დაამტკიცებენ.

ჰ ა მ ლ ე ტ

სთქვი, თუ ღმერთი გრწამს, სთქვი, სთქვი, ჩქარა!

ჰ ო რ ა ც ი ო

შულამის დროს,

როდესაც სრული მყუდროება ჩამოვარდნილა  
და ერთად მდგარან დარაჯებად ეს ყმაწვილები,  
ზედიზედ ორსა ღამეს მისი სახე უნახავთ.  
მამათქვენსაებრ შეჰჭურვილი ყოფილა იგი  
თავით ფეხამდე და ნელიად, ხელმწიფებურად  
სამჯერ ზედიზედ გაუვლია ზარდაცემულთ წინ  
სკიპტრის მანძილზედ. ამათ შიშით ძარღვებში სისხლი  
გაჰყინვიათ და სიტყვა ველარ შეუბედნიათ.  
ესე ყოველი საიდუმლოდ შემატყობინეს

და შათთან ერთად მე დავყავი მესამე ღამე.  
როგორც წიამბეს, მეც ნამდვილად იგივე ვნახე:  
იგივე სახე, იგივე დრო, იგივე ადგილი;  
და მამათქვენსა ისე ჰგავდა ის მოჩვენება,  
როგორც რომ ერთი ხელი ჩემი მეორესა ჰგავს.

ჰ ა მ ლ ე ტ

ხად მოჰხდა ვეა?

ჰ ო რ ა ც ი ო

იმ ტერასზედ, სადაც ვდარაჯობთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ხმა არ გაეცით?

ჰ ო რ ა ც ი ო

როგორ არა, ხელმწიფისშვილო,  
მაგრამ პასუხი არ მომიგო, თუმცა ერთხელ კი  
თავი აიღო, თითქო სურდა ხმის ამოღება;  
ამ დროს მამალმა დაიყვილა და მის ყვილზედ  
მსწრაფლ გაეშურა, მიგვეფარა იგი თვალთავან.

ჰ ა მ ლ ე ტ

საოცარია!

ჰ ო რ ა ც ი ო

გვერწმუნეთ, რომ რაც მოგახსენეთ,  
მართალი არის ყოველივე და ვალად გვედო,  
გვეუწყებინა.

ჰ ა მ ლ ე ტ ი

კარგი... მაგრამ... ფრიად მალეღებებს  
მე ეს ამბავი — ამალმაც თქვენ იდარაჯებთ?

მ ა რ ც ე ლ უ ს და ბ ე რ ნ ა რ დ ო  
ღიად, ბატონო.

ჰ ა მ ლ ე ტ

საჭურველი ესხა, თუ არა?

მ ა რ ც ე ლ უ ს და ბ ე რ ნ ა რ დ ო  
შეჭურვილი იყო, როგორ არა.



ჰამლეტ

თავით ფეხამდე?

მარცელუს და ბერნარდო

თავით ფეხამდე.

ჰამლეტ

პირის-სახე მამ არ გინახავთ?

ჰორაციო

ენახეთ, ბატონო, საბურველი ახდილი ჰქონდა.

ჰამლეტ

მრისხანედ ხომ არ გიყურებდათ?

ჰორაციო

იმის სახეზედ

უფრო მოჩანდა მწუხარება, ვიდრემდე რისხვა.

ჰამლეტ

გაწითლებული იყო იგი, თუ ნაცრისფერი?

ჰორაციო

მთლად ნაცრისფერი.

ჰამლეტ

თქვენ გიმზერდათ?

ჰორაციო

თვალგაშტერებით.

ჰამლეტ

ოჰ, ნეტავი კი მაშინ თქვენთან მეც ვყოფილიყავ.

ჰორაციო

შეშინდებოდით.

ჰამლეტ

შესაძლოა... რატომ... იქნება. —

დაჰყო რამ ხანსა თქვენ წინაშე?

ჰორაციო

ვიდრემდე ასსა

აუჩქარებლივ დაითვლიდეთ.

მარცელუს და ბერნარდო

უფრო დიდხანსა.

ჭორაციო

შე რომ აქ ვიყავ, მეტ ხანს აღარ გაჩერებულა.

ჰამლეტ

თეთრი წვერი ხომ არა ჰქონდა?

ჭორაციო

აჲ, შავ წვერში  
ჭალარა ჰქონდა გარეული, ვით სიცოცხლის დროს.

ჰამლეტ

ამალამ მეც არ დავიძინებ; იქნება კიდეც  
გამოიაროს.

ჭორაციო

სიტყვას გაძლევთ, რომ გამოვივლის.

ჰამლეტ

თუ მამიჩემის სახედ მოვა, ვეტყვი მე რასმე,  
თუნდ ჯოჯოხეთმა პირი ჰქნას და ხმა ჩამიწყვიტოს.  
მხოლოდ ამას გთხოვთ, თუ აქამდის ეგე ამბავი  
არსად არ გითქვამთ, დღეიდამაც ნურავის ეტყვიოთ, —  
და ამალამ თუ მოხდეს რამე, გულს ჩაიჩნიეთ,  
მაგრამ სიტყვა კი არსად წაგცდეთ. ეხლა, მშვიდობით.  
სამაგიეროს გადაგიხდით ერთგულებისთვის.  
ტერასზედ მოვალ მე უთუოდ შუალამის დროს.

ყველანი

თქვენს სამსახურად მზად გახლავართ.

ჰამლეტ

სამსახურს არ გთხოვთ,  
თქვენ მიმეგობრეთ ისე, როგორც მე თქვენ გმეგობრობთ.

(გადიან ჭორაციო, მარცელუს და ბერნარდო).

სული უნახავთ აღჭურვილი მამიჩემისა...

ეს უცნაური ამბავია; მგონი, აქ რალაც  
თვალთმაქცობაა. ნეტა როდის დადგება ღამე!  
დაღამებამდის, სულო ჩემო, დადეგ, დაწყნარდი!  
ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,  
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს.

(გადის).

ოთახი პოდონიუსის სახლში.

(შემოდინა ლაერტ და ოფელია).

ლაერტ

მშვიდობით, დაო! ჩემი ბარგი ხომალდზედ არის  
და მეც მზადა ვარ წასასვლელად; მხოლოდ ამას გთხოვ,  
როდესაც მგზავრსა ზურგის ქარი ჩემკენ ჰგზავნიდეს,  
თავს ძილს ნუ მისცემ და შენს ამბავს მომაწოდებდე.

ოფელია

განა ეჭვი გაქვს?

ლაერტ

ჰამლეტისა აბა რა გითხრა.

მისი გიჟმაჟი არშიყოფა ისე მიიღე,  
ვით სხვების ბაძი, ვით ჭაბუკის სისხლის სიცელქე,  
ვით გაზაფხულზედ ნაადრევად გაშლილი ია,  
რომელიც გვატკბობს მხოლოდ ერთ წუთს სუნით და ფერით.

ოფელია

მხოლოდ ერთ წუთსა?

ლაერტ

სწორედ ერთ წუთს. იცოდე ჩემგან,  
დიდი ბუნება მარტო ტანით არ არის დიდი,  
მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთებაც.  
იქნება ჰამლეტს შენ ამჟამად უყვარდე კიდევც, —  
ჯერ სიცრუე და ორპირობა არ დასჩნევია  
მის სათნო სურვილს, მაგრამ შიში კი უნდა გქონდეს:  
მას, ვით მეფის შვილს, თვის სურვილზედ არ აქვს უფლება,  
იგი მორჩილებს თავის სისხლს და შთამომავლობას.  
მას როდი ძალუძს ის შეერთოს, ვისაც ისურვებს,  
როგორც ეს ჩვენთვის შესაძლოა. მის არჩევანზედ  
ფუძნდება მთელის სახელმწიფოს შვება-დიდება  
და ეს არჩევა უნდა მოხდეს ქვეყნის თანხმობით,  
რომლისაც თავი იგი არის. მაშ თუ კვლავ კიდევ

სიტყვა გაგიბა სიყვარულზედ, იმდენად ენდე,  
რამდენად ძალუძს მან ეს სიტყვა საქმედ აქციოს  
და რამდენადაც უყაბულებს ამას დანია.  
იფიქრე კარგად, რა ელის შენს უმანკო სახელს,  
თუ გულდანდობით ყურს დაუგდებ მის ტკბილ გალობას,  
ან თუ უბიწო განძს ხელთ მისცემ გრძნობას მღელვარეს.  
ფრთხილად მოიქეც, ოფელია, ჩემო ძვირფასო,  
და მოერიდე გულის თქმასა, ვნებათ ღელვასა.  
მარტო მთვარეს რომ ვადუშალოს ქალმა გულმკერდი,  
უბიწოებას თვისას იგი მითაც შებღალავს, —  
თვით სათნოებას ვერ ასცდება ცილისწამება.  
გაზაფხულისა ყვავილთ მატლი ხშირად მაშინ ღრღნის,  
როდესაც ნორჩნი კოკორნი ჯერ არ გაფურჩქენიათ  
და სიყმაწვილის დილის უამსა ზეციერს ნამზედ  
უფრო მავნეა გესლიანის ქარისა ბერვა.  
'შიშობდე-მეთქი, 'შიშს თან მოსდევს უდარდელობა,  
და სიყმაწვილე, თუ სხვა არ მტრობს, თავის თავს ებრძვის.

#### ო ფ ე ლ ი ა

მაჯ დარიგების კეთილ სიტყვებს გულს ჩავისახავ  
ერთგულ დარაჯად, მაგრამ, ძმაო, მეც ამასა გთხოვ,  
რომ არ მიჰბაძო ფარისეველ სულიერ მამებს,  
რომელნიც ჩვენ კი გვაყენებენ ეკლიან გზაზედ  
და ჯილდოდ ზეცას გვპირდებიან, მაგრამ თითონვე,  
მზგავსად თავგასულ გარყვნილების, ბეჯითად სტკეპნენ  
გულმწიფიყობით ყვავილოვანს ცოდვის ბილიკსა.

#### ლ ა ე რ ტ

მაგას ნუ 'შიშობ. — რად გავჩერდი ნეტა ამდენ ხანს.  
აგერ აქ მოდის მამაჩემიც.

(შემოდის პოლონიუს).

ოჰ, მამაჩემო!

ორჯერ დალოცვას თან მოჰყვება ორკეცი მადლი;  
თვითონ შემთხვევა მიწვევს, ორჯერ გამოგესალმით.

#### პოლონიუს

ლაერთ, ჯერ კიდევ აქ ყოფილხარ? რაღას გვიანობ?  
ქარმა დაჰბერა იალქნებს და შენღა გელიან.

(თავზედ ხელს დაადებს)

წინ მიგინდოდეს ჩემი ლოცვა და ეცადე, რომ  
ესე მცირედი დარიგება გულს ჩაიბეჭდო:  
ენით ნუ იტყვი, რასაც აზრობ; ნურც შეასრულებ  
შეუფერებელს აზრსა რასმე. იყავ ყოველთვის  
თავაზიანი, თავს კი ნურგის ნუ გაუყადრებ;  
ვინც კი მეგობრად მიგაჩნია, გამოგიცდია,  
ფოლადის ჯაჭვით მიიჭედე; მაგრამ იცოდე,  
ხელს ნუ გაისვრი იმისთანა ახალგაზრდებთან,  
რომელთ დედის რძე ჯერ ტუჩებზედ არ შემრობიათ.  
შფოთს მოერიდე, მაგრამ თუკი მოგიხდა სადმე,  
ისე მოიქეც, რომ შენ სხვანი გერიდებოდნენ;  
ბევრი ისმინე, მაგრამ ცოტა ილაპარაკე,  
ყური მიაპყარ სხვების აზრსა, შენი დაჰფარე;  
ტანისამოსი შეიკერე ჯიბის შესაფერ  
და ეცადე, რომ იყოს კარგი, მდიდრად მორთული,  
მაგრამ ერიდე მობრწყინვალე ზიზილ-პიპილებს —  
ტანისამოსზედ შეეტყობა კაცს მის ღირსება.  
დიდნი კაცნი იქ, საფრანგეთში, დიდის სიფრთხილით  
და გემოვნებით ტანთსამკაულს ირჩევენ ხოლმე.  
ფულს ნურც სხვისაგან ისესხებ და ნურც შენ ასესხებ,  
რადგან სესხებით ფულსაც ჰკარგავ და მეგობარსაც,  
და თუ ისესხებ, შენს საქმეებს აურდაურე.  
ყველაზედ მეტად ეს გახსოვდეს, რომ შენსა სიტყვას  
არ უღალატო, მაშინ სხვასაც არ უღალატებ, —  
ეს მართალია ისე, როგორც ღამე დღეს მოსდევს.  
ჩემმა დალოცვამ ჩაგინერგოს გულში ეს რჩევა!

ლ ა ე რ ტ

უმორჩილესად გეთხოვებით, ძვირფასო მამავ.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ღროა, წახვიდე, მსახურებიც იქ მიგელიან.

ლ ა ე რ ტ

მშვიდობით, დაო, რაც კი გითხარ, არ დაივიწყო.

ო ფ ე ლ ი ა

ლაერტ, რაც მითხარ, გულში მაქვს მე ღრმად ჩაკეტილი,  
და მის გასაღებს თან გაგატან.

ლ ა ე რ ტ

იყავ მშვიდობით!  
(გაღის).

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ერთი ეს მითხარ, ლაერტ შენ რას გეუბნებოდა?

ო ფ ე ლ ი ა

ბატონო ჩემო, პრინცს ჰამლეტზედ ვლაპარაკობდით.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ეგ შენ მე კარგად მომაგონე; მე ყური მოვკარ,  
რომ ამ ბოლოს დროს ხშირად იგი გესაუბრება  
და მის საუბარს ისმენ თურმე სიამოვნებით;  
მე ეს მითხრეს და გამაფრთხილეს; თუ მართალია,  
სჩანს, ვერ აფასებ ვერც შენ თავსა, ვერც შენ ღირსებას  
ისე, როგორც ჩემს ასულს უნდა ეკადრებოდეს.  
ნამდვილი მითხარ, რა ამბავი მოხდა თქვენ შორის?

ო ფ ე ლ ი ა

ბატონო ჩემო, ამ ბოლოს დროს მან რამდენჯერმე  
აღერსიანი სიტყვა მითხრა.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

აღერსიანი

სიტყვა მითხრაო!.. მე მგონია, ბავშვი აღარ ხარ  
და განსაცდელი სადაც ბუდობს, უნდა გესმოდეს.  
მერე გჯერა, რომ ნამდვილია მისი აღერსი?

ო ფ ე ლ ი ა

რა მოგახსენოთ?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

მაშ კარგია, მე მოგახსენებ:

“შენ ბავშვის მზგავსად ყალბი სიტყვა ნაღდი გგონია.  
უფრო ძვირფასად დააფასე შენ შენი თავი,  
თორემ მაგკვარის ქცევით ლამის ჭკვიდამ შემშალო.

## ო ფ ე ლ ი ა

მან მოკრძალებით სიყვარული გამომიცხადა.

## პ ო ლ ო ნ ი უ ს

მოკრძალებითა!! ვიცი, ვიცი ეგ მოკრძალება.

## ო ფ ე ლ ი ა

თვისი სიტყვები დაამტკიცა სასტიკის ფიცით.

## პ ო ლ ო ნ ი უ ს

ეგ მახე არის მწყერთ საჭერი; მე კარგად ვიცი,  
როცა სისხლი სდუნს, ენა ფიცით არ იღალემა.  
ნულარ მიიღებ ცეცხლად მაგ ალს, რაიც ანათებს,  
მაგრამ არ ათბობს და სიტყვებთან ერთადა ჰჭრება.  
მორიდებული იყავ-მეთქი, ამ დღეის შემდეგ,  
შენთან ლაპარაკს ნულარავის გაუადვილებ.  
ჰამლეტს კი ენდე შენ იმდენად, როგორც შეპფერის  
მის სიჭაბუკეს; და ამასაც ნუ დაივიწყებ, —  
თავისუფლება კაცს მეტი აქვს ვიდრემდე ქალსა.  
სხვა რაღა გითხრა, — ნუ ენდობი შენ იმის ფიცსა,  
იგი არ არის იმ ფერისა, რა ფერისაც სჩანს:  
თუმც არა-წმინდა გულისთქმათა მოუგზავნიათ,  
მაგრამ წმიდანობს, რომ ადვილად მოხიბლვა შესძლოს —  
პირდაპირ გეტყვი, ოფელია, დღევანდელ დღიდან  
აღარ გაბედო ლაპარაკი ხელმწიფის შვილთან.  
მე შენ გიბრძანებ, გეყურება?! ეხლა წავიდეთ.

## ო ფ ე ლ ი ა

როგორც მიბრძანებთ, მზა გახლავართ, ისე მოვიქცე.  
(გადიან).

## ს უ რ ა თ ი ი V

### ტერასი.

(შემოდინ ჰამლეტ, ჰორაციო და მარცელუს).

### ჰამლეტ

ოჰ, როგორ ცივა და მსუსხავი ქარიც უბერავს!

## ჭორაციო

მართლა რომ ისე სუსხავს, თითქო იკბინებაო.

## ჰამლეტ

ეხლა რა დროა?

## ჭორაციო

ჯერ არ არის, მგონი, თორმეტი.

## მარცელუს

როგორ არ არის, დაჰკრა კიდეც.

## ჭორაციო

დაჰკრა კიდეცა!

მე ვერ გავიგე. მოახლოვდა მაშ ეხლა ის დრო,  
როცა აჩრდილმა იცის ხოლმე აქეთ გამოვლა.

(შოსიმის საყვირისა და ზარბაზნის ხმა).

ეს ხმაურობა რასა ნიშნავს, ხელმწიფისშვილო?

## ჰამლეტ

ამაღამ დიდი ნადიმი აქვს ჩვენს ხელმწიფესა;  
მთელ ღამეს უნდა სვან და ცეკვით დრო გაატარონ,  
და როდესაც კი ის მიირთმევს სადღეგრძელოსა,  
სამადლობელად ზარბაზნის ხმა, საყვირ-წინწილნი  
ულოცვენ თურმე ტკბილ ღვინოზედ გამარჯვებასა.

## ჭორაციო

წესი ეგრეა?

## ჰამლეტ

დიაღ, წესი ეგეთი არის,  
მაგრამ მგონია, თუმც შეზრდილი ვარ მე მაგ წესთან  
მის მტკიცედ დაცვას მივიწყება ემჯობინება.  
მუდამ მეჯლიში, სიმთვრალე და დროს-გატარება  
უცხო ხალხთ თვალში თავსა გვჭრის და სახელსაც გვიტეხს;  
ჩვენ გვეძახიან ლოთებს და სხვას კიდეე უარესს  
და ჩვენს ქველ საქმეს, ყველგან განთქმულს ჩვენსა დიდებას  
ფასიც, ღირსებაც უმცირდება ღვინის წყალობით.  
ხშირად მოხდება ცხოვრებაში, რომ რამე ნაკლი,  
თუნდ იყოს იგი დაბადებით თანდაყოლილი  
და მისი ბრალი ეკუთვნოდეს მხოლოდ ჩვენ სხეულს;



თუნდ ჭკვისშემრყევი სისხლის ღელვან მიზნად ჰქონდეს,  
ან ჩვეულება ზრდილობისა უარყოფელი, —  
რომ იგი ნაკლი ბუნებისა, თუ ჩვენის ბედის  
აღგვეტყდავს ხოლმე სხვათა თვალში თავისის ბეჭდით  
და შეუპოვრად ჩვენს სულის განძს უბრალოდ ბღალავს,  
თუნდ იგი განძი იყოს წმიდა, მიუწდომელი, —  
ძიმწარის წვეთი ტკბილ ფიალას სიმწარით ავსებს.  
(შემოდის აჩრდილი).

### ჰორაციო

აგერ აჩრდილი მოდის კიდევ, ხელმწიფისშვილო!

### ჰამლეტ

კეთილნო სულნო, ანგელოზნო, თქვენ გვფარველობდეთ!  
რაც უნდა იყო, წყეული, თუ ნეტარი სული,  
ციტ მოსული, თუ ამომძვრალი ჯოჯოხეთიდან,  
ბოროტებისა, თუ სიკეთის გულს გამზრახველი, —  
ისე საამო სახე გძევს, რომ უნდა გითხრა რამ.  
მე შენ გიწოდებ: ჰამლეტს, მამას, დანიის მეფეს, —  
ოჰ, მიპასუხე, ნუ მომაკვდენ იმ ნიულობით!  
მითხარ, მაგ შენმა წმიდა ძველე რისთვის დახიეს  
მათი სულარა? და ან მძიმე, ღრმა აკალდამამ,  
სადაც მშვიდობით განგასვენეთ, რადა ჰქნა პირი  
და მარმარილოს სამყოფიდან ზე ამოგტყორცნა?  
გვითხარ, რას ნიშნავს, რომ მკვდარ სხეულს, სრულად  
შეჭურვილს

მოგსურვებია მთვარის სხივის დანახვა კვალად  
და ღამის მწყვდიადს სამიშარ ჰხდი? ან გვითხარ კიდევ,  
სულს და გონებას რად გვირყევ ჩვენ, ბუნების გლახაკო,  
ისეთ ფიქრებით, რასაც ჭკუა ვერ მისწდომია?!  
სთქვი, ეს რად არის, ან ჩვენ რა ვქნათ, ან შენ რა გინდა?!

### ჰორაციო

გიწვევთ, თან წაჰყვით, თითქო ცალკე უნდა რამ გითხრათ.

### მარცელუს

ჰხდავთ, ალერსით განიშნებთ, რომ შორს წაჰყვით სადმე,  
მაგრამ ნუ წახვალთ.

ჭორაციო

თქვენი წასვლა როგორ იქნება!

ჰამლეტ

აქ არას ამბობს, უნდა წაყვავე.

ჭორაციო

მაგას ნუ იზამთ.

ჰამლეტ

ვითომ რაღაო, ან რას უნდა ვერიდებოდე!  
ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმაჩნია  
და ჩემ სულს, უკვდავს მაგასავით, ეგ ვერას უზამს.  
ავერ მანიშნებს, წამომყეო; უნდა წავიდე.

ჭორაციო

როგორ იქნება, მერე ზღვისკენ რომ მიგიტყუოთ,  
ან აგიყვანოთ თვალთუწდომელ სალის კლდის წვერზედ,  
რაიც მალლიდამ მღელვარე ზღვას ძირს დასცქერია,  
და იქ მიიღოს კიდეც სხვაფრივ საშიში სახე  
და მით გონება დაგიბნელოთ, ჭკვიდამ შეგშალოთ!  
აბა იფიქრეთ, ისიც კმარა თქვენს გასაწირად,  
რომ უფსკრულიდამ გესმოდეთ ზღვის მრისხანე დრტვინვა.

ჰამლეტ

კიდეც მანიშნებს! კარგი, წადი, აი მეც მოგდევე.

მარცელუს

ვერა, ვერ წახვალთ.

ჰამლეტ

მომეცალეთ!

ჭორაციო

პრინცი, დამშვიდდით,

აბა სად მისდევთ?

ჰამლეტ

ბედისწერა ჩემი იქ მიწვევს,  
და ყოველ წვრილ ძარღვს ჩემ სხეულში აძლევს სიმტკიცეს  
ნემის ლომის ძარღვის მზგავსად.

(აჩრდილი იწვევს)

მიძახის-მეთქი!

ხელი გაუშვით, ყმაწვილებო! შემოქმედს ვფიცავ,  
ვინც კი დამიჭერს, მყის იმასაც აჩრდილად ვაქცევ!  
წადი, მოვდივარ.

(ჰამლეტ ხელს ააშვებინებს და აჩრდილს გაჰყვება).

ჰორაციო

ლამის ჭკვიდამ მთლად შეიშალოს.

მარცელუს

ჩვენც უკან გავყვეთ, მორჩილების დრო აღარ არის.

ჰორაციო

უნდა წავიდეთ. — ამ ამბავსა ნეტა რა მოსდევს?

მარცელუს

მგონი, დანიას ელის რალაც უბედურება.

ჰორაციო

ღმერთმა კეთილი ბოლო მისცეს.

მარცელუს

აბა წავიდეთ.

(გადიან).

## ს უ რ ა თ ი V

მოშორებული ადგილი ტერასისა.

(შემოდინ აჩრდილი და ჰამლეტ).

ჰამლეტ

სადღა მიგყავარ? სთქვი! ამაზედ შორს არ წამოვალ!

აჩრდილი

ყური მომბაყარ.

ჰამლეტ

მე მზადა ვარ.

ა ჩ რ დ ი ლ ი

მოვიდა ის დრო,  
როდესაც მალე სატანჯავად უნდა დაგბრუნდე  
გოგირდის ცეცხლში.

ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, საბრალო, ბედკრულო სულო!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ნუკი მიბრალებ, რასაც გეტყვი, ის მომისმინე.

ჰ ა მ ლ ე ტ

უნდა გისმინო, ვალადაც მდევს; ილაპარაკე.

ა ჩ რ დ ი ლ ი

მოსმენამდის კი მოემზადე შურისძიებად.

ჰ ა მ ლ ე ტ

რაო, ეგ რა სთქვი?

ა ჩ რ დ ი ლ ი

მე სული ვარ მამიშენისა  
და სასჯელად მძევს, ხანსა რასმე ღამე ვიარო.  
დღე ცეცხლში ვიწვი, იქ ვმარხულობ და ცეცხლითვე ვწმენდ,  
რაც სიცოცხლეში მე ცოდვები მომიქმედნია.  
აკრძალული რომ არა მქონდეს და რომ შემეძლოს  
გადმოგცე ჩემის საპყრობილოს საიდუმლონი,  
მე გიამბობდი ისეთ ამბავს, რომ ამ მოთხრობის  
უბრალო სიტყვაც გულსა და სისხლს გაგიყინებდა,  
გადმოგიყრიდა ორსავე თვალს თავის ბუდიდამ,  
ვით ცის მნათობნი მათ სფერიდამ ცვივიან ხოლმე,  
და შენსა ხშირსა, ხუჭუჭს თმასა მიამზგავსებდა  
რისხვით გულმოსულ ქვემძრომ ძღარბის აბურძგნულ ეკლებს,  
მაგრამ სისხლ-ხორციით ქმნილნი ყურნი ვერ მიჰხვდებიან,  
რაც ამბავია საუკუნო განსასვენებელს. —  
ჰამლეტ, ეხლა კი მომისმინე, ჰოი, მისმინე!  
თუ გყვარებია შენ როდისმე ძვირფასი მამა...

ჰ ა მ ლ ე ტ

ჰოი, ზეცაო!

ა ჩ რ დ ი ლ ი

იმის მკვლელსა გადაუხადე  
მის ავსულობა უბუნებო.

ჰ ა მ ლ ე ტ

როგორ თუ მკვლელსა?

ა ჩ რ დ ი ლ ი

დიდი ცოდვაა კაცის მოკვლა, მაგრამ ეს სხვაზედ  
უარესია, უბუნებო, გასაოცარი.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჩქარა მაცნობე, ფრთებს შევეისხავ ფიქრზედ უსწრაფესს  
და ვით არმიყი გავფრინდები შურისძიებად.

ა ჩ რ დ ი ლ ი

მე მჯერა შენგან, ამ ამბავს რომ შენ არ აღენთე,  
მაშინ იმ უმზგავს ბალახად არ ეღირებოდი,  
რაც ქვესკნელს ლეთის ნაპირებზედ სიმსუქნით ღებება.  
ჰამლეტ, მისმინე: ხმა გავარდა მთელ დანიაში,  
რომ ვითომც ჩემთვის გველს ეკბინოს ბაღში წოლის დროს, —  
ჩემი სიკვდილი დააბრალებს ამ შეთხზულ ამბავს.  
მაგრამ იცოდე, გულუბრყვილო ყმაწვილო კაცო,  
რომ იმავე გველს, მამიშენის სიცოცხლის მომსპობს,  
ენლა გვირგვინი მისი ადგას.

ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, წინადმგრძნობო

ჩემო გონებავ! მაშ ეგ გველი ბიძაჩემია!

ა ჩ რ დ ი ლ ი

სწორედ იმ მხეცმა, გარყვნილმა და სისხლის შემრევმა,  
გრძნეულის ჭკუით, მომხიბლავთა საჩუქართ ძლევეით  
დაიყოლია თვალად სათნო მეუღლე ჩემი  
და უნამუსოდ სარეცელი შემიგინა მე.  
წყვეულმც იყოს ის ჭკუაც და ის საჩუქარიც,  
რასაც აქვს ძალი ესრედ გრძნებით მოღორებისა!  
ოჰ, ჰამლეტ, ჰამლეტ, ხომ გრძნობ ესეთს თავდამცირებას!  
მე მიღალატა, მე, რომელსაც სიკვდილის დღემდე  
ისე მიყვარდა, ვით შევფიცე ქორწილის ჟამსა.

23. შექსპირი, წ. 1

353

შერე გამცვალა იმისთანა ურცხვ არსებაზედ,  
რომელს არ ძალუძს შედარება ჩემთან ღირსებით.  
მაგრამ როგორც რომ სათნოებას ვერვინ შეაძღენს,  
თუნდ გარყვნილება შეიმოსოს ზეცის დიდებით,  
ისე ურცხვი რამ თავის საწოლს არ დასჯერდება,  
თუნდ მის მეუღლეს ჰქონდეს სახე ანგელოზისა —  
ციურს სარეცელს უარჰყოფს და უწმინდურს ეძებს.  
მაგრამ გავჩუმდეთ, მგონია, ვგრძნობ დილის ნიაგსა.  
მოკლედ გიამბობ: ერთხელ, როცა სადილის შემდეგ  
ჩემ ბაღში ვიწექ და მეძინა ჩვეულებრივად,  
ჩუმად მოვიდა ბიძაშენი, ფეხმოპარებით,  
ლენცოფის წვენით სავსე მინა ეჭირა ხელში  
და ის წყეული საწამლავი ყურს ჩამაწვეთა;  
ეს ის წვენია, რაიც სწრაფად, ვერცხლის წყალივით  
ტანში იბნევა და ადედებს კაცის წმინდა სისხლს,  
როგორც რომ რძესა მჟავე წვენი. ჩემზედაც იგი  
ძალი იჩინა და სნეულის ლაზარეს მზგავსად  
მსწრაფლად გადმეკრა წმინდა კანზედ საზიზღი ქერტლი.  
ეგრედ მძინარე ღვიძლმა ძმამ მე გამომასალმა  
სიცოცხლეს ჩემსა, ჩემსა გვირგვინს, ჩემსა მეუღლეს!  
ის დროც არ მომცა, რომ ცოდვები მომენანა  
და გამისტუმრა საშინელის სამჯავროის წინ  
უზიარებლად, ზეთ-უკურთხად, უაღსარებოდ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ჰოი, საზარო, საშინელო უსჯულოებავ!

### ა ჩ რ დ ი ლ ი

თუ კაცი გქვიან, ნუ აიტან შენ ამას, ჰამლეთ;  
ნუ მისცემ ნებას, რომ დანიის მეფის საწოლი  
სისხლის შერევის, გარყვნილების ასპარეზად ჰყონ.  
მაგრამ რა გზასაც აირჩევდე გადახდისათვის,  
ნურას გაბედავ დედიშენის წინააღმდეგსა  
და ნუ შებღალავ იმით შენს სულს, შენსა გონებას.  
იგი თვით ზეცას მიაწებე და მის სინილის;  
დეე მათ სტანჯონ, მათ მოჰკითხონ. — ეხლა კი წავალ;  
ციცინათელას მკრთალსა ნათელს ძალა აკლდება,

ეტყობა, დილა მოახლოვდა. დროა, წავიდე.  
მშვიდობით, ჰამლეტ, მიგონებდე, არ დამივიწყო  
(გაღის).

### ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, ზეცის ძალნო, დედამიწავ, რაღა ვთქვა კიდევ?  
თუნდ ჯოჯოხეთიც მათთან იყოს! ფუ, ამ სიცოცხლეს!  
გულო, დამშვიდდი, და ძარღვებო, ნუ მიჩლუნგდებით, '   
უეცრად წელში ნუ მომლუნავთ. მიგონებდეთ?!  
საბრალო სულო, სხვას ვის უნდა მოვიგონებდე,  
ვიდრე ამ ბედკრულ თავში მაქვს მე მეხსიერება.  
შენ გიგონებდე! ჩემის ხსოვნის ფურცლებზედ წავშლი,  
რაც კი როდისმე ან მსმენია, ან წამიკითხავს;  
წავშლი, რაც კი შიგ ჩაბეჭდილა თვალით ნახული  
და აქ დავიცვავე მტკიცედ, ამ ჩემ გულისფიცარზედ  
მარტო უნეს ნათქვამს სხვა ამბავთა გაუჩრევლად. —  
ჰოი, ავსულო დედაკაცო! ჰოი, ბოროტო,  
პირით მღიმარევე, დაწყევლილო, ბოროტო გულით!  
კარგი იქნება, აქ ჩავწერო სახსოვარ წიგნში,  
რომ ბოროტ კაცსა ღიმილი არ გაუჭირდება.  
სხვაგან თუ არა, დანიაში ხომ ასე არის! (სწერს)  
ეხლა აქ მყავხარ, ბიძაჩემო! ნიშნად რა მითხრა?  
„მშვიდობით, ჰამლეტ, მიგონებდე, არ დამივიწყო!“  
მეც ხომ შევფიცე.

ჰო რ ა ც ი ო (გარედამ)

პრინცო, ჰამლეტ!

მ ა რ ც ე ლ უ ს (გარედამ)

სადა ბრძანდებით?

ჰო რ ა ც ი ო (გარეამვე)

ღმერთო, დაიხსენ!

მ ა რ ც ე ლ უ ს

აგრე იყოს.

ჰო რ ა ც ი ო (გარეამვე)

ჰე, სად ბრძანდებით,

ხელმწიფისშვილო?

**ჭ ა მ ლ ე ტ**

ჰე, ჰე! აქეთ, აქეთკენ მოდღა!

ჩემო მშობინო.

შემოდინ ჰორაციო და მარცელუსი,

მარცელუს

როგორა ხართ, ბატონო ჰამლეტ?

ჰორაციო

აბა რას ბრძანებთ, რა შეიტყუეთ?

ჭ ა მ ლ ე ტ

საოცარი რამ.

ჰორაციო

გთხოვთ, ჩვენც გვაცნობოთ.

ჭ ა მ ლ ე ტ

თქვენ გამამხელთ. მე ვერას გეტყვით.

ჰორაციო

ზეცას ვფიცავ, რომ არ გაგამხელთ.

მარცელუს

მეც არას გეტყვი.

ჭ ა მ ლ ე ტ

მითხარით მაშ მე, კაცისაგან დასაჯერია...

სწორედ არავის არ ეტყვით კი?

ჰორაციო და მარცელუს

სასტიკ ფიცსა ვდებთ.

ჭ ა მ ლ ე ტ

ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.

ჰორაციო

მაგის საცნობად რად გვინდოდა აჩრდილის მოსვლა.

ჭ ა მ ლ ე ტ

ეგ მართალია, მართალს ამბობ და მე მგონია,

სჯობს ამ ამბავს არ გამოვუდგეთ და გავიყარნეთ.

თქვენ თქვენს გზას წადით, სადაც გსურთ და გესაქმებოდეთ—



ხომ იცით საქმეც და სურვილიც ყველას თვისი აქვს, —  
მე კი ჩემ საწყალ ხვედრს ავყვები, წავალ, ვილოცავ.

ჰო რ ა ც ი ო

რად ლაპარაკობთ უცნაურად, ხელმწიფისშვილო?

ჰ ა მ ლ ე ტ

გულით ვწუხვარ, რომ გაწყენით, ძალიან ვწუხვარ.

ჰო რ ა ც ი ო

აბა რას ბრძანებთ, აქ წყენა რა მოსატანია.

ჰ ა მ ლ ე ტ

წმიდა პატრიკის სახელს ვფიცავ, რომ დიდი წყენა  
მოგაყენეთ მე. მოჩვენებას რაც შეეხება, —  
პატიოსანი სული არის იგი, — მერწმუნეთ,  
მაგრამ ჩვენ შორის რაც რამ მოხდა, მე ვერ გიამბობთ,  
ცნობის სურვილი მოიკალით, თქვენვე დასძლიეთ. —  
ეხლა მე ერთის სათხოვარით უნდა მოგმართოთ,  
როგორც მეგობრებს, ვით ჯარისკაცთ, ვით თანაშემწედ.

ჰო რ ა ც ი ო

რა სათხოვარით? ჩვენ მზადა ვართ, მხოლოდ გვიბრძანეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ნურავის ეტყვით, რაც ამალამ ამბავი ნახეთ.

ჰო რ ა ც ი ო და მ ა რ ც ე ლ უ ს

აბა ვის ვეტყვით!

ჰ ა მ ლ ე ტ

შემომფიცეთ.

ჰო რ ა ც ი ო

ფიცით გარწმუნებთ,

არავის ვუთხრა.

მ ა რ ც ე ლ უ ს

არც მე ვიტყვი, მეც გაძლევეთ ფიცსა.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჩემ ხმაღზედ უნდა დაიფიცოთ.

მ ა რ ც ე ლ უ ს

ხომ დავიფიცეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჩემ ხმალზედ-მეთქი, გეყურებათ? ხმალზედ.

ა ჩ რ დ ი ლ ი (ქვეშიდამ)

შეჰფიცეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

აჰ, მეგობარო, მანდ ყოფილხარ? შენც მაგას ამბობ?  
გესმით მისი ხმა სარდაფიდან? იფიცეთ-მეთქი!

ჰ ო რ ა ც ი ო

მიბრძანეთ, როგორ დავიფიცოთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

დაიფიცეთ, რომ

არავის უთხრათ, რაცა ნახეთ. ხმალზედ იფიცეთ.

ა ჩ რ დ ი ლ ი (ქვეშიდამვე)

შეჰფიცეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჰხედავთ, ვით დაძვრება. იქით გადვიდეთ.  
აი ჩემ ხმალსა, ყმაწვილებო, დაადეთ ხელი  
და შემომფიცეთ, არსადა სთქვათ, რაც გაიგონეთ.

ა ჩ რ დ ი ლ ი (ქვეშიდამვე)

ხმალზედ შეჰფიცეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ეგ, კარგი სთქვი, ჩემო თხუნელა,  
ეგრე ჩქარა სთხრი მიწას, განა? ოჰ, რა მუშაა!  
გადავინაცვლოთ, მეგობრებო, ერთხელაც კიდევ.

ჰ ო რ ა ც ი ო

დღისა და ღამის გაყრას ვფიცავ, რომ ეს ამბავი  
გასაოცებლად უცხო არის.

ჰ ა მ ლ ე ტ

თუ გეუცხოვა,

ისე მიიღე, ვით უცხოსა შეეფერება.  
ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,  
რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ.

ეხლა წავიდეთ. — ეგრემც ზეცის ძალნი გფარვიდეთ,  
ეს სათხოვარი შემისრულეთ: იქნება ჩემთვის  
საჭირო იყოს უცნაურის სახის მიღება  
და ჩემის ქცევის, მიხვრა-მოხვრის სხვაფრივად შეცვლა, —  
თუ მნახოთ მაშინ, ნურავის ნუ შეამჩნევენებთ,  
რომ ჩემ შესახებ საიდუმლო ვითომ რამ იცით.  
ნურც გულზედ ხელებს შემოიკრეფთ ეჭვიანობით,  
ნურც თავს გაიქნევთ, ორაზროვნად ნურაფერს იტყვით,  
ამის მზგავსს რასმე: „ვიცი, ვიცი, ჩვენ კარგად ვიცი...“  
ან კიდევ ასე: „ჩვენ შეგვეძლო, რომ გვლომებოდა,  
რომ შეგვეძებოდა იმისი თქმა...“ „მე ვიცნობ კიდევ  
ამ საქმის მცოდნე ზოგიერთებს...“ — ეს შემომფიცეთ.  
ეგრემც ღვთის მადლი გასაჭირში თქვენ მოგფენოდეთ.

ა ჩ რ დ ი ლ ი (ჭვეშიადმ)

შეპფიცეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ ი

ჩუმად! ჩუმად იყავ! ტანჯულო სულო!  
ჩემო ერთგულო მეგობრებო, თქვენად მიგულეთ  
და ეს გახსოვდეთ, რასაც შესძლებს საბრალო ჰამლეტ,  
არას დაზოგავს მეგობრობის დასამტკიცებლად.  
ღმერთმა ჰქნას, მალე მისცემოდეს ამის შემთხვევა.  
ერთად წავიდეთ. ტუჩზედ ხელი მაგრად გეჭიროთ.  
დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა  
მე რად მარგუნა მისი შეკვრა! — აბა, წავიდეთ.  
(გადიან).

მ ო ქ მ ე ღ ე ბ ა მ ე ო რ ე

ს უ რ ა თ ი I

ოთანი პოლონიუსის სახლში.

(შემოდინ პოლონიუს და რეინალდო).

პოლონიუს

ეს წერილები და ეს ფული ლაერტს მიეცი.

რეინალდო

კარგი, ბატონო.

პოლონიუს

კიდევ უფრო კარგი იქნება,  
ჩემო ერთგულო რეინალდო, ვიდრე ნახავდე,  
სხვებს დაწვრილებით გამოჰკითხო იმის ამბავი.

რეინალდო

მეც ეგ მინდოდა.

პოლონიუს

უკეთესი! ეგ კარგადა სთქვი.  
ყური დამიგდე: ჯერ შეიტყე, თუ იქ პარიზში,  
ჩვენის ქვეყნიდამ ვინ არიან, რას აკეთებენ,  
ან როგორს ხალხში ტრიალებენ, რამდენსა ხარჯვენ;  
და თუ გაიგე გამოკითხვით, მიხვევ-მოხვევით,  
რომ ჩემის შვილის ცნობა ჰქონდეთ, დაუახლოვდი;  
თავი აჩვენე ისე, ვითომც შორით იცნობდე;  
უთხარ: „დიალ-თქო, დიალ, ვიცნობ მე იმის მამას;  
იმის მეგობართ ცნობაცა მაქვს, ცოტა იმისიც“.  
ხომ კარგად მიხვდი, რეინალდო?

რეინალდო

მიხვდი, ბატონო.

პოლონიუს

„ცოტა იმისიც“... ნუკი იტყვი „კარგად ვიცნობო“.  
ზედ დაუმატე ესეც კიდევ: „ავის ზნისაა,  
და ესა-და-ეს ნაკლცა სჭირს“. თან შეგიძლიან  
სხვადასხვა ცილიც მოუგონო, მაგრამ ერიდე,  
ამ ტყუილებით არ შეეხო იმის ღირსებას.  
სთქვი: „გიჟმაჟია, ქარიანი, ავის ქცევისა“,  
და წუნი დასდევ იმის სახელს მხოლოდ ისეთი,  
რაიც შეჰფერის ყმაწვილობას, თავისუფლებას.

რეინალდო

ვითომ ქალაღდსაც თამაშობდეს...

პოლონიუს

დიალ, ქალაღდსაც,

ვითომც უყვარდეს მას ლოთობა; ჩხუბი და შფოთი,  
ვითომც გარყვნილი იყოს იგი, — ესეც კი უთხარ.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

ბატონო, მაგით ხომ შევეხე იმის ღირსებას.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

არა უჭირს-რა, თუ სიფრთხილით შესწამებ ამ ცილს.  
მაგრამ ნუ იტყვი, ვითომც იგი გარყვნილებაში  
იყოს გართული; ნუკი გაჰხდი სალაპარაკოს.  
ჩემი სურვილი ეგ არ არის, მე ეს მწაიდან,  
მის ავზნეობა ცოტაოდნად გამოუსახო  
ისე, რომ იგი დააბრალონ თავისუფლებას,  
თამამის სულით წამოყრილსა ცეცხლებრ ნაპერწკლებს  
და მღელვარებას მოუდრეკელ, ურჩის სისხლისას.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

ეხლა, ბატონო...

პ ო ლ ო ნ ი უ ს

გინდა მკითხო, ეგრე რად ვქნაო?

რ ე ი ნ ა ლ დ ო

დიაღ, ბატონო, რომ მიბრძანოთ, კარგი იქნება.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ჩემს განზრახულსა მოკლედ გეტყვი და მე მგონია,  
რომ კაი საფრთხე მოვიგონე. როდესაც კი შენ  
ამ მცირე ცოდვებს ჩემ შვილს ლაერტს განგებ შესწამებ  
და დაუმატებ, რიგიანად ვერ იქცევაო,  
მაშინ შენივე მოსაუბრე, თუკი როდისმე  
თვალი მოუკრავს ლაერტის ცუდ ყოფაქცევისთვის,  
გეტყვის: „ბატონო, მეგობარო, ჩემო ხელმწიფევ“,  
ვით წესი არის საუბრის დროს მათ ქვეყანაში.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

მესმის, ბატონო.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ასე იტყვის, ის იტყვის-მეთქი...

ჰო, რას ვამბობდი? დამავიწყდა... წირვის მადლს ვფიცავ,  
რალაცა მქონდა მე სათქმელი... რაზედ გავჩერდი?

რ ე ი ნ ა ლ დ ო

თქვენა ბრძანებდით, ვით წესია, ოსე გეტყვისო.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

მართლა, მანდ ვიყავ. დიალ, დიალ, სწორედ მანდ ვიყავ.  
გეტყვის: „მე ვიცნობ იმ ყმაწვილსა, გუშინაც ვნახე,  
თუ გუშინწინა, ამ დღეებში, აქა და აქა,  
ამა და ამ კაცს თან მისდევდა, თქვენ მართალი ხართ;  
იქ თამაშობდა, აქ ლოთობდა, იქა ჩხუბობდა  
ბურთაობის დროს. თითქმის ესეც შევამჩნიე, რომ  
ურიგო სახლში შედიოდა, ან, მოკლედ რომ ვთქვათ,  
საროსკიპოში და სხვა და სხვა...“ ახლა მიყურე:  
სიცრუის ჩანგლით უნ დაიჭერ სიმართლის თევზსა,  
ვისაც გონება გვიჭრის, ყველა ასე ვიქცევით;  
მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ, ოღროწოლო გზით  
სწორს და პირდაპირს კვალს მივაგნებთ. უნც ლაერტისას  
ყველას შეიტყობ, ჩემი რჩევა თუ მოგაგონდა.  
გაიგე განა? ხომ მიმიხვდი?

რ ე ი ნ ა ლ დ ო

მივხვდი, ბატონო.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

მამ ღმერთი იყოს უნი შემწე; წადი, მშვიდობით.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

ჩემო ხელმწიფევ...

პ ო ლ ო ნ ი უ ს

შენვე ყველას ადევნე თვალი.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

მე ეგ ვალად მღევს.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ჰო, მუსიკაც კარგად ისწავლოს.

რ ე ი ნ ა ლ დ ო

მესმის, ბატონო.

(მიდის).

პოლონიუს

კარგი, წადი.

(შემოდის ოფელია).

ოჰ, ოფელია,

აბა რას იტყვი?

ოფელია

ღმერთო ჩემო! შიშით ვკანკალებ.

პოლონიუს

რაო, რას ამბობ, რა შიშითა, ვერ გამიგია?!

ოფელია

მე ჩემს ოთახში საკერავსა, ვიჯექ, ვკერავდი,  
ამ დროს იქ ჰამლეტ შემოვარდა გულგაღვლილი,  
თავზედაც ქუდი არ ეხურა და გამურული  
წინდები ფეხის ქუსლებამდე ძირს ჩახვეწოდა;  
იმის პერანგის ფერი ედო იმის სახესაც,  
მუხლებს ერთმანეთს ცახცახითა ახლიდა იგი  
და ისე ცუდად, შესაბრალოდ იყურებოდა,  
თითქოს ეს არის მოსულაო ჯოჯოხეთიდან  
და აპირობსო საშინელის ამბისა თხრობას.

პოლონიუს

იქნება შენმა სიყვარულმა ჰკვიდამ შეშალა?

ოფელია

რა მოგახსენოთ, თუმცა ვშიშობ, აგრე არ იყოს.

პოლონიუს

რაო, რა გითხრა?

ოფელია

დამიჭირა ჯერ ხელი მაგრად,

მერე გამშორდა ხელუშვებლად მკლავის სიგრძეზედ,  
მეორე ხელი, აი ასე, მუბლზედ დაიდო  
და გაშტერებით ჩამაცქერდა პირის-სახეში,  
თითქო დახატვა სწადდა ჩემი. დიდხანს სდგა ეგრე,  
ბოლოს ხელი ხელს მომიჭირა შეუმჩნეველად,  
სამჯერაც თავი ერთმანეთზედ აიღ-დაიღო

და ისე ძლიერ, საცოდავად ამოიკვნესა,  
გეგონებოდათ, შეერყაო მთელი სხეული  
და თან ამ კვნესას ამოჰყვაო მისი სიცოცხლეც.  
მერე გამიშვა, თავი მხრებზედ მოიტრიალა  
და თავისი გზა უთვალეზოდ გაიგნო თითქო,  
რადგან ვიდრემდე გავიდოდა, მე მიყურებდა.

### პოლონიუს

წამოდი ესლავ, ხელმწიფესთან წამომყევ ჩქარა.  
ეგ ნიშნებია სიყვარულით აღტაცებისა;  
მაგვარს ჟინს ძალუძს თავის თავი თვითვე დაღუპოს  
და ჭკუის ძალნი დაგვიბნოს განწირულებით;  
მანც ყოველთვის ჟინს აგრე სჭირს. დიდადა ვწუხვარ.  
მკვახე სიტყვა ხომ შენ იმისთვის არა გითქვამს-რა  
უკანასკნელ ხანს?

### ოფელია

არა; მხოლოდ, როგორც მიბრძანეთ,  
მე ავუკრძალე ჩემთან მოსვლა და წერილებიც  
აღარ მივიღე.

### პოლონიუს

აი მაგას გადურეგია.  
მეტად ვწუხვარ, რომ დღევანდლამდე მე იმის ქცევას  
უფრო სიფრთხილით, გულმოდგინედ ყურს არ ვუგდებდი;  
მე მეგონა, რომ იგი მხოლოდ გულს აყოლებდა  
და მას სცდილობდა, დაეღუპნე. — დასწყევლოს ღმერთმა  
ესეთი ეჭვი! როგორც ვატყობ, კაცს სიბერეში  
თვის აზრისადმი ჩაცეება ისე სცოდნია,  
ვით სიყმაწვილეს გაფრთხილება აკლია ხოლმე.  
წამოდი, მომყევ ხელმწიფესთან. ეგე ამბავი  
არ უნდა დარჩეს დაფარული. დაფარვას მეტი  
ვნება მოჰყვება, ვიდრე წყენა გამხილებასა.

(გადიან).



ოთახი სასახლეში.

(შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, როზენკრანც, გილდენსტერნი და ამალა).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მშვიდობა თქვენდა, როზენკრანცო და გილდენსტერნი! უნდა გაუწყოთ, ასე მსწრაფლად რად მოგიწოდეთ: იმას გარდა, რომ დიდმა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც არ გვენახეთ, საქმეცა გვაქვს თქვენთან საჭირო. თქვენც გაიგებდით ხომ ჰამლეტის გარდაქმნის ამბავს,— დილ, „გარდაქმნას“ ვუწოდებ მე, რადგანაც იგი არც გარეგნობით, არც შინაგნად ჰამლეტს აღარ ჰგავს. მე არ მგონია, რომ მიზეზი მისის არევის იყოს სხვა რამე, თუ არ იმის მამის სიკვდილი. მე გთხოვთ ორივეს, ვით თანშეზრდილთ ბავშვობიდანვე, ვით მის ზნესთან და ხასიათთან დაახლოვებულთ, დაჰყოთ რამ ხანი სასახლეში და მას ეცადოთ, გაართოთ იგი, გადუყაროთ გულიდამ სევდა. ეგებ შემთხვევით სხვა რამ მიზეზს მიაგნოთ კიდევ მისის ეგეთის განუყრელის მწუხარებისას, რომლის თავიდამ აცილება ჩვენვე შეგვეძლოს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

იგი მუდმისად, ყმაწვილებო, თქვენ ხსოვნაშია, და ქვეყანაზედ ორი კაცი არ მეგულება, რომელნიც თქვენებრ უყვარდეს მას. ახლა ამას გთხოვთ, რომ ჩვენთან დარჩეთ, შემოგვწიროთ მცირედი ხანი, ხელი შეუწყოთ ჩვენს წადილს და ჩვენსა იმედსა და ჩვენც თქვენს შრომას ხელმწიფურად დავაჯილდოვებთ.

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც .

მფარველნო ჩვენნო, თქვენ შეგეძლოთ, გებრძანებინათ; ჩვენ რა ღირსნი ვართ, რომ მეუფეთ თხოვნა მოგვმართონ!

## გილდენსტერნ

ჩვენ მზად გახლავართ მორჩილებად შეძლებისამებრ  
და სამსახური თქვენს ფერხთქვეშე მოგვირთმევრა.

## ხელმწიფე

მადლობელი ვართ, როზენკრანც და ჩემო გილდენსტერნ.

## დედოფალი

მადლობელი ვართ, გილდენსტერნ და ჩემო როზენკრანც,  
და გთხოვთ ეხლავე წახვიდეთ ჩემს საბრალო შვილთან, —  
ვგონებ, ველარც კი იცნობთ იგი:—თქვენც, ყმაწვილებო,  
თან იახელით და აჩვენეთ ჰამლეტის ბინა.

## გილდენსტერნ

ნეტა ჩვენი ცდა, ჩვენთან ყოფნა კარგად მოუხდეს.

## დედოფალი

ღმერთმა გისმინოს.

(გადიან როზენკრანც, გილდენსტერნ, ზოგიერთნი  
მსლგებლნი და შემოდის პოლონიუსი).

## პოლონიუს

ხელმწიფეო, თქვენი დესპანნი  
ნორვეგიიდან მხიარულად უკან გაიხლნენ.

## ხელმწიფე

მანც შენ მუდამ კარგის ამბის მოციქული ხარ.

## პოლონიუს

განა, ხელმწიფე! დამერწმუნეთ, რომ მე თანაბრად  
ვემსახურები ჩემს ღმერთსა და ჩემს ხელმწიფესა;  
ერთს ვწირავ სულსა, მეორეს კი მოვალეობას.  
იცით, რა უნდა მოგახსენოთ კიდევ, ბატონო:  
თუ უწინდელგებრ მიჭრის ჭკუა და გულთმისნობა,  
ვგონებ, ჰამლეტის ჭკვიდამ შეშლის მიზეზი ვპოვე.

## ხელმწიფე

ოჰ, თუ ეგრეა, სთქვი, სთქვი ჩქარა, მწყურის, გავიგო.

## პოლონიუს

ჭერეთ პასუხი მოისმინეთ თქვენთა ელჩთაგან,  
შემდეგ ჩემს ამბავს, თუ ინებებთ, ხილად მოგართმევთ.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გაშ წადი, შენვე პატივი ეც, შემოიყვანე.

(პოლონიუს გადის).

პოლონიუსმა, დედოფალო, შემატყობინა,  
ეთომც ეპოვოს შენის შვილის სენის მიზეზი.

## დ ე დ ო ფ ა ლ ი

მიზეზი, ვგონებ, არის მხოლოდ მამის სიკვდილი  
და სიკვდილს შემდეგ ჩვენი მსწრაფლი დაქორწინება.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაგას შევიტყობთ. —

(შემოდის პოლონიუს, ვოლტიმან და

კორნელიუს).

ყმაწვილებო, დაბრუნებულხართ?

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. აბა, ვოლტიმანდ,  
რა ამბავს მეტყვი ჩვენის ძმისა, ნორვეგთ მეფისას?

## ვ ო ლ ტ ი მ ა ნ დ

ნორვეგთა მეფემ თქვენ მრავალი მოკითხვა გიძღვნათ.  
რამწამს მივედით, მაშინათვე გაგზავნა კაცნი  
და თავის ძმისწულს აუკრძალა ჯარის მოკრეფა.  
მას ჰგონებოდა პოლონიუს მეფეს ეომებაო,  
და რა შეიტყო, რომ ჯარს ჰკრეფდა თქვენ წინააღმდეგ,  
ძლიერ შეწუხდა; ბრძანა: აკი დრო შემირჩიეს,  
როცა სიბერე ჭირად მჭირს და დავუძღურდიო.  
მიაყვანა ფორტინბრასი მყისვე თავისთან,  
ფრიად დატუქსა და ეს აღთქმაც დაადებინა,  
რომ თავის დღეში ვერ გაბედოს თქვენ წინააღმდეგ  
გამოლაშქრება. მოხუცებულს ნორვეგთა მეფეს  
მის მორჩილება მეტად ძლიერ ესიამოვნა  
და თავის ძმისწულს ყოველწლოვით გადაუწყვიტა  
სამი ათასი ოქრო ჯილდოდ; თან დაავალა,  
რომ მოგროვილის ჯარით პოლონს თავზედ დაესხას.  
(ქალაღს მიართმევს)

ამასთან იგი ამ ქალაღდით უმდაბლესად გთხოვთ,  
ნება უბოძოთ ნორვეგთ ჯარსა, პოლონს მიმავალს,  
თქვენ სამეფოზედ უზად გავლისა, იმ პირობით კი,

რომ თქვენ ქვეშევრდომთ არაფერი არ დაუშავონ.  
ეს პირობანი აქ სწერია, ჩემო ხელმწიფევ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დიდად მიამა ეგ ამბავი. როცა მოვიცლით,  
ჩვენ წავიკითხავთ მაგ ქალაღდსა, პასუსსაც მიეცემთ  
და მაგ საქმესაც მოვიფიქრებთ. ეხლა კი წადით,  
ჯერ დაისვენეთ და მასუკან ერთად ვივანშმოთ.  
გმადლობთ, რომ ეგრე შეასრულეთ ბრძანება ჩვენი.  
(გადიან ვოლტიმანდ და კორნელიუს).

პოლონიუს

კარგად გათავდა ეს საქმეც ხომ. ახლა, ხელმწიფევ  
და დედოფალო მწყალობელო, მე რომ მოგიყვეთ,  
თუ რასა ჰქვიან ერთგულება, მეფის უფლება,  
დღეს დღე რად ჰქვიან, ღამეს ღამე და ან დრო დროსა,  
ეგ ხომ იქნება დროს დაკარგვაც, დღისაც, ღამისაც.  
მამ მოკლედ ვიტყვი, მოკლე სიტყვა სულია ჰქვისა,  
გრძელი სიტყვა კი მხოლოდ მისი სამოსელია.  
ჰო, მოკლედ ვიტყვი; თქვენი შვილი გაგიყებულა!  
გაგიყებულა, დიად, დიად, გაგიყებულა.  
სხვა რა ვუწოდო, მე არ ვიცი, უჭკუო კაცსა.  
ეგ არაფერი...

დედოფალი

სათქმელი სთქვი, ნუ აზვიადებ.

პოლონიუს

არ ვაზვიადებ, დედოფალო, ღმერთმა ხომ იცის. —  
ის გიყი არის, თქმა არ უნდა, ეს მართალია  
და მართალია, რომ ეს მეტად სამწუხაროა  
და სამწუხარო არის ისიც, რომ მართალია.  
კილოს გამობმა ეხლა კარგად ვერ მოვანერხებ  
და არც მცალიან — ვერიდები ვაზვიადებას.  
რომ გიყი არის, ხომ დავთანხმდით; ეხლა ეს დარჩა,  
ჩვენ ამ მოვლენის მიზეზიცა სწორე ვიპოვოთ,  
ან უკეთ რომ ვთქვათ, გავლენისა. ხომ კარგად იცით,  
ამ გავლენიან მოვლენასაც თვის მიზეზი აქვს.  
მამ ჩვენი საქმე ასე რჩება და დანარჩენზედ

ეხლა ვიფიქროთ. მე ქალი მყავს მოგეხსენებათ;  
დიალცა მყავს, რადგან იგი ჩემი ქალია.  
აი ამ ქალმა მოწიწებით და მორჩილებით  
ეს მე გადმომცა. აბა ერთი ყური დაუგდეთ  
და მერე თქვენვე მოიაზრეთ, თქვენვე განსაჯეთ.

(კითხულობს)

„ზეცით გარდმოვლენილს ჩემის სულის ღმერთს,  
უუშვენიერესს ოფელიას...“ მეტად უშნო და გაცვეთილი  
სიტყვებია: რა არის აბა — „უუშვენიერესს“. აი კიდევ:  
„მისს ბრწყინვალე თეთრს მკერდზედ...“ და სხვ. და სხვ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეგ ჰამლეტისგან მიუვიდა?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

გთხოვთ, დედოფალო,  
ჩერედ მცირე ხანს დამაცალოთ; ყველას გაუწყებთ.

(კითხულობს)

„თუნდ ნუ ენდობი ვარსკვლავთ სინათლეს,  
ნურც ცის სფერაში ტრიალსა მზისას,  
თუნდ ნუ ენდობი მართალთ სიმართლეს, —  
ენდე ძალს ჩემის სიყვარულისას.

ოჰ, ძვირფასო ოფელია, ლექსების წერა მე არ მეხერხება,  
არ შემძლიან ჩემი გულის-კვნესა რითმებისათვის ვთვალთ,  
მაგრამ გჯეროდეს, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ ყოვლის უმე-  
ტესად. მშვიდობით!

„შენი საუკუნოდ, ვიდრე ამ სუსტ სხეულში სული შემრ-  
ჩება, ჰამლეტ“.

ჩემმა ასულმა მორჩილებით მე ეს გადმომცა  
და ყველაფერი დაწვრილებით შემატყობინა,  
თუ სად გაენდო მას ჰამლეტი, როდის, ან რა გზით.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

თანაუგრძნო კი შენმა ქალმა იმის სიყვარულს?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ჯერ ეს მიბრძანეთ, რა აზრისა ბრძანდებით ჩემზედ?

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჩვენ გვჯერა შენი ერთგულება, პატიოსნება.

### პ ო ლ ო ნ ი უ ს

მეც ეგ მინდა, რომ დაგიმტკიცოთ. ახლა რას ჰფიქრობთ თქვენ, ხელმწიფეო, ან რას ჰფიქრობს მეუღლე თქვენი? რა შევიტყე მის სიყვარულის აღფრთოვანება — ეს შევამჩნიე, ვიდრე ჩემი ქალი მეტყოდა — ნუთუ გგონიათ, რომ მე იმათ მოეუყრუებდი, გავუზღებოდი წინ-ტაბლად და სახსოვარ წიგნად, დავმუხჯდებოდი, ან თვალს და გულს მოვარიდებდი?! ნუთუ თქვენ მართლა ასე ჰფიქრობთ? არა, ხელმწიფევი! რამწამს შევიტყე, მაშინათვე საქმეს შევვლდე და ჩემ ქალბატონს ასე ვუთხარ: „ხომ იცი კარგად, რომ ჰამლეტ შენ წრეს არ ეკუთვნის, სხვა სფეროსა და არ მოხდება, რასაც ჰფიქრობ“. თან დავაბრვი, ჰამლეტის ნახვა იმ უამს იქით არ გაებედნა, აღარც სახსოვრად საჩუქრები მიელო მისგან და აღარც კაცი. ეს რჩევა მას კარგად დაუჯდა; მაგრამ ჰამლეტ კი — მოკლედ ვიტყვი იმის ამბავსა — განდევნის შემდეგ ჯერ მეტისმეტს სევდას მიეცა, მასუკან მადაც დეკარგა, მასუკან ძილიც, მერე სისუსტე მოუვიდა, დიალ შესუსტდა, მერე თანდათან ჭკუაც ცოტა შეუმსუბუქდა, ბოლოს გონებაც დაეკარგა და აი ეხლა იგი გიჟია ჩვენდა გლოვად, ჩვენდა სატირლად.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაშ შენ მიზეზი ეგ გგონია?

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეგ უნდა იყოს.

### პ ო ლ ო ნ ი უ ს

მითქვამს როდისმე, გთხოვთ, მიბრძანოთ: „ეს ესე არის“, რომ საქმე ბოლოს ჩემ სიტყვაზედ არ მომხდარიყოს?

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სწორედ არ მახსოვს.

პოლონიუს

რაც ეხლა ვთქვი, რომ არ გამართლდეს,  
ეს თავი ამ ტანს მომაშორეთ. თუ კვალს მივაგენ,  
მე საიდუმლო ვერას გზით ვერ დამემალება,  
თუნდ დედამიწის შუაგულში ბინა დაიდოს.

ხელმწიფე

ეხლა რას იტყვი, აბა, სწორე როგორ შევიტყო?

პოლონიუს

მოგესხენებათ, იგი ხშირად ამ დერეფანში  
სეირნობს ხოლმე.

დედოფალი

სწორედ ამბობს.

პოლონიუს

მეც სწორედ ამ დროს  
განგებ ჩემს ასულს გამოვგზავნი დერეფანშივე  
და ჩვენ, მეფეო, ფარდას უკან ამოვეფარნეთ.  
თვალი ადევნეთ მათ შეხვედრას და თუ არ მიხვდეთ,  
რომ ოფელისას სიყვარულით გაგიჟებულა,  
გამომამძევეთ სახელმწიფოს მართვის რჩევიდამ  
და გუთნისდედად დამაყენეთ, უბრალო მწყემსად.

ხელმწიფე

კარგი, ეგ ვცადოთ.

(შემოდის ჰამლეტ წიგნის კითხვით).

დედოფალი

საცოდავი! ერთი შეჰხედეთ,  
როგორ მწუხარედ, წიგნის კითხვით მოდის აქეთკენ!

პოლონიუს

თქვენ მომეცალეთ, ორნივე ჩქარა გარეთ გაბრძანდით.  
მე მარტო მივალ და ლაპარაკს დაუწყებ რასმეტ.

(გაღიან ხელმწიფე, დედოფალი და ამალა).  
როგორა ბრძანდებით, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

მადლობა ღმერთს, კარგად გახლავართ.

პოლონიუს

მე ველარა მცნობთ, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

ძალიან კარგადა გცნობ, შენ თევზის ვაჭარი ხარ.

პოლონიუს

არა, ბატონო.

ჰამლეტ

მაშ ნეტა იმისთანა პატიოსანი კაცი იყო.

პოლონიუს

ეგ რა ბრძანეთ, ხელმწიფისშვილო, პატიოსანიო?

ჰამლეტ

მე რომ ამ ქვეყნის ტრიალსა ვხედავ, პატიოსანი კაცი მხოლოდ ერთს ათი ათასში გამორჩეულსა ჰქვიაან.

პოლონიუს

ნამდვილი ბრძანებაა.

ჰამლეტ

არა თუ? თვითონ მზეც კი ძაღლის მძოვრში მატლს აჩენს და, ღვთაებრ ბრწყინვალე, აყროლებულს ლეშს არ ეჩიდე-ბა. — შენ ქალი გყავს?

პოლონიუს

ღიად, ბატონო.

ჰამლეტ

მას მზეზედ წუ ატარებ. მზისგან განაყოფიერება ზეგარდ-მო მადლია, მაგრამ თუ შენმა ქალმა ნაყოფი გამოიღო, მა-შინ უფრთხილდი, მეგობარო.

პოლონიუს

მაგითი რა გნებავთ ბრძანოთ?! (იქით) კიდეც ჩემს ქალს გადასწვდა. პირველად კი ვერ მიცნო, მითხრა, თევზის ვაჭარი ხარო. ძალიან შეუტრია. მეც ჩემს ყმაწვილობაში სიყვარულმა ბევრი ტანჯვა გამომატარებინა. თითქმის მეც ეგრე მომივიდა. აბა ერთი კიდეც გამოგელაპარაკო; — რასა კითხულობთ, ხელ-მწიფისშვილო?



ჰ ა მ ლ ე ტ

სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს.

პ ო ლ ო ნ ი უ ს

რა ამბავია მერე, ხელმწიფისშვილო?

ჰ ა მ ლ ე ტ

სად რა ამბავი უნდა იყოს?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

მე მოგახსენებთ, რა ამბავსა კითხულობთ-მეთქი?

ჰ ა მ ლ ე ტ

ცილისწამებას, ჩემო ბატონო. ერთი ვილაც წუწუკი სატირი-  
კოსი გვარწმუნებს, ბერიკაცებს თეთრი წვერი აქვთო, სახე  
აქვთო დაჭმუჭვნილი და თვალბში სქელი, ფისის მზგავსი,  
ამბრი ჩამოსდითო; ჭკუაზედ თხლად არიან და მუხლებში ღონე  
აკლიათო. მე ეს ყველაფერი სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია,  
მაგრამ გამომქდავნება კი არაფერი პათიოსნებაა. აი შენთვი-  
საც ადვილია ჩემსავით გაყმაწვილება, თუ კიბოსავით უკან-  
უკან ფოფხვას დაიწყებ.

პ ო ლ ო ნ ი უ ს (იქით)

თუმცა გიყია, მაგრამ წყობისად კი ლაპარაკობს. (ჰამლეტს)  
ქვევით ჩაბრძანებას ხომ არ ინებებთ, ბატონო ჩემო?

ჰ ა მ ლ ე ტ

საფლავში?

პ ო ლ ო ნ ი უ ს

მართლა რომ ეგეც ქვევით ჩაბრძანება იქნება. (იქით) ხან-  
დისხან რა მოსწრებული სიტყვა აქვს. ზოგჯერ სიგიჟეში კაცი  
იმისთანა რამეს იტყვის, რასაც სიჭკვიანეში ვერც კი მოიფიქ-  
რებდა. ეხლა კი თავს დავანებებ და ისე მოვახერხებ, რომ ჩემი  
ქალი და ეს ერთად შევყარო. — ხელმწიფისშვილო, ნება მი-  
ბოძეთ რომ გიახლოთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ისე ადვილად ვერას დავითმობ, როგორც მაგ ნებას, სიტო-  
ცხლის გარდა, სიცოცხლის გარდა, სიცოცხლის გარდა!



პოლონიუს

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ხელმწიფისშვილო.

ჰამლეტ

ოჰ, ეს ჩერჩეტი, გამოტვინებული ბებრები!

(შემოდინ როზენკრანც და გილდენსტერნ).

პოლონიუს

თუ ჰამლეტს ეძებთ, აგერ იქა დგას.

როზენკრანც (პოლონიუსს)

გმადლობთ, ბატონო.

(პოლონიუს გადის).

გილდენსტერნ

ჩემ საყვარელს ბატონს ვახლავარ.

როზენკრანც

ჩემ ძვირფასს ბატონს ვახლავარ უმორჩილესი მონა.

ჰამლეტ

ოჰ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო. რასა იქ, გილდენსტერნ?  
შენ რაღასა იქ, ჩემო როზენკრანც? როგორა ხართ?

როზენკრანც

ვახლავართ ისე, როგორც შეეფერება დედამიწის უმნიშვნელო შვილებს.

გილდენსტერნ

ბედნიერნი ვართ იმითი, რომ მეტისმეტად ბედნიერნი არა ვართ და ბედს მაღლა ქოჩრის წვერზედ არ ვაზივართ.

ჰამლეტ

არც ხომ იმის ფეხქვეშა ხართ მოქცეული.

გილდენსტერნ

არა, ბატონო.

ჰამლეტ

მაშ გეტყობათ, სარტყელთან იქნებით, საცა უფრო მოწყალეების გამცემი ალავია.

გილდენსტერნ

დიად, ბატონო, იმისი წყალობა არ გვაკლია.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მაშ თქვენ ბედის საიდუმლოს ალაგთან დაახლოვებული ყოფილხართ. ან რა გასაკვირველია, — ის ხომ ნამუსზედ ხელაღებული ქალია. — ახალი ამბავი რა იცით?

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

არაფერი, ბატონო, იმას გარდა, რომ ეს ქვეყანა თითქოს უფრო გაპატიოსნდა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მაშ მეორედ მოსვლის დღე უნდა მოახლოვებულიყოს; მაგრამ ეგ თქვენგან მოტანილი ამბავი მართალი არ არის; სჯობს, ისევ თქვენი საკუთარი ამბავი ვიკითხო: რა უყავით, მეგობრებო, ბედს ისეთი, რომ აქ, ამ საპყრობილეში გამოგისტუმრათ?

### გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

საპყრობილეში, ხელმწიფისშვილო?

### ჰ ა მ ლ ე ტ

დანია საპყრობილეა.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

მაშ ქვეყანაც საპყრობილე ყოფილა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

სწორედ საპყრობილეა, რომელშიაც ბევრი შენობაა, ბევრი ხერელი, ბევრი ჭურღმული. დანია ერთი უარესი ჭურღმულთაგანია.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ჩვენ ეგ არა გგონია ხელმწიფისშვილო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

თქვენ ეგ არა გგონიათ? შეიძლება. კარგი და ცუდი თავისთავად როდი სადმეა, მას მხოლოდ კაცის გონება შეჰქმნის ხოლმე. ჩემთვის კი დანია საპყრობილეა.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ეგ თქვენის დიდებისმოყვარეობის ბრალი უნდა იყოს. ენ ქვეყანა მეტად ვიწროა თქვენის ფართო სულისათვის.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, ღმერთო ჩემო! მე თუნდა კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული ვიყო, ჩემი თავი დაუსრულებელის სივრცის მფლობელი მეგონებოდა, ოღონდ ცუდ სიზმრებს არა ვხედავდე.

### გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

კიდევ ეგ სიზმრებია დიდებისმოყვარეობა. დიდების მოყვარე კაცის არსება ჩრდილია სიზმრისა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მერე თითონ სიზმარიც ხომ ჩრდილია.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

მართალსა ბრძანებთ. და დიდებისმოყვარეობაც ისეთი მსუბუქი და ჰაერის მზგავსია, რომ იგი ჩრდილია ჩრდილისა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მაშ გლახაკები სხეულნი ყოფილან, ქვეყნის მეფენი და სახელგანთქმულნი გმირნი კი იმათნი ჩრდილნი. არ წავიდეთ აქედამ? დამერწმუნეთ, ეხლა მაგისტანა საგნებზედ სჯა არ მეადვილება.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

მზად გახლავართ თქვენის სამსახურისათვის.

### ჰ ა მ ლ ე ტ

თუ ღმერთი გწამთ, სამსახურისას ნურას მეტყვიეთ. მე არ მინდა თქვენ სხვა ჩემ მხლებელთ დაგადართ. დამერწმუნეთ, როგორც პატიოსან კაცს, თავი მომაბეზრა ამდენმა სამსახურმა. მე თქვენ ისე მეგობრულადა გკითხავთ, რამ მოგიყვანათ ელსინორაში?

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ჩვენ თქვენს სანახავად გაიხელით, სხვა საქმე არა გვქონია-რა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

სწორედ გლახაკი ვარ, მადლობის შეძლებაც არა მაქვს. მაგრამ გმადლობთ მაინც, მეგობრებო. მერწმუნეთ, ჩემი მადლობა საკმაოდ ძვირფასია, ნახევარ-ფლური ღირს. მაშ დაბა-

რებული არა ხართ? თქვენ თითონ მოხვედით? თქვენსავე სურვილით? სთქვით, რაღა; ნუ ყოყმანობთ; სწორე მითხარით.

გილდენსტერნ

რა უნდა მოგახსენოთ, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

რაღ გნებავთ, მხოლოდ პასუხი კი მომიგეთ. დაგიბარეს, განა? თქვენივე სახე ამხელს თქვენს საიდუმლოს და გულში იმდენი ეშმაკობა არა გაქვთ, რომ ეგ სახე გადაისხვაფეროთ. მე კარგად ვიცი, თქვენ ჩვენის ღვთისნიერის ხელმწიფისა და მის მეუღლისაგანა ხართ დაბარებული.

როზენკრანც

რისთვის უნდა დავებარებინეთ, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

ეგ თქვენ უნდა ამიხსნათ. გაფიცებთ ჩვენს უწინდელს მეგობრობას, ერთად გატარებულს დროს ჩვენის ახალგაზრდობისას, ჩვენს ერთმანეთის განუქრობელ სიყვარულს, ყოველისფერს ძვირფასს თქვენთვის, რასაც კი ჩემზედ უკეთესი მოლაპარაკე მოიგონებდა, გაფიცებთ-მეთქი ყოველს ამას, — ნუ დამიმაღავთ, სწორედ მითხარით, დაგიბარეს, თუ არა?

როზენკრანც (გილდენსტერნს)

შენ რას იტყვი?

ჰამლეტ (იქით)

გგონიათ თვალი მოგაშოროთ?! — თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, ნუ დამიმაღავთ.

გილდენსტერნ

ღიაღ, ხელმწიფისშვილო, დაგვიბარეს.

ჰამლეტ

მე თითონ გეტყვით, რისთვისაც და თქვენგანვე გამხელას თავი დამ აგაცილებთ; მაშინ ხელმწიფისა და დედოფლის მიერ თქვენდა მონდობილ საიდუმლოს ბეწვიც არ შეეშლება. ამ ბოლოს დროს, მე თითონ არ ვიცი რა მიზეზით, მხიარულება მომესპო; ჩვეულ დროს გატარებას თავი დაფანებე; გულს ისე-

თი მიძიმე სევდა შემომავწვა, რომ ეს შევნიერი ქმნილება—დე-  
დამიწა ხრიოკ კლდედლა მიმაჩნია; ეს საუცხოვო, ჰაეროვანი  
სახურავი, ჩვენზედ გადმოკიდებული ცის კამარა, ეს დიდებუ-  
ლი ოქროსფერად ბრწყინვალე ჭერი სულისშემხუთველი,  
დაშხამული ბული მგონია. ხომ შევნიერი ხელოვნებაა ადამია-  
ნი: ჭკუით დიდებული, სრული ნიჭიერებით, აგებულებით, ახო-  
ვანი, მიხვრა-მოხვრით საოცარი, საქმით სწორი ანგელოზისა,  
გონიერებით ღვთისა, — და ეს თვალი ქვეყნისა, ეს ცხოველთა  
მეფე ჩემთვის მხოლოდ მიწა და მტვერია. მე აღარც კაცის  
ნახვა მიამება, აღარც ქალისა, თუმცა ღიმილზედ გატყობ, რომ  
ეს ჩემი სიტყვა არა გჯერა.

როზენკრანც

მე ეგ ფიქრადაც არ მომსვლია, ხელმწიფისშვილო.

ჰამლეტ

რად გაიცინე, მაშ, როდესაც ვთქვი, აღარც კაცის ნახვა  
მიამება-მეთქი.

როზენკრანც

მე გავიფიქრე, რომ თუ კაცის ნახვა აღარ ვიამებათ, ვერაფ-  
რად დაუხვდებით აქტორებს, რომელნიც გზაზედ შეგხვდნენ  
და ეს არის ეხლა აქ თქვენდა სამსახურად გაიხლებიან.

ჰამლეტ

რადა? რომელი მათგანიც კი ხელმწიფობას თამაშობს,  
მობრძანდეს, ჩემგან მათის დიდებულების შესაფერ ხარკს  
მიიღებს. მოგზაურმა რაინდმა თავის მოჩლუნგებული ფარ-  
ხმალი იხმაროს; ყმაწვილკაცს ოხვრა ტყუილად არ ჩაუვლის;  
ხუმარას ღმერთმა მშვიდობით გაათავებინოს თავისი როლი;  
მასხარამ ისინი აცინოს, ვისაც ფილტვებში ელიტიწება და ყმა-  
წვილმა ქალმა თავის გულისპასუხი თამამად წარმოსთქვას, თუ  
ურითმო ლექსებმა გზაზედ არ შეაფერხებს. რომელი აქტორები  
არიან ეგენი?

როზენკრანც

რომელნიც თქვენ ისე ძალიან მოგწონდათ. ტრაგიკოსები  
გახლავან ქალაქილამ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მერე აქა-იქა წანწალი რად დაუწყევიათ? ხომ ერთ ალაგას  
ყოფნა ერჩიათ სახელისთვისაც და შემოსავლისათვისაც.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

მე მგონია, ამის მიზეზი ახალი წესების შემოღებაა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ისევ იმავე პატივისცემაში არიან, როგორც ჩემს ქალაქში  
ყოფნის დროს იყვნენ? ხალხი მისდევს?

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

არა, ისე აღარ მისდევს.

### ჰ ა მ ლ ე ტ

რა მიზეზია, ხომ არ დაჟანგდენ?

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ისინი ისევ უწინდელგებრ შრომობენ, მაგრამ ეხლა ხალხი ვი-  
ლაც ბავშვების დასს უფრო უგდებს ყურსა. ეს ახლად-გამოჩე-  
კილნი ჭყვირიან, რაც ძალი და ღონე აქვთ აზრის მიუხედავად და  
აღტაცებულ ტაშსაც ეღირსებიან ხოლმე. ესენი არიან ეხლა  
მოდად მიღებულნი და ისე ავად იხსენიებენ უბრალო მოთამა-  
შეებს — როგორც ისინი უწოდებენ — რომ მრავალნი ხმალ-  
შემორტყმულნი ბატის კალმის შიშით თეატრში ვეღარ შედიან.

### ჰ ა მ ლ ე ტ

როგორ, მართლა ბავშვები არიან? მერე ვინ პატრონობს  
იმათ, ან ფულს ვინ აძლევს? განა მაგ საქმეს მართო იმ დრომ-  
დე უნდა მისდიონ, ვიდრე ხმა ექნებათ? მასუკან, როცა ეგენიც  
უბრალო აქტორები შეიქმნებიან — უბრალონი შეიქმნებიან,  
თუკი მაგაზედ მეტი ნიჭი არა აქვთ, რაცა სთქვი — მაშინ რა  
მადლობას გადუხდიან იმ მწერლებს, რომელნიც ეხლა მათ მო-  
მავალს ბედს სასაცილოდ აგდებინებენ.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ამ ორ გუნდს ერთმანეთში დიდი უსიამოვნობა აქვს და  
ხალხსაც ცოდვად არ მიაჩნია მათი საჩხუბრად წაქეზება. ერთ

დროს ფლურიც არ შემოვიდოდა იმ წარმოდგენაში, რომელ-  
შიაც ერთი გუნდის ავტორები და აქტორები მეორე გუნდს  
ჩხუბს არ აუტეხდენ.

ჰ ა მ ლ ე ტ

განა ეგ შესაძლებელია?

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ბევრის თავს მოხვედრია ამ ჩხუბებში.

ჰ ა მ ლ ე ტ

მერე ბავშვებმა სძლიეს?

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

დიალ, სძლიეს; სძლიეს თვით ჰერკულესს თავის დედამიწის  
ბურთით.

ჰ ა მ ლ ე ტ

არც ეგ მიკვირს. ბიძაჩემი ეხლა დანიის მეფეა და ვინც მა-  
მიჩემის სიცოცხლის დროს მაგას მასხარად იგდებდა, ეხლა  
მაგის პატარ-პატარა სურათებში ოცს, ორმოცს, ორმოცდაათს,  
ასს დუკატს აძლევს. ამ ამბავში რაღაც არის უცნაური. ნეტავი  
ფილოსოფოსთ სწავლას მაინც შეეძლოს ამის მიგნება.

(გარედამ მოისმის საყვირის ხმა).

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

აგერ აქტორები გხლებიან.

ჰ ა მ ლ ე ტ

ყმაწვილებო, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ელსინორაში.  
მომეციტ ხელი. სტუმრის მიღება ზრდილობითა და თავაზით  
უნდა. ნება მომეციტ, მეც ასე მიგილოთ, თორემ იქნება იფიქ-  
როთ, რომ აქტორების მოსვლა თქვენს მოსვლაზედ მეტად მე-  
სიამოვნა, რადგან ეხლავე გეტყვით, მე აქტორებს ძალიან  
ტკბილის ენით მივეგებები. მიამა თქვენი ნახვა, თუმცა მამა-  
ბიძაჩემი და ძალუა-დედაჩემი ძალიან შემცდარნი არიან.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

რაში ბრძანდებიან შემცდარნი?



### ჰ ა მ ლ ე ტ

მე ჰკუიდამ შეშლილი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა ქარი ჩრდილოთ-დასავლეთით უბერავს; სამხრეთის ქარში კი ბაყაყიყლაპიას და ქორს ერთმანეთში კარგად გავარჩევ.

(შემოდის პოლონიუსი).

პოლონიუს

მშვიდობა თქვენი ნახვა, ბატონებო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ყური დაუგდე, გილდენსტერნ და შენც, როზენკრანც. თითო ყურთან თითო მსმენელი მოდის. ამ დიდ ბავშვს ჭერ კიდევ ბავშვის პერანგი არ გამოუცვლია.

როზენკრანც

იქნება მეორედ გაბავშვდა. ასე ამბობენ, ბერიკაცს ბავშვობა ორჯერა აქვს გამოვლილიო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მე წინდაწინვე მითქვამს, იმისთვის მოდის, რომ აქტორების ამბავი მაცნობოს. აბა უყურეთ: — თქვენ მართალს ამბობთ, დიად, ეგ ორშაბათ დილით მოხდა.

პოლონიუს

ბატონო ჩემო, მინდა ახალი ამბავი გაუწყოთ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ბატონო ჩემო, მეც მინდა ახალი ამბავი გაუწყოთ: „როდესაც რომში როსციუსი აქტორად იყო...“

პოლონიუს

აქტორები გიახლნენ აქ, ბატონო ჩემო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

იქნება მართლა!

პოლონიუს

პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

„...ყოველ მათგანსა სახედარი ჰყავდა საჯდომად“

პოლონიუს

მაგათ ქვეყანაზედ აქტორი ვერა სჯობს: ვერც ტრაგედიაში, ვერც კომედიაში, ვერც ისტორიკულ წარმოდგენაში, ვერც იდილიაში, ვერც იდილიკურ-კომიკურში, ვერც ისტორიკულ-იდილიკურში, ვერც ტრაგიკულ-ისტორიკულში, ვერც ტრაგიკულ-კომიკურ-ისტორიკულ-იდილიკურში. მაგათთვის სულერთია, თუნდ სანახავი ერთსა და იმავე ალაგას იყოს, თუნდ იგი იყოს დაუსრულებელი პოემა, სენეკა თავისებურად მძიმე აღარ გვეჩვენება და პლავტუსი თავისებურად მსუბუქი. ოხუნჯობასა და თავისუფალ ლაპარაკში კიდევ მაგათ ვერავინ შეედრება.

ჰამლეტ

„ოჰ, იეფთაე, შენ მსაჯულო ისრაელისა“,  
რა ძვირფასის საუნჯის პატრონი ხარ.

პოლონიუს

რა საუნჯესა ბრძანებთ, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

არ იცი?

„მას ერთადერთი შვენიერი ასული ჰყავდა  
და განუზომელ სიყვარულით იგი უყვარდა“.

პოლონიუს (იქით)

კიდევ და კიდევ ჩემი ქალი!

ჰამლეტ

ტყუილს ვამბობ, ბებერო იეფთაე?

პოლონიუს

თუ მე მიწოდებთ იეფთაეს, ხელმწიფისშვილო, მართალია, მე ერთი ქალი მყავს და განუზომელ სიყვარულითაც მიყვარს.

ჰამლეტ

ეგ ერთი მეორეს არ მოსდევს.

პოლონიუს

მაშ რა მოსდევს?

ჰამლეტ

მოსდევს, რომ

„ელოდე იმას,  
რაც სურს განგებას“.

და ესეც ხომ იცი:

„იგი მოხდება,  
რაც გარდაწყდება“.

დანარჩენი ამ ლექსებისა საგალობლის პირველ ტაეპში მოსძებნე, თორემ, ხომ ჰხედავ, მე სიტყვას მაწყვეტილებენ. —  
(შემოდის ოთხი, ან ხუთი აქტორი)

გამარჯვება, ყმაწვილებო, გამარჯვება. — ოჰ, მოხარული ვარ, რომ კარგადა გხედავთ. — მობრძანდით; — შენ, ჩემო ძველო მეგობარო, რამ სიდიდე წვერი გამოგსვლია მას აქეთ, რაც არ მინახავხარ. დანიაში ჩემს მოსაბაძად ხომ არ მოხვედი? ყმაწვილო ქალო, შენ ეხლა ზეცას ერთი ქუსლის სიმაღლეზე დაახლოებიხარ. დმერთმა ნუ ჰქნას, რომ შენი ხმა ისე მიწყდეს, როგორც გახეხილი ოქროს წკრიალი. — მობრძანდით, მობრძანდით. აბა ჩვენ ქორით მონადირე ფრანგებივით პირველსავე ნადირს მივესიოთ. თქვენის ხელოვნების ნიმუშად ერთ-ერთი საგრძნობელი ლექსი სთქვით.

პირველი აქტორი

რომელი ლექსი, ბატონო ჩემო?

ჰამლეტ

მე მახსოვს, ამას წინად შენგან ერთი ლექსი გავიგონე. თეატრში იმ პიესის წარმოდგენა არა ყოფილა, თუ მარტო ერთხელ იყო, არ ვიცი. ხალხს არ მოსწონდა. იგი ხიზილალა იყო გემოვნების უქონელთათვის, მაგრამ ჩემის აზრით და სხვების აზრითაც, რომელთაც ამ საქმეში ჩემზედ მეტი ესმით — ჩინებული წარმოსადგენია; შევნიერის ხელოვნებით და სიმარტივით სურათ-სურათად დაყოფილი. მე მახსოვს, ერთი ამბობდა, სიტყვებს მარილი და სანელებელი ცოტა აქვს და თითონ მოთხრობასაც ატყვია, რომ ავტორს გრძნობიერება ჰკლებია, მაგრამ მაინც საკმაოდ მარტივია და უფრო შევნიერია, ვიდრე განგებ გაშვენიერებულიო: მე სხვებზედ მეტად იქ ერთი ლექსი მომწონდა, ენეასის და დიდოს ლაპარაკი, მეტადრე, როდესაც ენეასი უამბობს პრიამის სიკვდილის ამბავს. თუ კიდევ გახსოვს, აბა ერთი ამ სტრიქონიღამ დაიწყე — გიტყვი ეხლავე...

„მძვინვარე პიროს, ვითარ მხეცი ჰირკანისა...“  
არა, ასე არ არის, მაგრამ პიროსით კი იწყება.  
„მძვინვარე პიროსს — აღჭურვილსა შავის ფარ-ხმალით,  
მზგავსით მის შავის განზრახვისა და შავის ღამის,  
როს იგი იწვა შავბედითის ხის ცხენის გვამში, —  
ეხლა თავისი საჭურველი შიშისაღმძვრელი  
უფრო საზარელ სამკაულზე გარდაუცვლია:  
წითელის სისხლით შეღებილა თავით ფეხამდე,  
მამათა სისხლით, დედათ სისხლით, სისხლით ქალ-ვაჟთა;  
გამოწრთობილა ფოლადივით ქუჩების ცეცხლში,  
რომელთ წილად ხვდათ მამხილებლის, წყეულის შუქით  
გზის განათება თავიანთის მეფის მკვლელისა.  
პიროს, მძვინვარე ჯოჯოხეთის ცეცხლით და რისხვით,  
თვალთ-ნაპერწყლების გამომცემი, სისხლით შესვრილი  
ექებს მოხუცის მამათმთავრის პრიამის კვალსა“.  
ეხლა შენ განაგრძე.

### პოლონიუს

ღმერთს გეფიცებით, ხელმწიფისშვილო, შვენნივრადა ბრძა-  
ნეთ, მარტივის კილოთი და საამო გამომეტყველებით.

### პირველი აქტორი

„აგერ მიაგნო მოხუცს პრიამს. იგი ამჟამად  
უღონოდ ქმნილი ბერძენთა გმირს ველარას აკლებს  
და იმის მკლავსა აღარ ერჩის ბებერი ხმალი.  
აგერ პიროსი მისწვდა კიდევ გაცოფებული  
უძლურსა პრიამს, მოუქნია ხმალი ძლიერად  
და მარტო მის ხმლის მიმოქნევის ქარმა, ზუილმა  
ლონემიხდილსა მოხუცებულს მუხლი მოჰკვეთა.  
ეს იგრძნო თითქო ილიონმა მიყუჩებულმა,  
ცეცხლი მოედო მის შენობებს საძირკვლებამდე  
და ნგრევის ჭექამ წუთსვე პიროსს სმენა მიჰხადა.  
აგერ მის ხმალი, რომლის დაკვრას ლამობდა იგი  
მოხუცებულის პრიამისა ჭალარა თავსა,  
თითქო ჰაერში დაეკიდოთ. თითონ პიროსი  
უძრავადა დგას დახატულის მტარვალის მზგავსად,  
თითქო მოესპოთ მისთვის ნებაც და ძლიერებაც.“

გაგრამ ვით ხშირად წვიმა-ავდრის და ქუხილის წინ  
ცასა და მიწას მყუდროება მოეფინება,  
ჩადგება ქარი და ღრუბელნიც დაწყნარდებიან  
და ვით უეცრად საზარელი ჭექა-ქუხილი  
გააპობს ხოლმე დედამიწას, — ისე პიროსი  
განმეორებით წააქეზა შურისძიებამ  
მისის საშინელ განზრახვისა აღსასრულებლად.  
ციკლოპს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე გულგრილად,  
როდესაც იგი მარსს უჭედდა მტკიცე საჭურველს,  
ვით პრიამს ხმალი სისხლიანი დასცა პიროსმა.  
ჰოი, შენ ბედო უნამუსო! ოჰ, ზეცის ძალნო,  
ერთად შეკრბენით და წაართვით მას ძლიერება,  
მიღეწ-მოღეწეთ მისის ჩარხის სოლი და ფერსო  
და მორგვი ზეცით დაუგორეთ თუნდ ქვესკნელამდე“.

პოლონიუს

ეს ძალიან გაგრძელდა.

ჰამლეტ

შენს წვერსავით. ორივეს დალაქი ეჭირვება. — გთხოვ, გა-  
ნაგრძო. ეს ან ხტუნვას უნდა უყურობდეს და უმართებულო  
ლაპარაკი ესმოდეს, ან სთვლემდეს. განაგრძე, განაგრძე, ჰექუ-  
ბაზედაცა სთქვი.

პირველი აქტორი

„ღმერთო, ვინ ნახა დედოფალი მკერდგაღელილი...“

ჰამლეტ

მკერდგაღელილი დედოფალი?

პოლონიუს

ეგ ჩინებულადა სთქვა: „მკერდგაღელილი დედოფალი...“  
ჩინებულაია.

პირველი აქტორი

„როს უგზო-უკვლოდ ფეხშიშველი დარბოდა იგი  
და ცეცხლის ალთა ჩაქრობასა ცრემლით ლამობდა.  
უბრალო მჩვარი ეკრა თავზედ, რომელზედაც მას  
დედოფლის ჯილა უნდა სდგმოდა, და გამხდარს მხრებზედ  
მანტიის ნაცვლად სახურავი წამოებურა,  
რომლისთვის უცებ შიშის ზარით ხელი მოეკლო.“

ვინც კი ნახავდა მისს ამ ყოფას, გამწარებული  
გესლაკრეფილის ენით ბედსა შეაჩვენებდა.  
თვითონ ღმერთთაც რომ განეცადათ ჰეკუბას სახე,  
როდესაც იმან დაინახა, ვითარ პიროსი  
თვის შესაქცევად ხმლით ჰკუწავდა მის მეუღლის გვამს,  
რომ ეგრძნობთ იმათ აღმოკვენესა მისი საზარი, —  
თუ კაცთა საქმეს მოქმედება აქვს რამე მათზე,  
მაშინ ისინიც სიბრალულით ცრემლს წამოღვრიდნენ“.

პოლონიუს

შეჰხედეთ ერთი, სახეზედ როგორ შეიცვალა და თვალებში  
ცრემლი მოერია. კარგი, კმარა, თუ ღმერთი გრწამს.

ჰამლეტ

ძალიან კარგი, დანარჩენს მასუკან იტყვი. — არ შეიძლება,  
ჩემო ბატონო, ეს აქტორები კარგად დააბინავებინო, და  
უბრძანო კარგადაც დაუხვდენ, თორემ ხომ იცი: ეგენი ამ  
დროის შემოკლებულნი მათიანენი არიან და სიკვდილის შემ-  
დეგ საფლავის ქვაზედ ცუდი წარწერა უნდა გერჩიოს, სი-  
ცოცხლის დროს მაგათთან ცუდის ხმების დაყრასა.

პოლონიუს

მე ისე მივიღებ მაგათ, ხელმწიფისშვილო, როგორც ეკად-  
რებათ.

ჰამლეტ

უცნაურს ამბობ; ბევრად უკეთესად უნდა მიიღო. ყველას  
რომ ისე მოექცე, როგორც ეკადრება, არავის არ ასცდება გა-  
მათრახება. შენის სახელისა და ღირსების კვალობაზედ უნდა  
დაუხვდე მაგათ. რაც უფრო ნაკლების ღირსნი არიან, შენი  
სიკეთე მით უდიდესი გამოჩნდება, წაიყვანე.

პოლონიუს

მობრძანდით, ყმაწვილებო.

ჰამლეტ

წაჰყევით მაგას, მეგობრებო, და ხვალ წარმოდგენა გავ-  
მართოთ. —

(გაღიან პოლონიუს და რამდენიმე აქტორი).

გამიგონე, ჩემო ძველო მეგობარო, შეგიძლიანთ გონზაგოშ სიკვდილი წარმოადგინოთ?

პ ი რ ვ ე ლ ი ა ქ ტ ო რ ი

შეგიძლიან, ხელმწიფისშვილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

მაშ ხვალ სადამოხედ გავმართოთ ეგ წარმოდგენა. იქნება მე თორმეტი, თუ თექვსმეტი სტრიქონი დაეწერო და შიგ ჩავუმატო; შეიძლება ისიც გაიზეპიროთ?

პ ი რ ვ ე ლ ი ა ქ ტ ო რ ი

ბატონი ბრძანდებით.

ჰ ა მ ლ ე ტ

ძალიან კარგი, წაჰყევით მაგ კაცს, მაგრამ სასაცილოდ კი არ აივდოთ.

(აქტორები გადიან)

(როზენკრანცს და გილდენსტერნს) მეგობრებო, ამალამადის თავი უნდა დაგანებოთ. კიდევ და კიდევ მიხარის თქვენი ელსინორას მოსვლა.

როზენკრანც

გმადლობთ, ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ თქვენც. —

(გადიან როზენკრანცს და გილდენსტერნს)

ძლივს მარტო დავერჩი.

სწორედ მონა ვარ მაწანწალა და ყურმოჭრილი!

ნუთუ არ არის საოცარი, რომ ამ აქტორსა

მხოლოდ ამბავმა მოგონილმა, ცრუ აღლევებამ

სულისკვეთება შეუწონა მისვე ოცნებას,

შეხედულობა შეუშალა, უცვალა ფერი,

თვალთავან ცრემლი გამოსწურა, ხმა მიუსუსტა

და შეუტყუა სრულად მისი აგებულება!

ყველა ეს ვისთვის? ჰეკუბასთვის. მერე რა არის

ჰეკუბა მისთვის, ან თითონ ეგ ჰეკუბასათვის,

რომ ასე ცხარე ცრემლსა ჰღვრიდა? ოჰ, რას იზამდა,

ჩემი ნალველი და ტკივილი რომ გულს ჰქონოდა!

ცრემლით წარღვნიდა მაშინ სცენას და მსმენელთ ყურებს  
 ზარდაცემულთა დაახშობდა; ჭკვიდამ შეშლიდა  
 ბრალისა მქონეს, შეაკრთობდა თვით უბრალოსაც,  
 დაიმონებდა ჩვენსა სმენას და მხედველობას.  
 მე კი უმზგავსი, უგრძობელი, გაუბედავი  
 საქმეს ვეჭევი, თითქო მე არ შემეხებოდეს  
 და ხმას არ ვიღებ, არ ვიღებ ხმას იმ ხელმწიფისთვის,  
 რომელს გვირგვინიც და სიცოცხლაც უძვირფასესი  
 ავაზაკებრივ გამოსტაცეს იმ დაწყევლილთა.  
 განა მხდალი ვარ? ვნახოთ, აბა, ვის გაქვთ სურვილი,  
 მოხვიდეთ, ურცხვი დამიძახოთ და თავში ჩამკრათ,  
 თუნდა ეს წვერი დამაგლიჯოთ, პირს მომაცაროთ,  
 თუნდა სიცრუის ცილი ძალად მაკისრებინოთ,  
 თუნდა პირის-სახე შემიგინოთ?... ყველას ავიტან...  
 ავიტან-მეთქი... ვითომ არა? რა არის ჩემთვის  
 შეურაცხყოფა? მე ხომ მტრედის გულ-ღვიძლი მიძევს  
 და არც ნაღველა გამაჩნია, რომ ვიგრძნო რამე.  
 ეს რომ არ იყოს, ყვავე-ყორანნი ამა ქვეყნისა  
 იმ მონის მძოვრით აქამდისაც უნდა დამეძლო!  
 ოჰ, სისხლის მსმელო, ვარყვნილებით აღსავსევე, წუწკო,  
 პილწო, მურტალო, მოღალატევე. უსინიდიისო!..  
 სწორედ ჭკუიდამ დავიცალე, — ვიშ ვაჟეცობავე,  
 ძვირფასი მამა მომიკლეს მე და იმის შვილსა  
 შურისძიებად მიმიწვევენ ზეცაც, ქვესკნელიც,  
 მე კი უბრალო ლაპარაკით გულისჯავრს ვიკლავ  
 და ვიწყევლები, ვიგინები როსკიბ ქალივით.  
 ფუ, ამ სიცოცხლეს! კმარა, უნდა ჭკვა მოვიკრიფო:  
 გამიგონია, რომ როდესაც ცოდვიანები  
 თავიანთ ცოდვის მზგავსსა რასმე თეატრში ნახვენ,  
 გულდაკოდილნი მყის ამ ცოდვას თვითვე ამხელენ,  
 კაცის მოკვლასთან თუმც ისპობა მეტყველებაცა,  
 მაგრამ თვით ცოდვა სასწაულად შეჰქმნის ღალადსა.  
 მე ამ აქტორებს მამიჩემის მოკვლის მზგავსს რასმე  
 ბიძაჩემის წინ ვათამაშებ და თვალს ვადევნებ,  
 წყლულსაც ერთგულად გავუხსინჯავ და თუკი შეკრთა,  
 მაშინ მე ვიცი, თვით გავიგნებ მაშინ ჩემ გზასა.



იქნება მართლა მე რომ ვნახე, იგი აჩრდილი  
ეშმაკიც იყო, და ეშმაკს ხომ, როდესაც უნდა,  
შეუძლიან თვით საამური სახე მიიღოს.

იქნება იმან განიზრახა ჩემი დალუპვა,  
რადგან ჩემებრივს სევდიან და სუსტ ქმნილებაზედ  
მავნედ მოქმედობს ძლიერება ავის სულისა.  
სჯობს, რომ საბუთი უფრო მტკიცე მეჭიროს ხელში.  
ეს წარმოდგენა მე გამიმხელს მეფის სინიღისს.  
(გადის).

## მ ო ქ მ ე ღ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

### ს უ რ ა თ ი I

ოთახი სასახლეში.

(შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, პოლონიუს, ოფე-  
ლია, როზენკრანც და გილდენსტერნ).

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაშ ვერ შესძელით, ლაპარაკში ვერ შეამჩნიეთ,  
თუ რა მიზეზით მიუღია შეშლილის სახე,  
და სიგიჟისა ქარტეხილით აღშფოთებული  
რისთვის იმწარებს იგი ასე მშვიდსა ცხოვრებას?

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

თვისი ჭკვით შეშლა აღვიარა თავის პირითვე,  
მაგრამ მიზეზი ვერა ღონით ვერ ვათქმევინეთ.

### გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ისიც შევატყუეთ, ხელმწიფეო, რომ ეს გამოცდა  
საწყენად დარჩა და ცდილობდა, შორს გავდგომოდა  
ჭკვიდამ შეშლილის კაცის ხერხით, როდესაც კი ჩვენ  
მას მივიყვანდით თავის სევდის მიზეზის თქმამდე.

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

კარგად მიგილოთ?

როზენკრანც

ჩინებულად, დიდის თავაზით.

გოლდენსტერნ

თუმცა თავის თავს, შევამჩნიეთ, ძალას ატანდა.

როზენკრანც

არა გვიფხრა—რა თითონ, მაგრამ არც ერთ ჩვენ კითხვას უპასუხოდა არ სტოვებდა, ჩემო ხელმწიფევ.

დედოფალი

ხომ არა სცადეთ, რომ გაგერთოთ იგი როგორმე?

როზენკრანც

როდესაც მასთან, დედოფალო, გახლებლით, გზაზედ აქტორებს შევეყარეთ აქ მომავალთა და ეს ამბავი თვით ჰამლეტსაც შევატყობინეთ. ფრიად საამოდ მიიჩნია და მგონი, ბრძანა, რომ ამაღამვე წარმოღგენა გაამართვინონ. ის აქტორები სასახლეში გახლავან ეხლა.

პოლონიუს

სწორედ აგრეა და მეც მთხოვა, რომ მოგახსენოთ, ინებოთ და თქვენც წამობრძანდეთ წარმოღგენაზედ.

ხელმწიფე

სიამოვნებით დავესწრები და დიდად ვხარობ, რომ ეგ სურვილი გულს აღძვრია. გთხოვთ, ყმაწვილებო, კიდევაც ეგრე გაართოთ და წაახალისოთ.

როზენკრანც

ღმერთმა სხვაც ბევრი სამსახური შეგვაძლებინოს.

(გაღიან როზენკრანც და გოლდენსტერნ).

ხელმწიფე

წადი, გერტრუდა, სატრფოვ ჩემო, მარტო დაგვტოვე. ჩვენ მოვახერხეთ, რომ ჰამლეტი აქ გამოივლის და ოფელიას ვითომ უცბად წინ შეეყრება. პოლონიუსი და მე აქვე დავიმალებით, როგორც ჯაშუშნი დადგენილნი კანონიერად, —

თვით უჩინარნი, მაგრამ სხვების კარგად მხედველნი.  
იმის შეხვედრას და მის ქცევას მყის შეეტყობა,  
თუ იგი სენი სიყვარულის სევდის ბრალია.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეხლავ მივდივარ. — ოფელია, ღმერთმა ინებოს,  
რომ მართლა ეგე გულმომტაცი შევნიერება  
იმის ჭკვით შეშლის ბედნიერი მიზეზი იყოს.  
მაშინ იმედი ეს მექნება, რომ სათნო ქცევით  
მას ჩვეულ გზაზედ დააყენებ ორთავ სალხენად.

ო ფ ე ლ ი ა

ღმერთმა ინებოს, დედოფალო, ნატვრა ავიხდეთ.  
(დ ე დ ო ფ ა ლ ი გადის).

პ ო ლ ო ნ ი უ ს

შენ აქ იარე, ოფელია. — ჩემო ხელმწიფევე,  
აქეთ მობრძანდით, აქ დადევით. — (ოფელიას) აჰა, ეს წიგნი,  
ვითომ კითხულობ. წიგნით ხელში რომ დაგინახავს,  
შენი მარტოკა ყოფნა აღარ ეუცხოება.  
გასაკიცხნი ვართ თუმც ამისთვის, მაგრამ კი ხშირად  
ფარისევლობით, ვითომ-სათნო სახის ჩვენებით  
ჩვენს ეშმაკეულ ბუნებასაც წმიდანად ვსახავთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე (იქით)

ოჰ, რასაც ამბობ, მართალია, ყოვლად მართალი!  
როგორ მწვავეად ჰკბენს მისი სიტყვა ჩემ სინიდისსა!  
ფერუმარილით წათხუპნილის როსკიპის სახე  
არ არის ისე საზიზღარი, ვით ცოდვა ჩემი,  
გამოხვეული ფერად-ფერად სათნო სიტყვებში.  
მძიმე ყოფილხარ, ცოდვის ტვირთო!

პ ო ლ ო ნ ი უ ს

ჩემო ხელმწიფევე,

მგონია, მოდის, შევეფაროთ აი აქეთკენ.  
(გაღიან ხ ე ლ მ წ ი ფ ე და პ ო ლ ო ნ ი უ ს. შემოდის ჰ ა მ ლ ე ტ.)

ჰ ა მ ლ ე ტ

ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის.  
სულდიდ ქმნილებას რა შეჭფერის? ის, რომ იტანჯოს

და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,  
 თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას  
 და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე...  
 ბოლო მოუღოს... მიიძინოს... სხვა არაფერი...  
 ამ მიძინებით გათავდება ის გულისქენჯნა  
 და ათასი სხვა ბუნებრივი უკულმართობა,  
 რაიც ხორცშესხმულ ადამიანს წილად ხდომია.  
 განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?  
 მოვსპოთ სიცოცხლე... დავიძინოთ... რომ დავიძინოთ,  
 მერე სიზმრად იქ ვნახავთ რასმე?.. ძნელი ეს არის,  
 არ ვიცით მაშინ რა სიზმრები მოგვევლინება,  
 როს სიკვდილის ძილს მივეცემით და მოვშორდებით  
 მოკვდავთ ცხოვრების მღელვარებას! აი ეს გვიშლის  
 და გრძელს ცხოვრებას ჩვენსას იგი გრძელ ტანჯვადა ჰხდის.  
 ვინ მოითმენდა უამისოდ უამთა სიმწარეს,  
 მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას,  
 ტანჯვასა მწვავსა უარყოფილ სიყვარულისას,  
 მართლმსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეზობას,  
 შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან, —  
 მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით?  
 ვინა ზიდავდა ჯაფით, კენესით ამ სიცოცხლის ტვირთს,  
 რომ არა გვქონდეს იმის შიში, თუ სიკვდილ-შემდეგ  
 იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს,  
 სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება.  
 ეს შიში გვიხშობს ნებისყოფას და უფრო ვრჩევობთ  
 შემოჩვეულის და ნაცნობის ჭირის ატანას,  
 ვიდრე უცნობის შესახვედრად მისწრაფებასა.  
 აი ასე გვხდის ლაჩრად ჩვენზე ცნობიერება,  
 გაბედულობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა  
 და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ  
 წინ ეღობება. — ოფელია! ჩუმიად ახლა კი. —  
 მოიხსენიე შენს ლოცვაში, ჰოი, ფერიავ,  
 ჩემი ცოდვები.

ო ფ ე ლ ი ა

ამ ბოლოს დროს როგორ ბრძანდებით,  
 ხელმწიფისშვილო?

### ჰ ა მ ლ ე ტ

დიდად გმადლობთ, კარგად გახლავართ.

ო ფ ე ლ ი ა

მე სახსოვრები რომ მაქვს თქვენგან, დიდი ხანია,  
მინდოდა უკან მომერთმია, აი, ინებეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

სცდებით, მე თქვენთვის არაფერი არ მომიცია.

ო ფ ე ლ ი ა

თქვენ კარგად იცით, რომ მიბოძეთ და იმ სახსოვრებს  
ამოდ-სასმენი სიტყვებიც თან გამოატანეთ,  
რომელთაც ძვირფასს ნივთთ ღირსება გაუასკეცეს.  
მდიდარს საჩუქარს სულგრძელისა მიმღებისათვის  
ფასი აღარ აქვს, თუ გამცემი გაგულცივდება.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჰაა? მაშ შენ პატიოსანი ქალი ხარ!

ო ფ ე ლ ი ა

ბატონო ჩემო!

ჰ ა მ ლ ე ტ

ლამაზიცა ხარ!

ო ფ ე ლ ი ა

რა გასურთ, ბრძანოთ, ხელმწიფისშვილო?

ჰ ა მ ლ ე ტ

ის, რომ თუ პატიოსანი ხარ და ლამაზიც, შენს პატიოსნებას  
სილამაზესთან ხელი არ უნდა ჰქონდეს.

ო ფ ე ლ ი ა

სილამაზე პატიოსნებაზედ უკეთესს ამხანაგს როგორ იშო-  
ვის?

ჰ ა მ ლ ე ტ

მართალს ამბობ: სილამაზეს უფრო ადვილად შეუძლიან პა-  
ტიოსნება გაიმაჭანკლოს, ვიდრე პატიოსნებამ სილამაზე თავის  
მზგავსად გარდაქმნას. უწინ ეს დასაჯერებელი არ იყო, მაგრამ  
ეხლა კი დრომ მოიტანა. მე შენ ერთხელ მიყვარდი.

ო ფ ვ ლ ი ა

მეც მჭეროდა თქვენი სიყვარული.

ჰ ა მ ლ ე ტ

არ უნდა დაგეჭვებინა; სათნოება ისე ვერ შეეთვისება ჩვენს დაბერებულს ბუნებას, რომ ამ სიბერის ნიშანი მაინც არა დაგვრჩეს—რე. მე შენ არა მყვარებიხარ.

ო ფ ე ლ ი ა

მით უფრო შემცდარი ვყოფილვარ.

ჰ ა მ ლ ე ტ

მონასტერში წადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზედ ცოდვიანები გაამრავლო? აი თუნდ მეც, არა მგონია უპატიოსნო კაცი ვიყო, მაგრამ იმდენი ნაკლულევანება მაქვს, რომ ემჯობინებოდა დედიჩემის მუცლიდან არა ვშობილიყავ. მე მეტისმეტად ამპარტავანი ვარ, ჯავრისგადამხდელი, პატივისმოყვარე: გულში იმდენი ავი განზრახვა მიტრიალებს, რომ გონებაში აღარ მეტევა, თვალთ ვერ წარმომიდგენია და დროც არა მყოფნის მათ შესასრულებლად. რისთვის დაძვრებიან ჩემისთანა სულდგმულები ცისა და დედამიწის შუა? ჩვენ ყველანი ნამდვილი მატყუარები ვართ. ნურც ერთს ნურას დაგვიჯერებ: წადი მონასტერში. — მამაშენი სად არის?

ო ფ ე ლ ი ა

შინ გახლავთ, ხელმწიფისშვილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

კარები მაგრა ჩაუკეტე, რომ თავის სახლს გარეთ მასხარობა ვერსად შესძლოხ. [მშვიდობით.]

ო ფ ე ლ ი ა

ღმერთო მოწყალეო, შენ შეეწიე.

ჰ ა მ ლ ე ტ

თუ ქმარს შეირთავ, ეს სიმწარე მზითვად გამომიტანებია: ყინულსავით რომ უმანკო იყო და თოვლსავით წმინდა, მაინც ცილისწამება არ აგცდება. გუებნები, მონასტერში წადი. მშვიდობით, თუ მაინცა და მაინც ქმარს შეირთავ, სულელი შეირ-

თე, თორემ ჭკვიანებს კარგად ესმით, რა საშინელებასაც იმათ უმზადებთ. მონასტერში წადი, წადი ჩქარა, მშვიდობით.

ო ფ ე ლ ი ა

ძალნო ციურნო, თქვენ დაუბრუნეთ თავის გონება.

ჰ ა მ ლ ე ტ

ისიც კარგად ვიცი, რომ თქვენ მხატვრობას ძალიან მისდევეთ. ღმერთმა ერთი სახე მოგცათ და თქვენ მეორეს იკეთებთ. დახტით, თამაშობთ, დაჩურჩულებთ, მეტს სახელს უგონებთ ღვთისგან გაჩენილს ადამიანს და ამ უწესო ქცევის მიზეზად უმანკოებას ასახელებთ. კარგი, ამაზედ ლაპარაკს თავი უნდა დავანებო. კიდევაც ამან გამაგიჟა. მე ვამბობ, ქორწილებს თავი დავანებოთ-მეთქი. ვინც კი ეხლა დაქორწილებულია, ყველამ უნდა იცოცხლოს, ერთის გარდა. სხვები ისე დარჩნენ, როგორც არიან. მონასტერში წადი-მეთქი.

(გაღის).

ო ფ ე ლ ი ა

ოჰ, რა დიდებულს ჭკვა-გონებას ეწია ბნელი!  
სასახლის თვალსა, ენამჭევრსა, ვაჟკაცობით სრულს,  
იმედსა და ვარდს ამ მშვენიერ სახელმწიფოსას,  
სამაგალითოს ზნეობის და ყოფა-ქცევისთვის!  
დაემხო იგი და მე უნდა ყოვლად ბედკარული  
მას ვუყურებდე, მას, სულგრძელს და გონებამადალს,  
ვისგან თაფლივით საამური აღთქმა მსმენია,  
ეხლა მაჟღერალს გაბზარულის ზარისა მზგავსად,  
შეუდარებელს კოკორს დამზრალს სიგიჟის ქარით.  
ვაი ჩემს ყოფას, რას ვხედავდი და აწ რას ვხედავ!  
(შემოდინ ხ ე ლ მ წ ი ფ ე და პ ო ლ ო ნ ი უ ს ი).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

არა, ეგ სენი სიყვარულის ბრალი არ არის  
და ლაპარაკშიც ვერ შევატყე ჭკუიდან შეშლა,  
თუმცა მის სიტყვებს დალაგება ცოტა კი აკლდა.  
მაგას რაღაცა სევდის თესლი გულს ჩაბნევია  
და სახიფათო უნდა იყოს, ვგონებ, იმ თესლის  
აღორძინება. ამ ხიფათის ასაცილებლად,

მე მომივიდა უცებ აზრად, რომ ის საჩქაროდ  
გავგზავნოთ ინგლისს ასაკრეფად დარჩენილ ხარკის.  
ეგება ზღვებმა, უცხო მხარემ, უცხო საგნებმა  
გადაუყარონ უცნაური ეგ გულისდარდი,  
რაც მას გონებას უავადებს, ცნობას უკარგავს.  
აბა ამისას შენ რას მეტყვი?

პოლონიუს

სრული სიმართლე

ბრძანეთ, ხელმწიფევე, თუმცა კიდევ მე ამას ვგონებ,  
რომ დასაწყისი, დასაბამი იმის სევდისა  
უარყოფილი, განდევნილი, სიყვარულია. —  
რაც პრინცმა გითხრა, ოფელია, ყველა გავიგეთ,  
გამეორებით ნულარაფერს გაიმეორებ. —  
ჩემო ხელმწიფევე, ვით გნებავდეთ, ისე განსაჯეთ,  
მაგრამ მე ვგონებ, თეატრ შემდეგ, კარგი იქნება,  
რომ დედოფალმა თვისი შვილი ცალკე გაიხმოს  
და მისი საქმე გამოჰკითხოს, თუნდაც დასტუქსოს.  
თქვენის ნებართვით მეც იქ ახლო დავიმალები.  
თუ დედოფალიც ამ საუბრით ვერას გახდება,  
მაშინ, მეფეო, გაისტუმრეთ იგი თუნდ ინგლისს  
და თუნდა სხვაგან გადაჰკარგეთ.

ხელმწიფე

ეგრე მოვიქცეთ.

დიდკაცთ სიგიჟეს ეჭირვება მუდამ სიფრთხილე.  
(გადიან).

ს უ რ ა თ ი II

ოთახი იმავე სასახლეში.

(შემოდინან ჰამლეტ და რამდენიმე აქტორი).

ჰამლეტ

გთხოვ, ეს ლექსი ისე წარმოსთქვა, როგორც მე თითონ  
გაჩვენე, თავისუფლებით და ძალადაუტანებლად, მაგრამ თუ



ისეთი ყვირილი მორთე, როგორც ზოგიერთა ჩვენს აქტორებს ზნედა სჭირთ, სჯობს, ჩემი ლექსები ისევე ქუჩის გზირს ვათქმევინო. ნუ გააპობ ჰაერს, აი ასე, ხელების ქნევით და სიწყნარით მოიქეც. რაც უნდა ვნება ზღვასავით გულში გიღელავდეს, ქარიშხალსავით მრისხანებდეს და მორფესავით ვიტრიალებდეს, მაინც საამო ზომიერება იქონიე. სულს შიწუხებს სწორედ, როდესაც რომელიმე ახმახი და პარიკდახურული მოთამაშე თავის ღრიალით თავისსავე ვნებათღელვას ნაკუწ-ნაკუწად აქცევს; როდესაც იგი ყურებს უჭედავს მდაბალ მაყურებლებს, რომელთაც მოსწონთ მხოლოდ ან გაუგებარი ჟსიტყვო თამაშობა, ან მაღალი ხმაურობა. ამისთანა მოთამაშე სწორედ მათრახით ასაჭრელებელია; იგი ტერმაგონსაც აჭარბებს და იროდესაც. თუ ღმერთი გრწამს, ამას ერიდე.

### პ ი რ ვ ე ლ ი ა ქ ტ ო რ ი

თქვენი ბრძანება აღსრულებული იქნება, ჩემო ხელმწიფეე.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ნურც ძალიან მოდუნდები და შენივ გონიერება მრჩევლად იყოლიე. მოქმედება სიტყვას შეუფერე და სიტყვა მოქმედებას. უფროთხილდი, ჩვეულებრივს სიწყნარეს არ გადახვიდე, თორემ თეატრის მნიშვნელობას ხელს შეუშლი. თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს, სათნოებას მისი სახისმეტყველება აჩვენოს, ბიწიერებას მისი უმზგავსოება, დროებასა და ხალხს მათი ვითარება და ნაკვალევი. თუ ეს დანიშნულება ვერ შეასრულა, ან თუ გადაამეტა, იქნება რეგენები გააცინოს, მაგრამ გაგებულს ადამიანს კი შეაწუხებს და ერთის გაგებულის შეხედულება უნდა გერჩიოს მთელის თეატრისას. ოჰ, მე მინახვანან აქტორები, რომელნიც სხვებს უქიათ და ძალიანაც უქიათ, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, არც ლაპარაკის კილო, არც მიხვრა-მოხვრა მათი ადამიანისას არა ჰგვანებია — არც ქრისტიანისას, არც უსჯულოისას. ისე იჭიმებოდნენ და ღრიალებდნენ, გეგონებოდათ ბუნებას შეგირდები ჰყოლია და იმათ შეუქმნიათ ეს ადამიანები, მაგრამ კარგნი ვერ გამოსულან და იმისთვის ისე უმზგავსად ჰბაძვენ კაცობრიობასაო.

## პირველი აქტორი

ვგონებ, ბატონო ჩემო, რომ ეგ ჩვეულება საკმაოდ შეეცვალეთ.

### ჰამლეტ

შეცვლა რას ჰქვია, სრულიად მოსპეთ, — და თქვენს მასხარებსაც უთხარით, იმაზედ მეტს ნურას ილაპარაკებენ, რაც როლში უწერიათ; თორემ ზოგიერთნი უბრალო მაყურებელთა გასაციანებლად მორთავენ ხოლმე ხითხითს, თუნდა იმ დროს საჭირო იყოს სრული ყურადღება პიესის რომელიმე ძნელი ალაგის გასაგებად. ეგ მეტად უმართებულოა და ამტკიცებს მხოლოდ იმ მასხარების საცოდავ თავმოყვარეობას. წადით, მოემზადეთ. — (აქტორები გადიან. შემოდის პოლონიუსი,

როზენკრანცი და გილდენსტერი).

რა ამბავი იცით, ჩემო ბატონო, ხელმწიფე წარმოდგენას დაესწრება?

### პოლონიუსი

ხელმწიფეც და დედოფალიც ეხლავ აქ ინებებენ მობრძანებას.

### ჰამლეტ

მაშ წადი და აქტორები დააჩქარე.

(პოლონიუსი გადის).

ძალიან კარგს იზამთ, თქვენც წახვიდეთ და ხელი შეუწყეთ.

როზენკრანცი და გილდენსტერი

გიახლებით, ბატონო ჩემო.

(გადიან როზენკრანცი და გილდენსტერი. შემოდის ჰორაციო).

### ჰამლეტ

ოჰ, ჰორაციო, რა ამბავი იცი?

### ჰორაციო

მე გიახელით, ხელმწიფის შვილო, თქვენდა სამსახურად.

### ჰამლეტ

მერწმუნე, ჩემო ჰორაციო, რომ შენისთანა

პატიოსანი კაცი ჭერედ არ შემხვედრია.

ჩემო ხელმწიფევე...

ჰამლეტ

ნუ გგონია, გეფერებოდე.

ან რა მაქვს შენთან საფერაო, რას გამოველი?  
 შენი სიმდიდრე არის შენივე გონიერება  
 და მხოლოდ იგი გაცმევს, გხურავს და გასაზრდოებს.  
 ან ერთი მითხარ, მიფერება ღარიბს რად უნდა?  
 დამაქრულ ენამ დეე ლოკოს ფუჭი სიმდიდრე,  
 მუხლის თავები ხშირის მოყრით შემოიცივითოს  
 იქ, სადაც ლაქუცს სასყიდელი მოელის რამე.  
 იცი, რა ვითხარ: იმას აქეთ, რაც ჩემმა გულმა  
 თავისუფლება მოიპოვა კაცთ გარჩევისა,  
 შენ მიგითვისა და დაგბეჭდა თავისის ბეჭდით,  
 შენ, ვისაც ბევრი გიტანჯნია, მაგრამ არ იმჩნევ;  
 არ იმჩნევ არცა ბედისწყრომას, არც მისს წყალობას  
 და ორივესთვის თანაბრობით მადლობას სწირავ.  
 ნეტავი იმას, ვინც აგრეა შეზავებული  
 გრძნობით, გონებით; ვინც საკრავად ბედს არ მსახურებს  
 და იმის თითებს არ აყოლებს თავის გულისთქმას.  
 აბა, მიჩვენე ჯერ ისეთი კაცი მე სადმე,  
 რომელიც მონად ვნებათღელვას არ გახდომია  
 და მასაც შენებრ აქ ჩავისვამ, აქ, გულის სიღრმეს! —  
 გრძლად მომივიდა ლაპარაკი, სხვის თქმა მინდოდა:  
 მეფის წინაშე წარმოდგენა არის ამაღამ,  
 წარმოდგენენ იმ ამბის მზგავსს, რაც ამას წინად  
 მე შენ გაცნობე მამიჩემის სიკვდილ შესახებ;  
 და ამასა გთხოვ, ის სურათი რომ დაიწყება,  
 განუშორებლად ბიძაჩემზედ თვალი გეჭიროს.  
 თუ დაფარული მისი ცოდვა მაშინ ან ენით,  
 ან მიხვრა-მოხვრით არ გამხილდა, — უნდა დავრწმუნდე,  
 რომ სწორედ ავი სული იყო, რაც ჩვენა ვნახეთ  
 და ჩემს ოცნებას მისთვის აკრავს შავი და ბნელი,  
 როგორც სამჭედლოს ვულკანისას. შენ ფრთხილად იყავ  
 და მეც თვალებით ჩავეჭდობი მისს პირის-სახეს;  
 მასუკან იმის ქცევა ერთად ავწონ-დავწონოთ;

### პორაცია

მე მზად ვახლავართ და გარწმუნებთ, თუ რომ ის შესძლებს და მოპარვითა თაგის გრძნობას იმ დროს დამალავს, მე მიკისრია და მე გიზღავთ მაშინ ნაპარევს.

### ჰამლეტ

აგერ მოდიან, წარმოდგენას უნდა უყურონ.

შენს ალაგს დადგე; არ მინდა, რომ შემატყონ რამე.

(დანიის მარშე. საუგორის ხმა მოისმის. შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, პოლონიუს, ოფელია, როზენკრანცი, გილდენსტერნი და სხვანი).

### ხელმწიფე

როგორ იმყოფები, საყვარელო ძმისწულო ჩვეწო?

### ჰამლეტ

ძალიან კარგად ვახლავართ. ვიკვებები ქამელეონის საზრდოთი — ვიხლავებთ ჰაერს იმედებით შეზავებულს; ამ საჭმლით თქვენ ვარებთ ვერ დაასუქებთ.

### ხელმწიფე

შენი პასუხი ვერ გაგიგე, ჰამლეტ. ეგ სიტყვები მე არ მეკუთვნის.

### ჰამლეტ

ეხლა აღარც მე მეკუთვნის. — (პოლონიუსს) შენ, მგონია მითხარი, რომ უწივერსიტეტში ყოფნის დროს სცენაზე გითამაშნია?

### პოლონიუს

დიაღ, ხელმწიფისშვილო, მითამაშნია და კარგი აქტორის სახელიცა მქონდა გავარდნილი.

### ჰამლეტ

რასა თამაშობდი?

### პოლონიუს

მე ვთამაშობდი იულიოს კეისარს და კაპიტოლში მომკლეს. მე მომკლა ბრუტოსმა.

### ჰამლეტ

მაშ ის ბრუტოსი სწორედ ბრუტიანი ყოფილა, რომ მაგისთანა ჩინებული ხბო დასაკლავად გამოუმეტნია. აქტორები მზად არიან?

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

მზად გახლავან და თქვენს ბრძანებასლა ელიან.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

აქეთ მოდი, შეილო ჰამლეტ, ჩემს ახლო დაჯეგ.

ჰ ა მ ლ ე ტ

არა, დედაჩემო, აქ უფრო მიმზიდავი ანდამატია.

პ ო ლ ო ნ ი ე ს (ხელმწიფეს)

ხომ ჰხედავთ!

ჰ ა მ ლ ე ტ (ოფელიას)

ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ქვეშ ამოვეფარო?

(წამოწვება ოფელიას ფეხით).

ო ფ ე ლ ი ა

ვერა, ხელმწიფისშვილი..

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ვამბობ, თავი თქვენს კალთაზედ დავდო-მეთქი.

ო ფ ე ლ ი ა

ეგ კი თქვენი ნებაა.

ჰ ა მ ლ ე ტ

თქვენ იქნება გგონიათ, გულში ცუდი რამ განზრახვა მქონ-  
დეს?

ო ფ ე ლ ი ა

მე არა მგონია-რა.

ჰ ა მ ლ ე ტ

რა კარგია, რომ კაცი ქალის მუხლებთან იყოს წამოწო-  
ლილი.

ო ფ ე ლ ი ა

რას მიბრძანებთ, ხელმწიფისშვილო?

ჰ ა მ ლ ე ტ

არაფერს.

ო ფ ე ლ ი ა

თქვენ დღეს მხიარულად ბრძანდებით.

ჰ ა მ ლ ე ტ

ვინა? მე?

ო ფ ე ლ ი ა

ღიად, თქვენ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

არა თუ? მე ხომ თქვენი მასხარა ვარ, და ან კაცმა სხვა რა გააკეთოს, თუ არ იმხიარულოს? აი ხომ ხედავთ, დედაჩემს სახე როგორ უტყინის და მამაჩემი კი ამ ორის საათის წინად მოკვდა.

### ო ფ ე ლ ი ა

რას მიბრძანებთ? რატომ ორჯერ ორი თვე არ არის მას აქეთ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

იქნება მაგდენი ხანია? მამ ეშმაკმა ჩაიცვას შავი და ბნელი, მე კი ყარყუმის წამოსაბურავით მოვირთობი. დემერთო ჩემო, კაცი ორი თვეა მკვდარია და ჯერ კიდევ არ გამოუგლოვიათ. მამ იმედია, სახელოვანი კაცის ხსენება ნახევარ წელიწადსაც გადააცილებს. მაგრამ, თუ რამდენიმე ეკლესია არ ააშენა, იმის სახელსაც ისეთივე ბედი მოელის, როგორც ჯოხის-ცხენს, რომელზედაც ეს ეპიტაფიაა გამოთქმული:

„ჯოხის ცხენი  
მოკვდა ჩვენი,  
საუკუნოდ მოსახსენი!“

(მოიხმის ხაყვირის ხმა. უხიტვეო სანახავი).

(შემოდინ აქტორი და აქტრიცა ხელმწიფისა და დედოფლის ტანსამოსში, ერთმანეთს უალერსებენ და ეხვევიან).  
**დედოფალი** დაიჩოქებს და გრთგულებას შეჰფიცებს. **ხელმწიფე** ფეხზე წამოაყენებს და თავს იმის მხარზედ დასდებს. მერე დაწვება ყვავილებით დაფენილ სკამზედ. დედოფალი, ხელმწიფეს მძინარეს რომ დაინახავს, გავა. შემდეგ შემოვა ერთი აქტორი, მოხდის გვირგვინს, ემთხვევა ამ გვირგვინს, მძინარე ხელმწიფეს ყურში საწამლავს ჩააწვეთებს და გადის. დედოფალი შემობრუნდება, ნახავს, რომ ხელმწიფე მკვდარია და მწუხარებას მოჰყვება. მომწამლავი და ორისამი კიდევ სხვა აქტორი შემობრუნდებიან და დედოფალთან ერთად ვითომ სტირიან. ხელმწიფის გვამი გააქვთ. მომწამლავი დედოფალს საჩუქრებს უძღვნის და ცოლად თხოულობს. დედოფალი ჯერ უარზედა დგას, მაგრამ ბოლოს დათანხმდება. გადიან).

### ო ფ ე ლ ი ა

ეს რას ნიშნავს, ხელმწიფისშვილო?

### ჰ ა მ ლ ე ტ

ეს ნიშნავს, რომ აქ რალაც ბოროტებაა დაფარული.

### ო ფ ე ლ ი ა

უთუოდ ეს სანახავი წარმოდგენის შინაარსია.

(შემოდის პ რ ო ლ ო გ ი).

### ჰ ა მ ლ ე ტ

აი ეს ვაჟბატონი ყველაფერს შეგვატყობინებს; აქტორებს არაფრის დამალვა არ შეუძლიანთ, ყველაფერი უნდა წამო-როშონ.

### ო ფ ე ლ ი ა

მაშ იმასაც აგვიხსნის, თუ ეს სანახავი რას ნიშნავს.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ავვიხსნის, როგორ არა. და თუ თქვენც უჩვენებთ თქვენს სანახავს, აუხსნელს არც იმას დასტოვებს. ოღონდ თქვენ სანახავის ჩვენება ნუ შეგვრცხვებათ და ახსნას ეგ არ მოერიდება.

### ო ფ ე ლ ი ა

არაფერს არა ჰგავს, ხელმწიფისშვილო, ეგ ლაპარაკი. ნება მიბოძეთ წარმოდგენას ყური დაეუგდო.

### პ რ ო ლ ო გ ი

„მოწიწებითა ვითხოვ მოთმენას  
და ტრაგედიის თქვენგან მოსმენას“.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ეს პროლოგია, თუ ბეჭდის ზედწარწერა?

### ო ფ ე ლ ი ა

მართლა რომ ძალიან მოკლეა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

როგორც ქალის სიყვარული.

(შემოდის აქტორი და აქტრისა ხელმწიფისა და დედოფლის ტანისამოსში).

### აქტორი-ხელმწიფე

„ფეხოსის ეტლმა ოცდაათგზის შემოუარა  
გარს ნეპტუნისა ზღვათ-სამეფოს და რგვალსა მიწას,

თორმეტმა მთვარემ ოცდაათგზის გადმოგვაყარა  
სხივნი, რომელნიც მიუღო შუქს სხვა მნათობისას,  
მას აქეთ, რაც ჩვენ, ორთავ ტრფობა გულს დაგვემყარა  
და ქვეშ მოგყევით წმინდა უღელს ქორწინებისას“.

ა ქ ტ რ ი ს ა-დ ე დ ო ფ ა ლ ი

„ნეტავ მაგდენგზის მოივლიდეს მზე და მთოვარე  
კიდევ, ვიდრემდე მოგვესპობა ეს ტრფიალება,  
მაგრამ ვწუხვარ, რომ ამ ბოლოს დროს გულს გადიფარე  
სევდის ღრუბელი და დაჰკარგე შენივ მზგავსება!  
ეს ეჭვს მიბადებს, თუმც ამ ეჭვს ნუ შეუშინდები,  
რადგანაც ქალის ეჭვი მოსდევს მხოლოდ სიყვარულს;  
ეს ორივ გრძნობა ერთად არის დანაბადები,  
ან არარაობს, ან ძალს იჩენს ზომას-გარდასრულს.  
ჩემს სიყვარულში ხომ დარწმუნდა აწ გული შენი  
და ვით მეზრდება სიყვარული, შიშიც მეზრდება,  
დიდ სიყვარულთან ეჭვიც ხდება ძნელმოსათმენი  
და შიშთან ერთად სიყვარულიც განძლიერდება“.

ა ქ ტ ო რ ი-ხ ე ლ მ წ ი ფ ე

„ჰოი, სატრფოო, მალე უნდა გავუდგე შორ გზას,  
მე დაუძღლურდი და აღარ მაქვს სხეულში ღონე;  
შენ აქ იცხოვრებ, ამ ქვეყანას შვენიერს და მზას  
ყოვლის სულისთვის საყვარელი, დარდის არმქონე,  
იქნება შეხვდე მალე კიდევ ჩემებრ ერთგულ ქმარს...“

ა ქ ტ რ ი ს ა-დ ე დ ო ფ ა ლ ი

„მაგას რას ამბობ! ნუ მაჩვენოს ღმერთმა სხვა ქმარი,  
ნუ გამიტაროს ეგ დალატი დაწყლულებულ გულს!  
წყუელიმც ვიყო, თუ ოდესმე გიხილო მკვდარი  
და სხვა ქმრის შერთვით ვაგნო კიდევ შენს გაწმენდილ სულს!“

ჰ ა მ ლ ე ტ

ეს აბზინდაა, აბზინდა.

ა ქ ტ რ ი ს ა-დ ე დ ო ფ ა ლ ი

„მეორედ ქალი სიყვარულით ვერ გათხოვდება,  
მიზეზად მხოლოდ ანგარიში მას უნდა ჰქონდეს; —



ეგ პირველის ქმრის კვალად სიკვდილს ხომ ეგვანება,  
რომ მის საწოლში სხვა მკოცნიდეს და მეხვეოდეს“.

### აქტორი-ხელმწიფე

„მჯერა, რომ ეხლა გულმართლად სთქვი შენი სურვილი,  
მაგრამ ვივიწყებთ ხშირად ჩვენვე ჩვენგან განზრახულს, —  
განზრახვა არის ხსოვნისათვის მონა მორჩილი,  
იშვის ძლიერი და დაჰკარგავს ბოლოს ძლიერს სულს,  
როგორც რომ ხეზედ მაგრად ებას ჯერ მკვანხე ხილი  
და მერე მწიფე მოსწყდეს ხესა არც-კი შერხეულს.  
ძნელი ეს არის, სამწუხაროდ, რომ გვავიწყდება  
ის ვადეუხადოთ ჩვენსავ თავსა, რაცა გვდევს ვალად  
და რასაც ვაზრობთ, როცა გული აგვიღელდება,  
მლელვარებისა შემდეგ იგი გაჰქრება კვალად.  
ჰმუნვა და ლხინი მით იჩენენ თვის ძლიერებას,  
რომ თვისთან ერთად სპობენ მყისვე თავიანთ ნაყოფს,  
როს ჰმუნვა ჰმუნვობს და როს ლხინი ეძლევა შვებას,  
მცირედ მიზეზით შეიცვლიან გრძნობას და სამყოფს.  
წუთისსოფელი წუთისაა და რად გვიკვირდეს,  
რომ ბედთან ერთად სიყვარულსაც ფერი ეცვლება,  
რადგან ჯერ კიდევ საჭიროა, რომ ეს გამხილდეს, —  
ბედს მოსდევს ტრფობა, თუ ტრფობასა ბედნიერება.  
დიდკაცს დამხობილს მეგობრები შემოეცლება,  
ზე აღწეული იმეგობრებს მოსისხლე მტერსა,  
დღემდის ხომ ვხედავთ, სიყვარული ბედს თავს ევლება,  
და ქონებითა გულს მოუგებ თუნდა მთელ ერსა.  
გაჭირვებაში ვინც გამოსცდის ცრუ მეგობარსა,  
მტრად გადაიქცევეს. — წელანაც ვთქვი და ვამბობ კვალად:  
სურვილი ჩვენი და ბედი ერთს არ მისდევს გზასა,  
და ხშირად ჩვენი განზრახული რჩება განზრახვად.  
აი ხომ ამბობ: „არ შევირთავ მეორე ქმარსა“,  
მაგრამ ეგ აზრი გაჰქრება, როს მნახავ საფლავად“.

### აქტორისა-დედოფალი

„მიწამ ნუ მომცეს საზრდოება, ნურც ზეცამ სხივი,  
მომესპოს სრულად მოსვენება, სიამოვნება,  
განწირულებად შემეცვალოს იმედი ტკბილი

და საპრობილედ გადამექცეს ქვეყნიერება;  
დეე შემაშრეს საუკუნოდ პირზედ ღიმილი,  
სიხარულის წილ ჩამინერგდეს გულს მწუხარება,  
ნურც აქ, ნურც ზეცას გამინელდეს მწვავე სახმილი,  
თუ რომ შენ შემდეგ განვიზრახო მე გათხოვება!“

ჰ ა მ ლ ე ტ (ოფელიას)

ეხლა ეს ფიცი რომ გასტეხოს?..

ა ქ ტ ო რ ი-ხ ე ლ მ წ ი ფ ე

„ემარა ეგ ფიცი, საყვარელო, დამტოვე მარტო!  
გულს დამიმძიმდა და მცირედ მსურს ძილს მივცე თავი,  
მსურს რომ მოსაწყენს დღესა ამას თვლემით გავერთო“.

ა ქ ტ რ ი ს ა-დ ე დ ო ფ ა ლ ი

„ოჰ, მოისვენე, ღმერთმა ნუ ჰქმნას ჩვენ შორის ავი“.  
(გაღის).

ჰ ა მ ლ ე ტ

დედოფალო, როგორ მოგწონს ეს წარმოდგენა?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე ვგონებ, დედოფალი მეტად მძიმე აღთქმასა სდებს.

ჰ ა მ ლ ე ტ

მართალია, მაგრამ თავის სიტყვას კი შეასრულებს.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

შენ უნდა იცოდე, ჰამლეტ, აზრი ამ წარმოდგენისა. უსიამოვნო ხომ არა არის-რა?

ჰ ა მ ლ ე ტ

არა, სრულიადაც არა, ეგენი ხუმრობენ და ხუმრობითვე სწამლავენ ერთმანეთს. უსიამოვნო არა არის-რა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რა ჰქვიან ამ წარმოდგენას?

ჰ ა მ ლ ე ტ

თაგვების მახე, დიად, დიად, მახე სხვა მნიშვნელობით.  
მაგისთანა მკვლევლობა ვენაში მომხდარა: გონზავო მთავრის  
სახელია, ცოლს ჰქვიან ბაპტისტა. ეხლავე ნახავთ ყველა-

ფერს. — მეტად ავაზაკური საქმეა, მაგრამ რა გვენაღვლებს! თქვენს დიდებულებასა და ჩვენ სინიღისი წმინდა გვაქვს და ეგ ვერ შეგვეხება. არა? ვისაც ნიორი უჭამია, პირიც იმას დაეწვას.

(შემოდის მეორე აქტორი, ლუციანუსი).

ამას ლუციანუს ჰქვიან, მთავრის ძმისწულია.

ო ფ ე ლ ი ა

თქვენ სწორედ თეატრის დასის მაგიერობასა სწევთ, ხელმწიფისშვილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

მგ შემეძლო თქვენსა და თქვენს საყვარელს შორის შუამავლის მაგიერობაც გამეწია, თუ პატარი სათამაშოებს ჩემ თვალწინ ათამაშებდით.

ო ფ ე ლ ი ა

თქვენ მწარედ მახვილობთ, ხელმწიფისშვილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

და თქვენც თუ გინდათ ეს მახვილი დამიჩლუნგოთ, უკვნესლად ვერ გადამიჩნებთ.

ო ფ ე ლ ი ა

თანდათან უარესსა ბრძანებთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

დიაღ, როგორც თქვენ თანდათან უარესს კმრებს ირთავთ. — დაიწყე, მკვლელი, ანებე თავი მაგ შენი წყეულის სახის პრანჭვას და საქმეს შეუდექე, აბა, ჰა! „ყორანი ჩხავის და მიგვიწვევს შურისძიებად“.

ლ უ ც ი ა ნ უ ს

„ფიქრი მაქვს შავი, წამალიც მზად და დროც საჩვენო, მკლავიც მიჭრის და არც გარსა სჩანს ადამიანი... შემდგარო ღამის ბალახებით, ბედშავო წვეწო, შენ, რაც ჰეკათის გრძნებით სამგზის ხარ გესლიანი, გთხრვ, მაგ ბუნების ძლიერებით ეს შეაჩვენო, და გამოსწირო მის სიცოცხლე ტკბილად სვიანი“.

(მძინარეს ყურში საწამლავს ჩააწვეთებს).

### ჰ ა მ ლ ე ტ

ბაღში მოსწამლა იმის სახელმწიფოს ხელთ მოგდებისათვის; სახელად ჰქვიან გონზაგო. ეს ამბავი ნამდვილია და ჩინებულის იტალიურის ენით არის დაწერილი. ეხლავე ნახავთ, თუ მკვლელი როგორ მოიგებს გონზაგოს ცოლის გულსა.

### ო ფ ე ლ ი ა

ხელმწიფე აბრძანდა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

რაღა? მოჩვენებულმა ცეცხლმა ხომ არ შეაშინა!

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ ბრძანდებით, ხელმწიფეო ჩემო?

### პ ო ლ ო ნ ი უ ს

შეაჩერეთ წარმოდგენა, ჩქარა, ჩქარა!

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სანათი მოიტანეთ და წავიდეთ აქედამ.

### პ ო ლ ო ნ ი უ ს

სანათი, სანათი, სანათი!

(გადიან ყველანი, გარდა ჰორაციოსი და ჰამლეტისა).

### ჰ ა მ ლ ე ტ

„დაჭრილ ირემს ცრემლები სდის,

ნუკრი ცქრიალებს,

რა ვუყოთ, რომ ეს ქვეყანა

ასე ტრიალებს!“

აბა ეს ლექსები, შუბლთან ბატის ფრთების ფრიალი და გარდები აჭრელებულ ფეხსაცმელზედ საკმაო არ არის, აქტორების დასში ჩავეწერო, თუკი ჩემმა ქისამ ჩემთან ერთად ფერი იცვალა?

### ჰ ო რ ა ც ი ო

რატომ? ნახეარ წილზედ.

ჰ ა მ ლ ე ტ

რადა, სრული კი არ მეკუთვნის?  
„დამონ, ქვეყნად ჩააჩუმეს  
ზევისის საყვირი,  
და ზევისისვე ტახტზე დასვეს  
დიდყურა... მხეცი“.

ჰ ო რ ა ც ი ო

განა რითმს ვერ მოაწყობდით?

ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო. იმ აჩრდილის თითო სიტყვა  
ათასი ოქრო ღირებულა. შენიშნე?

ჰ ო რ ა ც ი ო

ძალიან კარგად, ბატონო ჩემო.

ჰ ა მ ლ ე ტ

როცა მოწამლვაზე ლაპარაკი დაიწყეს...

ჰ ო რ ა ც ი ო

კარგად შევნიშნე ყოველისფერი.

ჰ ა მ ლ ე ტ

აა! მობრძანდით, მესალამურენო, ცოტა მუსიკით შეგვაქ-  
ციეთ,

რადგან, თუ მეფეს კომედია არ მოეწონა,  
ეტყობა იგი არ იამა, გულს განეწონა.  
(შემოდინ რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ).  
აბა, ცოტა მუსიკა გაგვაგონეთ.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ, ერთი სიტყვა მოგახსენოთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ბატონი ბრძანდები, თუნდა მთელი ისტორია მითხარ.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ხელმწიფე, ბატონო...

ჰ ა მ ლ ე ტ

რაო, რა მოუვიდა?

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ცალკე ოთახში წაბრძანდა და მეტისმეტად უქეიფოდ შეიქნა.

ჰ ა მ ლ ე ტ

ღვინის სმისაგან?

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

არა, ბატონო, ნაღველა აეშალა.

ჰ ა მ ლ ე ტ

მერე მაგდენი მიხვედრა მაინც უნდა გქონდეთ, რომ ექიმი-სათვის მიგემართნათ და არა ჩემთვის. თორემ მე რომ ჩემებური წამალი დავუნიშნო, იქნება იმ წამალმა უფრო დაანადგლიანოს.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ბატონო ჩემო, სჯობს, დალაგებით პასუხი მიბრძანოთ და ჩემს თხოვნას გარე-გარე არ უაროთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

აი, მოვშინაურდი, ბრძანე.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

დედოფალი, დედათქვენი, დიდად შეწუხებულია და თქვენ გაახლათ ჩემი თავი...

ჰ ა მ ლ ე ტ

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ხელმწიფისშვილო, ეგ ზრდილობა მოსატანი არ გახლავთ. თუ გნებავთ, რიგიანი პასუხი მიბოძოთ, შევასრულებ დედოფლის ბრძანებას! თუ არა, მაშინ კი მომიტევეთ, უკან გაიხლებით და ეს იქნება ჩემდა მონდობილის საქმის დასასრული.

ჰ ა მ ლ ე ტ

მე არ შემეძლიან.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

რა არ შეგიძლიანთ, ხელმწიფისშვილო?

ჰ ა მ ლ ე ტ

რიგიანი პასუხი მოგცეთ; მე გონებით ავად ვარ. მაგრამ რა პასუხის მოცემაც კი შემეძლიან, თქვენთვის ანუ თქვენის სი-

ტყვისამებრ, დედიჩემისათვის მიმირთმეგია. მამ პირდაპირ  
საქმეს შევუდგეთ: თქვენა სთქვით, რომ დედაჩემმა...

როზენკრანც

დედათქვენმა ბრძანა, რომ თქვენმა ქცევამ მეტად ააღლგა  
და განცვიფრებაში მოიყვანა.

ჰამლეტ

რა საკვირველი შვილი ვყოფილვარ, რომ დედაჩემიც კი  
განცვიფრებაში მომყავს! — მერე ეს რომ აღარ მითხარიო, ფუ  
რა მოჰყვა დედიჩემის ესეთს განცვიფრებას. — სთქვით.

როზენკრანც

დედოფალსა სურს, ვიდრე მოისვენებდეთ, თავიანთ ოთახ-  
ში მოგელაპარაკოთ.

ჰამლეტ

ჩვენ უნდა დავემორჩილნეთ, თუნდა ათჯერაც დედაჩენი  
იყოს. გაქვთ კიდევ რაიმე საქმე ჩემთან?

როზენკრანც

ბატონო ჩემო, თქვენ ერთხელ გიყვარდით მე.

ჰამლეტ (თავის ხელებს აჩვენებს)

ვფიცავ ამ მცარცველებს, ამ ქურდებს, რომ კიდევაც მიყ-  
ვარხარ.

როზენკრანც

ჩემო ხელმწიფევე, რა არის მიზეზი თქვენის უქეიფობისა?  
თუ შეგობარს მწუხარებას არ გაუმხელთ, მაშინ თქვენვე ხელს  
ზეუშლით თქვენის სენისაგან განთავისუფლებას.

ჰამლეტ

მე სამსახურში კარგ ადგილს არ მაძლევენ.

როზენკრანც

ეგ რა მოსაფიქრებელია, როდესაც თვით ხელმწიფემა  
ბრძანა, რომ დანიაში მისი მემკვიდრე თქვენა ბრძანდებით.

ჰამლეტ

მართალია, მაგრამ ხომ იცით, „პავლეს ტყავს გააძრობენ,  
სანამ...“ ეს ანდაზა ცოტა დაობებულია.

(შემოდინ აქტორებში და სალამურის დამკვრელნი).

აი, სალამურის დამკვრელნიც მოვიდნენ. — აბა ერთი ეგ სალამური მაჩვენე. — (გილდენსტერს) მაშ თქვენთან წამოვიდე? რად მივლით გარს ისე, თითქო ნადირი ვიყო და მახეში გაბმას მიპირებდეთ?

გილდენსტერს

ბატონო ჩემო, თუ ჩემი მოვალეობა მაკადნიერებს, ჩემი თქვენდამი სიყვარული თითქმის უზრდევლობასაც მახედვინებს.

ჰამლეტ

მე კარგად ვერ გავიგე, რა სთქვი. აბა ეს სალამური დაუკარ.

გილდენსტერს

დაკვრა არ ვიცი, ხელმწიფისშვილო.

ჰამლეტ

როგორც იყოს.

გილდენსტერს

გარწმუნებთ, რომ არ ვიცი.

ჰამლეტ

გევედრები, დაუკარ.

გილდენსტერს

ისიც არ ვიცი, ხელი როგორ მოგვიდო.

ჰამლეტ

ეს ისე ადვილია, როგორც სიცრუის თქმა. აი ამ თვლებზედ თითები აათამაშე, პირით სული ჩაჰბერე და ესეც საამოდ-სას-მენელ სამუსიკო ხმას გამოსცემს. აი ხომ ხედავ, როგორ უნდა მოჰკიდო ხელი.

გილდენსტერს

არ შემიძლიან ეგ საამოდ-სასმენი ხმა გამოვაცემინო. მე მაგ საქმეში დახელოვნებული არ გახლავართ.

ჰამლეტ

ეხლა ხომ ჰხედავთ, როგორი უღირსი და არად ჩასაგდები გგონივართ. თქვენ ვინდათ, რომ მე თქვენი საკრავი ვიყო, ჩემი ხელში დაჭერა ადვილად მიგაჩნიათ; ვინდათ, ჩემს საიდუმლოს გული ამოაცალოთ და ჩემის სულის სიმებს სათითაოდ ხმა



ამოაღებინოთ... და ამ მცირე მუსიკის საკრავს კი, რომელიც წყაროა ჰარმონიისა, ამბობთ, ხმას ვერ ამოვადებინებთო. როგორ? თქვენა გგონიათ, მე ამ პატარა სალამურზედ უფრო ადვილი დასაკრავი ვიყო! მიწოდეთ მე, რა საკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ შეგიძლიანთ გამაწვალოთ, რამდენიცა გსურთ, და ჩემზედ დაკვრას კი ვერ მოახერხებთ.  
(შემოდის პოლონიუს)

მშვიდობა შენი ნახვა.

პოლონიუს

ბატონო ჩემო, დედოფალს თქვენთან ლაპარაკი სურს და სურს ეხლავე.

ჰამლეტ

ჰხედავ ზეით იმ ღრუბელს, რა საშინლადა ჰგავს აქლემს?

პოლონიუს

წირვის მადლმა, ძალიანა ჰგავს.

ჰამლეტ

მე მგონია, კვერნასა ჰგავს.

პოლონიუს

ზურგი კვერნასი აქვს სწორედ.

ჰამლეტ

თუ უფრო ვეშაპსა ჰგავს.

პოლონიუს

ზედგამოჭრილი ვეშაპია.

ჰამლეტ

ეხლავ მოვდივარ დედაჩემთან. — ლამის ამ ჩაცვიებით მართლა ჰკუილამ შემშალონ. ეხლავ მოვდივარ.

პოლონიუს

მამ ეგრე მოვახსენებ.

(გადის პოლონიუს).

ჰამლეტ

არ გაჭირდება ამისი თქმა: „ეხლავ მოვდივარ“.

გთხოვთ, რომ ეხლა კი, მეგობრებო, მარტო დამტოვოთ. —

(გაღიან როზენკრანც და გილდენსტერნ, ჰორაციო და სხვანი).

აწ დადგა ღამის ბნელი ჟამი გრძნეულთ საფერი,  
ოდეს საფლავნი პირს იხსნიან და ჯოჯობეთიც  
სნებას ამოხეთქს და შოაფენს დედამიწასა.  
ეხლა შემეძლო, თბილსა სისხლსა დავწაფებოდი  
და მომეხდინა ისეთი რამ საქმე საზარო,  
რომ თვით დღის ნათელს მისის ხილვით თრთოლა მოსვლოდა,  
ჩუმაღ! წავიდე დედაჩემთან. ოჰ, გულო ჩემო,  
მაგ შენს ბუნებას ნუ დაჰკარგავ, ნუ მისცემ ნებას,  
ნერონის გრძნობამ ამა მკერდ ქვეშ დაიბინადროს.  
უნდა სასტიკი ვიყო, მაგრამ არა კი უწყალო,  
ენით მივმართო იარაღსა და არა ხელოთ,  
დავფარვინო გრძნობა ჩემი მეღვარსა სიტყვებს  
და თუმც მუქარა, საყვედური ვასმინო ბევრი,  
მაგრამ მუქარა იგი საქმით კი არ შესრულდეს.  
(გაღის).

### ს უ რ ა თ ი III

ოთახი იმავე სასახლეში.

(შემოდინ ხელმწიფე, როზენკრანც და გილდენსტერნ).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

იმისი ქცევა მე არ მომწონს და საფრთხილოა,  
რომ მის სიგიჟეს ვაძლევეთ ამდენს თავისუფლებას.  
თქვენ მოემზადეთ მასთან ერთად ინგლისს წასვლისთვის  
და მეც ეხლავე გამოვგზავნი ბრძანების ქალაღდს.  
ჩვენი ქვეყანა ვერ აიტანს, რომ ისე ახლო  
დასტრიალებდეს მას ხიფათი, რაც მის სიგიჟეს  
ერთად მოჰყვება და თანდათან უფრო შიშს გვაგდებს.

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ

ჩვენ შევეუდგებით სამზადისსა, ჩემო ხელმწიფევე;  
და ნება დამრთეთ, მოგახსენოთ, რომ ეგე შიში

საკეთილოა და წმიდაა, რადგან თქვენ ზრუნავთ  
მთელის ერისთვის, რაიც თქვენით სცხოვრობს,  
სულდგმულობს.

### რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

თვით უბრალო და კერძო კაციც მოვალე არის,  
ყოვლის თავისის სულისა და ჭკვის ძლიერებით  
უბედურების წინააღმდეგ აღიჭურვოდეს  
და მით უმეტეს ვალად სდევს მას, ვის სიკეთეზედ  
მრავლის-უმრავლესთ დღეგრძელობა დადგენილია.  
როდესაც მოდის მეფისათვის აღსასრულის დღე,  
მაშინ სიკვდილი მარტო იმას არ კმარობს მსხვერპლად  
და თან ჩაითრევს, ვით მორევი, რაც მის ახლოა.  
მეფეა მზგავსი მაღალ მთაზედ დადგმულის ჩარხის,  
რომლის დიდროვან სოლებს თითქო ზედ აჭვდიათ  
მრავალ-ათასი უმნიშვნელო, მცირე საგანი.  
როს იგი ჩარხი წაიქცევა, მაშინ ამათაც  
მოელით ბოლო საშინელი. ოდეს ხელმწიფე  
ამოიოხრებს — ხალხს ეს ოხვრა კვნესად ექცევა.

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გთხოვთ, რომ სამგზავროდ მოემზადოთ დაუყოვნებლივ-  
სჯობს, ამ შიშს მალე გავუყაროთ ფეხში ბორკილი  
და თავისუფლად უწინდელეზრ აღარ ვატაროთ.

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ  
მოსამზადებლად გიახლებით.

(გადიან რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ. შემოდის  
პ ო ლ ო ნ ი უ ს).

### პ ო ლ ო ნ ი უ ს

ჩემო ხელმწიფევე,

ჰამლეტ თვის დედის ოთახისკენ გაიხლათ ეხლა  
და თუ ინებებთ, მათ საუბრის მოსასმენელად  
დავიმალეები ფარდის უკან. მე თქვენ გარწმუნებთ,  
რომ დედოფალი არ დასტოვებს დაუტუქსავსა.  
თქვენ თითონ ბრძანეთ, თუ გახსოვთ და კარგადაც  
ბრძანეთ, —  
კარგი იქნება დედას გარდა სხვაც რომ დაესწროს —

რადგან ბუნებით დედას შვილის მხარე უჭირავს —  
და ყური უგდოს ჩუმად სითმე მათ ლაპარაკსო.  
მე გიახლებით თქვენთან, ვიდრე მოისვენებდეთ,  
და რასაცა ვცნობ, მოგახსენებთ, ჩემო ხელმწიფევ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დიდადა გმადლობ. —

(პოლონიუს ვალის)

რა საზარი ცოდვა ვიტვირთე,

მას ზეცის მიმართ ასდის კვამლი და იქ ლაღადებს;  
იგია, რასაც უძველესი წყევლა ხვდა წილად.  
კენის ცოდვა... ძმის სიკვდილი... ლოცვას ვერ ვბედავ,  
თუმც სურვილი და ნებისყოფა მისთვის მიმიწვევს, —  
ძლიერს განზრახვას მისპობს ცოდვა უძლიერესი  
და მზგავსად კაცის, რომელს ორი საქმე ვალად სძევს,  
უძრავად ვდგავარ და არ ვიცი, ჯერ რა დავიწყო.  
განა ამ წყეულს ხელს ძმის სისხლი ისე სქლად სცხია,  
რომ ვერ გაჰბანოს მადლიანის ცის წვიმამ იგი  
და თეთრ თოვლივით არ აქციოს? ან თუნდ ეს მადლი  
რად არ იკისრებს ცოდვიანის შემსუბუქებას?  
მაშ რა ძალა აქვს ლოცვას, თუკი ორსავ ვერ შესძლებს  
არ შეგვაფერხებს იგი, ვიდრე შეეცოდებთ რასმე  
და ვერ მოითხოვს მოტევენას შეცოდებისთვის!  
მაშ ვილოცავ მე, — ცოდვა იგი წარსული არის, —  
მაგრამ რა ლოცვა მოუხდება ჩემს შეცოდებას?  
„მომიტევე მე საზიზღარი კაცისმკვლელობა!“  
ეს არ იქნება, რადგან ეხლაც კიდევ ვმფლობელობ  
ყოველსავე მას, რისთვისაც ის ცოდვა ვიკისრე:  
ჩემსა დიდებას, ჩემსა გვირგვინს, ჩემსა მეუღლეს.  
ვინც სტკება ცოდვით, მიტევენას ვით ეღირსება?  
ამა წარმავალს და გარყვნილსა წუთისსოფელსა  
ოქროს ვარაყით დაფერილსა ცოდვიანობას  
შეუძლიან, რომ უკუთავდოს მართლმსაჯულება  
და ხშირად კანონს ჰყიდულობენ ბოროტეულად; —  
მაგრამ იქ, მაღლა, სხვაფრივ არის: იქ ცბიერებას  
არ აქვს ადგილი, იქ ვერა-რა დაიფარება;  
ჩვენც ხომ იქ უნდა გამოვცხადდეთ და ბოროტ საქმეთ

ფარდა ავხადლოთ, განძარცვეულნი გამოვამყდვენოთ.  
მაშინ რაღა ვქმნა, ან რა ღონეს უნდა მივმართო?  
ვცადო, რა ძალუძს სინანულსა? და რა არ ძალუძს?  
მაგრამ რა ძალას გამოიჩინს იგი იმისთვის,  
ვინც სინანულსა ვერ ახერხებს, ვერ მისწვდომია!  
ვაიმე ბედკრულს! ვაი გულო, სიკვდილებრ შავო!  
მახეს გაბმულო, სულო ჩემო, სცდილობ თავდახსნას  
და ამა ცდითა უფრო ებმი. ოჰ, ანგელოზნო,  
სცადეთ, დამიხსნათ! კერპნო მუხლნო, მოიდრიკენით  
და ფოლადისა ძარღვებითა ნაქსოვო გულო,  
ჩჩვილის ყრმის გულსა მიემზგავსე ღმობიერებით.  
იქნება იყოს საშველი რამ?  
(კუთხეში დაიჩოქებს და ლოცულობს. შემოდის ჰ ა მ ლ ე ტ).

### ჰ ა მ ლ ე ტ

აგერ ლოცულობს!

მარჯვე დრო არის და მარჯვედაც მოვიხმარ ამ დროს:  
მოვკლამ და ზეცას ავა იგი. ამითი ვითომ  
მერე ჯავრს ვიყრი? მოფიქრება არის საჭირო.  
მამა მომიკლა ავაზაკმა და მე კი, ნაცვლად,  
მის მკვიდრი შვილი ზეცას ვგზავნი იმავე ავაზაკს.  
ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ შურისძიება!  
მამაჩემს სული ამოჰხადა, როდესაც იგი  
განცხრომით იყო სადილ შემდეგ და ჰფუფუნებდა,  
როცა ყოველნი მის ცოდვანი ისე ჰყვაოდენ,  
ვითა ყვავილნი მაისისა და აწ ვინ იცის,  
გარდა ზეცისა, რა განკითხვა ერგო მას წილად!  
დასაჯერია უფრო იგი, რომ მისი ხვედრი  
სამძიმო არის. მერე ამით ვითომ ჯავრს ვიყრი,  
რომ აწ სიცოცხლე გამოვწირო, როს მისი სული  
განწმედილია და ამოსვლად განმზადებული?  
არა და არა! იქით, ხმალო, და მას ეცადე,  
ღრო უარესი შეუტრჩიო: ოდეს ლოთობდეს,  
შფოთსა და ბრაზსა მისცემოდეს, ან როს ეძინოს,  
ან მეძავობდეს თვის საწოლში სისხლის შერევით,  
ანუ ღვთის გმობით, თამაშობით გართული იყოს,

ან ჩადიოდეს სხვა უწმინდურს რამ საქციელსა,  
მაშინ დაჰკარ და ყირამალად ჩაავდე ქვესკნელს,  
რომ მისი სული იქმნეს ბნელი, შეჩვენებულო,  
ვით მის სამყოფი ჯოჯოხეთი. — ეხლა წავიდე;  
იქ მიმელის მე დედაჩემი. — შენ მაგ წამალმა  
კიდევ მცირე ხანს ეგ ბედშავი დღე გაგიგრძელოს.

(პ ა მ ლ ე ტ გადის. ხ ე ლ მ წ ი ფ ე ადგება და წინ მოდის).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სიტყვა მიფრინავს, მაგრამ ფიქრი აქ, დაბლა, მრჩება;  
უფიქროდ სიტყვა ვერ მისწვდება ცას ვერაოდეს.

(გადის).

#### ს უ რ ა თ ი IV

მეორე ოთახი.

(შემოდინ დ ე დ ო ფ ა ლ ი და პ ო ლ ო ნ ი უ ს).

პ ო ლ ო ნ ი უ ს

იგი ეხლავე გიახლებათ. კარგად გაჰკიცხეთ  
და უბრძანეთ, რომ უცნაური იმისი ქცევა  
ზომას გადავიდა და მოთმენა ძნელია არის;  
თან დაუმატეთ: მე ჩავდექ-თქო შუამავალად  
მეფის რისხვასა და შენს შორის. მეც, დედოფალო,  
აქ დავიმალვი. გთხოვთ, შერისხოთ გამომეტებით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაგას ყველაფერს შევასრულებ, ნუ გეშინიან.  
ფეხის ხმა მესმის, დაიმალე; მგონია, მოდის.  
(პ ო ლ ო ნ ი უ ს დაიმალება. შემოდის პ ა მ ლ ე ტ).

პ ა მ ლ ე ტ

რა ამბავია, დედაჩემო, რად დამიბარე?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, შვილო, დიდად შეუტრაცხჰყვე შენ მამაშენი!

ჰ ა მ ლ ე ტ

არა, დედაო, შამაჩემი შენ შეურაცხვე!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არ არის კარგი, უკმეხ ენით რომ მიპასუხებ.

ჰ ა მ ლ ე ტ

არ არის კარგი, ბოროტ ენით რომ მეკითხები.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რას ნიშნავს ესა, შეილო ჰამლეტ?

ჰ ა მ ლ ე ტ

რაო, რა გნებავთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე ველარა მცნობ?

ჰ ა მ ლ ე ტ

კარგად გიცნობ, ჯვარს გეფიცები:  
დედოფალი ხარ და მეუღლე შენის ქმრის ძმისა.  
ესეც არ იყოს, — ხომ ვიცი, რომ დედა ხარ ჩემი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ კარგი, მე სხვას გამოგზავნი, სათქმელს ის გეტყვის.

ჰ ა მ ლ ე ტ

აქ იყავ-მეთქი, ადგილიდან ნულარ დაიძვრი.  
ვერ წახვალ, ვიდრე შენს თვალთა წინ სარკეს არ დავდგამ,  
რამიც შეგეძლოს შენის სულის სიღრმის დახახვა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა გინდა მერე, იქნება თუ მოკვლას მიპირობ?  
მომეშველენით!

პ ო ლ ო ნ ი უ ს (ფარდის უკან)

ეი, ჩქარა მოდით, გვიშველეთ!

ჰ ა მ ლ ე ტ

ეს რაა? თავი?

(მახვილს ამოიღებს და ფარდას მახვილით გახვრეტს).

მოკვდა, მოკვდა, თუნდ ნაძლეგსა ვდებ!

პოლონიუს (ფარდის უკან)

ვაიმე, მოვკვდი!

(დაეცემა და ჰკვდება).

დედოფალი

ეგ რა ჰქენი, რა მოიქმედე?

ჰამლეტ

მე თვით არ ვიცი... მეფეა თუ?

(ფარდას ახდის და პოლონიუსს გამოათრევს).

დედოფალი

რისთვის გაცოფდი?

რად შეიბღალე წმიდა სისხლით?

ჰამლეტ

მე შეევიბღალე?

ეგ მართალია და ეს თითქმის იგივე ცოდვაა,  
ვით მეფის მოკვლა და მერე ქმრად იმის ძმის შერთვა.

დედოფალი

ვით მეფის მოკვლა?

ჰამლეტ

ღიად, ღიად, ეგ მოგახსენეთ. —

შენ, საცოდავო, მეტიჩარა, უჭკვო მასხარა,  
მე სხვა მეგონე, უფრო ღიდი; გთხოვ, რომ 'შემინდო.  
ეტყობა, შენი ბედისწერა ეგა ყოფილა,  
არ ვარგებულა მეტისმეტი გულმოდგინება. —  
რისთვის იკაწრავ აგრე ხელებს, დაწყნარდი, დაჯეგ!  
მე მინდა, გული დაგიკაწრო და დაგიღვლარჯნო,  
თუკი სინიდისს აქვს მაგაზედ ზედმოქმედება;  
თუ ბოროტებამ შეჩვეულმა, ზეცით გამობილმა  
ეგ არ გარდაჰქმნა მიუდგომელ, უგრძობელ ზღუდელ!

დედოფალი

რა ვქენ ისეთი, რადა მკიცხავ აგრე სასტიკად,  
რისთვის მაკადრებ მაგისტანა შეურაცხებას?



### ჰ ა მ ლ ე ტ

ეგეთი საქმე ჩირქსა სცხებს თვით უმანკობას,  
უსპობს მორცხვობის სიწითლესა, შევენებას უსპობს;  
ფარისევლობის სახელსა სდებს სათნოებასა,  
უბიწო ტრფობას ყვავილსა ჰგლეჯს შევნიერს უბზლზედ  
და იმის ნაცვლად აჩენს იგი წყლულს და იარას;  
ცოლ-ქმართ პირობას მოთამაშეთ ცრუ ფიცს ამზგავსებს,  
აუქმებს სრულად ქორწინების წმიდა უღელსა,  
სარწმუნობას, სასოს და ტკბილს ფუყე სიტყვად ჰხდის.  
ოჰ, მაგგვარ საქმით ზეცის სახე რისხვით ეღვარებს  
და ესე მყარი დედამიწაც შეჰმუხვნილია  
და ნაღვლიანი, თითქო იყოს დღე განკითხვისა.

### დ ე ღ ო ფ ა ლ ი

რა საქმე არის ისეთი, რომ ეგრე ლაღადებს,  
ან რასა ჰკიცხავ მედგარის და მქუხარე სიტყვით?

### ჰ ა მ ლ ე ტ

შეხედე ერთი ამ სურათსაც და მეორესაც,  
აი ამ სახეს ორიგ ძმისას. ნახე, თუ პირველს  
როგორი მაღლი გადაჰკვრია შარავანდელად;  
ჰიპერბიონის ხუჭუჭს თმასა ჰგავს ამისი თმა  
და შუბლი თითონ იუპიტრის შუბლს ემზგავსება;  
თვალნი მარსისა მრისხანებით ღვთაებრ მჰვრეტელნი,  
ახოვანება მერკურისა, ციურთ შიკრიკის,  
წარმოგზავნილის ცად მიბჯენილ, მაღალ მთის წვერზიო;  
შეხედულობა დიდებული, რომელიც თითქო  
თავიანთ ბეჭდით სათითაოდ ღმერთთ აღებეჭდოთ,  
რომ კაცის სახედ დაესახათ სრული ქმნილება!  
აი ეს იყო შენი ქმარი. ახლა შეხედე  
ამ მეორესაც: ეს არ ინდობს თავის ღვიძლ ძმასა  
და დაობებულ, წამხდარ პურის თავთავის მზგავსად  
სპობს მის სიცოცხლეს. სადა გქონდა შენ ეგ თვალები?  
ვით დასტოვე ეს შევნიერი მთის საძოვარი  
და ამ მყრალ ზაობს მიაგენი გამოსაკვებად?  
სად გქონდა-მეთქი ეგ თვალები? სიყვარულს ხომ ვერ  
მოიმინეზეხე; ხომ იცი, რომ შენს ხანში სისხლი

მიყუჩებული არის და ჭკვას ემორჩილება.  
მერე რა ჭკუა უნდა იყოს, ეს აირჩიოს  
და ის უარპყოს! უგრძნობელი არა ხარ, ვგონებ, —  
გრძნობა თუ არ გაქვს, ვერ შესძლებდი მოძრაობასაც, —  
მაგრამ მაგ გრძნობას მოჰკლებია გრძნობიერება,  
თორემ გიჟიც კი ამ საქმეში არ შესცდებოდა!  
სიგიჟეს გული ისე ხომ ვერ დაემონება,  
რომ ველარ შესძლოს გამორჩევა კარგის და ავის,  
მაშ რა ეშმაკმა გადაგაკრა თვალებზედ ბინდი?  
ვინ შესცდებოდა ასე მწარედ, თუნდ რომ ჰქონოდა  
მარტო თვალები, ხელნი მარტო, მხოლოდ ყურები,  
ან მხოლოდ ყნოსვა სხვა გრძნობათა დაუმატებლად,  
ან თუნდ მცირედი რამ ნაფლეთი ნამდვილ გრძნობისა?  
ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე!  
ჰოი, ბიროტო ჯოჯონეთო, თუ შეგიძლიან  
დარბაისელის დედაკაცის გულის ანთება, —  
მაშ აღტყინებულ სიყმაწვილის გრძნობა ძლიერ  
თუნდ ცვილად იქცეს და საკუთარს ცეცხლზედვე გადნეს!  
რალად უწოდებ სირცხვილეულს ნორჩ გულთა ღელვას,  
რაკი ყინულიც იწვის ასეთ მხურვალე ცეცხლით  
და გულისთქმასა ემონება გონიერება?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, შეილო ჰამლეტ, ჩუმად იყავ, ნულარას ამბობ,  
შენმა სიტყვებმა ჩემს სულშივე ჩამახედვინა  
და დამანახვა ცოდვის კვალი ამოუშლელი.

ჰ ა მ ლ ე ტ

როგორ, განცხრომით უნდა იწვევ ჭუჭყიან საწოლს,  
ქონსა და ოფლში უწმინდურად ითხუპნებოდე,  
უნდა სტკებოდე მურტალს გუბეს გარყვნილებისას...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, ნულარ მეტყვი, ჰამლეტ, ჰამლეტ, ნულარას მეტყვი;  
მე ეგ სიტყვები ხანჯლებივით ყურს მიტრიალებს.

ჰ ა მ ლ ე ტ

ის ავაზაკი, კაცისმკვლელი, უმზგავსი მონა,  
შენის პირველის მეუღლისა ფრჩხილის არღირსი,

მეფე-მასხარა, სახელმწიფო ტახტის მპარავი,  
ჯიბეს-ჩამდები უძვირფასეს დიადიმისა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

კარგია, კმარა.

ჰ ა მ ლ ე ტ

მეფე მჩვრებში გამოხვეული...  
(შემოდის ა ჩ რ დ ი ლ ი)

ცის ანგელოზნო, თქვენის ფრთების ქვეშე მიმიღეთ  
და მფარველადა მექმენით მე! — რა გსურს, ნეტავი,  
რომ ეგეთისა ამო სახით გამომეცხადე?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვამ ჩემს თავსა, ჭკვიდამ შესცდა!

ჰ ა მ ლ ე ტ

სთქვი, თუ მოხვედი,  
რათა შენს შვილსა დააყვედრო დაგვიანება,  
დააყვედრო, რომ გულისთქმასა არ აპყვა თვისას  
და საშინელი სიტყვა შენი არ აღასრულა.

ა ჩ რ დ ი ლ ი

ნუ დაივიწყებ, რომ ამ მოსვლით მე მწადის მხოლოდ,  
მისუსტებული ნებისყოფა გაგიცხოველო. —  
მაგრამ შეხედე დედაშენსა, როგორ თრთის შიშით.  
ჩადეგ შენ იმის შემკრთალ სულსა და იმის შორის,  
თორემ ოცნება სუსტზედ უფრო ძლიერ მოქმედობს.  
უთხარი რამე.

ჰ ა მ ლ ე ტ

დედაჩემო, რა გემართება?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა გემართება შენ თვითონვე, ოჰ, შვილო ჰამლეთ,  
რომ გამტერებით ჩასცქერიხარ ცარიელ წივრცეს  
და თითქო ჰაერს უსხეულოს ესაუბრები  
შენი თვალეხი გვაუწყებენ სულის კვეთებას  
და შენი თმაცა აწეწილა, ყალყზედ დამდგარა,  
მზგავსად ძილიდამ აშლილისა ბანაკის ჯარის,

თითქო თვითეულ ბეწვისათვის სული ჩაედგათ.  
ოჰ, ტკბილო შვილო, შენის სევდის მწვეავსა ნაღვერდალს,  
გთხოვ, მოთმინების ცივი წყარო უხვად აჰკურო. —  
რას უკვირდები?

ჰ ა მ ლ ე ტ

იმას, იმას! შეხედე, როგორ  
ნაცრისფრად ელავს. იმის სახე რომ დაანახვო  
და გაავნო იმის საქმე, მაშინ თვით ქვებსაც  
გრძნობიერებას აღუძრავდი. ოჰ, ნუ მიყურებ!  
თორემ საბრალო სახე შენი წინ დაუდგება  
ჩემის სასტიკის განზრახვისა აღსრულებასა, —  
მაშინ, იქნება, სისხლის ნაცვლად ცრემლი ვანთხიო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვის ეუბნები მაგ სიტყვებსა?

ჰ ა მ ლ ე ტ

იქ ვერას ჰხედავ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვერაფერს, თუმცა უხედავი არა მრჩება-რა.

ჰ ა მ ლ ე ტ

არცა-რა გესმის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არაფერი, ჩვენის ხმის მეტი.

ჰ ა მ ლ ე ტ

ერთი შეხედე, ნახე, როგორ მიიპარება;  
მამაჩემია თავისსავე შესამოსელში...  
კარგად შეხედე, აი, აი, აგერ გავიდა!  
(ა ჩ რ დ ი ლ ი გადის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეგ მხოლოდ შენის წარმოდგენის ნაყოფი არის, —  
ბნელით მოცულს ჰკვას მოჩვენება ეწვევა ხშირად.

ჰ ა მ ლ ე ტ

ბნელით მოცულს ჰკვას! შენ გგონია, მე გიყი ვიყო?  
ვით შენი მაჯა, ჩემი მაჯაც ზომიერად სცემს

და თანაბრობით აშტკიცებს ჩემს ჯანის სიმრთელეს.  
რაც ეხლა მე ვთქვი, ეს სიგიჟით როდი მომსვლია;  
თუნდ გამომცადე, სიტყვა-სიტყვით გაგიმეორებ, —  
გამეორებას, აბა მითხარ, გიჟი ვით შესძლებს?  
ოჰ, დედაჩემო, გაფიცებ მადლს მაღალს, ზეციურს,  
ნუ ინუგეშებ თავს იმითი, ვითომც სიგიჟე  
და არა შენი ცოდვა ამას მაღაპარაკებს.  
ეს სანუგეშო საცხებელი მაგ შენს იარას  
მხოლოდ თხელს კანსა გადააკრავს და შიგნიდამ კი  
გარყვნილებისა ბილწი გესლი გულს ჩაგაკვდება.  
გაუტყდი ზეცას, შეინანე შენი წარსული;  
ზღუდე აღმართე მომავლის წინ და ღვარძლის ბალახს  
ნუ აპატიებ — უფრო ძლიერ არ გაღონივრდეს;  
ოჰ, მომიტევე მისწრაფება სიმართლისაკენ;  
მართლაც, ამ მურტალს და სიმსუქნით დამპალსა დროსა  
ხომ სათნოება მუხლმოდრეკით ბიწის წინაშე  
კეთილის ქმნისა ნებას უნდა გამოითხოვდეს.

#### დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, მაგ სიტყვებით გული ჩემი ორად გაგლიჯე.

#### ჰ ა მ ლ ე ტ

მამ შორს გასტყორცნე უწმინდური ნაგლეჯი მისი  
და იმ მეორე ნახევრითა იცხოვრე წმიდად.  
მშვიდობის ღამე მოგცეს ღმერთმა, მაგრამ ნუ წახვალ  
და ბიძაჩემის საწოლს ნულარ მიეკარები.  
თუ სათნო არ ხარ, სათნო სახე მაინც მიიღე;  
ეს იცოდე, რომ ეშმაკისა მზგავსად მომქმედი  
და ყოველ გრძნობათ შემმუსვრელი კაცთ ჩვეულება  
ამ შემთხვევაში ანგელოზის სიკეთეს იჩენს:  
იგი კარგსა და კეთილს საქმეს სდებს ისეთს სახეს,  
თითქო ეგ სახე დაბადებით შეგვთვისებოდეს.  
სცადე, ნუ წახვალ შენ ამალამ და მერე კვლავაც  
წაუსვლელობას ეს ადვილად შეგაძლებინებს.  
ბუნების სჯულის შეცვლა ძალუძს ჩვეულებასა  
და ძლიერებით თვისით იგი ეშმაკულ ძალთ  
ან თვის ნებაზედ მოსდრეკს, ანუ სრულად განდევნის.

კიდეც და კიდეც მშვიდობასა ვისურვებ შენთვის,  
და თუ სურვილი გულს აღგეძრა დაგლოცოს ვინმემ,  
მე თვით მოვითხოვ, დედაჩემო, შენგან დალოცვას.

(პოლონიუსზედ უჩვენებს)

ვწუხვარ, რომ მე ეს შემომმაკვდა, მაგრამ ეტყობა,  
ასე განაგეს ზეცის ძალთა: მე აღმირჩინეს  
თავიანთ ბჭედ და განზრახვისა აღმასრულებლად;  
ამ კაცით მსაჯეს და მეც იგივე დამასჯევენეს.  
წავალ, ვიზრუნებ მე იმისთვის და ანგარიშსაც  
ვინც მომთხოვს, მევე ჩავაბარებ. დამე მშვიდობის.  
თუ სასტიკი ვარ, ეს სიკეთის ნაყოფი არის,  
ცუდს შევხვდით კიდეც და უარესს წინ შევეყრებით.  
კიდეც ერთი რამ უნდა გითხრა:

დედოფალი

მიტხარი, რა ვქმნა.

ჰამლეტ

ნუ იზამ იმას, რაც მე გითხარ, რაც დაგარიგე.  
დეე, იმ მეფემ გარყვნილს საწოლს კვლავ მიგიტყუოს,  
გადგისგას ხელი მაგ ლოყებზედ, მოგეაღერსოს;  
მაშინ შენ იმის უწმინდურსა, მხურვალე კოცნას  
და დაწყევლილის თითებითა გაფუფუნებას  
შესწირავ ჩემსა საიდუმლოს, ყველას გაუმხელ, —  
ეტყვი რომ გძეი კი არა ვარ, ვიგონებ მხოლოდ, —  
კარგი იქნება, ყველაფერი გამოამჟღავნო.  
ან ვით შეჰფერის შენებრ ლამაზს, ჰკვიან დედოფალს,  
მას დაუმალოს ესოდენნი მძიმე საქმენი,  
მას, იმ ლამურას, ჰქვემძრომ ჯოჯოს, ჰქვიანს კატას!  
ნულარ მიხედავ ნურც ჰკუას და ნურც საიდუმლოს,  
ბანზე ყაფაზა აიტანე, გააღე კარი  
და ტყვე-ფრინველნი დააფრინე. მერე შენ შეძვერ  
იმ ყაფაზაში საარაკო მაიმუნთ მზგავსად  
და მალლიდამ ძირს ჩამოვარდი კისრის მტვრევეითა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სიტყვა სუნთქვაა, სუნთქვას კიდევ სიცოცხლე მოსდევს,  
და მომესპოს მე როგორც სუნთქვა, ისე სიცოცხლე,  
შენი ნათქვამი საიდუმლო თუ გავამხილო.

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ინგლისს მივალ, ეს ხომ იცი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვაიმე ბედკრულს!

ღამევიწყდა, რომ ეგრე არის გადაწყვეტილი.

ჰ ა მ ლ ე ტ

ღაბეჭდილია წერილები და თან ბრძანებაც  
მიცემული აქვს ორს თანშეზრდილს ამხანაგს ჩემსას,  
რომელთაც ისე ვენდობი, ვით შხამიან გველსა.  
გზა იმათ უნდა გამიკვლიონ ჩემის მახისკენ.  
დეე, იშრომონ; საამოა, როს მემანქანეს  
მისგან ნამზადი იარაღი მალლა აფეთქებს.  
ცუდად მომივა საქმე, თუ რომ მეც არ გავთხარე,  
არ მოვუქციე იმათ ნაღმებს ქვეშით სხვა ნაღმი  
და მთვარემდე არ ავაფრინე. რა საამოა,  
როს ხედავ როგორ ორი ძალა ერთმანეთს ებრძვის. —  
ამ კაცმა ლამის ტვირთთა-მზიდველ მუშად მაქციოს.  
მეტი რა გზა მაქვს, უნდა სხვაგან წავიღო იგი.  
ღამე მშვიდობის, დედაჩემო. ეს რჩევის წევრი,  
როგორც ეხლათ, ისე ჩუმად არსად ყოფილა,  
არსად ყოფილა ასე წყნარი მესაიდუმლე, —  
სიცოცხლეში ხომ სულელ-ყბედას მას ეძახოდენ. —  
წამოდი, ბარემ მაგ შენს საქმეს ბოლო მოვუღო. —  
რადას ვუყუარებ! დედაჩემო, ღამე მშვიდობის.  
(გაღიან სხვადასხვა მხარეს. ჰ ა მ ლ ე ტ პ ო ლ ო ნ ი უ ს ს მხარზედ  
მოიკიდებს და გაიტანს).

# მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო თ ს ე

## ს უ რ ა თ ი I

ი გ ი ვ ე ო თ ა ხ ი .

(შემოდინ ხ ე ლ მ წ ი ფ ე , დ ე დ ო ფ ა ლ ი , რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ ) .

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

უნდა რაღასაც ნიშნავდეს ეგ ოხვრა და კვნესა;  
ნამდვილი მითხარ, ვერ დავტოვებთ გაუგებარსა.  
ჰამლეტ სად არის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც ს და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ ს , რომელნიც გადიან).  
პატარა ხანს მარტო ყოფნა გვსურს. —  
რა საქმე ვნახე ამალამა, ბატონო ჩემო!

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რა ნახე, მითხარ, ანუ ჰამლეტ როგორღა არის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გაცოფებული არის ისე, ვით ქარიშხალი,  
შეჯიბრებული მღელავ ზღვასთან ძლიერებაში;  
და როს სიგიჟემ მოუარა, უცებ მოესმა,  
რომ ფარდის უკან მორიდებით რაღაც იძვროდა,  
მყისვე მახვილი ამოიღო, სთქვა, თავგიაო  
და უხილავად, წარმოდგენილ შიშისა ძალით  
იგი საბრალო ბერიკაცი მან მოაკვდინა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ეს რა ამბავი გავიგონე! ხომ ეგეთი დღე  
დაგვადგებოდა, ჩვენც რომ იქა ვყოფილიყავით.  
თავისუფლება მისი მეტად საშიში არის  
შენთვის, თუ ჩვენთვის, ყველასათვის. ახლა არ ვიცი,  
ვით უნდა გავცეთ ჩვენ პასუხი ამ კაცისკვლამი.  
ცხადი არის, რომ ყველაფერი ჩვენ დავებრალდება,  
რაკი იმ გიჟსა აქამომდე ხალხში ვურევდით



და მის შელაგმვას არ ვცდილობდით ყოველის ღონით.  
მაგრამ ჩვენ მისმა სიყვარულმა მოგვისპო ხედვა  
და ვერ ვამჩნევდით, რომელი გზა რომელსა სჯობდა.  
ისე ცუდისა სნეულებით შეპყრობილს კაცსა  
ჩვეულებად სჭირს უთქმელობა თავის სენისა,  
თუნდაც უღრღნიდეს იგი ჭირი ჩუმიად სიცოცხლეს. —  
ეხლა სად არის?

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

თან წაიღო საბრალოს გვამი,  
რომლის წინაშეც მის სიგიჟემ გრძნობა იჩინა,  
როგორც უბრალო მადანთ შორის ძვირფასმა თვალმა  
და ეხლა იგი თვის საქციელს მწარედ დასტირის.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დროა, გერტრუდა, რომ წავიდეთ. იგი აქედგან  
გავგზავნოთ, ვიდრე მზე მთის წვერებს მიუალერსებს  
და ამ საქმესაც მოვუაროთ, მოვაბოდიშოთ,  
ვით ჩაგვაგონებს ჩვენი ჭკუა და ძლიერება.

(შემოდინ რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ო ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ).

აი, გილდენსტერნ; — მეგობრებო! სხვებიც მიიმხრეთ,  
და ეხლავ წადით თქვენ ჰამლეტის მოსაძებნელად.  
მას სიგიჟეში პოლონიუს შემოაკვდომია  
და თავის დედის ოთახიდან იმისი გვამი  
თან წაუღია. ნახეთ, ტკბილად ელაპარაკეთ  
და მიასვენეთ იგი გვამიც ეკლესიაში.  
გთხოვთ, დააჩქაროთ.

(გაღიან რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ).

აწ, გერტრუდა, უნდა შეეყაროთ,  
ვინც გონიერნი გვეგულება საქმის მრჩეველნი,  
ვაცნობოთ იმათ, თუ რა არის ჩვენი განზრახვა  
და სამწუხარო ეს ამბავიც შევატყობინოთ.  
იქნება, მაშინ ვერ მოგვწვდეს ჩვენ ცილისწამება,  
რაიც სისინით დედამიწას გარშემო უვლის,  
თავის ბედკრულ მსხვერპლს ჰგმირავს იგი გესლიან ისრით,  
და როგორც ტყვია ზარბაზნისა, ნიშანში შიდის.

იქნება იგი მოხვდეს მხოლოდ უვნებელ ჰაერს.  
წავიდეთ, სული მიშფოთავს და მეავადება.

## ს უ რ ა თ ი II

მეორე ოთახი იქვე.

(შემოდის ჰამლეტ).

### ჰამლეტ

ესლა საიმედო ადგილს არის.

როზენკრანც და სხვანი (გარედა)

ჰამლეტ, ბატონო ჰამლეტ!

### ჰამლეტ

ჩემად! ვის უძახიან? ვინ მიძახის ჰამლეტს? აგერ აქ მო-  
დიან.

(შემოდის როზენკრანც და გილდენსტერნი).

### როზენკრანც

გვამი სად წაასვენეთ, ბატონო ჩემო?

### ჰამლეტ

შეეურიე მიწას, რომელიც მას ნათესავად მოხვდება.

### როზენკრანც

სწორედ გვიბრძანეთ, სად არის, რომ ეკლესიაში მივასვენ-  
ნოთ.

### ჰამლეტ

თქვენ ეგ ნუ გჯერათ.

### როზენკრანც

რა ნუ გჯერა?

### ჰამლეტ

ის, რომ ვითომ მე თქვენის საიდუმლოს შენახვა შემეძლოს  
და ჩემისა კი არა. მერე ვინა მკითხამს ამას? — უბრალო ღრუ-  
ბელი! რა პასუხი უნდა აღირსოს მას დიდის ხელმწიფის-  
შვილმა?

როზენკრანც

ბატონო ჩემო, ღრუბელს მე მიწოდებთ?

ჰამლეტ

დიაღ, შენ გიწოდებ ღრუბელს, რომელიც შეისვამს ხელმწიფის სახის-მეტყველებას, საჩუქრებს და უფლების ნაგლეჯს. მაგრამ ბოლოს ამისთანა მოხელენი ხელმწიფისათვის მეტად სასარგებლონი არიან: იგი ამათ მიიმუნევიტ პირის ერთ-ერთ კუნჭულში ინახავს, ყველაზედ ადრე იღებს პირში და ყველაზედ გვიან კი ჰყლაპავს. როდესაც დასჭირდება, ხელს მოგიჭერთ, გამოგწურავთ, რაც შესმული გაქვთ, და ისევ მშრალ ღრუბლად გადაგაქცევთ.

როზენკრანც

მე არ მესმის თქვენი ლაპარაკი, ხელმწიფისშვილო.

ჰამლეტ

მით უფრო კარგი: მოსწრებული სიტყვა რეგენის ყურს ვერ გამოაღვიძებს.

როზენკრანც

ბატონო ჩემო, უნდა გვიბრძანოთ, გვამი სად არის და ხელმწიფისთან წამოგვყვით.

ჰამლეტ

ხელმწიფეს გვამი თანა აქვს, მაგრამ ხელმწიფე კი გვამთან არ არის. ხელმწიფე რაღაც არის.

როზენკრანც

როგორ თუ რაღაც?

ჰამლეტ

ანუ სრულიად არა არის-რა. წამიყვანე იმათთან, თვალხუჭობა მინდა ვითამაშო.

(გაღიან).

მეორე ოთახი იქვე.

(შემოდის ხ ე ლ მ წ ი ფ ე ა მ ა ლ ი თ).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

კაცი გავგზავნე ჰამლეტის და გვამის საძებნად.  
 საშიში არის, თავისუფლად რომ დადის იგი,  
 მაგრამ კანონის სრულ სიმკაცრით ვერ მოვეპყრობით:  
 იგი თვის კერპად დაუსახავს უმეცარს ერსა,  
 რომელიცა სჯის მხოლოდ თვალით და არა ჭკუით,  
 რაიც არ იმჩნევს დამნაშავეს დანაშაულსა  
 და თავის სასწორს აწონინებს მძიმედ მის სასჯელს.  
 თუ გვსურს, რომ ყველა დავაწყნაროთ, დავაშოშმინოთ,  
 ჩვენ ეს ხმა უნდა გავავრცელოთ, ვითომც ჰამლეტის  
 აქედამ წასვლა მოხდა დიდის თათბირის შემდეგ.  
 რა სნეულება განწირულსა სახეს მიიღებს,  
 მის განკურნება ძალუძს მხოლოდ გამწირველ წამალს.

(შემოდის რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც).

რა ამბავს მეტყვით?

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

ვერ გავტეხეთ, ჩემო ხელმწიფე,  
და გვამი თუ სად შეუვნახავს, ვერ ვათქმევინეთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

თითონ სად არის?

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

გარეთ გახლავთ, ღარაჯის ხელში  
და იქ მიელის თქვენს ბრძანებას.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აქ დაუძახეთ.

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

აბა, გილდენსტერნ, მოიყვანე მეფის წინაშე.

(შემოდია ჰ ა მ ლ ე ტ და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სად არის, ჰამლეტ, პოლონიუს?

ჰ ა მ ლ ე ტ

ვანშმად არის.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ვანშმად?

ჰ ა მ ლ ე ტ

მაგრამ ის კი არა სჭამს, იმასა სჭამენ: პოლიტიკოსი მატ-  
ლები შეკრებილან და ახლო მისხდომიან. თუ ჭამაზე მივარდე-  
ბა საქმე, თქვენი ერთადერთი პატრონი და მბრძანებელი მატ-  
ლია. ჩვენ სხვა ცხოველებს იმისთვის ვასუქებთ, რომ ჩვენ  
დაგვასუქონ და ჩვენ თითონ კი მატლებისათვის ვსუქდებით.  
მსუქანი ხელმწიფე და მჭლე გლახაკი ორივე მათი საქმელია, ეს  
მხოლოდ ორი თავია ერთსა და იმავე სუფრაზედ მისატანი.  
ყველას ბოლო ეს არის.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ოლონდაც, ოლონდაც!

ჰ ა მ ლ ე ტ

კაცს შეუძლიან თევზი დაიჭიროს იმისთანა ჭიკაყელათი,  
რომელსაც ხელმწიფის ხორცი უჭამია და სჭამოს თევზი, ამ  
ჭიკაყელათი გამაძლარი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მაგითი მერე რა გინდა სთქვა?

ჰ ა მ ლ ე ტ

არაფერი, იმას გარდა, რომ მინდოდა მეჩვენებინა, ხელ-  
მწიფე გლახაკის ნაწლავებში როგორ დაძვრება.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

პოლონიუს სად არის?

ჰ ა მ ლ ე ტ

სამოთხეში. იქ გაგზავნეთ, მოსძებნონ, და თუ თქვენი შიკ-  
რიკი ვერ იპოვის, თქვენ თითონ სხვაგან მოსძებნეთ. ამ ერთ  
თვეში თუ ვერ იპოვით, მაშინ ცხვირით შიკანებთ კიბეზე, ღე-  
რეფნის ასავალთან.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე (ზოგიერთა მხლებლებს)  
წადით და იქ მონახეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

მოგიცდით, თქვენს მისვლამდის არსად არ წავა.

(გადიან რამდენიმე მხლებელნი).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჰამლეტ, აქედამ შენ საჩქაროდ უნდა წახვიდე,  
თორემ ამ საქმეს შეუძლიან რამ აგიტეხოს,  
და ეს ამბავი მეტისმეტად გვაფიქრიაუნებს.  
ვსწუხვართ, რომ ვსეთს განსაცდელსა გადაეკიდე.  
მაშ მოემზადე წასასვლელად; ხომალდი გელის,  
ქარიც საგზაო უბერავს და შენნი მხლებელნიც  
სულ მზად არიან. ყველა გიწვევს ინგლისისაკენ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ინგლისისაკენ!

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სწორედ, სწორედ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ძალიან კარგი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

კარგი გვსურს ჩვენცა, თუ ჩვენს სურვილს თვალს დააკვირვებ.

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ქერუბიმსა ვხედავ და ის ჰხედავს მაგ სურვილს.

კარგი, კმარა, უნდა ინგლისს წავიდე! მშვიდობით, ძვირფა-  
სო დედაჩემო!

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჰამლეტ, მე მოსიყვარულე მამა ვარ შენი.

ჰ ა მ ლ ე ტ

დედაჩემო-მეთქი. მამა და დედა ცოლქმარნი არიან და  
ცოლქმარნი ერთს სისხლსა და ხორცს შეადგენენ. მაშ, მშვი-  
დობით, დედაჩემო. — წავიდეთ ინგლისს.

(გადის).

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

წაპყეთ ფეხდაფეხ, მიიტყუეთ გემზედ საჩქაროდ.  
ნულარ აყოვნებთ, ამალამვე მსურს, მოვიშორო.  
რაც კი გზისათვის საჭიროა, ყველა მზად არის.  
გთხოვთ, დააჩქაროთ, ერთს წუთს აღარ დააგვიანოთ.  
(გადიან რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ).

შენ კი, ინგლისო, ჩემს წყალობას თუ იმჩნევ რადმე, —  
და ვგონებ დანელთ ხმალმა ჩვენი ძალა გაცნობა,  
რაკი ჭრილობა მისგან ჯერ არ ვაგმრთელებია  
და ჩვენს ძლიერ ტახტს ხარკსაც აძლევ ქვეშევრდომულად —  
შენ გულმხურვალედ მოეპყარ ჩვენს მაღალსა სურვილს,  
რაც წარმოგზავნილს წერილებში გამოთქმულია  
და სიკვდილს მიეც მყის ჰამლეტი. ასე მოიქეც,  
თორემ ვით სენი გესლიანი გულზედ მკბენს იგი  
და უნდა მიხსნა ამ სენისგან. მის სიკვდილამდე  
გერავითარი სიხარული ვერ გამახარებს.

## ს უ რ ა თ ი IV

მინდორი დანიაში.

(შემოდის ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს ჯარით).

## ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს

წადი, იახელ, ასისთავო, დანიის მეფეს  
და ჩემ მაგიერ მოწიწებით სალამი უძღვენ.  
მოახსენე, რომ მე, ფორტინბრასს, მის სამეფოზედ  
გავლა მწადიან, ვით დართული მაქვს მისგან ნება.  
ხომ იცი, სადაც ვიქნებით ჩვენ და თუ სურს მათსა  
დიდებულებას პირისპირად საქმის დაჭერა,  
ჩვენ ვიახლებით მყისვე იმათ ჰატივსაცემლად.

ა ს ი ს თ ა ვ ი

ეხლავ მივდივარ.

ფორტინბრას (ჯარს)

თქვენც წამოდით ნელის ნაბიჯით.  
(გადის თავის ჯარით და შემოდინა ჰამლეტ, როზენკრანც,  
გილდენსტერნ და სხვანი).

ჰამლეტ

ბატონო ჩემო, გთხოვთ მიბრძანოთ, ეს რა ჯარია?

ასისტავი

ნორვეგიიდან გახლავს იგი.

ჰამლეტ

მერე, სად მიდის?

ასისტავი

იგი აპირობს დაიჭიროს პოლონთ ქვეყანა.

ჰამლეტ

ჯარს ვინ უფროსობს?

ასისტავი

ნორვეგთ მეფის ძმის-ძე, ფორტინბრას.

ჰამლეტ

სრულიად პოლონთ დაპყრობა სურს, თუ ნაწილისა?

ასისტავი

თუ სწორე ამბის გაგება გსურთ, ბატონო ჩემო, —  
რასაც ჩვენ ვდავობთ, ფრიალ მცირე კუნჭული არის,  
იგი სახელის მეტს ჯერაფერს ვერავის შესძენს, —  
მე ხუთს ოქროსაც არ მივცემდი მისს იჯარაში  
და ამაზედ მეტს სარგებლობას, მგონი, ვერ ნახვენ  
ვერც პოლონთ შფფე და ვერც მეფე ნორვეგიისა.

ჰამლეტ

თუ აგრე არის, ზომ ზაგ ადგილს არც კი დაიცვენ.

ასისტავი

როგორ არ იცვენ, გაამაგრეს ჯარებით კიდეც.

ჰამლეტ

მაშ მაგ უბრალო კამათობას ვერ ამყოფინებთ  
ორი ათას კაცს და ოქროსაც თუნდ ოცი ათასს.



ეგ სიმდიდრის და მოსვენების ნაყოფი არის, —  
იგი მუწუქად შიგნით გვამში რომ დაწყულდება,  
გარედამ, თითქო უმიზეზოდ, ჰკლავს ადამიანს. —  
გმადლობთ, ბატონო.

ა ს ი ს თ ა ვ ი

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.  
(ა ს ი ს თ ა ვ ი გაღის).

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც

არ მობრძანდებით?

ჰ ა მ ლ ე ტ

თქვენ წინ წადით, მე მოგეწევით.

(გაღიან რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც და გ ი ლ დ ე ნ ს ჭ ე რ ნ).

თითქო ყოველი შემთხვევა მე თვალწინ მესახვის,  
რომ დამაყვედროს, რად ვგვიანობ ჯავრისამოყრას...  
რა არის კაცი, თუ იგი თვის კმაყოფილებას  
ჰამას და ძილში ჰპოობს მხოლოდ? მხეცია, სხვა რა?  
ვინც მოგვანიჭა ჭკვა-გონების შორს-მხედველობა,  
ჩაგვახედვინა ჩვენს წარსულსა და მომავალში, —  
ის არ მოგვცემდა ამ ღვთაებრივს ნიჭიერებას,  
თუ სასარგებლოდ მოხმარებას ვერ შევიძლებდით.  
მე ეს არ მესმის, მუდამ უქმად რისთვის ვიძახი:  
„ეს საქმე უნდა შევასრულო“, როს ყველაფერი  
შესასრულებლად ხელს მიმართავს: როგორც მიზეზი,  
ისე გულისთქმა, ძლიერება, საშუალება.  
მაშ რაღა მიშლის? პირუტყვეული თავმინებება,  
თუ რაღაც ეჭვი სიმხდალისა, რაიცა ცდილობს  
დასაწყისამდე ზედმიწევნით საქმის შეგნებას?  
ამ ეჭვში მხოლოდ ერთი წილი ერგება ჭკუას  
და სამი წილი ხომ სიჯაბნის ნაყოფი არის.  
ქვეყნის ოდენნი მაგალითნი მე მაქეზებენ:  
აი თუნდ იგი გაწყობილი, ძლიერი ჯარი,  
თუნდ მის მოთავე, ახალგაზრდა, ნორჩი მთავარი,  
რომელს სურვილი ღვთაებრივი სახელის პოვნის  
უპირდაპირებს უხილავსა და საშიშ ხიფათს;  
იგი არ ინდობს თვის არსებას სუსტსა და მოკვდავს,

და არ არიდებს ფუყე ჩალის ნაფასევისთვის  
არც შიშს, არც სიკვდილს, არც მუხთალ ბედს დაუდგრომელსა,  
სახელოვანი კაცი მარტო დიდს საქმეს არ სდევს,  
იგი უბრალო საქმისთვისაც თავს გამოიღებს,  
თუ შელახული არის იმის პატიოსნება.

მე რაღას ვდგავარ? ამ ძილიდამ რად არ მღვიძებს  
ან მამის მოკვლა, ან შერცხვენა დედიჩემისა,  
ან გონების სჯა, ან მღელვარე სისხლის დუდილი?  
ხომ ვხედავ, ჩემდღ სამარცხვინოდ, რომ ამ ურცხვ ჯარს,  
რაღაც ოცნების ნაყოფისა — სახელისათვის,  
სასიკვდილოდა გაუწირავს თავისი თავი  
და საფლავისკენ, როგორც საწოლს, მისწრაფება!  
უნდა იბრძოლოს რაღაც მცირე მიწის გულისთვის,  
რაიც მაჩხუბარ მეომართა ვერც კი დაიტევს  
და არ იკმარებს მისთვის მკვდართა მისაბარებლად! —  
ამ დღიდან ჩემ ფიქრს სისხლს გამოვრწყობ, ან მოვსპობ  
სრულად.

(გადის).

## ს უ რ ა თ ი V

**ოთახი ციხე-დარბაზში. ელხინორა.**

(შემოდინა დ ე დ ო ფ ა ლ ი და ჰ ო რ ა ც ი ო).

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არ შემიძლიან, ეხლა იმას ვერაფერს ვეტყვი.

ჰ ო რ ა ც ი ო

აღარ გვეშვება, დედოფალო, სრულად შეშლილა  
და რომ შეხედოთ, მეტისმეტად შეგებრალებათ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მერე რა უნდა?

ჰ ო რ ა ც ი ო

თავის მამას იგონებს მხოლოდ.  
ამბობს, ამ ქვეყნად ცბიერებამ დაიბუღაო,

კენესის, გულს იცემს, შფოთავს იგი მცირე მიზეზით,  
ეჭვიანობით ლაპარაკობს და მის სიტყვებში  
თუმც ნახევარზედ უაზროა და უმნიშვნელო,  
მაინც მსმენელნი აზრის პოვნას მათში ცდილობენ  
და განაგონსა უფერებენ თავიანთ ნაფიქრს.  
მართლაც, კაცს ძალუძს ოცნებითა წარმოიდგინოს, —  
მის სახის შეშლას, ხელის ქნევას აქვს რამე აზრი  
და იქნება რომ დიდ წყენასაც გადავეკიდოთ.

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

მართლა, სჯობიან, ვუთხრათ რამე, თორემ იქნება  
უშემცარ ხალხში საშიშარი. ხმები გავრცელდეს.  
უთხარ, მოვიდეს.

(ჰო რ ა ც ი ო გადის).

ეს ყოფილა ცოდვის ბუნება:  
შემთხვევა მცირე, უმნიშვნელო, ჩემს დატანჯულ სულს  
ჰგონია დიდის ხიფათისა წინამორბედი,  
და დაწაშაულს ეს სასჯელი ჰქონია ჭირად,  
რომ არ-გამხელის მორიდება თვითვე ამხილებს.

(შემოდინა ჰო რ ა ც ი ო და ო ფ ე ლ ი ა).

ო ფ ე ლ ი ა

სად ბრძანდება შვენიერი დედოფალი დანიისა?

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

როგორა ხარ, ჩემო ოფელია?

ო ფ ე ლ ი ა (მღერის)

„ქალო, ვით ვცნა შენი სატრფო,  
მიტხარი, რა აქვს ნიშანი?  
ყავარჯენი ხელთ უჭირავს,  
ფეხთ აცვია ქალამანი“.

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

ვაი ჩვენი ბრალი! რას ნიშნავს, ჩემო ტკბილო ოფელია, ეგ  
სიმღერა?

ო ფ ე ლ ი ა

რაო, რა ბრძანეთ? გთხოვთ რომ ყური დაუგდოთ,  
(მღერის)

„იგი მოკვდა და დამარხეს,  
იგი მოკვდა, დამარხეს;  
ფეხით დიდი ლოდი დასდევს,  
და თავით მწვანე ხე დარგეს“.

ოჰ, ოჰ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

შვილო ოფელია...

ო ფ ე ლ ი ა

გთხოვთ, ყური დაუგდოთ. (მღერის)

„თოვლივით თეთრ სუდარაში...“

(შემოდის ხ ე ლ მ წ ი ფ ე).

დ ე დ ო ფ ა ლ ი

შეხედეთ ერთი, ბატონო ჩემო, რა საშინელი სანახავია!

ო ფ ე ლ ი ა

„ჩვენ იგი გამოვახვიეთ;

ლამაზ ყვავილებით მოვრთეთ

და უხვად ცრემლი ვაფრქვიეთ“.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

როგორა ხარ, საყვარელო ოფელია?

ო ფ ე ლ ი ა

კარგად ვახლავართ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. ისინი ამბობენ, ჭოტი მეპურეს ქალი არისო. ღმერთო ჩემო, ეს ვიცით, რა ვართ, და ის კი არ ვიცით, რა ვიქნებით. ღმერთმა ეგ სუფრა გიკურთხოთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სულ თავის მამაზედ ჰფიქრობს.

ო ფ ე ლ ი ა

გთხოვთ, ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ და როცა ისინი გკითხავენ, ეს რას ნიშნავსო, აი რა პასუხი მიუგეთ:

„ხვალ ვალენტინას' დღე არის,

მე ვალენტინა ვიქნები,

დილას ადრე შენთან მოვალ

და შენს სარკმელთან დავდგები.“

ტანთ ჩაიცივავ, კარს გაუღებ,  
მიიწვევ უმანკო ქალსა  
და მანკიერს გაისტუმრებ  
საბრალოს, თვალცრემლიანსა“.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ძვირფასო ოფელია!

ო ფ ე ლ ი ა

მართალს მოგახსენებთ; ფიცი რა საჭიროა. აი ეხლავ გავა-  
თავებ:

„ზეცის ძალნო, კარგად ჰხედავთ  
ყმაწვილკაცთა შერცხვენასა!  
ყმაწვილქალნო, ნულარ მისდევთ  
იმათ მომხიბვლელ ენასა.

ქალმა უთხრა: აკი ცოლად  
მპირდებოდი შერთვასაო.

— გვერდით რომ არ დამწოლოდი,  
არ გავტეხდი სიტყვასაო“.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დიდი ხანია, რაც ამ ყოფაშია?

ო ფ ე ლ ი ა

იმედი მაქვს, ყველაფერს კარგი ბოლო მოსდევს. უნდა მო-  
ვითმინო; მაგრამ მე ტირილის მეტი არა დამრჩენია—რა. ის ხომ  
ცივს სამარეში ჩააწვინეს. ჩემი ძმა შეიტყობს ამ ამბავს. გმად-  
ლობთ კეთილი რჩევისათვის. აბა, სად არის ჩემი ეტლი? მშვი-  
დობით, ქალებო; ღამე მშვიდობისა, ჩემნო ძვირფასნო, ღამე  
მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.

(გადის).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

უკან გაჰყევით და თვალყური გეჭიროთ მასზედ.

(ჰო რ ა ც ი ო გადის)

ეგ გესლი არის უდიდესის სატანჯველისა, —  
ჭკუა-გონება მამის სიკვდილს წაურთმევია.  
ჰხედავ, გერტრუდა, მწუხნარება კაცის გულს როგორ  
რაზმად დაწყობილ ჯარივითა მოეჯარება

და არა მარტოდ, ვით ჯაშუში, მალევით მოსული.  
ჯერ ხომ მაგისი მამა მოჰკლეს, მერე ჰამლეტიც  
თვითონვე თვისის განძეგების მიზეზი გახდა.  
პოლონიუსის მოკვლამ კიდევ უბრალო ხალხი  
მეტისმეტადა აამღვრია, აამღელვარა  
და საშიშ ჭორებს მითქმა-მოთქმით ავრცელებს იგი, —  
ჩვენც ცუდად ვქმენით, რომ ფარულად დავამარხვინეთ.  
ოფელიაც ის აღარ არის, რაც უწინ იყო,  
თავის გონებას გაეყარა, და უგონებოდ  
ხომ სურათნი ვართ, ანუ უფრო მხეცნი, პირუტყვნი;  
ბოლოს ეს უდრის ყოველს ამას, რაც ჩამოვთვალე,  
რომ საფრანგეთით იმისი ძმა ჩუმად მოსულა,  
გაოცებულა, ეს ამბები რომ გაუგია  
და შავს ფიქრებში, ვით ღრუბელში, გამოხვეულა.  
ჩამგონებლნი, რა თქმა უნდა, არ მოაკლდება;  
ესენი ლაერტს ყურში მამის მოკვლის შესახებ  
გესლიან ამბებს ჩააწვეთენ, გულს მოუწამლვენ,  
და როდესაც კი დამნაშავე მათ დასჭირდებათ,  
დასაჯერია უფრო, რომ ჩვენ დაგვასახელონ.  
ჰოი, გერტრუდა, სასიკვდილოდ რამდენჯონს მგმირავს  
მე ეს ამბავი, ვით მანქანა ჯოჯოხეთისა.

(გარეთ ხმაურობა. შემოდის ერთი მხლებელი).

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

ეს ხმაურობა რასა ნიშნავს?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აქ დაუძახეთ

ჩქარა ჩემ მცველთა და უთხარით კარს უდარაჯონ.  
რა ამბავია?

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი

თავს უშველეთ, ჩემო ხელმწიფე!

თვით ოკეანე, ოდეს იგი კიდეთ გადახეთქს,  
არ მუსრავს ისეთ სისწრაფითა ნაპირის მინდვრებს,  
როგორც ლაერტი მრისხანებით, გამძვინვარებით  
თქვენთ მსღებელთ პირქვე ამხობს, ახლის ერთი-ერომანეთს.  
ხალხი უწოდებს იმას ბატონს, თავის ხელმწიფეს,

და თითქო ეხლა იწყებოდეს ქვეყნის ტრიალი,  
დავიწყებოდეთ ჩვეულება ძველი და წმიდა,  
რაც აძლევს კაცის სიტყვას ძალას და მნიშვნელობას, —  
ჰყვირიან: „ლაერტ, ლაერტ იყოს ჩვენი ხელმწიფე!“  
ქუდების სროლა, ცხარე ტაში ერთვის კიჟინას  
და ადის ზეცას ეს ხმა: „ლაერტ იყოს ხელმწიფედ!“

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

ჰხედავ, როგორის სიხარულით მისდევენ ცრუ კვალს! —  
დანაის ძაღლნო, ნუ ჰყეფთ, სწორე გზა გაიგენით.  
(ხმაურობა უფრო ახლო მოისმის, შემოდის ლ ა ე რ ტ შეჭურვილი.  
დანელნი უკან მოსდევენ).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

კარებს ამტვრევენ.

ლ ა ე რ ტ

აქ ნუ მოხვალთ. — მეფე სად არის?

ხ ა ლ ხ ი

ჩვენც მანდ შეგვიშვით.

ლ ა ე რ ტ

დამაცადეთ.

ხ ა ლ ხ ი

კარგი, მოვიცდით.

ლ ა ე რ ტ

მადლობელი ვარ, გადით და კარს უკან დადევით.

(ხალხი გავა)

საზიზღო მეფევე, დამიბრუნე მე მამაჩემი!

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

დამშვიდდი, ლაერტ.

ლ ა ე რ ტ

ერთი წვეთიც ჩემის სისხლისა  
რომ მშვიდი იყოს, ჩემს ბუშობას დაამტკიცებდა,  
შეურაცხყოფდა მამაჩემსა და თვით დედაჩემს  
უმანკო უზბლზედ დასვამდა გარყვნილების დაღს.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რა მიზეზია, ლაერტ, ეგრე აღბორგებულხარ? —  
გერტრუდავ, თავი დაანებე; ჩვენთვის ნუ შიშობ,  
მეფეს ისეთი ღვთაებრივი მადლი იფარავს,  
რომ ლალატს მარტო შორით ძალუძს იმის შეხედვა,  
ახლო კი საქმეს ვერ უფერებს თავის განზრახვას. —  
მითხარ, რადა ხარ, ლაერტ, ეგრე აღელვებულნი? —  
დაეხსენ-მეთქი, ოჰ, გერტრუდა. — სთქვი და ყურს გიგდებ.

ლ ა ე რ ტ

სად არის-მეთქი მამაჩემი?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ვარდაიცვალა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაგისი ბრალი არ ყოფილა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დაეხსენ, მკითხოს.

ლ ა ე რ ტ

მერე რამ მოჰკლა? მე თქვენ მაგით ვერ მომატყუებთ.  
რად მინდა ფიცი, ანუ გრძნობა ქვეშევრდომული!  
ეშმაკებსაც კი წაუღიათ და ღრმა ჯურღმულში  
დევ, ჩავარდეს სინიდისიც და მორიდებაც.  
არ გავეჭვებ მე დაწყევლას თუნდ საუკუნოს,  
არად ჩავაგდებ სააქაოს და საიქიოს,  
და რაც მომივა, მომივიდეს. მაგრამ ეს კია,  
რომ მამიჩემის სიკვდილს მალე გადვუნდი მკვლელსა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მერე ვინ გიშლის?

ლ ა ე რ ტ

ცისქვეშეთს არ შევეპოები

და ისე ვიხმარ ამ ჩემს მცირე ღონე-შეძლებას,  
რომ ღიდსა საქმეს მოვიქმედებ მის შემწეობით.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ლაერტ, შენ გინდა, რომ შეიტყო სწორე ამბავი  
ქვირფასის მამის სიკვდილისა, მაგრამ ეს მითხარ,



განა ვსურს, ყველას შური აგო, ავსაც და კარგსაც  
და მტერ-მოყვარე ერთმანეთში არ ვაარჩიო?

ლ ა ე რ ტ

მარტო მტერს ვდეენი...

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

არ გინდა კი, იპოვო იგი?

ლ ა ე რ ტ

და მეგობრებსა აქ, ამ მკერდზედ მაგრად მივიკრავ,  
მზა ვარ, ვაწოვო ჩემი სისხლი, მით გამოვკვებო,  
როგორც ერთგული ვარხვი თავის ბარტყებსა ჰკვებავს.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

შენ ეხლა ისე ლაპარაკობ, როგორც შეჰფერის  
მაშიშენის შვილს, როგორც დიდკაცს, კეთილად აღზრდილს.  
დღის წათვლით ცხადი უნდა იყოს ეს შენთვის,  
რომ იმსიკდილში უბრალო ვარ, წილი არ მიდევს  
გარდა უზომო, ფრიად საგრძნობ, მწუხარებისა.

ხ ა ლ ხ ი (გარედამ)

გზა, გზამიქცით!

ლ ა ე რ ტ

რას ჰყვირიან, რა ამბავია?

(წემოდის ოფელია, უცნაურად მორთული ჩალათი და ყვავილებით).  
ოჰ, ცეცხლის ალო, გამომიშრე სრულად გონება,  
შენც, ცხარე ცრემლო, ეგ სიმლაშე გაიშვიდკეცე  
და ამომიწეი ამ თვალთავან გრძნობა და ხედვა.  
ზეცასა ვფიცავ, მე გადვუხდი შენს ჰკვაზედ-შემშლელს,  
წონით ზიჯებ, ვიდრე სასწორს ძალზედ არ დავხრი.  
მაისის ფარდო, ოფელია, ძვირფასო დაო!  
ტკბილო, უმანკო! ჰოი, ზეცავ, ყმაწვილის ქალის  
ჰკუა-გონება განა ისე წარმავალია,  
როგორც სოცოცხლე მოხუცებულ ადამიანის?!  
ნამდვილ სიყვარულს ეს სცოდნია: იგი თვის საგანს,  
რაც უფეთსი გააჩნია, უკან აღევნებს.

ო ფ ე ლ ი ა

„კუბოს-მდებარე მიჰქონდათ  
პირ-ბადე გადახდილიო,  
სამარეში რომ ჩაუშვეს,  
მოვრთეთ კვნესა-ტირილიო...“  
მშვიდობით, ჩემო მტრედო!

ლ ა ე რ ტ

შენი ჭკუა რომ შეგრჩენოდა და გექადაგნა  
შურისძიება, — ვერ გასჭრიდა ეგრე ძლიერად.

ო ფ ე ლ ი ა

უნდა ასე იმღეროთ:  
„ქვეით, ქვეით, სამარეში ჩაიხმეთ იგი...“  
ოჰ, როგორ მოუხდება ამ ლექსს ჯარას-ტრიალი. ის მატყუ-  
არა მოურავია, თავის ბატონის ქალი შეაცდინა და გააპარა.

ლ ა ე რ ტ

ეს უაზრო ლაპარაკი აზრიანსა სჯობს.

ო ფ ე ლ ი ა

აი საკმელას-ბალახი: ეს ნიშნავს, არ დამივიწყო. გთხოვ,  
ჩემო საყვარელო, არ დამივიწყო. აგერ კიდევ ქვეყნის-გულა,  
გულიდამ არ ამომიღო.

ლ ა ე რ ტ

გიჟია, მაგრამ სიგიჟეშიაც ჭკუა შერჩენია, სულ დავიწყე-  
ბასა და მოგონებაზედ ჰფიქრობს.

ო ფ ე ლ ი ა

აი კამა შენთვის და ღიღილოები. აი შენთვისვე მარიამ-  
საკმელა; ცოტა მეც დამრჩა... შეიძლება ამას ღვთისმშობლის  
ყვავილი დავუძახოთ... შენ გაგახარებს ამის ტარება და მე კი...  
მე საკმელად უნდა ვუკმეო. აგერ გულისაბა... მინდოდა იაც  
მომეცა, მაგრამ სულ-ერთიანად დაჭკნა, როცა მოკვდა მამაჩე-  
მი... ამბობენ, კეთილი ბოლო ჰქონდაო.

(მღერის)

„რობინ, ჩემო სიხარულო,  
ჩემო კარგო, თვალისჩინო...“

## ლ ა ე რ ტ

სევდას და დარდსა, მწარე ტანჯვას, თვით ჯოჯოხეთსა  
იგი სახეს სდებს საამოსა და საკეთილოს.

ო ფ ე ლ ი ა (მღერის)

„მაშ არ მოვა თავის დღეში?  
თავის დღეში აღარ მოვა?  
წავიდა და გაჰქრა,  
სამარეში ჩაძვრა,  
თავის დღეში აღარ მოვა!  
თმა ჰქონდა თითქო დართული,  
წავიდა ის შორსა,  
გზას ძნელს, არა-სწორსა,  
დაილოცოს იმის სული!“

და ყველა ქრისტიანის სული! ჩემი ლოცვა ეს არის.  
ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი.

(გადის).

## ლ ა ე რ ტ

ღმერთო, ჰხედავ კი ამ ამბავსა?

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

უნდა გაგიყო,  
ლაერტ, ეგ ტანჯვა. შენ ხომ ამის უარს ვერ მეტყვი.  
შეჰყარე, ვინც რომ გაგებული. მეგობარი გყავს  
და მე და შენი საქმე იმათ გავასჯეინოთ;  
თუკი დარწმუნდენ, რომ რაშიმე გარეული ვარ,  
ანუ პირდაპირ, ანუ მრუდე, მოხვეულის გზით, —  
შენ ხელთა მოგცემთ საზღაურად ჩვენ ყოველსავე,  
რაც გვაბადია: ჩვენს სამეფოს, გვირგვინს, სიცოცხლეს.  
და თუ გამტყუნდი, მოთმინება სასჯელად გქონდეს  
და ერთად ვცადოთ, მოვუპოვოთ შენს სულს მშვიდობა.

## ლ ა ე რ ტ

მე თანახმა ვარ. უცნაური მისი სიკვდილი,  
ჩუმად დამარხვა უხმლოდა და უსამკაულოდ,  
აუგებლობა დიდებულთა შესაფერ წესის, —

ესე ყოველი ცად ლაღადებს და მეც მაქეზებს,  
რომ ანგარიში მოვიტხოვო.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ძალიან კარგი;

და რომელიც კი ბრალეული აღმოჩნდეს, იმას  
სამართლის ცელი, დეე, მოხვდეს. წამოდი ჩემთან.  
(გაღიან).

## ს უ რ ა ტ ი VI

მეორე ოთახი იქვე.

(შემოდინან ჰორაციო და მსახური).

ჰორაციო

ვის უნდა ჩემთან ლაპარაკი?

მსახური

მეზღვეურებსა.

ასე მითხრეს, რომ წერილებიც ჰქონიათ თქვენთან.

ჰორაციო

შემოიყვანე.

(მსახური გაღის)

მე წერილი სიღამ მომივა,

ანუ რომელი მომიგონებს, თუ არ ჰამლეტი?

(შემოდინან მეზღვეურნი).

პირველი მეზღვეური

ბატონო ჩემო, ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი.

ჰორაციო

ავრეთვე უენიც.

პირველი მეზღვეური

იყავნ ნება მისი. — აი, ბატონო, თქვენთან ერთი წერილი გახ-  
ლავთ. ეს ინგლისში გაგზავნილმა ელჩმა მოგართვათ, თუ თქვენ  
მართლა, როგორც მითხრეს, ჰორაციო ბრძანდებით.

„ჰორაციო, როცა ეს წერილი გადაათვალიერო, ისე მოახერხე, რომ ამ მეზღვეურთ ხელმწიფე უჩვენო, — წერილები აქვთ იმასთანაც. ჩვენ ჯერ ორი დღე არ გვევლო ზღვაზედ, როცა უეცრად გამოგვიდგა მეკობართა გემი, მთლად საომრად შეჭურვილი. რაკი მეტად ნელა მივცურავდით, სხვა გზა არ იყო, უნდა ძალად გვემამაცნა და გვებრძოლა. შეტაკების დროს მე იმათს გემზე აგვარდი. მაშინვე მოშორდენ ჩვენს გემს და მარტო მე შევრჩი ტყვედ ხელში. ძალიან ზრდილობიანად მომექცენ ეს ავაზაკები; მაგრამ კარგად იცოდენ, რასაც სჩადიოდენ, — იცოდენ, რომ გადაუხდელს არ დავტოვებდი. ჩემგან გამოგზავნილი წერილები უეჭველად ხელმწიფისათვის ჩააბარებინე და მაშინვე ჩემთან წამოდი ისეთსავე სიჩქარით, რა სიჩქარითაც სიკვდილს გაექცეოდი. მე ისეთი სიტყვები მაქვს შენთვის სათქმელი, რომ ყურებში თითს დაიცობ, თუმცა სიტყვები შორს მოვლენ თვით მათ შინაარსთან. ეს კაცებივე მოგიყვანენ ჩემთან. როზენკრანც და გილდენსტერნ ინგლისისკენ წავიდენ. იმათზედაც ბევრი რამა მაქვს შენთვის სათქმელი. მშვიდობით.

შენი და საუკუნოდ შენად საგულებელი ჰამლეტ“.

წამო, გაჩვენებთ, ეგ წერილნი სად მიიტანოთ და თქვენსა საქმეს საჩქაროზედ ბოლო მოუღეთ. — უნდა წამიძღვეთ მასთან, ვინც რომ აქ გამოგზავნათ.  
(გაღიან).

## ს უ რ ა თ ი VII

სხვა ოთახი იმავე ციხე-დარბაზში.

(შემოდიან ხელმწიფე და ლაერტი).

ხელმწიფე

ეხლა ხომ უნდა გრწამდეს ჩემი უბრალოება და მიგულებდენ შენს განუყრელ, ერთგულ მეგობრად.

რაკი დარწმუნდი, გაიგონე შენის ყურითვე,  
რომ მამიშენის მკვლელი სიკვდილს მეც მიპირებდა.

### ლ ა ე რ ტ

ცხადია ეხლა, მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ,  
რად არ მიაგეთ ამ საზარელ ბოროტებისთვის  
სამაგიერო დამნაშავეს? ყველა გიწვევდათ,  
რომ დაგესაჯათ: როგორც სიბრძნე და ძლიერება,  
ისე საკუთარ თქვენის ტახტის უშიშროება.

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ორი მიზეზი ხელს მიშლიდა. ამ მიზეზთ შერთვის  
იქნება კიდევ მნიშვნელობა არა ჰქონდეთ-რა,  
ჩემთვის კი დიდის ყურადღების ღირსნი არიან:  
ჯერ ეს რომ დედას უყვარს იგი სულზედ უტკბესად  
და ჩემსა სულსა და სიცოცხლეს მეუღლე ჩემი  
ისეთის მჭიდრო კავშირითა დაუკავშირდა,  
რომ ვით ვარსკვლავი ვერ იძვრის თვის სფერის გარეშე,  
ისე უმისოდ სიცოცხლე მე არ შემიძლიან —  
არ ვიცი, ეს ბედს დავაბრალო, თუ უბედობას.  
კიდევ საქვეყნოდ ვერ დავსაჯე იმა მიზეზით,  
რომ დაბალ ხალხსა უყვარს იგი გარდამეტებით,  
სიყვარულითა თვისით ჰფარავს ერთგულად მის ბრალს  
და წყაროს მზგავსად, რაც ბრწყინვალედ აქვავებს ხესა,  
მის ბორკილთ განდის სამკაულად, სადიდებელად.  
ჩემნი ისარნი ვერ დასძლევენ ამ ქარიშხალსა  
და მის მაგივრად, რომ მივიდენ დანიშნულ მიზანს,  
უკანვე ჩემდა გასაგმირად მოისწრაფებენ.

### ლ ა ე რ ტ

მაშ აგრე! უნდა დავკარგო მე სულდიდი მამა,  
უნდა ვხედავდე განწირულსა საყვარელს დასაც?  
დასა, რომელსაც, — თუ წარსულის ქების ნება გვაქვს, —  
ტოლს ვერ ვუპოვით ღირსებითა ამ მიწის ზურგზედ...  
მაგრამ მე მალე დამიდგება დღე გარდახდისა!

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ნუ შესწუხდები, ნუ გაიტეხ მაგითი ძილსა;  
იქნება ჰფიქრობ, ვითომც ვიყოთ ჩვენ შედგენილნი

ისეთის უფხო და უგრძობელ ნივთიერებით,  
რომ წვერზედ ხელი ჩვენსა მტერსა წავავლებინოთ  
და ჩავთვალოთ ეს თავხედობა დროს-გატარებად?  
სხვასაც გაიგებ მალე კიდევ. მე მამაშენი  
მიყვარდა ფრიად და არა გვძულს არც ჩვენი თავი...  
მგონია, მიხვდი, რასაც ვამბობ. —

(შემოდის შ ი კ რ ი კ ი)

რა ამბავს იტყვი?

შ ი კ რ ი კ ი

ჰამლეტს, მეფეო, წერილები მოუერთმევია,  
ერთი საკუთრივ თქვენთვის, ერთიც ღედოფლისათვის.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რას ამბობ, ჰამლეტს წერილები?!. ვინ მოიტანა?

შ ი კ რ ი კ ი

მეზღვაურები გახლავანო, თუმც არ მინახავს.  
ეგ მე კლავდიომ გადმომცა, მას გამოერთმია.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

შენც შეგიძლიან, მოისმინო. — კარგია, წადი.

(შ ი კ რ ი კ ი გადის).

(ჰკითხულობს) „მალალო და ძლიერო ხელმწიფეო. უნდა გაცნობოთ, რომ თქვენს სახელმწიფოში შიშველი გადმომსვეს. ხვალ უნდა ვითხოვო ნება თქვენის დიდებულების თვალთა ხილვისა. მაშინ მოგთხოვთ ჯერ მოტევენას და მასუკან მოგახსენებთ მიზეზს ასე საჩქაროდ და უეცრად დაბრუნებისას.

ჰამლეტ“.

ეს რასა ნიშნავს, მერე სხვებიც უკან დაბრუნდენ,  
თუ ყველა ესე სამაცდუროდ მოუგონიათ?

ლ ა ე რ ტ

ხელზედ ვერ იცნობთ?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ეს ჰამლეტის ნაწერი არის.

დახე ამ სიტყვას და მიწერილს: „შიშველი“, „მარტო“.  
რას მირჩევ, რა ვქნა?

## ლ ა ე რ ტ

მეც, ბატონო, არა მესმის-რა.

დღე, მოვიდეს, ეგ მაღამოდ ეცხება ჩემ გულს,  
მიმსუბუქდება სულის ტანჯვა, რაკი შევიძლებ  
მაღე ამ სიტყვათ პირში მიხლას: „შენ მოჰკალ იგი!“

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

თუ ეს ამბავი მართალია, — ვეჭობ კი ფრიად, —  
მაგრამ არ ვიცი, მაშ ტყუილს ვინ მოიგონებდა? —  
ხომ ნებას მაძლევ, გიწინამძღვრო?

## ლ ა ე რ ტ

როგორცა გსურდეთ,  
ოღონდ ჩვენ შორის მშვიდობას კი ნუ ჩამოაგდებთ.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

შენის სულისთვის მსურს მშვიდობა. — თუ დაბრუნდება  
და უარს იტყვის სხვა ქვეყნებში კვალად წასვლისას,  
მოფიქრებული მაქვს ერთი რამ ხიფათი მისთვის, —  
იგი ამ ხიფათს უსიკვდილოდ ვერ გადურჩება  
და ეს სიკვდილი ეჭვს და კიცხვას არ გამოიწვევს, —  
თვით დედამისი დააბრალებს მხოლოდ შემთხვევას.

## ლ ა ე რ ტ

მე მზა გახლავართ, მაგ საქმეში მოგყვეთ, ხელმწიფევ,  
მით უფრო დიდის სურვილითა, თუ მოახერხებთ  
და მე მომანდობთ იმის მოკვლას.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ძალიან კარგი. —

მას აქეთ, რაც შენ მოგზაურობ უცხო ქვეყნებში,  
ხშირად უქიათ, ჰამლეტისა თანადასწრებით,  
შენი სიმარჯვე ერთ საგანში; სხვა შენს ღირსებას  
ჰამლეტის გულში არ აღუძრავს ისეთი შური,  
როგორც ამ ნიჰსა, ჩემის აზრით, არად-ჩასაგდებს.

## ლ ა ე რ ტ

რა ნიჰსა ბრძანებთ, ხელმწიფეო?



## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ეგ ყვავილია,  
ახალგაზრდობის ნიჭთა შორის უქმად ბრწყინვალე,  
თუმცა საჭირო არის იგი. ყმაწვილთა კაცთა  
აყვავებულნი სამკაული ისე შეჭფერით,  
ვით დარბაისელთ, სუსტთა მოხუცთ თალხი და მძიმე.  
ორი თვის წინად საფრანგეთით აქ იყო ერთი  
ნორმანდიელი. უნდა გითხრა, მე ვიცნობ ფრანგებს;  
მათ წინააღმდეგ მიომნია; ვიცი, მხედარნი  
კარგნი არიან, მაგრამ იგი სრულად სხვა იყო.  
იტყოდნი, ანუ გრძნება აქესო, ან ბავშვობიდან  
უნაგირზედა აღზრდილათ. იგი თავის ცხენს  
ისე საკვირვლად, გულმომტაცად ათამაშებდა,  
თითქო ბუნება ერთი აქვთო, ერთი სისხლ-ხორცი.  
იმდენ სიმარჯვეს, იმდენ ხერხს მე ვით მოვიაზრებ,  
რამდენსაც საქმით ასრულებდა იგი ჩვენ თვალწინ.

ლ ა ე რ ტ

ნორმანდიელი გახლდათ იგი?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ნორმანდიელი.

ლ ა ე რ ტ

უთუოდ ლამორდ იქნებოდა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ის იყო სწორედ.

ლ ა ე რ ტ

ვიცნობ მე კარგად; თავის ხალხის თვალია იგი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

შენი ამბავი მან გვიამბო: ფრიად გაქებდა,  
აქებდა შენსა ხელოვნებას, ხმალში სიმარჯვეს,  
მეტადრე უფრო აკვირვებდა დაშნის ხმარება.  
სთქვა: ჩინებული სანახავი იქნება მეტად,  
თუ ვინმე შესძლებს და მას ხმალში გაუსწორდება.  
ჩემ ქვეყანაში ვინც გაპბედავს მასთან ცილობას,  
თვალთ უბნელდება და ესპობა მოძრაობათ.

ჰამლეტს ამ ამბით შურის გესლი გულს ჩაებულა და ღმერთსა სთხოვდა მალე შენსა დაბრუნებასა, რომ შენზედ თავის ხმლის სიმარჯვე გამოეცადა. ამას რად ვამბობ, ხომ მიმიხვდი?

ლ ა ე რ ტ

ვერა, ბატონო.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ლაერთ, ეს მითხარ, მამაშენი მართლა გიყვარდა, თუ ჰგავხარ სურათს მწუხარების გამომხატველსა, მაგრამ უგულოს?

ლ ა ე რ ტ

მაგას, აბა, როგორა მკითხავთ!

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

არა იმისთვის, შენს სიყვარულს ვითომ ვეჭვობდე, მაგრამ ეს ვიცი, სიყვარული დროს ნაყოფია და მას ამტკიცებს მაგალითიც, გამოცდილებაც, რომ დრო ასუსტებს მისგან ნაკვესს ცეცხლს და ნაპერწკალს. თვით სიყვარულის ალში არის პატრუქი, ნამწვი, რაიც სპობს იმის ბრწყინვალეობას, მის ძლიერებას. ვერას ვუწოდებთ გამუდმებით თანაბრად კარგსა, რადგან სიკეთეს მოსპობს ხშირად მისივე ჭარბობა. რაკი საქმესა რომელსამე გულს განვიზრახავთ, მაშინვე უნდა შევასრულოთ; თორემ განზრახვა ანუ უქმდება, ან იმდენგზის სახესა ცვლილობს, რამდენს ენასაც, ხელს, შემთხვევას იგი შეხვდება. მაშინ სურვილი ეგვანება მხარჯავ კაცთ ოხვრას და უფრო მეტი ვნება მოაქვს შემსუბუქებით. სჯობს, ეხლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს სატკივარსა: ჰამლეტ აქ მოდის, აბა, მითხარ, რას მოიქმედებ, რით დაამტკიცებ, რომ შენ მართლა არა თუ სიტყვით, საქმიანად სწორედ მამიშენის ღირსი შვილი ხარ?

ლ ა ე რ ტ

ეკლესიაში რომ გამექცეს, იქაც კი მოვკლავ.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

წმიდა-წმიდათაც ვერ დაიცეავს მართლაც კაცის-მკვლელს და შურისგებას ხომ საზღვრები არ უნდა ჰქონდეს. — ლაერთ, თუ მისი მოკვლა გასურს შენ, ნუ ეჩვენები და როცა ჰამლეტ, დაბრუნების შემდეგ, შეიტყობს შენს აქ მოსვლასაც, ჩვენ დაგიწყებთ უზომო ქებას და ერთიორად, რაც ფრანგმა სთქვა, გავაზვიადებთ. მასუკან ერთად შეგყრით ხმალში გამოსაცდელად და ნაძლევს დავდებთ, თუ რომელი რომელს აჯობებს ის ეშმაკობას მოკლებული, მიმნდობი არის და არ გასინჯავს კარგად დაშნებს. შენ კი, თუ იხმარ ცოტაოდენ ხერხს, იმისთანა დაშნას აირჩევ, რომელიც განგებ არ იქნება დაჩლუნგებული და ერთის დაკვრით გადაუხდი მამის მოკვლისთვის.

## ლ ა ე რ ტ

მე თანახმა ვარ და რომ უფრო ადვილად შევძლო ამა განზრახვის შესრულება, მოვიშველიებ ერთგვარ საცხებელს, — ის მომყიდა ქუჩის ექიმმა, — დანა ოდნავ რომ იმ საცხებელს ამოაწებოთ და სისხლს შეეხოთ მერე იმით, მის განკურნებას ვერა წამალი ვეღარ შესძლებს, თუნდ რომ ცისქვეშეთ რაც სამკურნალო ბალახია, ერთადა სცადოთ. იმით შეხება და სიკვდილი ერთი იქნება. მე ჩემსა დაშნას ზედ წაუუსვამ სწორედ ამ შხამსა და თუ გავკაწრე, უსიკვდილოდ ვერ გადამრჩება.

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჩვენ ესე საქმე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, მხედველობაში მივიღოთ დროც, გარემოებაც და თუ იმედი არა გვაქვს-რა, ან საიდუმლოს უხერხულობით გავამჟღავნებთ, სჯობს, არ დავიწყოთ. ანუ დაგებულს ესრეთ მახეს სხვაც მიგაყოლოთ და ვცადოთ იგი, თუ პირველი არ გამოგვადგა. აბა, ვიფიქროთ... დამაცადე... თქვენს სიმარჯვეზედ ჩვენ დიდის ამბით ერთმანეთში ნაძლევსაც დავდებთ... კარგად მივაგენ: მამ ეცადე, ცხარედ იბრძოლო

და ამ ბრძოლის და სიციხარის დროს რომ მოგწყურდებათ,  
ის ხომ მოითხოვს სასმელს რასმე... მეც მზად ვიქნები  
და მივაწოდებ სავსე ჭიქას... ოღონდ ამ ჭიქას  
როგორმე ტუჩი დააკაროს... მორჩა, გათავდა.  
ჩვენი განზრახვა შესრულდება, თუნდ შენი დაშნა  
შხამით ნამზადი აიცილინოს. — ჩუმაღ, მოიცა...

(შემოდის დედოფალი)

რა ამბავია, დედოფალო, ვინა ხმაურობს?

დედოფალი

ერთი მეორეს მწუხარება ფეხდაფეხ მოსდევს:  
ლაერთ, შენი და, ოფელია, წყალში დაიღრჩო.

ლაერთ

რაო, დაიღრჩო?... ოჰ, საღ, როგორ?!

დედოფალი

მდინარის პირად

ერთი ტირიფი დგას მკრთალ ფოთოლთ წყალში მჩინარე;  
იქ მისულიყო ოფელია და მოეგროვა  
ჭინჭარ-ყაყაჩო, გულისაბა, ჭრელი ბალახი,  
რომელსაც მწყემსნი ენამეტნი ცუდს სახელს სდებენ  
და ჩვენნი მორცხენი სოფლის ქალნი უხმობენ ჯიკას.  
დაუწნავს მათგან გვირგვინები სხვადასხვა ფერი,  
ასულა ხეზედ, იქ ნდომია მათ დაკიდება,  
მაგრამ უეცრად მოტეხილა ბედკრული ხის შტო  
და ოფელიაც ყვავილებით თან ჩაჰყოლია.  
წყალზედ სამოსი გარდაშლია, არ ჩაუძირავს,  
და სირინოზის მზგავსად იგი ძველსა სიმღერებს,  
თვის ბედშაობის უგრძნობელი, ამბობდა თურმე; —  
იგი ჰგავდაო წყალში აღზრდილს მდინარის შვილსა,  
მაგრამ როდესაც გაქდენთია ტანთ-სამკაული,  
საცოდავს უცბად შესწყვეტია ტკბილი გალობა  
და შლამიანს ფსკერს მიუზიდავს უსულო გვამი.

ლაერთ

ნუთუ დაიღრჩო და საშველი არა არის-რა?!

## დ ე დ ო ფ ა ლ ი

მკვდარია იგი.

### ლ ა ე რ ტ

ოფელია, წყალმა გიმსხვერბლა, —  
 რა საჭიროა კიდევ ჩემი წყალწყალა ცრემლი?!  
 მაგრამ ბუნება ეს ყოფილა და ჩვეულებას  
 იგი თავისას ვერ გადავა. დეე, გამკიცხონ!  
 რაკი დავაფრქვევ ამ ცრემლთ, კიდევ გავვაჟაკადები.  
 მშვიდობით, მეფეე; თვალის წყალს რომ არ გაენელა,  
 გულით სახმილებრ მწვავსა სიტყვებს ამოვანთხევი.  
 (გადის).

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გავყვეთ, გერტრუდავ, ძლივს რაგვარ ცდით დავაშოშმინე  
 და ვშიშობ კიდევ, ამ ამბავმა არ ააღლეგოს.  
 (გადიან).

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს უ თ ი ე

### ს უ რ ა თ ი I

#### სასაფლაო.

(შემოდის ორი მესაფლავე ბარებით, ნიჩბებით და სხვ.).

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე

მაშ იმ ქალს ქრისტიანულად დამარხავენ? თითონვე რომ მოუკლავს თავი?!

### მ ე ო რ ე მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე

გეუბნები, ქრისტიანულადა-მეთქი. ნულარ უყურებ, თხარე საფლავი. ხელმწიფის მოხელემ აკი შეამოწმა და სთქვა, ქრისტიანულად უნდა დაიმარხოსო.

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე

რა ვიცი, რა ვიცი! თავის უნებურად რომ დამღრჩვალიყო, მაშინ სხვა იყო.

## მეორე მესაფლავე

მანც აგრე მოიგონეს, ვითომ თავის უნებურად დაიღრჩო.

## პირველი მესაფლავე

საიდან, მერე! ხომ თითონ მივიდა წყალთან! აი, გამიგონე: თუ მე განგებ თავს ვიღრჩობ, ამას მოქმედება ჰქვიან და ყოველ მოქმედებაში სამი ნაწილია: ესე იგი, მოქმედება, საქმობა და შესრულება, მამასაღამე, განგებ დაუღრჩვია თავი.

## მეორე მესაფლავე

ახლა, ძმობილო, ერთი ჩემიც გაიგონე.

## პირველი მესაფლავე

დამაცადე. ვთქვათ, აქ წყალია, — კარგი. აქ კაცი დგას, — ძალიან კარგი. თუ კაცი მიდის ამ წყალთან და, უნდა თუ არ უნდა, თავს იღრჩობს, სჩანს, თითონვე მიდის. ყური დამიგდე: და თუ წყალი მოდის და აღრჩობს, მაშინ თითონ არ იღრჩვება. მაშ ვინც თავს არ მოიკლავს, არც სიცოცხლეს მოისპობს.

## მეორე მესაფლავე

განა კანონი ეგრეა?

## პირველი მესაფლავე

ეგრეა, მაშ. მოხელეების კანონი ეგრეა.

## მეორე მესაფლავე

იცო, რა გითხრა: თავადის ქალი რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანულადაც არ დამარხავდენ. მართალი თუ გინდა, ეს არის.

## პირველი მესაფლავე

მეც მანდა ვარ. ეგ მაწუხებს, რომ დიდკაცებს სააქაოში თავის დაღრჩობასა და ჩამოღრჩობაშიც კი მეტი უფლება ჰქონიათ, სანამ ჩვენისთანა საწყალ ხალხსა. აბა ერთი ბარს ხელი გავკრათ. — ყველაზე დიდი თავადები მეზადეები, მიწის-მთხრელები და მესაფლავეები არიან, ამათ ადამის ხელობა უჭირავთ.

## მეორე მესაფლავე

მერე, ადამი თავადი იყო?

პირველი მესაფლავე

თავდაპირველად ის გაჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც იმას ეჭირა ხელში და ბარიც.

მეორე მესაფლავე

სტყუი.

პირველი მესაფლავე

ურჯულო ხომ არა ხარ. საღმთო წერილი არ იცი? იქა სწერია, ადამი მიწას სთხრიდაო. რით გასთხრიდა, თუ ბარი ხელში არა სჭეროდა? კიდევ ერთს რასმე გკითხავ. თუ რიგიან პასუხს ვერ მეტყვი, მაშინ გატყდი, რომ...

მეორე მესაფლავე

სტყვი.

პირველი მესაფლავე

ვინ აშენებს კალატოზზედაც, მენავეზედაც და ღურგალზედაც უფრო მაგარ შენობას?

მეორე მესაფლავე

საღრჩობელას დამდგმელი. ეს შენობა ათასს თავის მდგმურს ამოიჭამს.

პირველი მესაფლავე

ეგ კარგად მოგივიდა, ბაოაქალა! მართლა რომ საღრჩობელა კარგი რამ არის. მაგრამ ვისთვის არის კარგი? იმისთვის, ვინც ცუდს ჩადის; და აი შენც ცუდს ჩადიხარ, რომ ამბობ საღრჩობელა საყდარზედ მაგარიაო. მაშ საღრჩობელა შენთვისაც კარგი იქნება. ჯერ იფიქრე ხოლმე და ისე სტყვი.

მეორე მესაფლავე

შენა მკითხავ კალატოზზედ, მენავეზედ და ღურგალზედ უფრო მაგარ შენობას ვინ აშენებსო?

პირველი მესაფლავე

ჰო, მითხარ და გაათავე.

მეორე მესაფლავე

ეხლავ გეტყვი.

პირველი მესაფლავე

აბა?

მეორე მესაფლავე  
ვერა, ვერ გეტყვი.  
(შემოღიან ჰამლეტ და ჰორაციო).

პირველი მესაფლავე

ფიქრით თავს ნუ იხეთქ; შენს ზარმაც ვირს ცემით ნაბიჯს ვერ მოამატებინებ და თუ კვლავ ეგევ გკითხოს ვინმემ, უპასუხე, — მესაფლავე-თქო. ამისგან გაკეთებული სახლი მეორედ მოსვლამდისა სძლებს. წადი ერთი იოგანთან და პატარა ყელის ჩასაკოკლოზინებელი მომიტანე.

(გადის მეორე მესაფლავე).

პირველი მესაფლავე

(სთხრის და მღერის)

„ჩემ ბიჭობას გოგოებსა  
გულიანად დავდევიდო,  
ვთამაშობდი, მიხაროდა, —  
ვაჟ რა ცუდს დროს დავბერდიო!“

ჰამლეტ

ნუთუ ამას გრძნობა არა აქვს, რას ჩადის; მღერის საფლავის თხრის დროს?

ჰორაციო

ჩვეულება კაცს გულცივობასაც ადვილად შეუთვისებს.

ჰამლეტ

ეგ მართალია. ვინც კი ხელებს ნაკლებად ამუშავებს, მას გრძნობა უფრო მღვიძარე აქვს.

პირველი მესაფლავე

„უძლურებამ და სიბერემ  
კლანჭი მაგრად ჩამჭიდაო,  
უცხო მხარეს. გადამტყორცნა,  
უცნობ ხეზედ დამკიდაო.“  
(ამოავდებს ადამიანის თავის ქალას).

ჰამლეტ

ამ თავს ერთხელ პირში ენა სდებია და სიმღერაც შესძლებია. როგორ ისვრის ეს ბრიყვი მიწაზედ, თითქო პირველ კა-



ცისმკვლელის კაენის თავი იყოსო. ვინ იცის, იქნება ეს თავი პოლიტიკოსის თავი იყო და ეს ვირბ კი როგორ უმართებულოდ ეპყრობა! იქნება თავის დროზედ იგი ღმერთთანაც გაბჭობას არ ერიდებოდა. არა, ჰორაციო?

ჰორაციო

შესაძლებელია, ბატონო ჩემო.

ჰამლეტ

ანუ ერთ-ერთ კარისკაცისა, რომელიც ყოველდღე ამბობდა: „დილა მშვიდობისა, ხელმწიფეო ჩემო!“ „როგორა ბრძანდებით, ბატონო ჩემო?“ იქნება ესა და ეს დიდებული იყო და ამა და ამ დიდებულის ცხენს აქებდა, როცა სურვილი მოუვლიდა, საჩუქრად მიეღო. ესეც ხომ შესაძლებელია, ჰორაციო?

ჰორაციო

რატომ?

ჰამლეტ

და ესლა კი ბატონ მატლების ულუფაა, კანშემხმარი, მესაფლავის ნიჩბის სასროლ-საგდებელი. აი, ამასა ჰქვიან გარდაცვლა, რომ თვალი გვიჭრიდეს და დანახვა შეგვეძლოს. განა ამ ძვლების პატრონი თავის ძვლებს იმისთვის უვლიდა, რომ ამ უმზგავსებს კოჭებევით ეთამაშებინათ! მე თითონ ძვლები მტკივა, ამას რომ ვფიქრობ.

პირველი მესაფლავე

(მღერის)

„ამისთანა ძვირფას სტუმრის  
დასახვედრად თურმე კმარა,  
თოხ-ნიჩაბი, ბნელი ორმო,  
ფიცრის კუბო და სუდარა“.  
(კიდევ თავის ქალას ამოაგდებს).

ჰამლეტ

აი კიდევ... იქნება ეს თავი რომელიმე ვექილის თავი იყო. სად არის ახლა ამის კილოს-გამობმა, სიტყვების რახარხუნი, ამის შეკამათება, სამართალზედ ლაპარაკი და ათასი სხვა ვშმა-

კობა? რად ამღვეს ამ წუწკს ნებას, რომ მის კანონებით სავსე თავს ტალახიანდ წიხბით ისვრის და მოქმედებით შეურაცხები-სათვის დავას არ აუტეხს? ან იქნება ეს ვაჟბატონი თავის დრო-ში მამულებს ჰყიდულობდა და მისდევდა კანონის მუხლებს ვალდებულობის ქალაღებს, გარდასახადებს, თავდებებს, წა-მოდევებს... მაშ ეს არის იმის გარდასახადების გარდასახადი, რომ ამისი კანგარდახდილი თავი ესლა მიწითა და მტვრით არის ზავსე? მაშ ამის თავდებები სხვა ნასყიდობაში არ უთავდებე-ბენ, თუ არ ამ ერთ მტკაველ მიწაში? ამას ხომ სიგარძე-სიგანე-ზედ ორი ნასყიდობის წერილი კარგად დაჰფარავს; მთელი ამი-სი ეტრატები ამოდენა ყუთში ძლივს ჩაეტეოდა და თვით მფლობელსაც მეტი ადგილი არ უნდა ეჭიროს?!

### პ ო რ ა ც ი ო

ეგ არის ადამიანის ბოლო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ეტრატს, მგონი, ცხვრის კანისას აკეთებენ, არა?

### პ ო რ ა ც ი ო

ღიად, ბატონო, ცხვრის კანისასაც აკეთებენ და ხბოს კანი-სასაც.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ვინც კი მაგ ეტრატის საბუთებს ერწმუნება, ისიც ცხვარი და ხბო უნდა იყოს. ერთი ამ კაცს გამოველაპარაკები. — ვისი საფლავია ეგ, ჩემო ძმაო?

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე

ჩემი (მღერის)

„თოხ-ნიჩაბი, ბნელი ორმო,  
ფიცრის კუბო და სუღარა“.

### ჰ ა მ ლ ე ტ

რასაკვირველია, ჯერ შენია, რაკი შიგ გაწოლილხარ.

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ს ა ფ ლ ა ვ ე

შენ შიგ არა წევხარ და არც შენია და მე თუმცა შიგ არა გწევარ, მაინც ჩემია.

ჰამლეტ

სტყუი რომ შენია. საფლავი მკვდრისთვის არის და არა ცოცხლისთვის.

პირველი მესაფლავე

ახლა, ვითომ, დიდ ცოცხალ ტყუილში დამიჭირე, რომ ეგრე სწყრები?! გინდა, შენი წყრომა უკანვე დაგიბრუნო?

ჰამლეტ

რა კაცისათვის სთხრი მაგ საფლავს?

პირველი მესაფლავე

ის კაცი არ არის.

ჰამლეტ

მაშ დედაკაცია?

პირველი მესაფლავე

არც დედაკაცია.

ჰამლეტ

მაშ ვისთვისა სთხრი?

პირველი მესაფლავე

ერთი ვისმისთვის, რომელიც, — ღმერთმა ულხინოს იმის სულსა, — დედაკაცი იყო და ეხლა კი მძოვრია.

ჰამლეტ

ამ წუწუკს რა თავისებური სიტყვა-პასუხი აქვს! უნდა რუკა ავიღოთ ხელში და ისე ველაპარაკოთ, თორემ კილოს-გამომბოთ ლამის გადაგვრიოს. მართლაც და ჰორაციო, ეხლა ხალხი თითქო ისე გაოსტატდა, რომ გლენებზეც კი ცდილობენ თავადებს უკან აღარ ჩამორჩენ და ოხუნჯობაში ლამის გააფასონ. — რა ხანია, რაც მესაფლავე ხარ?

პირველი მესაფლავე

მთელი წელიწადი რომ გადავთვალო, მე სწორედ იმ დღეს დავიწყე საფლავეების თხრა, რა დღესაც ჩვენმა მეფემ ჰამლეტმა ფორტინბრასი დაამარცხა.

ჰამლეტ

რამდენი ხანი იქნება მას შემდეგ?

პირველი მესაფლავე

შენ კი არ იცი? ვინ არის იმისთანა გამოყვეყიებული, რომ არ იცოდეს. ეგ სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ახალგაზრდა ჰამლეტ დაიბადა, — აი ისა, რომ გაგიყდა და ინგლისს გაგზავნეს.

ჰამლეტ

მართლა? რად გაგზავნეს მერე ინგლისს?

პირველი მესაფლავე

იმად, რომ ჭკუა აერია და იქ უნდა დაილაგოს. თუ ვერ მოჭკვიანდა, იქ არც ამითი უჭირს რამე.

ჰამლეტ

როგორ თუ არ უჭირს?

პირველი მესაფლავე

ისე რომ იქ სიგიჟეს ვერავინ შეამჩნევს, იქ ყველანი გიჟები არიან.

ჰამლეტ

მერე, რამ გააგიჟა?

პირველი მესაფლავე

ამბობენ, გადაირიაო.

ჰამლეტ

როგორ თუ გადაირია.

პირველი მესაფლავე

ისე, ჭკუა დაჰკარგაო.

ჰამლეტ

რაზედ დაჰკარგა?

პირველი მესაფლავე

რაზედ და აი ამ დანის მიწაზედ. — მე ოცდაათი წელიწადია მესაფლავე გახლავარ, ბიჭობიდანვე ვადგავარ ამ ხელობასა.

ჰამლეტ

აღმიანის გვამი რამდენი ხანი გასძლებს გაუხრწნელი მიწაში?

პირველი მესაფლავე

თუ სიცოცხლეშივე არ გაიხრწნა, — ესეც ხშირად მოხდება ხოლმე, — რვა-ცხრა წელიწადი გასძლებს; — დაბალი ცხრას გასძლებს.

ჰამლეტ

დაბალი სხვებზედ მეტი რით არის?

პირველი მესაფლავე

იმას ტყავი ისე აქვს გათელილი თავის ხელობაში, რომ დიდხანობამდის წყალს არ შეუშვებს და რა გახრწნის კაცის გვამს, ის შეჩვენებული წყალი რომ არ იყოს. აი ეს თავი, სწორედ ოცდასამი წელიწადია, რაც მიწაში ძევს.

ჰამლეტ

ეგ ვისი თავი იყო?

პირველი მესაფლავე

ერთი სულელი ტაკი-მასხარასი. როგორა გგონიათ, ვისი უნდა იყოს?

ჰამლეტ

არ ვიცი სწორედ.

პირველი მესაფლავე

დასწყევლოს ღმერთმა იმისი ჩერჩეტა თავი! ერთხელ მთელი ბოთლი რაინის ღვინო ზედ გადმომასხა. ეს თავი იორიკის თავია, ხელმწიფის ხუმარასი.

ჰამლეტ

(თავის ქალას ხელში აიღებს)

ესა?

პირველი მესაფლავე

სწორედ ეგა.

ჰამლეტ

საბრალო იორიკ! მე მახსოვს იგი, ჰორაციო. საკვირველი ხუმარა და შვენიერი ამბების მომგონი იყო. ათასჯერ მეტად უტარებვიარ თავის მხარზედ და ეხლა როგორ მეზიზღება იმისი ნახვა. ლამის გული ყელში მომეხვინოს. აი აქ ჰქონდა ის ტუჩები, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიკოცნია. სად

არის ეხლა შენი მხიარულება, შენი სიცელქე, შენი სიმღერა? ნაპერწკლები შენის ოხუნჯობისა, რაც ყველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? რატომ ეს მაინც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების კრეჭა აიგდო? სად არის შენი სავესე, მოცინარი ლოყები? წადი ეხლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერ-უმარილი წაიჭო თხუპნოს, იმის ბოლო მაინც ეს არის. უთხარ ეს ამბავი და გააცინე. ჰორაციო, თუ გიყვარდე, ერთი რამ მიუთხარ.

ჰორაციო

მიბრძანეთ, რა გნებავთ.

ჰამლეტ

როგორ გგონია, ვითომ დიდი ალექსანდრეც საფლავეში ამას ეგვანებოდა?

ჰორაციო

უეჭველად.

ჰამლეტ

და სუნიც ასეთი ექნებოდა? ფუჰ!

(თავის ქალას ძირს დააგდებს).

ჰორაციო

სწორედ ეგეთი.

ჰამლეტ

ოჰ, ჰორაციო, როგორ ადვილი ყოფილა ჩვენი გარდაცვლა უბრალო სახმარ ნივთად! რატომ არ შეიძლება ვითომ, რომ გონებით მივყვეთ და დიდი ალექსანდრეს ნაშთი ლუდის ჭურჭლის საცობში ვიპოვოთ?!

ჰორაციო

კაი ძალი საბუთები დაგჭირდებოდათ მაგისტვის.

ჰამლეტ

ეგ ისე ძნელი არ არის, როგორც გგონია. არც გადაჭარბება დამჭირდება და არც დაუჯერებელი საბუთების მიდევნა. აი იფიქრე: ალექსანდრე მოკვდა, ალექსანდრე დამარხეს, ალექსანდრე მტვრად იქცა. მტვერი და მიწა ერთი და იგივეა. მიწისას თიხას აკეთებენ და რა არის აქ დაუჯერებელი, რომ ალექსანდრეს მტვრისგან შექმნილ თიხით ჭურჭელს პირი დაუცონ?

„თიხად გარდიქვა კეისარი ყოვლად ძლიერი  
და სახლთ სალესად ხმარობენ მას, მას ქვეყნის მზარავს!  
ის, ვის წინაშეც შიშით ძრწოდა ურიცხვი ერი,  
ზამთრის სუსხისგან უბრალო ქოხს ეხლა ივარავს“.  
ჩუმად, ჩუმად, შორს მივდგეთ. აქ ხელმწიფე მოდის.

(შემოდის პროცესია; წინ პასტორები მოუძღვიან; მოაქვთ კუბო  
ოფელიასი; უკან მოსდევინ: ლაერტ, მოზარენი, ხელმწიფე,  
ფე, დედოფალი, ამალა და სხვ.)

ოჰ, დედოფალიც... კარისკაცი... ნეტა ვის მარხვენ?  
მერე ესეთის მოკლე წესით. ეს იმას ნიშნავს,  
რომ მიცვალებულს თვით მოუკლავს თავისი თავი.  
უეჭველია, დიდიკაცი იქნება ვინმე.  
იქით მივდგეთ ჩვენ, ჰორაციო, და ყური ვუვდეთ.

(კუთხეში დადგებიან).

ლაერტ

დარჩა რამ წესი ასაგება?

ჰამლეტ

აი ლაერტიც,

კეთილშობილი, სულმალალი, ყმაწვილი კაცი.

ლაერტ

დარჩა რამ-მეთქი კიდევ წესი?

პირველი პასტორი

ჩვენ შევასრულეთ ყოველივე, რის ნებაც გვქონდა.  
საეჭვო იყო მის სიკვდილი და ეკლესიის  
წესი უმალლესს ბრძანებას რომ არ შეეცვალა,  
მეორედ მოსვლის დღემდე იგი წეს-აუგებლად  
სამარეს უნდა დებულიყო, ლოცვის მაგივრად,  
უნდა აგვევსო მის საფლავი ქვებით, კენჭებით;  
მაგრამ გვირგვინი უბიწობის წილად ვარგუნეთ,  
ყვავილებითა მოვრთეთ იგი და ზართა რეკით  
ამ უკანასკნელ სადგურამდე გამოვაცილეთ.

ლაერტ

მაშ ყველაფერი შეასრულეთ?

## პირველი პასტორი

ყოველისფერი.

ჩვენ რომ მაგისტვის გვეგალობა სავალობელი  
და უფლისაგან მოგვეთხოვა იგი მშვიდობა,  
რაიც კეთილად განტევებულთ სულთ უნდა ერგოთ, —  
მიცვალებულთა წირვას მაგით შევაგინებდით.

### ლ ა ე რ ტ

კუბო სამარეს ჩაასვენეთ. მაგის შვენიერ,  
უმანკო სხეულს ზედ ამოვა ია და ვარდი. —  
შენ კი, მამაო უღმობელო, მე ამას გეტყვი:  
ჩემი და ნეტარ ანგელოზთა დასში იქნება,  
შენი ხვედრი კი ჯოჯოხეთში კბილთა ღრჭენაა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

რაო, ეს რა სთქვა, ჩემი დაო! ოჰ, ოფელია!

### დ ე დ ო ფ ა ლ ი

(ყვავილებს აბნევს კუბოზედ)

მშვიდობით, ტკბილო ოფელიაჲ, და ეს ყვავილნი  
სიშვენიერეს უნსას ერგოს შვენიერ ხარკად.  
მე ვიმედობდი, რომ ჩემს ჰამლეტს შეგერთავდი ცოლად,  
შევამზადებდი საქორწილო უნსა საგებელს,  
ის კი არა თუ მორთვა მერგო უნის სამარის.

### ლ ა ე რ ტ

ოჰ, ათასკეცო მწუხარებაჲ, თავზედ დაატყდი  
მრავალ ათასჯერ იმ წყეულ სულს, ვის ბოროტებამ  
გონება შენი გამოგწირა, ჰკვა შეგირყია.  
მიწას ნუ ჩაჰყრით, დამაცადეთ კიდევ ცოტა ხანს,  
რომ ერთხელ კიდევ დაწყლულებულს მკერდზედ მივიკრა.

(ჩახტება საფლავში)

გადმოგვაყარეთ უხვად ეხლა ცოცხალსაც, მკვდარსაც,  
ვიდრე ამ ვაკე ადგილს მიწის მთად არ გარდაჰქმნით,  
რაიც ზემოდამ დაჰყურებდეს მაღალს პელიონს  
და თვით ზეცამდე აღმართულსა ლაჟვარდსა ოლიმპს.



ჰ ა მ ლ ე ტ (წინ წამოდგება)

ვინ არის იგი, ვისიც სევდა ასე ღაღადებს,  
ვისიც გოდება მიმომავალთ ვარსკვლავთ აძრწუნებს  
და ერთ ადგილას აჩერებს, ვით შემკრთალსა მგზავრსა?  
მე ვარ დანიის პრინცი, ჰამლეტ. (საფლავში ჩახტება).

ლ ა ე რ ტ

ოჰ, მაგ შენს სულსა

ტარტაროზების კერძად გავხდი.

(შეეტაკება).

ჰ ა მ ლ ე ტ

იქით დადევი.

ლოცვა-ვედრება არ გცოდნია. გაუშვი ხელი,  
ყელში ნუ მიჭერ; თუმც არა ვარ ავი და ცხარე,  
მაგრამ გირჩევ, რომ მომერიდო, არ ამაღლეგო.  
ხელი გაუშვი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გააშველეთ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, ჰამლეტ, ჰამლეტ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

როგორ კადრულობთ!

ჰ ო რ ა ც ი ო

ნუ ინებებთ, ბატონო ჩემო.

(კ ა რ ი ს კ ა ც ნ ი გააშველებენ და საფლავიდან ამოიყვანენ).

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ამ საგნისთვის მზა ვარ, ბრძოლად გავიხმო იგი,  
ვიდრე თვალთ ჩინი საუკუნოდ არ მომეშლება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა საგანს ამბობ, შვილო ჩემო, გამაგებინე.

ჰ ა მ ლ ე ტ

მე ოფელია მიყვარდა და ორმოც-ათას ძმას  
ერთად მოგროვილთ ჩემსავით ვერ ეყვარებოდათ. —  
მითხარ შენ იმის გულისთვის რას მოიქმედებდი?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ლაერტ, ეგ ჰკვიდამ შემცდარია.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გემუდარები,

ღვთის გულისათვის მოუთმინო.

ჰ ა მ ლ ე ტ

აბა მაჩვენე,

შენ რას იზამდი? იტირებდი? იმარხულებდი?  
იბრძოდი, ანუ დაიგლეჯდი კბილით შენს სხეულს?  
შესვამდი სრულად მდინარესა, ჯოჯოებს სჭამდი?..  
მეც მას ვიზამდი. თუ, მოხვედი აქ სავალალოდ  
და მის საფლავში ჩახტი ჩემის გამოჩავრებით?  
გინდა, ცოცხალი დაიმარხო? მეც შენთანა ვარ.  
შენ კიდევ მთებზედ ლაპარაკობ და მეც თანხმა ვარ,  
ურაცხვნი ქედნი თავს დაგვატყდენ, ზე აღიმართონ,  
ვიდრე თვის წვერით მგზნებარე მზეს არ მისწვდებიან,  
ვიდრემდე ოსა ფეტვის მარცვლად არ გამოჩნდება.  
შენ ჰყვირი, მაგრამ მეც შევიძლებ შენოდენ ყვირილს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეს ჰკვიდამ შეშლის ბრალი არის. ხშირად სიგიჟე  
მოუფლის ხოლმე ცოტა-ხნობით, თუმც მალე ჰქრება  
და მაშინ იგი მოთმინებით ემზგავსება მტრედს,  
თვის ოქროსფრთიან ბარტყებისთვის გულშემატკივარს  
და არის ხოლმე მოღრუბლული, გაჩუმებული.

ჰ ა მ ლ ე ტ

ეს მითხარ, ლაერტ, აგრე მტრულად რისთვის მეპყრობი?  
მე ხომ ყოველთვის მიყვარდი შენ, მაგრამ დავეხსნათ...  
დეე, თვის ძალა ჰერკულესმა გამოიჩინოს,  
დეე, კატამაც იკნავლოს და ძალმაც იყეფოს.  
(გადის).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გთხოვ, ჰორაციო, უკან გაჰყვე და ყური უგდო. —

(ჰ ო რ ა ც ი ო გადის. ლ ა ე რ ტ ს)

გაიძლიერე მოთმინება წუხანდელ სიტყვით

ღაიმ განზრახვას სჯობს ამ ამბავს დავამყარებდეთ. —  
გერტრუდავ, შენს შვილს შენც ადევნე ერთგულად თვალი. —  
ამ საფლავს, მგონი, დასჭირდება ცოცხალი მსხვერპლი...  
სჯობს, მოთმინებით ვიმოქმედოთ, იმედი ვზარდოთ, —  
მაღე დადგება ჩვენთვისაც ხომ მშვიდობის წამი.

## ს უ რ ა თ ი II

### დიდი დარბაზი.

(შემოდინან ჰორაციო და ჰამლეტ).

### ჰ ა მ ლ ე ტ

კმარა ამაზედ ლაპარაკი, ახლა სხვას გეტყვი.  
ხომ გახსოვს ყველა, რაც გიამბე?

ჰორაციო.

მახსოვს, ბატონო.

### ჰ ა მ ლ ე ტ

გამიტყდა ძილი, გულს მქენჯნიდა რაღაც ვარამი,  
სევდა მომაწვა მეტად მძიმე, თითქო ხელ-ფეხში  
ბორკილი მქონდა მე გაყრილი ავაზაკისა.  
წამოვხტი ჩქარა... დაილოცოს იგი სიჩქარე...  
ეს უნდა გითხრა, ჰორაციო, — ხშირად განზრახვა  
მოფიქრებული ყოველის მხრით უქმად ჩაგვივლის  
და გვშველის მხოლოდ აჩქარებით საქმის დაჭერა.  
ეს მოასწავებს, რომ განგება თვით აწყობს საქმეს,  
რა გზასაც უნდა ავირჩევდეთ.

ჰორაციო

ჭეშმარიტია.

### ჰ ა მ ლ ე ტ

მსწრაფლად ჩავიცვი მე სამგზავრო ტანისამოსი,  
გამოველ ჩემის ოთახიდან და სიბნელეში  
ხელის ფათურით ძებნას მოვყევი, მივაგენ კიდევ  
იმათ საბუთებს, ვტაცე ხელი, ჩუმიად დავბრუნდი

ჩემსავ ოთახში, დამავიწყა შიშმა ზრდილობა  
და უკრძალველად უმთავრესი ქაღალდი გავხსენ.  
ამოვიკითხე იმ ქაღალდში მე, ჰორაციო,  
ამ უმზგავს მეფის სიავკაცე. იქ ჩაეწერა  
მკაცრი ბრძანება, ვითომ იმით გამოწვეული,  
რომ ეს ინგლისის და დანიის კეთილდღეობას  
მოუხდებოდა; ვითომ ჩემი სიცოცხლე იყოს  
შიშის აღმძრავი საფრთხობელა მთელის ერისთვის; —  
იგი ბრძანებდა: წაიკითხავთ რამწამს ამ ქაღალდს,  
ნულარ აღროგებთ თვით ჯალათსაც ცულის გალესას  
და ჰამლეტს მყისვე თავი ტანით განაშორეთო.

ჰორაციო

მაგას რას ბრძანებთ?

ჰამლეტ

აი თითონ იგი ბრძანებაც;

როცა დრო გქონდეს, წაიკითხე. ეხლა არ გინდა,  
ისიც გაიგო, მე რა ვქმენი?

ჰორაციო

გთხოვ, რომ მაუწყოთ.

ჰამლეტ

რაკი მათ სწადდათ ჩემი ასე მახეში გაბმა,  
გონებაც ჩემი სისწრაფითა შეუდგა საქმეს,  
ვიდრე ამ საქმეს გავსინჯავდი, მოვიაზრებდი:  
დავჯეგ, დავწერე სხვა ბრძანება საუკეთესოდ, —  
მე უწინ თუმცა, ვით დიდკაცებს აქვთ ჩვეულებად,  
სუფთად წერასა ვთაკილობდი, ვცდილობდი კიდევ  
გადავიწყებას, მაგრამ იმ დროს ეს ხელოვნება  
გამოვიყენე, — რა დავწერე, გინდა, შეიტყო?

ჰორაციო

დიად, ბატონო.

ჰამლეტ

დიდი თხოვნა თვით ხელმწიფის მხრივ,  
თუ ერთგულება აქვსო ჩემი ინგლისთ სამეფოს,  
თუ სურს ბზასავით სიყვარული ჰყვაოდეს მულამ

ორ ქვეყნის შორის, მეგობრობა განმტკიცდებოდა და მშვიდობასა ედგას მუდამ თავთავთ გვირგვინი, — კიდეც სხვაც იყო ამისთანა ფიცი, ვედრება — რამწამს ამ წერილს გადიკითხავთ, მყისვე მომტანნი მოაკვლევინეთ, ვითარების განუხილავად, ისე სწრაფად, რომ არ ჰქონდეთო მონანების დროც.

პო რ ა ც ი ო

როგორ დაბეჭდეთ მერე იგი?

პ ა მ ლ ე ტ

კიდეც ეგ არის, რომ მაგაშიაც შემეწია თითონ განგება: მე ჩემ ქისაში მამიჩემის ბეჭედი მელო, რომლის ყალიბზედ ასხმენ ბეჭედს სახელმწიფოსას; ჩემი წერილი გადავკეცე მეორესავით, ზედ წავაწერე, დავბეჭდე და მყის იქვე ჩავდე. ისე დავცალე, რომ ვერავინ ეს ვერ შეიტყო. მეორე დღეს ხომ მეკობრებთან ბრძოლა მოგვიხდა და რაც შეგვემთხვა, ყველა იცი შენ დაწვრილებით.

პო რ ა ც ი ო

მაშ როზენკრანცსა და გილდენსტერნს ეგ მისცა ბედმა?

პ ა მ ლ ე ტ

მაინც ისინი მაგგვარ საქმეს სუნით ეძებდენ და სინიდიც არა მტანჯავს იმათ გულისთვის, — მეტიჩრობასა დააბრალონ მათი დაღუპვა. საშიში არის, როდესაც სუსტ-ბუნებიანი ჩაუვარდება შუაში ორს მოპირდაპირეს, მოპირდაპირეს ძლიერს, მედგარს, ხმალამოწვდენილს.

პო რ ა ც ი ო

ღმერთო მაღალო, რა ხელმწიფის ხელში ჩავცვივდით!

პ ა მ ლ ე ტ

ეხლა ხომ მაინც ცხადი არის, რაცა მდევს ვალად: იგი, ვინც მოჰკლა მამაჩემი, გამირყვნა დედა, ვინც გამიმტყუნა მე იმედი მეფედ აღჩემვის,

ვინც მანქანებით სასიკვდილოდ შახე დაშიგო, —  
ნუთუ არ არის იგი ღირსი, რომ ამ მარჯვენით  
ესრეთ დიადი ბოროტება გადავუხადო?  
განა კარგია, ამ იარამ ჩვენს ბუნებაში  
დაისადგუროს და საზარელ გესლად გადგვექცეს?!

ჰორაციო

ჟეჭველია, აცნობებენ მალე ინგლისით,  
თუ ვით გათავდა მინდობილი მაგისგან საქმე.

ჰამლეტ

ინგლისით მალე აცნობებენ, მაგრამ იმ დრომდე  
კიდევ მაქვს ვადა: კაცს სიცოცხლეც მალე ესპობა;  
ხშირად ამისთვის კმარა თვალის დახამხამება.  
მე ამას ვწუხვარ, ჰორაციო, რომ წელან ლაერტს  
თავდავიწყებით ვაწყეინე; მას თანავუგრძნობ,  
რადგან მის ხვედრში სარკესავით ჩემ ხვედრსა ვხედავ.  
მე მსურს მოვიგო მისი გული და თუ გავცხარდი,  
ეს გაცხარება, დამერწმუნე, გამოიწვია  
მისგან სიტყვებით მწუხარების დაფერადება.

ჰორაციო

ბატონო ჩემო, მოითმინეთ, აქ ვილაც მოდის.

(შემოდის ოსრიკ).

ოსრიკ

ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო ჩემო, მოგილოცოთ დანიაში  
კეთილად დაბრუნება.

ჰამლეტ

უმდაბლესად გმადლობთ, ხელმწიფეო ჩემო. — იცნობ, ჰო-  
რაციო, ამ ჭრიჭინას?

ჰორაციო

არა, ბატონო, ვერ ვიცნობ.

ჰამლეტ

ნეტავი შენ, რომ არ იცნობ. მაგისი ცნობა სირცხვილია. მა-  
გას დიდძალი მამული აქვს და ჩინებული მამულიც და ეს ხომ  
ასეა: თუნდა მხეცა იყო, ოლონდ სხვა მხეცების პატრონად

ითვლებოდე და შენს ახურს მეფის სუფრასთან გამოსჭიმვეწ, ეგ თუმცა ჭილყვავია, მაგრამ მრავალს მტვერსა და ტალახს ბატონობს.

ო ს რ ი კ

მოწყალეო ბატონო, თუ თქვენს უმაღლესობას დრო და ეამი აქვს, უნდა რაიმე მოგახსენოთ, დიდებულის ხელმწიფისაგან დაბარებული.

ჰ ა მ ლ ე ტ

ბრძანეთ. მე მოგისმენთ სრულის ჩემის ყურადღებით. — რატომ ქუდს თავის დანიშნულებას არ ასრულებინებთ? ეგ ზომ იმიტომ არის გაკეთებული, რომ კაცს თავზედ ეხუროს.

ო ს რ ი კ

გმადლობთ, თქვენო უმაღლესობავ, მეტად ცხელა.

ჰ ა მ ლ ე ტ

რასა ბრძანებთ? ძალიან ცივა და ჩრდილოეთის ქარიც უბერავს.

ო ს რ ი კ

დიად, მართლა, რომ საკმაოდ ცივა.

ჰ ა მ ლ ე ტ

მაგრამ მე ისე მეჩვენება, თითქო შეხუთული ჰაერი და სიციხეაო. ან იქნება, ჩემი აგებულება...

ო ს რ ი კ

სწორედ ნამდვილსა ბრძანებთ, შეხუთული ჰაერია თითქო — არ ვიცი რას დავამზავსო. — ბატონო ჩემო, მათმა დიდებულებამ მიბრძანა, მოგახსენოთ, რომ თქვენის გულისთვის ისინი დიდს ნაძლევსა სდებენ. ესა მქონდა მოსახსენებელი.

ჰ ა მ ლ ე ტ

(ცდილობს, ქული დაახურვინოს)

ნუ დაივიწყებთ, რაც გითხარით.

ო ს რ ი კ

არა, მიჭირს-რა, ჭეშმარიტად ასე მირჩევნიან. — დიდხანი არ არის, ბატონო ჩემო, რაც სასახლეში ლაერტ გიანლათ. ეს

ყმაწვილი კაცი, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ჩინებულად გაზრდილია, შემკული მრავალ სხვადასხვა ღირსებით, ზრდილობიანი და შვენიერის სანახაობისა. სამართლიანად უნდა ითქვას, იგი დღიურად საგონებელი წიგნია ჩვენთა დიდკაცთათვის; მასში გამოხატულია ყოველივე ღირსება, რაც კეთილად აღზრდილს დიდისკაცის შვილს უნდა ჰქონდეს.

### ჰ ა მ ლ ე ტ

თქვენთა ბაგეთ იმის წარმატება უკლებლად აღრიცხეს, თუმცა ამ აღრიცხვას შეეძლო მენსიერების ანგარიში სრულიად დაეზნია და მაინც უკან ჩამორჩენოდა იმის ნიჭიერებათა აღფრთოვანებას. ნამდვილად მოგახსენებთ, რომ მე იგი სულდიდ აღამიანად მიმაჩნია და ისეთის ძვირფასის ღირსებით აღსავსედ, რომ სამართლიანად ითქმის: მისი მზგავსი მხოლოდ იმისივე სარკეა და ვინც მისდამი მიბაძვას მოინდომებს, იგი მხოლოდ იმისი ჩრდილი შეიქნებაო.

### ო ს რ ი კ

თქვენმა უმაღლესობამ უნაკლოდ განსაჯა იგი.

### ჰ ა მ ლ ე ტ

საქმე ბრძანეთ, ბატონო ჩემო. რისთვის ვახვეთ იმ ყმაწვილკაცს ჩვენის სუნთქვის ხამ სამოსელში?

### ო ს რ ი კ

რა მიბრძანეთ?

### ჰ ო რ ა ც ი ო

რატომ გასაგონის ენით არა ბრძანებთ?

### ჰ ა მ ლ ე ტ

რისთვის დავიწყეთ იმ ყმაწვილკაცზედ ლაპარაკი?

### ო ს რ ი კ

ლაერტზედ?

### ჰ ო რ ა ც ი ო

ქისა შეუხუსტდა, ოქროს სიტყვები ყველა შემოეხარჯა.

### ჰ ა მ ლ ე ტ

დიად, იმაზედ.



ოსრიკ

მე ვიცი, რომ თქვენ გაგებული ბრძანდებით...

ჰამლეტ

მე მიხარია, რომ ეგ თქვენ იცით, თუმცა მაგით ვერაფერი შემემატება. მერე?

ოსრიკ

თქვენ, ბატონო, გაგებული გექნებათ ლაერტის სიმარჯვე...

ჰამლეტ

მე მაგას ვერ ვიტყვი, რადგან არ მინდა კვეხნაში ჩამომართვას ვინმემ, ვითომ მე მას სიმარჯვეში ვეცილებოდე. კაცი სხვას კარგად ვერ გაიცნობს, თუ თავის თავსაც არ იცნობს.

ოსრიკ

მე, ბატონო, იარაღის ხმარებაზედ მოგახსენებთ; როგორც ხალხი ლაპარაკობს, ამ საგანში იმას ბადალი არავინა ჰყავს.

ჰამლეტ

რა იარაღსა ხმარობს?

ოსრიკ

დაშნასა და ხანჯალს.

ჰამლეტ

მაშ სჯობს, ასე ვთქვათ, ორგვარ იარაღსა ხმარობსო. მერე?

ოსრიკ

ხელმწიფემ ინება და სანაძლოდ დასდვა ექვსი არაბული ცხენი და ლაერტ კი სამაგიეროდ სდებს, როგორც ვცანი, ექვსს წყვილს ფრანგულ დაშნა-ხანჯალს თავიანთ მოწყობილობით: ქამრებით, სათრეველებით და სხვანი. სამი სათრეველა მაინც შევნიერი რამ არის, შესაფერი იარაღის ტარისა და თავისუფალ გემოვნებით შექმნილი.

ჰამლეტ

სათრეველას თქვენ რას უწოდებთ?

ჰორაციო

მე ვიცოდი, რომ ვიდრე მაგასთან ლაპარაკს გაათავებდით, სხოლიოები დაგჭირდებოდათ.

ოს რ ი კ

სათრეველა საბმური გახლავთ, ჩემო ხელმწიფევ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ეგ სახელი მაშინ იქნებოდა შესაფერი, ხმლის მაგივრად რომ ზარბაზნები გვეკიდოს გვერდზედ. მინამდის კი, მოდი ისევ საბმური დარჩეს. მაშ ეგრე: ერთის მხრით ექვსი არაბული ცხენი და მეორეს მხრით ექვსი ფრანგული საჭურველი თავის მოწყობილობით და სამიც თავისუფალ გემოვნებით შექმნილი საბმური. ეგ ხომ ფრანგულისა და დანურის სანაძლეოს ცილობაა. რა სთქვით თქვენ, სანაძლეო რამ გამოიწვია?

ოს რ ი კ

ხელმწიფემ იმაზე ინება სანაძლეოს დადება, რომ ლაერთ თქვენ თორმეტში სამზედ მეტს ვერ დაგკრავთ და ის კი ცხრაჯერ დაკვრას იქადის. თუ თქვენის უმაღლესობის ნება იქნება, ამ საქმეს ეხლავ შეუდგებიან.

ჰ ა მ ლ ე ტ

მე რომ უარი ვთქვა?

ოს რ ი კ

მეც ის მოგახსენეთ, ხელმწიფეო ჩემო, თუ თქვენ წინ არ აღუდგებით ამ სანაძლეოს-მეთქი.

ჰ ა მ ლ ე ტ

კარგი, მაშ მე ამ დარბაზში ვივლი; მათ დიდებულებას ნუ ეწყინება, ეხლა ჩემი დასვენების დროა. დაშნები მოათაინონ და თუ იმ ყმაწვილს კიდევ სურვილი აქვს და მეფესაც არ გამოუტყვლია თვისი განზრახვა, ვეცდები, სანაძლეო მოვუგო. თუ საქმე კარგად ვერ მომიხდა, მე მოვიგებ მხოლოდ ჩემს შერცხვენას და რამდენსამე დაშნის ნაკრავს.

ოს რ ი კ

მაშ ეგრე მოგახსენო?

ჰ ა მ ლ ე ტ

აზრი ეგ არის და თქვენ იცით, სიტყვით როგორც გააშვენიერებთ.

## რ ს ტ ი კ

ნუ მომეშალოს, ხელმწიფეო ჩემო, ნურაოდეს თქვენი წყალობა.

(გადის).

### ჰ ა მ ლ ე ტ

გმადლობთ, გმადლობთ. — კარგად ჩადის, რომ ფიფონვე ზრუნავს თავის თავისთვის, თორემ ერთს კაცსაც ვერ იპოვი, მაგის სასარგებლოდ ხმა ამოიღოს.

### ჰ ო რ ა ც ი ო

სწორედ წიწილასა ჰგავს, რომელსაც ვერ კიდევ კვერცხის ნაჭუჭი სრულად ვერ მოუშორებია.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ეგ ბავშვობისას რძესაც ვერ მოსწოვდა ისე, რომ ძუძუსთვისაც კი ქება-დიდება არ ეთქვა. ეგ და მრავალნი მაგის მზგავსნი, რომელთაც ეს წამხდარი საუკუნე სწყალობს, აპყვენენ დროების ჰანგს, შეითვისეს მხოლოდ მისი გარეგანი სახე და მზგავსად შუშხუნა სასმელისა, პატივცემულნი არიან საუკეთესო საზოგადოებაში, მაგრამ აბა გამოსაცდელად შეუბერეთ და ნახათ, რომ ეს გარეგანი ბრწყინვალება საპნის ბუშტებივით საჩქაროდ გაჰქრება.

(შემოდის ერთი დიდებული).

### დი დ ე ბ უ ლ ი

ბატონო ჩემო, მათმა დიდებულებამ გაახლათ ახალგაზრდა ოსრიკ, რომელმაც ამბავი მოართვა, რომ თქვენ ამ დარბაზში ელით მათ განკარგულებას. ესლა მე მიბრძანეს, თქვენთან გაახლოთ და მოგახსენოთ, გაქვთ სურვილი ამ ჟამადვე შეებათ ლაერტს, თუ სხვა დროსთვის გადადებას ინებებთ?

### ჰ ა მ ლ ე ტ

მე მტკიცედ ვადგავარ ჩემ განზრახვას და ეს განზრახვა ხელმწიფის სურვილს ემორჩილება. თუ ამ ჟამად იმათთვის კარგი დროა, მეც მზადა ვარ. ჩემთვის სულ ერთია, ესლა იქნება თუ მერე, ოღონდ იარაღის ხმარება მერეც ესლანდელივით შემეძლოს.

## დი დ ე ბ უ ლ ი

ყველანი აქ მობრძანდებიან: ხელმწიფეც, დედოფალიც და ამაღაც.

## ჰ ა მ ლ ე ტ

მობრძანდენ.

## დი დ ე ბ უ ლ ი

დედოფალსა სურს, ვიდრე ერთმანეთს შეებმოდეთ, ლა-  
ერტს რამდენიმე მეგობრული სიტყვა უბრძანოთ.

## ჰ ა მ ლ ე ტ

ეგ რჩევა სასიამოვნო რჩევაა. (დი დ ე ბ უ ლ ი გადის).

## ჰ ო რ ა ც ი ო

წააგებთ ამ სანაძღოს.

## ჰ ა მ ლ ე ტ

მე არა მგონია. მას აქეთ, რაც ის საფრანგეთში წავიდა, სულ მუდამ ვარჯიშობაში ვარ და ჩემის ანგარიშით მე უნდა ვაჯობო. მაგრამ ვერ წარმოიდგენ, ჰორაციო, გულს რა რიგი დარდი შემომმაწვა, თუმცა ამითი არა უჭირს-რა.

## ჰ ო რ ა ც ი ო

თუ ეგრეა...

## ჰ ა მ ლ ე ტ

უბრალო ფიქრებია, სხვა არაფერი, თუმცა ამგვარ წინად-  
გრძნობას დედაკაცის შეშინება შეუძლიან.

## ჰ ო რ ა ც ი ო

თუ გული რაზედმე არ გერჩით, არ უნდა გაუჭირვეულდეთ. წავალ, ვეტყვი, აღარ მოვიდენ, შეუძლოდა ბრძანდება-  
მეთქი.

## ჰ ა მ ლ ე ტ

არამც და არამც არ წახვიდე. მე წინადგრძნობებისა არ მეშინიან. ხომ იცი, ჩიტიც კი უგანგებოდ არ მოკვდება. თუ ეხლა მოხდება, მერე ხომ აღარა იქნება-რა; თუ მერე არ იქნე-  
ბა, ხომ ეხლა უნდა მოხდეს; და თუ ეხლა არ იქნება, მერე ხომ მაინც არ აგვცდება. საქმე ეს არის, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ და რაკი კაცმა არ იცის, თუ სიცოცხლესთან ერთად რა-

სა ჰკარგავს, — რა მოხდება, რომ ეს უცნაური საქონელი ჰკარგა ადრე დაჰკარგოს!

(შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, ლაერტ, დიდებულნი, ოსრიკ და მხლებელნი, რომელთაც დაწნები მოაქვთ).

### ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აქ მოდი, ჰამლეტ, ჩაიბარე ეს ხელი ჩემგან!

(ხელმწიფე ლაერტსა და ჰამლეტს ერთმანეთს ხელს მიაცემინებს).

### ჰ ა მ ლ ე ტ

ბრალი მიმიძღვის, ლაერტ, შენთან, — მოტევენას გოხოვ.

მე ვითხოვ შენგან მოტევენას, ვით ვაჟკაცისგან.

მთელმა ამ კრებამ იცის და შენც გაგეგონება, გონების სენით საშინელით ცამ ვით დამსაჯა.

რა საქმითაც კი მე შევბლალე ბუნება შენი, შევბლალე შენი სახელი და პატიოსნება, —

მე აქ ვაცხადებ საქვეყნოდ, რომ ყოველ ამ საქმეს მიზეზად მხოლოდ ჰქონდა ჩემის გონების შეშლა.

ჰამლეტმა ლაერტ შეურაცხჰყო? არა, არას დროს.

როდესაც ჰამლეტ ის არ არის, რაც უნდა იყოს

და შეურაცხჰყოფს იგი ლაერტს ესრეთ შეცვლილი, —

ამის ბრალს ჰამლეტ ვერ იკისრებს, ეს ბრალი უნდა

იმის სიგიჟეს კისრად დავდოთ. თუ ეს ასეა,

თითონ ჰამლეტიც გულნატკენთა დასში ჩასთვალეთ, —

საბრალო ჰამლეტს მტრად ჰყოლია თვისივ სიგიჟე.

ამხადე ბრალი ამ ბრწყინვალე კარის წინაშე;

ნუ ირწმენ, ვითომც განზრახ ცუდი რამ მომექმედოს

და დააჯერე, ლაერტ, შენი მაღალი სული,

რომ მე ისარი გადატყორცნე სასახლის ბანსა

და იგი ჩემდა უხილავად ჩემსავ ძმას მოხვდა.

### ლ ა ე რ ტ

ჩემი ბუნება დამიწყნარდა, თუმც ამ საქმეში

უფრო ის უნდა მაქეზებდეს შურისძიებად.

მაგრამ ვით ითხოვს ვაჟკაცთ წესი, მე შორს გავდგები

და შერიგებას უარსა ვყოფ, ვიდრე უფროსნი,

პატივემულნი და განთქმულნი გამოცდილებით

თვით არ მეტყვიან: „შერიგდიო“. მაშინ ეს სიტყვა  
ჩემსა სახელსა დაიფარავს შერცხვენისაგან.  
იმ დრომდე შენი სიყვარული მე მიმიღია  
და უარყოფას მაგისას გულს არ გავიტარებ.

ჰ ა მ ლ ე ტ

სიამოვნებით მესმის ეგ მე, მაშ ჩვენ ამ უამად  
ქმურად შევიბათ სანაძლეოს მოგებისათვის. —  
ჩქარა დაშნები მოიტანეთ. — აბა, დავიწყეთ.

ლ ა ე რ ტ

კარგი, დავიწყეთ. — ერთი დაშნა მეც მომაწოდეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ლაერთ, ამ შებმით შენს შევენებას შევმატებ მხოლოდ:  
უხერხულობა ჩემი მოჰფენს უფრო ნათელს შუქს  
შენს ხელოვნებას, ვით ვარსკვლავსა მწყვედიადი ღამე.

ლ ა ე რ ტ

რისთვის დამცინი?

ჰ ა მ ლ ე ტ

არ დაგცინი. ვფიცავ მარჯვენას.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ოსრიკ, მიაართვი მათ დაშნები. — ხომ იცი, ჰამლეთ,  
რა სანაძლეოც დავაწესეთ?

ჰ ა მ ლ ე ტ

ვიცი, ბატონო,

თუმც ამას გეტყვით, რომ თქვენ სუსტის მხარე გიჭირავთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

არ მეშინიან მე მაგისი, ორივეს გიცნობთ  
და რადგან იგი ამ ბოლოს დროს მეტს ვარჯიშობდა,  
ჩვენ ვეცადეთ და ორთავ მხარე გავათანაბრეთ.

ლ ა ე რ ტ

ეს მძიმე არის, სხვა მაჩვენეთ.

ჰ ა მ ლ ე ტ

ეს ხელში მომწონს.

ხომ ყველა ერთის სიგრძისაა?

(საბრძოლველად ემზადებიან).

ოსრიკ

დიალ, ბატონო.

ხელმწიფე

ღვინით აავსეთ ფიალები და აქ დამიდგით. —  
თუ ჰამლეტ დაჰკრავს ან პირველად, ანუ მეორედ,  
ანუ მესამედ პასუხს უგებს, მაშინ ციხიდან  
ასტეხონ სროლა ზარბაზნების; თითონ ხელმწიფე  
დალევს ჰამლეტის სადღეგრძელოს და ძვირფასს თვალსა,  
ისეთს, რის ცალიც მათ გვირგვინში ოთხს უკანასკნელს  
ხელმწიფეს დიდის დანიისას არა ჰქონია, —  
ჩაადგებს იგი ფიალაში. — ფიალა-მეთქი!  
წინწილ-ებნის ხმას ბანი მისცეს საყვირის ხმამა,  
საყვირმა კიდევ მეზარბაზნეთ შეატყობინოს,  
ზარბაზნის სროლამ ცას აცნობოს და ცამ ქვეყანას,  
რომ ჰამლეტისა სადღეგრძელოს მეფე მიირთმევს.  
დაიწყეთ. და თქვენ, მსაჯულებო, აღევნეთ თვალი,

ჰამლეტ

აბა, მობრძანდი.

ლაერთ

მზად გახლავარ. (იბრძვიან).

ჰამლეტ

ერთი ხომ დაგკარ.

ლაერთ

არ მომხვედრია.

ჰამლეტ

მსაჯულთ საჯონ.

ოსრიკ

მოხვდა ნამდვილად.

ლაერთ

კარგი. ხელახლად ვცადოთ, აბა.

ხელმწიფე

ჯერ შეიცადეთ.

მომეცით ღვინო. — შენი არის, ჰამლეტ, ეს თვალი.

შენს სადღეგრძელოს ვსვამ ამ ჭიქით. —  
(საყვირის ხმა. გარეთ ზარბაზნებს ისვრიან).

მხარეთით ჰამლეტს

ესე ფიალა.

ჰ ა მ ლ ე ტ

მერე იყოს, ჯერ გავათავო.

აბა, კვლავ ვცადოთ.

(იბრძვიან).

მოგხვდა კიდევ, უარს ვერ მეტყვი.

ლ ა ე რ ტ

მართალი არის, მომხვდა სწორედ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჩვენი ძე სჯობნის.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მძიმეა იგი, დაიღალა და ძლივსღა სუნთქავს. —

აქ მოდი, შუბლი შეიწმინდე ამ ხელსახოცით.

დედოფალი სვამს, ჰამლეტ, შენის დღეგრძელობისთვის.

ჰ ა მ ლ ე ტ

დიდადა გმადლობთ, დედაჩემო.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გერტრუდავ, ნუ სვამ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

უნდა დავლიო. გთხოვთ, ბატონო, ნუ ამიკრძალავთ.

(სვამს).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე (იქით)

ეს მოწამლული ფიალაა, გვიანღა არის.

ჰ ა მ ლ ე ტ

ჯერ ვერ გავბედავ მე დალევას, მასუკან დავლევ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოდი აქ, სახე შეგიწმინდო.

ლ ა ე რ ტ

ბატონო ჩემო,

ენლა კი დავკრავ.



ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მე მგონია, გაგიძნელდება.

ლ ა ე რ ტ (იქით)

ამ საქმეს თითქო სინილისი ჩემი უარობს.

ჰ ა მ ლ ე ტ

მესამედ ვცადოთ, ლაერთ, კიდეც. შენ თითქო ხუმრობ.

გთხოვ, ყოველივე მოიხმარო ხერხი და ძალი,

მე მეშინიან, ეგ ცელქობით არ მოგდიოდეს.

ლ ა ე რ ტ

ეგრე გგონია? კარგი, ვნახოთ.

(იბრძვიან).

ო ს რ ი კ

ორივეს ასცდა.

ლ ა ე რ ტ

ეხლა ხომ მოხვდა!

(ლ ა ე რ ტ დასჭრის ჰ ა მ ლ ე ტ ს. ჩხუბში და არეულობაში დაშვებს დასცვლიან და ჰ ა მ ლ ე ტ ი ც ლ ა ე რ ტ ს დასჭრის).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გააშველეთ. მეტად გაცხარდენ.

ჰ ა მ ლ ე ტ

კვლავ მივყოთ ხელი.

(დ ე ლ ო ფ ა ლ ი დაეცემა).

ო ს რ ი კ

ოჰ, მიჰხედეთ ჩქარა დედოფალს, —

ჰხედავთ, რა მოსდის?!

ჰ ო რ ა ც ი ო

ორსავ მებრძოლს სისხლი ჩამოსდის —

ბატონო ჩემო, როგორა ხართ?

ო ს რ ი კ (ლაერთს)

თქვენ როგორა ხართ?

## ლ ა ე რ ტ

მე ჩემს დაგებულს მახეშივე თავი გავიბი  
და რაც რომ სხვისთვის განვიზრახე მოღალატობით,  
სამართლიანად მისპობს იგი თვით მე სიცოცხლეს.

## ჰ ა მ ლ ე ტ

როგორ ბრძანდება დედოფალი?

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სისხლის დანახვამ

წაუღო გული.

## დ ე დ ო ფ ა ლ ი

არა, არა, ეს სასმელმა ჰქმნა.

ოჰ, შეილო ჰამლეტ, იმ სასმელით მტკივიწამლე მე.

(ჰკვდება).

## ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, ავკაცობაე! გადაჰკეტეთ ყველა კარები.  
აქ ლალატია, უნდა იგი მოგნახოთ ყველგან.

[(ლაერტი ეცემა)]

## ლ ა ე რ ტ

აქ არის იგი, ჰამლეტ, ჰამლეტ, და შენც მკვდარი ხარ,  
ვერა წამალი ველარ გიხსნის სიკვდილისაგან;  
ნახევარ საათს რომ იცოცხლო, ისიც ბევრია.  
ხელში გიპყრია შენ ამ ჟამად ის იარაღი,  
რამაც გვიმუხთლა, მოწამლული, შუბივით მკვეთი.  
ხომ ჰხედავ, ჩემი ბოროტება მევე გადამხდა  
და აქა ვწევარ სასიკვდილოდ გადადებული.  
მოწამლულია დედაშენიც... აღარ მაქვს ღონე...  
ეს ყველაფერი ბრალი არის თვით ხელმწიფისა.

## ჰ ა მ ლ ე ტ

მოწამლულია ეს დაშნაცა! — მაშ, საწამლაგო,  
ჰქმენ შენი საქმე!

(ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს დაშნას ჩასცემს).

## ყ ვ ე ლ ა ნ ი

ოჰ, ლალატი, დიდი ლალატი!

## ხ ე ლ მ წ ი ფ ე

მომეშველენით, მეგობრებო, მე დამჭრა მხოლოდ.

### ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, კაცისმკვლელო, დაწყევლილო, სისხლის-შემრევო!  
აჰა, დალიე! შიგ იპოვი შენს ძვირფასს თვალსაც.

დედიჩემის კვალს გაჰყევ შენცა!

(ხ ე ლ მ წ ი ფ ე ჰკვდება).

### ლ ა ე რ ტ

მაგისტვის ეგე

სამართლიანი ულუფაა. ეგ საწამლავი  
თავის ხელითვე შეამზადა. — ჰამლეტ, მე და შენ  
ერთმანეთს უნდა მიუტუტევოთ. ნუ მოგეკითხოს  
ნურც მამიჩემის სიკვდილი შენ და ნურცა ჩემი  
და შენც შემინდე შენი სისხლი.

(ჰკვდება).

### ჰ ა მ ლ ე ტ

შეგინდოს ზეცამ;

მეც ეხლავ მოგდევ. — ჰორაციო, ვკვდები, მივიღვარ. —  
მშვიდობით შენცა, დედოფალო საწყალობელო.  
თქვენ, ვინც აქ დგახართ ფერმკრთალნი და ძრწით ამ ამბითა,  
ვინც კი უსიტყვოდ მოწმობთ ამა საშინელებას, —  
ჟამი რომ მქონდეს... ოჰ, სიკვდილი მკაცრი ყოფილა,  
მზგავსი მძვინვარე ციხის მცველის... მე გიამბობდით...  
მაგრამ დავეხსნათ... ჰორაციო, ვკვდები და მას გთხოვ,  
შენ იცოცხლე და შეასმინე ჩემზედ ნამდვილი;  
ჩემი ამბავი უთხარ ყველას, ვინც კი მოისმენს.

### ჰ ო რ ა ც ი ო

აბა, რას ბრძანებთ, კიდევ დარჩა ამ ფიალაში...  
მე ძველს რომაელს უფრო ვგავარ, ვიდრე დანელსა!

### ჰ ა მ ლ ე ტ

გაფიცებ შენს ქველ ვაჟკაცობას, მომეც ფიალა,  
მომეცი-მეთქი ზეცას ვფიცავ, არ დაგანებებ.  
ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო, რა საზიზღ სახელს

დავტოვებ, თუკი ეს ამბავი არ გამჟღავნდება.

მაშ თუ როდისმე გყვარებივარ, რამდენიმე ხნით განშორდი მუდმივს ნეტარებას, ტანჯვით იცხოვრე და ამ კრულ მიწას მიმოჰფინე ჩემი ამბავი.

(მოისმის შორიდან მარში და ზარბაზნების სროლა).

ეს რა ხმა არის? ომისას ჰგავს.

ო ს რ ი კ

ინგლისის ელჩებს

საომარ სალამს უძღვნის ამით პრინცი ფორტინბრას, პოლონთ ქვეყნიდამ გამარჯვებით დაბრუნებულნი.

ჰ ა მ ლ ე ტ

ოჰ, ჰორაციო, იმ სასმელმა სრულად შემხუთა.

მე ვერ ვიცოცხლებ კიდევ იმდენს, რომ ინგლისიდან მოტანილ ამბებს ყური მოვკრა, მაგრამ კი გეტყვი, რომ არჩევანი უნდა ერგოს სწორედ ფორტინბრასს. მე ჩემს მომაკვდავს ხმას მას ვაძლევ. ეს ასე უთხარ და მიზეზებიც აუხსენ, მას რად ვამჯობინებ.

სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ.

(ჰკვდება).

ჰ ო რ ა ც ი ო

ჩაქრა ლამპარი დიდებული! მშვიდობით, პრინციო; ანგელოზთ გუნდთა განგასვენონ ტკბილის გალობით. — სიღამ მოისმის ასე ახლო დაფდაფების ხმა?

(გარეთ მარშს უკვრენ. შემოდინ ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს, ინ გ ლ ი ს ი ს ე ლ ჩ ე ბ ი და სხვ.).

ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს

აბა სად მოხდა ეგ ამბავი?

ჰ ო რ ა ც ი ო

რა გნებავთ, ნახოთ?

თუ ეძებთ რასმე საკვირველსა, ან სამწუხაროს, შორს ნულარ წახვალთ, აქ გაჩერდით.

ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს

რა საშინელი

სანახავია! ოჰ, სიკვდილო ამპარტავანო,

შენ საუკუნო სადგომში რა ნადიმს იმართავ,  
რომ ერთის დაკვრით სპობ სიცოცხლეს ამდენ დიდებულთ?

### პ ი რ ვ ე ლ ი ე ლ ჩ ი

სწორედ საზარელს საქმეს ვხედავთ. — დაგვიგვიანდა,  
ინგლისის მიერ მონღოზილის ამბის მოტანა.  
უქმნი არიან იგი ყურნი, რომელთაც უნდა  
მოესმინათ, რომ ნაბრძანები აღსრულდა მათი,  
რომ როზენკრანცი და გილდენსტერნ მკვდარნი არიან.  
ამის მაღლობას ვილა გვეტყვის?

### ჰ ო რ ა ც ი ო

ის არ გეტყვოდათ,  
ვისგანც ელოდით, მაღლობის თქმაც თუნდ რომ შეეძლოს.  
მას სრულიადაც მათ მოკვლა არ უბრძანებია,  
მაგრამ სჯობს, ისევ დავუბრუნდეთ ამ ბედშვავ საქმეს.  
რაკი ზოგნი ხართ აქ მოსულნი ინგლისის ქვეყნით,  
ზოგნი პოლონში ნაომარნი, — მის გასაგებად  
ბრძანეთ, რომ გვამნი გამოაწყონ ერთ მაღალ ადგილს  
და მე ყველაფერს გავუშეკლავნებ უმეტარ ერსა,  
თუ ეს ამბავი როგორ მოხდა. მაშინ გაიგებთ,  
სისხლის-შემრევთა, უბუნებოთ ნამოქმედარსა, —  
განსამართლებას უცაბედსა, შემთხვევით სიკვდილს,  
კაცთკვლას ბოროტის მანქანებით, ძალდატანებით,  
ბოლოს განზრახვას ჯოჯოხეთურს, თვით მომგონთ თავზედ  
რისხვით მოსეულს, მე გიამბობთ ყველას სიმართლით.

### ფ ო რ ტ ი ნ ბ რ ა ს

აბა, საჩქაროდ მოვემზადოთ და მოვისმინოთ;  
უხმეთ დიდებულთ, აქ დაესწრენ. მე მწუხარებით  
ჩემს ბედისწერას უნდა ავყვე. ამ სამეფოზედ  
მაქვს რამ უფლება და ვაცხადებ ამას საქვეყნოდ.

### ჰ ო რ ა ც ი ო

მე მაგაზნედაც სათქმელი მაქვს. უნდა გაუწყოთ,  
რომ თქვენ იმანაც აღვირჩიათ. რომლის მძლავრსა ხმას  
მოწიწებთა მოისმენდა მთელი სამეფო.  
მაგრამ დაჩქარდით, შეასრულეთ ეხლავ ეგ აზრი,

ვიდრე მღელვარე არის ხალხი და ბოროტება  
ვერ იმოქმედებს ხერხით, ანუ სხვა მანქანებით.

### ფორტინბრას

უბრძანეთ, ოთხმა ასისტანტმა ჰამლეტის გვაში  
მალა საკაცეს ასვენონ, როგორც სარდალი.  
მას რომ ხელმწიფედ ტანტზე ჯდომა დასცალეოდა,  
ეჭვი არ არის, განაგებდა დიდებულებით.  
უნდა მიაგონ დამარხვის ჟამს მხედართ პატივი  
და სამარემდე მიაცილონ გლოვის მუსიკით.  
უბრძანეთ კიდევ, გაასვენონ ეს გვამნიც გარეთ.  
ამგვარს სანახავს ბრძოლის ველი უფრო შეშვენის,  
ვიდრე დარბაზი დიდებული. ჯარსაც აცნობეთ,  
რომ მიცვალებულთ პატივი სცეს ზარბაზნის სროლით.

(სამგლოვიარო მარშს უკრავენ. გადიან და გააქვთ  
მიცვალებულნი. გარედამ მოისმის ზარბაზნის ხმა).

ოგელო

ვენეციელი მავრი

სათომოქველუნიანი  
ჭაბუღელი